აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოხუმის ფილიალი

ბექა ქანთარია

კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი

თბილისი
2003

UAK (VDC) 32+34] (479. 22)
ქ 228

ბექა ქანთარია თბილისის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სამართლისმცოდნეობის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტია. იგი დაიბადა წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯგარში. 2002 წელს გამომცემლობა „სამართალმა" გამოაქვეყნა მისი პირველი წიგნი „გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ" (რედაქტორი პროფესორი კლიმენტი შელია, რეცენზენტი პროფესორი გივი როგავა). მიმდინარე წელს ოსე სოხუმის ფილიალის სამეცნიერო საბჭომ ბექა ქანთარია მეორედ წარადგინა საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიაზე.

აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 2003 წლის 11 აპრილს ბექა ქანთარია აირჩია ამავე სამეცნიერო დაწესებულებასთან არსებული მცირე (ახალგაზრდული) აკადემიის პრეზიდენტად.

წინამდებარე ნაშრომი ოცდაერთი წლის სტუდენტის მეორე წიგნია, სადაც გამოკვლეულია საქართველოს პარლამენტის (1917-1921) საკონსტიტუციო კომისიის წევრის, ეურასტ კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული მსოფლმხედველობა. ობიექტურადაა გაშუქებული ამ პიროვნების დამსახურება 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის ნამოყალიბების საქმეში.


ნაშრომში განსაზღვრულია ასევე საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს პირველი კონსტიტუციისა და თანამედროვე, 1995 წლის 24 აგვისტოს უზენაესი კანონის შედარებითი ანალიზი. ამჟამად, მოსწავლეა პოლიტემატიკურია.

წიგნი განკუთვნილია მკითხველის ფართო საზოგადოებისათვის.

სამეცნიერო რედაქტორი აკაკი ხაზალია
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი, საქართველოს ფაზისის
მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

რეცენზენტები: კლიმენტი შელია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.
გივი როგავა
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

© გამომცემლობა „პოლიტიკა"
© ბექა ქანთარია



მეცნიერული მოღვაწეობა ერთობ რთული საქმეა. ის არ უნდა იყოს თვითმიზანი. მეცნიერების ტაძრისაკენ გზა ადამიანის მხოლოდ შინაგან მოწოდებაზე უნდა გადიოდეს.

ბეჭა ქანთარია.

წიგნი ეძღვნება საქართველოს
დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში
გმირულად დაცემულ თანამემამულეთა ხსოვნას.

ავტორისაგან

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლის საგანი მეტად თავისებურია. კვლევის ამ ობიექტით ის განსხვავდება იურიდიული მეცნიერების სხვა დისციპლინური დარგებისაგან.

პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არ არის სამართლებრივ ნორმათა ერთობლიობა, არამედ იგი ამა თუ იმ მოაზროვნის ან საზოგადოებრივი მიმართულების წარმომადგენელთა შეხედულება, თეორია, კონცეფცია ან დოქტრინაა პოლიტიკისა და სამართლის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე იურიდიული მეცნიერება, ჩვენის აზრით, უნდა დაიყოს ორ დიდ სისტემად: ა) იურიდიული მეცნიერება[1], რომელიც შეისწავლის სამართლებრივ ნორმებს (მაგალითად, სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო სამართლის მეცნიერებები და ა.შ.) და ბ) იურიდიული მეცნიერება,რომელიც შეისწავლის ისეთ იურიდიულ დისციპლინებს, რაც არ ქმნიან ნორმათა იერარქიას (მაგალითად, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, მსოფლიოს პოლიტიკურ და იურიდიულ მოძღვრებათა ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია და ა.შ.).

საქართველოს პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, რომელიც იურიდიული მეცნიერების დამოუკიდებელი

---

1. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებზე სამართლისმცოდნეობის სხვა დარგების სწავლების ფონზე ნაკლები ყურადღება ექცევა „იურიდიული მეცნიერების საგნის“ შესწავლას. სტუდენტები ინფორმაციას ღებულობენ იურიდიული მეცნიერების ცალკეული დარგების შემეცნების ობიექტზე, სამართლის კონკრეტული მეცნიერების საგანზე. საქართველოში ერთიანი აზრი არ არსებობს ისეთი მეცნიერული ხასიათის ნაშრომები, სადაც გაშუქებული იქნებოდა ზოგადად „იურიდიული მეცნიერების რეგულირების ობიექტი“. ეს ყველაზე მტკივნეული საკითხად მიგვაჩნია. მიზანშეწონილია იურიდიულ ფაკულტეტებზე შემოღებულ იქნას სპეციალური სალექციო კურსი: "იურიდიული მეცნიერების საგანი", ვინაიდან, არ არსებობს სრულყოფილი იურიდიული განათლება იურიდიული მეცნიერების ობიექტის შემეცნების გარეშე. ჩვენ ვისწავლობთ "სამართლის ცნების", მაგრამ არ ვისწავლობთ „იურიდიული მეცნიერების არსს“. ისინი ერთმანეთის არ გულისხმობს.

დარგი[2] და სასწავლო დისციპლინაა, შეისწავლის პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებს, დოქტრინებს, თეორიებს და ა.შ. უძველესი დროიდან დღემდე.

საქართველოში სამართლის მეცნიერების აღნიშნული დარგის ფუძემდებლად უნდა ჩაითვალოს პროფესორი ივანე სურგულაძე, რომლის ღვაწლი ამ სფეროში ფასდაუდებელია.

პოლიტიკისა და სამართლის ცალკეული აქტუალური საკითხები კარგად იყო დამუშავებული 1918-1921 წლების საქართველოში, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა სხვადასხვა მოღვაწის ნააზრევსა თუ პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს საკითხები დღემდე შეუსწავლელია და ვფიქრობთ, რომ მოითხოვს ფართო კვლევა-ძიებას, რაც ჭეშმარიტად ეროვნულ საქმედ გვესახება.

ამის ერთ-ერთი მოკრძალებული ცდაა წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ეხება საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის წევრის, იურისტ კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკურ და იურიდიულ მსოფლმხედველობას. წიგნი, რასაკვირველია, არ იქნება

---

2. თანამედროვე იურისპრუდენციაში "პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია" იურიდიული მეცნიერების ერთ-ერთ დამოუკიდებელ დარგადაა აღიარებული. რაც, ჩვენის აზრით, არასწორია. პოლიტიკურ იდეებს, თეორიებს, მოსაზრებებს, შეხედულებებს, კონცეფციებს, დოქტრინებს სწავლობს მეცნიერების მნიშვნელოვანი სისტემა - პოლიტმეცნიერება. ესენი წარმოადგენს პოლიტმეცნიერების "სულიერ მხარეს" (რითაც ამას პოლიტმეცნიერები უწოდებენ). ამ თვალსაზრისით, სამართლის (იურიდიული) მეცნიერება ისაკუთრებს პოლიტიკური მეცნიერების შემეცნების ობიექტს. რასაკვირველია, პოლიტიკა და სამართალი მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს, მაგრამ მათი საკვლევი პრობლემების ერთმანეთში აღრევა განაპირობებს "ფუნქციათა მითვისებას", გაუგებრობა შეაქვს პრობლემის გადაჭრის საქმეში.

მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი პოლიტიკის და სამართლის მეცნიერებაში არ ყოფილა დასმული. ჩვენ იძულებული გავხდით მონოგრაფიაში გაგვერთიანებინა კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები.

ამ სფეროში სამართლებრივი და პოლიტიკური მოძღვრებები უნდა გაემიჯნოს ერთმანეთს. "პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორია" უნდა შეიცავდეს პოლიტიკური მეცნიერების სისტემაში, ხილო სამართლებრივი იდეები, შეხედულებები, დოქტრინები და ა.შ. მხოლოდ იურიდიული მეცნიერების კვლევის ობიექტად უნდა შენარჩუნდეს. ამ მხრივ არ ეთანხმება "სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში". სახელმწიფოს წარმოშობა, წესწყობილება, კლასობრივი ტიპები, ნიშნები, ფორმები, ფუნქციები და ა.შ. აინტერესებს პოლიტმეცნიერების და არა სამართლის თეორიას. იურიდიულ ფაკულტეტებზე გაერთიანებულად "სახელმწიფოს და სამართლის თეორია" არ უნდა იკითხებოდეს. უმჯობესია მომავალში შეიქმნას სახელმძღვანელო "სამართლის თეორიაში" (მაგალითად, ბ. სავანელი, "სამართლის თეორია", თბ. 1997. წელი).

დაზღვეული ხარვეზებისაგან. მკითხველის შენიშვნებსა და მოსაზრებებს მადლიერების გრძნობით გაცითვალისწინებთ შემდგომი მუშაობის დროს.

ვიცით ის, რომ გარკვეული ობიექტის შემეცნება მოითხოვს კონკრეტულ-სამეცნიერო მეთოდოლოგიის გამოყენებას. პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია ეფუძნება მეთოდის სხვადასხვა ფორმებს. წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას მივმართეთ შედარებით-ანალიზისა და პორტრეტულ მეთოდებს, რომლებმაც ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია პრობლემის გადაჭრასა და გარკვეული დასკვნების ლოგიკურად ჩამოყალიბებაში.

1918-1921 წლების პოლიტიკურ-სამართლებრივი ცხოვრების საკითხები მთელი სამოცდაათწლიანი ბოლშევიზმის ბატონობის მანძილზე მეცნიერული კვლევა-ძიებისაგან განყენებული აღმოჩნდა. დღეს კი, როდესაც მიმდინარეობს ღირებულებათა გადაფასება, ყალიბდება ქართული სახელმწიფო, როგორც პირველი დემოკრატიული საქართველოს სამართალმემკვიდრე, გვაქვს იდეალური შესაძლებლობა, სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გამოვიკვლიოთ იმ დროის პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების ცალკეული მიმართულებები, იმ ადამიანთა ინდივიდუალური პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, რომლებიც ქმნიდნენ ახალ აზრთაწყობას, განსხვავებულ საზოგადოებრივ ატმოსფეროს. მათ შორის კონსტანტინე მიქელაძე თავისი ეპოქის მოწინავე საზოგადოების პოზიციებზე იდგა. მისი იდეური და სასარგებლო მოღვაწეობა წარმოსადგენია მაშინ, როდესაც ღრმად შევიმეცნებთ იმ საარქივო მასალების არსს, რომლებიც მეტყველებენ იურისტის ეროვნულ საქმეებზე. მან კარგად იცოდა, თუ რა უნდა გაეკეთებინა თავისი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ.

ნაშრომის ერთ-ერთ ხარვეზად მიმაჩნია, რომ სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი კონსტანტინე მიქელაძის ცხოვრება. დიდი, შრომატევადი მცდელობისა და მონდომების მიუხედავად არ აღმოჩნდა ისეთი საარქივო მასალები, რომლებიც სრულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ პიროვნების ბიოგრაფიაზე.

1921 წელს ქართული ინტელიგენციის დიდი ნაწილი საფრანგეთში გადაიხვეწა. იქ მცხოვრებ ემიგრანტთა ისტორიის ძირფესვიან შესწავლას მიუძღვნა თავისი ნაშრომები აკადემიკოსმა გურამ შარაძემ. მის წიგნებში არ არის დაფიქსირებული კონსტანტინე მიქელაძის სახელი.

თავად ბატონ გურამ შარაძეს შევხვდი 2002 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტში. მან წარმომიდგინა 1921 წლის კონსტიტუციის დამფუძნებელი კრების მიერ დამტკიცებული დედანი, რომელსაც ხელს აწერს 62 პიროვნება, სადაც მიქელაძის გვარი არ ჩანდა. ბატონმა გურამმა ყველას სახელი და გვარი სათითაოდ ამოიკითხა, სადაც მიქელაძის გვარი არ აღმოჩნდა. დგინდება, რომ კონსტანტინე მიქელაძე ემიგრაციაში არ ყოფილა საფრანგეთში. ეს თვითონ ბ-ნმა გურამ შარაძემ დამიდასტურა შეხვედრისას. მიქელაძის ბიოგრაფიის აღმოჩენის მიზნით მივმართე მიქელაძეთა გვარის ბევრ წარმომადგენელს, ასევე იმ მეცნიერებს (პროფ. ვახტანგ გურული, ილია ტაბაღუა, გიორგი ციციშვილი, გივი მარუაშვილი, იგორ კვესელავა, მალხაზ მაცაბერიძე და სხვ.), რომლებიც იკვლევენ 1918-1921 წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, მაგრამ ამაოდ.

მკითხველებს ვთხოვთ უმორჩილესად, თუ აქვთ რაიმე ინფორმაცია კონსტანტინე მიქელაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, მოგვაწოდონ, რაც მოგვცემს საშუალებას გავაგრძელოთ მუშაობა ამ ადამიანზე სრული და დეტალური წარმოდგენის შექმნისათვის. ამით ისინი ეროვნულ საქმეს მოემსახურებიან.

მე მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო დიდ მეცნიერს და საზოგადო მოღვაწეს, ჭეშმარიტ ქართველს, ბ-ნ გურამ შარაძეს იმ მამულიშვილური ყურადღებისათვის, რომელიც მან გამიწია წიგნზე მუშაობის დროს. ასევე ჩემს მეგობარს, თსუ სოხუმის ფილიალის ისტორია-იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს ლევან აქუბარდიას დაუღალავი სამსახურისათვის.

მიუხედავად აღნიშნული ხარვეზისა, ვფიქრობთ, რომ წიგნი დააინტერესებს ქართველ მკითხველს.

ნაშრომის უმთავრესი მიზანი ამ სახელოვან წინაპართა უკვდავყოფა და მათი სახელებისადმი პატივის მიგებაა. თუმცა, რასაკვირველია, ამ ერთი მონოგრაფიით აღნიშნულ საკითხს საბოლოოდ ვერ გადაეჭრით, იგი ახალ მუშაობას მოითხოვს და ამ მიმართულებით ჩვენი კვლევა-ძიება კვლავ გაგრძელდება.

ამ სფეროში მე ჩემს დანიშნულებას ვხედავ!

ბექა ქანთარია

იურიდიული მეცნიერების ერთი ღარიბის დანიშნულებისათვის

იურიდიული მეცნიერება საზოგადოებრივი მეცნიერებაა. იგი თავის თავში აერთიანებს საკუთრივ მიკრო-მეცნიერებებს, რომლებიც ქმნიან „აბსტრაქტულ“ - იურიდიულ მეცნიერებას, ე.ი. იურიდიული მეცნიერება არის უზოგადესი საზოგადოებრივი მეცნიერება, თეორიული შემეცნება, რომლის სპეციფიკაცია-დეზინტეგრაცია დეტერმინირებულია იმ საკვლევი პრობლემების არსით, რომლებიც აღმოცენებული და დამკვიდრებულია სოციალურ სისტემაში.

იურიდიული მეცნიერების თეორიულ სისტემაში შედის „პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“, რომელიც „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების“ შემეცნებითი კომპონენტია, როგორც „დარგობრივი იურიდიული მეცნიერება“.

არსებობს „აბსტრაქტული“ და „დარგობრივი“ იურიდიული მეცნიერებები: ა) „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერება“ აერთიანებს ცალკეულ, კონკრეტულ იურიდიულ მეცნიერებებს და მთლიანობაში ქმნიან „აბსტრაქტულ იურიდიულ მეცნიერებას“.

„აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების“ საკვლევ პრობლემას ჰომოგენური სფერო, სამართალთან დაკავშირებული საკითხები განსაზღვრავს. აქ შეიძლება არსებობდეს მრავალი საკვლევი პრობლემა, მაგრამ ისინი ერთი საგნის შემეცნებას მოიცავენ, ერთ მიზანს ემსახურებიან. მაგალითად, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისა და სისხლის სამართლის მეცნიერების შესწავლის ობიექტები, მართალია, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებიან, მაგრამ ისინი ერთ თეორიულ შემეცნებას ექვემდებარებიან და „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების“ განვითარებას ემსახურებიან; ბ) „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერება“, რომელიც შეიმეცნებს საერთოდ სამართალთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს, განსაზღვრავს ობიექტური მეცნიერების სისტემაში სამართლის (იურიდიული) მეცნიერების რაობას, სუბსტანციას, შედგება „დარგობრივი იურიდიული მეცნიერებებისაგან“, ე.ი. ამ შემთხვევაში, აბსტრაქტული ყოველთვის დაიყვანება დარგობრივზე,

ხოლო დარგობრივი კი მიმართულია აბსტრაქციისაკენ. იურიდიული მეცნიერება არ არსებობს „დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების“ გარეშე. მათ რიცხვს მიეკუთვნება კონსტიტუციური სამართლის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის და ა.შ. მეცნიერებები. მათი მონოლითური სისტემა აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების ატრიბუტია. იურიდიული მეცნიერების პოლარიზაცია განაპირობებს დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების „ჰარმონიულ თანაარსებობას“, სპობს დისონანსს კონკრეტულ თეორიულ შემეცნებებს შორის და მათ დეკოლონიზაციის საფუძველს უქმნის, თეორიულ იურისპრუდენციაში უკუაგდებს „პრობლემათა ასიმილაციასა“ და დევიაციას.

„სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია“ დამოუკიდებელი ქართველოლოგიურ-იურიდიული მეცნიერებაა იურიდიული შეხედულებების, თეორიების, იდეების, დოქტრინებისა და კონცეფციების შესახებ.

ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა წარმოადგენს იურიდიული მეცნიერების ამ დარგის შემეცნების ობიექტს. გამოვარკვიეთ მისი საკვლევი პრობლემების სფერო. ახლა კი უაღრესად გვაინტერესებს, რა წყაროებს ეფუძნება სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია.

თეორიულ იურისპრუდენციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლის წყაროს,იმ ფუძემდებლურ პრინციპებს,რომელზეც აიგება ესა თუ ის დარგობრივი იურიდიული მეცნიერება. თუ, მაგალითად, სამოქალაქო სამართლის წყაროს წარმოადგენს სამართლის ნორმა, ჩვეულება და ა.შ., მაშინ წამოიჭრება ლოგიკური კითხვა:

რა იქნება სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის წყარო?

ამ კითხვაზე, ჩვენი აზრით, შეიძლება სუბიექტური და, ამავე დროს, დამაჯერებელი პასუხი გავცეთ.

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის წყაროს არ შეადგენს სამართლის ნორმა, ჩვეულება-ტრადიცია. სამართლებრივ მოძღვრებებთან დაკავშირებული პრობლემების კვლევისას წყაროს მნიშვნელობა გააჩნია კონკრეტულ პიროვნებათა შეხედულებებს, თეორიებს, მოსაზრებებს, იდეებს, კონცეფციებსა და დოქტრინებს იურიდიული მეცნიერების ამა თუ იმ საკითხებზე, ე.ი. „სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის“, როგორც იურიდიული მეცნიერების ობიექტი იმავე დროს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროა. თეორიები, შეხედულებები, მოსაზრებები, დოქტრინები, როგორც

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის კვლევის ობიექტები, წარმოადგენენ ამ დარგობრივი მეცნიერების უპირველეს წყაროს. ამ შემთხვევაში ობიექტი იგივე წყაროა და, პირიქით, წყარო ობიექტია.

სამართლებრივმა შეხედულებებმა, თეორიებმა, იდეებმა, კონცეფციებმა წყაროს მნიშვნელობა რომ შეიძინონ, ჩვენი აზრით, საჭიროა შემდეგი აუცილებელი ობიექტური პირობების არსებობა:

ა) უნდა არსებობდეს კონკრეტული პიროვნება, საიდანაც გამომდინარეობს საკვლევი პრობლემა (შეხედულება, თეორია, კონცეფცია);

ბ) ეს პიროვნება უნდა იყოს ცნობილი თავისი მოღვაწეობით, საყურადღებო სამართლებრივი განათლებულობის თვალსაზრისით;

გ) საკვლევი პრობლემა უნდა იყოს მეტად ორიგინალური, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობით გამორჩეული;

დ) წყაროს მნიშვნელობისათვის საკვლევი ობიექტი (შეხედულება, თეორია, მოსაზრება) დაფიქსირებული უნდა იყოს დოკუმენტურ (წერილობით) მასალებში.

როგორც ჩანს, კონკრეტული პიროვნების შეხედულებების გარეშე საკვლევი (შესასწავლი) ობიექტის წყარო არ არსებობს, ე.ი. შეხედულებების შემეცნების უპირველესი წყარო თავად შეხედულებებია.

ქართულ იურიდიულ სისტემაში უზენაესი აქტი კონსტიტუცია მიჩნეულია სამართლის ყველა დარგის წყაროდ, რაც აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.

არის თუ არა კონსტიტუცია სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის, როგორც სამართლის მეცნიერების წყარო?

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის წყაროებზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და ვთქვით, რომ იურიდიული მეცნიერების ამ დარგისათვის წყაროს მნიშვნელობა გააჩნია საკვლევ ობიექტს: შეხედულებებს, თეორიებს, მოსაზრებებს და ა.შ. მანამდე არ გვითქვამს კონსტიტუციაზე, როგორც სამართლის ძირითად წყაროზე. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისათვის კონსტიტუცია არ გახლავთ წყარო, ვინაიდან, მისი შემეცნების ობიექტის ბუნება და შინაარსი მეტად თავისებურია. იურიდიული მეცნიერების ამ დარგის (სფეროს) მკვლევარი არ განიცდის კონსტიტუციისაგან „სამართლებრივ შეზღუდვას“, იგი თავისუფალია და „იურიდიულ სიფრთხილეს“ ნაკლებ ყურადღებას აქცევს. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არ არის სამართლებრივ ნორმათა სისტემა და,

ამჟენად, მისიის კონსტიტუცია წყაროს როლს არ ასრულებს. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია შეისწავლის მხოლოდ იურიდიულ შეხედულებებს, დოქტრინებს, მოსაზრებებს, თეორიებს უძველესი დროიდან დღემდე. იგი უბრალოდ ისტორიაა ამ უკანასკნელთა შესახებ. წყარო თავად შეხედულებები, მოსაზრებები, იდეები, კონცეფციებია. „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების“ ეს დარგი არაუითარ კავშირში არ არის კონსტიტუციასთან, მის ნორმებთან. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, განსხვავებით სამართლის სხვა დარგებისაგან (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი და სხვა), კონსტიტუციისაგან ავტონომიურად არსებობს. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია კონსტიტუციის ნორმებს არ ეფუძნება. გამომდინარე აქედან, მათ შორის შესაბამისობაზე საუბარიც ზედმეტად მიგვაჩნია.

საერთოდ სახელმწიფო ქმნის სამართლის ყველა დარგს. იურიდიული მეცნიერება, როგორც მოგეხსენებათ, დავყაოთ ორ დიდ სისტემად. ამ სისტემიდან მეორე ჯგუფი არ შეისწავლის ნორმებს: მათში უფრო თეორიული მარცვალი დევს. ისინი იქმნება ცალკეული მეცნიერ-იურისტების მიერ. აქედან სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც სამართლის მეცნიერების დამოუკიდებელი დარგი, არ ქმნის სამართლებრივ ნორმებს და, შესაბამისად, არ არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულ სისტემას.

სამართლის სისტემის დარგის ნორმებს ქმნის სახელმწიფო, მაგრამ იურიდიული მეცნიერების დარგების შექმნა არ უკავშირდება სახელმწიფოს საქმიანობას. მას აყალიბებს კონკრეტული მეცნიერ-იურისტები. მაგალითად, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია ან სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, როგორც მოგახსენეთ, არ გულისხმობს იურიდიულ ნორმებს და არ გახლავთ სახელმწიფოს მოღვაწეობის ნაყოფი. მათ დამტკიცება არ სჭირდება, იურიდიულ რეგლამენტაციას არ ექვემდებარებიან. სამართლის დარგის ნორმებს კი აყალიბებს და ამტკიცებს მხოლოდ სახელმწიფო. ამ უკანასკნელს ხელი არ მიუწვდება სამართლის მეცნიერების დარგების (სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ა.შ.) შექმნაზე. სამართლებრივ მოძღვრება-

თა ისტორია, როგორც იურიდიული დარგობრივი მეცნიერება, შეიმეცნებს იურიდიულ დოქტრინებს, შეხედულებებს, მოსაზრებებს, კონცეფციებს, თეორიებს, რომლებსაც იკვლევენ მეცნიერ-იურისტები. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია მეცნიერ-იურისტთა მოღვაწეობის შედეგია, ე.ი. იურიდიული მეცნიერების ამ დარგს ქმნის პიროვნებები და არა სახელმწიფო. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც მეცნიერება, ვერ ჩამოყალიბდება, თუ მეცნიერ-იურისტებმა არ გამოიკვლიეს კონკრეტულ პიროვნებათა შეხედულებები სამართლის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

ა) სახელმწიფო, როგორც სამართლის დარგების შემქმნელი. ჩვენ ვიცით, რომ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, კონსტიტუციური სამართლის და ა.შ. დარგები შეიცავენ ნორმებს, რომლებიც იურიდიულ ძალას იძენენ სახელმწიფოს (საკანონმდებლო ორგანოს) მიერ რატიფიკაციის შემდეგ (მხედველობაში გვაქვს მხოლოდ სამართლის დარგები და არა მოლიანად „სამართალი". ცნება „სამართალი" სულ სხვა ფენომენია და ამის შესახებ მოგვიანებით ვისაუბრებთ ბ.ქ.). ამ გაგებით სახელმწიფო ქმნის სამართლის დარგს;

ბ) პიროვნება, როგორც სამართლის მეცნიერების დარგების შემქმნელი. ვთქვით, რომ სამართლის მეცნიერების დარგს (სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) აყალიბებენ მეცნიერ-იურისტები. საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის, როგორც ქართველოლოგიურ-იურიდიული დისციპლინის ფუძემდებელი გახლავთ იურიდიული აზროვნების ამ სფეროს ავტორიტეტი ივანე სურგულაძე. იურიდიული მეცნიერების ეს დარგი დღემდე ვითარდება.

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის, როგორც დარგობრივი (კონკრეტული) იურიდიული მეცნიერების ირგვლივ დავადგინეთ შემდეგი გარემოებანი:

ა) სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას გააჩნია დამოუკიდებელი, მისთვის იმანენტური კვლევის ობიექტი, რომლითაც იგი განსხვავდება სხვა დარგობრივი იურიდიული მეცნიერებებისაგან;

ბ) სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია კვლევის პროცესში იყენებს მეთოდის სხვადასხვა ფორმებს (ისტორიული, შედარებით-ანალიზი, სისტემური, პორტრეტული და ა.შ.);

გ) სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას გააჩნია საკუთარი, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი წყარო, რომელზეც აიგება ეს დარგობრივი მეცნიერება.

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ:

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არის დამოუკიდებელი დარგობრივი იურიდიული მეცნიერება სამართლებრივი შეხედულებების, თეორიების, იდეების, მოსაზრებების, დოქტრინებისა და კონცეფციების შესახებ.

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესახებ მსჯელობა ჩვენ არ ამოგვიწურავს. გარკვეული პრობლემა დაგვრჩა გადასაჭრელი, რომელიც სამართლის მეცნიერების ამ დარგის დანიშნულების ახსნაში მდგომარეობს. დავსვამთ კითხვას:

რისთვის გვჭირდება ჩვენ სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია? რა ადგილი უჭირავს მას იურიდიული მეცნიერების სისტემაში? რა ფუნქციას (დანიშნულებას) ასრულებს იგი საზოგადოებაში? გვეხმარება თუ არა რაიმე კომპლექსური პრობლემების გადაჭრაში? გააჩნია თუ არა მას თეორიულთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობა?

ჩვენი აზრით, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას გააჩნია შემდეგი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია:

ა) სამართლის მეცნიერების ეს დარგი გვაძლევს გარკვეულ წარმოდგენას კონკრეტული პიროვნების ან ამა თუ იმ საზოგადოებრივი მიმართულების წარმომადგენელთა შეხედულებების შესახებ სამართლის საკითხებზე;

ბ) სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არის განსაზღვრული ცოდნის წყარო;

გ) გვიჩვენებს კონკრეტული ეპოქის ან დროის სამართლებრივი აზროვნების დონეს;

დ) თეორიულთან ერთად გააჩნია პრაქტიკული მნიშვნელობა. ეს კი გამოიხატება შემდეგში: ორიგინალური იურიდიული შეხედულებები, მოსაზრებები, დოქტრინები, კონცეფციები, იდეები, რომელ დროსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ისინი, პრაქტიკაში პრიორიტეტულ მნიშვნელობას იძენენ. ზოგიერთი მათგანი შესაძლებელია დოგმად იქცეს, გამოხატულება ჰპოვოს სამართლებრივ აქტებში. ამის მაგალითები უამრავია. აღნიშნული თვალსაზრისით, სამართლებრივ

მოძღვრებათა ისტორიას საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის გამოყენებითი (პრაქტიკული) მნიშვნელობა გააჩნია. იგი თეორიულთან ერთად პრაქტიკული მეცნიერებაცაა და დიდ როლს ასრულებს გარკვეული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრაში. „გამოყენებითი ფუნქციის“ გარეშე სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის, როგორც იურიდიული მეცნიერების არსებობა აზრს დაკარგავდა, ქიმერა იქნებოდა. „ინერტული მეცნიერება“ კი საზოგადოებას არ სჭირდება.

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ იურიდიული მეცნიერება (თეორიული იურისპრუდენცია) იყოფა ორ დიდ სისტემად: იურიდიული მეცნიერება, რომელიც შეიმეცნებს ნორმებს და იურიდიული მეცნიერება, რომელიც არ შეისწავლის ნორმებს. პირველს ეწოდება „სამართლის დარგების შესაბამისი მეცნიერებები“ (კონსტიტუციური სამართლის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებები), ხოლო მეორეს „იურიდიულ-ისტორიული ხასიათის მეცნიერებები“ (სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და სხვა).

ერთმანეთისაგან განასხვავებენ სამართლის დარგებსა და იურიდიულ-ისტორიული ხასიათის დარგებს.

ა) სამართლის ისტორიულ-იურიდიული ხასიათის დარგები არ ქმნიან იურიდიულ ნორმათა სტრუქტურას; სამართლის დარგები კი სამართლებრივ ნორმათა სისტემაა. ისინი შეიცავენ საყალდებულო ხასიათს. იურიდიულ-ისტორიული დარგები ნორმატიულ პრინციპს მოკლებულნი არიან;

ბ) სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები“ არ არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, მაშინ, როდესაც სამართლის დარგები საზოგადოებრივი (საჯარო და ინდივიდუალური) ურთიერთობების იურიდიული რეგლამენტაციაა;

გ) სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები“ იქმნება მეცნიერ-იურისტების მიერ. რაც შეეხება სამართლის დარგებს, მათი შექმნის საფუძველი მხოლოდ სახელმწიფოა (საკანონმდებლო ორგანო);

დ) სამართლის მეცნიერების „იურიდიულ-ისტორიული დარგების“ წყაროს არ წარმოადგენს კონსტიტუცია - ქვეყნის უზენაესი კანონი. სამართლის დარგების ნორმები ყოველთვის კონსტიტუციის უზოგადეს პრინციპებს ეფუძნება. ისინი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდეს. ეს მოთხოვნა არ წაეყენება „იურიდიულ-ისტორიულ დარგებს“;

ე) სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგების“ მეცნიერებების შესწავლის ობიექტი განსხვავებულია. თუ სამართლის დარგების მეცნიერებები შეისწავლიან სამართლებრივ ნორმებს, „იურიდიულ-ისტორიული დარგების“ მეცნიერებები კი გვაძლევენ სამართლებრივი საკითხების ქრონოლოგიურ ანალიზს, ცნებებსა და კატეგორიებს.

წინამდებარე ნაშრომი „კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი“ აკადემიკურ წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლის ამ პიროვნების შეხედულებებს, მოსაზრებებს, კონცეფციებს სახელმწიფოსა და სამართლის ამა თუ იმ საკითხებზე.

ყოველი წიგნის გამოქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენაა. ყოველი ნაშრომი ფასდება იმით, თუ როგორ აკმაყოფილებს იგი საზოგადოების ინტელექტუალურ მოთხოვნილებებს. წიგნს გამოარჩევს არა მისი რაოდენობრივი მხარე, არამედ თვისობრივი ხასიათი. ავტორის უპირველესი დანიშნულებაა მაქსიმალურად შეინარჩუნოს ორიგინალობა, შექმნას სასარგებლო ნაწარმოები. ავტორის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომი ჩემთვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მისგან მე ვღებულობ ახალ ცოდნას, იმგვარ ცოდნას, რომლის შესახებ მე მანამდე არაფერი წამიკითხავს და არ გამიგონია, ავტორი ფასეულია იმით, თუ რას აწვდის იგი მკითხველ საზოგადოებრიობას.

ამ მდგომარეობაში წინამდებარე ნაშრომის ავტორიც აღმოჩნდა. ახლა მე ვეკითხები ჩემს თავს: რას ეუბნები შენ მკითხველს ისეთს, რომლის შესახებ მას ჯერ არაფერი არ სმენია?

შეკითხვაზე გულწრფელად ვპასუხობ:

ა) ქართული იურიდიული საზოგადოებისათვის ნათელი გახდა იურისტ კონსტანტინე მიქელაძის სახელი. ამით, მჯერა, რომ ძველი თაობის ქართველ იურისტთა სახელებს ამიერიდან ამ პიროვნების გვარიც დაამშვენებს;

ბ) წიგნში მოცემულია კონსტანტინე მიქელაძის ორიგინალური შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე;

გ) ქართულ იურისპრუდენციაში პირველადაა გაშუქებული საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მიღების ძირითადი ასპექტები;

დ) ქართულ იურისპრუდენციაში პირველადაა გამოკვლეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიების ისტორია; მათი შექმნისა და მოღვაწეობის პერიპეტიები;

ე) ქართულ იურისპრუდენციაში პირველადაა გაკეთებული საქართველოს 1921 წლისა და 1995 წლის კონსტიტუციების ზოგადი შედარებითი - ანალიზი;

ვ) ქართულ იურისპრუდენციაში პირველადაა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გაშუქებული სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტის (1918-1921)[1] შექმნისა და ჩამოყალიბების პარამეტრები;

ზ) წიგნის სიახლედ მიმაჩნია ის სუბიექტური შეხედულებები, მოსაზრებები თუ კონცეფციები, რომლებიც მოცემულია მონოგრაფიაში.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ წიგნი პრაქტიკულ მნიშვნელობას შეიძენს 1918-1921 წლების პოლიტიკურ-სამართლებრივი საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის!

---

1. საქართველოს ისტორიაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მცირე მონაკვეთი აღინიშნება შემდეგით: „1918-1921 წლები“, რაც, ჩვენი აზრით, არ უნდა იყოს სწორი. 1917 წლის 19 ნოემბერი მნიშვნელოვანი თარიღია. ამ დღეს საქართველოში პირველად შეიკრიბა ეროვნული პარლამენტის (ეროვნული საბჭოს) შემადგენლობა. ეს იყო ფასდაუდებელი, უპირველესი (საწყისი) ნაბიჯი თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. 1917 წლის 19 ნოემბერმა საქართველო აზიარა დამოუკიდებლობასა და დემოკრატიას.

ამდენად, ჩვენი აზრით, საქართველოს ისტორიაში ქარიელი ერის ყოფიერების ეს მცირე მონაკვეთი სასურველია შეიცვალოს შემდეგნაირად: „1917-1921 წლები“. ვინაიდან, აღნიშნული თარიღები (1918-1921) დამკვიდრებულია იურიდიულ და ისტორიულ ლიტერატურაში, ჩვენც იძულებული ვართ წერით სიტყვახმარებაში გამოვიყენოთ ისინი.

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც კრიტიკული (შეფასებითი) მეცნიერება

ქართული სამართლებრივი (იურიდიული) კულტურა მრავალსაუკუნოვან ისტორიას ითვლის, ე.ი. საქართველოში იურიდიული აზროვნება, როგორც მარადიული ღირებულება, უხსოვარი დროიდან მომდინარეობს და ვითარდება, ხოლო ეროვნული იურიდიული სამეცნიერო სკოლა XX საუკუნის პირმშოა. საქართველოში მანამდე სამართლის მეცნიერება, როგორც ასეთი, არ არსებობდა. ქართული იურიდიული მეცნიერების აკვანი დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაირწა. იურიდიული მეცნიერების არარსებობა როდი ნიშნავდა სამართლებრივი ცნობიერების არ არსებობას. იურიდიული აზროვნება ყალიბდებოდა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ეროვნული სამართლებრივი მენტალიტეტის მრავალსაუკუნოვანობის მოტივაციას ემსახურება სხვადასხვა ფაქტორები. ჩვენი აზრით, ეს ფაქტორები შემდეგია:

ა) უძველესი სამართლებრივი დოკუმენტები. უძველეს სამართლებრივ დოკუმენტებს, რომლებიც მიღებულ იქნა საქართველოში სხვადასხვა დროს, ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება და გვეხმარება იურიდიული ცნობიერების განვითარების დონის შეცნობაში. ამ მხრივ საუკეთესოა ბაგრატ I კურაპალატის სამართალი (IX-XII საუკუნეები), ბექას სამართალი (1295-1304 წლები), ალბულას სამართალი (1444-1451 წლები), გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადება“ (1335 წელი), „ხელმწიფის კარის გარიგება“ (XIV საუკუნე), „დასტურლამალი“ (XVIII საუკუნის დასაწყისი) და სხვა. XVIII საუკუნის დამდეგს დიდი გარდატეხა განხორციელდა ქართულ იურიდიულ აზროვნებაში. შეიქმნა საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი.

სამართლის ამ დოკუმენტზე ვრცელი გამოკვლევა აქვს გამოქვეყნებული (პარიზი) საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველ თავმჯდომარეს რაჟდენ არსენიძეს.

ჩვენამდე მოღწეული იურიდიული დოკუმენტები უხვად შეიცავენ მეტად სერიოზულ ცნობებს სამართლის ამა თუ იმ საკითხზე. ამით კი ხაზი ესმევა ეროვნული (ქართული) იურიდიული ცნობიერების განსაკუთრებულობას.

ბ) საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. მეორე ფაქტორი, რომელიც საქართველოში იურიდიული აზროვნების განვითარებაზე ნათლად მეტყველებს, გახლავთ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, რომელიც შეისწავლის ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობას, მათი განვითარების კანონზომიერებას, სამართლის ცალკეულ ინსტიტუტებს, ასევე იურისპრუდენციის თემატიკასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია არის დარგობრივი იურიდიული მეცნიერება.

გ) საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია შეიმეცნებს იმ შეხედულება-მოსაზრებებს, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ პრობლემატიკასთან. იგი, როგორც იურიდიული დარგობრივი მეცნიერება, შეისწავლის ცალკეული პიროვნებების (დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ვახტანგ VI, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ა.შ.) შეხედულებებს სამართლის საკითხებზე.

საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია გახლავთ ის მძლავრი ფაქტორი, რომელიც გვამცნობს საქართველოში სამართლებრივი მენტალიტეტის მნიშვნელოვან სიმაღლეს.

დ) ქართული მხატვრული ლიტერატურა. ქართული ლიტერატურა სულიერი კულტურის წამყვანი ნაწილია, რომელსაც გააჩნია ათასხუთასწლოვანი ისტორია. ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ნაწარმოებია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“. მან საფუძველი დაუდო ეროვნულ მწერლობას. ქართული ლიტერატურის ძეგლები, ნიმუშები მრავალფეროვანი საკითხებითაა გამორჩეული. ისინი უხვად შეიცავენ მხატვრულ, ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და ა.შ. თემატიკას. ეროვნულ ლიტერატურაში არ არსებობს ნაწარმოები, რომელშიც არ იყოს გაშუქებული სამართლისმცოდნეობასთან დაკავშირებული პრობლემები. ამ მხრივ თუნდაც მნიშვნელოვანია „შუშანიკის წამება“. აღნიშნული თვალსაზრისით, ეროვნულ იურისპრუდენციაში ამ საკითხებს ნაკლებად იკვლევენ. ახლახან გამოიცა პროფესორ გიორგი ნადარეიშვილის ნაშრომი, რომელიც შეისწავლის „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულ იურიდიულ პრობლემებს.

ქართული ლიტერატურა ამ მხრივ ფასდაუდებელია.

* * *

სამართლის დარგები (სისხლის სამართალი, სამოქალაქო სამართალი) „იურიდიულ-ისტორიული დარგებისაგან“ (სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია) განსხვავებით არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. „რეგულირების“, „რეგლამენტაციის“ შესატყვისია ქართული სიტყვა „მოწესრიგება“, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ სამართლის (გარდა სისხლის სამართლის მატერიალური ნაწილისა.) დარგებისათვის, ისინი ამა თუ იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის რეგლამენტაციის იურიდიული ფორმაა. სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები“ არ ცნობს „მოწესრიგებას“, „რეგულირებას“. მათთვის პრაქტიკულად დამახასიათებელია „შემეცნება“, „გამოკვლევა“, რომელთა შესატყვისია ასევე ქართული ტერმინი „შესწავლა“. როგორც დავადგინეთ „მოწესრიგება“ და „შესწავლა“ განსხვავებული ცნებებია და ერთმანეთს არ გულისხმობს.

სამართლის დარგები „აწესრიგებენ“ ამა თუ იმ საჯარო ან კერძო ურთიერთობას, ხოლო ამ დარგების მეცნიერებები „შეისწავლიან“ იმ იურიდიულ ნორმებს (ასევე სხვა თეორიულ საკითხებს), რომლებიც ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე.

განსხვავებულ მდგომარეობაში არის სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები“. ისინი არ „აწესრიგებენ“ რაიმე ურთიერთობას, მხოლოდ „შეისწავლიან“ ამა თუ იმ სამართლებრივ საკითხს (სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია და ა.შ.).

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არ ცნობს ტერმინ „მოწესრიგებას“, ვინაიდან იგი თეორიულ დონეზე „შეისწავლის“ იურიდიულ შეხედულებებს, მოსაზრებებს, კონცეფციებს და ა.შ. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია გახლავთ დარგობრივი იურიდიული მეცნიერება. რას გულისხმობს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც იურიდიულ-ისტორიული მეცნიერება?

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც დარგობრივი იურიდიული მეცნიერება, შეისწავლის (შეიმეცნებს) სამართლებრივ

დოქტრინებს, მოსაზრებებს, კონცეფციებს, შეხედულებებს უძველესი დროიდან დღემდე. იკვლევს ამ დარგის ბუნებასა და შინაარსს, ობიექტს, წყაროებს. კვლევის პროცესში იყენებს მეთოდოლოგიის სხვადასხვა ფორმებს.

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც დარგობრივი იურიდიული მეცნიერება, თეორიული (შემეცნებითი) კატეგორიაა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დავასკვნით: სამართლის დარგები აწესრიგებენ ამა თუ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ხოლო მათი შესაბამისი მეცნიერებები შეისწავლიან ნორმებს, რომლითაც ისინი ზემოქმედებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და, აგრეთვე, მათთან დაკავშირებულ თეორიულ საკითხებს. სამართლის მეცნიერების „იურიდიულ-ისტორიული დარგები" კი შეისწავლიან სამართლის ამა თუ იმ საკითხს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით (სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია), ისინი შეიმეცნებენ (იკვლევენ) სამართლის მეცნიერების ამ დარგების ბუნებასა და შინაარსს, ობიექტს, წყაროებს. „სამართლის დარგებში" არ შედის „შესწავლის" ფუნქცია. ეს უკანასკნელი დარგობრივი იურიდიული მეცნიერების პრეროგატივაა.

მაგალითად, კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დარგი, არეგულირებს გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, ხოლო კონსტიტუციური სამართალი, როგორც იურიდიული მეცნიერება, იკვლევს (შეიმეცნებს) კონსტიტუციურ-სამართლებრივ ნორმებს, კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის ბუნებასა და შინაარსს, ამ საგანთან დაკავშირებულ სხვა თეორიულ პრობლემებს.

თეორიულ და პრაქტიკულ იურისპრუდენციაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტებს, მათ უფლებებსა და მოვალეობებს. სუბიექტი, უფლება და მოვალეობა არსებობს მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული ნორმა. ამგვარ ნორმებს არ შეიცავს სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები", ე.ი. მათთვის უცხოა სუბიექტი, უფლებები და მოვალეობები. თუ სამართლის დარგებს (კონსტიტუციური სამართალი, სისხლის სამართალი) ჰყავს სუბიექტები და ამ სუბიექტებს გააჩნია უფლებები და ვალდებულებები, „იურიდიულ-ისტორიული დარგები" ამ კომპონენტებს მოკლებულია. მათთვის სუბიექტი, უფლება და მოვ-

ალეობა არ არსებობს. განსხვავებით სამართლის დარგებისაგან, მათთვის არც სამართალდარღვევა და იურიდიული პასუხისმგებლობაა სპეციფიკური.

„სუბიექტის“ არსებობის თვალსაზრისით, „იურიდიულ-ისტორიული დარგებიდან“, ჩვენი აზრით, გამონაკლისია სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია. მას მისთვის დამახასიათებელი „სუბიექტი“ ჰყავს. ვინ არის ეს სუბიექტი?

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც სამართლის მეცნიერების დარგი, იკვლევს კონკრეტული პიროვნების (სამართლებრივი პორტრეტი) იურიდიულ შეხედულებებს, ე.ი. გააჩნია საკუთარი ობიექტი, ხოლო, ჩვენი აზრით, სუბიექტი გახლავთ ის ადამიანი, რომლის შეხედულებებია შემეცნების ობიექტი. როგორც ჩანს, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის სუბიექტი არის კონკრეტული პიროვნება. მაგალითად, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ვალერიან მეტრეველმა გამოიკვლია დიდი ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე. აქ, ამ შემთხვევაში, სუბიექტად გვევლინება ილია ჭავჭავაძე, ხოლო ობიექტად დიდი ილიას შეხედულებანი. წინამდებარე ნაშრომის სუბიექტი გახლავთ კონსტანტინე მიქელაძე და ობიექტი მისი მოსაზრებანი იურიდიულ საკითხებზე.

ამრიგად, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას ჰყავს საკუთარი, მხოლოდ მისთვის ნიშანდობლივი სუბიექტი!

* * *

სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები“ (სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია) არ შეიცავს ნორმებს (ნორმათა ჯგუფებს) და, მეორე, არ აწესრიგებენ რაიმე საზოგადოებრივ ურთიერთობას, ე.ი. მათთვის უცხოა „ქცევის წესი“, ნორმა, ნორმათა კონსტრუქცია. აქ არ გვაქვს ჰიპოთეზა, დისპოზიცია და სანქცია.

სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგების“ შიგნით არ არსებობს ცალკეული სამართლებრივი ინსტიტუტები (ნორმათა მცირე ჯგუფები). მაგალითად, კონსტიტუციური სამართალი, როგორც სამართლის დარგი, თავის თავში აერთიანებს დამოუკიდებელ ინ-

სტიტუტებს, რომელთა იურიდიული ნორმები არეგლამენტირებს კონსტიტუციურ-სამართლებრივი ურთიერთობის კონკრეტულ მხარეებს. მაგალითად, ამგვარი ინსტიტუტია საარჩევნო სამართალი, რომელიც ეხება არჩევნებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ანალოგიური ინსტიტუტები უცნობია სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგებისათვის“. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არ შეიცავს ასეთ იურიდიულ ინსტიტუტებს, ვინაიდან იგი არ განამტკიცებს ნორმებს, მაშასადამე, თუ ნორმები არ არსებობს, მაშინ არც სამართლებრივი ინსტიტუტები არსებობს, რადგან იურიდიული ინსტიტუტები ნორმათა სისტემაა.

დავასკვნით: სამართლის დარგები შეიცავენ „იურიდიულ ინსტიტუტებს“; სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგები“ არ შეიცავს „სამართლებრივ ინსტიტუტებს“.

* * *

იურიდიული მეცნიერება აბსტრაქტული ცოდნის კონსტრუქტივიზმია. საქართველოში სამართლის თეორიული შემეცნება არ გახლავთ განვითარებული. ჯერჯერობით ეროვნულ იურიდიულ სამეცნიერო სკოლას არ მიუღწევია პროგრესის იმ სიმაღლემდე, რომ მან დამაჯერებელი პასუხი გასცეს იურისპრუდენციის წინაშე წამოჭრილ საჭირბოროტო საკითხებს. ამ პრობლემაზე არაერთხელ გვიფიქრია. დავსვამთ კითხვას: რამ განსაზღვრა ქართული თეორიული იურისპრუდენციის განუვითარებლობა? რა თქმა უნდა, ობიექტურმა პირობებმა! ეს ობიექტური ფაქტორები კი შემდეგია:

ა) ჯერ ერთი, ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლა არსებობის სულ რამდენიმე ათეულ წელს ითვლის. იგი ჩაისახა XX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც ახალ შემოქმედებით ცხოვრებას იწყებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იურიდიულ ფაკულტეტზე მოღვაწეობდა ევროპულად განსწავლული თითოოროლა მეცნიერ-იურისტი, რომლებიც, არ შეცდებით თუ ვიტყვით, არიან ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლის ფუძემდებლები;

ბ) ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლის პროგრესია 1921 წლის 25 თებერვალს შეწყდა.

მერკანტილური ბოლშევიკური იდეოლოგიის მიერ თავისუფალი აზროვნების ლიმიტირებამ ნეგატიურად იმოქმედა თეორიული ცნობიერების გრადაციაზე. ამ პროცესმა უარყოფითი გავლენა იქონია იურიდიულ მეცნიერებაზეც.

მთელი 70 წლის მანძილზე ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლა ბლოკალიზირებული იყო. მიუხედავად ცნობილი ქართველ მეცნიერ-იურისტების განსწავლულობა-აზროვნებისა, ქართულმა თეორიულმა იურისპრუდენციამ გაუკუღმართებული იდეოლოგიის გამო განვითარების სათანადო სიმაღლემდე ვერ მიაღწია.

„აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერება“ ეფუძნება დარგობრივ იურიდიულ მეცნიერებებს. „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების“ განვითარება დამოკიდებელია დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების განვითარებაზე. დარგობრივი იურიდიული მეცნიერებების მიღწევები იმავე დროს „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების“ მიღწევაცაა.

საქართველოში დარგობრივი იურიდიული მეცნიერებები ერთმნიშვნელოვნად არ არის განვითარებული, მხედველობაში თუ არ მივიღებთ სისხლის სამართლის იურიდიულ მეცნიერებას. ამ სფეროში, შეიძლება ითქვას, დამოუკიდებელი სკოლა შექმნეს დიდმა იურისტებმა თ. წერეთელმა, ვ. მაყაშვილმა, თ. შავგულიძემ და სხვებმა. მათ მიერ გაკვალულ გზაზე ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევიან საქართველოში თანამედროვეობის ცნობილი იურისტ-პროფესორები ო. გამყრელიძე, გ. ნაჭყებია, შ. ფაფიაშვილი, ა. ფალიაშვილი, ახალგაზრდა იურისტ-მეცნიერები მ. ტურავა, ლ. კუტალია და სხვები, რომელთა ღვაწლი თეორიული სისხლის სამართლის განვითარებაში ფასდაუდებელია.

საქართველოში, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დარგობრივი იურიდიული მეცნიერებებიდან განვითარების სიმაღლეს მიაღწია სისხლის სამართალმა. ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ქართული სისხლის სამართლის სკოლის ფუძემდებლებს და ამ სკოლის შემდეგი თაობის წარმომადგენლებს.

ჩვენი აზრით, საქართველოში იურიდიული მეცნიერების განვითარებას შემდეგი დამოუკიდებელი ფაქტორები ემსახურება:

ა) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სადისერტაციო სამეც-

ნიერო საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, პროფესორი გ. ინწკირველი; სამეცნიერო საბჭოს წარმომადგენლები თეორიულთან ერთად დიდ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწევიან. მარტო ის რად ღირს, რომ ამ სამეცნიერო დაწესებულებას ამშვენებს იურიდიული აზროვნების ავტორიტეტის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ღ. ჭანტურიას სახელი. საქართველოში მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს გააჩნია სამეცნიერო ხარისხის მინიჭების განსაკუთრებული (საპატიო) ფუნქცია;

ბ) თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლობა ტიტანურ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა თეორიული იურისპრუდენციის განვითარება-აღმავლობისათვის. იურიდიულ ფაკულტეტს ხელმძღვანელობს სახელმოხვეჭილი ციკილისტი, პროფესორი რ. შენგელია;

გ) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი ქართული იურიდიული სამეცნიერო სკოლის განვითარების ერთ-ერთი ავანგარდიზმია. ამ ინსტიტუტის დირექტორია აღიარებული მეცნიერი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გ. ხუბუა.

თანამედროვე საქართველოში თეორიული შემეცნების ნებისმიერ სფეროში დამკვიდრებულია უმაღლესი სამეცნიერო დაწესებულებები - აკადემია, რომლებიც ემსახურებიან ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებას. მიგვაჩნია, რომ ამგვარი აკადემიის დაფუძნება არც იურიდიულ მეცნიერებას აწყენდა.

ქართულმა იურიდიულმა სამეცნიერო საზოგადოებრიობამ დროა იზრუნოს იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში დაარსდეს „საქართველოს იურიდიულ მეცნიერებათა აკადემია“. ამგვარი პრიორიტეტული ღონისძიების განხორციელება, ვფიქრობთ, წინ წასწევს საქართველოში იურიდიული სამეცნიერო სკოლის განვითარებას.

ეს აკადემია უნდა იქცეს თეორიული იურისპრუდენციის ამაღლების ერთ-ერთ მძლავრ კერად!

* * *

ვერ ვიტყვით იმას, რომ საქართველოში სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია საათანადო დონეზეა განვითარებული. ამ სფეროში ნაშრომების რაოდენობა სულ თითზე ჩამოსათვლელია.

რა ადგილი უჭირავს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას „აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების, სისტემაში?

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, განსხვავებით სხვა დარგობრივი იურიდიული მეცნიერებებისაგან, გახლავთ კრიტიკული (შეფასებითი) მეცნიერება თეორიულ იურისპრუდენციაში. რას ნიშნავს ეს?

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია კრიტიკული შეფასების საფუძველზე იკვლევს კონკრეტული პიროვნების სამართლებრივ შეხედულებებს, მოსაზრებებს, იდეებს, კონცეფციებს, doქტრინებს. კრიტიკული ანალიზის გარეშე შეუძლებელია ამა თუ იმ შეხედულებების შემეცნება. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისათვის კრიტიკა „მეთოდოლოგიის როლს" ასრულებს, ე.ი. კრიტიკა არის კვლევის მნიშვნელოვანი მეთოდი. ჩვენ იურიდიულ საკითხებზე დავით ალმაშენებლის, თამარ მეფის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნოე ჟორდანიას შეხედულებებს ვერ შევისწავლით, თუ არ გამოვიყენეთ საკითხისადმი კრიტიკული (შეფასებითი) მიდგომა. „კრიტიკული მეთოდის" საფუძველზე მიცდაცარა სრულ (ობიექტურ) ჭეშმარიტებამდე. ამით ჩვენ ვაკრიტიკებთ (ვაფასებთ) მათ შეხედულებებს, მოძღვრებებს. ამ თვალსაზრისით კრიტიკა გვაძლევს საშუალებას ღრმად ჩავიხედოთ საკითხის არსში, შევიმეცნოთ მისი ყოველი ნიუანსი, კრიტიკული ანალიზის მეთხებით გამოვიყვანოთ ჭეშმარიტება.

სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია არის „სამართლებრივი კრიტიკის ისტორია" ან „სამართლის კრიტიკის ისტორია", რომელიც იყენებს „კრიტიკის მეთოდოლოგიას". კრიტიკა ეფუძნება გარკვეულ არგუმენტებს (მოტივაციას). არგუმენტაციის გარეშე კრიტიკული შეფასება ნონსენსია.

„აბსტრაქტული იურიდიული მეცნიერების სისტემაში" სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიას („სამართლებრივი კრიტიკის ისტორიას") გააჩნია თავისებური ადგილი, რომელიც გამოიხატება, როგორც კრიტიკული (შეფასებითი) მეცნიერების, არსებობაში.

საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პერიოდიზაცია

ყოველი ისტორიული მოვლენის შესწავლა დაკავშირებულია პერიოდიზაციასთან. მაგალითად, საქართველოს ისტორიას, როგორც ეროვნული ჰუმანიტარული მეცნიერების ერთ-ერთ წამყვან ნაწილს, მეცნიერები იკვლევენ პერიოდიზაციის მიხედვით. ყველა ეპოქას, ყველა პერიოდს საქართველოს ისტორიაში თავისი მკვლევარი, თავისი შემსწავლელი ყავს. ეს ეფექტიანი, ორიგინალურია იმდენად, რამდენადაც საკითხისადმი ამგვარი მეთოდოლოგიური მიდგომა ხელს საყრელს ხდის პრობლემის გამოაშკარავებას, ამა თუ იმ ეპოქის (პერიოდის) ძირფესვიან შემეცნებას, სადავო საკითხების გადაწყვეტას. არ შეიძლება პიროვნება ერთდროულად საქართველოს ისტორიის ყოველი დროისა და ეპოქის მოვლენებს იკვლევდეს. ეს უბრალოდ შეუძლებელია. ადამიანი ერთ სფეროში ერთმნიშვნელოვნად არ შეიძლება იყოს გათვითცნობიერებული. „საზოგადო კვლევა-ძიება" ნაკლებეფექტურია. „კონკრეტული კვლევა-ძიება" კი შეღეგის მომტანია. არ შეიძლება სისხლის სამართლის მკვლევარი იმავე დროს იკვლევდეს სამოქალაქო სამართლისა და კონსტიტუციური სამართლის თეორიულ პრობლემებს და ა.შ. მეცნიერებაში „კონკრეტიზაცია" მნიშვნელოვანი წარმატების საწინდარია.

საქართველოს თეორიულ იურისპრუდენციაში სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პერიოდიზაცია არ არის მოცემული. სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის შესწავლა შესაძლებელია პერიოდიზაციის (ქრონოლოგიის) მიხედვით.

ჩვენი აზრით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ „პერიოდიზაცია" და „კონკრეტიზაცია". „პერიოდიზაცია" დამახასიათებელია სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგების" მეცნიერებებისათვის, ვინაიდან ისინი პერიოდულ, ქრონოლოგიურ ჩარჩოებში (ეპოქის, დროის, წლების მიხედვით) იკვლევენ ამა თუ იმ სამართლებრივ (იურიდიულ) პრობლემებს (მაგალითად, საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, მსოფლიოს სამართლებრივ

მოძღვრებათა ისტორია, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია და სხვა).

სამართლის დარგებისთვის კი სპეციფიკურია „კონკრეტიზაცია". ეს იმას ნიშნავს, რომ სამართლის დარგების მეცნიერებები შეისწავლიან სამართლის ამა თუ იმ დარგის ბუნებასა და შინაარსს, მის კონკრეტულ მხარეებს ყოველგვარი „პერიოდიზაციის" (ქრონოლოგიის) გარეშე. სამართლის დარგების მეცნიერებებს, განსხვავებით სამართლის „იურიდიულ-ისტორიული დარგების" მეცნიერებებისაგან, არ აინტერესებთ საკითხის ქრონოლოგიური მხარე. მაგალითად, სისხლის სამართლის მეცნიერებისათვის, რომელიც იკვლევს ბრალის, სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის და სხვა საკითხებს, მთავარია მათ შესახებ გარკვეული ცოდნის დასაბუთება, ჭეშმარიტების გამოყვანა. აქ უკვე საქმე გვაქვს „კონკრეტულ-სამეცნიერო" კვლევა-ძიებასთან.

ჩვენი აზრით, უნდა განვასხვავოთ „სისტემატიზაცია" „პერიოდიზაციისაგან". სისტემატიზაცია სამართლებრივი აქტების გარკვეული ნიშნით დალაგებაა. იგი დამახასიათებელია სამართლის დარგებისათვის (სისხლის სამართლის სისტემა, სამოქალაქო სამართლის სისტემა და სხვა). სისტემურობა არ ახასიათებს სამართლის „იურიდიულ-ისტორიულ დარგებს", ვინაიდან ისინი სამართლებრივ ნორმებს არ შეიცავენ. აქ დასალაგებელი და სადაჯგუფებელი არაფერია. ჩვენი აზრით, საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პერიოდიზაცია უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) უძველესი ეპოქიდან (ეს მონაკვეთი შეიძლება თავის მხრივ დაიყოს სხვადასხვა პერიოდებად) 1918 წლამდე; ამ ხნის მანძილზე საქართველოში იურიდიული აზროვნება ყალიბდებოდა და მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. ფრიად ორიგინალურია ჩვენი დიდი წინაპრების შეხედულებანი სამართლის საკითხებზე, რომელიც გამოკვლეული აქვს პროფესორ ი. სურგულაძეს. ასევე მნიშვნელოვნადაა დამუშავებული დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, ვახტანგ მეექვსის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის და სხვათა მოძღვრებები იურიდიულ პრობლემებზე;

ბ) 1918 წლიდან 1921 წლამდე; ეპოქის ეს მცირე მონაკვეთი ფასდაუდებელია სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისათვის.

ამ ხნის განმავლობაში შესაძლებელი გახდა თავისუფალი აზროვნების გამოვლინება. იმ დროს არაერთი მეცნიერ-პოლიტიკოსი მოღვაწეობდა, რომელთა სამართლებრივ-პოლიტიკური მრწამსი ღრმად შეუსწავლელია. 1918-1921 წლები, პერიოდიზაციის თვალსაზრისით, სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიისათვის პრიორიტეტულია;

გ) 1921 წლიდან თანამედროვეობამდე; მოგეხსენებათ, რომ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც 70 წლის განმავლობაში მოგვევლინა საქართველოს საჭეთმპყრობელად. ამ ხნის მანძილზე არაერთი ცნობილი იურისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე არსებობდა. მათი სამართლებრივი (იურიდიული) შეხედულებანი დღემდე შეუსწავლელია. მართალია, მაშინ ადამიანური ცნობიერება იდეოლოგიზირებული იყო, მაგრამ ბევრი მათგანი მაინც ახერხებდა თავისუფალ აზროვნებას.

მე არ ვიცი ჩემს მიერ სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პერიოდიზაციას როგორ შეაფასებენ იურისტები, მაგრამ ერთი კი უდაოა: ეს უბრალოდ პერსონალური მოსაზრებაა და არ გამოვრიცხავ კონტრ-შეხედულების აღმოცენებას.

1918-1921 წლები – საქართველოს ისტორიის სხივნათელი პერიოდი

1918 წლის 26 მაისი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ სინამდვილეში, ეროვნულ ცხოვრებაში, გამარჯვებებითა და დამარცხებებით აღსავსე ნაციონალურ მრავალსაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში. საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ ერთხმად იქნა აღიარებული ქართველი ხალხის ურყევი ნება შოვინისტური ძალების მიერ დამხობილი მრავალათასწლოვანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა. ამ საშვილიშვილო მოვლენას საფუძვლად ედო მთელს ამიერკავკასიის სივრცეში დეტერმინირებული ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები, რომლებმაც შესაძლებლობა მისცა თავისუფლებას მოწყურებულ ხალხს ესარგებლა არსებული ხელსაყრელი ფაქტობრივი მდგომარეობით და მიეღო ისტორიულ-პოლიტიკურ-სამართლებრივი გადაწყვეტილება - გამოეცხადებინა საქართველოს დამოუკიდებლობა. აღნიშნულ ფაქტს ქართველი ერისათვის მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს. ამ მოვლენამ, როგორც დიდი ფილოსოფოსი მერაბ მამარდაშვილი ბრძანებდა, შესაძლებლობა მოგვცა "ისტორიაში შესვლისა".

სუვერენული სახელმწიფოებრიობის გამოცხადების მიღწევას თავიდანვე იდეური სულისკვეთება ასულდგმულებდა. ამ მხრივ დასაფასებელია დიდი ილია ჭავჭავაძის სულიერი სიმაღლე, ეროვნული თავისუფლების გაცნობიერების მუდმივობა და ურყევობა, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა მის შემდეგ ეროვნულ ლოზუნგში: "ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნეს". ილია ჭავჭავაძის ზნეობრივი კულტურა, ეროვნულობა და სამაგალითო პატრიოტიზმი გახდა განმსაზღვრელი ჩვენი მომავალი ცხოვრებისა. ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატორი ჯანსუღ ღვინჯილია მიუთითებდა, რომ ამ დიდი მოაზროვნის გონების შუქზე უხდებოდა ქართველებს მათ მიერ გადაღგმული ყოველი ნაბიჯის შეფასება. ამ პრინციპის გამოყენება თანამედროვეთა ცხოვრების უპირველეს წესად უნდა იქცეს.

დიდ ილიას ეროვნული თავისუფლების იდეა გააზრებული ჰქონდა ერის სრულყოფილი არსებობის საფუძვლად. როგორც პროფესორი ვალერიან მეტრეველი ბრძანებს, ილია ჭავჭავაძეს ნაციონალური

დამოუკიდებლობის იდეა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეამდე აჰყავს. მისი აზრით, ეროვნული თავისუფლება თანდაყოლილი, ბუნებითი თავისუფლებაა და მან სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში უნდა ჰპოვოს გამოხატულება. ილია ჭავჭავაძე ეროვნული სახელმწიფოებრიობის მომხრეა. იგი წინააღმდეგი იყო სხვადასხვა ერების იძულებითი გაერთიანებისა ერთ სახელმწიფო ერთეულად.[1]

ილია ჭავჭავაძე კატეგორიულად უარყოფდა ეროვნულ დისკრიმინაციას, პრივილეგიებს. თავგამოდებით იცავდა მშობლიური ერის უფლებებს. გმობდა ცარიზმის სისხლიან პოლიტიკას. ილია ჭავჭავაძემ ისტორიული მისია შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში. მართალია, იგი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ მისმა იდეურმა მრწამსმა და სულისკვეთებამ ბევრად განსაზღვრა მაშინდელი მოწინავე ინტელიგენციის წარმატებები სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში.

ილია ჭავჭავაძე ეს იყო ღმერთკაცი, მოვლენა ქართულ სინამდვილეში, რომლის ახსნა და სიტყვებით გადმოცემა ყოველად შეუძლებელია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პატრიოტული მოწოდება: "მამულიშვილნო, გაჰყევით ილია მართლის გზას!" - ყოველმა ქართველმა გონებაში უნდა გაითავისოს და თავისი ზნეობრივი ცხოვრება ამ პრინციპის ორიენტაციით უნდა წარმართოს.


ამ გზიდან გადახვევა ეროვნულობის უარყოფაა.

* * *

1918 წლის 26 მაისი ორი უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩევა: ერთი ის, რომ დაირღვა ამიერკავკასიის სეიმი და მეორე აღსდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. "სეიმის დასაფლავების პირველი წინადადება ეკუთვნის სწორედ იმ ფრაქციას, რომლის თაოსნობითაც იქნა მოწვეული იგი სოციალ-დემოკრატიას".[2]

---

1. ჯ. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, 1977 წელი, ხელ. გვ. 13.
2. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 28 მაისი.



ენა, მამული, სარწმუნოება.

26 მაისს, სეიმის დ[illegible]ის შემდეგ, გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს ყრილ[illegible]ასახლის თეთრი დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. სხდომას თავმ[illegible] რებდა ნოე ჟორდანია. იგი წარსდგა საზოგადოების წინაშე. მას[illegible] ამსწრენი მქუხარე ოვაციით ეგებებიან. ხანგრძლივი ტაშის შემდეგ თავმჯდომარე წარმოსთქვამს შემდეგ სიტყვებს: (ნაწყვეტი) "მოქალაქენო, თქვენ იყავით დღეს მოწმე რთი ისტორიული, იშვიათი, მაგრამ ტრაღიკული აქტისა. დღეს ამ არბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და ნიადაგი ეყრება მეორე ახელმწიფოს... დაე, იცოდეს ყველამ, რომ ახალი სახელმწიფო არ ქნება მიმართული არცერთი ერის საწინააღმდეგოდ...".

ნოე ჟორდანიას მოხსენების დასრულების შემდეგ დგება ყველაზე სტორიული მომენტი. თავად ჟორდანია კითხულობს დამსწრე საზოგადოების წინაშე საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, რომელიც ჰემუშავებულ იქნა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეის მიერ. ეს გახლდათ "ნაშუადღევის 5 საათი და 10 წუთი".[3]

დამოუკიდებლობის დეკლარაცია თავისი ისტორიული მნიშნელობით ერთ-ერთი ფასდაუდებელი დოკუმენტია საქართველოს ონსტიტუციონალიზმის ისტორიაში. მასში ნათქვამი იყო:

"მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა ოგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველი მხრით მტრისაგან შევიწროებული საქართველო თავისი ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო გარეშე მტრებისაგან დაეცვა იგი.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსეთის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თავისი ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს; მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობა დაიშალა.

ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი

3. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 23 იანვარი.

ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის ნოემბრის 22-ს არჩეული საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი, მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.


5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე მთელს საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებულ იქნა ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე".

ვიდრე ნოე ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას გააცნობდა ეროვნული საბჭოს ყრილობის დელეგატებს, მანამდე სასახლეს უამრავი ხალხი მოაწყდა. გამარჯვებით ეგზალტირებული მოსახლეობა ერთხმად მოითხოვდა, რომ დამოუკიდებლობის აქტი მათთვის წაეკითხა თავად ნოე ჟორდანიას. "სიონის საზეიმო ზარების გუგუნი იუწყებოდა ახალი ეპოქის დასაწყისს. სასახლის წინ შეკრებილ საზოგადოებრიობას დეკლარაციის ტექსტი გააცნო ი. ზურაბიშვილმა".[4]

4. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1991 წელი, გვ. 198.



საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია.

ამასობაში ნოე ჟორდანიაც გამოჩნდა. მას ოვაციით შეხვდნენ. სასახლის აივნიდან მოკლე სიტყვით მიმართა ხალხს და მიულოცა ეს ისტორიული გამარჯვება.

ამით საქართველოში დასამარდა ცარიზმის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული ბატონობა და მმართველობა. მისმა ფაშისტურმა და ანტიჰუმანურმა პოლიტიკამ საფრთხის წინაშე დააყენა ეროვნული თვითმყოფადობა. რუსული ბარბაროსული ჩექმა გეგმაზომიერად ამკვიდრებდა ეროვნული ნიჰილიზმის სულისკვეთებას ჩვენს ქვეყანაში, ებრძოდა ნაციონალურ იდეალებს, კულტურას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. ახალგაზრდებში იძულებით ნერგავდა ქართული სულის სიძულვილს, ბოროტების იდეოლოგიით გაჟღენთილი აღმზრდელობითი მეთოდებით ავიწყებდა მათ ყოველივე ეროვნული ღირებულის პატივისცემას, სიყვარულს, თავგამოდებით იბრძოდა საქართველოს თავისუფლების იდეის ამოსაძირკვად. რუსულ შოვინისტურ სულისკვეთებას ეროვნული ჩაგვრის, ხალხების დაპყრობა-შევიწროების სურვილი სისხლ-ხორცში ჰქონდა გამჯდარი, თუმცა რუსულ ელიტარულ და სამეცნიერო წრეებში იყვნენ ისეთი ცნობილი მოაზროვნეები და პოლიტიკოსები, რომლებიც უშიშრად აკრიტიკებდნენ და ამხელდნენ ეროვნული ჩაგვრის ანტიჰუმანურ პოლიტიკას, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს და ნაციონალურ საკითხს უდიდეს უპირატესობას ანიჭებდნენ. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ ალექსანდრე გერცენი, რომელიც ყველა ერის თანასწორობას ქადაგებდა. მისი აზრით, ნებისმიერ ერს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ამავე დროს რუსულ ელიტარულ საზოგადოებაში ბლომად იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც არა თუ აკრიტიკებდნენ, არამედ ხოტბას ასხამდნენ თვითმპყრობელობას. მაგალითად, ამ უკანასკნელის წინააღმდეგ გამოსვლას ცნობილი რუსი ისტორიკოსი მიხეილ კარამზინი "არასრულყოფილი ხალხის ველურობის გამოვლინება"-ს უწოდებდა.

ცარისტული თვითმპყრობელობის დამხობამ და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენამ საქართველო და ქართველი ერი ურთულესი ამოცანების წინაშე დააყენა. მთავარი მაინც ეროვნული პრინციპების შენარჩუნება და დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო.

მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკური მექანიზმი არ არსებობდა. რაც შეეხება ეროვნულ ღირებულებებს, მათ თვითმპყრობელობის გამო, არსებობის საფუძველი ჰქონდათ შერყეული. არადა მის გარეშე ქართველ ერს ყოფიერება არ უწერია. ეროვნული თავისთავადობის დეგრადაციამ ათქმევინა იაკობ გოგებაშვილს შემდეგი სიტყვები: "ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე. ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნება. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთ მაგალითსა, რომ ერს ეღალატოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის, და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს. ჩვენდა საბედნიეროდ ქართველობას ძლიერ ნაკლებად ესმის ეროვნული პრინციპების მნიშვნელობა და ხშირად ღალატობს მას და ამით იმზადებს შავბნელ მომავალს".[5]

ეროვნული ღირებულებების, ნაციონალური თვითმყოფადობის აღორძინება დაკავშირებულია სახელმწიფოს სიძლიერესთან.

ხელისუფალთა სწორი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური კურსის ორიენტაცია ბევრად განსაზღვრავს ეროვნული ღირსებისა და ნაციონალური იდეალების თავისთავადობასა და თვითმყოფადობას. სახელმწიფო ეროვნული ღირებულებაა. მისი ჭეშმარიტი პოლიტიკა ბაზისია ხალხის კეთილდღეობისა, კულტურის სრულყოფილებისა, სამართლიანობისა და თანასწორობისა. თანამედროვე პირობებში სახელმწიფო პოლიტიკის გარეშე არსებობა შეუძლებელია. ოსვალდ შპენგლერს პოლიტიკა ადამიანთა ყოფიერების საფუძვლად მიაჩნია. სიცოცხლეს იგი პოლიტიკის არსებობას უკავშირებს.[6]

სახელმწიფო ეს არის წესრიგი. მის გარეშე ცხოვრება ანარქიაა, უწესრიგობაა. იგი ემყარება კანონის უზენაესობას. სამართლიანად ბრძანებდა დიდი პლატონი: "მე ვხედავ იმ სახელმწიფოს მოახლოებულ სიკვდილს, სადაც კანონს არ აქვს ძალა, და იმყოფება შეუზღუდავი ხელისუფლების ქვეშ".[7]

---

5. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ბუთ ტომად. ტ. III. თბ. 1990 წელი, გვ. 469.

6. Освальд Шпенглер, закат Европы. М. 1993г с. 102

7. Платон. Полн. Соб. Творений Платона в 15 томах. Т. XIII. Петербург. 1923. с. 129.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციამ განსაზღვრა პოლიტიკური პროცესების დინამიურობა. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს ეროვნულ საბჭოს ფართო უფლებამოსილება ენიჭებოდა. თავმჯდომარის მიერ გამოცხადდა, რომ "სანამ შესდგებოდეს დამფუძნებელი კრება, მანამ ეროვნულ საბჭოს უფლება აქვს ყოველივე საქმეების გამგებლობისა".[8] მან თავის თავზე იტვირთა ძირითადი პოლიტიკური პროცესების წარმართვა. მასზე იყო დამოკიდებული საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავება, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება და ა.შ.


როგორც მოგეხსენებათ, არ არსებობდა მყარი ეროვნული საფინანსო სისტემა. მის შემუშავებამდე და ჩამოყალიბებამდე ძალაში დარჩა ძველი ფულები, რუსეთისა და ამიერკავკასიის კანონები.

ერთი სიტყვით, გამოიკვეთა მიზანი - ეს იყო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა, დამოუკიდებლობის განმტკიცება-შენარჩუნება. სახელმწიფოებრივად სასარგებლო მოქმედებით საფუძველი ეყრებოდა ახალი ეპოქის დასაწყისს, ქართული ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. სრულქმნილმა მიზანმა განსაზღვრა მოქმედება, რადგან ტელეოლოგიური თეორიის თანახმად, არ არსებობს მოქმედება მიზნის გარეშე.

ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარემ მსოფლიოს მთელი რიგი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც აცნობებდა მათ სეიმის დაშლის ფაქტს. მასში აღიარებული იყო: "ბერლინი, სტამბოლი, პარიზი, ვენა, ლონდონი, რომი, ვაშინგტონი, მოსკოვი, სოფია, ტოკიო, ბუქარესტი, თეირანი, მადრიდი, ჰააგა, კიევი, სტოკჰოლმი, ქრისტიანა, კოპენჰაგენი - საგარეო მინისტრებს: რადგანაც ამიერკავკასიის სეიმმა 26 მაისს შუადღის 3 საათზე ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დარღვეულად გამოაცხადა და შემდეგში არარსებულად, სეიმმა მოვალეობა მოიხსნა და თავის თავი დაშლილად გამოაცხადა. გაცნობებთ რა ამას თქვენ ზემო ნახსენები, მე გთხოვთ თქვენო აღმატებულებაც, აცნობოთ თქვენს მთავრობებს".[9]

1918 წლის 26 მაისი ქართველი ერის მონობისადმი შეურიგებლობისა და სხვისი ბატონობის ქვეშ არსებობისადმი სიძულვილის

8. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 28 მაისი.
9. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 26 მაისი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დროშა.

დემონსტრირებაა. ეს იყო ყველაზე დიდი მიღწევა ქართულ სინამდვილეში, უმაგალითო სწრაფვა თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ. სწორედ მაშინ გამოვლინდა ქართული მარადიული და გაუტეხელი სულის ყივილი, ეროვნული გენისა და ცნობიერების აღზევება. ქართველებში თვითდამკვიდრებისა და თვითგამორკვევის შეგნება გაღვივდა. დამოუკიდებლობის აღიარებით კიდევ ერთი ბრწყინვალე და საუკეთესო ფურცელი ჩაიწერა ქართულ მატიანეში. და აჰა, "გაიხარეთ ქართლოსიანთა მშვენიერო ძენო და ასულნო! გაიხარე მოდუდუნე მტკვარო, დინჯო ალაზანო და ცქრიალა რიონო! გაიხარეთ კავკასიონის მაღალო მთებო! დაიგრგვინეთ ცამდე აწვდილო მყინვარო და იალბუზო, დაიშხუილეთ გიჟმაჟო თერგო და არაგვო, ამცნეთ ქვეყანას, რომ ამიერიდან თავისუფალია ქართველი ერი!"

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადება ყველაზე რთულ პერიოდს დაემთხვა. ჩვენი ქვეყანა, როგორც პოლიტიკურად, ასევე სოციალ-ეკონომიკურად ჩამორჩენილი და განუვითარებელი იყო. საერთოდ არ არსებობდა ეროვნული საფინანსო პოლიტიკა. დაქვეითებული საზოგადოებრივი წყობილების ფონზე თავისუფლების აღიარება მნიშვნელოვან ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს, რადგან ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს შიგნით და გარეთ აუარებელი მტერი ეხვია და ჩვენი ხალხის ფიზიკურად განადგურებასაც კი ლამობდნენ. ყველაზე უფრო საშინელი მეტოქე იმ დროს ოსმალეთი იყო.[10] მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან მას პირველ მფარველად გერმანიის სახელმწიფო გამოუჩნდა.[11]

მიუხედავად ამისა, ახალად დაფუძნებული დემოკრატიული ქართული ეროვნული სახელმწიფო განვითარების გზას დაადგა. ჩვენი ქვეყნის ეროვნული საბჭო, რომელიც დამფუძნებელი კრების მოვალეობას ასრულებდა - უკვე ქმნიდა ახალ კანონებს - საქართველოს დროებითი მთავრობა ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმეს აწარმოებდა.[12]

ქართველი ხალხი ურთულეს მომენტში დიდი შრომითი და შემოქმედებითი ენთუზიაზმის გრძნობით დამუხტული ჩაება სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში. მართალია, საქართველო პოლიტიკურ-სამართლებრივი განვითარების თვალსაზრისით

10. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 30 ოქტომბერი.
11. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 2 ნოემბერი.
12 გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 2 იუნისი.

დაბალ საფეხურზე იდგა და, ამდენად, საქვეყნო ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად ქართველი ერი, ჯერ კიდევ, სათანადოდ მზად არ იყო, მაგრამ მათში მთელი არსებით ცოცხლობდა სტუმართმოყვარეობა, შრომითი საქმიანობისადმი ერთგულება და ზნეობრივი სიწმინდე, კულტურული ფასეულობებისა და დემოკრატიული იდეალებისადმი პატივისცემა, რაც ზრდიდა საქართველოს პატივსა და დიდებას საერთაშორისო არენაზე. მისი გეოგრაფიული ატმოსფერო ანცვიფრებდა უცხოელ სტუმარს და დადებით აღფრთოვანებას იწვევდა მასში. აი, რას წერს რომის პაპის ლეგატის ა. ლეფრეშე ნოე ჟორდანიას: "მის აღმატებულებას ბ-ნ ნ. ჟორდანიას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს. ვსტოვებ რა ისეთ სტუმართმოყვარე ქვეყანას, როგორიც არის საქართველო და ვბრუნდები რა რომში, ჩემი მისიის ანგარიშის ჩასაბარებლად. თქვენი მშვენიერი ქვეყანა ყოველი მიმართულებით თითქმის მოვიარე. აღტაცებაში მოვყავდი მის ლამაზ ადგილებს, მდიდარ და არაჩვეულებრივ მრავალფეროვან მის ბუნებას. ყველგან მცხოვრებნი საუკეთესოდ მხვდებოდნენ. ყველგან ვგრძნობდი, თუ რა ძლიერი მამულიშვილური გრძნობითაა გამსჭვალული თქვენი ხალხი. ჩემს მოვალეობად ჩავთვლი რომის პაპს გადავცე ყველა ის, რაც მე აქ ვიხილე და ვაცნობო ის ღრმა პატივისცემა და სიმპატიები, რომლებსაც ფართედ იჩენდნენ აქ უწმინდეს მამისადმი...

თქვენი აღმატებულების ერთგული მსახური სამოციქულო ვიზიტიორი ა. ლეფრეშე".[13]

საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს მესვეურნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქვეყანაში მშვიდობის დაცვას, რაც დემოკრატიული პროცესების განვითარებას განაპირობებს. მათთვის მთავარი იყო ოგიუსტ კონტის სოციალური ფილოსოფიის ორი ძირითადი დებულება: წესრიგი და პროგრესი. სახელმწიფოში სოციალური და პოლიტიკური რეფორმები, პოლიტიკურ აზროვნებასა და საზოგადოებრიცი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ნოვატორული პრინციპების შემოღება, დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ხელს უწყობდა საერთაშორისო ავტორიტეტის ამაღლებას, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას და დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას.

---

13. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 4 დეკემბერი.

მართალია, საქართველოში 1918 წელს გამოცხადდა ნანატრი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, მაგრამ პოლიტიკურ ელიტაში ღრმად ჰქონდათ გაცნობიერებული მთელი რიგი ვალდებულებების აღსრულების აუცილებლობა. დამოუკიდებელი სახელმწიფო ვალდებულია ახორციელებდეს საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ეს საკითხი 1918-1921 წლებში მწვავე პოლიტიკური მსჯელობის საგანი გახლდათ. "სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ცნობა ბადებს ორმაგ ვალდებულებას. სახელმწიფო, რომელიც ცდილობს, რომ სხვა სახელმწიფოებმა ცნონ მისი დამოუკიდებლობა, ვალდებულია დაიცვას საერთაშორისო უფლებრივი ნორმები. აგრეთვე ის სახელმწიფოები, რომლებიც მის დამოუკიდებლობას ცრობენ, ვალდებულნი არიან პატივი სცენ და ანგარიში გაუწიონ მის საერთაშორისო უფლებრივ მდგომარეობას".[14]

ნოე ჟორდანია სახელმწიფო პოლიტიკის ერთიანობაზე მიგვანიშნებდა. იგი ამბობდა, რომ "არ შეიძლება შიგნით აწარმოოთ სახალხო პოლიტიკა, ხოლო გარეთ ხალხთა წინააღმდეგი. საგარეო მუშაობა საშინაოს გაგრძელებაა".[15]

თანამედროვე დემოკრატიული ქართული სახელმწიფო საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესშია. ეს ეტაპი სისტემატურად ღრმავდება, რაც განაპირობებს მშვიდობიან ურთიერთობას უცხო სახელმწიფოებთან. გლობალიზაციის მომენტი პოლიტიკურ ინტეგრაციას გულისხმობს. მან არ უნდა ავნოს ეროვნებათა კულტურულ მიღწევებს, თვითმყოფადობას.

ჯერ კიდევ პირველი დემოკრატიული საქართველო იუწყებოდა, რომ "ჩვენ გვინდა ყველასთან კეთილგანწყობილებაში ვიყოთ, მაგრამ თუ მტერი მაინც შეეცდება გათელვას, უნდა იცოდეს მან, რომ ძვირად დაუჯდება მას ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა".[16]

ამგვარად, საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ორიენტირებული იყო სხვა ქვეყნებთან მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობისაკენ.

---

14. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 8 თებერვალი.
15. ნოე ჟორდანია, რჩეული ნაწერები, თბ. 1990 წელი, გვ. 43.
16. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 28 მაისი.



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გერბი.

* * *

XX საუკუნის ოციანი წლების საქართველოს რეალობა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის გარდაქმნის, სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სულისკვეთების და ადამიანის ბუნებითი უფლებების აღორძინებისათვის ბრძოლასთან არის დაკავშირებული. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ინტელიგენციის სწრაფვამ მაღალი იდეალებისა და პროგრესულ-დემოკრატიული პრინციპებისადმი დიდად განსაზღვრა ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი. პოლიტიკურ სისტემაში დამკვიდრებულმა მყარმა მოქალაქეობრივმა პოზიციამ, თითოეული პოლიტიკოსის ეროვნულ-პატრიოტულმა სულმა და ვალდებულების გაცნობიერების უნარმა საფუძველი ჩაუყარა ერის წინსვლას, მან ხელი შეუწყო ახალი დემოკრატიული სოციალ-კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების დასავლურ და ცივილიზებულ ფასეულობებთან ორიენტაციას, ახალი გზების ძიებას სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისაკენ. მაშინდელი პოლიტიკური საზოგადოებრიობა ეროვნული ნიშნით გამოირჩეოდა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ისინი სათავეში ედგნენ წმინდა ნაციონალურ სახელმწიფოს, რომლის ჩამოყალიბებას კვებავდა ხალხის ფართო მასების მხარდაჭერა და თანადგომა. ხალხის პოლიტიკური საქმიანობა და პოლიტიკურ უფლება-თავისუფლებათა განმტკიცება არის დემოკრატიის პრინციპების ჭეშმარიტი დემონსტრირება, ცივილიზებული ღირებულებების ახალ სიმაღლემდე აყვანა. ქართულად მოაზროვნე მოღვაწეთა ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ სტრატეგიული ინტერესების დაცვის მკვეთრად გამოხატულმა ტენდენციამ ეროვნულ ცნობიერებას და სამართლებრივ მართლშეგნებას ხორცი შეასხა. პატრიოტული პათოსით გამსჭვალული ადამიანები საზოგადოებრივი და სახალხო ინტერესების გათვალისწინებით ქმნიდნენ ქართულ სახელმწიფოს, აყალიბებდნენ სახელმწიფოებრივ ცნობიერებას, პოლიტიკურ აზროვნებას, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს მათ პრაქტიკულ თუ თეორიულ საქმიანობაში. მათ შორის ერთ-ერთი ბრწყინვალე ადგილი უჭირავს კონსტანტინე მიქელაძეს.

მაშინდელ ინტელიგენციაში საკმაოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, საქართველოს გზათა სამინისტროს იურისკონსულტი, საქართველოს ჯერ ეროვნული საბჭოს, ხოლო შემდგომ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის წევრი, სწავლული, იურისტი კონსტანტინე მიქელაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მოღვაწეობდნენ 1918-1921 წლების დემოკრატიულ საქართველოში. მან თავისი ერუდიციითა და ხალხის უფლებებისადმი პატივისცემით საზოგადოებრივი ავტორიტეტი განიმტკიცა. მისი ღირსება, ცოდნა-განათლება, იურისპრუდენციის ცალკეული საკითხების ღრმად შეთვისება და პოლიტიკურ-სამართლებრივი აზროვნება კარგად ჩანს მის ნაშრომში "დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა", სადაც ზოგად მოსაზრებებს აყალიბებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის თაობაზე და აგრეთვე საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმებიდან, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში. კონსტანტინე მიქელაძის განსწავლულობასა და ერუდიციაზე მოწმობს ის ფაქტი, რომ იგი პ. საყვარელიძის რეკომენდაციით საგანგებოდ იქნა მოწვეული კომისიის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად, ისიც ორჯერ.

კონსტანტინე მიქელაძემ პირუთვნელად ამხილა მაშინდელი კოლონიზატორები, მოქიშპეები. დაგმო ცარიზმის უკიდურესად შოვინისტური პოლიტიკა და სამარცხვინო ბოძზე გააკრა ის ძალები, ცალკეული ადამიანები, რომლებიც შავბნელი საქმიანობით ძირს უთხრიდნენ ქართულ სახელმწიფოებრიობას, ეროვნულ მართლშეგნებას. მკაცრად და ობიექტურად გამოაშკარავა არამარტო მოწინააღმდეგეთა და მოშურნეთა არაკანონიერი მოქმედებები, არამედ მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეები.

კონკრეტულ პიროვნებათა მრწამსის, კონცეფციის, შეხედულების გამოკვლევა მჯერა, რომ ფასდაუდებელ სამსახურს გაგვიწევს 1918-1921 წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესწავლაში. ამავე დროს გვამცნობს ჩვენი წინაპრების აზროვნების განვითარების დონეს, იურისპრუდენციის ცალკეული ინსტიტუტების შესახებ მათ წარმოდგენებს, შეხედულებებს, იმ ადამიანთა სახელებს, რომლებიც ჩვენთვის 70 წლის მანძილზე

უცნობი იყო და მათ პრაქტიკულ საქმეებს დაკავშირებულს საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობასა და ქართველი ერის კეთილდღეობის მიღწევასთან. სწორედ ესაა ამ წიგნის უპირველესი დანიშნულება და მიზანი. სამართლიანად ბრძანებდა დიდი ილია ჭავჭავაძე: "რაც ჩვენს წინაპართ გამოუკვლევიათ, უცვნიათ, შეუტყვიათ, ის უნდა ვიცოდეთ, ის უნდა შევიტყოთ, ე.ი. უნდა შევისწავლოთ ის, რაც იმათ კანონები აღმოუჩენიათ, ის, რაც იმათ მიზეზები აუხსნიათ, რომ წმინდა, ნამდვილი საგნის მსჯელობა გვქონდეს".[17]

საქართველოს სატკივარითა და საფიქრალით აღტკინებული, შეძრწუნებული კონსტანტინე მიქელაძე ეროვნულ საუნჯეს ელოლიავება, ეხმატკბილება. ეროვნული საუნჯე - ეს არის ქართველი ერის უძვირფასესი და ფასდაუდებელი ღირებულება - დემოკრატიული სახელმწიფო. ეს არის ის სიმაღლე, პირამიდის მსგავსი იერარქია, პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც ერის ღირსებას წარმოაჩენს. ზნეობრივი და სრულქმნილი სახელმწიფო ხალხის სამსახურშია.

კონსტანტინე მიქელაძის და მისი პლეადის იდეალი იყო მთლიანი საქართველოს ფსიქოლოგიის შენარჩუნება, ქართული სულის ანატომიის უძლეველობა, ზნეობრივი სიწმინდის განმტკიცება და ქართული სახელმწიფოებრივი იდეის სრულფასოვნება-საყოველთაობა.

კონსტანტინე მიქელაძე, როგორც ჭეშმარიტი ქართველი და ეროვნულად მოაზროვნე სწავლული, საკუთარ კონცეფციას აყალიბებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა სახელმწიფო, დემოკრატია, სასამართლო, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მოქალაქეთა უფლებები, ადგილობრივი თვითმმართველობა, რევოლუცია და ა.შ.

კონსტანტინე მიქელაძის მიერაა შემუშავებული საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ის თავი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მოხელეთა უფლებებსა და მოვალეობებს.

წინამდებარე ნაშრომში დასმული საკითხები თუ როგორაა გამოკვლეული, თავად მკითხველმა განსაჯოს.

---

17. ი. ჭავჭავაძე, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, ტ. IV, 1927 წელი, გვ. 329.

კონსტანტინე მიქელაძე, რიგრიც სამართლისმცოდნე

კონსტანტინე მიქელაძე ერთ-ერთი განათლებული იურისტი ...ხლდათ. იგი, როგორც თვალსაჩინო სამართლისმცოდნე, ღრმად ერკვეოდა იურისპრუდენციის საკვანძო საკითხებში, გამოირჩეოდა მაღალი პროფესიონალიზმით. ამას ადასტურებს შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებებიც. კონსტანტინე მიქელაძე მუშაობდა:

ა) 1918 წლის 20 ნოემბრიდან 1919 წლის 19 მარტამდე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიაში;[1]

ბ) 1919 წლის 26 მარტიდან 1921 წლის თებერვლამდე საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში;[2]

გ) 1910 წლის დეკემბრის თვიდან იურისკონსულტის თანამდებობაზე;[3]

დ) 1918 წლის 1 ივნისიდან 1921 წლის თებერვლამდე საქართველოს გზათა (მიმოსვლის) სამინისტროს იურისკონსულტად;[4]

ე) 1918 წლის 27 ივნისიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის სამინისტროს მენარდეების ანგარიშის კომისიაში;[5]

ვ) ჩრდილო-დასავლეთ რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტის თანაშემწედ;[6]

ზ) ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის მომარაგების კომიტეტის საქმეთა ხელმძღვანელად;[7]

---

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 109.

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 5.

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 8.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 3.

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი, საქმე 164, ფურცელი 6.

6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 8.

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 8.

თ) პეტროგრადის საოლქო სასამართლოს პალატაში;[8]

ი) პეტროგრადის კომერციულ სასამართლოში;[9]

კ) საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის მეთხუთმეტე თავი (სახელმწიფო მოხელენი) კონსტანტინე მიქელაძის მიერაა შემუშავებული;[10]

ლ) კონსტანტინე მიქელაძემ 1918 წელს ქ. თბილისში გამოსცა იურიდიული ხასიათის ნაშრომი "დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა". ნაშრომში გამოკვეთილია მისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, ასევე 1921 წლის კონსტიტუციის შესახებ საკუთარი კონცეფციები. წიგნი შედგება 65 გვერდისაგან და თავისი შინაარსით ფრიად საინტერესოა. ნაშრომი გამოცემულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სტამბის მიერ;

მ) კონსტანტინე მიქელაძის ინტელექტუალობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მას "სწავლულად" მოიხსენიებს პავლე საყვარელიძე. სხვათა შორის, სწორედ საყვარელიძის რეკომენდაციები უდევს საფუძვლად საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიებში მიქელაძის მუშაობას.

* * *

1918 წლის 26 მაისი ქართველებისათვის გამორჩეული თარიღია: გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და პირველად საქართველოში საფუძველი ჩაეყარა უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურას. სხვა სამინისტროებთან ერთად შეიქმნა გზათა (მიმოსვლის) სამინისტრო, რომლის პირველი ხელმძღვანელი გახდა ივანე ლორთქიფანიძე.

სამინისტრო შედგებოდა ცალკეული განყოფილებებისაგან. ჰქონდა სპეციალური თანამდებობები. აქედან ერთ-ერთი მნიშვნელო-

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 8.

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 8.

10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 52.

ვანი იყო იურისკონსულტის თანამდებობა, რომელიც პირველად კონსტანტინე მიქელაძეს. ერგო.


ჩვენ ვიცით, რომ "იურისკონსულტი" ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს სამართლისმცოდნეს. იურისკონსულტი არის საწარმოს, დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუდმივი კონსულტანტ-იურისტი. მას ევალება თავისი ორგანიზაციის დაცვა სასამართლო ორგანოებში, აგრეთვე სხვადასხვა უფლებრივი დოკუმენტაციის შედგენა-გაფორმება.[11]

კონსტანტინე მიქელაძე აღნიშნულ თანამდებობაზე მოღვაწეობდა საქართველოს გზათა სამინისტროს ფუნქციონირების განმავლობაში. როგორც მოპოვებული საარქივო მასალებიდან ჩანს, მას დიდი წვლილი შეჰქონდა სამინისტროს ინტერესების დაცვის საქმეში. იგი, როგორც გულანთებული პატრიოტი და ჩინებული სწავლული, არ დაკმაყოფილდა მარტოოდენ სამინისტროს იურისკონსულტის საქმიანობით და მხურვალე მონაწილეობა მიიღო მეტად საშვილიშვილო და ისტორიულ საქმეში 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის ჩამოყალიბებაში.

იურისტ მიქელაძისა და მისი პლეადის უანგარო შრომა ჯერ კიდევ დაუფასებელია. არ მიმდინარეობს ინტენსიური კვლევა-ძიება 1918-1921 წლების საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში. ამ მხრივ უანგაროა აკადემიკოს გურამ შარაძის ღვაწლი. მისმა ღრმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა უკვდავყო ბევრი მათგანის სახელი. ჩვენთვის თვალნათელი და მისაწვდომი გახადა ათწლეულების მანძილზე ბურუსით მოცული საკითხები, მზის სინათლეზე გამოაშკარავა 1918-1921 წლების ეროვნულ მოღვაწეთა ცხოვრება-შემოქმედება. ბ-ნი გურამ შარაძის ეს საქმიანობა დღესაც არ შენელებულა და ახალ ცხოველმყოფელობას იძენს.

---

11. მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989 წელი. გვ. 207.



კონსტანტინე მიქელაძის ,,თხოვნის'' დედანი, რომელიც შედგენილია რუსულ ენაზე.

საქართველოს გზათა სამინისტროს

ჩრდილო-დასავლეთ რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტის თანაშემწის კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძის (მცხოვრები ტფილისში, ელიზავეტას ქ. №128)

თხოვნა

მაქვს სურვილი, ვიმსახურო თქვენს დაქვემდებარებაში მყოფ სამინისტროში იურისკონსულტად. უმორჩილესად გთხოვთ, წარმადგინოთ ამ თანამდებობაზე.

თავს მივცემ უფლებას აგიხსნათ, რომ მე დღესდღეობით ვითვლები ჩრდილო-დასავლეთ რკინიგზის სამმართველოს იურისკონსულტის თანშემწედ. იურისკონსულტად მუშაობა კი დავიწყე 1910 წლის დასასრულს. დღესდღეობით ვრჩები ჩრდ. კავკასიის მთავრობის მომარაგების კომიტეტში საქმეთა მართველის თანამდებობაზე.

ჩემს ამ თხოვნას თან ერთვის მოწმობა ჩემი იურისკონსულტად მუშაობისა (რეესტრი №3914), პირადობის მოწმობა და პეტროგრადის კომერციული სასამართლოს მოწმობა №204 დათარიღებული 1916 წ. 17 ნოემბრით.

კ. დ. მიქელაძე

1918 წელი, 12 მაისი.[12]

კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძეს

გაცნობებთ, რომ ჩემი 1918 წლის 1 ივნისის ბრძანებულებით, თქვენ ინიშნებით საქართველოს მიმოსვლის გზების სამინისტროს იურისკონსულტად.

ივ. ლორთქიფანიძე

მიმოსვლის გზათა მინისტრი
1918 წელი, 7 ივნისი.[13]

---

12. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიის არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 8.

13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიის არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 3.

მოწმობა

კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძე არის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმოსვლის გზათა სამინისტროს იურისკონსულტი, რასაც ვამტკიცებ ხელმოწერითა და ბეჭდით.

საერთო საქმეთა სამმართველოს უფროსი.[14]

საქართველოს მიმოსვლის გზების სამინისტრო

შრომის სამინისტროში დაგეგმილი მენარდეთა ანგარიშის კომისიის სხდომა 24 ივნისის მაგივრად ჩატარდება ხუთშაბათს, 27 ივნისს 6 საათზე, შრომის სამინისტროს შენობაში (პეტრე დიდის ქ. №8) (კეთილსებით განკარგეთ თქვენი წარმომადგენელი).

კომისიის მდივანი

1918 წელი, 26 ივნისი.[15]

მოწმობა

საქართველოს გზათა სამინისტროს იურისკონსულტი კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძე დროებით გადაყვანილია შრომის სამინისტროში მენარდეების ანგარიშის კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის.


საერთო საქმეთა სამმართველოს ხელმძღვანელი.[16]

---

14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 4.

15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 6.

16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1881, ანაწერი 1, საქმე 164, ფურცელი 4.



იმ „მოწმობის“ დედანი, რომლითაც გზათა მინისტრი ივ. ლორთქიფანიძე კონსტანტინე მიქელაძეს ამცნობდა იურისკონსულტის თანამდებობაზე დანიშვნას.

კონსტანტინე მიქელაძე, როგორც ექსპერტ-სპეციალისტი

საქართველოს 1917 წლის ეროვნული საბჭოს[1] შემადგენლობაში ფუნქციონირებდა საკონსტიტუციო, საგარეო საქმეთა, სამხედრო, იურიდიული, საერობო, საფინანსო, საბიუჯეტო, სამეურნეო, ქონების, სარწმუნოების, გზათა, სასკოლო, ხელოვნების, ჯანმრთელობის, შრომის, ბიბლიოთეკის, სასამართლოსა და ადმინისტრაციის, თვითმმართველობის, სამანდატო-სარეგლამენტო და სარედაქციო კომისიები. ისინი ერთიანად ქმნიდნენ მთლიან სახელმწიფოებრივ-საკანონმდებლო სტრუქტურას - საქართველოს პარლამენტს. მათ საქმიანობას დიდი და პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული სახელმწიფოს განვითარებისათვის. აღნიშნულ მუდმივ და დროებით კომისიათა წევრები იმავდროულად იყვნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) დეპუტატები. ყველა კომისიას ყავდა საკუთარი თავმჯდომარე და თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე). კომისიების მუშაობაში დამკვიდრებული იყო ისეთი პრინციპი, რომლის თანახმად იწვევდნენ სპეციალისტს დამხმარე წევრად. ამგვარი შემთხვევა დაფიქსირდა საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიების მოღვაწეობის დროს, როდესაც ექსპერტ-სპეციალისტებად მოწვეულნი იყვნენ იურისტები კონსტანტინე მიქელაძე და გიორგი ნანეიშვილი, ასევე დიდი ივანე ჯავახიშვილი. მათ მაშინ "დამხმარე წევრებს" უწოდებდნენ.

1917 წლის 19 ნოემბერს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა ინტერპარტიული საბჭოს სახელით გახსნა აკაკი ჩხენკელმა. დელეგატებს მოხსენებით მიმართა ნოე ჟორდანიამ ("დღევან-

---

1. ეროვნული პარლამენტარიზმის პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო 1917 წლის 19 ნოემბერს, როდესაც საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს უშუალო ინიციატივით მოწვეულ იქნა საქართველოს ნაციონალური (ეროვნული) სხჭოს პირველი ყრილობა. ეს გახლავთ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, ვინაიდან, საფუძველი ჩაეყარა პირველ ქართულ საკანონმდებლო ორგანოს. იმავე წლის 22 ნოემბერს აირჩიეს "ეროვნული საბჭო", რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები. საქართველოს ეროვნული საბჭოს აპარატი შედგებოდა აღმასრულებელი კომიტეტის, პრეზიდიუმისა და კანცელარიისაგან, რომლებიც ფაქტობრივად წარმართავდნენ მომქმედი კომისიების მუშაობას.

დელი მომენტი და ქართველი ერი"), რომელმაც მიმოიხილა საერთო პოლიტიკური მდგომარეობა და საქართველოს ეროვნული საბჭოს ძირითად ამოცანებზე ისაუბრა.

სხდომაზე მოწვეული იყვნენ მეზობელი და უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების მუშაკები. ყრილობა მიმდინარეობდა სახაზინო (სახელმწიფო) თეატრში (თბილისის დღევანდელი ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი, საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი შედგებოდა 15 წევრისაგან. მასში გაერთიანდა ყველა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლობა. ყრილობის დასასრულს აირჩიეს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. ეს თანამდებობა წილად ხვდა ნოე ჟორდანიას.

ქართული პარლამენტარიზმის და საერთოდ სახელმწიფოებრივ ისტორიაში პირველი ქართული საკანონმდებლო ორგანოს პირველი ხელმძღვანელი გახლავთ ნოე ჟორდანია. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ეროვნული პარლამენტარული აზროვნების განვითარებაში. პარლამენტში მოქმედებდა მუდმივი და დროებითი კომისიები.

შემოსული კანონპროექტების განხილვა და სხვადასხვა საკითხებზე მსჯელობა წინასწარ წარმოებდა შესაბამის კომისიებში, ხოლო შემდგომ პარლამენტის საზოგადო კრებას გადაეცემოდა დასამტკიცებლად.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს (პარლამენტს) გააჩნდა საკუთარი დებულება. ამ დებულების თანახმად, მას კონტროლის ფუნქციები ენიჭებოდა, ახორციელებდა კანონების მიღება-დამტკიცებას, მართავდა უცხოეთის სახელმწიფოებთან დიპლომატიურ მოლაპარაკებებს, აფორმებდა ხელშეკრულებებს, აწესებდა რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრებს, ამუშავებდა ქართული ჯარების შექმნისა და ორგანიზაციის საკითხებს, აწარმოებდა საზავო მოლაპარაკებას მეომარ სახელმწიფოებთან (ოსმალეთი და სომხეთი), ამტკიცებდა დაწესებულებათა ბიუჯეტებს, აწესრიგებდა თავდაცვის, სასურსათო და სხვა საქმეებს.

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს პარლამენტი ეწოდა. ამ უკანასკნელმა კი იარსება 1919 წლის 12 მარტამდე, როდესაც მოწვეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი



ნოე ჟორდანია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ეროვნული საბჭოს პირველი თავმჯდომარე

კრების პირველი ყრილობა. იგი იმავე ფუნქციებს ახორციელებდა, რასაც ეროვნული საბჭო. განსხვავება ის გახლდათ, რომ ეროვნული საბჭო არ იყო ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანო, ხოლო საქართველოს დამფუძნებელი კრების წყაროს საქართველოს მოქალაქეები წარმოადგენდნენ. მან დაამტკიცა 1921 წლის კონსტიტუცია.

ბედუკუღმართობის გამო ეროვნული პარლამენტარიზმის განვითარება 1921 წლის 18 მარტს (ამ დღეს ბათუმში უკანასკნელად შეიკრიბა დამფუძნებელი კრება) შეწყდა. 2002 წლის 19 ნოემბერს 85 წელი შესრულდა იმ დღიდან, როდესაც საქართველოს ისტორიაში მოწცეულ იქნა პირველი საკანონმდებლო ორგანოს ყრილობა. ეს გახლდათ ეროვნული მოვლენა.

1917 წლის 19 ნოემბერი ქართული სახელმწიფოებრივი აზროვნების და ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თარიღია.[2]

კონსტანტინე მიქელაძის საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიაში ექსპერტ-სპეციალისტად მოწვევა მეტყველებს მის მაღალ იურიდიულ განსწავლულობაზე. იგი იურიდიულად თუ არა, ფაქტობრივად საქართველოს პარლამენტის წევრი გახლდათ, ვინაიდან, როგორც ვთქვით, ზემოთ დასახელებული კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება იმავდროულად საპარლამენტო საქმიანობასაც გულისხმობდა, რადგან საკონსტიტუციო კომისია საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურული შემადგენელი კომპონენტი იყო. კონსტანტინე მიქელაძემ საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიაში მოღვაწეობით მოკრძალებული წვლილი შეიტანა ეროვნული საპარლამენტო ფუნქციების განხორციელებასა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავებაში.

---

2. აჯიაშვილი ხაზალია, ბექა ქარიაური, გაზეთი "ხოხუმის სალრიშო", 2002 წელი, 30 ნოემბერი, გაზეთი "აფხაზეთის ჩმა", 2002 წელი, 1 ნოემბერი.

ნაწილი პირველი

თავი პირველი

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ძირითადი თავისებურებანი

მსოფლიო კონსტიტუციური სამართლის მეცნიერებაში გამოყოფენ კონსტიტუციის ოთხ თაობას:

ა) პირველი თაობის კონსტიტუციები მიღებულ იქნა დიდი ხნის წინ და ზოგიერთი მათგანი დღესაც ფუნქციონირებს (მაგ. აშშ-ში);

ბ) მეორე მსოფლიო ომის შემდგომ რატიფიცირებული კონსტიტუციები;

გ) მესამე ჯგუფს განეკუთვნება ე.წ. "სოციალისტური" ტიპის კონსტიტუციები;

დ) და ბოლოს, განვითარებადი ქვეყნების კონსტიტუციები.

პირველი თაობის კონსტიტუციათა შორის დგას საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, რომელმაც სულ რაღაც ხუთიოდე დღე იარსება.

1918 წლის 26 მაისის შემდგომ, როცა საქართველო იურიდიულად გამოცხადდა დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკად, ქართული სახელმწიფოს მესვეურთა წინაშე მთელი სერიოზულობით დადგა საკითხი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარების თაობაზე. ეს გახლდათ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, სახელმწიფოს ცენტრალური (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) და ადგილობრივი (თვითმმართველობები) ორგანოების სტრუქტურის ჩამოყალიბება და მათი ფუნქციების გამიჯვნა, სოციალ-ეკონომიკური საკითხების გადაჭრა, საგარეო და საშინაო პოლიტიკის განსაზღვრა. ყველაფერი ეს მოითხოვდა საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაციას.

1918 წლიდან ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ (თავმჯდომარე სერგი ჯაფარიძე).

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციას აქვს ყველაზე მთავარი სპეციფიკური ნიშნები:

ა) საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია პირველი ძირითადი კანონია, რომელმაც საქართველოში უმაღლეს საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა ზემოთ დაფიქსირებული და ამავე დროს სხვა ფრიად საინტერესო საკითხები. კონსტიტუცია, როგორც ასეთი, მანამდე ჩვენს ქვეყანას არ ჰქონია;

ბ) ამ ძირითადი აქტის სპეციფიკა მდგომარეობს იმაშიც, რომ იგი პირველი დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაა;

გ) და მესამე, ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ კონსტიტუცია შეიმუშავა მხოლოდ ქართველობამ. პროექტის ჩამოყალიბებაში უცხოელებს მონაწილეობა არ მიუღიათ.. რასაკვირველია, კონსტიტუცია ითარგმნა რამდენიმე ენაზე და გაგზავნილ იქნა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მის შემოქმედებაში უცხოელი ექსპერტები და სამართლისმცოდნეები იყვნენ ჩართულნი. ასე რომ, იგი წმინდა ქართული, მხოლოდ ქართველების მიერ შექმნილი სამართლებრივი დოკუმენტია.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციიდან გამომდინარეობდა მისი სადამფუძნებლო ხასიათი. კონსტიტუციამ, რომელიც ქართველი ხალხის სახელით იყო მიღებული და მათ ჭეშმარიტ ინტერესებს ასახავდა, დამფუძნებლის როლი შეასრულა. მან ფაქტობრივად და იურიდიულად დააფუძნა ახალი დემოკრატიული ქართული სახელმწიფო, მისი არსებითი სახელისუფლებლო სტრუქტურებიო; ჩამოაყალიბა პოლიტიკური რეჟიმისა და მმართველობის ფორმები; განსაზღვრა სახელმწიფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა, - მოქალაქეთა უფლებებისა და მოვალეობების ძირითადი მიმართულებები.

აღნიშნული კონსტიტუცია გამოირჩეოდა თავისი უზენაესობით. მე-8 მუხლში ვკითხულობთ: "კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია".

როგორც ვხედავთ, კონსტიტუციას უპირველესი იურიდიული ძალა ჰქონდა სხვა ნორმატიული აქტების მიმართ. მისი ძირითადი პრინციპები და დებულებები ფუძემდებლური საკანონმდებლო ბაზა იყო მიმდინარე კანონმდებლობისა და სამართლის სხვა დარგებისათვის. კონსტიტუციამ საკუთარი პრინციპების შესრულება სახელმწიფო ხელისუფლების ყოველი ორგანოს მოვალეობად აქცია.

"კონსტიტუცია არის უმაღლესი, ხელშეუხებელი კანონი და არ შეიძლება ისეთი კანონის გამოქვეყნება, რომელიც მის დედაზრს ეწინააღმდეგება. ყველა მორიგებით უნდა ეპყრობოდეს კონსტიტუციას, ყველას უნდა ჰქონდეს შიში მისი დარღვევისათვის და სჯისა, რადგან დაუშვებელია უმაღლესი კანონის დარღვევა. აქ ხალხის გარანტიაა, ხალხი გაიგებს, რომ მის ბატონობას ხელს ვერავინ ახლებს".[1] - პავლე საყვარელიძე.

კონსტიტუციის მყარი და ნორმალური ფუნქციონირება ეფუძნება მის ლეგიტიმურობას. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია მიღებულ იქნა დამფუძნებელი კრების მიერ ყოველგვარი არაკანონიერი მეთოდებისა და ძალადობის გარეშე.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ იგი სისტემატიზირებული უზენაესი სამართლებრივი დოკუმენტია, ე.ი. დაწერილი ფორმითაა წარმოდგენილი. მისი აგებულება საუკეთესოა და უტოლდება თანამედროვე ცივილიზებული ქვეყნების კონსტიტუციებს. ის შედგება ჩვიდმეტი თავისა და ასორმოცდაცხრა მუხლისაგან. იგი არ შეიცავს პრეამბულას.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, რომელიც დამფუძნებელ კრებაში წარმოადგინა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ, პრეამბულით იწყებოდა.[2]

კონსტიტუცია მუდმივი მოქმედებისათვის იყო გათვალისწინებული. მასში არ არის მითითება ისეთ გარემოებებზე, რომლებიც საფუძვლად დაედებოდა ძირითადი კანონის ფუნქციონირების შეჩერებას.

ჩვენ ვიცით, რომ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის მიხედვით განასხვავებენ მყარ და მოქნილ კონსტიტუციებს. 1921 წლის ძირითადი კანონი კი რთულ (მყარ) კონსტიტუციათა რიცხვს განეკუთვნება. კონსტიტუციის გადასინჯვას ეხება მეჩვიდმეტე თავი.

საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება ჰქონდა:

ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არანაკლებსა და ბ) 50000 ამომრჩეველს. პროექტი მიღებულად ჩაითვლებოდა, თუ მას მხარს დაუჭერდა პარლამენტის ყველა წევრთა ორი მესამედის უმრავ-

---

1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 230.

2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 859, ფურცელი 238.

საქართველოს კონსტიტუცია

მიღებულია საქართველოს
დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის 21 თებერვალს

თბილისი
1990 წელი

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია

ლესობა. პროცედურას ართულებდა ის გარემოებაც, რომ პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი (კონსტიტუციური კანონი) საბოლოოდ ხალხს უნდა დაემტკიცებინა.

კონსტიტუცია მიღებულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ. ეს ორგანო ხალხმა აირჩია. მისი პირველი მოწვევა 1919 წლის 12 მარტს შედგა. სახელწოდება "დამფუძნებელი" მიგვანიშნებს იმაზე, რომ მას სახელმწიფოში ძირითადი კანონი უნდა "დაეფუძნებინა". რასაკვირველია, ეს უკანასკნელი სპეციალურმა კომისიამ შექმნა, თუმცა მისი მუხლებისა და თავების გენერალური განხილვა მაინც საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომებზე წარმოებდა. მან შეასრულა ისტორიული მისია - მიიღო პირველი დემოკრატიული საქართველოს პირველი კონსტიტუცია.

მმართველობის ფორმის მიხედვით კონსტიტუცია გახლდათ რესპუბლიკური, პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით - დემოკრატიული.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციამ ცალკე თავი მიუძღვნა ავტონომიური ერთეულების (აფხაზეთი - სოხუმის ოლქი, სამუსლიმანო საქართველო - ბათუმის მხარე და ზაქათალას ოლქი) სამართლებრივ მდგომარეობას, იგი არ აფუძნებდა ფედერაციულ წესწყობილებას. უპირატესობა უნიტარიზმს მიაკუთვნა. ეს ჩანს კონსტიტუციის პირველ მუხლში: "საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო".

შეიძლება დავასკვნათ, რომ 1921 წლის კონსტიტუცია ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ფორმის მიხედვით იყო უნიტარული სახელმწიფო.

1921 წლის კონსტიტუციის ყოველი მუხლი ნათლად მეტყველებს, რომ იგი დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული, ჰუმანიზმის ეროგვარი გამოხატულებაა. მისი ღირსება მდგომარეობს ასევე იმაში, რომ მან, როგორც უმნიშვნელოვანესმა საკანონმდებლო დოკუმენტმა, მყარი საფუძველი ჩაუყარა პირველად საქართველოში მოქალაქეთა ბუნებით მინიჭებული უფლებების სამართლებრივ სტატუსს.[3]

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ღირსეულად მივიჩნევთ 1921 წლის კონსტიტუციის ირგვლივ მსჯელობას!

---

3. ბეჭა ქართარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, გამომც. "სამართალი", თბ. 2002 წელი, გვ. 231

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია ფაქტობრივად შექმნეს ქვემოთ აღნიშნულმა პირებმა:

თავი პირველი, ზოგადი დებულებანი - პავლე საყვარელიძე;
თავი მეორე, მოქალაქეობა - პავლე საყვარელიძე;
თავი მესამე, მოქალაქის უფლებანი - გიორგი ნანეიშვილი;
თავი მეოთხე, პარლამენტი - რაჟდენ არსენიძე;
თავი მეხუთე, აღმასრულებელი ხელისუფლება - რაჟდენ არსენიძე;
თავი მეექვსე, სასამართლო - გიორგი ნანეიშვილი;
თავი მეშვიდე, სახელმწიფო ფინანსები - გიორგი ნანეიშვილი;
თავი მერვე, სახელმწიფო კონტროლი - (შემდგენლის ვინაობა ჩვენთვის გაურკვეველია - ბ.ქ.).
თავი მეცხრე, სახელმწიფო თავდაცვა კონსტანტინე ანდრონიკაშვილი;
თავი მეათე, ადგილობრივი თვითმმართველობა სპირიდონ კედია;
თავი მეთერთმეტე, ავტონომიური მმართველობა გიორგი გვაზავა;
თავი მეთორმეტე, სწავლა-განათლება და სკოლა რაჟდენ არსენიძე;
თავი მეცამეტე, სოციალ-ეკონომიკური უფლებანი - გიორგი ნანეიშვილი;
თავი მეთოთხმეტე, ეროვნულ-უმცირესთა უფლებანი (ავტორის ვინაობა გაურკვეველია - ბ.ქ.).
თავი მეთხუთმეტე, სახელმწიფო მოხელენი კონსტანტინე მიქელაძე;
თავი მეთექვსმეტე, სახელმწიფო და ეკლესია - გიორგი ნანეიშვილი;
თავი მეჩვიდმეტე, კონსტიტუციის გადასინჯვა - გიორგი ნანეიშვილი.

თავი მეორე

კონსტანტინე მიქელაძე და კონსტიტუცია

კონსტიტუცია იმდენად მნიშვნელოვანი სამართლებრივ-პოლიტიკური აქტია, რომ მას XIX საუკუნის პირველი ნახევრის კონსერვატორიზმის წარმომადგენელმა, ფრანგმა ჟოზეფ დე მესტრმა ღვთაებრივი მოვლენა უწოდა. მისი აზრით, კონსტიტუცია არ წარმოადგენს გონების ნაყოფს, ცნობიერების პროდუქტს. მესტრი იცნობდა მხოლოდ დაუწერელ კონსტიტუციას.

ცნობილმა ამერიკელმა მწერალმა და პოლიტიკოსმა ბენჯამინ ფრანკლინმა ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციის შემქმნელებს "ნახევრად ღმერთები" უწოდა.[1]

კონსტანტინე მიქელაძის მსოფლმხედველობაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კონსტიტუციის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ მის შეხედულებებს.

კონსტიტუცია არის უმნიშვნელოვანესი სისტემატიზირებული ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს მონოლითურ აქტს სახელმწიფოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი საქმიანობისათვის. კონსტიტუცია ის მრავალმხრივი ზოგადი ნორმატიული აქტია, რომელიც ავტორის მითითებით, როგორც ძირითადი დებულება, ყველა სახელმწიფოს გააჩნია.

კონსტიტუციას ხაზგასასმელ მნიშვნელობას ანიჭებდნენ 1918-1921 წლების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის პირველი დეკემბრის სხდომაზე ნოე ჟორდანია აღნიშნავდა: "კონსტიტუცია არის ერთიანი ძირითადი უფლებები, ნორმა, რომლის ფარგლებში ყოველი სახელმწიფო მუშაობს და მისი ორგანოები მოღვაწეობენ. ის არის, ასე ვთქვათ, ერთნაირი საერთო დიპლომი, სახალხო ხარატი, რომელზედაც არის დაბეჭდილი სახელმწიფოს მთელი წესწყობილება და თითოეულმა მოქალაქემ იცის, თუ რა უფლებანი აქვს ამ

1. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 11 ოქტომბერი.

ხარატის მიხედვით და მოვალეობანი აწევს მას სახელმწიფოს მიმართ. ეს, ასე ვთქვათ, ერთნაირი წესდებაა, წესდება ისეთი ხასიათის, როგორიცაა მაგალითად რომელიმე საზოგადოების წესდება. ამ წესდების თანახმად მუშაობს საზოგადოება, სავაჭრო იქნება ის, საქველმოქმედო თუ სხვა. ასეთი წესდებაა ეს კონსტიტუცია თითოეული სახელმწიფოსათვის. აი, ასეთი წესდება, ძირითადი ნორმა, ასეთი პოლიტიკური წესდება არსებობს ყველა თანამედროვე სახელმწიფოებში და ეს სახელმწიფონი ამის მიხედვით თავიანთ საზღვრებში მუშაობენ. კონსტიტუცია არავითარ ახალ უფლებას არ ქმნის, ის მხოლოდ აღბეჭდავს, რაც უკვე არის ცხოვრებაში".[2]

საინტერესოდ გადმოგვცემს კონსტიტუციის შესახებ თავის მოსაზრებას პავლე საყვარელიძე. იგი ბრძანებდა: "შეუძლებელია წარმოვიდგინოთ სახელმწიფო ამ სიტყვის ნამდვილი უფლებრივი მნიშვნელობით, რომ მას არ ჰქონდეს თავისი საკუთარი ძირითადი კანონი, თავისი კონსტიტუცია, რომლის თანახმად ეწყობა სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, სახიერება სახელმწიფოს უმაღლესი ნებისყოფა და ისაზღვრება მისი მთავარი ორგანოების ურთიერთული დამოკიდებულება და კომპეტენცია. კონსტიტუციის მიღება დამფუძნებელი კრების მიერ ეს იქნება უდიდესი სახელმწიფოებრივი შემოქმედება, უდიდესი გამამტკიცებელი, დამფუძნებელი აქტი, მაჩვენებელი ხალხის ნებისყოფის და ბრძანების. მის წინაშე ქედი უნდა მოიხაროს ყველამ, მტერმაც და მოყვარემაც".[3]

ჩვენის აზრით, ხაზი უნდა გავუსვათ კონსტიტუციისათვის დამახასიათებელ ორ მომენტს:

ა) კონსტიტუციის ფაქტორს საშინაო ურთიერთობაში;

ბ) კონსტიტუციის ფაქტორს საგარეო ურთიერთობაში.

კონსტიტუციაში აისახება ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. 1918-1921 წლებში ძირითადი კანონი მოიაზრებოდა სახელმწიფოებრივი ფუნქციების განმსაზღვრელ დებულებად. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ელიტის წარმომადგენლებს კონსტიტუცია აღქმული ჰქონდათ საგარეო არენაზე საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, წარმოჩენის კრიტერიუმად. აი, რას ამბობდნენ:

2. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 4 დეკემბერი.
3. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 24 იანვარი.

"კონსტიტუცია არის სარკე ეროვნული ნებისყოფისა. ეს სარკე ჩვენ დროზე უნდა წარვადგინოთ იმ მსოფლიო სამსჯავროში, სადაც წყდება ჩვენი ბედი იმისდა მიხედვით, თუ რა პრინციპები დაედება საფუძვლად ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, დაგვაფასებენ ჩვენ და შეგვიყვანენ საერთაშორისო ოჯახში, როგორც სრულუფლებიანი წევრი".[4]

ამგვარად, კონსტიტუციის ავტორიტეტს განსაზღვრავს ის, თუ როგორაა მასში განმტკიცებული სახელმწიფოს დემოკრატიული საგარეო და საშინაო ფაქტორები.

კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, "კონსტიტუცია გამოხატავს სახელმწიფოს ორგანიზაციის ხასიათს და ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილებას, მაგრამ როდესაც ჩვენ ამ სიტყვას ვხმარობთ, გვაქვს სახეში ისეთი ძირითადი დებულება, რომლის არსებობა ნიშნავს სახელმწიფოს შეზღუდვას მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების მხრივ. ამ თვალსაზრისით კონსტიტუცია მით უფრო ფართოა, რაც უფრო ღრმად იჭრება ხალხური ელემენტი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამგვარად, კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომლებიც საზღვრავენ სახელმწიფოს ფუნქციების განაწილებას ორგანოთა შორის, ორგანოთა ორგანიზაციას და სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას".[5]

ალნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ მცირეოდენი კომენტარი. ურისტის მოსაზრების მიხედვით, კონსტიტუციის დემოკრატიზაციას განაპირობებს ის გარემოება, თუ როგორაა მოწესრიგებული კონსტიტუციაში ხალხის პოლიტიკური უფლებები და რამდენად აქვს შესაძლებლობა თითოეულ მოქალაქეს, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამისი გარანტი ძირითადი კანონია. კონსტანტინე მიქელაძე კონსტიტუციას "ძირითად დებულებას" უწოდებს, რომელიც ზღუდავს სახელმწიფოს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების დეკლარირებით. კონსტიტუციის უზენაესობა აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლში, სადაც ნათქვამია: "კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 46, ფურცელი 3.

5. კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, 1918 წელი, გვ. 17.

კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია". ანალოგიურ ნორმას შეიცავს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-6 მუხლის პირველი ქვეპუნქტი.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, კონსტიტუციამ უნდა განამტკიცოს ისეთი იურიდიული ნორმები, რომლებიც:

ა) საზღვრავენ სახელმწიფოს ფუნქციების განაწილებას ორგანოთა შორის;

ბ) ორგანოთა ორგანიზაციას ანუ სტრუქტურას და

გ) სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში პირდაპირ არ იყო ჩადებული ისეთი ნორმა, რომელიც განსაზღვრავდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ხოლო 1995 წლის ძირითადი კანონის მეხუთე მუხლი ამბობს: "სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით".

1921 წლის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებულია ორგანოთა სტრუქტურული სისტემა, ორგანიზაციული ფორმა, მათი ფუნქციები.

კანონში დიდი ადგილი აქვს დათმობილი სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის საკითხს. ეს უკანასკნელი მისი საკვანძო კომპონენტია. როგორც ჩანს, კონსტანტინე მიქელაძის ზემოთ აღნიშნული შეხედულებები აისახა 1921 წლის კონსტიტუციაში.

* * *

1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციამ საფუძველი ჩაუყარა ახალი ქართული სახელმწიფოს ფორმირებას. შეიცვალა დრომოჭმული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება. შეიქმნა ახალი აზრთაწყობა. დღის წესრიგში დადგა უზენაესი კანონის შემუშავების აუცილებლობა და მიღება. კონსტიტუციის შედგენა მიზნად ისახავდა ისეთი ძირითადი აქტის რატიფიკაციას, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა არსებულ საზოგადოებრივ პირობებთან. "კონსტიტუციის გარეშე წარმოუდგენლად მიაჩნდათ სამართლებრივი ანუ მაშინდელი ტერმინოლოგიით "უფლებრივი სახელმწიფოს" შექმნა.[6]

---

6. მალხაზ მაცაბერიძე, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, სადოქტორო დისერტაცია, 1997 წელი, გვ. 47.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შემუშავება იწყება საქართველოს ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისიის მოღვაწეობით, რომელიც წინ უსწრებს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას და გარკვეულწილად შეიძლება ვილაპარაკოთ მემკვიდრეობითობაზე მათ მუშაობაში.[7]

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 6 ივნისის სხდომაზე, სხვა კომისიებთან ერთად შეიქმნა კომისია "საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსტიტუციო საფუძვლების შესადგენად".

საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ ნ. ჟორდანია, ს. ჯაფარიძე, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, ი. ჩერქეზიშვილი, კ. მაყაშვილი, გ. რცხილაძე, გ. გვაზავა, ს. დადიანი, გაიმართა 1918 წლის 7 ივნისს, კომისიის შექმნიდან მეორე დღეს. სხდომას თავმჯდომარეობდა ნ. ჟორდანია, ხოლო მდივნობდა პ. საყვარელიძე. საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ს.დ. ჯაფარიძე, ხოლო მდივნად პ.დ. საყვარელიძე. კომისიის კრებაზე მოწვეული იყო მცოდნე პირები - პროფესორები ავალიშვილი, ჯავახიშვილი და გამბაროვი.[8]

აქვე აღვნიშნავთ, რომ მითითებულ პირებს კომისიის მუშაობაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ყოველ შემთხვევაში საკონსტიტუციო კომისიის მომდევნო სხდომის ოქმში ისინი აღარ ფიგურირებენ.[9]

საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობა:

1. კომისიის თავმჯდომარე - ჯაფარიძე სერგი (სოც.-დემოკრატი);
2. კომისიის მდივანი საყვარელიძე პავლე.

კომისიის წევრები:

3. არსენიძე რაჟდენ (სოც.-დემოკრატი);
4. ჟორდანია ნოე (სოც.-დემოკრატი);
5. ჩერქეზიშვილი ივანე (სოც.-რევოლუციონერი);
6. რცხილაძე გრიგოლ (სოც.-ფედერალისტი);
7. დადიანი სამსონ (სოც.-ფედერალისტი);

---

7. მაცაბერიძ მ. გვ. 47.

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 101, ფურცელი 2-3.

9. მ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 56.

8. გვაზავა გიორგი (ნაც.-დემოკრატი);
9. მაყაშვილი კონსტანტინე (უპარტიო);
10. ქიქოძე გერონტი;
11. კედია სპირიდონი;
12. ჩხეიძე მარიამ;
13. წერეთელი ალექსანდრე;
14. ნათაძე ლეო.[10]

საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს ეცნობა საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელთა და წევრთა არჩევა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს

ამით გაუწყებთ საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს, რომ საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ს.დ. ჯაფარიძე, ხოლო მდივნად პ.დ. საყვარელიძე.

საკონსტიტუციო კომისიის მდივანი პ. საყვარელიძე

1918 წელი, 7 ივნისი, ქ. ტფილისი.[11]

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 5 ოქტომბრის სხდომაზე პ. საყვარელიძემ წარმოადგინა წინადადება საკონსტიტუციო კომისიაში დამხმარე წევრად მცოდნე კონსტანტინე მიქელაძის მოწვევის შესახებ.[12]

საკონსტიტუციო კომიიის 1918 წლის 20 ნოემბრის საბოლოო დადგენილებით დამხმარე წევრად მოწვეულ იქნა გზათა სამინისტროს იურისკონსულტი კონსტანტინე დიმიტრის ძე მიქელაძე.[13]

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. მაცაბერიძე მიუთითებს, რომ კონსტანტინე მიქელაძე აქტიურად ჩაება საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში.

---

10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 1.
11. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 4.
12. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 90.
13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 109.



სერგი ჯაფარიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის პირველი თავმჯდომარე.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისია, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე სერგი ჯაფარიძე თავმჯდომარეობდა, მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა კონსტიტუციის პროექტის შესადგენად. კომისიამ სულ ათი თვე იარსება. 1919 წლის თებერვალ-მარტში ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი მოწვევა შედგა 1919 წლის 12 მარტს. დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 18 მარტს, თავის მესამე სხდომაზე, აირჩია ოთხი კომისია: ა) სარეგლამენტო; ბ) საკონსტიტუციო; გ) საფინანსო და დ) სარედაქციო.[14]

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველი სხდომა შედგა 1919 წლის 19 მარტს, დაფუძნებიდან მეორე დღეს. სხდომას, შემადგენლობის მცირეოდენი ცვლილებებით, დაესწრნენ გ. გვაზავა, რ. არსენიძე, პ. საყვარელიძე, ს. ჯაფარიძე, გ. ლასხიშვილი, ს. კედია, რ. ჩიხლაძე, კ. ანდრონიკაშვილი, ლ. ნათაძე, ი. ბარათაშვილი, მ. რუსია და ი. გობეჩია. სხდომას უძღვებოდა გ. გვაზავა და რ. არსენიძე, მდივნობდა ი. ხანანაშვილი. კომისიის სხდომა 12 საათსა და 30 წუთზე გახსნა კომისიის უხუცესმა წევრმა გიორგი გვაზავამ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას წინადადებით მიმართა, აერჩიათ კომისიის მუდმივი თავმჯდომარე.

კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული იურუსტი რაჟდენ არსენიძე,[15] თავმჯდომარის თანაშემწედ ს. ჯაფარიძე, ხოლო მდივნად გ. ფალავა. კომისიის გადაწყვეტილებით სხდომები უნდა ჩატარებულიყო კვირაში ორჯერ ოთხშაბათსა და შაბათს.[16]

---

14. გაზეთი "საბალხო საქმე", 1919 წელი, 19 მარტი.

15. რაჟდენ მათეს ძე არსენიძე დაიბადა 1880 წლის 14 ოქტომბერს ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩხეთში. სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. შემდგომ იურიკეევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. რაჟდენ არსენიძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას. იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს და დამფუძნებელი კრების წევრი, ამიერკავკასიის დამფუძნებელი კრების დეპუტატი, 1919 წლის 19 მარტიდან 1920 წლის 4 თებერვლამდე საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი. იგი გარდაიცვალა 1965 წლის 23 მაისს. დაკრძალულია ლეღვილის ძმათა სასაფლაოზე. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი. რაჟდენ არსენიძის ცხოვრება და მოღვაწეობა სპეციალური კვლევის საგანია.



რაჟდენ არსენიძე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველი თავმჯდომარე.

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 8 მარტის სხდომაზე მიღებული დადგენილების თანახმად, შეწყდა პირველი კომისიის (თავმჯდომარე ს. ჯაფარიძე) ფუნქციონირება და ნაშრომები, რომლებიც კონსტიტუციის პროექტთან იყო დაკავშირებული, გადაეცა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას.

საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 26 მარტის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ შემოიტანა წინადადება, რომლის შესაბამისად დამხმარე წევრებად მოიწვიეს გიორგი ნანეიშვილი და კონსტანტინე მიქელაძე, რომლებიც წინათ მუშაობდნენ ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიაში და შემუშავებული ჰქონდათ რამდენიმე დებულება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება და ორივეს გაეგზავნა მოსაწვევი ბარათი.[17]

როგორც გაირკვა, კონსტანტინე მიქელაძე მოწვეული ყოფილა ორჯერ - ჯერ ეროვნული საბჭოს (საქართველოს პარლამენტის) და შემდგომ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიაში იგი შემოვიდა 1918 წლის 20 ნოემბერს, ხოლო დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიაში - 1919 წლის 26 მარტს.

ეს უკანასკნელი მიგვანიშნებს იმაზე, რომ კონსტანტინე მიქელაძე თავისი დროისათვის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული იურისტი ყოფილა. როგორც ჩანს, მის მოსაზრებებს, კონცეფციებს, რეკომენდაციებს იოვალისწინებდნენ და ანგარიშს უწევდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ მისი ბევრი კონცეფცია უცვლელად აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებში.

უნდა აღინიშნოს, რომ 1919 წლის დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სოციალ-დემოკრატი რაჟდენ არსენიძე და არა პავლე საყვარელიძე, როგორც ეს დღემდე არის აღიარებული ქართულ იურისპრუდენციაში. პავლე საყვარელიძე არ გახლდათ პირველი თავმჯდომარე დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიისა, იგი მხოლოდ 1920

16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიის არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 1.

17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიის არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 5.

წლის 4 თებერვლის სხდომაზე აირჩიეს თავმჯდომარედ,[18] ვინაიდან, იმხანად რაჟდენ არსენიძე გადაყვანილ იქნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე.[19] პავლე საყვარელიძის ამხანაგად კი აირჩიეს საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის[20] პირველი თავმჯდომარე სერგი ჯაფარიძე.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ვერ დავეთანხმებით ბ-ნ ზაზა რუხაძეს, რომელიც აღასტურებს, რომ "1918 წლის 11 იცლისს შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით".[21] დავასკვნით: საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისია ჩამოყალიბდა 1918 წლის 6 ივნისს სერგი ჯაფარიძის თავმჯდომარეობით.

ასეთივე უზუსტობას უშვებს ცნობილი მეცნიერი პაატა ცნობილაძე, რომელიც აღნიშნავს: "1919 წლის 16 მარტს დამფუძნებელი კრება ირჩევს საკონსტიტუციო კომისიას პ. საყვარელიძის თავმჯდომარეობით".[22] დავასკვნით: საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა 1919 წლის 18 მარტს და არა 16 მარტს, ხოლო პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს რაჟდენ არსენიძე. პ. საყვარელიძე 1920 წლის 4 თებერვლამდე არ ყოფილა დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელი.

XX საუკუნის საქართველოში სამჯერ შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია. პირველი და მეორე კომისია საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო მესამე - ეპოქის მეორე ნახევარში.

ა) პირველი - საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისია, შექმნილი 1918 წლის 6 ივნისს, თავმჯდომარე სერგი ჯაფარიძე, მდივანი პავლე საყვარელიძე;

ბ) მეორე - საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია, შექმნილი 1919 წლის 18 მარტს, თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე, თანაშემწე სერგი ჯაფარიძე;

---

18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 1.

19. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 84.

20. ეს კომისია მუშაობდა 1918 წლის 6 ივნისიდან 1919 წლის 8 მარტამდე.

21. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, 1999 წელი, გვ. 23.

22. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 1999 წელი, გვ. 46.

გ) მესამე საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისია, არჩეული 1993 წლის 25 მარტს, თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, მოადგილე გივი ინწკირველი.

პირველი და მეორე საკონსტიტუციო კომისია საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის შემმუშავებელი კომისიაა, ხოლო მესამემ კი 1995 წლის 24 აგვისტოს ძირითადი კანონის პროექტი ჩამოაყალიბა.

1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შედგენა ყველაზე რთულ პერიოდში მიმდინარეობდა. შეიმჩნეოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიზისი. მტერი მომდგარი იყო საქართველოს საზღვრებს. კომისიის შემადგენლობამ გაცხოველებული მუშაობა გააჩაღა პროექტის საბოლოო შედგენისათვის. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ნაჩქარევად დაამტკიცა ძირითადი კანონი.

საქართველოს პირველი კონსტიტუცია, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, ბათუმი, სტამბა ნ.ი. ხვინგიასი, 1921 წელი, იგი უნდა ჩაითვალოს დედნად, რადგან დამტკიცებული არის ტექსტის ბოლოს დართული ავტოგრაფიული ხელმოწერებით (შიგ მელნის საშრობი ფურცლებიც კი არის შემორჩენილი). ხელს აწერენ:

1. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე; 2. მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია; 3. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი (პირველი მოადგილე) ალექსანდრე ლომთათიძე; 4. კონსტანტინე ჯაფარიძე; 5. რაჟდენ არსენიძე; 6. დიომიდე თოფურიძე; 7. პეტრე გელეიშვილი; 8. ნოე ხომერიკი; 9. ლევან ნათაძე; 10. ნოე ცინცაძე; 11. გრიგოლ ურუტაძე; 12. მელიტონ რუსია; 13. პავლე წულაია; 14. ივანე ტატიშვილი; 15. პავლე საყვარელიძე; 16. სარდიონ თევზაძე; 17. ლევან რუხაძე; 18. გიორგი ლასხიშვილი; 19. სამსონ დადიანი; 20. გრიგოლ რცხილაძე; 21. იესე ბარათაშვილი; 22. სამსონ ფირცხალავა; 23. შალვა ვ. ალექსი-მესხიშვილი; 24. (ხელმოწერა გაურკვეველია); 25. ივანე გომართელი; 26. რაფიელ იუანიცკი; 27. ბენია ჩხიკვიშვილი; 28. გრიგოლ ცინცაბაძე; 29. დავით შარაშიძე; 30. (ხელმოწერა გაურკვეველია); 31. რუბენ ყიფიანი; 32. ვასილ წულაძე; 33. ისიდორე რამიშვილი; 34. ანნა სოლოღაშვილი; 35. ნიკო

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ) კონსტიტუციაზე ხელმოწერების დედნის ფოტო.

ელიავა; 36. ვალიკო ჯუღელი; 37. ელისაბედ ბოლქვაძე; 38. დავით ჩხეიძე; 39. სილიბისტრო ჯიბლაძე; 40. ფილიპე ლორია; 41. იოსებ სალაყაია; 42. ილია კოპალეიშვილი; 43. იოსებ კ. მაჭავარიანი; 44. სპირიდონ კედია; 45. თეიმურაზ ჭელიძე; 46. გრიგოლ ტიმოთეს ძე გორგაძე; 47. ვასო ზაქარიას ძე ცაბაძე; 48. კირილე ნინიძე; 49. ნიკიფორე იმნაიშვილი; 50. აპალონ სულაქველიძე; 51. ილია ფირცხალაიშვილი; 52. არზაყან ემუხვარი; 53. ბარნაბა ძველაია; 54. ერმალო კალაძე; 55. თევდორე კიკვაძე; 56. ელეონორა მახვილაძე; 57. ილიკო გიორგის ძე ბადრიძე; 58. დავით ონიაშვილი; 59. შალვა ქარუმიძე; 60. რუბენ აუშტროვი; 61. გრიგოლ ვეშაპელი; 62. ბიქტორ თევზაია.[23]

როგორც ვხედავთ, აქ არ ჩანს კონსტანტინე მიქელაძის ხელმოწერა. ეს ჩვენში გაკვირვებასაც კი იწვევს. მას სრული უფლება ჰქონდა ხელი მოეწერა ეპოქალური მნიშვნელობის აქტისათვის. ეს, შესაძლებელია, გამოეწვია გარკვეულ ობიექტურ მიზეზებს (ობიექტური მიზეზი ის არის რომ იგი არ იყო პარლამენტის დეპუტატი). თუმცა ამას არ აქვს არანაირი პრინციპული მნიშვნელობა, ვინაიდან, მან თავისი პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობით დიდი ამაგი დასდო არამარტო პირველი კონსტიტუციის ჩამოყალიბებას, არამედ საერთო ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის საქმესაც.

კონსტანტინე მიქელაძემ ღირსეული წვლილი შეიტანა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შედგენაში. დავიწყება ამისა შეუძლებელია.

23. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 26 მაისი.

თავი მესამე

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება კონსტიტუციის მიღების ფორმებზე

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესს დიდი მღელვარებით ადევნებდა თვალყურს საზოგადოება, მთელი ქართველი ერი. მოუთმენლად ელოდნენ იმ დღეს, როდესაც მას საბოლოოდ დაამტკიცებდა დამფუძნებელი კრება, მაგრამ რატომღაც მასზე მუშაობის დასრულებას აბრკოლებდნენ თავად საკონსტიტუციო კომისიის წევრები. ხშირად ცდებოდა სხდომები.

კომისიის ახლადარჩეული თავმჯდომარე პავლე საყვარელიძე საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 თებერვლის სხდომაზე საყვედურს გამოთქვამდა იმის გამო, რომ წევრები სხდომას არ ესწრებოდნენ და საჭირო ქვორუმი სისტემატურად არ იქმნებოდა. "საქმე კი მეტად საჩქარო გვაქვს, ჩვენდამი საყვედური გაისმის პრესაშიც და საზოგადოებაშიც. აუცილებელია კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის დასრულება. კომისიამ მიმართოს ყველა ფრაქციებს, რათა მათ დაავალონ წევრებს სხდომას სისტემატურად დაესწრონენ".[1]

მაგალითი - დამფუძნებელი კრება, საკონსტიტუციო კომისია, შაბათს 1919 წლის აპრილის 26-ს მორიგი სხდომა საკონსტიტუციო კომისიისა არ შესდგა კომისიის წევრთა კანონიერი რიცხვის დაუსწრებლობის გამო. სხდომაზე გამოცხადდნენ მხოლოდ იესე ბარათაშვილი, გიორგი გვაზავა და დამხმარე წევრნი - კონსტანტინე მიქელაძე და გიორგი ნანეიშვილი.[2]

ყველაზე ურთულეს პერიოდში, 1921 წლის 21 იანვარს, დამფუძნებელი კრება შეუდგა კონსტიტუციის პროექტის განხილვას. ცნობილი მიზეზების გამო ეს პროცესი სრულყოფილი არ იყო. დამფუძნებელმა კრებამ მაინც მოახერხა მისი რატიფიკაცია. ეს

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 120.

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 20.

მის მოვალეობას წარმოადგენდა. კონსტიტუცია მას უნდა მიელო.

კონსტანტინე მიქელაძე აყალიბებს კონსტიტუციის მიღების სხვადასხვა ფორმებს. მისი შეხედულებით, მონარქიული და რესპუბლიკური წყობილების დროს კონსტიტუცია მიიღება ერთმანეთისაგან განსხვავებული მექანიზმებით. მონარქიულ სახელმწიფოში, იურისტის აზრით, კონსტიტუციას ღებულობს:

ა) ერთი პირი ინდივიდუალურად ანუ მონარქი; ან

ბ) მონარქი და მთელი ხალხი ან ხალხის ნაწილი "იმისდა მიხედვით, თუ ვის და რა შინაარსის არჩევნებითი უფლებანი აქვს მინიჭებული".[3]

რესპუბლიკური წყობილებისათვის კონსტიტუციას ქმნის მხოლოდ ერთი ძალა. როდესაც საუბარია მონარქის მიერ მიღებულ კონსტიტუციაზე, მაშინ მიქელაძეს მხედველობაში აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მონარქი საკუთარ სახელმწიფოში ანუ მონარქიულ წყობილებაში პერსონალური, შეუზღუდავი ნების საფუძველზე ღებულობს ქვეყნის ძირითად დებულებას ანუ კონსტიტუციას. ეს უკანასკნელი აღბეჭდავს მონარქის სულს. მიქელაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ "მონარქის კონსტიტუცია გამოხატავს მონარქის აქტს, როგორც სახელმწიფოს უზენაესი ძალის მატარებლისა".[4]

"უზენაეს ძალაში" იგულისხმება სახელმწიფო ხელისუფლება, რომელიც აკუმულირებულია მონარქის ხელში.

რაც შეეხება კონსტიტუციის მიღების მეორე ფორმას, იგი იურისტის მითითებით, "შედეგია მონარქის და ხალხის წარმომადგენლობისა". მსჯელობისას, უსათუოდ ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მონარქის ერთპიროვნული უფლებები ნაწილობრივ მაინც შეზღუდულია და საკანონმდებლო ორგანოსთან ერთად იგი მონაწილეობს კონსტიტუციის შექმნაში. ეს არის შეზღუდული მონარქია. ტერმინი "ხალხი" ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ თითქოს ადამიანები უშუალოდ მონარქთან ერთად ღებულობენ კონსტიტუციას, ეს, რასაკვირველია, ასე არ არის, ვინაიდან, ხალხი ამ საკონსტიტუციო შემოქმედებაში მონაწილეობს მისი წარმომადგენლობის - საკანონმდებლო ორგანოს მეშვეობით. მონარქი იძულებული

3. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 18.
4. იქვე, გვ. 18

ხდება ანგარიში გაუწიოს პარლამენტის ნებას.

რესპუბლიკური მმართველობა კონსტანტინე მიქელაძესთან წინა პლანზე არის წამოწეული. თუ მონარქიულ სახელმწიფოში კონსტიტუციას ღებულობს მარტო მონარქი ან მონარქი ხალხის წარმომადგენლობასთან ერთად, რესპუბლიკური წყობილებისათვის კონსტიტუციის მიღების წესი განსხვავებულია, სულ სხვა სუბიექტთან გვაქვს საქმე.

იურისტი სვამს კითხვას იმის შესახებ, თუ ვინ უნდა მიიღოს ძირითადი დებულება ანუ კანონი "რესპუბლიკურად მოწყობილი ქვეყნისათვის". კონსტანტინე მიქელაძე გარკვევით აღნიშნავს, რომ "რესპუბლიკური მართვა-გამგეობა თავისთავად არ შემოდის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში". ამისათვის კი საჭიროა განხორციელდეს "პოლიტიკური რევოლუცია" თუ რევოლუციამ წარმატებას მიაღწია, მაშინ შესაძლებელია მოწვეულ იქნას დამფუძნებელი კრება, რომელიც ამტკიცებს კონსტიტუციას.

დემოკრატიულ საქართველოში რევოლუციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ამბობდნენ, რომ "რევოლუცია ეს არის პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ხალხის მიერ უფლების მოპოვება".[5]

ჩვენის აზრით, უნდა განვასხვავოთ "პოლიტიკური რევოლუციის" ორი ფორმა:

ა) რევოლუცია, რომელიც ძალადობასთან არის დაკავშირებული;


ბ) რევოლუცია, რომელიც ძალადობის მეთოდებით არ ხორციელდება.

რევოლუციური გადატრიალება ხშირად სისხლიან ტერორიზმსა და გამწვავებულ დრამატიზმს გულისხმობს. ერთი ფორმაციიდან მეორეში გადასვლა მოითხოვს სისხლის ღვრას, მასების მასშტაბურ აფეთქებას. 1921 წლის თებერვალში კომუნისტური რეჟიმის მიერ განხორციელებული არაკანონიერი და დემოკრატიული, სუვერენული სახელმწიფოს ინტერესებისათვის შეუთავსებელი აქტები იყო სისხლიანი ბოლშევიკური რევოლუცია, რომელმაც ძალადობის გამოყენებით დაამხო ეროვნული ხელისუფლება.

პოლიტიკური რევოლუციის მეორე სახე ("რევოლუცია ძალადობის გარეშე") გულისხმობს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში

---

5. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 18 სექტემბერი.



საქართველოს ეროვნული საბჭოს (დამფუძნებელი კრების) შენობა.

აქ 1818 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და 1921 წლის თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს პირველი კონსტიტუცია.

ისეთ მომენტებს, როდესაც მშვიდობიანი მდგომარეობის ფონზე ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია ცვლის მეორეს. ამის მაგალითია, თუნდაც 1918 წლის 26 მაისის საქართველოს ისტორიული სინამდვილე, როდესაც დემოკრატიული რევოლუციის შედეგად დამყარდა რესპუბლიკური წყობილება და ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა ეროვნული მთავრობა.

ზოგიერთი ცნობილი მოაზროვნე საერთოდ უარყოფს რევოლუციას. დიდი გოეთე ამბობდა, რომ "მძაგს ყოველგვარი რევოლუცია, რადგან ის ცუდთან ერთად სპობს კარგსაც".[6] კონსერვატორიზმის წარმომადგენელი, ფრანგი ჟოზეფ დე მესტრი რევოლუციას "ეშმაკის საქმეს" უწოდებდა.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, რევოლუციის შედეგად აღმოცენებულმა კრებამ (იგულისხმება საკანონმდებლო ორგანო ბ.ქ.) უნდა მიიღოს კონსტიტუცია, სადაც განმტკიცებული იქნება მოქალაქეთა უფლებრივი მდგომარეობა. მართლაც, 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ იურიდიულად დაამტკიცა საქართველოს პირველი დემოკრატიული კონსტიტუცია.

კონსტანტინე მიქელაძეს განმარტებული აქვს ის აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომ "სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში ვერ ვიპოვით ისეთ მაგალითს,რომ მთელი ხალხი პირდაპირი შემოქმედებით აწესებდეს სახელმწიფოს კონსტიტუციას".[7]

კონსტიტუცია მიიღება არა თუ უშუალოდ ხალხის, არამედ მათ მიერ არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, რომელსაც კონსტანტინე მიქელაძე დამფუძნებელ ძალად მოიხსენიებს თავის ნაშრომში. ამ დროს დამფუძნებელი კრება გამოდის ხალხის სახელით. გამომდინარე აქედან, რესპუბლიკური მმართველობის არსებობის მთელ მანძილზე ხალხი წარმოადგენს ხელისუფლების წყაროს და მას აქვს უფლება, თავისი წარმომადგენლობის მეშვეობით აქტიური მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობით საქმიანობაში. კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებს შემდეგნაირად: "რევოლუცია დროებით შლის უფლებრივ განსხვავებას. საჭიროა მასის მაღალი შეგნება, მისი მტკიცე პოლიტიკური

---

6. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 3 ივლისი.
7. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 18.

აღზრდა და შეკავშირება იმისათვის, რომ რევოლუციით მონაპოვარნი შენარჩუნებულ იქნენ. თუ კი მასში ამ დროს ფეხი გაიდგა გათიშვა-უთანხმოებამ, მისი დაქუცმაცებამ ჯგუფებად, ყოველი რომელთაგანი რევოლუციას თავისკენა ხრის, რევოლუციის ნაწილობრივი დამარცხება აუცილებელი ხდება, მხოლოდ მაშინ, როდესაც რევოლუციონური მასა მჭიდროდ არის შეკავშირებული და მას მიზანშეწონილად უწევენ ხელმძღვანელობას რევოლუციის ბელადები, შესაძლებელია რევოლუციამ მიაღწიოს თავის მიზანს და ხელი შეუწყოს კრების მოწვევას, იმ კრების, რომელმაც უნდა შეიმუშავოს კონსტიტუცია".[8]

ტერმინი "შემუშავება" არ უნდა იყოს სწორი. ვინაიდან, ძირითად კანონს შეიმუშავებს სპეციალური კომისია, ხოლო დამფუძნებელი ძალა ამტკიცებს მას, იურიდიულ მნიშვნელობას ანიჭებს.

კონსტიტუციის მომზადებისა და მიღებისათვის ჩვეულებრივ იქმნება სპეციალური დროებითი წარმომადგენლობითი ორგანო დამფუძნებელი კრება (კონსტიტუციური ასამბლეა, კონვენტი). რიგ შემთხვევებში დამფუძნებელი კრება პარალელურად ასრულებს პარლამენტის ფუნქციებს და იღებს ჩვეულებრივ კანონებსაც. ამის ერთ-ერთი მაგალითია საქართველოს დამფუძნებელი კრება.

საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ სინამდვილეში. პირველად იგი 1919 წლის 12 მარტს შეიკრიბა, რომელიც არჩეული იყო პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, პარტიული სიების მიხედვით. მასში მონაწილეობა მიიღო 15-მა პარტიამ და გაერთიანებამ. არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატიამ. დამფუძნებელი კრების 130 ადგილიდან მათ 103 მოიპოვეს.[9]

საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმი საჯაროდ აცხადებდა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის დღის წესრიგს:

ა) საქართველოს დამფუძნებელი კრების გახსნა დანიშნულია ოთხშაბათს, ამა მარტის 12-ს სასახლის თეორ დარბაზში;

ბ) სხდომა დაიწყება სწორედ შუადღის 12 საათზე;

გ) დამფუძნებელი კრების პირველ სხდომას გახსნის უხუც-

8. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. იქვე. გვ. 18.

9. მ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 65.

ესი წევრი შეკრებილთა შორის, ხოლო ყველაზე უფროსი მდივნის მოვალეობას აღასრულებს;

ღ) ამის შემდეგ არჩეულ იქნება თავმჯდომარე კრებისა;

ე) თავმჯდომარის სიტყვის შემდეგ გამოცხადებული იქნება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც დამფუძნებელი კრების წევრნი ხელს მოაწერენ;

ამით დამთავრდება პირველი სხდომა.[10]

1919 წლის 12 მარტს საქართველოს პარლამენტმა უფლებამოსილება მოიხსნა დამფუძნებელი კრების წინაშე.

ქართველი ერი დამფუძნებელი კრების გახსნას დიდი აღფრთოვანებითა და მამულიშვილური გრძნობით შეხვდა.

ოთხშაბათს, 12 მარტს, დილით თბილისმა საღღესასწაულო სახე მიიღო. ქუჩებში დიდი მოძრაობა იყო. სხვადასხვა განაპირა უბნებიდან მოქალაქენი მოეშურებოდნენ რუსთაველის ქუჩაზე, რომ სასახლესთან ახლო მოთავსებულიყვნენ ზეიმზე დასასწრებად. ხალხი დამფუძნებელი კრების გახსნას "გაუმარჯოს საქართველოს" ძახილით აღნიშნავდა.[11]

საქართველოს წინ განუწყვეტლივ სწარმოებს შემოქმედებითი დუღილი, კანონმდებლობითი მუშაობა და მშენებლობა, რომელსაც დააგვირგვინებს დღეს უკვე ფაქტად ქცეული საამყო რევოლუციური შეღწევა ჩვენი ბრძოლისა - დამფუძნებელი კრება.[12]

1920 წლის 13 იანვარს სახელმწიფო თეატრში მოხსენებით გამოვიდა აკაკი ხიჩენკელი. იგი შეეხო რამდენიმე დატას: პირველი, 1917 წლის 17 ნოემბერს, როდესაც აი აქ აღიმართა წითელი დროშა (სახელმწიფო თეატრში გაიმართა პირველად საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა - ბ.ქ.), როდესაც ჩაეყარა საფუძველი თანამედროვე საქართველოს, როდესაც დამონებულმა ქართველმა ერმა პირველად განიცადა ეროვნული თავისუფლების სიტკბოება, ძლიერი იყო საქართველო მაშინაც სულიერად, მაგრამ ის საკვებით არ იყო ხორცშესხმული, აკლდა სხეული, მაგრამ 26 მაისს, 1918 წელს საბოლოოდ ჩაეყარა საძირკველი სრულ დამოუკიდებლობას, საქართველომ სხეული შეისხა. ეს მეორე დატა,

10. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წელი, 12 მარტი.
11. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1919 წელი, 14 მარტი.
12. ჟურნ. "ჩვენი მწიობი", 1919 წელი, №1, გვ. 286.

მესამე კი 1919 წლის 12 მარტს, როდესაც შეიკრიბა საქართველოს ინტერესების გამომხატველი უზენაესი ორგანო, დამფუძნებელი კრება, რომელმაც დაადასტურა ისტორიული აქტი, აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა.[13]

სამართლიანად მიუთითებდნენ, რომ დამფუძნებელი კრების პირდაპირი და უმთავრესი დანიშნულება არის "დაფუძნება" სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ე.ი. შემუშავება იმ ძირითადი დებულებისა, რომლის ფარგლებში უნდა მიმდინარეობდეს სახელმწიფოს უფლებრივი ცხოვრება.

მთავარი იყო კონსტიტუციის დამტკიცება და გამოცხადება არამარტო იმიტომ, რომ ამისთანა ისტორიული აქტი მშვიდობიან კალაპოტში ჩააყენებდა მათ შინაურ ცხოვრებას, გააკიცხებდა ხალხის სამართლებრივ შეგნებას და დაამყარებდა წესრიგს, არამედ კონსტიტუციას უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა საერთაშორისო თვალსაზრისითაც.[14] (ამის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა - ბ.ქ.).

ანალოგიურად აზროვნებს კონსტანტინე მიქელაძე. იგი განსაკუთრებით ხაზს უსვამს დამფუძნებელი კრების დიდ მნიშვნელობას. იურისტის აზრით, "დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის შექმნით აცხოველყოფს უფლებრივ ძალას ახალ ფორმაში ჩამოყალიბებული".[15]

დამფუძნებელი კრება წარმოადგენს იმ ძირითად საშუალებას, რომელიც აყალიბებს "დაფუძნებელი ძალის სახით" ხალხის უფლებებს და სახელმწიფოებრივ წყობილებას. ეს უკანასკნელნი განმტკიცებულია და გამოხატულებას ჰპოვებს კონსტიტუციის ცალკეულ ნორმებში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ კონსტიტუციაში მოქალაქეთა უფლებებს მესამე თავი დაეთმო. აქ იურისტი იმ პოზიციიდან ამოდის, რომ "დამფუძნებელი ძალა" განსხვავდება "დაფუძნებული ძალისაგან" (ამის შესახებ გვქონდა საუბარი - ბ.ქ.).


კონსტანტინე მიქელაძე ითვალისწინებს კონსტიტუციის შეცვლისა და გადასინჯვის ყველაზე მნიშვნელოვან და მოავარ პროცედურას. საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე სალისკუსიოდ აღნიშ-

---

13. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 15 იანვარი.

14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 46, ფურცელი 3.

15. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 20



საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი სხდომა.

ნული საკითხი არაერთხელ ყოფილა წარმოდგენილი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 6 მარტის სხდომაზე შეიქმნა ორი დამოუკიდებელი კომისია:

ა) მცირე კომისია (მცირე კომისიაში არჩეული იყვნენ ჩხენკელი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა და რ. არსენიძე), რომელსაც კომენტარის განხილვასა და მის სისტემაში მოყვანასთან ერთად ევალებოდა კონსტიტუციის გადასინჯვა;

ბ) სარედაქციო კომისია (შემადგენლობა: ა. ჩხენკელი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა, კ. ნინიძე, ი. ჯავახიშვილი, ი. გომართელი, გ. ყიფშიძე, ე. თაყაიშვილი და ს. ჯაფარიძე).[16] სარედაქციო კომისიას დაევალა კონსტიტუციის რედაქციული გასწორება.[17]

კომისიის საზოგადოების წინაშე დაისვა საკითხი, რომლის თანახმად, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება უნდა მისცემოდა ერობებს და ქალაქის საბჭოს. ეს წინადადება 1920 წლის 18 თებერვლის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე უარყოფილ იქნა.[18]

აღნიშნული თემა, ჯერ კიდევ 1919 წლის 26 ნოემბრის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის სადისკუსიო ობიექტად იქცა. პაულე საყვარელიძე დაბეჯითებით ამტკიცებდა ხუთი ან ათი ერობისათვის ინიციატივის უფლების მინიჭების აუცილებლობას. იგი ერობებს შორის მოიაზრებდა ასევე პარლამენტის წევრებსა და ამომრჩევლებს.

გიორგი გვაზავას აზრით, კონსტიტუციის გადასინჯვის ინიციატივის უფლება უნდა მისცემოდა პარლამენტის წევრთა 1/4 და 25000 ამომრჩეველს. მელიტონ რუსია მიზანშეწონილად თვლიდა, რომ ინიციატივის უფლების სუბიექტები ყოფილიყვნენ ამომრჩევლები და პარლამენტის დეპუტატები. რაჟდენ არსენიძის წინადადებით, ინიციატივის უფლებით უნდა ესარგებლა 100000 ამომრჩეველს.

კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებით კონსტიტუციის ნაწ-

---

16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 66.

17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 139.

18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 119.

ილობრივი ან საზოგადო გადასინჯვის უფლება მიენიჭა 50000 მოქალაქეს.[19]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 145 მუხლის თანახმად, კონსტიტუციის საზოგადო ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციატივის უფლება ჰქონდა ა) პარლამენტის წევრთა ნახევრის არანაკლებსა და ბ) 50000 ამომრჩეველს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 102 მუხლმა საკმაოდ გააფართოვა კონსტიტუციის გადასინჯვის შესახებ ინიციატივის აღძვრის უფლების სუბიექტთა რაოდენობა და მოცულობა: ა) პრეზიდენტი; ბ) პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი; გ) არანაკლებ 200000 ამომრჩეველი.

კონსტანტინე მიქელაძეს ამ საკითხზე კონკრეტულად არ დაუფიქსირებია საკუთარი მოსაზრება. ყოველ შემთხვევაში მის შეხედულებას საარქივო მასალებში ვერ მივაკვლიეთ. ამბობს მხოლოდ იმას, რომ იმ კრებას, რომელიც აღჭურვილია დამფუძნებელი ძალაუფლებით, უნდა ჰქონდეს უფლება "კონსტიტუციის შეცვლის ან გადასინჯვისა". იურისტს ნაშრომში გამოყენებული აქვს ტერმინი "შეცვლა", რომელმაც 1921 წლის კონსტიტუციაში ასახვა ვერ ჰპოვა.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება მცირე დასკვნა გავაკეთოთ. კონსტანტინე მიქელაძის სამართლებრივი შეხედულებების გამოსარკვევად მნიშვნელოვანია მის მიერ კონსტიტუციის მიღების სხვადასხვა ფორმებზე გარკვეული ჩამოყალიბებული პოზიცია. იგი ხაზს უსვამს მონარქიულ სახელმწიფოში კონსტიტუციის აღმოცენების ძირითად ფორმებს. თუმცა რესპუბლიკური წყობილებისათვის უზენაეს კანონს ქმნის ერთი ძალა - დამფუძნებელი კრება. ავტორის აზრით, ეს უკანასკნელი შედეგია პოლიტიკური რევოლუციისა. თუ რევოლუციამ გაიმარჯვა, მაშინ აუცილებელია შეიქმნას დამფუძნებელი კრება, რომელიც მიიღებს კონსტიტუციას.

კონსტანტინე მიქელაძემ დადებითად შეაფასა ხალხის წარმომადგენლობითი ორგანო და იგი ყოველივე უფლების განმამტკიცებელ მექანიზმად აღიარა. როდესაც იგი დამფუძნებელ კრებაზე

---

19. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 49-50.

საუბრობდა, მხედველობაში ჰქონდა პარლამენტი. ამ ორ ცნებას შორის არ არსებობს განსხვავება. ყოველ შემთხვევაში დამფუძნებელი კრება პარლამენტთან იყო გაიგივებული. განსხვავება მხოლოდ სახელწოდებებში მდგომარეობდა.

კონსტანტინე მიქელაძემ ყურადღება გაამახვილა კონსტიტუციის გადასინჯვის მეტად პრინციპულ კონსტიტუციურ-სამართლებრივ საკითხზე, ვინაიდან, ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ძირითადი კანონის სიმყარეს, გარანტირებულ სტაბილურობას.

საბოლოოდ უნდა ვთქვათ, რომ იურისტ კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრებები და შეხედულებები კონსტიტუციის თაობაზე, პროგრესულია.

ნაწილი მეორე

თავი მეოთხე

კონსტანტინე მიქელაძე და კრიტიკა

კრიტიკულმა აზროვნებამ განვითარების მრავალწლიანი გზა განვლო. იგი დემოკრატიული ღირებულებაა და ადამიანის აზრის სრულფასოვან წარმოჩენას უწყობს ხელს. მისი დანიშნულება ცივილიზებულ-სამოქალაქო საზოგადოებაში ფასდაუდებელია.

ვსვამთ კითხვას: არის თუ არა კრიტიკა მეცნიერება? რამდენად არის ის ჭეშმარიტების დადგენის მეთოდი?

საინტერესოა, არსებობს თუ არა რეცენზიასა და კრიტიკას შორის რაიმე პრინციპული განსხვავება?

რეცენზია ლათინური სიტყვაა და განხილვას, გამოკვლევას ნიშნავს,[1] ხოლო რაც შეეხება კრიტიკას, იგი ბერძნული წარმოშობისაა და ითვალისწინებს რაიმეს განხილვას შეფასების მიზნით.[2]

მაშასადამე, რეცენზიასა და კრიტიკას შორის არ არსებობს განმასხვავებელი ნიშნები. ისინი ერთ მიზანს ემსახურებიან: ამა თუ იმ ნაწარმოების შეფასების კრიტერიუმს წარმოადგენენ.

ჩვენის აზრით, კრიტიკა შეიძლება იყოს სამი სახის: ა) დადებითი კრიტიკა ბ) უარყოფითი კრიტიკა და გ) მიკერძოებითი კრიტიკა.

დადებითია კრიტიკა, როდესაც კრიტიკოსი ამა თუ იმ ავტორის ქმნილებას აფასებს პოზიტიურად, საუკეთესოდ, ხშირად გადაჭარბებულად, შენიშვნების გარეშე.

უარყოფითია კრიტიკა, როდესაც კრიტიკოსი ავტორის შემოქმედებას ნეგატიურად აფასებს და ხშირ შემთხვევაში იგი ამას იმსახურებს.

კრიტიკის ამ ფორმისათვის ნიშანდობლივია პირდაპირობა, უშუალობა. აქ ქმნილების დადებითი და უარყოფითი მხარეების გაშუქებას აქვს ადგილი.

მიკერძოებითი კრიტიკის დროს კრიტიკანი არაობიექტურად, დაუმსახურებლად აფასებს პიროვნების შემოქმედებას.

---

1. მ. ჭაბაშვილი. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989 წელი, გვ. 433.
2. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, 1990 წელი, იხ. გვ. 588.

კრიტიკა შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაწერილი, ასევე დაუწერელი ფორმით.

მეცნიერების ყოველ დარგს გააჩნია შემეცნების დამოუკიდებელი ობიექტი, შესწავლის საგანი. ამის მიხედვით ხდება მეცნიერებათა კლასიფიკაცია. ისინი სხვა მეცნიერების სუბსიდიის წყალობით ახდენენ ამა თუ იმ საგნის ობიექტურ კვლევას. კონკრეტული მეცნიერება არ არსებობს დამოუკიდებლად, იზოლირებულად. კრიტიკა ხშირად იყენებს შედარების მეთოდოლოგიას.

არის თუ არა კრიტიკა მეცნიერება? ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, საჭიროა გამოვყოთ კრიტიკის კიდევ ორი ფორმა: ა) კრიტიკა, რომელიც არ შეიცავს გამოკვლევას და ბ) კრიტიკა, რომელიც განისაზღვრება გამოკვლევით.

კრიტიკა მეცნიერული გამოკვლევის ნიშნებს შეიცავს მაშინ, როდესაც კრიტიკოსმა ფუნდამენტურად დაამუშავა ამა თუ იმ მოაზროვნის თუ ავტორის შემოქმედების შეფასება, მას შესძინა ნაშრომის ფორმა, ავტორის ნაზრევის ანალიზის საფუძველზე მოგვცა გარკვეული დასკვნები, მეცნიერულ დონეზე გამოიკვლია მისი მრწამსი, შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხებზე, კრიტიკული შეფასების საფუძველზე მოახდინა შემომქმედის აზროვნების კონკრეტული ფორმების წარმოჩენა და გაშუქება. ამ გზით იგი მიდის სრულ ჭეშმარიტებამდე.

მაგალითის სახით შეიძლება დავასახელოთ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ვალერიან მეტრეველის ნაშრომები: "ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე", ან "ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ". აქ ავტორმა კრიტიკული და შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოიკვლია დიდი ილია ჭავჭავაძის მრწამსი სახელმწიფოსა და სამართალზე, დანაშაულსა და სასჯელზე, სასამართლოსა და მოსამართლეზე და ა.შ. პროფესორი კრიტიკული შეფასების საფუძველზე იკვლევს გენიალური მოაზროვნის შეხედულებებს იურისპრუდენციის ცალკეულ საკითხებზე და მიდის ჭეშმარიტებამდე. აღნიშნული ნაშრომები არ არის უბრალო კრიტიკა, არამედ უხვად შეიცავენ გამოკვლევის ნიშნებს.

კრიტიკა, რომელიც არ განისაზღვრება გამოკვლევით, არ არის მეცნიერება. ყოველდღიურ ცხოვრებაში ადგილი აქვს ისეთ მოვლენებს, როდესაც პიროვნებას დადებითი თუ უარყოფითი რეცენ-

ზიის გამოქვეყნებით უხდება ამა თუ იმ ავტორის შემოქმედების კრიტიკული შეფასება. მისი აფშირება შესაძლებელია ჟურნალ-გაზეთების საშუალებით. ასეთ კრიტიკას ანუ მეორენაირად რეცენზიას გამოკლევის პრეტენზია არ გააჩნია. იგი უბრალო შეფასებაა ამა თუ იმ ნაწარმოებისა.

ავტორის შემოქმედების უბრალო კრიტიკული შეფასება მეცნიერება არაა, ე.ი. ყველა კრიტიკა მეცნიერებას არ გულისხმობს. კრიტიკა მეცნიერულია მხოლოდ მაშინ, როდესაც კრიტიკოსის წინაშე დგას დიდი პრობლემა ავტორის შეხედულების მეცნიერული გამოკვლევის ან ამა თუ იმ ნაწარმოების ფუნდამენტალური შეფასებისა, როდესაც კრიტიკოსს განზრახული აქვს ჭეშმარიტების დადგენა, იმ გზებისა და მიმართულებების დადგენა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია ობიექტური სინამდვილის მიგნება.

ამ ნიშნით განირჩევა კრიტიკის მეცნიერება კრიტიკული წერილებისაგან ანუ იგივე რეცენზიისაგან.


რასაკვირველია, ჩვენ ეს საკითხი ერთი ხელის მოსმით არ გადაგვიწყვეტია. ეს უბრალოდ პერსონალური მოსაზრებაა კრიტიკის შესახებ.

* * *

ნებისმიერი გამოქვეყნებული წიგნი ხშირად კრიტიკისა და შეფასების ობიექტი ხდება. ეს თავისთავად ჩვეულებრივი მოვლენაა. რეცენზენტი ანუ კრიტიკოსი დაინტერესებულია ავტორის შემოქმედების ავ-კარგის დემონსტრირებით. ამ მხრივ არც კონსტანტინე მიქელაძის ნაშრომი ყოფილა გამონაკლისი. 1919 წელს ჟურნალ "შკიდი მნათობის" №1-II ნომერში გამოქვეყნდა რადიკალურად უარყოფითი რეცენზია კინმე ბ. ნიკრისელის ავტორობით. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს მკითხველ საზოგადოებას გავაცნოთ იგი:

"კ.დ. მიქელაძე: "დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა" (ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ), ფასი 3 მანეთი, ტფილისი, 1918 წელი.

ისე არასოდეს არ ყოფილა საჭირო სახელმწიფო უფლების შესახებ წერა და გამოცემა, როგორც დღეს, როდესაც საქართვე-



კონსტანტინე მიქელაძე, დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა, თბილისი, 1918 წ.

ლო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და იმუშავებს თავის არსებობის კონსტიტუციას. რევოლუციამდელი ჩვენი საზოგადოება ხელშეხებით იცნობდა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ერთ ფორმას და ფართო მასა, გარდა პარტიული ლოზუნგებისა, სრულიად არ იცნობდა სხვა ცხოვრებას. რევოლუციამ ყველაფერი გამოცვალა და ძველი რეჟიმის მაგივრად დემოკრატიულ სახელმწიფოში გადაგვიყვანა. რევოლუციის პროცესში ჩვენ შევქმენით დამოუკიდებელი სახელმწიფო საქართველო. ეს ისტორიული ფაქტები სათანადო გაშუქება-განმარტებას მოითხოვდა. ამიტომ სახელმწიფო უფლების შესახებ ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით პროპაგანდა-აგიტაციის დაწყება და ფართო მასისათვის მეცნიერების ამ დარგის გაცნობა აუცილებელ მოვლენად იქცა. რამდენიმე ამ მოთხოვნილებას პარტიული ლიტერატურა აკმაყოფილებდა, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ იგი მას სავსებით ვერ ამოწურავდა, ამიტომ მოლოდინში უნდა ვყოფილიყავით, რომ წიგნის ბაზარზე შესაფერი გამ კემა გამოვიდოდა და დაინტერესებულ მკითხველს მოიზიდავდა. ამ მხრივ საჭირო იყო სახელმწიფო საკითხების მარტივად, უბრალოდ, გასაგებად და გონებამისაწვდომად განხილვა. ჩვენი მკითხველი ფართო მასაა და მას უნდა შეფარდებოდა ავტორის წერის უნარიც, თუ იგი, რასაკვირველია, ამ უნარზე პრეტენზიებს აცხადებდა. კ. მიქელაძე სწორედ ასეთ ავტორთა ჯგუფს ეკუთვნის და მისი წიგნიც ბედკრული ცდაა საკითხის გადასაწყვეტად. კ. მიქელაძე თავის წიგნის წინასიტყვაობაში წერს:

"პირველი შეხედულებით ადვილი გვეგონა ამ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა თვალსაზრისით და მოსაზრებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ წესწყობილების ამორჩევაში. ამის გამორკვევა ადვილდება, თუ კი ამ დროს დავივიწყებთ საზოგადოების ცხოვრების პირობებს, მაგრამ როდესაც ამ საკითხის განსჯის დროს თვალს გადავავლებთ იმ საზოგადოების ანუ ხალხის ცხოვრების პირობებს, ვისოვისაც გვინდა შემოვიღოთ ესა თუ ის მმართველობითი ფორმა, შრომა რთულდება, ამრიგად, ვიდრე ჩვენ ავირჩევდეთ რომელიმე ფორმას მმართველობისას, როგორც სასურველს და ხალხისათვის სასარგებლოს, საჭირო არის შევეხოთ და გამოვარკვიოთ ის საკითხი, თუ როგორი წესწყობილება არსებობს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში".

კარგი და პატიოსანი, რომ ეს მიზანი, თუ როგორი წესწყობილება არსებობს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში სათანადოდ და გასარკვევად იყოს ჩამოყალიბებული, ჩვენ ამ შემთხვევაში მადლობის მეტი არა გვეთქმოდა რა, მაგრამ სწორედ საქმე ისაა, რომ ეს მიზანი ავტორს მიუღწეველად დარჩენია და მხოლოდ გაკვრით და ირიბულად შეხებია საკითხს. ავტორს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია უკვე გამომუშავებული ტერმინოლოგიისათვის და თავის მხრივ ახალი ტერმინების პირდაპირი თარგმნით უზარმაზარი არეულობა და გაუგებრობა შეაქვს საკითხში. ავტორი ამასთანავე აზროვნებს რუსულად და წერს ქართულად წმინდა რუსული კონსტრუქციით, რასაც მეტი ცუდი დაღი მიუცია მისი შრომისათვის. წიგნი ვერ არის დაწერილი ამგვარად გასაგებ ენაზე თვით საკითხის მცოდნეს გაუჭირდება მისი გაგება და მითუმეტეს მასიურ მკითხველს. ეს წიგნი დაწერილი უნდა იყოს ან საპარლამენტო საკონსტიტუციო კომისიისათვის, - ამ შემთხვევაში იგი ზედმეტად და შეუსრულებლად უნდა ჩავთვალოთ, ან მასიური მკითხველისათვის, - და ამ შემთხვევაშიც იგი სრულიად მიუღებელია. ავტორმა საკითხი იცის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მას გადმოცემა და განმარტება შეეძლოს. არ შეგვიძლია აქვე არ აღვნიშნოთ, რომ "საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისათვის ავტორის ეს "ზოგიერთი მოსაზრებანი" მხოლოდ ზერელე მოსაზრებებად რჩება და წესწყობილების ამორჩევაში ვერ გვეხმარება. როდესაც ავტორი ეხება ადგილობრივ, ამიერკავკასიურ საკითხს, ამიერკავკასიის რესპუბლიკის ფორმას, იგი გადაჭრით სწყვეტს, რომ "ამიერკავკასია მხოლოდ სიტყვიერად იყო ფედერაციული სახელმწიფო", ეს საკითხი ჯერ კიდევ სადაოა და ასე ხელის მოსმით მისი გადაჭრა დიდი სითამამეა. ავტორი თვით საქართველოს მომავალ წესწყობილების შესახებ თქმაში ძუნწია და ეს ალბათ იმით აიხსნება, რასაც იგი წერს თავის წინასიტყვაობაში.

წიგნი გამოცემულია სუფთად, მაგრამ მრავალი კორექტურული შეცდომითაა შემკული. საერთოდ მკითხველი არას დაკარგავს, თუ ამ წიგნს არ მოიკითხავს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში".[3]

---

3. ჟურნ. "შუიდი მნათობი", 1919 წელი, №1-II, გვ. 309-310.

ნაშრომის ამ უკიდურესად უარყოფითმა კრიტიკულმა შეფასებამ კონსტანტინე მიქელაძის დიდი გულისწყრომა გამოიწვია. მანაც არ დააყოვნა და იმავე 1919 წლის 10 დეკემბრის გაზეთ "ერთობის" ფურცლებზე გამოაქვეყნა საპასუხო წერილი შემდეგი სათაურით: "ეროი რეცენზიის შესახებ". იგი გაბედულად ამხელს ბ. ნიკრისელის კრიტიკული ნიჭის უსუსურობას. მაგრამ ვიდრე ამ საკითხზე ვისაუბრებდეთ, საინტერესოა გავაშუქოთ კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება საერთოდ კრიტიკაზე, რომელიც ავტორს აღნიშნულ საგაზეთო წერილში აქვს ჩამოყალიბებული.

ავტორი, უპირველეს ყოვლისა, ხაზს უსვამს კრიტიკის მნიშვნელობასა და დანიშნულებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქვე დაფიქსირებულია ის ჭეშმარიტი მსჯელობა, რომლის თანახმად კრიტიკა ადამიანის აზრისა და აზროვნების პროგრესს უწყობს ხელს. კონსტანტინე მიქელაძე კრიტიკას ამსგავსებს მზის სხივებს, რომლებიც თავიანთი კეთილისმყოფელი ძალით ემსახურებიან ბუნების აყვავებას, გამოცოცხლებას, ბიოსფეროს აღორძინებას. კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, კრიტიკა არის განვითარებული აზროვნების სხივები, ის მასულდგმულებელი ძალა, რომელიც წრთვნის, ამრავალფეროვნებს და ანვითარებს ადამიანის გონიერებას, პიროვნების ცნობიერებას, კვებავს და აძლიერებს ინდივიდის სააზროვნო სისტემას.

კრიტიკული აზროვნების ისტორიაში კრიტიკის დანიშნულება დიდია. ეს კარგად აქვს გაცნობიერებული წერილის ავტორს და გვაძლევს შემდეგ უმნიშვნელოვანეს პრინციპებს,რომელთა გამოყენებით ყალიბდება სრულყოფილი და ობიექტური კრიტიკული აზროვნება.

კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, კრიტიკოსის უპირველესი ფუნქციაა უზრუნველყოს ის, რაც საშუალო მკითხველისათვის დამალულია. ესე იგი, კრიტიკოსმა ამა თუ იმ ნაშრომში უნდა მოძებნოს ის ბუნდოვანი და საეჭვო მხარეები, რომლებიც გაურკვეველია რიგითი მკითხველისათვის და ამ ხარვეზების გონიერი აღმოჩენით შესძლოს მათთვის სრულყოფილი და გასაგები ინფორმაციის მიწოდება.

კრიტიკის დანიშნულების ეს სავალდებულო პრინციპი უმნიშვნელოვანესია. ეს დასტურდება იმითაც, როდესაც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ვკითხულობთ ამა თუ იმ ავტორის ნაწარ-

მოებს და ვეცნობით ამ ნაწარმოებზე კრიტიკას. და ამის შემდეგ, რასაკვირველია, ჩვენთვის ნათელი ხდება უფრო მეტად მისი შინაარსი, ცალკეული ეპიზოდები, კრიტიკის წაკითხვის შემდეგ ჩვენ ღრმად ვაცნობიერებთ ნაწარმოების ავ-კარგს, მის დადებით და უარყოფით მხარეებს, ნაშრომის იდეურ და თვისობრივ სულისკვეთებას.

ზემოთ აღნიშნული პრობლემა კრიტიკოსმა უმტკივნეულოდ რომ გადაწყვიტოს, ამისათვის, კონსტანტინე მიქელაძის აზრით, აუცილებელია იგი თავისი გონებრივი განვითარების დიაპაზონით საზოგადოების საშუალო წრეებზე მაღლა იდგეს.

მიქელაძესთან კრიტიკის დანიშნულების მეორე მხარე მდგომარეობს ნაწარმოების ავ-კარგის სრულყოფილად წარმოჩენაში. აი, რას ამბობს იგი: "კრიტიკოსისთვის საკმარისი არ არის ერთი კალმის მოსმით, გაკვრით განაცხადოს, რომ ესა თუ ის შრომა არ შეფერის ავტორის მიერ დასმულ მიზანს; საჭიროა საგნის დადებითი განხილვით უჩვენოს მკითხველთ შრომის ნაკლი და ღირსება და შეეცადოს მათ გაუკაფოს გზა სინამდვილის და ჭეშმარიტებისაკენ".

კონსტანტინე მიქელაძისათვის კრიტიკაში მთავარია მრავალფეროვნება. რაში მდგომარეობს ეს უკანასკნელი?

ჭეშმარიტმა კრიტიკოსმა ნაშრომში უნდა აღმოაჩინოს ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები. მისი ერთ-ერთი უძირითადესი ფუნქცია ამ მიმართულებით მოქმედებაში მდგომარეობს. მან შესაფასებელი ნაწარმოები უნდა განიხილოს დადებითად და უარყოფითად. აი, კრიტიკის დანიშნულება, კრიტიკული აზროვნების ქვაკუთხედი.

კრიტიკა, რომელიც ნაშრომის მხოლოდ პოზიტიური განხილვით შემოიფარგლება, არ არის კრიტიკა და პირიქით, კრიტიკა, რომელიც ნაწარმოების მხოლოდ ნეგატიური გარჩევით შემოისაზღვრება, მოკლებულია ჭეშმარიტი კრიტიკის ღირებულებებს.

კრიტიკოსმა ნაწარმოები ერთდროულად დადებითად და უარყოფითად უნდა შეაფასოს. სპეციალური ნიჭის გარეშე ნაშრომის სათანადო ანალიზი ყველას არ ძალუძს. სწორედ ამას ამხელს კონსტანტინე მიქელაძე და გმობს ყალბ კრიტიკოსებს, ანუ ე.წ. კრიტიკანებს. ნაშრომი არ შეიძლება მხოლოდ პოზიტიურად განვიხილოთ, ვამხილოთ მარტო დადებითი მხარეები და არ წარმოვაჩინოთ ანტიპოზიტიური ასპექტები. არ არსებობს იდეალური ნაშრომი და პირიქით, აბსოლუტურად ცუდი ქმნილება. სწორედ ზემოთ

აღნიშნულის გათვალისწინებით მიუთითებდა კონსტანტინე მიქელაძე იმას, რომ "მხოლოდ ასეთი ნაბიჯები იწვევენ საზოგადოების დიდ ყურადღებას. საზოგადოება იმავე ინტერესებით მიეგებება კრიტიკული შენიშვნების გამოქვეყნებას, როგორც ახალი შრომის გამოსვლას".

ჩვენ გამოვყავით კრიტიკოსის ორი მნიშვნელოვანი და უმთავრესი დანიშნულება: მან უნდა უზრუნველყოს მკითხველისათვის იმის გაშუქება, რაც ნაწარმოებში "მისთვის დამალულია" და ნაშრომი განიხილოს ნეგატიურ და პოზიტიურ განზომილებაში. ახლა გავეცნოთ კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრებას კრიტიკოსის პიროვნების თაობაზე.

იურისტის შეხედულებით, კრიტიკა ისეთი ფაქიზი საქმეა, რომ ის შეუძლებელია მიენდოს ისეთ პირთ, რომლეთაც არც ძალა და არც ცოდნა შესწევთ, ავტორის აზრებს უნახონ თავი და ბოლო.

კრიტიკოსობა დამოუკიდებელი პროფესიაა, რომელიც უნდა გამოვლინდეს პროფესიონალიზმით. იმას, ვინც ამ საქმეს ასრულებს, უნდა ჰქონდეს "საგნის ცოდნა, საღი აზროვნება და კრიტიკული ნიჭი". ეი. ავტორი აფიქსირებს იმ დადებით თვისებებს, რომლის საშუალებით ინდივიდი აანალიზებს ამა თუ იმ ნაწარმოების ძირითად ასპექტებს.

ჩვენის აზრით, საგნის ცოდნაში კონსტანტინე მიქელაძე გულისხმობს კრიტიკის ობიექტის სრულფასოვან აღქმას. მან ჯერ უნდა შეისწავლოს ნაშრომის შინაარსი, სიღრმისეულად უნდა ჩასწვდეს მას და შემდეგ გააკეთოს შეფასებითი დასკვნები.

კრიტიკოსს უნდა ჰქონდეს საღი აზროვნებისა და მოცემული საკითხის განსჯის უნარი. ამისათვის საჭიროა გარკვეული განათლება, საგნის ცოდნა. კრიტიკა თავის სფეროში მოითხოვს სპეციალიზაციას. ლიტერატურის სფეროში მომუშავე კრიტიკოსი შეფასებას ვერ მისცემს იურიდიული ხასიათის ქმნილებას და, პირიქით, ხელოვნების დარგის კრიტიკოსი სამართლის სფეროში მიღებულ ნაწარმოებს და ა.შ. ყველა დარგს საკუთარი პროფესიონალი კრიტიკოსი, შემფასებელი უნდა ჰყავდეს.

პიროვნება პროფესიონალ და საქმის მცოდნე კრიტიკოსად რომ ჩამოყალიბდეს, კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, აუცილებელია "კრიტიკული ნიჭი". ეს უკანასკნელი ობიექტურ კანონზომიერებას ექვემდებარება. იგი არის თანდაყოლილი უნარი. კრიტიკოსობა მხოლოდ ცოდნით არ მოიპოვება, ეს არის გამორჩეული ნიჭი, რომელიც აღამიანს ბუნების ძალისაგან ეძლევა. ამიტომ

ამისთვის მხოლოდ ცოდნა და განათლება არ კმარა. კრიტიკოსობა ურთულესი პროფესიაა.

კონსტანტინე მიქელაძე არა თუ მარტო ზემოთ დაფიქსირებული მსჯელობით შემოიფარგლება, არამედ ორიოდე სიტყვით მიგვანიშნებს კრიტიკის მიზანზე.

ავტორის აზრით, კრიტიკოსის უპირველესი მიზანია "გაუკაფოს გზა სინამდვილეს და ჭეშმარიტებას". ეს იყო ყოველი დროის კრიტიკული აზროვნების უმთავრესი მისია.

კრიტიკა ჭეშმარიტების კვლევაა, კრიტიკა სინამდვილის აღქმაა, რეალობის მიგნებისაღმი სწრაფვაა. მოკლედ, იგი ემსახურება სიმართლეს, კრიტიკა თავად მეცნიერებაა, თუმცა, როგორც მოგახსენეთ, ყველა კრიტიკა არ არის მეცნიერება.

კონსტანტინე მიქელაძე სწუხს იმის გამო, რომ ჩვენში კრიტიკულმა აზროვნებამ დაკარგა თავისი დანიშნულება და გადაუხვია სწორ გზას. ამის განმაპირობებელ ერთადერთ მიზეზად იგი ასახელებს იმ ადამიანთა სახელმწიფოებრივ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩაბმას, რომელთა "მომზადება და ნიჭი უზურნველყოფდა კრიტიკის დანიშნულების ჯეროვნად შესრულებას". ამ დამაბრკოლებელი ბარიერის გამო კრიტიკოსები ვერ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას და ხელს უშლიან ქართული კრიტიკული აზროვნების სრულყოფილებას. ეს მტკივნეული ფაქტი გაბედულადაა მხილებული კონსტანტინე მიქელაძის ამ წერილში.

ავტორი წუხს, რომ ამ გარემოებამ გამოიწვია ჟურნალ-გაზეთებში ისეთი უსუსური და უშინაარსო კრიტიკული წერილების გამოქვეყნება, რომელთა ღირებულება დაბალი და უმნიშვნელოა და, ამავე დროს, ლახავენ პრესის ღირსებას და პატივს.

კონსტანტინე მიქელაძის თქმით, ასეთი კრიტიკული შენიშვნების საუცხოო ნიმუშს წარმოადგენს ბ. ნიკრისელის წერილი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალ "შვიდი მნათობის" ფურცლებზე. კონსტანტინე მიქელაძე გმობს რეცენზენტის ამ არაობიექტურ კრიტიკას და გაზეთ "ერთობის" საშუალებით რადიკალურად პასუხობს მას: "აი ასეთ კრიტიკოსთა რიცხვს ეკუთვნის ის პირი, რომელსაც მიუღია თავის თავზე ნახსენები ჟურნალისათვის იურიდიული შინაარსის წიგნების განხილვა და მათი ღირებულებების საზოგადოების ყურადღების და დაფასების სასწორზე დადება.

აღნიშნული პირის კრიტიკული გარჩევა მოგვაგონებს ისეთ პირთა კრიტიკას, რომელიც თავის მწერლობით მოღვაწეობაში მჭიდრო ნაბიჯები არ აქვთ, და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ საგნის უცოდინრობის გამო სწერს სხვისი ნალაპარაკევის, სხვისი სიტყვების მიხედვით. ამის გამო შენიშვნებსაც ყალბი ნიადაგი აქვთ.

ამგვარი ხასიათის ნაწერს წარმოადგენს წიგნის - "დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა" ბ. ნიკრისელის კრიტიკა.

წიგნის სათაური უკარნახებს მკითხველთ, რა საკითხს უნდა შეხებოდა ავტორი. წიგნზე წარწერიდან კი - "ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ" ნათლად ჩანს, რომ ავტორს იმის მიზანი კი არ ჰქონდა, რომ მთელი საკითხი სავსებით გამოერკვია, არამედ გამოეთქვა ზოგიერთი მოსაზრებანი, რომელიც უნდა შეხებოდა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციის პრინციპებს,მოწინავე სახელმწიფოთა წესწყობილებას და ჩვენში ფაქტურად არსებული სახელმწიფოებრივი ცხოვრების პირობებს.

კრიტიკული შენიშვნების ავტორს ბ. ნიკრისელს თავის თავზე მიუღია გაბედულება, გადაჭრით ეთქვა თავისი "სამართლიანი" სიტყვა ნახსენები წიგნის ღირებულების შესახებ. მისი აზრით, ავტორს "ყურადღება არ მიუქცევია უკვე გამომუშავებული ტერმინოლოგიისათვის და თავის მხრივ ახალი ტერმინების პირდაპირი თარგმანით უზარმაზარი არეულობა და გაუგებრობა შეაქვს საკითხში", "ავტორი ამასთანავე აზროვნებს რუსულად და წერს ქართულად წმინდა რუსული კონსტრუქციით" და "წესწყობილების ამორჩევაში ვერ გვეხმარება".

"კრიტიკის" მოყვანილი მოსაზრებანი არაფერს არ ემყარება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მის "ავტორიტეტულ" განცხადებას, რომელსაც მკითხველმა ბრმად უნდა დაუჯეროს.

იმ პირობებში, როდესაც მუშავდება სამეცნიერო ტერმინოლოგია, ძლიერ ძნელია ითქვას, თუ რომელი ტერმინია უკეთესი. ჩვენ ჯერ არ გაგვივლია ვითარების ის გზა, რომ შეგვეძლოს ჩავთვალოთ ესა თუ ის ტერმინი საბოლოოდ მიღებულად. ამ შემთხვევაში, თუ კრიტიკოსს არ მოსწონს ის ტერმინები, რომელსაც ესა თუ ის ავტორი ხმარობს, და მოსწონს ის, რომელიც მას პირველად გაუგონია, ეს არ არის იმის მაჩვენებელი, რომ უნდა იქნეს მიღებული ის, რაც მას მოსწონს.

იმ დროს, როდესაც კრიტიკოსი უარყოფითად უყურებს ავტორის მიერ წამოყენებულ ტერმინებს და უვარგისად თვლის, მას უნდა განემარტა მათი უვარგისობა და ეს მით უმეტეს, რომ ის ნახულობს, რომ ავტორის ტერმინოლოგიას "უზარმაზარი არეულობა და გაუგებრობა შეაქვს საკითხში".

"კრიტიკული" შენიშვნების ავტორს მე არ ვიცნობ. არ ვიცი რა გვარს ატარებს ის და რა მიმართულების არის, ვინაიდან ფსევდონიმის ნიღაბით აქვს შეკრული თავპირი. არ ვიცი აგრეთვე ჰქონდა თუ არა ოდესმე იურისპრუდენციასთან რაიმე კავშირი, ის კი ნათელია, რომ მას წიგნის კითხვა ვერ უსწავლია...

იმ პირთ, რომელიც თავიანთ თავზე მიუღიათ სერიოზულ ჟურნალში კრიტიკული შენიშვნების მოთავსება, უნდა ახსოვდეთ, რომ ამისთვის საკმარისი არ არის ენის საშუალებით აზრების თავისუფლად გამოთქმა, საჭიროა საგნის ცოდნა, საღი აზროვნება და კრიტიკული ნიჭი. ხოლო სერიოზულ ჟურნალისთვის ნდობის მოსაპოვებლად საჭიროა, რომ მოთავსებულ იქნენ ისეთი წერილები, რომელნიც მის ღირებულებას ამაღლებენ და არა ასეთი, რომელთაც ზიანის გარდა რაიმე სხვის მოტანა არ შეუძლიათ".[4]

ამ წერილს კონსტანტინე მიქელაძე აწერს ხელს. გვერდით დაფიქსირებულია "ბაქო". ივარაუდება, რომ იგი ავტორს ქალაქ ბაქოში აქვს დაწერილი.

* * *

ჩვენის აზრით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ ა) პოლიტიკური კრიტიკა ბ) საზოგადოებრივი კრიტიკისაგან.

პოლიტიკური კრიტიკა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამართლებრივი უფლებაა, პოლიტიკური კრიტიკის არსი მდგომარეობს ხელისუფლების სახელმწიფოებრივი კურსის ნეგატიურ შეფასებაში.

ამ უფლების სუბიექტი არის ცალკეული ინდივიდი, ადამიანთა ჯგუფი და ხალხი. ჩვენის აზრით, ამ კლასიფიკაციის მიხედვით უნდა გამოვყოთ ა) ინდივიდუალური პოლიტიკური კრიტიკა; ბ) ჯგუფური პოლიტიკური კრიტიკა და გ) სახალხო პოლიტიკური კრიტიკა.

---

4. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 10 დეკემბერი.

პოლიტიკური კრიტიკა ინდივიდუალურია მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მოქალაქე ზეპირად თუ წერილობითი ფორმით უკმაყოფილებას გამოხატავს საკუთარი სახელმწიფოს პოლიტიკური მიმართულების თაობაზე და უარყოფით შეფასებას აძლევს მას.

ჯგუფური კრიტიკა მდგომარეობს ხელისუფლების იმდაგვარ შეფასებაში, როდესაც გარკვეული სოციალური, საზოგადოებრივი ჯგუფები, ასოციაციები გმობენ სახელმწიფო პოლიტიკას, უარყოფითი კრიტიკით გამოხატავენ თავიანთ პოზიციას. ჯგუფის ეს მოქმედება შეიძლება გამოვლინდეს დემონსტრაციით, მანიფესტაციით, მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით და ა.შ.

სახალხო პოლიტიკური კრიტიკა საერთოდ ხალხის უნდობლობაში გამოიხატება. იგი ქვეყნის მასშტაბით მასობრივ ხასიათს ღებულობს და შეიძლება არეულობაში, აჯანყებაში გადაიზარდოს.

პოლიტიკური კრიტიკა დანაშაული არ არის და იგი ეროვნული კანონთა სისტემის შესაბამისად არ ისჯება.

განსაკუთრებით მსურს ყურადღება მივაქციო ერთ უმნიშვნელოვანეს გარემოებას. პოლიტიკური კრიტიკა, როგორც პრიორიტეტული უფლება, არ არის განმტკიცებული საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლება-თავისუფლებათა ერთიან სისტემაში. მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ იგი, როგორც ერთ-ერთი დემოკრატიული ღირებულება, გათვალისწინებულ იქნეს კონსტიტუციურ ურთიერთობათა ამ იერარქიაში. მისი ნორმატიული წესით დეკლარირება სიტყვის თავისუფლების უზენაესობის ერთ-ერთ გარანტად უნდა ჩავთვალოთ.

ჩვენის აზრით, „საზოგადოებრივი კრიტიკა“ ემსახურება სულიერი კულტურის ამაღლებას, კრიტიკული აზროვნების გამრავალფეროვნებას. საზოგადოებრივი კრიტიკა მოიცავს ისეთ მძლავრ ფაქტორებს, როგორიცაა ხელოვნების, მეცნიერების, ლიტერატურულ-მხატვრული და ა.შ. ნაწარმოებების გარჩევას, გაანალიზებას, განსჯას. მაგ.: ქართული ეროვნული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიაში ფასდაუდებელია ლავროსი კალანდაძის, დიმიტრი ბენაშვილის, გერონტი ქიქოძის, გიორგი ჯიბლაძის, სერგი ჭილაიას, ჯანსულ ღვინჯილიას, გურამ გვერდწითელის, ზვიად გამსახურდიას, თამაზ წივწივაძის, კობა იმედაშვილის და სხვა ცნობილ კრიტიკოსთა მოღვაწეობა ამ სფეროში. მათი კრიტიკულ-მეცნიერული

შრომები ეროვნული სალიტერატურო კულტურის საგანძურს წარმოადგენენ. აღნიშნულ ავტორთა კრიტიკული შრომები ესთეტიკურ ღირებულებებს ამკვიდრებენ.

იურისპრუდენციის დარგში ძველი ქართული სამართლებრივი აზროვნების კრიტიკის თვალსაზრისით განუზომელია პროფესორ ივანე სრუგულაძის ღვაწლი.

* * *

ზემოთ აღნიშნულის შეჯამების შედეგად მოკლე დასკვნის გაკეთება შეიძლება: კონსტანტინე მიქელაძე, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი ფრიად განათლებული და ინტელიგენტი პიროვნება, კრიტიკას ადამიანის აზროვნების განვითარების საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი კრიტიკოსის დანიშნულებად თვლის ნაწარმოების იმ მომენტების ახსნას, რომელიც უბრალო მკითხველისათვის ხელმიუწვდომელია და მას მოუწოდებს ნაშრომი განიხილოს მის ნეგატიურ და პოზიტიურ განზომილებაში. წარმოაჩინოს არამარტო მისი ღირსება, არამედ არსებული ნაკლიც. კრიტიკოსის პროფესიონალიზმის მაჩვენებლად კონსტანტინე მიქელაძე თვლის ცოდნას, საღ აზროვნებას და კრიტიკულ ნიჭს. რაც შეეხება მიზანს, ავტორის აზრით, უნდა იყოს ჭეშმარიტების, ობიექტური სინამდვილის ძიება.

იურისტის ეს მსჯელობა საბოლოო ჯამში მნიშვნელოვანია და პროგრესულობით ხასიათდება.

თავი მეხუთე

კონსტანტინე მიქელაძე და მოხელეთა უფლებები

დიდი გერმანელი მეცნიერი სამუელ პუფენდორფი სახელმწიფოს "რთულ მორალურ მოვლენას", ხოლო ბუნებითი სამართლის ცნობილი წარმომადგენელი, ინგლისელი ტომას ჰობზი "დიდ მექანიზმს" უწოდებდა.

"დიდი მექანიზმი" გულისხმობს პოლიტიკურ კონიუნქტურას, ერთიან სახელმწიფოებრივ მორფოლოგიას.

თითოეული სახელმწიფო მოიცავს ორ მთავარ სუბიექტებს: ა) ორგანოებს და ბ) მოხელეებს. მათი ერთიანობა ქმნის გარკვეულ სტრუქტურას, ხოლო ამ უკანასკნელთა კონგლომერატი სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. არ არსებობს ორგანოთა საქმიანობა მოხელეთა გარეშე. სახელმწიფოს ფუნქციონირება ემყარება პოლიტიკური მნიშვნელობის თანამდებობის პირთა ანუ მოხელეთა საქმიანობას.

ჩვენის აზრით, ცენტრალიზაციის მიხედვით სახელმწიფოებრივი ანატომია შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) ბიუროკრატიული ცენტრალიზმი და ბ) პოლიტიკური ცენტრალიზმი. ორივე ინსტიტუტი თავისებურია.

ბიუროკრატიული ანუ აბსოლუტური ცენტრალიზმი გულისხმობს სახელმწიფოს ერთიანობას, სადაც გამორიცხულია ფართო საჯარო ხელისუფლების არსებობა, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ფუნქციების გამიჯვნა, ე.ი. პოლიტიკური დემოკრატიზაცია. ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პირობებში არ გვხვდება მართვის ცალკეული სისტემები, ადგილი აქვს მოხელეთა და ორგანოთა სიმცირეს, სახელმწიფოებრივი ხელისუფლება აკუმულირებულია ერთი პიროვნების ხელში.

პოლიტიკური ცენტრალიზმი განსხვავდება ჩვენს მიერ შემოღებული "შეფარდებითი ცენტრალიზმისაგან".[1] პოლიტიკური ცენტრალიზმი ეს არის პოლიტიკური წესრიგი, სტაბილურობა. აქ სახელმწიფოებრივი ფუნქციები გადანაწილებულია ორგანოებს

შორის და მოხელეთა მრავალრიცხოვანი სისტემა არსებობს. პოლიტიკური ცენტრალიზმისათვის დამახასიათებელია სახელმწიფოებრივი პროცესების დემოკრატიზაცია, სახელმწიფოს ფუნქციები ერთიან ფორმას ღებულობს, რომელთა განხორციელებას უზრუნველყოფს მოხელეთა დიდი არმია.

* * *

ისტორიულად და სამართლებრივად მოხელის დანიშნულება ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში პრიორიტეტულია. სახელმწიფო მოხელე ქმნის პოლიტიკას.

ძველი საქართველოს სახელმწიფოებრივ სისტემაში ცენტრალური ადგილი ეკავა უმაღლეს მოხელეს - მეფეს. მას ჰყავდა მრავალრიცხოვანი საჯარო აპარატი, რომლის მეშვეობით ის აწარმოებდა საგარეო და საშინაო პოლიტიკას. სულხან-საბა ორბელიანის გამოყენებული აქვს ტერმინი "ხელქვეითი", რომელშიც გულისხმობს მმართველობის ორგანოს წარმომადგენელს. მოხელეები მეფის დავალებით ასრულებდნენ სახელმწიფოს სხვადასხვა ფუნქციებს. ისინი, ამავე დროს, თანამდებობის პირები იყვნენ. გვიანფეოდალური ქართული სამართლებრივი დოკუმენტების მიხედვით, მათ "მოხელეებს" ეძახდნენ, ხოლო იმ მოვალეობას, რომელსაც ისინი ასრულებდნენ, "სახელო" ეწოდებოდა.

მოხელეთა პრეროგატივაში შედიოდა განკარგულების გამოცემის უფლება, ხოლო "საქმის მომქმედნი" აღასრულებდნენ ამ განკარგულებებს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ ცალკე თავი დაუთმო სახელმწიფო მოხელეთა უფლებებსა და მოვალეობებს. იგი ოთხი მუხლისაგან შედგება. აღნიშნული მეთხუთმეტე თავის ავტორია კონსტანტინე მიქელაძე.

კონსტიტუციის პროექტის შემდგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კონსტიტუციის დებულებათა შექმნას მაღალკვალიფიციურ დონეზე. ძირითადი კანონი სისტემატიზირებული უნდა ყოფილიყო. დასახელდა ცალკეული ადამიანები, რომლებსაც დაევალა კონსტიტუციის შესაბამისი თავების ჩამოყალიბება.

---

1. ბექა ქანთარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ. 2002 წელი, გვ. 258.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 27 ნოემბრის სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა სამსონ დადიანი, დაისვა საკითხი, რომლის თანახმად ("კონსტიტუციის დებულებათა შემუშავების განაწილება კომისიის წევრთა შორის") მ. ჩხეიძემ მიიღო დავალება ერთ-ერთი თავის ("კორპორაციული უფლებანი") ჩამოყალიბების თაობაზე.

კონსტანტინე მიქელაძეს კი წილად ხვდა "მოხელეთა უფლება-მოვალეობანი"-ს დაწერა.[2]

კონსტანტინე მიქელაძემ აღნიშნულ საკითხზე სუბიექტური შეხედულებები ჯერ კიდევ 1918 წელს მისი ავტორობით გამოცემულ იურიდიულ ნაშრომში ჩამოაყალიბა.

იურისტის მითითებით, მოხელე თანამდებობის პირია, რომელიც სამართლებრივ საქმიანობას აწარმოებს სახელმწიფო მმართველობის სფეროში. მან საკუთარი მოვალეობა უნდა შეუფარდოს სამართლის ნორმებს.

კონსტანტინე მიქელაძე ერთმანეთისგან განასახვავებს მოსამართლისა და მოხელის დანიშნულებას. მისი აზრით, მოსამართლე იცავს უფლებას, ხოლო მოხელე სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია.[3]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ის თავი, რომელიც მოხელეთა უფლებებს ეხება, ოთხი მუხლისაგან შესდგება, ხოლო საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმებში დაცული კონსტანტინე მიქელაძის მიერ შედგენილი "მოხელეთა უფლებანი" მოიცავს შვიდ პუნქტს. კონსტიტუციის ეს თავი, რა თქმა უნდა, უფრო ლაკონურად და დახვეწილად არის ჩამოყალიბებული.

კონსტიტუციის 138-ე მუხლში ზოგადადაა ფორმირებული მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის წესი, მაშინ, როდესაც კონსტანტინე მიქელაძის პროექტში სახელმწიფო მოხელეებს ნიშნავს და ათავისუფლებს მთავრობა და კანონში აღნიშნული თანამდებობის პირები. პროექტის მიხედვით, სახელმწიფო კონტროლიორი

---

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 120.

3. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 52.

თანამდებობაზე ნიშნავს მოხელეს ამ სფეროში. ეს უკანასკნელი აღნიშნულ მუხლში არ არის გათვალისწინებული. როგორც ჩანს, კონსტანტინე მიქელაძის პროექტმა შემდგომში დახვეწილი ფორმა მიიღო (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი - ბ.ქ.).

კონსტანტინე მიქელაძემ დიდი როლი შეასრულა კონსტიტუციის შექმნის საქმეში, რასაც ყოველივე აღნიშნული ადასტურებს. მან მტკიცედ შეასრულა საკონსტიტუციო კომისიის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებები. მისი შეხედულებები მოხელეთა შესახებ პროგრესულობით ხასიათდება და ჩვენც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ აქვე გამოგვექვეყნებინა იურისტის მიერ შექმნილი ის კონსტიტუციური დებულება, 1921 წლის კონსტიტუციის სისხლხორცეული ნაწილი, რომელიც მოხელეთა სამართლებრივ მდგომარეობას ასახავს.

სახელმწიფო მოხელენი შედგენილია კონსტანტინე მიქელაძის მიერ

1. სახელმწიფო მოხელეებს ნიშნავენ და სცვლიან მთავრობა და კანონში აღნიშნული თანამდებობის პირნი: ამგვარივე უფლება აქვს სახელმწიფო კონტროლიორს სახელმწიფო კონტროლის მოხელეთა შესახებ.

2. არცერთი მოხელე არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან სასამართლოს დადგენილების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დათხოვნის მიზეზი არის მოხელის სამსახურისათვის უვარგისობა. კანონი საზღვრავს მოხელეთა დათხოვნის საფუძვლებს და დისციპლინურ სასჯელთა დადების პირობებს.

3. უვარგისობისათვის სამსახურიდან დათხოვნილ მოხელეს უფლება ეძლევა სასამართლო წესით ეძიოს თავისი სათანამდებო მდგომარეობის აღდგენა.

4. მოხელის თანამდებობიდან გადაყენებას თან უნდა სდევდეს მისი სამართალში მიცემა.

5. პასუხისგებაში მიცემული მოხელის გამართლება სასამართლოს წესით იწვევს გამართლებულის დაკმაყოფილებას სასყიდლის და საოანამდებო მდგომარეობის აღდგენით.

6. თითოეულ მოხელეს ენიჭება უფლება პენსიაზე, მოხელის თუ მისი ოჯახის წევრების მიერ პენსიის მიღების პირობებს საზღვრავს კანონი.

7. თითოეული მოხელე პასუხისმგებელია სისხლის სამართლის კანონის დადგენილების მიხედვით საერთო წესით მის მიერ სამსახურში ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის. არცერთი თანამდებობის პირი არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან იმ მოქმედებისათვის, რომელიც იწვევს მოქალაქეთათვის მორალურ ან მატერიალურ ზიანს.[4]

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 24 მაისის სხდომაზე დღის წესრიგში დადგა იმ პროექტის განხილვა,

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 52.

რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მოხელეთა უფლებებს და რომლის ავტორი გახლავთ კონსტანტინე მიქელაძე. სხვადასხვა პირთა წინადადების საფუძველზე პროექტში უამრავი ცვლილებები და დამატებები შევიდა.

კომისიის სხდომის თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე აცხადებს კომისიის წინაშე, რომ "განსახილველია პროექტი სახელმწიფო მოხელეების შესახებ. მთავარი მომხსენებელია ავტორი პროექტისა კონსტანტინე მიქელაძე, რომელიც დაწვრილებით ეხება პროექტის ძირითად დებულებებს".[5] თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ შედგა ინტენსიური კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კ. ანდრონიკაშვილმა, მ. ხოჭოლავამ, კ. ჯაფარიძემ, გ. ნანეიშვილმა და კ. მიქელაძემ. მ. ხოჭოლავას წინადადებით კომისიამ უარყო პროექტზე ზოგადი მსჯელობა და გადავიდა მის მუხლობრივ განხილვაზე.

კომისიამ მოიწონა კონსტანტინე მიქელაძის მიერ წარმოდგენილი პროექტი, მაგრამ მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მიზანშეწონილად ჩათვალა.

კონსტანტინე მიქელაძემ წაიკითხა პროექტის პირველი მუხლი.

მუხლი პირველი - "სახელმწიფო მოხელეებს ნიშნავს და ცვლის მთავრობა და კანონში აღნიშნული თანამდებობის პირნი: ამგვარივე უფლება აქვს სახელმწიფო კონტროლიორს მოხელეთა შესახებ".

აღნიშნულმა დებულებამ გამოიწვია კამათი. გ. ნანეიშვილის წინადადებით, საკონსტიტუციო კომისიამ პროექტის პირველი მუხლის ტექსტი შეცვალა შემდეგნაირად: "ყოველ თანამდებობაზე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველი მოქალაქე, თუ იგი ამ კანონში აღნიშნულ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს" (უკანასკნელი ნორმა შეადარეთ 1921 წლის კონსტიტუციის 138-ე მუხლს - ანალოგიურია - ბ.ქ.).

კონსტანტინე მიქელაძემ წევრებს წარმოუდგინა პროექტის მეორე მუხლის ტექსტი.

მუხლი მეორე - "არცეთრი მოხელე არ შეიძლება დათხოვნილ იქნეს სამსახურიდან სასამართლოს დადგენილების გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დათხოვნის მიზეზი არის მოხელის სამსახურისათვის უვარგისობა. კანონი საზღვრავს მოხელე-

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 258.

თა დათხოვნის საფუძვლებს და დისციპლინურ სასჯელთა დადების პირობებს".

შედგა ინტენსიური დებატები. ამჯერად მსჯელობაში მონაწილეობა მიიღეს რ. არსენიძემ, ი. გობეჩიამ და გ. ნანეიშვილმა.

რ. არსენიძემ საჭიროდ ჩათვალა კონსტიტუციაში შეტანილი ყოფილიყო მოხელეთა გარანტიები. მ. ხოჭოლავას აზრით, მთავრობას უნდა მისცემოდა მოხელის გადაყენების უფლება. რ. არსენიძემ ეს წინადადება არ გაიზიარა და მოხელეთა გადაყენების პრეროგატივა მხოლოდ სასამართლოს მიანიჭა. აქ, როგორც ჩანს, კ. მიქელაძისა და რ. არსენიძის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა.

დიდი კამათის შემდეგ კონსტანტინე მიქელაძის პროექტის მეორე მუხლი შეიცვალა გ. ნანეიშვილის წინადადებით: "მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება იქნეს გადაყენებული თანამდებობიდან იმ ორგანოს ან პირის განკარგულებით, ვისგანაც იყო დანიშნული. ხოლო სრულებით დათხოვნა სამსახურიდან შეიძლება სასამართლოს ან მისი ორგანოთა დადგენილებით".[6] (უკანასკნელი ნორმა შეადარეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 139 მუხლს, ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან - ბ.ქ.).

კონსტანტინე მიქელაძემ სათითაოდ წაიკითხა პროექტის მესამე, მეოთხე და მეხუთე მუხლები.

მუხლი მესამე - "უვარგისობისათვის სამსახურიდან დათხოვნილ მოხელეს უფლება ეძლევა სასამართლო წესით ეძიოს თავისი სათანამდებო მდგომარეობა".

მუხლი მეოთხე "მოხელის თანამდებობიდან გადაყენებას თან უნდა სდევდეს მისი სამართალში მიცემა".

მუხლი მეხუთე "პასუხისმგებლობაში მიცემული მოხელის გამართლება სასამართლოს წესით იწვევს გამართლებულის დაკმაყოფილებას სასყიდლის და სათანამდებო მდგომარეობის აღდგენით".[7]

რაჟდენ არსენიძისა და გიორგი ნანეიშვილის წინადადებით კომისიამ დაადგინა: "ეს მუხლები ამოღებულ იქნენ პროექტიდან".

მომხსენებელი კონსტანტინე მიქელაძე აგრძელებს დებულე-

---

6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 259.

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 52.

ბათა წარმოდგენას. ამჯერად წაკითხულ იქნა მეექვსე მუხლი.

მუხლი მეექვსე - "თითოეულ მოხელეს ენიჭება უფლება პენსიაზე, მოხელის თუ მისი ოჯახის წევრების მიერ პენსიის მიღების პირობებს საზღვრავს კანონი".

კამათში მონაწილეობა მიიღეს მ. ხოჭოლავამ, კ. ჯაფარიძემ და კ. მიქელაძემ. მსჯელობის შემდეგ კომისიამ მეექვსე მუხლი უცვლელად დატოვა (პროექტის მეექვსე მუხლი შეადარეთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 140 მუხლს - ანალოგიურია - ბ.ქ.).

მომხსენებლის მიერ წაკითხულ იქნა პროექტის ბოლო მეშვიდე მუხლი. მუხლი მეშვიდე - "თითოეული მოხელე პასუხისმგებელია სისხლის სამართლის კანონის დადგენილების მიხედვით საერთო წესით მის მიერ სამსახურში ჩადენილი ბოროტმოქმედებებისათვის. არცერთი თანამდებობის პირი არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნეს სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან იმ მოქმედებისათვის, რომელიც იწვევს მოქალაქისათვის მორალურ და მატერიალურ ზიანს".

დისპუტში აქტიურად ჩაებნენ გ. გვაზავა, გ. ნანეიშვილი და თავად მომხსენებელი კ. მიქელაძე.[8]

წარმოდგენილ იქნა მეშვიდე მუხლის განსხვავებული ვარიანტი. გ. ნანეიშვილი - "თითოეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისაებრ".

გ. გვაზავა - "ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე მისი დანაშაულისათვის საზოგადო წესით".

ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მოხელის მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მოსთხოვოს სახელმწიფოს".

საკონსტიტუციო კომისიამ ერთხმად მიიღო გ. გვაზავასა და გ. ნანეიშვილის შესწორებები (შეადარეთ ისინი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 141 მუხლს - ანალოგიურია - ბ.ქ.).

აი, ასეთი ვნებათაღელვის შედეგად დაიბვეწა კონსტანტინე მიქელაძის მიერ წარმოდგენილი დებულება სახელმწიფო მოხელისა. მიქელაძის პროექტი ითვალისწინებდა შვიდ მუხლს, ხოლო 1921 წლის კონსტიტუციაში მოხელეთა უფლებებს დაეთმო მხოლოდ

---

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 260.

ოთხი მუხლი. ეს შედეგი იყო ზემოთ წარმოდგენილი პროცესისა.

თვალი გადავაგლოთ 1921 წლის კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტს:

თავი მეთხუთმეტე, სახელმწიფო მოხელენი -

მუხლი 138 საქართველოს მოქალაქე შეიძლება მიღებულ იქნეს ყოველ თანამდებობაზე, თუ კანონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს.

მუხლი 139 მოხელე ან თანამდებობის პირი შეიძლება გადაყენებულ ან დისციპლინარული წესით დასჯილ იქნეს იმ დაწესებულების ან უფროსის განკარგულებით, ვისგანაც იყო მიღებული; ხოლო სამსახურიდან სრულიად დათხოვნის წესს განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 140 თითოეულ მოხელეს აქვს უფლება პენსიის მიღებისა. მოხელისა და მისი ოჯახის წევრთა მიერ პენსიის მიღების პირობას განსაზღვრავს კანონი.

მუხლი 141 - თითოეული მოხელე პასუხისმგებელია სასამართლოს წინაშე საერთო წესისაებრ.

მოქალაქეს უფლება აქვს პასუხისგებაში მისცეს ყოველი მოხელე საზოგადო წესით მისი დანაშაულისათვის.

მოქალაქეს უფლება აქვს მოსთხოვოს მოხელის უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება სახელმწიფოს.

ანაზღაურების წესი და პირობა განისაზღვრება კანონით.

თავი მეექვსე

კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრებანი ადგილობრივ თვითმართველობაზე

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებდა, რომ დემოკრატიული წესწყობილების შესაქმნელად საჭიროა რესპუბლიკის პატარა-პატარა ნაწილებად შექმნა, სადაც შესაძლებელია ადგილობრივი დამოუკიდებელი ცხოვრება.[1]

დიდი ილია ბრძანებდა, რომ "ყოველი სახელმწიფო, რიგითს წესზედ ცოტათი თუ ბევრად დამდგარი, ნაწილ-ნაწილად არის დაყოფილი, რომ მოელა და პატრონობა ადვილი იყოს. მაგალითად, რუსეთის იმპერია დაყოფილია გუბერნიებად, გუბერნიები მაზრებად, მაზრები სოფლის საზოგადოებად".[2]

რუსეთში ადგილობრივ თვითმმართველობას საფუძველი ჩაეყარა 1864 წელს განხორციელებული რეფორმათა შედეგად. მნიშვნელოვანი იყო საერობო სისტემის მოდერნიზაცია.

1864 წლის 1 იანვარს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ გამოსცა დებულება "საგუბერნიო და სამაზრო-საერობო დაწესებულებათა შესახებ".

ერობები აირჩეოდა გუბერნიებსა და მაზრებში. ერობის შემადგენლობაში ირჩევდნენ არამარტო მემამულე-თავადაზნაურობას, არამედ ბურჟუაზიის წარმომადგენლობასაც, ვაჭრებს, კულაკებს, სოფლის ბობოლებს.[3]

თუმცა XIX საუკუნეში ამბობდნენ, რომ "გუბერნიები და მაზრები ერის სხეულს აქუცმაცებენ".[4]

ცარიზმის დროინდელი არადემოკრატიული თვითმმართველობები არ გამოხატავდნენ და არ შეიცავდნენ საერთოდ თვითმმართველობისათვის სპეციფიკურ ნიშნებს.

---

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 234.

2. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 36

3. ე. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძის შეხედულება სახელმწიფოსა და სამართალზე, 1977 წელი, გვ. 56.

4. აკაკი გელოვანი, სვეტი ნათლისა, გვ. 133.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ადგილობრივი თვითმმართველობის დამოუკიდებელი სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო 1918-1921 წლებში.

დამფუძნებელმა კრებამ განსაზღვრა ქვეყნის ადგილობრივი მმართველობის ხასიათი,რომელიც თვითმმართველობის პრინციპს დაემყარა. თვითმმართველობის ორგანოები ირჩეოდნენ მოსახლეობის მიერ პროპორციული საარჩევნო სისტემით. ამ პრინციპთა საფუძველზე 1919 წელს საქართველოში ჩატარდა სამაზრო ერობებისა და ოთხი ქალაქის მუნიციპალიტეტის არჩევნები. ეს იყო საქართველოში დამოუკიდებელი თვითმმართველობის სისტემის პირველი მცდელობა.[5]

ადგილობრივი საკითხები საერთო ეროვნული პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. სახელმწიფოებრივი აზროვნება სტაბილურ და მოქნილ თვითმმართველობებს ეფუძნება.

აი, როგორ მიუთითებდნენ: "ადგილობრივი გამაგრება მთავრობისა, ერთი უდიდესი და უმძიმესი საკითხთაგანია ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობისათვის. ერობა სიმაგრეს და საფუძველს წარმოადგენს ჩვენი წყობილებისა და რომელსაც უპირველესად უნდა ჰქონდეს ყურადღება მიქცეული".[6]

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებს, რომ პიროვნების უფლებების გარანტიებიდან კონსტიტუციაში უნდა იქნეს აღნიშნული სხვა სახის გარანტიებიც. აქედან იურისტი ხაზს უსვამს ადგილობრივ თვითმმართველობას.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ადგილობრივი თვითმმართველობა მმართველობის ისეთი სისტემაა, როდესაც ქვეყნის განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ერთეულში ხალხის ნაწილი თვითონ განაგებს ლოკალური მნიშვნელობის საქმეებს ადგილობრივი საზოგადოების დახმარებით.

1918-1921 წლების საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის გამომხატველი იყო ერობა.

ადგილობრივი საქმეების მოწესრიგება ცენტრალური მთავრობის დახმარებით და მასთან შეთანხმებით უნდა აწარმოოს ადგილობრივმა თვითმმართველობამ - ერობამ. მხოლოდ ერობას შეუძლია აღნიშნული საქმეების გაძღოლა.[7]

---

5. ადგილობრივი თვითმმართველობა, ბიულეტენი №1, 2002 წელი, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მარკეტინგის სასწავლო-კვლევითი ცენტრი.

6. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 17 ნოემბერი.

7. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 18 იანვარი.

კონსტანტინე მიქელაძე, როგორც ვთქვით, მიუთითებდა, რომ კონსტიტუციაში უნდა იქნეს გათვალისწინებული "სხვა ჯგურის გარანტიები - ადგილობრივი თვითმმართველობები". საკითხისადმი იურისტის ამგვარი დამოკიდებულება საკონსტიტუციო კომისიამ გაამართლა. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში სრულმასშტაბურად იქნა დეკლარირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტი, მისი ორგანიზაცია და უფლებამოსილება. ადგილობრივ თვითმმართველობას ძირითად კანონში მეათე თავი დაეთმო.

როგორც ვიცით, დემოკრატიულ წყობილებაში ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის მეოხებით ხალხი ახორციელებს ლოკალური მნიშვნელობის ორგანიზაციულ საკითხებს, რაც მოსახლეობის მმართველობით საქმიანობაში მონაწილეობის მიღების ეფექტური საშუალებაა. ეს უკანასკნელი ჩამოყალიბებულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლში. კანონში ნათქვამია: "საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ თვითმმართველობის მეშვეობით სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად".

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებით, ადგილობრივი თვითმმართველობა ფართო უფლებამოსილებით არის აღჭურვილი და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებს "ეკონომიკურ და კულტურულ ღონისძიებებს".

იურისტის ეს განმარტება სიტყვა-სიტყვით აისახა 1921 წლის კონსტიტუციის 98-ე მუხლში. აქ მითითებულია: "ადგილობრივი თვითმმართველობა არის იმავე დროს ორგანო ადგილობრივი მმართველობისა და განაგებს ადგილობრივი გამგეობის კულტურულ-განმანათლებელ და სამეურნეო საქმეებს თავის ტერიტორიის ფარგლებში". კონსტანტინე მიქელაძე განსაზღვრავს თვითმმართველობათა არამარტო დანიშნულებას, არამედ მნიშვნელობასაც.

თვითმმართველობები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედებენ სახელმწიფოს ერთ განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ნაწილში და, იურისტის აზრით, წარმოადგენენ "დიდ ძალას და ასევე პროგრესული და კულტურული მნიშვნელობა გააჩნიათ".[8] ვინაიდან, ადგილობრივი თვითმმართველობა ემსახურება ადგილობრივ და საერთო საჭიროებას.[9]

8. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21.
9. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 1 სექტემბერი.

დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა ლოგიკურად, რომ "თვითმმართველობა მეტად ხელს უმართავს ქვეყნის კეთილდღეობასა, ხალხს აფხიზლებს, ჭკუასა და გონებას უხსნის, რადგანაც საზოგადო მზრუნველობისათვის ხალხს აღვიძებს და საზოგადო საქმისათვის სწრაფვის და ავარჯიშებს. ადგილობრივი საქმენი თვით ადგილობრივთა მცხოვრებთაგან განიგება".[10]

ჭეშმარიტებაა ტოკვილის სიტყვებში: "თვითმმართველობათა გარეშე ერს შეუძლია შექმნას თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობა, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ მის გარეშე თავისუფლების ჭეშმარიტ სულს იგი ვერ შეიმეცნებს".[11]

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, თვითმმართველობები უნიტარულ სახელმწიფოში გვხვდება. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ მისი ნაშრომიდან ციტატა: "იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პატარა სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს ერობის სახე, მაშინ კი, თუ სახელმწიფო დიდ და რთულ ერთეულს წარმოადგენს მცხოვრებთა სიმრავლისა და სოციალურ და ეროვნულ სხვადასხვაობის მხრივ, ინტერესი სახელმწიფოს პროგრესული ვითარებისა მოითხოვენ თვითმმართველობისათვის მინიჭებას საკანონმდებლო შემოქმედების უფლებას ადგილობრივი ინტერესების სფეროში".[12]

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ. იურისტის აზრით, თუ სახელმწიფო პატარაა (იგულისხმება როგორც ქვეყნის ტერიტორია, ასევე მოსახლეობა ბ.ქ.), მაშინ ადგილობრივი თვითმმართველობისათვის ავტონომიის მიკუთვნება მიზანშეუწონელია, რადგან სახელმწიფო "პატარაა" და მმართველობითი სისტემის "გართულება" გამოიწვევს არაეფექტურობას.

საგულისხმოა, რომ კონსტანტინე მიქელაძე ამ შემთხვევაში საქართველოს მოიაზრებდა, როგორც მცირე მოცულობის სახელმწიფოს და უარყოფდა, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ხელისუფლების ვერტიკალურად დანაწილებას, ე.ი. ფედერალიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა.

საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გადანაწილება სახელმწიფოში "თვითმმართველობისათვის", იუ-

10. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. VI, გვ. 36.
11. ტოკვილი, დემოკრატია ამერიკაში.
12. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21-22.

რისტის შეხედულებით, მაშინ ხდება მიზანშეწონილი, როდესაც სახელმწიფო აკმაყოფილებს სამ პირობას: ა) იგი უნდა იყოს "დიდი"; ბ) სახელმწიფო მოსახლეობის სიმრავლით უნდა გამოირჩეოდეს; გ) მას უნდა ახასიათებდეს "სოციალური და ეროვნული სხვადასხვაობა".

"დიდი", როგორც ასეთი, საქართველო არ ყოფილა და არც მოსახლეობის სიმრავლით გამოირჩეოდა. თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ თანამედროვე მსოფლიოს ის ქვეყნები, რომლებიც სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული თვალსაზრისით ფედერაციულად არიან მოწყობილნი, ხასიათდებიან ტერიტორიის სიდიდით და მოსახლეობის სოლიდური სიმრავლით. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი ფედერაციაზე, სადაც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება გადანაწილებულია ცენტრსა და მის სუბიექტებს შორის.

საქართველოს სინამდვილეში ფედერაციულად მოწყობის აუცილებლობას გამორიცხავს კონსტანტინე მიქელაძე და ფედერალიზმთან შედარებით უპირატესობას უნიტარიზმს ანიჭებს.

ადგილობრივი თვითმმართველობები გარკვეული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს. აღნიშნული საკითხი არაერთხელ ყოფილა განხილვის საგანი საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე.

1918 წლის 27 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე მუხლობრივად განიხილეს გიორგი ნანეიშვილის მიერ წარმოდგენილი ფინანსებთან დაკავშირებული დებულება. მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კონსტანტინე მიქელაძემ. წაკითხულ იქნა პირველი მუხლი დებულებისა. გამოიკვეთა ორი ალტერნატიული პოზიცია. პირველის თანახმად, გადასახადების დაწესების უფლება უნდა ჰქონოდა მხოლოდ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტს. ეს დაფიქსირებული იყო აღნიშნულ დებულებაში. უკანასკნელ წინადადებას იზიარებდნენ კომისიის წევრები: ნანეიშვილი, ნათაძე, საყვარელიძე, მაყაშვილი, წერეთელი. ამ შეხედულებას იზიარებდა კონსტანტინე მიქელაძე. კომისიის წევრთა მეორე ჯგუფი (დადიანი, ჩხეიძე და სხვები) მოითხოვდა თვითმმართველობისათვის მიეცათ გადასახადების დაწესების უფლებამოსილება.[13]

---

13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 12.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 106 მუხლის შესაბამისად, ადგილობრივ თვითმმართველობას მიენიჭა საბიუჯეტო უფლება. უზენაესმა კანონმა შენიშვნის სახით ჩამოაყალიბა შემდეგი დათქმა: "ადგილობრივი თვითმმართველობის გადასახადთა დაწესების უფლებას ცალკე კანონი განსაზღვრავს".

1921 წლის კონსტიტუციამ მეშვიდე თავი მიუძღვნა სახელმწიფო ფინანსებს. 84-ე მუხლის ძალით, სახელმწიფო გადასახადების დაწესებას ამტკიცებდა მხოლოდ პარლამენტი. 1995 წლის კონსტიტუციის მეექვსე თავში განსაზღვრულია საფინანსო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები.

* * *

კონსტანტინე მიქელაძე ქვეყნის ერთ-ერთ ძირითად სამართლებრივ პრიორიტეტად მიიჩნევს მოქალაქეთათვის საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში ფართო უფლებების მინიჭებას. თუ ეს უფლებები გარანტირებულია, მაშინ, იურისტის მტკიცებით, "მშრომელი ხალხისათვის უფრო ადვილია ყველა სამართლიან სურვილთა დაკმაყოფილება".[14]

იგი რადიკალურად ეწინააღმდეგება თვითმმართველობაში ცენტრის იძულებით ჩარევას, ვინაიდან, ეს აბრკოლებს ადგილობრივი ინტერესების აყვავებას და იწვევს ხალხის უფლებების ხელყოფას. სწორედ ასე აფასებდა იგი ცენტრალური ხელისუფლების არაობიექტურ დამოკიდებულებას პერიფერიისადმი.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრები ი. გობეჩია და ი. ბარათაშვილი აღიარებდნენ კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე, რომ ადგილობრივი მმართველობა არ უნდა ემორჩილებოდეს მართვა-გამგეობის საქმეში მთავრობას და მათი დამოუკიდებლობა უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.[15]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 103 მუხლის თანახმად, კანონის ფარგლებში მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს

---

14. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21.

15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 42.

უფლება ეძლეოდა კონტროლი გაეწია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაციული საქმიანობისათვის. ეს გამოიხატებოდა მთავრობის ცენტრალური ორგანოების მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილებისა და განკარგულების შეჩერებაში, თუ ისინი, რასაკვირველია, გამოიცემოდა არაკანონიერად. ამის შესახებ საქმე სასამართლოს გადაეცემოდა.

კონსტანტინე მიქელაძე ცენტრალიზმს განიხილავს ისეთ კატეგორიად, რომელიც "არ არის გამოწვეული სახელმწიფოს სიძლიერით და მისი საქმეების ნაყოფიერი მსვლელობით". იურისტის აზრით, ცენტრალიზმს შეუძლია "ძირიანად ჩაკლას მოქალაქეებში ყოველივე სურვილი და უნარი თვითმოქმედებისა". ეს უკანასკნელი თავიდან რომ იქნეს აცილებული, მიქელაძის შეხედულებით, საჭიროა ადგილობრივმა თვითმმართველობამ ავტონომიურად აწარმოოს ეკონომიკური და კულტურული ღონისძიებები. ამ საკითხს არაერთი სხდომა და შეკრება მიეძღვნა.

სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის 1918 წლის 17 ნოემბრის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ადგილობრივ თვითმმართველობას, მომხსენებელი ალექსანდრე ლომთათიძე მიუთითებდა: "ადგილობრივი საქმეების გაძღოლის დროს ჩვენ ერთი პრინციპი გვაქვს - დემოკრატიული ცენტრალიზმი. ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ შეიძლება ცენტრის საკეთებელი შემოკლდეს და ადგილობრივი საქმეები გადავიდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში. ცენტრის კომპეტენციაში უნდა იყოს საერთო ხელმძღვანელობა, ყველა პრაქტიკული ადგილობრივი ხასიათის კითხვები შევა ადგილობრივ თვითმმართველობათა კომპეტენციაში".

იმავე სხდომაზე ისიდორე სალაყაია განმარტავდა, რომ "სახელმწიფო რთული ორგანიზმია. ფუნქციათა ნაწილი ცენტრიდან აუცილებლად უნდა გადავიდეს პერიფერიებში".[16]

დიდი ილია ჭავჭავაძე უარყოფდა ცენტრალიზმს. აღიარებდა, რომ "ცენტრალიზებული სისტემა იმგვარს მოწყობილობას ნიშნავს, როცა უფლება და გამგეობა სახელმწიფოებრივი, ეროის კაცის ხელშია".[17]

1918-1921 წლების დემოკრატიულ საქართველოში ელიტარული

16. გაზეთი "ერთობა", 1918 წელი, 27 ნოემბერი.
17. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. V, გვ. 316-317.

საზოგადოების მცირე ნაწილი მმართველობის სფეროში მეტი ცენტრალიზაციის შენარჩუნებას უჭერდა მხარს.[18]

ხელისუფლების დეცენტრალიზაციის გამომხატველია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეათე თავი.

კონსტანტინე მიქელაძე საუბრობს თვითმმართველობის მნიშვნელობაზე. იგი მიუთითებს: "კონსტიტუციაში თვითმმართველობის უფლებების განმტკიცებით სახელმწიფო განიცდის თვითშეზღუდვას. ამ უფლების და საზოგადოდ თავისუფლების და პოლიტიკური უფლებების საშუალებით მოქალაქეთ ეძლევათ ძალა და საშუალება გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ყოველი დარგის შემოქმედებაზე და შეაჩერონ სახელმწიფოებრივი ძალის მიდრეკილება პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალური სახით ჩამოყალიბებისაკენ. მაგრამ მოქალაქეთა თვითმოქმედების თავისუფლებას საზღვარი უნდა ჰქონდეს. სახელმწიფოს უზენაეს ძალას, რომ ჰქონდეს სახე მთლიანობის და სიძლიერისა, საჭიროა, რომ მას ექნეს მინიჭებული უფლება ზოგიერთი დარგის ცენტრალისტურად მოწყობისა. მხოლოდ დემოკრატიის მტკიცე შეგნებაზე არის დამყარებული იმის გადაწყვეტა, თუ სახელმწიფოს რომელი დარგი უნდა შერჩეს ცენტრს და რომელი უნდა იქნეს შებღალული და არც ადგილობრივი ინტერესები დამცირებულ-დავიწყებული".[19]

თანამედროვე ქართულმა დემოკრატიამ დააფუძნა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ახლებური პრინციპები. ამ სფეროში ხორციელდება რეფორმები, რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარებას. მაგრამ საბოლოო გამარჯვებამდე გრძელი გზაა გასავლელი.

უახლოეს მომავალში მომზადდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი სახელმწიფო კომისიის შესაქმნელად, რომელიც გააგრძელებს დაწყებულ მუშაობას ქვეყნის ტერიტორიული და ადმინისტრაციული მმაროველობის სრულყოფისათვის.[20]

ადგილობრივ თვითმმართველობაში ამ ბოლო დროს ჩატარებულმა არჩევნებმა ცხადყო ხალხის პოლიტიკური საქმიანობის დემოკრა-

---

18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 28.

19. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 21-22.

20. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 9 იულისი.

ტიზაცია. თუმცა ადგილი ჰქონდა სერიოზულ და მრავალმხრივ დარღვევებს, უფლების ხელყოფას. აქედან აღსანიშნავია კანდიდატთა წარდგენის პროცედურა.

საქართველოში განხორციელებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა გამოავლინა ყველაზე ნეგატიური მხარე: მერობის და გამგებლობის კანდიდატებად და საკრებულოს წევრებად წარდგენილ იქნა ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთი ულირსი ქცევებით უარყოფით დამოკიდებულებას იმსახურებენ საზოგადოებაში. სამართლიანად მიუთითებს იმერეთის მხარეში სახელმწიფოს რწმუნებული, ბ-ნი თ. შაშიაშვილი, რომ "უმეცარი პოლიტიკოსების, პოლიტიკური ძალების მიერ არჩევნების პროცესის კრიმინალიზაცია მოხდა და ხელისუფლებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდა, რომელთა არჩევა კი არა, ხელისუფლებასთან ახლოს მიკარებაც კი დანაშაულია".[21]

მომავალში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მერობის, გამგებლობისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატთა კომპეტენტურობის საკითხი. ამ თანამდებობაზე კონკურსის სახით უნდა იქნეს წარდგენილი პიროვნებები. აქედან უპირატეს მნიშვნელობას, ჩვენის აზრით, იკავებს კანდიდატის ა) ზნეობრიობა; ბ) პროფესიონალიზმი და გ) ადგილობრივ ორგანოებში მუშაობის გამოცდილება.

ეს მიზანშეწონილია იმისათვის, რომ მომავალში თანამდებობაზე არ მოხვდეს ულირსი ადამიანები. ამის მწარე გაკვეთილი უკვე განვიცადეთ. ზოგიერთ ადგილობრივ თვითმმართველობასა და მმართველობაში, არჩევნების საფუძველზე, მოვიდა ისეთი ადამიანები, რომლებსაც სრულებით არ აწუხებთ ადგილობრივი პრობლემები, გარდა პირადულისა.

მომავალში ამ პრობლემის თავიდან აცილების მიზნით იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულმა გამოსცა განკარგულება: "იმერეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელობის კანდიდატთა შერჩევის წესისა და პრინციპების თაობაზე".[22]

ამგვარ განკარგულებას სრულიად საქართველო საჭიროებს!

---

21. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 7 ივლისი.
22. გაზეთი "საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 7 ივნისი.

თავი მეშვიდე

კონსტანტინე მიქელაძე და სახელმწიფო კონტროლი

„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თეორიის მიხედვით, სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტი ჯანსაღი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელებაა.

XIX საუკუნის ფრანგული უტოპიური სოციალიზმის წარმომადგენლები (განსაკუთრებით კლოდ ანრი სენ სიმონი) უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ სახელმწიფოში საკუთრებითი ურთიერთობების მოწესრიგებას, ვინაიდან, სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლად მიაჩნდათ.

გერმანული იდეალიზმის ერთერთი წარმომადგენელი იმანუელ კანტი საერთოდ უარყოფდა სახელმწიფო ხელისუფლების განკარგულებაში საკუთრების არსებობას. მისი აზრით, ხელისუფლებას არ უნდა გააჩნდეს საკუთრება. ეს დებულება სახელმწიფოებრივ პრინციპს არ შეესაბამება, ვინაიდან, პრაქტიკაში არ არსებობს ისეთი ქვეყნის სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელსაც არ გააჩნდეს საბიუჯეტო სისტემა. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკურ-სამართლებრივი კონიუნქტურა და სოციალური მოვლენა, ვერ იარსებებს ნივთიერი ღირებულების გარეშე. საკუთრების განკარგვა, ფლობა და სარგებლობა ძლიერი სახელმწიფოს არსებობისა და ფუნქციონირების საფუძველია. ამიტომ არ არსებობს სახელმწიფო საკუთრების გარეშე.

ნეოკანტიანური მოძღვრების მამამთავარი, გერმანელი იურისტი რუდოლფ შტამლერი სხვაგვარად ფიქრობს და სახელმწიფოს არსებობის საფუძვლად თელის არა ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ სამართალს, მისი მტკიცებით, სამართალია სახელმწიფოებრივი არსებობის განმსაზღვრელი.

სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე წარმოიშვა სამართალი, როგორც სახელმწიფოებრიობის ერთერთი პრიორიტეტული ფუნდამენტი. არ არსებობს სახელმწიფო სამართალის გარეშე და პირიქით, სამართალი სახელმწიფოს გარეშე. სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა სამართლებრივი მოვლენა. იგი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობს.

ჩვენის აზრით, სახელმწიფოებრივი ანატომიის ფუნქციონირების ბერკეტებია:

ა) სამართალი;

ბ) ეკონომიკა.

აქედან ერთერთის გამოყოფა და მისთვის უპირატესობის მინიჭება ყოვლად შეუძლებელია, ორივე თანაბარმნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოსათვის. ამიტომ სახელმწიფო არამარტო სამართლებრივი, არამედ ეკონომიკური ფენომენიცაა

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე ვიქტორ თევზაია სამართლიანად მიუთითებდა, რომ „დღევანდელი სახელმწიფო არ არის მარტო პოლიტიკური ორგანიზაცია, სახელმწიფო არის ამავე დროს ეკონომიკური ორგანიზაციაც.[1]

ეკონომიკური, საბიუჯეტო პოლიტიკა სახელმწიფოს საგარეო და საშინაო ფუნქციებთან არის დაკავშირებული. ფულადი სახსრების მიზნობრივი გამოყენებისა და სტაბილური ეკონომიკური პოლიტიკის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო მმართველობის ორგანოებზე ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს და ამისათვის ქმნის ქვეყნის ფინანსური ზედამხედველობის უმაღლეს ორგანოს - კონტროლის პალატას. ამ უკანასკნელზე ამახვილებს ყურადღებას კონსტანტინე მიქელაძე.

სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე დაყრდნობით, თუმცა მათზე კონკრეტული მითითების გარეშე, იურისტი განსაზღვრავს კონსტიტუციური გარანტიების დაცვის მექანიზმებს. ესენია: ა) კონტროლი და ბ) ინდივიდუალური პასუხისმგებლობა

კონსტანტინე მიქელაძე იცნობს კონტროლის შემდეგ ფორმებს:

ა) პარლამენტარული კონტროლი;

ბ) ადმინისტრაციული კონტროლი;

გ) საფინანსო კონტროლი;

დ) სახალხო კონტროლი;

ე) სამოსამართლო კონტროლი.

კონსტანტინე მიქელაძე „პარლამენტარული კონტროლის“ ქვეშ მოიაზრებს პარლამენტის ისეთ მოქმედებას, როდესაც იგი აკრიტიკებს მთავრობის საქმიანობას, შეკითხვებით მიმართავს უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას და ნიშნავს საპარლამენტო გამოძიე-

1. გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 16-17 დეკემბერი.

ბას. იურისტი საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას სთავაზობდა, რომ კონსტიტუციაში დაეფიქსირებინათ „პარლამენტარული კონტროლის“ ეს პრინციპები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ უზენაესმა კანონმა გაითვალისწინა მიქელაძის ეს ლოგიკური წინადადება.

კონსტიტუციით დაწესდა მთავრობაზე პარლამენტის კონტროლი, 59-ე მუხლის ძალით, საკანონმდებლო ორგანოს წევრებს უფლება ჰქონდა მთავრობის მიმართ შეეტანათ შეკითხვები, რაც შეეხება საპარლამენტო გამოძიებას, კონსტიტუციის იგივე მუხლში პირდაპირ აისახა: „პარლამენტს უფლება აქვს დანიშნოს საგამომძიებლო საანკეტო კომისია“.

იურისტის აზრით, „ადმინისტრაციული კონტროლი“ შეიცავს უმაღლეს დაწესებულებათა ზედამხედველობას მათ დაქვემდებარებაში მყოფ ორგანოებზე.

„სახალხო კონტროლი“ თავისთავად გულისხმობს რეფერენდუმსა და ინიციატივას. ეს ინსტიტუტები დეკლარირებულია კონსტიტუციის 63 და 64 მუხლებში. ამ შემთხვევაში ხალხი ახორციელებს ზედამხედველობას უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებაზე (ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი - ბ.ქ.).

„სამოსამართლო კონტროლი“ იგივე „კონსტიტუციური კონტროლია“, რომელიც ძირითადი კანონის უზენაესობას უზრუნველყოფს.

„საფინანსო კონტროლის“ ქვეშ მოიაზრება „სახელმწიფო კონტროლიორი“. ჯერ კიდევ საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 1 ივნისის გაფართოებულ სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელი, საქართველოს ფინანსთა მინისტრი გიორგი ჟურული თავის მოხსენებაში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღების აუცილებლობაზე მიუთითებდა. მინისტრი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნული საფინანსო პოლიტიკის გაჯანსაღებას. გიორგი ჟურული სახელმწიფოებრივი მეურნეობის მართვა-გამგეობას შემდეგ ფუძემდებლურ პრინციპებზე ამყარებდა: ა) სახელმწიფო ბიუჯეტი; ბ) სახელმწიფო კასის და ხაზინის სათანადო მოწყობა; გ) სახელმწიფო კონტროლის შემოღება.[2]

გიორგი ჟურულმა აღნიშნულ სხდომაზე პრინციპულად დასვა საკითხი, რომლის თანახმად, მთავრობას უნდა ეთხოვა საქართვე-

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 321, ფურცელი 4.

ლოს ეროვნული საბჭოსადმი, რომ დაარსებულიყო სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობა და იგი მოეწვიათ იმ წესით, როგორც ამას საბჭო დაადგენდა.

ამ საკითხს მიეძღვნა საქართველოს ეროვნული საბჭოს საფინანსო და საბიუჯეტო კომისიის 1918 წლის 3 ივნისის სხდომა (თავმჯდომარე დიომიდე თოფურიძე). ფინანსთა მინისტრმა გააკეთა მოხსენება საქართველოში სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის შემოღების შესახებ. სხდომაზე მიღებულ იქნა საკმაოდ პოზიტიური დადგენილება. გამოირკვა, რომ კონტროლი უნდა ყოფილიყო დამოუკიდებელი, საჯარო, ხალხის ნებასურვილის გამომხატველი, წინასწარი, ფაქტიური და მერმინდელი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს კანონი „სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ"

მუხლი პირველი - დაარსდეს საქართველოს რესპუბლიკაში თანამდებობა სახელმწიფო კონტროლიორისა.

მუხლი მეორე - უთანხმოებას რესპუბლიკის კონტროლიორსა და მთავრობას შორის არჩევს და სწყვეტს ეროვნული საბჭო.

მუხლი მესამე - საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კანონების ის მუხლები, რომელიც ამ დებულებას ეწინააღმდეგება, ამიერიდან გაუქმებულია.

1918 წელი 28 ივნისი

საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.[3]

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 23 ივნისის სხდომაზე ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში საქართველოს სახელმწიფო კონტროლის უწყების პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთერთი ფუძემდებელი ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილი.[4] საქართველოს

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 321, ფურცელი 28.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 321, ფურცელი 26.

ეროვნული საბჭოს 1918 წლის 27 სექტემბრის კანონით სახელმწიფო კონტროლიორს დაენიშნა ჯამაგირი სახელმწიფო ბიუჯეტიდან.[5]

მადლიერმა შთამომავლობამ ღირსეულად დააფასა პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის ღვაწლი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. წლეულს მისი ნეშტი დედა-უნივერსიტეტის ეზოში დაკრძალეს, დიდი ივანე ჯავახიშვილის გვერდით. იქვე დაიდგა მისი ბიუსტი.

საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის წინადადებითა და კონტროლის პალატის პრეზიდიუმის დადგენილებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტების წარჩინებული სტუდენტებისათვის 2001 წლის 1 სექტემბრიდან დაწესდა პროფესორ ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის სტიპენდია.[6]

* * *

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, საფინანსო კონტროლის ფუნქციას წარმოადგენს თვალყური ადევნოს სახელმწიფოს „ფინანსურ მდგომარეობას და ვითარებას".[7] გარდა ამისა, მას აქვს რევიზიის ანუ შემოწმების უფლება „სახელმწიფო ორგანოთა ფინანსური და სამეურნეო მოღვაწეობისა და დაკანონებულ ხარჯთა გამოყენებისდაცვაზედ". იურისტის აზრით, საფინანსო კონტროლის მოღვაწეობას მაშინ ექნება რეალური შედეგი, თუ იგი მთავრობისაგან დამოუკიდებელია და აქვს ფაქტობრივი და იურიდიული საშუალება, გაეცნოს თითოეული სახელმწიფოებრივი დაწესებულების სამეურნეო და ფინანსური მოღვაწეობის მიმართულებას.

კონსტანტინე მიქელაძის იურიდიულ ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა სახელმწიფო კონტროლიორის დანიშნულებისა და საქმიანობის ძირითად ასპექტებს. მიქელაძის ძირითადი კონცეფცია შემდეგნაირია:

სახელმწიფო კონტროლიორი დამოუკიდებელი უნდა იყოს, რომელსაც იურისტის მითითებით, უნდა ირჩევდეს საკანონმდებ-

---

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 321, ფურცელი 41.

6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 16 აპრილი.

7. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. 1918 წელი.



ფილიპე გოგიჩაიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო კონტროლის (კონტროლის პალატა) პირველი თავმჯდომარე.

ლო ორგანო. სახელმწიფო კონტროლიორმა პასუხი უნდა აგოს ხალხის წარმომადგენლების წინაშე და იგი არ უნდა შეიდიოდეს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენლობაში. შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინე მიქელაძემ ჩამოაყალიბა სახელმწიფო კონტროლიორის სამართლებრივი მდგომარეობა:

ა) კონტროლის დამოუკიდებლობა;

ბ) პარლამენტის მიერ კონტროლიორის არჩევითობა;

გ) პარლამენტის წინაშე სახელმწიფო კონტროლიორის პასუხისმგებლობა;

დ) სახელმწიფო კონტროლიორის დამოუკიდებლობა მთავრობის შემადგენლობისაგან.

კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია ნათლად აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 92 მუხლში. აქ ნათქვამია: „სახელმწიფო კონტროლიორს ირჩევს პარლამენტი. იგი არ ითვლება მინისტრთა კაბინეტის წევრად, მაგრამ აღჭურვილია მინისტრის უფლებით და პასუხისმგებელია მხოლოდ პარლამენტის წინაშე. იგი ყოველწლიურად ანგარიშს უდგენს პარლამენტს".

უნდა ვთქვათ, რომ კონსტიტუციამ არ შექმნა კონტროლიორის დამოუკიდებლობის მყარი გარანტია. ეს კი გამომდინარეობს კონსტიტუციის 92 მუხლიდან.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, თუ სახელმწიფო კონტროლი დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენს და ყოველგვარი მიკერძოების გარეშე ასრულებს მასზე დაკისრებულ ფუნქციებს, მაშინ შესაძლებელია მან ქმედითი, ობიექტური კონტროლი განახორციელოს მთავრობის საფინანსო საქმიანობის სფეროში.

საინტერესოა, შედარებითი ანალიზი გავაკეთოთ 1921 წლის და 1995 წლების კონსტიტუციების მიხედვით. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 37 მუხლის თანახმად, კონტროლის პალატა დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. კონტროლის პალატის თავმჯდომარეს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით 5 წლის ვადით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ნიშნავს პარლამენტი. მისი თანამდებობიდან გადაყენება შეიძლება მხოლოდ პარლამენტის გადაწყვეტილებით 64 მუხლის შესაბამისად (იმპიჩმენტი).

თუ 1995 წლის კონსტიტუციის 37 მუხლის მეორე ქვეპუნ-

ქტი ამკვდირებს კონტროლის დამოუკიდებლობას, 1921 წლის კონსტიტუცია ასეთ ნორმას არ შეიცავს.

სახელმწიფო კონტროლს 1921 წლის კონსტიტუციაში ეთმობა მეშვიდე, ხოლო 1995 წლის უზენაეს აქტში მეექვსე თავი.

კონსტანტინე მიქელაძის მითითებით, სახელმწიფო კონტროლის ფუნქციას უნდა წარმოადგენდეს ზედამხედველობა გაუწიოს მთავრობის სამეურნეო მოღვაწეობას. მან უნდა შეამოწმოს, შეესაბამება თუ არა მთავრობის აქტები სახელმწიფოს მოქმედ სხვა კანონებს. რა თქმა უნდა, მხედველობაშია ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლების საბიუჯეტო სფეროს ეხება.

კონსტანტინე მიქელაძე განამტკიცებს ობიექტურობის პრინციპს. იურისტის აზრით, მთავრობას და სახელმწიფო კონტროლს შორის უნდა გამოირიცხოს რაიმე ფარული ალიანსი, რადგან „ის იქ ჩავარდება მთავრობის გავლენის ცეცხლში". სახელმწიფო კონტროლიორს მთავრობის საბჭოში არ უნდა ჰქონდეს ადგილი. იგი სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს თავის საქმიანობაში.

მეტად საინტერესოდაა მოცემული კონსტანტინე მიქელაძის ნაშრომში ის მოქმედებანი, რომლებიც უნდა განახორციელოს სახელმწიფო კონტროლიორმა იმ შემთხვევაში, როდესაც მთავრობის მხრიდან ადგილი ექნება არსებულ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ქმედებებს.

იურისტის შეხედულებით, კონტროლიორი უფლებამოსილი უნდა იყოს გადასინჯოს მთავრობის საქმიანობა და, თუ აღმოაჩენს უკანონობას და შეცდომას, ან არ ეთანხმება მთავრობის სამეურნეო ან საფინანსო მოღვაწეობის მიმართულებას, მაშინ მან თავისი აზრი და შეხედულება უნდა აღიაროს ამის თაობაზე, მაგრამ თუ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება წინააღმდეგობას გაუწევს სახელმწიფო კონტროლიორს და არ დაეთანხმება მის ამ მოსაზრებას, ან შეხედულებას, კონტროლიორს უნდა დარჩეს ერთი საშუალება: აღძრას ამის შესახებ საკითხი პარლამენტში და მთავრობა ამით იძულებული გახდება, პასუხი გასცეს მას.

1921 წლის კონსტიტუციის მეშვიდე თავი (სახელმწიფო კონტროლი) არ შეიცავს ამგვარ პროცედურას.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, უნდა დაისაჯონ თანამდებობის ის პირები, რომლებიც არამიზნობრივად იყენებენ სახელმწიფოს ფინანსებს. იგი დამნაშავეთათვის ცნობს „ინდივიდუალურ

პასუხისმგებლობას". იურისტი აღიარებს, რომ კონსტიტუციის საფუძველზე უნდა დაისაჯონ თანამდებობის პირები, რომლებიც კანონდაუმორჩილებლობას ავლენენ. ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას უნდა დაექვემდებაროს მოხელე, მოსამართლე, სახელმწიფოს მოთაყვე, მთავრობის წევრი, ხალხის წარმომადგენელი, მათ პასუხი სასამართლოს წინაშე უნდა აგონ.

ახლა კი, მოკლედ თანამედროვე საქართველოს კონტროლის პალატაზე.

საქართველოს კონტროლის პალატის მოღვაწეობა ათწლიანი დროით შემოიფარგლება. პარლამენტის მიერ მიღებულია კანონები, რომლებიც აწესრიგებენ ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოს სამართლებრივ საქმიანობას.

საქართველოს კონტროლის პალატას გააჩნია თავისი დეპარტამენტები. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს დეპარტამენტი 2001 წლის სექტემბერში შეიქმნა, რომლის ცენტრი მცხეთაშია. ამავე დროს წარმომადგენლობები აქვს თბილისში, რუსთავში, თელავში, გორსა და ახალციხეში. ახალი სტრუქტურით ცენტრს სტრატეგიული ამოცანების კონცენტრირების შესაძლებლობა მიეცა, ხოლო ოპერატიულ-ტექნიკური კავშირები, რომლებიც შემოწმებისათვის გარკვეულ რესურსებს საჭიროებს, წარმომადგენლებს გადაეცა.[9]

2002 წლის 20 ივნისს თბილისში გაიხსნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს მესამე სესია, სადაც ფინანსური კონტროლის სფეროში არსებულ პრობლემათა გადაჭრის შესაძლო გზებზე იმსჯელეს.[10] შეხვედრაზე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი ქვეყნების ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების ხელმძღვანელთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობა ერთი წლის ვადით დაეკისრა საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, ბ-ნ სულხან მოლაშვილს.

კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია ამ სისტემის ფუნქციისა და დანიშნულების შესახებ უცვლელად აისახა 1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუციაში.

---

9. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 3 ივლისი.
10. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2002 წელი, 21 ივნისი.

თავი მერვე

კონსტანტინე მიქელაძე და „უფლებრივი“ ანუ სამართლებრივი სახელმწიფო

საქართველოს 1918-1921 წლების პოლიტიკური და იურიდიული საკითხების კვლევა-ძიებისას ჩვენი საკმაო დაინტერესება გამოიწვია მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში „სამართლებრივი სახელმწიფოს“ იდეის შესახებ კონკრეტულ პიროვნებათა შეხედულებებმა და წარმოდგენებმა, რომლებმაც შემდგომ, აღნიშნულ საკითხზე, მთლიანი საზოგადოებრივი აზრი შექმნეს. ამ აზრის ჩამოყალიბებაში თავისი წვლილი შეიტანა კონსტანტინე მიქელაძემ.

საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოში ტერმინ „სამართლებრივის“ ნაცვლად გამოიყენებოდა სიტყვა „უფლებრივი“. აღნიშნულ ტერმინს მაშინდელ შრომებსა და საისტორიო საქმეებში გაბატონებული ადგილი უჭირავს.

„უფლებრივი სახელმწიფო“, „უფლებრივი ნორმა“, „უფლებრივი ურთიერთობა“, „უფლებრივი მართლშეგნება“ და ა.შ. წარმოადგენდნენ იმ ელემენტებს, რომელშიც იგულისხმებოდა სამართლიანობა, კანონიერება. მათ კონსტანტინე მიქელაძის ნაშრომშიც შეხვდებით.

სამართლებრივი („უფლებრივი“) სახელმწიფოს კონცეფცია ემყარება საზოგადოებრივი ურთიერთობის ნებისმიერ სფეროში კანონის უზენაესობას, მოქალაქეთა კონსტიტუციით აღიარებული ბუნებითი უფლებების და თავისუფლებების გარანტიას, კანონიერებას და მართლწესრიგს.[1]

სამართლებრივი სახელმწიფოს თეორია უძველესი დროიდან მომდინარეობს და დღემდე ვითარდება.

ყურადღება უნდა მივაქციოთ სამართლებრივი სახელმწიფოსათვის სპეციფიკურ ორ უმთავრეს ნიშანს: ა) კანონის უზენაესობასა და ბ) მოქალაქეთა უფლებების დეკლარირებას, ე.ი. სამართლებრივი სახელმწიფოსათვის დამახასიათებელია კანონებში აღიარე-

1. ბექა ქანთარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ. 2002 წ., გვ. 224-225.

ბულ იქნეს მოქალაქეთა ინტერესები. ამავე დროს უნდა იყოს გათვალისწინებული ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა უფლებების, კონსტიტუციისა და კანონების უზენაესობას. ეს საკითხი საუკეთესოდაა მოწესრიგებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში, რომელიც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ქმნიდა სამართლებრივი („უფლებრივი") სახელმწიფოს ჩამოსაყალიბებლად მძლავრ ბაზას. კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების ხორცშესხმით საქართველოში უნდა მომხდარიყო სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა. ამის გარანტიას უზენაესი კანონის ბევრი თავი და მუხლი იძლეოდა.

1921 წლის კონსტიტუცია სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას განამტკიცებდა. ამის გამომხატველი, უპირველეს ყოვლისა, არის კონსტიტუციის მეორე (მოქალაქეობა), მესამე (მოქალაქის უფლებანი), მეათე (ადგილობრივი თვითმმართველობა), მეთორმეტე (სწავლა-განათლება და სკოლა), მეცამეტე (სოციალ-ეკონომიკური უფლებანი), მეთოთხმეტე (ეროვნულ უმცირესთა უფლებანი) და მეთხუთმეტე (სახელმწიფო მოხელენი) თავები. მათში ზედმიწევნით მოცემულია საქართველოს მოქალაქეთა უფლებები და, ამავე დროს, განსაზღვრულია მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები.

სამართლებრივი („უფლებრივი") სახელმწიფოს ცენტრში დგას პიროვნება, მისი უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამის საუცხოო მაგალითს იძლევა 1921 წლის კონსტიტუციის 52 მუხლი, სადაც ნათქვამია: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს". ზოგი პოლიტიკოსი ტერმინ „ხელმწიფებას" უარყოფდა. მაგალითად, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი გვაზავა მოითხოვდა ეს ნორმა შეცვლილიყო შემდეგით: „სუვერენობა ეკუთვნის ხალხს".[2] ამ სტრიქონში ნაგულისხმევია ერის უზენაესობა, ამ პრინციპს „ხელმწიფება" არ შეიცავს, იგი უფრო ვიწრო ცნებაა.

ამგვარად, სახელმწიფოს ყველაზე საპატიო დანიშნულებაა მოქალაქეებს შეუქმნას არსებობის ისეთი პირობები, რაც გარანტირებულს გახდის მათი უფლებების უზენაესობას.

ხშირად იურიდიულ ლიტერატურაში აქცენტი კეთდება მხოლოდ „სამართლებრივ სახელმწიფოზე" და უყურადღებოდ რჩება

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 208.

მისი სოციალური სფერო ანუ არ არის შემუშავებული „სოციალური სახელმწიფოს“ ცნება. რასაკვირველია, „სოციალური“ „სამართლებრივში“ იგულისხმება, თუმცა მას თავისებურება გააჩნია.

სოციალური სახელმწიფოს იდეის ბაზისს წარმოადგენდა ასევე საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. მისი მეშვიდე (სახელმწიფო ფინანსები), მერვე (სახელმწიფო კონტროლი), მეთორმეტე (სწავლა-განათლება და სკოლა) და მეცამეტე (სოციალ-ეკონომიკური უფლებანი) თავები განსაზღვრავენ სოციალური სახელმწიფოს სპეციფიკას. სოციალური ანუ იგივე ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფო სამართლიანობისა და კანონიერების გარანტია. შეიძლება ითქვას, რომ „სოციალური“ „სამართლებრივის“ საფუძველია. სოციალურად უზრუნველყოფილ ქვეყანაში მოქალაქეები ბედნიერად და ყოველგვარი დუხჭირის გარეშე ცხოვრობენ. სამართლებრივ სახელმწიფოს განაპირობებს ძლიერი ეკონომიკა იმდენად, რამდენადაც ის არის ბაზისი ყველა სფეროში კანონიერების დამკვიდრებისა.

ამდენად, ტერმინ „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ნაცვლად უნდა დავამკვიდროთ შემდეგი: „სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო“, როგორც ეს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულაშია მოხსენიებული.

ჩვენ ვისაუბრეთ სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ისეთ ნიშანდობლივ კომპონენტზე, როგორიცაა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები. ახლა კი 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით განვსაზღვროთ კანონის დაცვის პრინციპი და ის მნიშვნელოვანი მექანიზმები, რომელთა ამოქმედებით მომავალში პრაქტიკულად სამართლებრივი აქტების უზენაესობა უნდა დაფუძნებულიყო.

ნებისმიერ დემოკრატიულ და ცივილიზებულ სახელმწიფოთა იურიდიული სისტემების ცენტრში დგას უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე აქტი - კონსტიტუცია. მის უზენაესობას თავად კონსტიტუციები განსაზღვრავენ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მე-8 მუხლი აღიარებს: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება და განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია“.

ძირითადმა კანონმა ზოგადი-სავალდებულო ნორმაც ჩამოაყალიბა, რომლის თანახმად, კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინცი-

პების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენდა.

საქართველოს კონსტიტუციამ დაამკვიდრა კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველმყოფელი ყველაზე მნიშვნელოვანი, ცენტრალური მექანიზმი - რეფერენდუმი. ხალხს თვითონ უნდა გაეწია კონტროლი პარლამენტის საქმიანობისათვის სახალხო-საყოველთაო კენჭისყრის მეშვეობით.

1918-1921 წლების საქართველოში თვლიდნენ, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველი საქმე მაშინ მიიღებს სასურველ მიმდინარეობას, როდესაც კონტროლს ქვეშ იქნება როგორც ყველა მოქალაქე, ისე ყოველი უწყება და დაწესებულება.[3]

კონსტიტუციის უზენაესობას განსაზღვრავდა კონსტიტუციის მეჩვიდმეტე თავი, რომელიც ეხება ძირითადი კანონის საზოგადო ან ნაწილობრივ გადასინჯვას (ამ საკითხზე ჩვენ გვქონდა საუბარი, ამჯერად მასზე ყურადღებას არ შევაჩერებთ - ბ.ქ.).

ჩვენ ვისაუბრეთ კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველმყოფელ ძირითად მექანიზმებზე. ახლა ხაზს გავუსვამთ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც თავიანთი არსით კვებავენ სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობა წარმოადგენდა იმ კოლეგიალურ ორგანოს, რომლის მოვალეობაში შედიოდა „თვალ-ყურის დევნა და აღსრულება კონსტიტუციისა და კანონებისა". თავის მხრივ მთავრობის თავმჯდომარე კანონის აღსრულებისთვის გამოსცემდა ბრძანებასა და განკარგულებას. კონსტიტუციის უზენაესობის ერთერთ გარანტად უნდა მივიჩნიოთ ძირითადი კანონის 75-ე მუხლი: კონსტიტუციის დარღვევისათვის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი იყვნენ სასამართლოს წინაშე.

საქართველოში კანონების უზენაესობას განსაზღვრავდა საქართველოს უმაღლესი (უზენაესი) სასამართლო-სენატი და მუდმივი სასამართლოები. სენატი საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ზედამხედველობდა კანონის დაცვას.

---

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 860, ფურცელი 34.

სახელმწიფოში სამართლებრივი მართლშეგნებისა და კანონიერების პრინციპის აღორძინებას ემსახურებოდა კონსტიტუციის 103 მუხლი, რომელიც მთავრობის ცენტრალურ ორგანოებს უფლებას აძლევდა შეეჩერებინათ ადგილობრივი თვითმართველობის დადგენილება და განკარგულება, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა კანონს.

აი, ასეთია მოკლე დახასიათება იმ მექანიზმებისა, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს 1921 წლის კონსტიტუციაში.

გამოგვრჩა ყველაზე უზოგადესი პრინციპი: „დემოკრატიულ-ცივილიზებულ ქვეყნებში მცხოვრები ნებისმიერი პირი ვალდებულია ასრულებდეს მოცემული სახელმწიფოს კანონმდებლობის ძირითად მოთხოვნებს". საზოგადოებაში, ადამიანთა მასებში უნდა გაღვივდეს კანონისადმი მორჩილებისა და პატივისცემის გრძნობა. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივ სახელმწიფოზე საუბარი ფუჭი და ამაოა. სწორედ ამაზე მიუთითებს კონსტანტინე მიქელაძე. მან „უფლებრივი სახელმწიფოს" ცნება ჩამოაყალიბა. მისეული დეფინიცია შემდეგნაირია: დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც გაბატონებულია ჰუმანიზმი და კეთილგანწყობილება, კანონის გავლენა ძლიერია. იურისტმა კანონის უზენაესობის განმაპირობებელ ერთერთ ფაქტორად მასების, ადამიანების პოლიტიკურად და სამართლებრივად აღზრდა მიიჩნია, რომელიც მაშინ აკლდა მოუმწიფებელ ქართველობას. კონსტანტინე მიქელაძის „უფლებრივი სახელმწიფოს" თეორია ეფუძნება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები, მიქელაძისეული გაგებით, უზრუნველყოფენ სამართლებრივი იდეალების აღმავლობას, უფლებებისა და თავისუფლებების განსაკუთრებულობას. კონსტანტინე მიქელაძემ სახელმწიფოს ყველაზე სამართლებრივ პრიორიტეტად მოქალაქის კანონიერი ინტერესების დაცვა დააყენა და მას დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. იურისტი სახელმწიფოს ყოველგვარ წარმატებას კანონის განუხრელ და ზედმიწევნით შესრულებაზე აფუძნებდა.

ნაწილი მესამე

თავი მეცხრე

კონსტანტინე ეიძელაძე და მოქალაქის უფლება-მოვალეობათა სისტემა

ნებისმიერი სახელმწიფოს კონსტიტუცია მოიცავს სტრუქტურულ ერთიანობას: დაყოფილია თავებად და მუხლებად. კონსტიტუციათა უმრავლესობას გააჩნია პრეამბულა (პრეამბულა ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს შესავალ ნაწილს). საქართველოს 1921 წლის ძირითადი კანონი განსხვავდება 1995 წლის კონსტიტუციისაგან, ვინაიდან, იგი არ იწყება პრეამბულით. მისი პროლოგი ზოგადი დებულებებია. უზენაესი კანონის დიფერენციაციას ერთიან სისტემაში საუკეთესოდ თვლიდნენ 1921 წლის კონსტიტუციის შემოქმედნი. ეს კი საფუძველი იყო „ბუნდოვანობის თავიდან აცილებისა“[1]. ამავე კონსტიტუციის სისტემაში დამოუკიდებელ ნაწილად გამოეყო მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა მოქალაქეთა ღირსების დაცვას. ღირსება არსებობს, ბრძანებს შარლ ლუი მონტესკიე, მხოლოდ იმ სახელმწიფოებში, სადაც მყარი წყობაა და მტკიცე კანონებია[2].

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციები გამოირჩევიან მოქალაქის ბუნებით ბოძებული უფლებების დეკლარირებით. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან საკონსტიტუციო კომისიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს საზრუნავს პიროვნების უფლება-თავისუფლებათა საკითხის დეტალური განხილვა და შესაბამისად 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მესამე თავში ამ უფლებათა სრულმაშტაბიანი დამკვიდრება წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, კონსტიტუციურ-სამართლებრივი სისტემა იცნობს უფლება-თავისუფლებათა სამ ჯგუფს: ა) პირადი; ბ) სოციალ-ეკონომიკური და გ) პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

---

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 114.

2. შარლ ლუი მონტესკიე. კანონთა გონი, თბ. 1994 წელი, გვ. 55.

ჩვენის აზრით, ამ სახელწოდებებში ულოგიკობას აქვს ადგილი. ამ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენეული მოსაზრება.

აღნიშნულ კლასიფიკაციაში პირადი უფლებები ცალკეა გამოყოფილი და მათ დამოუკიდებელი მნიშვნელობა ენიჭება. ეს მდგომარეობა კი გვაფიქრებინებს იმას, რომ დანარჩენი, სოციალური და პოლიტიკური უფლებები არ წარმოადგენენ მოქალაქის პირად უფლებებს და არ განიხილებიან ამ კონტექსტში, როგორც ადამიანის პირადი ინტერესები. რასაკვირველია, სიცოცხლის, თავისუფლების ხელშეუვალობის, ღირსებისა და პატივის ხელშეუხებლობის და ა.შ. უფლება პირადი და ფუძემდებლური უფლებებია. რაც შეეხება სხვა უფლებებს (სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური), ისინიც მოქალაქეთა პირად უფლება-თავისუფლებათა სისტემაში შედიან. ამ სისტემას მთლიანობაში უნდა ეწოდოს „პირადი უფლებები“ და მისი დაყოფა უნდა მოხდეს შემდეგნაირად:

ა) ბუნებითი უფლებები და თავისუფლებები;

ბ) სოციალ-ეკონომიკური უფლებები და თავისუფლებები;

გ) პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები.

პირველი იმდენადაა ბუნებითი, რამდენადაც იგი მოიცავს პირის ისეთ ფუძემდებლურ უფლებებს, რომელთა გარეშე ვერ იარსებებს სხვა უფლებები.

ამდენად, ბუნებითი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებები იმთავითვე ქმნიან მოქალაქეთა „პირად უფლება-თავისუფლებათა“ სისტემას.

მაგალითად, XIX საუკუნის II ნახევრის რუს კონსერვატორთა ერთერთი წარმომადგენელი ნიკოლოზ დანილევსკი სიტყვის თავისუფლებას ბუნებით უფლებას უწოდებდა.

სახელმწიფოსა და მოქალაქის მტკიცე და შეურყეველი ურთიერთკავშირი, რომელიც მრავალფეროვანია, მოითხოვს მათი ურთიერთობის საკანონმდებლო წესით მოწესრიგებას და სახელმწიფოში მოქალაქის სამართლებრივი მდგომარეობის განმტკიცებას. სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, ხალხის ნებასურვილის შესაბამისად ქმნის ქვეყნის ძირითად კანონს, რომელშიც მეტ-ნაკლებად ფიქსირდება მოქალაქის არამარტო უფლებები, არამედ მისი ვალდებულებებიც. თანამედროვე დემოკრატიული ქვეყნების კონსტიტუციებს თუ დავაკვირდებით, უთუოდ შეკამჩ-

ნევთ, რომ მოქალაქეთა უფლებები გაცილებით მეტია, ვიდრე ვალდებულებები. საქართველოს 1921 წლის უზენაესი აქტის დებულებათა უმეტესი ნაწილი უფლებებს ასახავს, ხოლო რამდენიმე მუხლი მავალდებულებელ ნორმას ამკვიდრებს. პოზიტივისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი ოგიუსტ კონტი მცდარად აღიარებდა, რომ თითქოს ადამიანები იბადებიან ვალდებულებებით და ამავე ვალდებულებებით ცხოვრობენ. მისი აზრით, ყველა უფლება უნდა განადგურდეს.

როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთკავშირზე, მხედველობაშია მისაღები მათ შორის არსებული ურთიერთსანაცვლო უფლებები და მოვალეობები. სახელმწიფო კონსტიტუციურად ვალდებულია აღასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარი მოქალაქის კანონიერ ინტერესებთან, ხოლო მოქალაქეს თავის მხრივ ეკისრება იმ ვალდებულებათა აღსრულება, რომლებიც ძირითად კანონშია მოცემული.

გერმანელ ფილოსოფოსსა და დიდ მოაზროვნეს ფრიდრიხ ჰეგელს სახელმწიფო მბრძანებლის როლში გამოჰყავს. ჰეგელის ფილოსოფიაში პრინციპულ ადგილს იკავებს ეს დებულება: სახელმწიფო ბრძანებს, ხოლო მისი ქვეშევრდომნი ვალდებულებას გრძნობენ ამა თუ იმ ბრძანების მიმართ.

მოქალაქის უფლებები ნებისმიერი ხელისუფლების დაცვის ობიექტს უნდა წარმოადგენდეს. ეს სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა.

ჯონ ლოკი ამტკიცებდა, რომ „ადამიანებს აქვთ ღვთისგან მინიჭებული, ანუ ბუნებრივი უფლებები, რომლებიც ხელშეუვალია, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი წართმევის უფლება არ აქვს არავითარ ხელისუფლებას“. გარდა ამისა ლოკი ფიქრობდა, რომ „ყველა კანონიერი პოლიტიკური ხელისუფლება არსებობს იმისათვის, რათა შეინარჩუნოს ბუნებრივი უფლებები და ეს ხელისუფლება ეფუძნება იმ ადამიანთა თანხმობას, რომელთაც მართავს.[3]

უფლება-თავისუფლებათა საკითხს ერთერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებებში. იგი გვეხმარება მისი პოლიტიკური და იურიდიული მსოფლმხედველობის უკეთ გააზრებაში.

ამ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტების დიდი მნიშვნელობა გამომდინარეობს თავად მოქალაქის ინტერესებიდან.

---

3. ჯანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, 1995 წელი, გვ. 47.

კონსტანტინე მიქელაძე ეხება როგორც უფლებას, ასევე მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას. იგი მიუთითებს, რომ უფლება-ვალდებულება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ცალცალკე არ არსებობენ. „უფლება არსებობს მაშინ, როდესაც არის ვალდებულება“.[4] სრულიად სამართლიანად აღნიშნავს იურისტი და უფლება-ვალდებულება მოქალაქის სამართლებრივი სტატუსის განმსაზღვრელ ფაქტორად მიაჩნია. ქვეყნის მოქალაქეობა არ არსებობს უფლებებისა და მოვალეობების გარეშე. კონსტანტინე მიქელაძე ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ ლოგიკურად მსჯელობს. ეს გამოიხატება მის სიტყვებში: „რა ხასიათისაც არ უნდა იყოს პიროვნების უფლება, მისი რეალობა მოითხოვს მასთან დაკავშირებული ვალდებულების აღსრულებას“.[5]

იურისტი უფლება-ვალდებულების მატარებელ სუბიექტებად მიიჩნევს: ა) „კერძო პირს“ (თანამედროვე გაგებით „ფიზიკური პირი“ ბ.ქ.); ბ) „კავშირს“ (თანამედროვე ტერმინოლოგიით „იურიდიული პირი“ - ბ.ქ.) და გ) „სახელმწიფოს“.

უფლების, თავისუფლების და ვალდებულების არსებობის ერთერთი მძლავრი გარანტი სამართალია, მაინ ნორმატიული მოწესრიგებაა. სამივე კომპონენტი არ არსებობს კანონის გარეშე.

სწორად მიუთითებდა ინგლისური ლიბერალიზმის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იერემია ბენტამი, რომ „სადაც არ არის კანონი, იქ არ შეიძლება იყოს უფლებები და ვალდებულებები“. ამავე პოზიციაზე იდგა ფრანგული ლიბერალიზმის იდეოლოგი ბენჟამენ კონსტანტი. მისი აზრით, ინდივიდუალურ თავისუფლებას სამართალი განაპირობებს, ხოლო სამართლის ისტორიული სკოლის ერთერთი მიმდევარი გეორგ ფრიდრიხ პუხტა აღნიშნავდა, რომ „ხალხების თავისებურებანი გამოხატულებას პოულობს სამართალში ისე, როგორც ენასა და ქცევებში“.

აღნიშნული ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს უფლება, თავისუფლება და ვალდებულება სამართლის მიერ იქმნება, რასაკვირველია, ეს ასე არ არის. (ისინი თავისთავად არსებობს-ბ.ქ.). სამივე სამართლის ნორმებში რეგლამენტირდება.

მთავარია უფლება-თავისუფლებათა ერთ სისტემაში მოყვანა,

4. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ.9.
5. იქვე, გვ. 10.

კოდიფიკაცია, დალაგება და მათთვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭება. ამ საქმეში მთავარი როლი სამართალს ეკუთვნის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ გარკვეულად დააფუძნა საკუთარ მუხლებში მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები და ვალდებულებები. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებთ ამ უკანასკნელზე.

1921 წლის კონსტიტუციის 85-ე მუხლის თანახმად, მოქალაქეებს ეკისრებოდა სახელმწიფო გადასახადები, რომელიც ერთერთი საფუძველი უნდა ყოფილიყო ეროვნული საბიუჯეტო სისტემის სიმტკიცისა. კონსტიტუციის 94-ე მუხლი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებს ავალდებულებდა სამხედრო სამსახურის შესრულებას. ძირითადი კანონის 110 მუხლში ჩამოყალიბებული იყო: „პირველდაწყებითი სწავლა საყოველთაო, უსასყიდლო და სავალდებულოა“. ამ სამი ვალდებულების გარდა კონსტიტუცია არ შეიცავდა სხვაგვარ მავალდებულებელ ნორმას.

რაც შეეხება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, აქ მოქალაქეთა ვალდებულებანი გამოხატულია 44-ე მუხლში, რომლის თანახმად, მათ უნდა დაიცვან საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა; 34-ე მუხლიც ასევე მავალდებულებელი ნორმაა, ვინაიდან, ჩვენი ქვეყნის მოქალაქემ უნდა დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა. კონსტიტუციის 101 მუხლი აწესებს სახელმწიფოს დაცვის, ხოლო 94-ე მუხლი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის მოვალეობას. ეს სხვაობაა ამ ორ ძირითად კანონს შორის.

უფლება, თავისუფლება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირში არიან ერთმანეთთან. თავისუფლების მრავალგვარი გაგება არსებობს. სხვადასხვა მოაზროვნე მას თავისებურად განმარტავს.

ზოგიერთ ავტორთა შეხედულებებში თავისუფლება აბსოლუტურობასთან არის იდენტიფიცირებული. მაგალითად, ინგლისური ლიბერალიზმის იდეოლოგი ჯონ სტიუარტ მილი ამბობდა, რომ ინდივიდს უნდა მიეცეს „მოქმედებათა სრული თავისუფლება“. ცნობილი გერმანელი მწერალი თომას მანი თავისუფლებას განუსაზღვრელ ცნებას უწოდებდა.[6]

შპენგლერის ფილოსოფიაში „თავისუფლება“ საერთოდ ნეგატიურ ცნებად აღიქმება.[7] ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ მოაზროვნე

---

6. თომას მანი, ბულენბროკები, თბ. 1970 წელი, გვ. 123.

7. ოსვალდ შპენგლერი, პოლიტიკის ფილოსოფია, თბ. 1995 წელი, გვ. 28.

უარყოფდა თავისუფლებას. პოლ ვალერი თავისუფლების უზენაესობასა და მის დიდ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს და იქვე მიუთითებს, რომ მისით სარგებლობა ყველა კაცსა და ხალხს არ შეუძლია.[8] ფრანგი მოაზროვნე ვოლტერი თავისუფლების არსებობას კანონებზე ამყარებდა. დიდი გერმანელი განმანათლებელი და გენიალური მეცნიერი იოჰან ვოლფან გოეთე თავისუფლებას უმაღლეს ღირებულებად მოიაზრებდა და მის ღირსად მიაჩნდა ის, ვინც ამისთვის იბრძოლა.

აღნიშნულ მოაზროვნეთა შეხედულებები ვერ პასუხობს „თავისუფლების" ცნებისთვის ხელსაყრელ ნიშნებს. მნიშვნელოვანია დიდი სოკრატეს ნააზრევი, რომელიც ერთ წინადადებაშია მოთავსებული: „თავისუფლება იმაში მდგომარეობს, რომ მოვიქცეთ საუკეთესოდ".[9] თავისუფლების ამაზე უკეთესი განმარტება ალბათ არ არსებობს.

კანონსა და თავისუფლებას ერთმანეთთან აკავშირებს მონტესკიე და ბრძანებს: „მართალია დემოკრატიებში ხალხს ერთი შეხედვით შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს, მაგრამ პოლიტიკური თავისუფლება სრულებითაც არ მდგომარეობს იმის კეთებაში, რაც მოგვესურვება სახელმწიფოში, ე.ი. საზოგადოებაში, სადაც არის კანონები, თავისუფლება შეიძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ ვისურვოთ და იძულებულნი არ ვიყოთ ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ არ ვისურვოთ. უნდა გავარკვიოთ, რა არის დამოუკიდებლობა და რა არის თავისუფლება. თავისუფლება იმის კეთების უფლებაა, რაც კანონით დასაშვებია; და თუ მოქალაქეს შეუძლია აკეთოს ის, რასაც კანონები კრძალავენ, მაშინ მას აღარ ექნება თავისუფლება, რადგან იგივე შესაძლებლობა სხვასაც ექნება".[10]

თავისუფლება არ არის აბსოლუტური ცნება. მას გააჩნია საზღვრები, რომლის ფარგლებში მოქმედებს იგი. ის რთული ფენომენია. თანამედროვე საზოგადოებაში „თავისუფლება" მოიაზრება სხვაგვარად, არამართებულად.

ჩვენის აზრით, თავისუფლება არის უფლების, ვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერება, მაგრამ მათ სრულად ვერ შევიმეცნებთ, თუ ისინი საკანონმდებლო დონეზე არ არის რეგლა-

8. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983 წელი, გვ. 284.
9. ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე, IV, 5, 3.
10. შარლ ლუი მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 წელი, გვ. 180.

მენტირებული. თავისუფლების გააზრებისათვის მარტო პასუხისმგებლობის გაცნობიერება არ კმარა. კანონში უნდა იყოს დაფიქსირებული უფლება, ე.ი. მე უნდა ვიცოდე ჩემი უფლება და, ამავე დროს, ვალდებულება იმისათვის, რომ მისი არ შესრულების შემთხვევაში რა პასუხისმგებლობა დამეკისრება. ისინი ავსებენ ერთმანეთს და „ნამდვილი თავისუფლების“ ცნებას იძლევიან. ე.ი. უფლება, ვალდებულება და პასუხისმგებლობა იგივე თავისუფლებაა, დამოუკიდებლობის გააზრება და შეგნებაა. თავისუფლება უკავშირდება ყოველდღიურობას. ამდენად, მას კარგად აცნობიერებს მხოლოდ კეთილსინდისიერი ადამიანი. მან იცის, რა ფარგლებში მოიქცეს, რა თქვას და საზოგადოებაში რა მოქმედებები განახორციელოს.

ერთმანეთს ემიჯნება ა) სახელმწიფოს თავისუფლება და ბ) პიროვნების თავისუფლება.

ა) თუმცა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას სუვერენიტეტს უწოდებენ. არ არსებობს პიროვნების თავისუფლება სახელმწიფოს თავისუფლების გარეშე. ჩვენი ქვეყანა კოლონიურ არსებობას განიცდიდა ასწლეულების მანძილზე. დამოუკიდებლობა წართმეული ჰქონდა. ანალოგიურად პიროვნების თავისუფლება სამაგალითოდ შეიზღუდა. არ არსებობდა უფლება, არც ვალდებულება და ნორმალური პასუხისმგებლობა. კოლონიური ბორკილების დამსხვრევის შემდეგ ჩვენმა სამშობლომ მოიპოვა დამოუკიდებლობა. შესაბამისად მოქალაქეც აღიჭურვა „ნამდვილი თავისუფლებით“. ორივე დღემდე ვითარდება.

ბ) ისევე როგორც თავისუფალი სახელმწიფო მიისწრაფვის ღირსეული ადგილი დაიკავოს სხვა ერთა შორის, ასევე თავისუფალი პიროვნება ყოველთვის მოწოდებულია, საკუთარი სამართლებრივი მდგომარეობა განიმტკიცოს საზოგადოებაში, სოციუმში.

გ) თავისუფლება არ გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფომ პატივი არ მიაგოს სხვა სახელმწიფოს ინტერესებს, უგულვებელყოს მისი სუვერენიტეტი, ჩაერიოს ამ ქვეყნის საშინაო თუ საგარეო საქმეებში. ამავე დროს პიროვნებას არ ეძლევა უფლება, ბოროტად გამოიყენოს საკუთარი თავისუფლება და ხელყოს სხვა ადამიანის უფლებები და ინტერესები. სუბიექტთა გათანასწორებული ურთიერთობა კონსენსუსის მიღწევის ყველაზე საუკეთესო საშუალებაა.

კონსტანტინე მიქელაძის სამართლებრივი შეხედულებების გამოსარკვევად საინტერესოა უფლების შესახებ მის მოსაზრებებს გავეცნოთ. იურისტი უფლებას ორ ჯგუფად ყოფს:

ა) საჯარო უფლება;

ბ) კერძო უფლება.

იგი გვაძლევს საჯარო უფლების დეფინიციას. მისი აზრით, საჯარო უფლება განსაზღვრავს და გამოხატავს „მბრძანებელსა და ხელქვეითთა" შორის ურთიერთობას. აღვილი მისახვედრია, რომ „მბრძანებლის" ქვეშ მოიაზრება სახელმწიფო, ხოლო „ხელქვეითის" ქვეშ სახელმწიფოს მოქალაქე. ამ დროს სახელმწიფო გამოდის „ბრძანებლის" როლში ანუ „ხელმწიფების სუბიექტად". კონსტანტინე მიქელაძის აღნიშნული შეხედულება თავისი შინაარსით გავს „სამართლის წმინდა თეორიის" ფუძემდებლის ჰანს კელზენის მოსაზრებას, რომლის თანახმად, სახელმწიფო აგებულია „ბატონობა-დაქვემდებარების" პრინციპზე. ეს არის ურთიერთობათა სისტემა, სადაც ერთნი ბრძანებლობენ, ხოლო მეორენი მორჩილობენ.

ვინაიდან, იურისტი იცნობს „საჯარო" და „კერძო" უფლებას, ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი ამ ცნებებში გულისხმობდა აგრეთვე „საჯარო სამართალსა" და „კერძო სამართალს" (მაშინ „უფლებრივსა" და „სამართლებრივს" შორის სხვაობა არ არსებობდა, უფლება და სამართალი ერთმანეთთან იყო იდენტიფიცირებული - ბ. ქ.). კონსტანტინე მიქელაძე „საჯარო უფლებას" თავის მხრივ ყოფს ოთხ ნაწილად:

ა) სახელმწიფოებრივი ანუ კონსტიტუციური უფლება;

ბ) ადმინისტრაციული უფლება;

გ) სასამართლო-პროცესუალური უფლება;

დ) კრიმინალური უფლება.

„უფლებაში" ნაგულისხმევია „სამართალი", ე.ი. სახელმწიფო (კონსტიტუციური) სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, პროცესუალური სამართალი. პირველი, მეორე და მეოთხე სისტემა მატერიალური სამართლის სფეროს განეკუთვნება, მესამე, სასამართლო-პროცესუალური, ფორმალურ სამართალს.

მართალს ბრძანებს იურისტი, რომ, როცა სახელმწიფო აწესებს ახალ წესწყობილებას, იგი ქმნის კონსტიტუციას, რომლითაც სახ-

ელმწიფოს მარითვა-გამგეობა განსაზღვრულ ფორმას ღებულობს. იურისტის აზრით, კონსტიტუციის მიღებით სახელმწიფოს ნება იზღუდება, მაგრამ სახელმწიფო ამ ნებას თვითონ იზღუდავს და ამასთან იმორჩილებს ყველა იმათ, ვინც მისი ხელისუფლების ქვეშ იმყოფება. ასეთ დამორჩილებას კონსტანტინე მიქელაძე „იძულებით დამორჩილებას“ უწოდებს, რამეთუ „სახელმწიფო არის ერთადერთი ძალა, რომელსაც აქვს უფლება საკუთარი ნების დაკანონების“.[11]

სახელმწიფოს ამ „უფლებას“ იურისტი ერთერთი მაგალითით ადასტურებს და მიუთითებს: „ავიღოთ სახელმწიფოს კრიმინალური უფლება, როდესაც სისხლის სამართლის კანონში გამოხატულია ის ნორმა ან ღებულება, რომ ის ვინც ჩაიდენს ამა თუ იმ აკრძალულ მოქმედებას, ან არ მოიმოქმედებს იმას, რაც მისთვის სავალდებულო არის, ისჯება ამა თუ იმ ზომით, ეს სახელმწიფოს ნების გამოხატულება არის, ეს არის სახელმწიფოს ბრძანება.[12]

ჩვენს ყურადღებას განსაკუთრებით იქცევს ზემოთ მოყვანილი ციტატის ერთი საინტერესო ფრაზა: „ან არ მოიმოქმედებს იმას, რაც მისთვის სავალდებულო არის“. აქ იურისტს ნაგულისხმევი აქვს „მოქმედებით და უმოქმედებით“ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მას გაცნობიერებული აქვს „ამკრძალავი“ და „მავალდებულებელი“ ნორმები.

ნებისმიერი სახელმწიფო ზრუნავს საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობისათვის. ამისათვის ის აწესებს მთელ რიგ სახელმწიფოებრივ მექანიზმებსა და ინსტიტუტებს, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ კონსტიტუციაში. კონსტანტინე მიქელაძის აზრით, სახელმწიფო ვალდებულია შექმნას რეალური გარანტია იმისათვის, რომ მოქალაქეებს მიეცეთ შესაძლებლობა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებები მოსალოდნელი არამართებული ხელყოფისაგან. სახელმწიფო, ამავე დროს, ვალდებულია დაამყაროს მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობა მოქალაქეებთან, რათა ერთად იღვაწონ საერთო პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში ბედნიერი აწმყოსა და მომავლისათვის. იურისტის აზრით, სწორედ ამას ემსახურება „საჯარო უფლება“ (საჯარო სამართალი). კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, „საჯარო უფლება“ მნიშვნელოვანი და არსებითია, რო-

11. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 10.
12. იქვე, გვ. 10

მელიც განსაზღვრავს სახელმწიფოსა („ბრძანებელსა“) და მოქალაქეს („ხელქვეითს“) შორის საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობას.

იურისტის სამართლებრივ შეხედულებებში პრინციპულ ადგილს იკავებს სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთსანაცვლო უფლებებისა და მოვალეობების აუცილებლობა. მისი აზრით, სახელმწიფოს და მოქალაქეს შორის უნდა მოქმედებდეს ორმხრივი პასუხისმგებლობის მექანიზმი.

კონსტანტინე მიქელაძე ერთმანეთისგან მიჯნავს „საჯარო უფლების“ კიდევ ორ სახეს:

ა) სუბიექტური უფლება;

ბ) ობიექტური უფლება.

„სუბიექტური უფლება“ უნდა განისაზღვროს, როგორც უფლებამოსილება, ე.ი. იგი შეიცავს მთელ რიგ სუბიექტურ უფლებებს, რომლებიც ეხება სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობებს.

რაც შეეხება „ობიექტურ უფლებას“, იურისტის აზრით, წარმოადგენს იურიდიულ ნორმათა ერთიანობას, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს უფლებრივ (სამართლებრივ) წყობილებას.

როგორც გაირკვა, კონსტანტინე მიქელაძე „საჯარო უფლების“ (სამართლის) კლასიფიცირებას ახდენს და „სუბიექტური უფლების“ (სამართლის) რეგულირების ობიექტად მოიაზრებს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის არსებულ საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო „ობიექტური უფლება“ (სამართალი) აწესრიგებს თვით სახელმწიფოს უფლებრივ (სამართლებრივ) მდგომარეობას. ეს შეიძლება ეხებოდეს მის სუვერენიტეტს, საშინაო და საგარეო ფუნქციებს, პოლიტიკურ წყობილებას, მართვა-გამგეობას და ა.შ.

კონსტანტინე მიქელაძე არა თუ აიგივებს საჯარო და კერძო უფლებას (სამართალს) ერთმანეთთან, არამედ მკვეთრად მიჯნავს მათ ერთმანეთისაგან და გვაძლევს „კერძო უფლების“ განსაზღვრებას:

„კერძო უფლება“ არის იმ ნორმათა ერთობლიობა, რომლებიც არეგლამენტირებს თანასწორუფლებიან პირთა ნებაზე დამყარებულ ინდივიდუალურ ურთიერთობებს. იურისტის მტკიცებით, გარდა ფიზიკური პირისა, კერძო ურთიერთობებში მონაწილეობს სახელმწიფოც, მაგრამ ამ დროს ეს უკანასკნელი „თავის სახეს იცვლის“ და გამოდის არა როგორც „ბრძანებელი“, არამედ როგორც

„სწორუფლებიანი პირი“. სახელმწიფოს აღნიშნულ ურთიერთობაში მონაწილეობა შეუძლია მაშინ, თუ ის გამოდის ხაზინის სახელით. ეს კი, იურისტის აზრით, ახდენს საფინანსო სისტემის ჩამოყალიბებას. კონსტანტინე მიქელაძე სახელმწიფოს სიძლიერის ერთერთ მაჩვენებლად თვლის მის საკუთრებაში „ნივთიერი ღირებულების“ არსებობას. იურისტი ქონების (მატერიალური ღირებულების) მოპოვების ორ საშუალებას იცნობს. ესენია:

ა) იძულებითი ზომა;

ბ) კერძო პირთან შეთანხმება.

პირველის შემთხვევაში (იძულებითი ზომა) სახელმწიფო აწესებს ბაჟს ანუ ფულად გადასახადს, ხოლო მოქალაქეებს (ქვეშევრდომებს) ეკისრებათ გადაიხადონ კანონით გათვალისწინებული გადასახადი. იურისტი აყალიბებს ორ სტადიას: ა) პირველ რიგში სახელმწიფო აწესებს ბაჟს, რასაც იგი „ბრძანებას“ უწოდებს და ბ) მიდის მოქალაქესთან „იძულებითი დამორჩილების გზით“, რომ „ქვეშევრდომებმა“ შეასრულონ ბრძანების არსებითი მოთხოვნა. აქ ხაზი ესმევა იმ გარემოებას, რომ სახელმწიფოში მოქალაქეებს უფლებების გარდა გააჩნიათ მასთან დაკავშირებული განსაზღვრული ვალდებულებები, რომლებიც უნდა იქნეს შესრულებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფოს სრული უფლება ექნება, „იძულებითი ზემოქმედება“ გამოიყენოს კანონის დამრღვევთა მიმართ.

საკითხის მეორე მხარე სახელმწიფოს მიერ კერძო პირთან შეთანხმებაა. უკანასკნელ შემთხვევაში სახელმწიფო, როგორც სუბიექტი, ურთიერთობაში გამოდის „სწორუფლებიანი პირის“ სახით. კონსტანტინე მიქელაძის აზრით, „ის უნდა შეთანხმდეს“ ვინმესთან; მან შეთანხმებით უნდა დაუმორჩილოს თავისი ნება სხვისას და სხვისი თავისას.[13] იურისტის განმარტებით, როდესაც სახელმწიფო ურთიერთობებში გამოდის ხაზინის სახელით, იგი იმ მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდეს, როგორშიც ჩვეულებრივ იმყოფება თანასწორუფლებიანი ადამიანი.

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებით, სახელმწიფოს საქმიანობა მარტოოდენ კანონების გამოცემით და ამ კანონებში მოქალაქეთა უფლებების განმტკიცება-აღიარებით არ უნდა ისაზღვრე-

13. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 11.

ბოლეს. უპირველესი და უმთავრესია, თუ როგორ ხორციელდებიან ისინი საზოგადოებაში. ამისთვის კი საჭიროა მტკიცე მექანიზმების დანერგვა და ცხოვრებაში გატარება, რომლებიც მოქალაქეებს მისცემს სრულ შესაძლებლობას, დაუბრკოლებლივ ისარგებლონ კანონიერი უფლებებით. ინტერესთა სფერო, რომელსაც სახელმწიფო ადგენს იურიდიულ ნორმებში, უნდა იყოს გარანტირებული და მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილი.

კონსტანტინე მიქელაძე იცნობს „უფლების დაცვის" შემდეგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებებს:

ა) დადებითი მოქმედება;

ბ) უარყოფითი მოქმედება.

„დადებითი მოქმედების" ცნებაში იგულისხმება ის, რომ თუ ქვეყანაში დაირღვა მოქალაქეთა კანონიერი უფლებები და ინტერესები, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს გადამწყვეტი და პრიორიტეტული ღონისძიებები, რომლებიც გაითვალისწინებს დარღვეული უფლებების აღდგენას და მის შემდგომ დაცვა-შენარჩუნებას (დასაჯოს პირი, დამნაშავეს დააკისროს მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება და ა. შ. - ბ. ქ.).

„უარყოფითი მოქმედების" პირობებში აქცენტი კეთდება სახელმწიფოს ისეთ მოქმედებაზე, რომლის ძალითაც ბათილდება პიროვნების „სუბიექტური უფლებების" დამრღვევი განკარგულებანი (იგულისხმება ცალკეულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა მიერ გამოცემული განკარგულებანი - ბ. ქ.).

ამ ორი ვალდებულების გარდა კონსტანტინე მიქელაძე სახელმწიფოს კიდევ ერთ, ყველაზე მნიშვნელოვან ვალდებულებას ითვალისწინებს: სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მოქალაქეთა იმ უფლებების უზრუნველყოფაზე, რომლებიც გამოიხატება პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებით. იურისტის აზრით, ეს არის „სუბიექტური უფლებები", რომლებმაც თავიანთი ასახვა უნდა ჰპოვონ კონსტიტუციაში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ იურისტი, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის ყველაზე საკვანძო საკითხებს (მოქალაქეთა უფლებები და ვალდებულებები, მათი განხორციელების და დაცვის გარანტიები და სხვ.) ეხება, საკ-

მაღლ ლოგიკურად მსჯელობს. ცნობს „თავისუფალი მოქალაქის," „უფლებებით აღჭურვილი მოქალაქის" ცნებას. ამავე დროს დიდ პრიორიტეტს მათ ვალდებულებებსაც ანიჭებს. განსაზღვრავს სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთსანაცვლო პასუხისმგებლობის პრინციპს. იურისტი „უფლებას" ყოფს „საკარო" და „კერძო" უფლებად, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ იგი ამ ცნებებში გულისხმობდა ასევე „საკარო სამართალსა" და „კერძო სამართალს".

კონსტანტინე მიქელაძის აღნიშნული შეხედულებები პროგრესულია. მათ არც დღევანდელ პირობებში დაუკარგავთ დიდი მნიშვნელობა როგორც იურისპრუდენციაში, ასევე სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

თავი მეათე

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება მოქალაქეობაზე

სიმბოლურია, რომ საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის უზენაესი კანონის კერძო ნაწილი მოქალაქეობით იწყება. კანონმდებელმა ამ ინსტიტუტს იმდენად დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, რომ მასზე ააგო კონსტიტუციის თითქმის ყველა დებულება. აქ „მოქალაქეები", „მოქალაქეთა უფლებები" ფიგურირებს, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციის განსაკუთრებული ნაწილის[1] პირველი თავი მოქალაქეობას ეხება მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აქ მოქალაქეობა და მოქალაქეთა უფლებები ერთ თავშია მოცემული, მაშინ როდესაც ამ ინსტიტუტს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის დამოუკიდებელი - მეორე თავი ეთმობა (ეს თავი შეიმუშავა ჩაუდენ არსენიძემ - ბ.ქ.).

კონსტანტინე მიქელაძე მსჯელობს არამარტო საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა უფლებებზე, არამედ განსაზღვრავს უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივ მდგომარეობას სხვა სახელმწიფოში. იურისტი საგანგებოდ მიუთითებს იმაზე, თუ ვინ უნდა ჩათვლილიყო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობის არმქონედ და შეიძლებოდა თუ არა ჰქონოდა მას ის უფლებები, რომლითაც მოსილია ნებისმიერი მოქალაქე სახელმწიფოში.

იგი აღნიშნავს, რომ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეს, რომელიც დროებით იმყოფება სხვა სახელმწიფოში, არ აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს ის უფლებები, რომლითაც აღჭურვილია მისი მკვიდრი მოქალაქე ანუ ქვეშევრდომი.[2]

ქვეშევრდომობის საკითხი ერთ-ერთი მთავარი საკითხთაგანია სახელმწიფო წესწყობილებისათვის: თუ უტერიტორიოდ და უმთავრო-

---

1. ვინაიდან, ქარტიული კონსტიტუციები შეიცავს ზოგად დებულებებს, ეფექტიანი, რომ მათი დანარჩენი ნაწილი უფრო კერძო ხასიათისაა. მარტივია, კონსტიტუცია უზოგადესი სამართლებრივი აქტია, მაგრამ შესაძლებელია მისი დაყოფა ზოგად და განსაკუთრებულ ნაწილებად.

2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

ბოდ შეუძლებელია სახელმწიფოს არსებობა, ასევე შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ის უხალხოდ. ამიტომ სახელმწიფომ უნდა იცოდეს, თუ ვინ არის მისი მოქალაქე და ვინ სტუმარი. ქვეშევრდომობის შესახებ ახალი კანონით, არამოქალაქეს უფლება არ აქვს რაიმე თანამდებობა იკისროს სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ დაწესებულებაში.[3]

დემოკრატიულ საქართველოში უცხოელსა და მოქალაქეობის არმქონე პირს არ გააჩნდა პოლიტიკური უფლებები. მოქალაქეობის საკითხს განსაზღვრავს კონსტანტინე მიქელაძე.

ჩვენ ვიცით, რომ იურისტი „უფლებას" საჯარო და კერძო უფლებად ყოფს. მოქალაქეობა ეს ისეთი მნიშვნელოვანი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტია, რომელიც მოქალაქისაგან მოითხოვს ორივე უფლებით სარგებლობას, რაც ნებადართული უნდა იყოს შესაბამისი სახელმწიფოსაგან, ე.ი. მოქალაქე მოცემულ სახელმწიფოში სარგებლობს საჯარო და კერძო უფლებით, მაგრამ უცხოელების და მოქალაქეობის არმქონე პირთა უფლებები შეზღუდულია სხვა სახელმწიფოში. საჯარო უფლებები ანუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც სამართლებრივად და პოლიტიკურად მჭიდრო კავშირში არიან ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. კონსტანტინე მიქელაძის აზრით, უცხო პირისთვის საჯარო უფლებების მინიჭება სრულიად ეწინააღმდეგება სახელმწიფოს ინტერესებს. უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირს არ გააჩნია უფლება მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში. ამის პრეროგატივით აღჭურვილია მხოლოდ სახელმწიფოს მკვიდრი მოქალაქე.

„მკვიდრი მცხოვრები" ეწოდებოდა იმას, ვინც ამ ტერიტორიაზე არსებულ რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე იყო მიწერილი.[4]

ანალოგიურადაა მითითებული საქართველოს დამფუძნებელი კრების „მოქალაქეობის შესახებ" 1919 წლის კანონში. პირველ მუხლში ნათქვამია: „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მკვიდრი, რომელიც მიწერილი იყო რესპუბლიკის ტერიტორიის რომელსამე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის ივლისის 29-მდე (ძვ. სტ.)".

3. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 10 აგვისტო.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 50.

დემოკრატიული კონსტიტუციები აღიარებს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. პროგრესულმა საზოგადოებამ უარყო განსხვავებული უპირატესობები და პრივილეგიები. თუმცა პოლიტიკურ უფლებებში გათანაბრება არ არსებობს. კონსტანტინე მიქელაძე ბრძანებს, რომ „საჯარო უფლებების მინიჭების მხრივ თანასწორობა არ შეიძლება.არსებობდეს, ვინაიდან, ის არ გამომდინარეობს უცხოელის მდგომარეობიდან უცხო სახელმწიფოში. მათთვის, მაგალითად, არ არსებობს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე უფლებები“.[5]

იურისტის აღნიშნულ მართებულ კონცეფციას კონსტიტუციის შემუშავების დროს, როგორც ჩანს, არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა და ძირითადი კანონის შესაბამის მუხლებში (33, 35, 46 და 138), რომლებიც პოლიტიკურ უფლებებს ასახავს, ფიგურირებს ფრაზა: „საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს უფლება აქვს“. ამ პრინციპს ითვალისწინებს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია, რომლის საფუძველზე პოლიტიკური უფლებებით მხოლოდ მოქალაქეები სარგებლობენ.

კონსტანტინე მიქელაძის სამართლებრივი შეხედულების ერთერთი დედააზრი ის არის, რომ საჯარო უფლებებში მოქალაქეთა და უცხო პირთა შორის თანასწორობა არ არსებობს, მაგრამ იურისტი თვლის, რომ ისინი უფლებებში არიან გათანაბრებულნი. „თანასწორობა გამოიხატება კერძო უფლების შეძენის, დაკარგვის და აღდგენის საერთო პირობებში“.[6]

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, უცხოელს რომ ჰქონდეს კერძო უფლებები, საჭიროა სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების გაფორმება. იურისტი ამბობს: „სახელმწიფოს ინტერესთან შეურიგებელია ის, რომ უცხოელებს ჰქონდეთ საჯარო უფლებების მთლიანობა. ამისდა მიხედვით, უცხოელის საჯარო ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ვრცელდებიან მათზე იმდენად, რამდენადაც ისინი გამოწვეულნი არიან მათი უცხო სახელმწიფოში ყოფნით და მოქმედებით. ამ ვალდებულებას წყაროდ აქვს სახელმწიფოს უფლება, გაავრცელოს თავისი ხელმწიფება ყველაზე, ვინც მის ტერიტო-

5. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 18.
6. იქვე, გვ. 11.

რიალურ ფარგლებში იმყოფება და დაუმორჩილოს ისინი თავის ნებას. რა თქმა უნდა, ეს მორჩილება ვერ აცდება უცხოელებს, თუ კი ის მოქმედებს სახელმწიფოს ტერიტორიალური გავლენის ფარგლებში, რადგან შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ უცხოელის ცხოვრება და მოქმედება სახელმწიფოში არ იყოს განსაზღვრული და ჩაყენებული არსებული კანონების კალაპოტში".[7]

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი გვაზავა[8] საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე გადაჭრით აცხადებდა, რომ „საჯარო უფლებებს ვერავის ვერ მივცემთ".[9]

კონსტანტინე მიქელაძეს განსაკუთრებით გააზრებული აქვს ის განსხვავება, რომელიც არსებობს მოქალაქესა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ვალდებულებას შორის. მართალია, იურისტი აღიარებს, რომ ნებისმიერი პირი, ეს იქნება მოქალაქე თუ უცხოელი, ვალდებულია საკუთარი მოქმედება და მოღვაწეობა დაუმორჩილოს არსებულ წესებსა და კანონებს, მაგრამ იგი ამასთანავე თვლის, რომ „ყველა კანონი და წესი არ ვრცელდება უცხოელზე, მოქალაქის ვალდებულება განირჩევა სახელმწიფოს წინაშე უცხოელის ვალდებულებისაგან".[10] ამის საილუსტრაციოდ იურისტი მიუთითებს, რომ მოქალაქე წარმოადგენს ამ სახელმწიფოს წევრს, რომელთა შორის დამყარებულია ურთიერთსანაცვლო უფლებები და მოვალეობები, ხოლო რაც შეეხება უცხო პირს, ის ამ „მდგომარეობას მოკლებულია".

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 44-ე მუხლი ამკვიდრებს ზოგად მავალდებულებელ ნორმას, რომლის თანახმად, საქართველოში მცხოვრები ყველა პირი ვალდებულია ასრულებდეს

---

7. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 13.

8. სხვათა შორის, გიორგი გვაზავა გახლდათ ყოფილ სომხეთში განსწავლული პიროვნება, მაშინდელი საზოგადოების ერთ-ერთი მოწინავე და აქტიური წარმომადგენელი. იგი დიდ როლს ასრულებდა 1918-1921 წლების პოლიტიკურ-კულტურულ ცხოვრებაში, საკანონმდებლო საქმიანობაში. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეთერთმეტე თავი („აჭარისთვის მმართველობა") გიორგი გვაზავას მიერაა შეტანილი. სამწუხაროდ, თანამედროვე საქართველოში მის სახელს ნაკლებად იცნობენ. ამ პიროვნების ცხოვრება და მოღვაწეობა შრომატევად კვლევა-ძიებას მოითხოვს.

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 173.

10. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 13.

საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოთხოვნებს.[11] ანალოგიურ ნორმას, როგორც აღვნიშნეთ, არ შეიცავს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია. ერთი კი უდაოა: ეროვნული კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვა, მათდამი პატივისცემის გამოხატვა როგორც მოქალაქის, ასევე უცხოელისა და მოქალაქეობის არმქონე პირის უპირველესი დანიშნულება უნდა იყოს.

კონსტანტინე მიქელაძე მოქალაქეობის ორ უმთავრეს პირობას განამტკიცებს: მოქალაქემ უნდა გამოავლინოს სახელმწიფოსადმი „მორჩილება“ და „ერთგულება“, ე.ი. მისთვის სავალდებულოა ერთდროულად მორჩილი და ერთგული იყოს ამა თუ იმ სახელმწიფოსი. კონსტანტინე მიქელაძე ამბობს, რომ სახელმწიფოს არ აქვს უფლება უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მოსთხოვოს „ერთგულება“, აქედან გამომდინარე, მისთვის არც კალდებულება არსებობს. მოქალაქეობის ცნებაში იურისტს შეაქვს „მორჩილება“ და „ერთგულება“. ისინი ქმნიან „მოქალაქეობრიობის შინაარსს“. სახელმწიფოს ქვეშევრდომს მოეთხოვება მორჩილება და ერთგულება.

მორჩილება არ უნდა იყოს იძულებითი და პირის ნების ავტონომიას უნდა ეფუძნებოდეს. ამ შემთხვევაში იგი სახელმწიფოს მოქალაქედ ჩაითვლება.

იურისტის მითითებით, უცხოელი შეიძლება სხვა „სახელმწიფოებრივი ერთეულის“ წევრს წარმოადგენდეს, მაგრამ მისი ეს კავშირი უცხო სახელმწიფოსთან დროებითი და გარდამავალია“. კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებით, თუ პირი სახელმწიფოს მოქალაქეა, მაშინ მას „არ შეუძლია აიცდინოს სახელმწიფოს უფლებრივი

---

11. ამ მუხლთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენეული შენიშვნა. აქ ზოგადადაა ნაგულისხმევი ყველა პირი, რაც, ჩვენის აზრით, არასწორია. ქართული ეროვნული კანონმდებლობა აწესებს ისეთ მავალდებულებელ ნორმებს, რომლის შესრულების მოთხოვნას ყველას ვერ წაუყენებთ. მაგალითად, ქვეყნის დაცვის მოვალეობა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის ერთ-ერთი კონსტიტუციური მოვალეობაა. ეს კი სხვა პირზე არ ვრცელდება. სახელმწიფო გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდის მოვალეობას ვერ დაეკისრებთ უცხოელს, ან მოქალაქეობის არმქონე პირს და ა.შ. კონსტიტუციის ეს მუხლი შესაძლებელია ჩამოყალიბდეს შემდეგნირად: „საქართველოში მცხოვრები ყოველი უცხოელი თუ მოქალაქეობის არმქონე პირი ვალდებულია პატივს ცემდეს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ძირითად პრინციპებს“. საქართველოს კონსტიტუციით, უცხოელების და მოქალაქეობის არმქონე პირებს საქართველოს მოქალაქის თანაბარი უფლებები და ვალდებულებანი აქვთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათზე ვრცელდება კონსტიტუციით და კანონებით გათვალისწინებული ყველა მავალდებულებელი ნორმა - ბ.ქ.

ძალის გავლენა, თუ გინდ ის იქ არ ცხოვრობდეს". მოქალაქეს სახელმწიფოსთან მჭიდრო სამართლებრივი და პოლიტიკური კავშირი აქვს, რაც ეს უცხოელისათვის არ არსებობს. იურისტის აზრით, ის უცხოელი, რომელიც პოლიტიკურად არასაიმედოს წარმოადგენს, შეიძლება გაძევებულ იქნეს სახელმწიფოს ფარგლებიდან.

„მორჩილება" უკვე გულისხმობს პირის პოლიტიკურ და იურიდიულ კავშირს ამა თუ იმ სახელმწიფოსთან. პირველადია მორჩილება, ხოლო მეორადი ერთგულება.

იურისტი კატეგორიულად უარყოფდა ორმაგ მოქალაქეობას, თუმცა ამ საკითხზე კონკრეტულ დისკუსიას არ მართავს. აღნიშნულმა პრინციპმა თავისი გამოხატულება ჰპოვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 13 მუხლისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წელს „მოქალაქეობის შესახებ" მიღებული კანონის მე-3 მუხლში. ამ ნორმებით საქართველოში იკრძალებოდა ორმოქალაქეობის ინსტიტუტი.

საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელსაყრელად არ მიიჩნევდნენ მოქალაქეობის დაკარგვას ანუ „უქვეშევრდომობას". ამის გამოხატულებაა სპირიდონ კედია[12] მიერ საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა: „კანონმდებლობას მოქალაქეობის დაკარგვის სფეროში ორი მიზანი უნდა ჰქონდეს: ერთი რომ შეებრძოლოთ მოხეტიალე ხალხს და მეორე, სახელმწიფომ უმიზეზოდ არ დაკარგოს მოქალაქე".[13]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 12-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით. „ქორწინებას" საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია არ ითვალისწინებს. ის მოქალაქეობის მიღების მხოლოდ ორ ფორმას განამტკიცებს: დაბადებას (იგივე წარმოშობას) და ნატურალიზაციას.

---

12. ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი სპირიდონ კედია ჩვენი საზოგადოებისათვის ცნობილია აკადემიკოს გურამ შარაძის ნაშრომებით. იგი გახლდათ ფართო თვალსაწიერისა და ღრმა, შეუღარებელი აზროვნების ერუდიული მოღვაწე. სპირიდონ კედიას მიერაა შემუშავებული საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეათე თავი (ადგილობრივი თვითმმართველობა - ბ.ქ.).

13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 115.

საქართველოს 1919 წლის „მოქალაქეობის შესახებ“ კანონი „უცხო ქვეშევრდომის თვალსაჩინო ღვაწლისათვის“ აწესებდა „საპატიო მოქალაქეობის“ ინსტიტუტს.[14] კანონის შესაბამისად, სხვა სახელმწიფოს ის მოქალაქე, რომელსაც თვალსაჩინო ღვაწლი მიუძღოდა რესპუბლიკის წინაშე თავისი სამეცნიერო შრომით, სამხედრო დახმარებით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით თუ სხვა მხრივ, მიიღებოდა საქართველოს მოქალაქედ გარკვეული პირობების დაკმაყოფილების გარეშე. ეს ინსტიტუტი განსაზღვრულია თანამედროვე საქართველოს 1993 წლის „მოქალაქეობის შესახებ“ კანონში, მხოლოდ მცირეოდენი ცვლილებებით. თუ 1919 წლის კანონი მხოლოდ რესპუბლიკის წინაშე დამსახურებას აღიარებს, დღევანდელმა კანონმა კი უპირატესობა არამარტო საქართველოს, არამედ კაცობრიობის წინაშე შესრულებულ სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ საქმიანობას მიანიჭა. 1993 წლის კანონში სამხედრო დახმარება არ ფიგურირებს. ახალი კანონისათვის ასევე ნოვაციაა უცხოელის პროფესია და კვალიფიკაცია, რომლითაც დაინტერესებულია სახელმწიფო და შედის მის ინტერესებში.

საქართველოს 1993 წლის კანონით განისაზღვრა საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლები. მოქალაქეობის შესახებ კანონის 32 მუხლის შესაბამისად:

ა) თუ პირი საქართველოს კომპეტენტური ორგანოების უნებართვოდ შევა უცხო სახელმწიფოს სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში;

ბ) მუდმივად ცხოვრობს სხვა სახელმწიფოში და არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე ორი წლის განმავლობაში;

გ) საქართველოს მოქალაქეობას შეიძენს ყალბი დოკუმენტის წარდგენის გზით;

დ) მიიღებს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობას.

1919 წლის კანონში ეს საკითხები ანალოგიურად არ წყდება. მოქალაქეობის დაკარგვის საფუძვლად მხოლოდ გათვალისწინებულია ახალი კანონის პირველ (ა) და მეოთხე (დ) ქვეპუნქტში ჩამოყალიბებული პრინციპები.

---

14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 859, ფურცელი 342.



სპირიდონ კედია

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი

ყოველი მოქალაქე უფლებამოსილია უარი თქვას სახელმწიფოს მოქალაქეობაზე. ეს დებულება გატარებულია საქართველოს 1993 წლის 25 მარტის ორგანული კანონის 31 მუხლში. არის გამონაკლისები. საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქესთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან. არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლა, თუ პირი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან მის მიმართ არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

ამ პრინციპულ საკითხს კარგად აცნობიერებდნენ 1918-1821 წლების დემოკრატიულ საქართველოში. აღნიშნულ თემას ეხება მელიტონ რუსია[15] და მოქალაქეობიდან გასვლის ტენდენციის შემცირების საშუალებად მოქალაქეთა მიერ ვალდებულების სრულად აღსრულებას მიიჩნევს. იგი მიუთითებდა: „მოქალაქეობის უფლება არ არის ისეთი უფლება, რომლის დაკარგვა შეიძლებოდეს: ეს იურიდიული თვალსაზრისით დაუშვებელია. სახელმწიფო ათავისუფლებს მოქალაქეს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვალდებულია მიიღოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, მოქალაქეობა არ არის მარტო უფლება, იგი მოვალეობაც არის. ვინც კარგავს საქართველოს მოქალაქეობას, მან უნდა შეიძინოს სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისეთი თავისუფლება ენიჭება მოქალაქეს, რომ ერთი მილიონი ქართველი, თუ მათ ეს მოესურვათ, დღესვე მიგვატოვებს და გავა ჩვენი მოქალაქეობიდან, ამიტომ მოქალაქეობის დაკარგვის აუცილებელი პირობად უნდა იქნეს აღიარებული ერთი მხრივ, განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ მოვალეობათა შესრულება, ხოლო მეორე მხრივ წინასწარი მიღება უცხო სახელმწიფოს მოქალაქეობისა“.[16]

---

15. მელიტონ რუსია გაბლდათ ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შედგენაში. ძირითადი კანონის ორგვლივ შეიმუშავა უამრავი კონცეფცია და დებულება ბ.ქ.

16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 114.

მოქალაქეობის შესახებ 1993 წლის კანონი უარს ეუბნება იმ პირს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე, თუ მას მოხდილი არ აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური. ეს კი დიდ შეცდომად მიგვაჩნია. ჯარში სამსახური პირს ევალება მოცემული სახელმწიფოს მოქალაქედ ყოფნის დროს, განსაზღვრულ პერიოდში. არ უნდა იყოს მოქალაქეობიდან გასვლის უარის თქმის საფუძველი სამხედრო სამსახურის შეუსრულებლობა, ვინაიდან მოქალაქეობის გაუქმების შემდეგ პირი სწყვეტს თავის სამართლებრივ და პოლიტიკურ კავშირს სახელმწიფოსთან. ამ უკანასკნელს კი ნაკლებად გამოადგება ყოფილი მოქალაქე, შემდგომში როგორც უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი. მოქალაქეობის დაკარგვის მომენტიდან სახელმწიფოს და ყოფილ მოქალაქეს შორის არავითარი ურთიერთსანაცვლო უფლებები და ვალდებულებები არ წარმოიშობა. შესაბამისად პირს არც დაეკისრება ვალდებულება მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის თავდაცვით ღონისძიებებში. ვფიქრობთ, რომ ასეთი მდგომარეობა სახელმწიფოს ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება მცირე დასკვნა გავაკეთოთ.

იურისტი კონსტანტინე მიქელაძე მოქალაქეობის საკითხს ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს უთმობს საკუთარ სამართლებრივ შეხედულებებში. მისი ბევრი კონცეფცია აისახა 1921 წლის კონსტიტუციაში. „მოქალაქეობის“ ცნებაში გულისხმობს სახელმწიფოს წინაშე პიროვნების „მორჩილებასა“ და „ერთგულებას“. იურისტის აზრით, სახელმწიფოსა და მოქალაქის პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი უნდა შეიცავდეს უროიერთპასუხისმგებლობის პრინციპს,უფლება-მოვალეობათა გამიჯვნას. იგი მოქალაქედ აღიქვამს იმ ადამიანს, რომელსაც მინიჭებული აქვს „საჯარო“ და „კერძო“ უფლება. საჯარო უფლებებს მოკლებულია მხოლოდ უცხოელი და მოქალაქეობის არმქონე პირი. იურისტის შეხედულებით, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოების, კეთილდღეობისა და ბედნიერი მომავლისათვის.

სწორედ ესაა სახელმწიფოს უზენაესი დანიშნულება!

თავი მეთერთმეტე

კონსტანტინე მიქელაძე და ერისკაცულ უმცირესთა უფლებები

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების დეპუტატი და საკონსტიტუციო კომისიის მესამე თავმჯდომარე, უაღრესად განათლებული პავლე საყვარელიძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც შესამჩნევი კვალი დატოვეს ქართული იურიდიული აზროვნების განვითარების ისტორიაში. პავლე საყვარელიძის (მან შექმნა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველი (ზოგადი დებულებანი) თავი ბ.ქ.) პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, რომლებიც შემორჩენილია ძველ ქართულ პერიოდულ ორგანოებსა და საისტორიო არქივებში, მოითხოვს სისტემატიზაციას. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა მომავლის საქმეა. ამ პიროვნებამ თავისი ხელწერით, აზროვნებითა და პრაქტიკული შემოქმედებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე. მისი საქმეები უკვალოდ არ უნდა გაქრეს, რომ შემდგომში მომავალმა თაობებმა წარმოდგენა იქონიოს მასზე, თუ ვინ იყო ის, როგორც სწავლული და უაღრესად ერუდირებული იურისტი. პავლე საყვარელიძემ შეიმუშავა 1921 წლის კონსტიტუციის ბევრი დებულება. იგი ცნობილი იურისტის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის შემდეგ ხელმძღვანელობდა საკონსტიტუციო კომისიას (პავლე საყვარელიძე, როგორც თავიდანვე აღვნიშნეთ, საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიას 1920 წლის თებერვლიდან ჩაუდგა სათავეში ბ.ქ.), რომელმაც შეიმუშავა ისტორიული აქტი საქართველოსი. საყვარელიძის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი მრწამსი იმდენად დიდმნიშვნელოვანი იყო, რომ მან დადებითი გავლენა იქონია ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმავლობაში. იგი გლობალურ საკითხსაც ეხებოდა. სწორედ მან საქართველოში ერთ-ერთმა პირველმა წარმოშვა იდეა ერთა გაერთიანების შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა ადამიანთა უფლებების უზრუნველყოფას. იგი ბრძანებდა: „სხვა

გზა კაცობრიობას არ აქვს, კაცობრიობა ან უნდა დაიღუპოს და ან თავსაყუდელს ერთა მტკიცე კავშირში უნდა მიაღწიოს. მე გამბობ, რომ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებიც იბრძვიან დღეს ევროპაში, მიიყვანენ საქმემდე, რომ დაარსდეს „ერთა კავშირი". რა სახის იქნება ეს კავშირი, ამაზე კონსტიტუციაში არ ვილაპარაკებთ, ამით ჩვენ ვაღიარებთ მომავალში ერთა კავშირის შექმნის აუცილებლობასა და საჭიროებას, ჩვენ გვსურს, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში შეიქმნას ერთი ცენტრი, რეგულატორი, რომ შინაური წყობილება, ეროვნული სხეული და საერთაშორისო ურთიერთობა განვითარდეს ზავის და არა ომის პირობებში".[1]

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი ორგანიზაცია, როგორიცაა ერთა ლიგა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ჩამოყალიბდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომლის უპირველესი მიზანი გახლდათ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. განმტკიცდნენ საერთაშორისო, რეგიონალური და ლოკალური სამართლებრივი სისტემები, რომლებმაც განსაზღვრეს ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებები და შეიქმნა ეფექტური მექანიზმები მათ დასაცავად. საერთაშორისო სამართალს აქვს ათი ფუძემდებლური პრინციპი. ამათგან ერთ-ერთია ადამიანის უფლებები, რომელიც მოიცავს ეროვნული უმცირესობების ინტერესთა სფეროს. ორგანიზაციის არცერთი წევრი სახელმწიფო არ არის უფლებამოსილი შეუქმნას მათ ცხოვრებისა და არსებობის არახელსაყრელი და უფლებების შემლახველი პირობები. ჩვენ ვისაუბრეთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ჩამოყალიბებულ მდგომარეობაზე. თუმცა ეროვნულ უმცირესთა უფლებებზე ზრუნვა სერიოზულ საკითხად მიიჩნეოდა 1918-1921 წლების ქართული საზოგადოების მიერ.

დემოკრატიის ინტერესები მოითხოვს სახელმწიფოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფას. თანამედროვე მსოფლიო ცივილიზებული საზოგადოება პროგრესულ საწყისებზეა აგებული. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს მათ ტერიტორიაზე მოსახლე ეროვნულ უმცირესობათა სოციალ-ეკონომიკური და კულტურუ-

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 859, ფურცელი 118.

ლი პოტენციალების განვითარებისათვის. დაუშვებელია სახელმწიფოს მკვიდრი ერის და ეროვნულ უმცირესობათა შორის განსხვავების დადასტურება. ეს ტენდენცია, რასაკვირველია, ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ გაითვალისწინა აღნიშნული პრინციპი და თავის მე-14 მუხლში განამტკიცა: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა".

მოგახსენებთ, რომ საქართველო მრავალეროვანი სახელმწიფოა. ჩვენი ქვეყანა და ხელისუფლება დიდ ყურადღებას აქცევს უმცირესთა უფლებების დაცვას, მათი ყოფა-ცხოვრების ამაღლებას. საქართველოს პრეზიდენტი ბრძანებს: „ქართული სახელმწიფო ზრუნვას არ მოაკლებს ეროვნულ უმცირესობებს. ჩვენ განვამტკიცებთ იმის პირობებს, რომ მათ განათლება მშობლიურ ენაზე მიიღონ, ამასთანავე, ჰქონდეთ სახელმწიფო ენის სრულად შესწავლის საშუალება, რათა აქტიურად მონაწილეობდნენ ნაციონალური სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმნიშვნელოვანეს პროცესში".[2]

1918-1921 წლების ქართული დემოკრატიული საზოგადოება, ეროვნული ხელისუფლება ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილს უთმობდა ეროვნულ უმცირესობებს და მთელი შემართებით იბრძოდა მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების უზრუნველყოფისათვის. ამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დასტურია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეთოთხმეტე თავი, რომელმაც მოახდინა ეროვნული უმცირესობების უფლება-თავისუფლებათა ნორმატიული და კონსტიტუციური რეგლამენტაცია. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ პოლიტიკურ და იურიდიულ აზროვნებაში, ვინაიდან, ძირითადმა კანონმა საკუთარი ჰუმანიზმი, დემოკრატიული სულისკვეთება და ქართველთა ტოლერანტობა - კაცთმოყვარეობა უჩვენა მაშინდელ მსოფლიოს.

კონსტიტუციის შესაბამისად, ეროვნულ უმცირესობებს, ყოველგ-

2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 2001 წელი, 13 მაისი.

ვარი შეზღუდვის გარეშე, უფლება ეძლეოდათ განევითარებინათ სოციალ-ეკონომიკური და კულტურული პოტენციალები. ისინი სარგებლობდნენ დეცენტრალიზაციით. კონსტიტუციით გათვალისწინებული იყო ეროვნულ უმცირესობათა ადგილობრივი თვითმმართველობების არსებობა. კანონმდებლობის ფარგლებში, ამ თვითმმართველობებს შეეძლოთ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეების უკეთ „მოსაწყობად და გასაძღოლად“ შეექმნათ ეროვნული კავშირები.

აკაკი ხერკელი[3] სამართლიანად მიუთითებდა, რომ უმცირესობამ უნდა შეიგრძნოს ის აზრი, რომ ჩვენი რესპუბლიკა მათი რესპუბლიკაა და რაც ვნებს სახელმწიფოს, ვნებს მათაც.[4]

როგორც აღვნიშნეთ, დემოკრატიულ საქართველოში ეწინააღმდეგებოდნენ ეროვნული უმცირესობების ყოველნაირ შევიწროებას. მაგრამ თავის მხრივ, მიუთითებდა გიორგი გვაზავა, ეროვნულ უმცირესობებს ნება არ ჰქონდათ შეელახათ სახელმწიფოს ინტერესები, ეროვნული იდეა.[5]

იურისტი კონსტანტინე მიქელაძე პრინციპულ მოსაზრებებს აყალიბებს ეროვნულ უმცირესობა მოქალაქეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. იგი მიუთითებდა: „მოყვანილ თვალსაზრისს შუქი რომ მოვფინოთ საქართველოს სინამდვილეს, აღსანიშნავი იქნება ის, რომ ამ საკითხზე ჩვენში სულ არევ-დარევა არსებობს. ჯერჯერობით სრულიად გაურკვეველია ის, თუ ვინ უნდა ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქედ გარდა ქართველი ერის მკვიდრ წევრთა: ჩვენი ცხოვრების სინამდვილე გვიმტკიცებს, რომ დარღვეულია ის პრინციპი, რომელიც უნდა იქნეს დაცული და უზრუნველყოფილი, ე.ი. ის პრინციპი, რომ სახელმწიფოს საქმეების მსვლელობაზე და ვითარებაზე გავლენა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სახელმწიფოს წევრებს“.[6]

მოქალაქეობა პოლიტიკურ-სამართლებრივი ცნებაა, სახელმწიფოებრივი მოვლენაა. მოქალაქეობის გარეშე შეუძლებელია რომე-

---

3. სხვათა შორის, აკაკი ჩხენკელის ღვაწლი საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის ჩამოყალიბებაში მეტად ფასეულია - ბ.ქ.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 180.

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 125.

6. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 15.



აკაკი ჩხენკელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ლიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დამკვიდრებული ეთნიკური ჯგუფის კულტურულ-სოციალური განვითარება. სახელმწიფოში უნდა შეიქმნას ისეთი კრიტერიუმები, რაც ხელს შეუწყობს მათი გენოფონდისა და ცხოვრების ყოველმხრივი დონის ამაღლებას. ეს საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის მოთხოვნაა. ამ პრინციპს 1918-1921 წლების დემოკრატიულ საქართველოში კარგად აცნობიერებდნენ. უმცირესთა წარმომადგენლობა საქართველოს სახელმწიფოსადმი ერთგულებასა და ერთსულოვნებას გამოხატავდა.

1920 წლის 10 მარტის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე გერმანელთა წარმომადგენელი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი ბერნშტეინი მიუთითებდა, რომ „ყველა უნდა დაემორჩილოს იმ ძირითად კანონებს, რომელზედაც დაფუძნებული იქნება საერთოდ მთელი რესპუბლიკა და, კერძოდ, მისი ნაწილი - ეროვნული უმცირესობა“.[7]

რუსთა საბჭოს წარმომადგენლები აღიარებდნენ, რომ „ჩვენი ერთადერთი მიზანია შეექმნათ ისეთი მდგომარეობა, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნულ სოლიდარობას და მოსპობს ეროვნებათა შუღლსა და კონფლიქტს. ჩვენ გვსურს შეექმნათ მტკიცე და ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო. სახელმწიფო მით უფრო ძლიერია, რაც მეტი შეკავშირებაა ეროვნული ინტერესების გარშემო. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა თვითეული ეროვნულ უმცირესობას საშუალება აქვს თავისუფლად განვითარდეს და არ გრძნობდეს არა თუ რაიმე ძალდატანებას, არამედ მცირე გაკლენასაც კი“.[8]

ეროვნულ უმცირესთა უფლებებისადმი პატივისცემა იმითაც გამოიხატებოდა, რომ მათ წარმომადგენლებს უფლება ჰქონდათ სისტემატურად დასწრებოდნენ საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომებს და მონაწილეობა მიეღოთ მის მუშაობაში, საკუთარი აზრი გამოეთქვათ კონსტიტუციის ცალკეულ საკითხებზე.[9]

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისია შეუდგა ეროვნულ უმცირესობათა კითხვის გარჩევას, საკ-

---

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 148.

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 148.

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 1

ითხის ნათელსაყოფად იწვევს რესპუბლიკაში არსებულ ეროვნებათა საბჭოების წარმომადგენლებს თავის სხდომაზე, რაიც შესდგება ოთხშაბათს, 3 მარტს მიმდინარე წლისა (1920 წელი - ბ.ქ.), საღამოს 7 საათზე დამფუძნებელი კრების შენობაში.

გაუწყებთ რა ამას, საკონსტიტუციო კომისია გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი წარმომადგენელი აღნიშნულ სხდომაზე.[10]

თავდაპირველად საქართველოს პარლამენტში (ეროვნული საბჭო) კანონმდებლობით საქმიანობას ეწეოდნენ იმ ეროვნულ უმცირესთა წარმომადგენლები, რომლებსაც მოქალაქეობა არ გააჩნდა. როგორც ვთქვით, ეროვნულ უმცირესთა უფლებებს საქართველოში პატივს სცემდნენ და ყოველნაირად იცავდნენ, მაგრამ იმათ, ვინც საქართველოს მოქალაქეს არ წარმოადგენდა, პოლიტიკურ უფლებებს უზღუდავდნენ.

კონსტანტინე მიქელაძე ამბობდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ეროვნულ უმცირესთა წარმომადგენლები მონაწილეობას ღებულობდნენ კანონმდებლობით პროცესში, როდესაც არ არის გამორკვეული მათი ქვეშევრდომობის (მოქალაქეობის) საკითხი.

პრესის ფურცლებზე ხშირად გაისმოდა შემდეგი სიტყვები: „ჩვენი სურვილი იყო და არის დაუყოვნებლივ რეალიზაცია უმცირესთა უფლებებისა. ჩვენ პოლიტიკურ უფლებებს ვარიგებთ მოქალაქეობის მიხედვით. მხოლოდ ის, ვინც არ ცნობს საქართველოს რესპუბლიკას თავის სახელმწიფოდ და არ ღებულობს მისი მოქალაქის მოვალეობას, ვერ იქნება მისი პოლიტიკური ცხოვრების თანაზიარი". ან კიდევ: „შოვინიზმს, სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩვენ შეგვიძლია ყოველი საშუალებით ვებრძოლოთ, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს კი ვერავის შევუზღუდავთ. ამ მხრივ ჩვენ ვდგავართ დემოკრატიულ უფლებრივ ნიადაგზე. ეს ნიადაგი კი გვეუბნება, რომ უფლება რესპუბლიკის ცხოვრებაში მონაწილეობისა ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს".[11]

1918 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე (თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე), სადაც იმსჯელეს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობის საქართველოს პარ-

10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 188.

11. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 8 სექტემბერი.

ლამენტში მოღვაწეობის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ა. ფალავა. მან პრინციპულად განაცხადა, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში (პარლამენტში) წარმომადგენელი უნდა ჰყავდეს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. დეპუტატმა მოითხოვა წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისი მუხლის შემდეგი სახით ჩამოყალიბება: „იმ ეროვნულ უმცირესობათ შეუძლიათ გამოგზავნონ თაკისი წარმომადგენლობები, რომელნიც საქართველოს მოქალაქეთ არიან აღიარებულნი“.[12]

კონსტანტინე მიქელაძე, როგორც აღვნიშნეთ, უარყოფითად აფასებდა ეროვნულ უმცირესობათა მიერ წარმომადგენლობის გაგზავნას ქართულ პარლამენტში იმ შემთხვევაში, თუ არ იყო გამორკვეული მათი ქვეშევრდომობის (მოქალაქეობის) საკითხი. მოქალაქეობის არმქონე პირთა წარმომადგენლობის შესვლა საკანონმდებლო სისტემაში, იურისტის აზრით, ხორციელდებოდა იმის გამო, რომ უმცირესობას მიეღო საკუთარი ფარული ინტერესების დაკმაყოფილება. ამიტომ იგი მოითხოვდა, რომ დეპუტატი ყოფილიყო მხოლოდ საქართველოს მოქალაქე.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიაში გადაჭრით ამბობდნენ: „საჯარო უფლებანი ნუ მიეცემათ ეროვნულ უმცირესობებს, მხოლოდ მიეცემათ დიდი გარანტიები, ისეთი გარანტიები, რომლის მსგავსი არცერთ კონსტიტუციაში არ მოიძებნება“.[13]

ამ საკითხზე საინტერესოა თავად კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრებას გავეცნოთ: „აქ უნდა იქნას აღნიშნული, რომ სანამ ეს ერები არ განთავისუფლდებიან გონების ძირმაგარისაგან, რომელიც მათ არ აძლევს საშუალებას ფხიზელი თვალით შეხედონ საქართველოს სინამდვილეს, მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას და უზრუნველყოფას, ისინი იქნებიან ორ სკამთა შუა მჯდომნი და იმ ფიქრით გატაცებულნი, შეიძლება ჩვენმა ეგოისტურმა ინტერესებმა გაიმარჯვონ. ამიტომ მათ შეუძლიათ იცადონ მანამდის, სანამ საკუთარ სიბრმავეს არ შეიტყობენ, ანდა რისთვის უნდა იფიქრონ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობაზე მაშინ, როდესაც უქვეშევრდომობით მათ აქვთ მინიჭებული უფლება თავისი

12. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 25 აგვისტო.

13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 218.

წარმომადგენლების საშუალებით საკანონმდებლო მოღვაწეობაში მონაწილეობის მიღებით იქონიონ გავლენა ჩვენი სახელმწიფოს საქმეების მიმართულებაზე. ამ მდგომარეობის საშუალებით მათ ძალუძთ მოაგვარონ თავიანთი საქმეები".[14]

ჯერ კიდევ, საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილი იყო სრულიად საქართველო, განურჩევლად ეროვნული კუთვნილებისა. საქართველოში მოსახლე სომხობას პარლამენტში ჰყავდა 10 დეპუტატი, თათრებს (აზერბაიჯანლებს) 4, აფხაზებს - 3, რუსებს - 3, ოსებს - 2, ქართველ ებრაელებს - 2, ებრაელებს 1, ბერძნებს 1, გერმანელებს 1.[15] ამით მათი პოლიტიკური უფლებები უზრუნველყოფილ იქნა, ვინაიდან, ქართულ პარლამენტში უმცირესთა წარმომადგენლობა მიღებული იყო.[16]

საქართველოს ეროვნული საბჭოს 1918 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე „საპარლამენტო ენის" შესახებ წარმოდგენილ კანონ-პროექტში მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ეროვნულ უმცირესობათა უფლებას - პარლამენტის სხდომებზე სიტყვა წარმოეთქვათ მშობლიურ ენაზე. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად გაიზიარა საბჭოს წევრის, საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთი თავმჯდომარის პ. საყვარელიძის აზრი. მან ჩამოაყალიბა დებულება: „სახელმწიფო ენის უცოდინრობისა გამო ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს შეუძლიათ სიტყვა თქვან თავის დედაენაზე". პ. საყვარელიძის ეს მოკლე წინადადება თითქმის სიტყვასიტყვით აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 137-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „არა ქართველ დეპუტატს, რომელმაც სახელმწიფო ენა საკმაოდ არ იცის, შეუძლია პარლამენტში სიტყვა წარმოთქვას დედაენით". ამ დებულების ხარვეზად მიგვაჩნია ის, რომ აქ საუბარი არ არის თარჯიმნის მოწვევაზე.

27 სექტემბრის სხდომაზე, სხვა შენიშვნების გათვალისწინებით, კანონპროექტი ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა.[17]

კიდევ უფრო მეტი, პავლე საყვარელიძე იმ შეხედულებას ამკვიდრებდა, რომ კანონი უნდა ეთარგმნათ უმცირესთა ენაზე,

---

14. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 16.
15. პ. სურგულაძე, ა. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1991 წელი, გვ. 204.
16. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 27 სექტემბერი.
17. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 29 სექტემბერი.

რათა უზრუნველყოფილიყო მისი გაცნობიერება და აღსრულება. იგი ეწინააღმდეგებოდა იმ ეროვნული უმცირესობებისთვის საჯარო უფლებების მინიჭებას, რომლებიც ქართულ სახელმწიფოსთან არ იყვნენ პოლიტიკურ-იურიდიულ კავშირში.[18]

ჩვენ ვისაუბრეთ ეროვნულ უმცირესთა უფლებებზე. ამავე დროს მათთვის გათვალისწინებულია ვალდებულებებიც. გაზეთი „ერთობა" მიუთითებდა, რომ „ჩვენ მივცემთ უმცირესობებს კანონიერ უფლებებს, რომელნიც მათ ეკუთვნით და ამასთანავე მოვითხოვთ კანონიერ მოვალეობათა ასრულებას. სასტიკი ბრძოლა რესპუბლიკის ყველა მოწინააღმდეგეო, სრული უფლებები ყველა მის მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა".[19]

ამ დევიზით იღვწოდა საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა მოქალაქეთა კანონიერი ინტერესები, შეექმნა სრულფასოვანი, დემოკრატიულ-უფლებრივი რესპუბლიკა, სადაც ყველა, ქართველი თუ არაქართველი, იცხოვრებდა ყოველგვარი განსხვავებისა და უთანასწორობის გარეშე.

კონსტანტინე მიქელაძემ სომეხი ლტოლვილების შემოსევა ჩვენი სახელმწიფოს დიდ უბედურებად აღიქვა. იგი მიუთითებდა: „ბევრს ჰგონია, რომ ლტოლვილები დაბრუნდებიან თავის სამშობლოში, მაგრამ ასეთი შეხედულება მცდარი არის".[20]

საქართველოს ტერიტორია მაშინ სავსე იყო ლტოლვილებით. ისინი გადმოვიდნენ მესხეთ-ჯავახეთიდან და სომხეთიდან. პირველნი საქართველოს მოქალაქეებად ითვლებოდნენ და მათ შორის ბევრი იყო ქართველიც. მეორენი - უცხო სახელმწიფოდან, ოსმალთა ჯარისაგან აწიოკების და მოწყვეტის შიშით გამოწვეულნი.[21]

კონსტანტინე მიქელაძის აღნიშნული შეხედულება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, ეროვნულ ტრადიციას.

დიდი ილია ბრძანებდა, რომ „სომეხნი, ებრაელნი, თვით მაჰმადიანიცა, ჩვენს შორის მცხოვრებნი, ამაში ჩვენ ვერაფერს ვერ

---

18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 179.

19. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 8 სექტემბერი.

20. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 16.

21. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 27 ოქტომბერი.

წაგვაყვედრებენ. სხვა ქვეყანაში სარწმუნოებისათვის დევნილნი და ჩაგრულნი აქ ჩვენში პოულობდნენ მშვიდობის-მყოფელს სავანესა და სინდისის თავისუფლებასა."[22]

ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი და დიდი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი ბრძანებდა: „...ქართველობა არას დროს არ ყოფილა გამსჭვალული ნაციონალური ეიწრო ეგოიზმით, შოვინიზმით. ჩვენს სამეფოში, წარსულ საუკუნეებში, ყველა არაქართველი გათანასწორებული იყვნენ ქართველებთან ყოველი უფლებით, არავითარ შევიწროებას არ განიცდიდნენ არც სარწმუნოების და არც ენის შესახებ და ყოველს თანამდებობაზე ისეც მწესდებოდნენ, როგორც თვით ქართველები".[23]

მონტესკიე საერთაშორისო სამართალს აფუძნებდა ორ გარემოებაზე: მშვიდობის დროს სხვადასხვა ერებმა ერთმანეთს რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოუტანონ, ხოლო ომის დროს, რაც შეიძლება ნაკლები ბოროტება, ისე რომ ზიანი არ მიაყენონ თავიანთ ჭეშმარიტ ინტერესებს.[24]

კონსტანტინე მიქელაძემ საქართველოში სომეხთა შემოსვლა მათი ინტერესების დაკმაყოფილებას დაუკავშირა. იგი მიუთითებს: „თუ ეჭვს გარეშეა ის, რომ სომხის ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვენ იმას, რომ ჩამორთმეული ბატონობა იქნეს აღდგენილი, ცხადი უნდა იქნეს ისიც, რომ ეს შესაძლებელია მაშინ, თუ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დარჩა ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა იმ მიზნით, რომ სომხის ბურჟუაზიის ინტერესები უზრუნველყოფილნი იყვნენ. ამის შესაძლებლობა იმით მტკიცდება, რომ უკან დაბრუნება მათ არ უქადის ყოფილ მდგომარეობას. მათ, როგორც ვაჭრული თვისებებით აღჭურვილთ, უფრო ადვილად შეუძლიათ ექსპლოატაციის ბორბალი აატრიალონ საქართველოში, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში. ასეთი მდგომარეობა იწვევს ქვეშევრდომობის შესახებ ჯეროვნად საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას. საქართველოს დემოკრატიისათვის ხელსაყრელი არ იქნება, თუ რესპუბლიკის მოქალაქეთა რიცხვში ჩაითვლება ლტოლვილთა ის ნაწილი, რომელიც მუშა ხალხის

---

22. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი სრული კრებული, ათ ტომად, ტ. IV, გვ. 13.

23. იაკობ გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ., 1990 წელი, გვ. 469.

24. შარლ ლუი მონტესკიე, კანონთა გონი, თბ., 1994 წელი, გვ. 34-35.

ინტერესების მატარებლად არ შეიძლება ვაღიაროთ: მისთვის ხელსაყრელი არ იქნება ისიც, თუ საქართველოს ქვეშევრდომებს ექნებათ ორმაგი ქვეშევრდომობა, რაც შესაძლებელია სომხობის მხრივ".[25]

ვინაიდან ქვეშევრდომობაზე ჩამოვარდა საუბარი, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ იურისტის დამოკიდებულება ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხზე, როგორიცაა ორმოქალაქეობის ინსტიტუტი და რომლის შესახებ ჩვენ უკვე მივუთითეთ შესაბამის თავში. მას ორმაგი ქვეშევრდომობა ხელსაყრელად არ მიაჩნდა. მიქელაძის ეს პოზიცია დასტურდება ზემოთ დაფიქსირებული წინადადების ბოლო ფრაზით: „საქართველოს დემოკრატიისათვის ხელსაყრელი არ იქნება ისიც, თუ საქართველოს ქვეშევრდომებს ექნებათ ორმაგი ქვეშევრდომობა, რაც შესაძლებელია სომხის მხრივ".

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ უპირატესი მნიშვნელობა ერთმოქალაქეობის პრინციპს მიანიჭა და თავის მე-13 მუხლში განამტკიცა: „საქართველოს მოქალაქეებს არ შეუძლია იყოს იმავე დროს სხვა სახელმწიფოს მოქალაქე". ანალოგიურ ამკრძალავ ნორმას შეიცავს საქართველოს 1995 წლის ძირითადი კანონის მე-12 მუხლი.

ლტოლვილია მიმართ კონსტანტინე მიქელაძის ამგვარი დამოკიდებულება უარყოფითად უნდა შეფასდეს. საქართველო ოდითგანვე სტუმართმოყვარე ქვეყანა იყო და მას უამრავი გაჭირვებულისათვის დახმარების ხელი გაუწოდებია. სწორედ ამის ერთერთი დასტურია ჩვენი ხალხის მიერ დიდი გულისხმიერების გამოჩენა დევნილი მოძმე სომეხი ერისადმი. საქართველოს მაშინდელი სახელმწიფო ხელისუფლება ხმამაღლა აცხადებდა: „ჩვენი ვალია, არამარტო დემოკრატიული, არამედ უბრალო ადამიანური, ნამდვილი ძმური ხელი გავუწოდოთ მეზობელ ერს და მივიღოთ ყოველი ზომები, შეკამსუბუქოთ მათი მდგომარეობა. იტყვიან, თვითონ უძლური სხვას დახმარებას პირდებაო. არ ვიცით, ხვალ რა იქნება, ხოლო დღეს ჩვენ, მართალია, უბედურ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ სომხის ერი უარეს მდგომარეობაშია. ჩვენ არ ვიქნებით ღირსნი თავისუფლების, თუ სხვის ტკივილებს ვერ ვიგრძნობთ. ქართველი ხალხი არ უნდა გახდეს მეწვრილმანე, რომელიც მთელი დღე და ღამე თავის ტარანზე ფიქრობს. ასეთი მეწვრილმანე კვდება და მისი სახელის ხსენებაც ქრება. ბოლგარია (ბულგარეთი - ბ.ქ.),

25. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 16.

როდესაც ის ვასალი იყო სათათრეთის, არ შეუშინდა თავის პოლიტიკურ სისუსტეს და სომხის ერის დევნის დროს მას ძმური ხელი გაუწოდა. ის ამით ამაღლდა თავის ხალხის და მთელი კაცობრიობის წინაშე. ჩვენი დემოკრატია ვერ ჩამორჩება ბოლგარიას და თავის მოვალეობას მოძმე ერის წინაშე ბოლომდე შეასრულებს".[26]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად შესაძლებელია მოკლე დასკვნა წარმოვადგინოთ.

იმ სახელმწიფოებში, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობენ, დაცული უნდა იყოს მათი ინტერესები. ეს კი საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი იმპერატიული მოთხოვნაა. ხოლო თავად უმცირესობები პატივს უნდა სცემდნენ ამ სახელმწიფოს ღირსებას, სულისკვეთებას, იდეას.

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებით, სახელმწიფოში, საჯარო და კერძო უფლების სფეროში, უმცირესობები უნდა იყვნენ გათანაბრებულნი „მკვიდრ მოსახლეობასთან", რასაკვირველია, თუ ისინი მიიღებენ საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი გახდება მათი მოღვაწეობა საჯარო-სამართლებრივი სისტემის ნებისმიერ სფეროში.

დემოკრატიული ინტერესები მოითხოვს უმცირესთა უფლებების გაწონასწორებას სახელმწიფოს „მკვიდრ წევრებთან", მაგრამ ისინი არ დაიშვებიან სახელმწიფო თანამდებობაზე, ე.ი. ვერ ისარგებლებენ პოლიტიკური უფლებებით, თუ სახელმწიფოსა და მათ შორის არ არსებობს პოლიტიკურ-სამართლებრივი კავშირი.

საერთაშორისო საზოგადოება ზრუნავს უმცირესთა უშიშროებასა და კეთილდღეობაზე. ამ მხრივ არც საქართველოა გამონაკლისი. მარტო ის რად ღირს, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ ეროვნულ-უმცირესთა უფლებებს ცალკე თავი მიუძღვნა და მათი პრობლემების რეგლამენტაცია სახელმწიფოებრივ რანგში აიყვანა, ქართული პოლიტიკის საკვანძო პრიორიტეტად აქცია.

თანამედროვე ქართული სახელმწიფო უნდა მიჰყვეს მისი წინამორბედის მიერ ამ მიმართულებით აღებულ კურსს, რათა ღირსეული პირობები შეუქმნას ეროვნულ-უმცირესობებს თავისუფალი განვითარებისთვის. ეს პრობლემა ყველა სახელმწიფოში დგას.

---

26. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 28 მაისი.

ნაწილი მეოთხე

თავი მეთორმეტე

კონსტანტინე მიქელაძე და სახელმწიფოს ფუნქციები

სახელმწიფოს მორფოლოგია რთული ფენომენია. ბუნებითი სამართლის ნეოთეიზმის მიმართულების წარმომადგენლები სახელმწიფოს წარმოშობის საფუძვლად ღვთაებრივ გონს მიიჩნევდნენ. სახელმწიფოებრიული ანატომია უტოლდება სამართლებრივ სტრუქტურას. ისინი თანაარსებობენ. სამართლის შექმნის ერთ-ერთი წყარო არის თვით სახელმწიფო.

ნაციონალ-სოციალიზმის პოლიტიკურ-სამართლებრივი იდეოლოგიის მიმდევარია თეზისი იყო სამართლის ერთადერთი წყარო არის ფიურერი. თუმცა ისტორიული სკოლის მიმდევრები სამართლის შექმნაში სახელმწიფოს ნაკლებ როლს აკუთვნებდნენ. სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის წარმომადგენელი, რუსი პროფესორი ლ. პეტრაჟიცკი სამართალს „ფსიქოლოგიურ მოვლენას" უწოდებდა.

იურისპრუდენციაში დღემდე მეცნიერულ დონეზე დაუსაბუთებელია სამართლის არსი, მისი ცნების ჩამოყალიბება იურისტებმა ვერ შეძლეს. გვაქვს ჩვენეული მოსაზრებები.

ანალიტიკური იურისპრუდენცია სამართალს განიხილავს, როგორც ნორმების ერთობლიობას, ერთიან, მონოლითურ სისტემას, სადაც თავს იყრის სამართლის დარგები და ცალკეული კანონები და ისინი ამ იერარქიაში არსებობენ მოწესრიგებული სახით.

იურიდიული პოზიტივიზმის ანუ „სამართლის წმინდა თეორიის" ფუძემდებელი, ავსტრიელი ფილოსოფოსი ჰანს კელზენი ამბობდა, რომ „სამართალი - ეს არის ადამიანთა ურთიერთობის ნორმატიული წესი ე.ი. ადამიანის ქცევის მარეგულირებელი ნორმების სისტემა".

განსხვავებით ანალიტიკური იურისპრუდენციისაგან პრაგმატული პოზიტივიზმი სამართალს განიხილავს არა როგორც ნორმას, წესებს, არამედ კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. პრაგმატული პოზიტივიზმი ანუ „რეალური სამართლის" თეორია სამართალს აიგივებს სასამართლოს გადაწყვეტილებებთან. ამ თეორიის ერთ-

ერთი წარმომადგენელი ჯერომ ფრენკი აღნიშნავდა, რომ „სამართალი ეს გადაწყვეტილებაა და არა წესი, - მოსამართლე ქმნის სამართალს, როცა წყვეტს საქმეს“.

ქართულ იურისპრუდენციაში სამართლის არსი მეტად არაასურველად არის ჩამოყალიბებული: „სამართალი არის ქვეყნის საზოგადოებრივი წესწყობილებით განპირობებული, გაბატონებული კლასის ან ხალხის უმრავლესობის ნების გამომხატველი და სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილი ან სანქციონირებული ერთობლიობა ქცევის წესების (ნორმებისა), რომელთა შესრულება უზრუნველყოფილია დარწმუნებით და სახელმწიფოებრივი იძულებით“.[1]

აღნიშნულ თეორიულ დეფინიციაში სახელმწიფო გამოყვანილია სამართლის შექმნის ერთადერთ წყაროდ, ე.ი. სამართლებრივი ნორმების საფუძველი სახელმწიფოა. მსჯელობისას თავს იჩენს წინააღმდეგობა. ქვეყანაში ერთადერთი ორგანიზაცია მარტო სახელმწიფო ხომ არ არის? მის გვერდით ხომ არსებობენ სხვადასხვა გაერთიანებები, ორგანიზაციები, ასოციაციები და ა.შ.? ისინიც ხომ ქმნიან თავიანთ ნორმებს, ქცევის წესებს, რომელთაც სამართლის ნიშნები გააჩნიათ?

სოციოლოგიური იურისპრუდენციის ფუძემდებლის ავსტრიელი იურისტის ეგენი ერლიხის მოსაზრებას აბსოლუტურად კეთანხმებით. იგი ამბობდა, რომ თითოეულ ორგანიზაციას, ფაბრიკას, ბანკს, პროფკავშირს, მეწარმეთა გაერთიანებას აქვს საკუთარი წესრიგი, საკუთარი სამართალი, რომელსაც ისინი თვითონ ქმნიან სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად. ერლიხის განმარტებით, ქცევის ეს წესები სამართლებრივი ნორმები არიან.

ამის მიხედვით სამართალს ორ ჯგუფად ყოფს სამართლის ფსიქოლოგიური თეორიის ფუძემდებელი ლევ პეტრაჟიცკი. ეს არის ოფიციალური და არაოფიციალური სამართალი.

ოფიციალური სამართალი, პეტრაჟიცკის მტკიცებით, დაკავშირებულია სახელმწიფოსთან, ე.ი. მის ნებას გამოხატავს, ხოლო არაოფიციალურ სამართალს ანუ მეორენაირად სამართლებრივ პრულარიზმს, მიეკუთვნება ყველა სხვა ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად შექმნილი ქცევის წესები ანუ სამართალი.

ნორმა სამართლებრივი სისტემის ნაწილი რომ გახდეს, საჭირო არ არის ის მაინცდამაინც სახელმწიფომ დაამტკიცოს და მას

---

1. გ. ონიანი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია. 1997 წელი. გვ. 49-50.

იურიდიული ძალა მიანიჭოს. ამისთვის საამისო უფლება აქვთ სხვადასხვა ორგანიზაციებს, რომლებიც დამოუკიდებლად მოღვაწეობენ და გააჩნიათ დადგენილი ქცევის წესები (მაგალითად, საქართველოს იურისტთა კავშირის წესდება - ბ.ქ.). ეს უკანასკნელნი სავალდებულო ძალას იძენენ დამტკიცებისთანავე და უქმდებიან შესაბამისი ორგანოს გადაწყვეტილების შემდეგ. ისინი არეგულირებენ მათ სამართლებრივ ფუნქციებს, ორგანიზაციას. ამისდა მიხედვით, პეტრაჟიცკის მსგავსად, ჩვენც ვცნობთ სამართლებრივ ნორმათა ორ სისტემას:

ა) ნორმას იურიდიული გაგებით. „ოფიციალური სამართლის სისტემა".

ბ) ნორმას ფაქტიური გაგებით. „არაოფიციალური სამართლის სისტემა".

პირველის საფუძველი სახელმწიფოა, ხოლო მეორესი სხვა დანარჩენი ორგანიზაციები. ისინი ერთიანად ქმნიან სამართლის სისტემას. ეს სუბიექტური მოსაზრებაა და, რასაკვირველია, აბსოლუტურობას არ ეძლევლებარება. აქედან გამომდინარე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ სამართლის ჩვენეული დეფინიცია:

სამართალი ეწოდება იმ ნორმათა ერთობლიობას, რომლებიც რატიფიცირებულია სახელმწიფო ორგანოებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ და რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამა თუ იმ სფეროს, გააჩნიათ იურიდიულად სავალდებულო ხასიათი განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ფენებისათვის და მოქმედებენ გარკვეული ან გაურკვეველი ვადით.

თანამედროვე იურისპრუდენციაში ნორმასა და ქცევის წესს ხშირად ერთმანეთთან აიგივებენ, რაც, ჩვენის აზრით, არასწორია.

ტერმინი „ნორმა ანუ ქცევის წესი" არ შეესაბამება ლოგიკას. სიტყვა „ქცევის წესი" მიგვანიშნებს ადამიანის მოქმედებაზე, საქმიანობაზე სამყაროში, იმ საზოგადოებაში, სადაც მას უხდება ურთიერთობის დამყარება. რასაკვირველია, ყველა ქცევის წესი ნორმას გულისხმობს, მაგრამ ყველა ნორმა არ არის ქცევის წესი. მაგალითად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 69 მუხლის თანახმად, „საქართველოს პრეზიდენტი არის საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური". აქ არ ჩანს ქცევის ელემენტი. უბრალოდ დეფინიციური ნორმაა, რომელიც გამორიცხავს რაიმე მოქმედებას, აქტს. „ქცევის წესის" ერთ-ერთი მაგალითია კონსტი-

ტუციის 68 მუხლი, სადაც საუბარია პრეზიდენტისა და პარლამენტის ურთიერთობებზე. აღნიშნული ნორმიდან უკვე გამომდინარეობს მოქმედება. დეფინიციური ნორმები არ შეიცავს ქცევის წესებს.

* * *

მცირეოდენი გადახვევის შემდეგ ჩვენ ვუბრუნდებით განსახილველ საკითხს.

ითქვა, რომ სახელმწიფო პოლიტიკური კონიუნქტურაა. კონსტანტინე მიქელაძე სახელმწიფოს, როგორც სოციალურ-პოლიტიკურ ერთეულს, ამსგავსებს ადამიანის ორგანიზმს. იგი ხაზს უსვამს, რომ როგორც ადამიანის არსებობისა და მოძრაობისათვის საჭიროა ჯანმრთელი ორგანოები, ასევე სახელმწიფოს ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ისეთი ორგანოები, რომლებიც „თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ თანახმად უმაღლესი ძალის მინდობილობისა".[2] მიქელაძის ეს თეორია გამომდინარეობს XIX საუკუნის ევროპაში საკმაოდ გავრცელებული იდეოლოგიიდან, რომლის მიმდევრები (ჰობზი, რუსო, ანტიკურ ეპოქაში პლატონი) სახელმწიფოს აღიქვამდნენ როგორც ცოცხალ ორგანიზმს.

ჰერბერტ სპენსერის მიხედვით, სახელმწიფო არის ორგანიზმი, რომლის ნაწილებს შორის მუდმივი ურთიერთობანი ანალოგიურია ცოცხალი ორგანიზმის ნაწილებს შორის მუდმივი ურთიერთობისა.[3]

სახელმწიფო მეტად რთული ორგანიზმია. მას აქვს მთელი რიგი აპარატები, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ასრულებენ, კარგად თუ ავად, ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს წყვეტენ. ცხოვრება კი დაყოვნებას არ ითმენს, მას ესა თუ ის პასუხი, ამა თუ იმ, მის მიერ წამოყენებულ საკითხზე უნდა გასცე.[4]

ანტიკური მატერიალიზმის თვალსაჩინო იდეოლოგის დემოკრიტეს აზრით, ყველაფერი იღუპება და ისპობა მაშინ, როდესაც სახელმწიფო ქრება. სახელმწიფოს გარეშე დემოკრიტეს არსებობა ვერ წარმოედგინა. ამ უკანასკნელის მსგავსად არისტოტელესთან სახელმწიფოს გარეშე ადამიანთა ცხოვრება არარაობაა.

---

2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 8.

3. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი, 1999 წელი, გვ. 280.

4. გაზეთი „ერისპირა", 1918 წელი, 14 სექტემბერი.

თავად სახელმწიფოს ყოფიერებისა და თვითმყოფადობისათვის აუცილებელია გარკვეულ პრინციპებზე მინიშნება, რომლის ღერძზე მოძრაობს სახელმწიფო, მის ორბიტაზე ბრუნავს დამოუკიდებლად.

ამ პრინციპებიდან მნიშვნელოვანია კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება სახელმწიფოს ფუნქციებზე. იგი იცნობს ორ ძირითად ფუნქციას:

ა) მატერიალური ფუნქცია;

ბ) ფორმალური ფუნქცია.

იურისტი განმარტავს მატერიალური ფუნქციის ცნებას. ამ უკანასკნელში გულისხმობს სახელმწიფოს მოქმედების ძირითად მიმართულებებს, ხოლო ფორმალურ ფუნქციაში სახელმწიფოს განსაზღვრულ ორგანოთა მოქმედებას ანუ პროცესს.

მატერიალური ნორმები პასუხობს კითხვას - რა უნდა გააკეთონ? ხოლო პროცესუალური - როგორ უნდა გააკეთონ.[5]

კონსტანტინე მიქელაძე თავის მხრივ მატერიალური ფუნქციის სამ ჯგუფს ცნობს:

ა) კანონდებულება;

ბ) მართლმსაჯულება;

გ) მმართველობა.

კონსტანტინე მიქელაძე გამოყოფს სახელმწიფოს კიდევ ორ ფუნქციას:

ა) ნორმალური ფუნქცია;

ბ) განსაკუთრებული ფუნქცია.

სახელმწიფოს ნორმალურ ფუნქციად მას კანონდებულება, მართლმსაჯულება და მმართველობა მიაჩნია. იურისტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოებს აქვს „განსაკუთრებული ფუნქცია", მაგრამ ისინი ისეთ სახელმწიფოს ეკუთვნის, რომელთაც აქვთ უფლებები „ომის გამოცხადებისა, ზავის დადებისა, სახელმწიფოებთან ყოველგვარი ხელშეკრულების გაფორმებისა და სხვა".[6]

„განსაკუთრებული ფუნქციებით" აღჭურვილ სახელმწიფოს კონსტანტინე მიქელაძე „სუვერენულ სახელმწიფოს" უწოდებს. აქ შეიმჩნევა უზუსტობა. იურისტის აზრით, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებული ფუნქცია მხოლოდ სუვერენულ სახელმწიფოს

5. პ. ცნობილაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი. 1999 წელი, გვ. 17.

6. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 9.

გააჩნია, ხოლო „ნორმალური ფუნქცია“ სახელმწიფოს. სახელმწიფოების დაყოფა „სუვერენულ სახელმწიფოდ“ და „სახელმწიფოდ“ ნონსენსია. არ არსებობს სუვერენიტეტი სახელმწიფოს გარეშე და პირიქით, არც სახელმწიფო არსებობს სუვერენიტეტის გარეშე. თუ სახელმწიფო სუვერენობას მოკლებულია, მაშინ საქმე გვექნება არა სახელმწიფოსთან, არამედ სახელმწიფოს შემადგენელ ავტონომიურ სუბიექტთან, რომელიც ფედერაციის დროს გვხვდება. მაგალითად, ავიღოთ საქართველოს (თუმცა, ჩვენი ქვეყანა იურიდიულად არ სარგებლობს ფედერაციისათვის დამახასიათებელი სტატუსით), რომლის ავტონომიური სუბიექტი აჭარა ან აფხაზეთი მოკლებულია სუვერენიტეტს და საერთაშორისო ურთიერთობის სუბიექტურობას. აქ საერთაშორისო ურთიერთობის ელემენტი (სუბიექტი) საერთო საკავშირო ხელისუფლებაა. თუ სახელმწიფოს „ნორმალური ფუნქცია“ გააჩნია, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ მას „განსაკუთრებული ფუნქციაც“ აკისრია. ამ ნიშნებით სახელმწიფოთა დიფერენციაცია „სუვერენულ სახელმწიფოდ“ და „სახელმწიფოდ“ ყოვლად დაუშვებელია.

შესაძლებელია „ნორმალური ფუნქცია“ ჰქონდეს ფედერაციის სუბიექტს (ხელისუფლების ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწილება) და ამავე დროს ვერ სარგებლობდეს „განსაკუთრებული ფუნქციით“ (სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობის დამყარება, ომის გამოცხადება, ზავის დადება და ა.შ.). ეს უკანასკნელნი გააჩნია მხოლოდ საერთო ფედერალურ ხელისუფლებას.

კონსტანტინე მიქელაძე განსაზღვრავს იმ ძირითად ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სამივე „ნორმალურ ფუნქციას“. ესენია:

ა) საკანონმდებლო ორგანო;

ბ) სამოსამართლო ორგანო;

გ) აღმასრულებელი ორგანო.

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამ სტრუქტურულ ელემენტებს დემოკრატიული მმართველობისათვის. ისინი ხელს უწყობენ სახელმწიფო ხელისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას. ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მკვეთრად არის გამოხატული 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე, მეხუთე და მეექვსე თავებში. ხოლო, რაც შეეხება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციას, მისი მე-5 მუხლი მიუთითებს: „სახელმ-

წიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით". ანალოგიურ კონკრეტულ ნორმას 1921 წლის კონსტიტუცია არ შეიცავდა.

კონსტანტინე მიქელაძე ცნობდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო ფუნქციებს. ეს ტერმინები მას არ გამოუყენებია. „საშინაოში" „ნორმალურ ფუნქციას", ხოლო „საგარეოში" „განსაკუთრებულ ფუნქციას" გულისხმობდა. იურისტმა „ნორმალური ფუნქციის" შესრულება საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ორგანოებს დაუკავშირა. „განსაკუთრებული ფუნქციით" აღჭურვა მხოლოდ „სუვერენული სახელმწიფო".

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება სახელმწიფოს ფუნქციებზე პროგრესულია.

თავი მეცამეტე

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება სახელმწიფოს ნიშნებზე

სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს დამოუკიდებლობის იდეას, თვითგამორკვევის პრინციპს და სახელმწიფოს არსებობისათვის დამახასიათებელ სხვა ნიშნებს. პოლიტიკური ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი ფორმის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია იმ ძირითადი კომპონენტების ერთობლიობა, რომლებიც ქმნიან სახელმწიფოს და რომლის ორბიტაზე ბრუნავს იგი.

კონსტანტინე მიქელაძე სვამს კითხვას თუ რა ელემენტებისაგან უნდა შესდგებოდეს, ე.ი. რა ნიშანთვისებებით უნდა ხასიათდებოდეს „სოციალური ერთეული" ანუ სახელმწიფო? ამ კითხვაზე იგი საკუთარი მოსაზრებებით პასუხობს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იგი მაინც არ არის სრულყოფილი.

იურისტი არსებითად თვლის სახელმწიფოს შემდეგ ნიშნებს:

ა) იძულებითი ძალა;

ბ) ტერიტორია;

გ) მოსახლეობა.

კონსტანტინე მიქელაძე თავის იურიდიულ ქმნილებაში ყურადღების მიღმა ტოვებს სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ნიშანს - საბიუჯეტო სისტემას. ეს უკანასკნელი კი სახელმწიფოს არსებობის უმნიშვნელოვანესი და საკვანძო გარანტიაა. ძლიერი ბიუჯეტი ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია. უნდა დავეთანხმოთ იურისტს ჩამოთვლილი ნიშნების აუცილებლობის აღიარებაში, მაგრამ თავად „იძულებითი ძალა", თანამედროვე გაგებით, „სახელმწიფო ხელისუფლება" ვერ იარსებებს ფინანსების გარეშე. ეკონომიკურად მდიდარ სახელმწიფოში ხალხის ნორმალური არსებობა უზრუნველყოფილია. ამდენად, მყარი საბიუჯეტო სისტემა ყველაფერის და ყოველივეს არსებობის საფუძველთა-საფუძველია. კარგი იქნებოდა იურისტს გაეთვალისწინებინა ეს ნიშანი და მოექცია აღნიშნულ ჩამონათვალში. იგი ასევე არ მიუთითებს სუვერენიტეტზე.

კონსტანტინე მიქელაძე კარდინალურ ყურადღებას უთმობს პირველს, სახელმწიფოს „იძულებით ძალას“, ხოლო დანარჩენ ელემენტებზე, როგორიცაა ტერიტორია და მოსახლეობა, დისკუსიას ზედმეტად თვლის, ვინაიდან, „ორივე ერთეული არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რომელზედაც დავა იყოს შესაძლებელი“.[1]

იურისტს გაცნობიერებული აქვს, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის საჭიროა საკუთარი ტერიტორია და ხალხი. ეს ორივე ნიშანი სახელმწიფოსი იმყოფება იძულებითი ძალის გავლენის ქვეშ, ე.ი. სახელმწიფოს იურისდიქცია უნდა ვრცელდებოდეს მასზე დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე და, ადეკვატურად, მის ფარგლებში მცხოვრებ ადამიანებზე.

სახელმწიფო იძულებითი დაწესებულებაა. მისი მთავარი ფუნქცია ესაა ძალდატანებით შესრულება ყველა მისი განკარგულების და დადგენილების. ამ ძალდატანებას იგი ახორციელებს განსაზღვრულ ტერიტორიულ ფარგლებში, რომელიც მის საზღვრებში არის შემოზღუდული.[2]

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, სახელმწიფოს მკვიდრი მოქალაქე, მოქალაქეობის არმქონე პირი („უცხო სახელმწიფოს წევრი“) და უცხოელი თუ ცხოვრობს სხვა ქვეყნის ფარგლებში, უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოს იძულებით ძალას, მის კანონებს და ამ სახელმწიფოში დამკვიდრებულ წესებს. მაგრამ იგი უშვებს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც სახელმწიფოთა შორის იდება ხელშეკრულება. კონსტანტინე მიქელაძის განმარტების საფუძველზე უნდა იქნას აღნიშნული, რომ თუ სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, სახელმწიფოს სრული უფლება აქვს იმ პირთა მიმართ განახორციელოს იძულებითი ხასიათის ზომები, რომლებიც არ ემორჩილებიან და უგულვებელყოფენ სახელმწიფოებრივ ძალას. („სახელმწიფოებრივ ძალაში“ კონსტანტინე მიქელაძე გულისხმობს „სახელმწიფოს ხელისუფლებას“ - ბ.ქ.). ა) ხელისუფლება; ბ) ტერიტორია; გ) ხალხი; დ) საბიუჯეტო სისტემა და ე) სუვერენიტეტი ქმნიან ერთ პოლიტიკურ ორგანიზმს - სახელმწიფოებრივ ანატომიას. ამ კონიუნქტურისაგან ერთ-ერთი მათგანის გამოთიშვა სახელმწიფოს არარსებობის საფუძველია. თუ პოლიტიკურ

1. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 5.
2. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 9 ივნისი.

ორგანიზაციას (სახელმწიფოს) არ აქვს სახელმწიფო სუვერენიტეტის სტატუსი, მაშინ იგი იქნება ავტონომიური ერთეული (და არა სახელმწიფო), საერთო პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში შემავალი სუბიექტი.

კონსტანტინე მიქელაძის მტკიცება იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს ახასიათებს ტერიტორიული მთლიანობა, მოსახლეობის არსებობა და ხელისუფლება, ვერ პასუხობს სახელმწიფოსა და სამართლის თეორიაში გაბატონებულ თანამედროვე მოძღვრებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოს ნიშნებიდან გამოყოფენ ხელისუფლებას, ტერიტორიას, ხალხს, საბიუჯეტო სისტემას და თვითგამორკვევის პრინციპს.[3]

ამ ნიშნებიდან უპირატესობით არცერთი არ სარგებლობს. ისინი ერთმანეთს ავსებენ და აყალიბებენ რთულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურას. მაგრამ ჩვენ პრიორიტეტს „ხელისუფლებას“ მივანიჭებდით, ვინაიდან, თვით სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რასაკვირველია, ურთიერთს არ გულისხმობს, მაგრამ მათ შორის მჭიდრო კავშირი არსებობს, რადგან სახელმწიფო პოლიტიკის უპირველესი წარმართველი სწორედ ხელისუფლებაა. სამართლიანად ბრძანებს ბუნებითი სამართლის იდეოლოგი, ცნობილი ინგლისელი ტომას ჰობსი, რომ „სახელმწიფო ხელისუფლება იგივეა სახელმწიფოში, რაც სული ადამიანის ორგანიზმში“. ამ სიტყვებით მან ხელისუფლება სახელმწიფოს სხვა ნიშნებზე მაღლა დააყენა.

---

3. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ კონსტანტინე მიქელაძე საერთოდ უარყოფდა სუვერენიტეტს. ეს სწორი არ იქნება. იურისტი მას მხოლოდ სახელმწიფოს ნიშნებში არ მოიაზრებდა სუვერენიტეტის შესახებ ცალკე ვიმსჯელებთ ბ.ქ.

თავი მეთოთხმეტე

კონსტანტინე მიქელაძე და სახელმწიფო მმართველობის ფორმები

სახელმწიფოებრიობის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე არაერთი თეორია და შეხედულება ჩამოყალიბდა სახელმწიფოს დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ. ამ საკითხზე განსაკუთრებით გამრავალფეროვნდა სხვადასხვა მოაზროვნეთა შეხედულებები. იწერებოდა და გამოითქმებოდა სახელმწიფოს არსის თაობაზე აზრები, კონცეფციები, თეორიები და ა.შ. ამან კი გაცხოველებული ფორმა მიიღო ცალკეულ პიროვნებათა ნაშრომებში. ზოგიერთი სახელმწიფოს ამსგავსებდა გაზრდილ ოჯახს, ზოგი ცოცხალ ორგანიზმს. მისი არსის არაერთი განმარტება გვაქვს. ჩვენის აზრით, მათგან მნიშვნელოვანია ბუნებითი სამართლის ორთოდოქსი იდეოლოგის, ჰოლანდიელი ჰუგო გროციუსის მსჯელობა. იგი ბრძანებდა, რომ სახელმწიფო არის თავისუფალ ადამიანთა კავშირი საერთო სარგებლობისა და უფლებების დასაცავად. კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება ამ საკითხზე არ არის განსხვავებული. იგი მოითხოვდა, რომ სახელმწიფოს ეზრუნა მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის, მათი ინტერესების უზრუნველყოფისათვის.

კონსტანტინე მიქელაძე, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი უაღრესად განათლებული იურისტი, სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ მსჯელობას განაგრძობს. იგი საკმაოდ ლოგიკურად და მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმ ერთეულებს, რომელთა ხელშია სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, ე.ი. აქ დადასტურებული და განმტკიცებულია ის გარემოება სახელმწიფოში, თუ ვინ შეიძლება იყოს ხელისუფლების ბატონ-პატრონი. ამის მიხედვით და გათვალისწინებით იგი ერთმანეთისგან განასხვავებს სახელმწიფო მმართველობის ფორმებს. ესენია:

ა) აბსოლუტური მონარქია;

ბ) შეზღუდული მონარქია;

გ) რესპუბლიკური წყობილება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა იქნას აღნიშნული, რომ აბსოლუტური მონარქია სახელმწიფოს ისეთი ფორმაა, როდესაც სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, ანუ პოლიტიკური ხელისუფლება მთლიანად კონცენტრირებულია აბსოლუტის ხელში. სახელმწიფოში მონარქიული ხელისუფლების მატარებელი მხოლოდ ერთი ადამიანია. ამ დროს ხალხს არავითარი უფლება არ გააჩნია მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვა-გამგეობაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხალხის პოლიტიკური უფლებები აბსოლუტურ მონარქიაში იგნორირებულია. მონარქი ნაკლებად ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე. გამეფებულია მონობა, ადამიანის ექსპლუატაცია. მონარქიულ სახელმწიფოში „მონარქის პირადი ინტერესები, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ ის, რომ ხალხი იყოს სუსტი და ღარიბი".[1]

კონსტანტინე მიქელაძე იცნობს შემდეგი სახის უფლებებს:

ა) ვიწრო უფლებები;

ბ)ფართო უფლებები.

მონარქიულ წყობილებაში „ვიწრო უფლებები" ხალხს უზღუდავს შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. რაც შეეხება „ფართო უფლებებს", მოქალაქეები სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების შედარებით მეტი უფლებებით არის აღჭურვილი. თუმცა კონსტანტინე მიქელაძე ამ ორი ინსტიტუტის მისეულ დეფინიციას არ იძლევა.

იურისტის აზრით, ზოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში ხალხის ძალაუფლება ისე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რომ მონარქს, სახელმწიფოს პირველ პირს „დიდი ადგილი არ რჩება სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობაში".[2] ამ უკანასკნელში შეზღუდული მონარქია იგულისხმება.

აბსოლუტურ და შეზღუდულ მონარქიას იურისტი მისაღებ ფორმად არ თვლის და შესაბამისად არავითარ უპირატესობას არ ანიჭებს რესპუბლიკურ მმართველობასთან შედარებით.

შეზღუდული ანუ კონსტიტუციური მონარქია ხასიათდება იმით, რომ მონარქს, როგორც სახელმწიფოს მეთაურს, უფლებამოსილება შეზღუდული აქვს კონსტიტუციური ნორმებით. შეზღუდვის ხასიათის მიხედვით ასხვავებენ ა) დუალისტურ და ბ) პარლამენტარულ მონარქიებს.

---

1. ჟან ჟაკ რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ. 1997 წელი, გვ. 69.
2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 6.

დუალისტურ მონარქიაში მონარქის უფლებამოსილება ნაკლებად შეზღუდულია, ვიდრე პარლამენტარულ მონარქიაში. აქ შეიმჩნევა მემკვიდრეობითი მონარქიის და არჩევითი ორგანოს - პარლამენტის ხელისუფლების დუალიზმი (ორგვაროვნება). პარლამენტარულ მონარქიაში მონარქის ხელისუფლება საკმაოდ შევიწროებულია, ხოლო პარლამენტის და მის მიერ შექმნილი მთავრობისა - გაფართოებული.

სახელმწიფოს შემდეგი ფორმა - რესპუბლიკური მმართველობა განსაკუთრებულ ყურადღებას და მნიშვნელობას იძენს კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეხედულებებში. მისი თქმით, რესპუბლიკური წყობილების დროს სახელმწიფოს მეთაური ირჩევა ხალხის მიერ გარკვეული ვადით, რაც დიდ გავლენას ახდენს ხალხის პოლიტიკურ ძალაუფლებაზე. იურისტის აზრით, ამ საშუალებას მოკლებულია რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობა, თუ ხელმწიფის, როგორც ქვეყნის მეთაურის, უფლებამოსილება უვადოა და მემკვიდრეობით გადადის.

აი, რას ბრძანებს იგი: „ხალხის გავლენა მაშინ უფრო მეტია, როდესაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობა რესპუბლიკანურია... ეჭვგარეშეა, რომ ხალხი ინიჭებს ფართო პოლიტიკურ გავლენას და ძალას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში იმ პირობებში, თუ კი პოლიტიკურ სფეროში ადგილი აქვს მის ფართო პოლიტიკურ უფლებებს, თუ კი მთელი ხალხი არის ბატონი და პატრონი საკუთარი ბედ-იღბლისა. რესპუბლიკა არის ერთადერთი ფორმა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობისა, რომელიც წარმოადგენს ფართო სიადაგეს ხალხის ბუნებრივ უფლებების გამომჟღავნებისა და განმტკიცებისას. მხოლოდ რესპუბლიკა გამოხატავს იმ მიმართულებას, რომ ოცით ხალხი არის მატარებელი მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისა“.[3]

რესპუბლიკა ეს არის ხელისუფლება მონარქის გარეშე.[4] სამართლიანად მიუთითებდა ნოე ჟორდანია, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა არის საქმიანი კოლეგია, რომელიც უსიტყვოდ ასრულებს გადაწყვეტილებებს. ისინი არიან მოსამსახურენი.[5]

---

3. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 7.
4. ჯანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, 1995 წელი, გვ. 49.
5. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 8 სექტემბერი.

რესპუბლიკური მმართველობა ყველაზე კლასიკური და მისაღები სახელმწიფო ფორმაა. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია საქართველოს პოლიტიკურ ფორმად დემოკრატიულ რესპუბლიკას აღიარებდა, ხოლო 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის პირველ მუხლში პირდაპირ ჩაიწერა, რომ „მუდმივი და უცვლელი ფორმა პოლიტიკური წყობილებისა არის დემოკრატიული რესპუბლიკა“ ეს ფუნდამენტალური და კონსტიტუციური დებულება დაღასტურდა 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით.

საქართველოში სახელმწიფოებრივი არსებობის მანძილზე რესპუბლიკური მმართველობა პირველად XX საუკუნის 20-იან წლებში ჩაისახა და მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა რესპუბლიკად მოიხსენიებოდა, თვით საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდშიც. დღეს კი საფუძველი ჩაეყარა ახალ დემოკრატიულ რესპუბლიკას, რომლის განმტკიცება და შენარჩუნება ჩვენი ეროვნული ღირსების საქმეა.

თავი მეთხუთმეტე

კონსტანტინე მიქელაძე და სახელმწიფო სუვერენიტეტი

სუვერენიტეტი სახელმწიფო დამოუკიდებლობას ნიშნავს. იურიდიული პოზიტივიზმის ფუძემდებელ ჰანს კელზენთან სუვერენიტეტი ნიშნავს უმაღლეს მართლწესრიგს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს არა რეალურ, არამედ ფორმალურ დამოუკიდებლობას. სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა არ გაიმიჯნება ერთმანეთისაგან. ორივე სინონიმებია და გამოხატავენ სხვა ძალისაგან სახელმწიფოს თავისუფლებას. ეს აზრი გატარებულია კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკურ შეხედულებებში.

კონსტანტინე მიქელაძეს მოჰყავს ს. კორფის მოსაზრება სახელმწიფოს შესახებ. ეს უკანასკნელი მიუთითებდა: „რა გინდ მცირე და უმნიშვნელო არ უნდა იყოს რომელიმე სოციალური ერთეული, თუ კი მის უფლება-შემოქმედებაზე არ აქვს იძულებითი უფლება უფრო მაღლა მდგომს და რთულს ერთეულს, მაშინ ჩვენ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე".[1]

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად იკვეთება ამ სტრიქონების ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია (იგულისხმება სახელმწიფო - ბ.ქ.) თუ დამოუკიდებელია და თავისი ნებით და მასზე იძულებითი ძალის ზემოქმედების გარეშე აწარმოებს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის ძირითად და პრიორიტეტულ მიმართულებებს, მაშინ იგი შეიძლება განვიხილოთ როგორც სახელმწიფო. ავტორი აქ განმარტკიცებს თვითგამორკვევის პრინციპს, სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აუცილებლობას.

კორფის მოსაზრებას აბსოლუტურად ეთანხმება კონსტანტინე მიქელაძე იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ დე-იურე და დე-ფაქტო სახელმწიფოდ, თუ იგი დამოუკიდებელია და მასზე არცერთ სხვა ძალას არ აქვს უფლება და შესაძლებლობა ჩაერიოს მის საქმიანობაში ან შეზღუდოს ამ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა.

---

1. С.А. Корфъ. Федерализмъ. 1917 г.

კონსტანტინე მიქელაძე სახელმწიფოს განიხილავს როგორც თავისუფალ კატეგორიას. ის საკუთარი საგარეო და საშინაო ფუნქციების რეალიზების დროს უნდა ემყარებოდეს თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც განამტკიცებს სუვერენულ უფლებამოსილებას.[2]

„სახელმწიფო არ ქადაგებს, იგი მოქმედებს, სახელმწიფო ქმნის ცხოვრებას, ამოძრავებს მთელ ხალხს, როგორც ერთ მჭიდრო ორგანიზმს".[3]

ამგვარად, დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი კონსტანტინე მიქელაძესთან ერთი და იგივეა და მათ შორის განსხვავება არ არსებობს.

იურისტი გამოყოფს სახელწიფოებრიობი ძალის ორ ფორმას:

ა) სუვერენული;

ბ) არასუვერენული.

კონსტანტინე მიქელაძე ამ ორ სახელმწიფოებრიც ელემენტს მკვეთრად მიჯნავს და მსჯელობისას მოჰყავს ცნობილი გერმანელი მეცნიერის გიორგი ელინეკის მოსაზრება, რომლის თანახმად, სუვერენულია სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ ძალაუფლებას. კონსტანტინე მიქელაძე კი განმარტავს, რომ „სუვერენული სახელმწიფო ახორციელებს განსაკუთრებულ უფლებრივ თვითგამორკვევას შეუზღუდველად".[4] თუმცა „თვითგამორკვევის უფლება, როგორც ყოველგვარი სხვა უფლება, არ გულისხმობს აუცილებლად გამოყოფას, სეპარატიზმს".[5]

---

2. კონსტანტინე მიქელაძეს, როგორც ჩანს, გაცნობიერებული ჰქონდა სუვერენიტეტის რიღი სახელმწიფოს არსებობის საქმეში. მაგრამ რატომღაც მას არ მოიაზრებდა სახელმწიფოს ნიშნებში - ბ.ქ.

3. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 9 ივნისი.

4. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 8.

5. გაზეთი „ერთობა", 1919 წელი, 25 ოქტომბერი. საქართველოს სინამდვილიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ აფხაზებს არც ისტორიული და არც სამართლებრივი უფლება არ აქვთ, რომ მოითხოვონ თვითგამორკვევის უფლება და შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფო. ერთი ის, რომ აფხაზების საკუთარი ეროვნული ტერიტორია არ გააჩნიათ, უძველდან, სადაც დღეს არსებობენ, ეს ადგილი წმინდა ქართულია. ქართველების კუთვნილებაა; აფხაზეთის ტერიტორიაზე რაც ხობიდან უფრო მეტი ქართული იყო, ვიდრე აფსუა; აფხაზეთში საჯარო ხელისუფლების ეროვნული ქართველები ახორციელებდნენ. იგი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. ასე რომ, მაგი ახირება თვითგამორკვევის შესახებ, სიცალიერესა და უსამართლობას ეფუძნება, რომელიც დამაჯერებლად მეტყველებს იმაზე, რომ აფხაზები ვერ მოითვისებენ საქართველოს სისხლხორცეულ ნაწილს და ვერ ქმნიან დამოუკიდებელი აფხაზური სახელმწიფოს შექმნას - ბ.ქ.

სუვერენიტეტი უფლებრივ-პოლიტიკური ცნებაა და ნიშნავს უზენაეს ბრძანებლობას, უმაღლეს უფლება-მოსილებას სახელმწიფოში. ანტონ მენგერი თავის წიგნში „ახალი სწავლა სახელმწიფოზე“ სუვერენიტეტს უწოდებდა „უმაღლეს ფაქტიურ ძალაუფლებას სახელმწიფოში“.[7]

იგივე ელინეკი ამბობდა, რომ „არასუვერენულ სახელმწიფოსაც აქვს უფლებრივი ძალა საკუთარი კომპეტენციის ნორმების შექმნისა, მაგრამ ეს ძალა განსაზღვრულია მის მაღლა მდგომ ერთეულის უფლებებით“. როგორ უნდა გავიგოთ ეს სიტყვები? მიქელაძე იძლევა განმარტებას, რომ „აღნიშნულ უფლებრივ შეზღუდვას, მაგალითად, განიცდის თითოეული წევრი-სახელმწიფო ფედერაციულ კავშირში, რომლის სახელმწიფოებრივი ძალა (იგულისხმება „სახელმწიფო ხელისუფლება“ ბ.ქ.) უფრო მაღლა დგას თითოეული წევრის ძალაზე, ვინაიდან, კავშირის კომპეტენციას წარმოადგენს უფლებაშემოქმედება საერთო ინტერესების სფეროში, თითოეული წევრის კი ადგილობრივში“. აქ იკვეთება ფედერაციული სახელმწიფოს ტენდენცია, ვინაიდან, ფედერაციულ სახელმწიფოში არის მხოლოდ ერთი სუვერენული სახელმწიფო ხელისუფლება. ფედერაციულ სახელმწიფოში სუვერენიტეტი ეკუთვნის ერთიან სახელმწიფოს.[8]

ფედერაციაში შემავალი სუბიექტები, კონსტანტინე მიქელაძის აზრით, მოკლებულნი არიან თვითგამორკვევის უფლებას და განიცდიან ზემდგომი ძალის იძულებას, მაგრამ მიუხედავად ამისა, ისინი კომპეტენციისა და გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში ახორციელებენ უფლებრივ შემოქმედებას საერთო საკავშირო ინტერესების გათვალისწინებით.

კონსტანტინე მიქელაძე ცდება მაშინ, როდესაც ფედერაციის სუბიექტებს „წევრ-სახელმწიფოებს“ უწოდებს, ვინაიდან, ფედერაციის სუბიექტი არ წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს და, მაშასადამე, იურიდიული გაგებით არ შეიძლება იყოს სახელმწიფო.[9] (როგორც ჩანს, კონსტანტინე მიქელაძე საერთო საკავშირო (ცენტრალურ) ხელისუფლებას „სუვერენულ სახელმწიფოს“ უწოდებს, ხოლო ავტონომიურ ერთეულს „სახელმწიფოს“ - ბ.ქ.).

---

7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 8 თებერვალი.

8. გ. ხუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, 2000 წელი, გვ. 46.

9. გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ. გვ. 136.

აღნიშნული „წევრ-სახელმწიფოები“ შეიძლება იყვნენ მხოლოდ კონფედერაციაში, ვინაიდან, კონფედერაციის სუბიექტები (წევრი სახელმწიფოები) ინარჩუნებენ სუვერენიტეტს, რაც ნიშნავს, რომ თითოეული სახელმწიფოს უზენაესი ხელისუფლება მხოლოდ მის საზღვრებში ვრცელდება. ცენტრალური მთავრობა ამ შემთხვევაში სუსტია. მას შეუძლია მხოლოდ კოორდინაცია გაუწიოს, მაგრამ ვერ გააკონტროლებს სუვერენული სახელმწიფოს საქმიანობას.[10]

ფედერაციაში შემავალ სუბიექტებს, თანამედროვე ტერმინოლოგიით, შეიძლება ეწოდოს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, რომლებიც სუვერენული უფლებებით ვერ ისარგებლებენ და შესაბამისად დამოუკიდებელი სახელმწიფოს სტატუსს ვერ მიიღებენ.

კონსტანტინე მიქელაძე იძლევა სუვერენიტეტის ცნებას. იურისტის აზრით, სუვერენიტეტი არის „უარყოფა ყოველივე ძალისა, რომელიც ზღუდავს მეორე სახელმწიფოს ძალმოსილებას“. მისი მტკიცებით, უფლებრივი შეზღუდვანი სახელმწიფოებრივი ძალისა მით უფრო მეტია, რაც უფრო ღრმად არის გატარებული პოლიტიკურ ცხოვრებაში პრინციპი პიროვნების და კაცშირების თავისუფლებისა. აქ ხაზი გაესმის იმ გარემოებას, რომ მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებებით იზღუდება სახელმწიფოებრივი ძალაუფლება.

ჩვენის აზრით, შეზღუდვის ფორმა ორი სახისაა:

ა) სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იზღუდება გარეშე ძალთა მეშვეობით;

ბ) სახელმწიფოებრივი ხელისუფლება იზღუდება საშინაო ძალთა საშუალებით.

სუვერენიტეტი შესაძლებელია შეიზღუდოს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეზე ძალადობის გზით, მის საშინაო და საგარეო საქმეებში უხეში ჩარევით. აქ უკვე სახელმწიფოებრივი ძალის შემზღუდველი სუბიექტი მხოლოდ უცხო სახელმწიფოა, მაშინ, როდესაც ქვეყნის შიგნით („შეზღუდვა საშინაო ძალთა მეშვეობით“) სახელმწიფოებრივი ხელისუფლება მკაცრად იზღუდება მოქალაქეთა უფლებებითა და თავისუფლებებით. სახელმწიფო „ბ“ პუნქტის შემთხვევაში ახორციელებს თვითშეზღუდვას.

სუვერენიტეტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისათვის. მისი უპირატესობა სახელმწი-

10. ჯანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, 1995 წელი, გვ. 49.

ფებრიკი აღმშენებლობის პროცესში ქართველმა ხალხმა გაითავისა და, ჯერ კიდევ, დამოუკიდებლობის დეკლარაციის პირველ მუხლში მოათავსა სახელმწიფოს ეს ნიშანი, რომელთა შესაბამისად საქართველო აღიარებულია სუვერენულ, თავისუფალ სახელმწიფოდ.

სიმბოლურია ისიც, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იწყება სიტყვებით: „თავისუფალი საქართველო". (1995 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლი აღიარებს საქართველოს დამოუკიდებლობას (სუვერენობას) - ბ.ქ.). აქ რა თქმა უნდა, არ არის გამოყენებული ტერმინი „სუვერენიტეტი", მაგრამ ძირითადმა კანონმა მის ქართულ თარგმანს მიანიჭა უპირატესობა, ვინაიდან, მოგეხსენებათ, რომ „სუვერენიტეტი" ბერძნული სიტყვაა.

ძნელად გასარკვევია კონსტანტინე მიქელაძე მხარს უჭერდა თუ არა საქართველოს ფედერაციულად მოწყობის რთულ სისტემას. ამის შესახებ კონკრეტულად არ მიუთითებს. თუმცა უნდა დავასკვნათ, რომ იურისტი უფრო მეტად უნიტარიზმისადმი იყო კეთილგანწყობილი. ეს საკითხი მან შინაგან პოლიტიკოსთა მსჯელობის საგანი გახლდათ.

სახელმწიფო მოღვაწეთა ერთი ჯგუფი ეწინააღმდეგებოდა ფედერალიზმს და უპირატესობას უნიტარიზმს ანიჭებდა, მაგრამ მეორე ჯგუფი სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის რთულ ფორმას ეძებრობოდა. ნოე ჟორდანია ამბობდა, რომ „დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლება იყოს ორი სისტემის: ფედერაციული და უნიტარული. საქართველოს პირობებში კი ფედერალიზმის პრინციპი მიუღებელია. შეიძლება შევჩერდეთ მხოლოდ უნიტარულ-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე".[11]

საქართველოში ეროვნული დემოკრატიული სახელმწიფოს სამწლიანი არსებობის მანძილზე ტერიტორიული მთლიანობა არ დარღვეულა. (მიუხედავად იმისა, რომ იყო ამის უამრავი მცდელობა - ბ.ქ.).

„1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სწორედ XV საუკუნის მიწურულს დაშლილი ერთიანი ქართული სახელმწიფოს სამართალმემკვიდრე იყო. ახალგაჩენილ ქართული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას იმთავითვე დაემუქრა საფრთხე მეზობელი სახელმწიფოების: რუსეთის, თურქეთისა და სომხეთის მხრიდან. ურთულეს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ვითარებაში ახალი ქართული სახელმწიფოს

11. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 8 სექტემბერი.

ლიდერებმა მაინც შეძლეს საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა. ქართული სახელმწიფოს იურისდიქცია გავრცელდა აფხაზეთზე, რომელსაც რუსეთი აცხადებდა პრეტენზიას და აჭარაზე, რომლის დაპყრობა უჭირდა თურქეთს. საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა აღმოსავლეთ კახეთი (ზაქათალის მხარე), ამ საზღვრებში ცნო ოფიციალურად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციამ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით.

ბოლშევიკმა დემაგოგებმა, რომლებიც 1918-1920 წლებში ყოველნაირად აქეზებდნენ აფხაზებსა და ოსებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ და მთლიანად მხარს უჭერდნენ მათ „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ“ თვითგამორკვევას, გასაბჭოების შემდეგ ვერ შეძლეს მათ მიერ „აწყებული“ სეპარატისტების მოთოკვა და იძულებულნი შეიქმნენ მონუსხებითი „დამოუკიდებლობა“ (ისიც დროებით) ებოძებინათ აფხაზებისათვის, ხოლო ოსებით დასახლებული შიდა ქართლის ნაწილი, ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქად გამოეცხადებინათ.[12]

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული სახელმწიფოებრივი საკითხი საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი. 1995 წლის კონსტიტუციის მეორე მუხლის თანახმად, იგი განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ. ფედერაციული სისტემა არითულებს ქვეყნის მმართველობით პროცესებს. მას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უამრავი უარყოფითი მხარეები. საქართველო, როგორც მცირე სახელმწიფო, არ უნდა მოეწყოს ფედერაციულად. უპირატესობა უნდა მიენიჭოს უნიტარულ სისტემას, რომელსაც თაყის დროზე მხარს უჭერდა დიდი ილია ჭავჭავაძე. უნიტარულ სახელმწიფოში არსებობს ერთიანი ხელისუფლება და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები, რომლებსაც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის სტატუსი არ გააჩნია. ფედერაციულ სახელმწიფოში აღვილად ბოსალოდნელია ფედერაციის სუბიექტების მიღრეკილება სეცესიისაკენ.

---

12. ზურაბ პაპასქირი, საქართველოს ტერიტორიული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის პრობლემა უძველესი დროიდან დღემდე, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 13 იანვარი.

ქართული სახელმწიფოსათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა რესპუბლიკებმა საბედისწერო როლი შეასრულეს. ამ მხრივ უკიდ გასათვალისწინებელია აჭარაში შექმნილი მდგომარეობა (მხედველობაშია ცენტრისადმი დაუმორჩილებლობა - ბ.ქ.). გათავხედებულმა აფსუებმა ისარგებლეს ავტონომიის სტატუსით და აფხაზეთი, საქართველოს განუყოფელი ნაწილი, „მოწყვიტეს" დედასაქართველოს.

ჩვენი ქვეყანა 1918-1921 წლებში სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის თვალსაზრისით უნიტარული იყო. ამას 1921 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლი ადასტურებს: „საქართველო არის თავისუფალი, დამოუკიდებელი და განუყოფელი სახელმწიფო". სიტყვა „განუყოფელი" უნიტარიზმს გულისხმობს.

შესაძლებელია ჩამოვაყალიბოთ ზოგადი დასკვნა.

კონსტანტინე მაქელაძე დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს აიგივებს ერთმანეთთან. თუმცა მას სახელმწიფოს ნიშნებში არ მოიაზრებს. ცალკე განიხილავს, როგორც სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს. არ არსებობს სახელმწიფო სუვერენიტეტის გარეშე. სუვერენულ, თავისუფალ ქვეყანაში შესაძლებელია დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების ნორმალური წარმართვა, ეროვნული სახელმწიფოებრივი სივრცის შექმნა, ნაციონალური თვითმყოფადობის აღორძინება და საერთაშორისო არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან ინტეგრირება. სუვერენიტეტის გარეშე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ვერ მიაღწევს სასურველ შედეგებს, ვერ განავითარებს ეროვნულ პოტენციალებს და ვერ შექმნის სოციალურ-სამართლებრივად მყარ, სტაბილურ სახელმწიფოებრივ კონიუნქტურას.

ამის მაგალითები საქართველომ ბევრჯერ იწვნია. სუვერენიტეტის ხელყოფის განმეორების თავიდან ასაცილებლად მეტი სიფხიზლე და ყურადღება გვმართებს. მთავარია ეროვნული საქმეების კეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალია უცხო ძალების შემოსევა და კვლავ სახელმწიფოებრიობის დაშლა, იმ ეროვნული პოლიტიკური ანატომიისა, რომლის შენარჩუნებისა და სიმტკიცისათვის საუკუნეების მანძილზე იღვრებოდა ქართველთა უმანკო სისხლი.

ნაწილი მეხუთე

თავი მეთექვსმეტე

კონსტანტინე ციქელაძე და პარლამენტი

პარლამენტი არის ხალხის წარმომადგენლობის უნივერსალური ფორმა. საქართველოში პარლამენტარიზმის იდეა XII საუკუნეში იღებს სათავეს, როდესაც ყუთლუ-არსლანის დასმა წამოაყენა წინადადება წარმომადგენლობითი ორგანოს მსგავსი დაწესებულების ჩამოყალიბების თაობაზე. მეცნიერთა ერთი ჯგუფის მოსაზრებით, ეს გამოსულა მიზნად ისახავდა საქართველოში პარლამენტის ტიპის ორგანოს დაფუძნებას. მეჭურჭლეთუხუცესის პროგრამა აღასტურებს XII საუკუნის საქართველოში ხელისუფლების განაწილების ტენდენციას და ეროპიროვნული მმართველის ხელისუფლების შეზღუდვას. „მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, თავად ის ფაქტი, რომ ამ პერიოდისათვის არსებობდა ყუთლუ-არსლანის დასის პროგრამა, რომელიც პოლიტიკური და სამოქალაქო საკითხების საკანონმდებლო რეგულირებას მოითხოვდა, მიუთითებს მაღალ სახელმწიფო-სამართლებრივ აზროვნებასა და კულტურაზე“.[1]

მეცნიერთა მიერ იმის მტკიცება, რომ სახელმწიფო საბჭო ანუ დარბაზი წარმომადგენლობითი ინსტიტუტი იყო, ჩვენი აზრით, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. იგი არ წარმოადგენდა საკანონმდებლო ხელისუფლებას. მისი დანიშნულება მაშინდელ საზოგადოებრივ სისტემაში სათათბირო ფუნქციებით შემოიფარგლებოდა.

დარბაზი მეფის შემდეგ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. ამ ორგანოს თანამდებობის პირები სამეფოს ცენტრალური მმართველობის აპარატის მოხელეებს წარმოადგენდნენ. სახელმწიფო საბჭო დაკომპლექტებული იყო დიდგვაროვანი ფეოდალებით. მეფე ამ უკანასკნელთა გავლენას განიცდიდა. უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას მეფეს ფეოდალთა აზრი უნდა გაეთვალისწინებინა. დარ-

1. ზ. რუხაძე. საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999 წელი. გვ. 21.

ბაზი არ იყო მუდმივმომქმედი დაწესებულება. იგი იმართებოდა მეფის თავმჯდომარეობით. სახელმწიფო საბჭო კონტროლს უწევდა კანონების დაცვას, მის კომპეტენციაში შედიოდა გადასახადების დაწერა და გაწერა, ბაჟების, ტარიფების და საგაჭრო წესების დადგენა, მეფის სახელით მოხელეთა დანიშვნა და სხვა.

მიუხედავად დარბაზობის ამგვარი დიდი უფლებამოსილებისა, იგი არ წარმოადგენდა საკანონმდებლო ხელისუფლებას, ვინაიდან, ის იყო მეფის საათაბირო ორგანო. თუმცა ხალხს მასზე ხელი ნაკლებად მიუწვდებოდა. სახელმწიფო საბჭოში ფეოდალები თავიანთ თავს წარმოადგენდნენ. დარბაზი ამა თუ იმ საკითხებზე კონსულტაციებს მართავდა მეფესთან და რჩევას აძლევდა მას. საბოლოო გადაწყვეტილებას მეფე ღებულობდა.

ჩვენ არ ვეთანხმებით იმ აზრს, რომლის თანახმად, დარბაზი წარმომადგენლობითი სისტემა იყო.

ეროვნული ქართული პარლამენტარიზმის იდეა XII საუკუნეში იღებს სათავეს, თუმცა ყუთლუ-არსლანის დასის მცდელობა ამ საკითხზე წარუმატებელი აღმოჩნდა.

ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში დიდი ადგილი უჭირავს საქართველოს პირველ საკანონმდებლო ორგანოს - ეროვნულ საბჭოს, რომელიც შეიქმნა 1917 წლის 19 ნოემბერს ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით. ეროვნული საბჭოს შემადგენლობა 1918 წლის 26 მაისის სხდომაზე გაფართოვდა. 1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს პარლამენტი ეწოდა.

საქართველოს ისტორიაში პირველად ხალხის მიერ არჩეული იქნა წარმომადგენლობითი ორგანო - დამფუძნებელი კრება, რომლის პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს და რომელმაც შეასრულა ეპოქალური მნიშვნელობის მისია - მიიღო 1921 წლის კონსტიტუცია.

1921 წლის 21 თებერვლის უზენაესი კანონის ამოქმედებით დაიწყო ახალი ერა ქართული პარლამენტარიზმის ისტორიაში. ძირითადმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს - საქართველოს პარლამენტს, რომლის მოწვევა ცნობილი მიზეზების გამო არ შემდგარა.

საქართველოში საბჭოთა იმპერიის დამხობის შემდეგ, 1990 წლის 28 ოქტომბერს, ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები, რომელსაც დაეფუძნა საქართველოს საკანონმდებლო ორგანო

უზენაესი საბჭო. მისი პირველი სესია გაიხსნა 1990 წლის 14 ნოემბერს. ეს გახლდათ წმინდა ეროვნული წარმომადგენლობითი დაწესებულება, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი, ბ-ნი ზვიად გამსახურდია.

უზენაესი საბჭოს დამხობიდან დღემდე საქართველოს ნამდვილი, ეროვნულ პრინციპებზე დამყარებული პარლამენტი არ ყოლია.

საკანონმდებლო ორგანო სახელმწიფო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი სისტემაა. კონსტანტინე მიქელაძე საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს კონსტიტუციის მრავალწახნაგოვან საკითხებთან დაკავშირებით. მას ყურადღების ცენტრიდან არ გამორჩენია საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელსაც ღირსეული ადგილი უნდა დაემკვიდრა ძირითად კანონში.

იურისტი საკანონმდებლო ორგანოს „წარმომადგენლობით სისტემას", „პარლამენტს", „საკანონმდებლო ხელისუფლებას" უწოდებს.[2] ეს ცნებები უცნობი არ არის კონსტანტინე მიქელაძის, როგორც იურისტისათვის.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრებს შორის მწვავე კამათი გამოიწვია საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსათვის სახელწოდების შერჩევის საკითხმა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის 1918 წლის 18 სექტემბრის სხდომაზე პავლე საყვარელიძემ დასვა საკითხი, რომლის თანახმად, ეროვნულ საბჭოს არ უნდა დარქმეოდა პარლამენტი. მისი აზრით, „პარლამენტი" საზოგადო სახელწოდებაა. ყოველ საკანონმდებლო ორგანოს საკუთარი, ისტორიულად შემუშავებული სახელი აქვს. იგი მიუთითებდა, რომ

---

2. „საკანონმდებლო ორგანო" ყოველთვის არ გულისხმობს „წარმომადგენლობით ორგანოს". მაგალითად, საქართველოს ეროვნული საბჭო (1917 წელი, 19 ნოემბერი) არ იყო წარმომადგენლობითი დაწესებულება, ვინაიდან, იგი ხალხს არ აურჩევია, ე.ი. მოქალაქეების წარმომადგენლებით არ გახლდათ დაკომპლექტებული, ხოლო საქართველოს დამფუძნებელი კრება (საკანონმდებლო ორგანო) მოიცავდა წარმომადგენლობით სისტემას, რადგან, მისი წყარო იყო ხალხი, კრების წარმომადგენლობა ხალხის მიერ იქნა არჩეული. თავად „წარმომადგენლობითი ორგანო" ყოველთვის არ გულისხმობს „საკანონმდებლო ორგანოს", მაგალითად, ადგილობრივი თვითმმართველობა - საკრებულო წმინდა წარმომადგენლობითი დაწესებულებაა, მაგრამ იგი საკანონმდებლო უფლებამოსილებით არ არის აღჭურვილი ბ.ქ.

ჩვენ უნდა ავირჩიოთ ისევ ქართულ სახელწოდებებში რომელიმე: კრება, საკრებულო, დარბაზი, საბჭო და სხვა.[3]

საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე წარმოადგინეს „წარმომადგენელთა პალატა", „წარმომადგენელთა საბჭო", „სახელმწიფო საბჭო", „საერთო საბჭო", „სახელმწიფო პალატა". აქედან უნდა ამოერჩიათ ერთ-ერთი სახელწოდება.

რაჟდენ არსენიძე საუკეთესოდ მიიჩნევდა ეროვნული საბჭოსათვის ეწოდებინათ „ხალხის წარმომადგენელთა დარბაზი".[4]

ნ. ჟორდანია „ნაციონალურ საბჭოს", გ. გვაზავა „სათათბიროს", ვ. გობეჩია „დეპუტატთა სასახლეს", ნ. რამიშვილი „ეროვნულ კრებას", ხოლო კ. მაყაშვილი „რჩეულთა დარბაზს" თვლიდა ყველაზე ოპტიმალურ და მისაღებ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად.[5]

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ საერთო ტრადიციული სახელწოდება პარლამენტი მიიღო (1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს პარლამენტს უწოდებს - ბ.ქ.).

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებს, რომ მოქალაქეთა უშუალო ანუ, როგორც იტყვიან, აბსოლუტური პოლიტიკური თვითშემოქმედება თანამედროვე პირობებში, ე.ი. თვით დემოკრატიული რეჟიმის ბატონობისას სრულად და ყოველმხრივ შეუძლებელია, მაგრამ ეს უფლებაშემოქმედება საბოლოოდ რომ არ იქნეს იგნორირებული და მიეცეს შედარებით ფართო ასპარეზი, დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმართავენ სახელმწიფო ხელისუფლების განაწილებას.

ხელისუფლების დიფერენცირებას, როგორც წესი, შედეგად მოჰყვება საკანონმდებლო სისტემის აღმოცენება, რომელშიც გაერთიანებულია ადამიანთა გარკვეული რაოდენობა. ისინი მთლიანობაში ქმნიან ერთიან საკანონმდებლო მექანიზმს, ხალხის სახელითა და მათი ნების გათვალისწინებით ახორციელებენ განსაზღვრულ უფლებაშემოქმედებას. მონტესკიე ბრძანებდა, რომ „წარმომადგენელთა დიდი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათ შესწევთ უნარი

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 79.

4. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 80.

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 90.

საქმეებზე მსჯელობისა, ხალხი ამისთვის არ გამოდგება: ესაა დემოკრატიის ერთ-ერთი უდიდესი უხერხულობა".

საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის 46-ე მუხლი იძლევა დეფინიციურ ნორმას (და არა ქცევის წესს - ბ.ქ.): „საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობითი ორგანო არის „საქართველოს პარლამენტი", რომელიც შესდგება საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, ფარული და პროპორციული წესისაებრ არჩეული დეპუტატებისაგან". ანალოგიური ნორმა მოცემულია საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში, მხოლოდ მცირეოდენი განსხვავებით: კონსტიტუციის 49-ე მუხლი ითვალისწინებს, როგორც პროპორციულ, ისე მაჟორიტარული სისტემით არჩევნებს, მაშინ, როდესაც 1921 წლის კონსტიტუცია მხოლოდ პროპორციულ სისტემას განამტკიცებს. ეს არის შერეული ფორმა, რომელიც უფრო დემოკრატიულია.

კონსტიტუციური სამართლის მეცნიერება იცნობს ისეთ კონსტიტუციებს, რომლებშიც პარლამენტების კომპეტენცია სხვაგვარადაა მოცემული. საკანონმდებლო ორგანოთა კონსტიტუციური უფლებამოსილება ზოგჯერ ა) აბსოლუტურად განსაზღვრული, ბ) აბსოლუტურად განუსაზღვრელი ან გ) შედარებით განსაზღვრულია. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის უფლებამოსილება შედარებით განსაზღვრულია. ჩვენს მიერ ამის აღიარებას საფუძვლად უდევს კონსტიტუციის 54-ე მუხლი, სადაც ჩამოთვლილია პარლამენტის კომპეტენციები და მოცემულია „თ" ქვეპუნქტი. აქ ნათქვამია: „კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული და საერთო კონტროლი აღმასრულებელი ხელისუფლებისა".

ძირითადი კანონის ეს ციტატი („კონსტიტუციით ან კანონით მისდა მიკუთვნებული") სწორედ იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია პარლამენტის უფლებამოსილების „შედარებით განსაზღვრულ" პრინციპს აღიარებს. ამის საილუსტრაციოდ რად ღირს თუნდაც ამავე კონსტიტუციის 72-ე მუხლის „თ" ქვეპუნქტი, რომელიც მიუთითებს მთავრობის მიერ იმ მოვალეობათა შესრულებაზე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ 1921 წლის კონსტიტუცია პარლამენტის კომპეტენციას აბსოლუტურად ვერ განსაზღვრავდა, ვინაიდან, საქართველო პარლამენ-

ტარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა და სახელმწიფოში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილება ხელისუფლების სხვა ორგანოების პრეროგატივას საგრძნობლად აღემატებოდა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტის კომპეტენცია ასევე შეღარებით განსაზღვრულად არის მოცემული. ამ უკანასკნელის გამოხატულებაა უზენაესი კანონის 48-ე მუხლი: „საქართველოს პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს".

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში საკანონმდებლო ხელისუფლებას საგანგებოდ ეხება ოცი მუხლი, ხოლო 1995 წლის კონსტიტუცია შეიცავს ოცდაერთ მუხლს. მათ შორის ეხედავთ ანალოგიასაც.

კონსტიტუციისა და კანონების მიღება პარლამენტის პრეროგატივაა, ხოლო მათი ცხოვრებაში გატარება ცალკეული ორგანოების მოვალეობას წარმოადგენს. ამდენად, კანონის დაცვის სრულყოფილად გარანტიად მხოლოდ პარლამენტი არ უნდა ჩაითვალოთ, ეს მმართველობითი და სამართალდამცავი ორგანოების უპირველესი კომპეტენციაა. თუმცა კანონმდებელი ამ მოვალეობისაგან არ თავისუფლდება. აღნიშნულ პრინციპს განამტკიცებს 1921 წლის ძირითადი კანონის მე-8 მუხლი: „კონსტიტუციის შესრულება და მისი პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს".

საკანონმდებლო ორგანო წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო დაწესებულებას, რომელიც, არამარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა მიიღოს ისეთი აქტები, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს. იურისტი კონსტანტინე მიქელაძე სწორედ ამ უკანასკნელ დებულებას აღიარებს. მისი მთავარი იდეალი იყო საქართველოში პარლამენტარული მმართველობის ისეთი მოდელის შექმნა, რომელსაც მომავალში დაეფუძნებოდა ჯანსაღი ეროვნული სახელმწიფოებრივი ანატომია და პოლიტიკა.

თავი მეჩვიდმეტე

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება პარლამენტის სტრუქტურასა და შემადგენლობაზე

ნებისმიერი სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია ხასიათდება სტრუქტურული სისტემით. არ არსებობს დაწესებულება შინაგანი იერარქიის გარეშე. ყველა ორგანო რთული მოვლენაა. მათ რიცხვს მიეკუთვნება პარლამენტი. ამ საკითხზე კონსტანტინე მიქელაძემ საკუთარი პოზიცია გამოკვეთა.

მისი განმარტებით, უმრავლეს დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც გაბატონებულია წარმომადგენლობითი სისტემა, პარლამენტი შედგება ორი პალატისაგან (ბიკამერალიზმი). იგი იმ პოზიციაზე დგას, რომ პარლამენტის საკანონმდებლო ფუნქციონირება უნდა განისაზღვრებოდეს ორი პალატის მოღვაწეობით. საკანონმდებლო სისტემისთვის პალატების სპეციფიკურობას და აუცილებლობას იურისტი ასაბუთებს რამდენიმე პირის პერსონალური მოსაზრებით. კონსტანტინე მიქელაძეს ცნება „პალატა“ არ გამოუყენებია. „პირველი“ და „მეორე“ ტერმინებით ხელმძღვანელობს. „მეორეში“ „ზედა პალატა“ უნდა ვიგულისხმოთ, ხოლო „პირველში“ „ქვედა პალატა“.

ორპალატიანი სისტემა გახლავთ ის ფაქტორი, რომელიც დადებითად მოქმედებს დემოკრატიულ პროცესებზე. საპარლამენტო საქმიანობაში მათი დანიშნულება საუკეთესოდაა გადმოცემული სპირიდონ კედიას განსაზღვრებაში: „ორპალატიანი კანონმდებლობა კი იმით არის სასარგებლო, რომ კანონი რამდენჯერმე განიხილება სხვადასხვა თვალსაზრისით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ამ კითხვისათვის ტემპერამენტს. ეხლა კანონი იკითხება, - მაგრამ სამჯერაც რომ წაიკითხონ, მაინც შეცდეგი ერთი იქნება, რადგან ერთი ტემპერამენტის ხალხი ისმენს და მსჯელობს; მეორე პალატა რომ იყოს, მაშინ იქ იქნება უფრო სხვა ტემპერამენტის ხალხი, სხვა სისტემით არჩეული, რომელნიც სხვა თვალით გაისინჯავენ კანონს, უფრო შეატყობენ ნაკლს“.[1]

---

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 28.

კონსტანტინე მიქელაძე იზიარებს ვ. ვილსონის შეხედულებას აღნიშნულ საკითხზე. ვილსონი მიუთითებდა: „მეორე პალატა (იგულისხმება „ზედა პალატა" - ბ.ქ.) აგებული პირველისაგან (იგულისხმება „ქვედა პალატა" - ბ.ქ.) განსხვავებულ პრინციპზე, ცხრილის როლს თამაშობს, რომ ეს პალატა იარაღია პირველი, დემოკრატიული ტირანის წინააღმდეგ მიმართული". ვილსონი ამ მოსაზრებას 1905 წელს გამოცემულ ნაშრომში („სახელმწიფო") აფიქსირებს.

კონსტანტინე მიქელაძე იცნობს ქვეყნებს, სადაც ერთპალატიანი პარლამენტები ფუნქციონირებს. მაგალითად, შვეიცარიის კანტონებში, ნორვეგიაში. იურისტი საკუთარ ნაშრომში განამტკიცებს პროფესორ ესმენის მოსაზრებას: „საკანონმდებლო ორგანოს ორ პალატად გაყოფას ნამდვილად ის მიზანი აქვს, რომ დაასუსტოს გავლენა საკანონმდებლო ძალისა, რომელსაც წარმომადგენლობითის სახით დიდი გავლენა აქვს, მაშასადამე საშიშია". ესმენი უარყოფს ორ პალატიან სისტემას და პარლამენტში მათ მოღვაწეობას ნეგატიურად აფასებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე მიქელაძე მიესალმება ესმენის უკანასკნელ კონცეფციას, რომ საკანონმდებლო ძალას (წარმომადგენლობით სისტემას), რომელიც მნიშვნელოვან უფლებაშემოქმედებას ეწევა კანონმდებლობითი ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით, უდიდესი პრიორიტეტი აქვს და ძლიერ ორგანოს წარმოადგენს. კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება იმაში მდგომარეობს, რომ პარლამენტის ძლიერება არსებობს, თუ საკანონმდებლო ხელისუფლება დემოკრატიულ პრინციპებზეა აგებული. ასეთ დროს პარლამენტს შესწევს ძალა იურიდიულ ნორმებში ხალხის უფლებები განამტკიცოს. იურისტი ამბობს: „დემოკრატიულ პრინციპებზე ჩამოყალიბებულ წარმომადგენლობას შეუძლია თავისი უფლებაშემოქმედების საშუალებით შემოიღოს და დაამკვიდროს ცხოვრებაში პოლიტიკური და სოციალური ხასიათის პროგრესული წესები".[2]

უკანასკნელი სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს კონსტანტინე მიქელაძის პოზიტიურ დამოკიდებულებას პარლამენტარული რესპუბლიკისადმი.

---

2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 32.

ცნობილი ქართველი კონსტიტუციონალისტი, თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი იურისტი პ. ცნობილაძე მიუთითებს, რომ „ორპალატიანია პარლამენტის სტრუქტურა, როცა პარლამენტი შესდგება ორი პალატისაგან, ისინი, როგორც წესი, ყალიბდებიან განსხვავებულად და გააჩნიათ სხვადასხვა კომპეტენციები. ისტორიულად ქვედა პალატა ითვლებოდა უფრო დემოკრატიულად, ამიტომ მას უპირისპირდებოდა ზედა პალატა, რომელსაც უნდა წარმოედგინა არისტოკრატიის ინტერესები და ეთამაშა მუხრუჭის როლი ქვედა პალატის მიმართ. ორპალატიანი სისტემა თანამედროვე პირობებში არსებობს, როგორც ფედერაციულ, ისე უნიტარულ სახელმწიფოებში. პარლამენტის ქვედა პალატა ყოველთვის აირჩევა უშუალოდ მოსახლეობის მიერ. ზედა პალატა ყალიბდება მემკვიდრეობითობის პრინციპით (ინგლისი), ან მისი წევრები ინიშნებიან სახელმწიფოს მეთაურის მიერ (კანადა). ზოგიერთ შემთხვევაში ზედა პალატა ყალიბდება შერეული გზით; მისი წევრების ნაწილი ინიშნება, დანარჩენები კი იკავებენ ადგილს მემკვიდრეობის პრინციპით (ნეპალი). ზოგიერთ ქვეყანაში ზედა პალატისათვის, ქვედა პალატისაგან განსხვავებით, არ არის დადგენილი უფლებამოსილების ვადა, მისი შემადგენლობა იცვლება (აშშ, არგენტინა, საფრანგეთი და სხვ.), რაც ზედა პალატას ანიჭებს არსებით ორგანიზაციულ უპირატესობებს, ქმნის საკანონმდებლო ხელისუფლების უწყვეტობის შთაბეჭდილებას".[3]

კონსტანტინე მიქელაძეს საკუთარ ნაშრომში ხაზგასმული აქვს ის გარემოება, რომ პარლამენტში ნამდვილი საკანონმდებლო ძალა აქვს პირველს ანუ ქვედა პალატას, რომელიც ფაქტობრივად ახორციელებს საკანონმდებლო ფუნქციას. იურისტი აღნიშნავს, რომ მეორე ანუ ზედა პალატა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქვედა პალატას, უფრო სწორად მისგან შეზღუდვებს არ უნდა განიცდიდეს. მიქელაძის შეხედულებით, ამ ორ სისტემას შორის უნდა შეიქმნას ჰარმონიული დამოკიდებულება.

თანამედროვე საქართველოს პარლამენტი ერთპალატიანია. თუმცა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს ორ პალატიან სისტემად რეორგანიზაციის პერ-

3. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, 1999 წელი, გვ. 197.

სპექტივა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და აღგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქმნება ორი პალატა: ა) რესპუბლიკის საბჭო და ბ) სენატი.[4]

საგულისხმოა, რომ რესპუბლიკის საბჭო დაკომპლექტდება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი, ანუ „ზედა პალატა" აფხაზეთში, აჭარასა და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩებული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სხვა შესაბამისი პირობების განხორციელების შემდგომ ერთპალატიანი საქართველოს პარლამენტი იქცევა ორპალატიან პარლამენტად.[5]

კონსტანტინე მიქელაძე პარლამენტს ხალხის წინაშე დიდი მოვალეობის შესრულებას აკისრებს. იგი უნდა იყოს საერთო კეთილდღეობისათვის მებრძოლი დაწესებულება, ვინაიდან, საკანონმდებლო ორგანო დაკომპლექტებულია ხალხის მიერ არჩეული დეპუტატებით.

„პარლამენტის ფუნქციები, მისი მოქმედება მეტად რთული და მრავალმხრივია. ამის გამო პარლამენტის მოღვაწისათვის (იგულისხმება დეპუტატი - ბ.ქ.) აუცილებლად საჭიროა ქონდეს განსაკუთრებული ცოდნა და ნიჭი, სწრაფი მოსაზრება, მჭერმეტყველება, ფართო შეხედულება; მას უნდა შეეძლოს გაერკვეს ხოლმე შინაურ და საერთაშორისო ცხოვრების რთულ კითხვებში: ის აღჭურვილი უნდა იყოს იურიდიული, ეკონომიკური და ისტორიული განათლებით".[6]

პარლამენტის წევრის სამართლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 48 და 49 მუხლები.

დეპუტატი პასუხისმგებლობაში არ მიეცემოდა იმ აზრისა და შეხედულებისათვის, რომელსაც გამოთქვამდა იგი თავისი მოვალეობის აღსრულების დროს. ეს პრინციპი დადასტურებულია 1995 წლის კონსტიტუციის 52 მუხლის მე-4 ქვეპუნქტით. 1921 წლის ძირითადი კანონის თანახმად, პარლამენტის წევრის პიროვნება

4. საქარველოს 1995 წლის კონსტიტუცია, თბ. 2000 წელი, გვ. 5.
5. პ. ცნობილაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 198.
6. გაზეთი „ლამპარი", 1906 წელი, 20 აპრილი.

ხელშეუხებელია. იკრძალებოდა მისი შეპყრობა ან პასუხისგებაში მიცემა, ვიდრე პარლამენტის წევრად ითვლებოდა, თუ თვით პარლამენტი ამის ნებას არ დართავდა. გამონაკლისი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც დეპუტატს დანაშაულის ჩადენაზე მიუსწრებდნენ, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეღო პარლამენტს. მას გაანთავისუფლებდნენ, თუ პარლამენტი ამას მოითხოვდა.

როგორც ჩანს, 1921 წლის კონსტიტუცია ცნობდა დეპუტატის იმუნიტეტს. კონსტანტინე მიქელაძე ავითარებს იმ კონცეფციას, რომლის თანახმად, დემოკრატიულ რეჟიმში თვით ხალხი ქმნის წარმომადგენლობით სისტემას და, ამდენად, ეს უკანასკნელი ვალდებულია მაქსიმალურად ხელი შეუწყოს მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფას, თანასწორუფლებიანობის დაცვასა და შენარჩუნებას. ხალხის მიერ პარლამენტის შექმნის შესაძლებლობას აფიქსირებს 1921 წლის კონსტიტუციის 46-ე მუხლი. პარლამენტი ის სახელისუფლებო დაწესებულებაა, რომელიც მოწოდებულია მოახდინოს საკანონმდებლო რეგლამენტაცია საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროში, რაც სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთგვარი საწინდარია. როგორც იურისტი მიუთითებს, სახელმწიფოში საკანონმდებლო ძლიერება საფრთხეს წარმოადგენს ზოგიერთებისთვის, ე.ი. მათთვის ხელსაყრელი არ არის აღნიშნული ორგანოს ამგვარი დიდი მნიშვნელობა. კონსტანტინე მიქელაძე კონკრეტულად არ მიუთითებს თუ ვისთვის წარმოადგენს საშიშროებას საკანონმდებლო ძლიერება. იგი განმარტავს: „ის საკითხი კი, თუ ვის ემუქრება დემოკრატიულ პრინციპებზე აგებული ხალხის წარმომადგენლობის ძლევა-მოსილება, ადვილად წყდება, თუ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოებაში ანუ სახელმწიფოში არსებულ კლასობრივ ინტერესთა წინააღმდეგობას და ბრძოლას“.[7]

კონსტანტინე მიქელაძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ასევე პარლამენტის შემადგენლობას. 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ხარვეზი ის გახლავთ, რომ იგი არ მიუთითებს საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რიცხოვრივ რაოდენობაზე. თუმცა 1995 წლის კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტი შედგება 235 დეპუტატისაგან.

---

7. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 32.

კონსტიტუციის პროექტის შემდგენლები ითვალისწინებდნენ აღნიშნულ საკითხს და მას კომისიის სხდომაზე პრიორიტეტულ სადისკუსიო თემად თვლიდნენ.

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 28 თებერვლის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა სპეციალური დებულება, რომლის თანახმად, იმსჯელეს პარლამენტის წევრთა შემადგენლობაზე. მოხსენებით გამოვიდა რაჟდენ არსენიძე. მან აღნიშნა, რომ საქართველოს პარლამენტი უნდა შემდგარიყო 120 დეპუტატისაგან. თუმცა გიორგი ნანეიშვილი მოითხოვდა ამ რაოდენობის შემცირებას. იგი მიუთითებდა, რომ ჩვენი ქვეყანა პატარაა და ბევრი წევრების შენახვა გაუძნელდება. საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე ხმების უმეტესობით გადაწყდა, რომ დარჩენილიყო 120 დეპუტატი.[8]

ამის შემდეგ კი საკონსტიტუციო კომისიამ დიდი პაექრობის საფუძველზე დაადგინა, რომ არჩევნებში მონაწილეობის უფლებამოსილება მისცემოდა ოცი წლის ასაკს მიღწეულ საქართველოს მოქალაქეს, ხოლო პარლამენტის ფუნქციონირების ვადად დაწესდა სამი წელი.[9]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 46-ე მუხლის მიხედვით, „არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს სქესის განურჩევლად ყოველ სრულუფლებიან მოქალაქეს, რომელსაც ოცი წელი შესრულებია. პარლამენტი აირჩევა სამი წლის ვადით".

ეს საკითხები სხვაგვარადაა მოწესრიგებული თანამედროვე ქართული კანონმდებლობით. საქართველოს პარლამენტის ფუნქციონირების ვადაა ოთხი წელი. არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ყოველ მოქალაქეს, 18 წლის ასაკიდან.

პარლამენტის ნორმალური და სტაბილური ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მრავალპარტიულობის პრინციპს, პარტიათა მოღვაწეობას, რომლებიც ასევე ქმნის საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობას.

პარტიებს შორის არსებული კონფლიქტი ვნებს საჯარო ინტერ-

---

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 26.

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 26.

ესებს. პირად ამბიციებს აყოლილი პოლიტიკური ორგანიზაციები აკნინებენ საერთო სახელმწიფოებრივ პოლიტიკას.

მართებულად მიუთითებდა მაქს ვებერი, რომ „გამძვინვარებული ბრძოლა პარტიათა შორის, ყოვლის უწინ, ესაა ბრძოლა თანამდებობრივი პატრონაჟის მოსაპოვებლად“.[10]

კონსტანტინე მიქელაძე სასტიკად გმობს პარტიათა მკვეთრ დაპირისპირებას და მოუწოდებს მათ გააერთიანონ ძალები ეროვნული საქმის წარმოებისათვის.

აი, რა უპირატესობას ანიჭებს იურისტი პარლამენტის შემადგენლობას: „მიუხედავად იმისა, თუ რამდენ საფეხურიანი იქნება საკანონმდებლო ორგანო, უკანასკნელის ნაყოფიერ და მიზანშეწონილ საქმიანობას მაინც მჭიდრო კავშირი აქვს მის შემადგენლობასთან. ჩვენ გვაქვს მაგალითები ევროპული სახელმწიფოებისა საფრანგეთის და ინგლისისა. ამ სახელმწიფოების ქვემო პალატები, რომელთაც აქვთ ნამდვილი საკანონმდებლო ძლიერება, სხვადასხვა შემადგენლობის არიან. ეს სხვადასხვაობა შესაფერ დაღს აჩენს მათი მოღვაწეობის მიმართულებას.

ის გარემოება, რომ ინგლისის პარლამენტში ერთი პარტია აწარმოებს მთელ სახელმწიფო პოლიტიკას, რომ ამ პარტიის ხელში არის მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლება, აიხსნება იმით, რომ პოლიტიკურმა ცხოვრებამ და მისმა ვითარებამ წარმოშვა დიდი და ძლიერი პარტია. ინგლისელების ვერცერთ კანონში ვერ ვიპოვნით ისეთ დებულებას, რომლითაც კანონდებოდეს იქ არსებული მმართველობა, დამყარებული საკანონმდებლო ორგანოს ძლიერებაზე. ასეთი მდგომარეობა იქ განმტკიცდა მხოლოდ ჩვეულებით, ტრადიციით, რომელსაც ინგლისელების უფლებაშემოქმედებაზე ისეთივე ძალა აქვს, როგორც კანონს. ინგლისის პარლამენტის მოღვაწეობას რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ მას ედება ის ფერი, რა ფერითაც არის შეღებილი. უდიდესი პარტია ადგენს მინისტრთა კაბინეტს, მასვე უკავია ლოტბარის ადგილი საკანონმდებლო ორგანოს კონცერტში. სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრება და საკანონმდებლო მოღვაწეობა მიმდინარეობს ისეთ ფარგლებში, რომელსაც ნახულობს ეს პარტია სახელმწიფოს-

10. მაქს ვებერი, პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა, იხ. 1994 წელი, გვ. 27.

ათვის სასარგებლოდ. ამიტომ მართალია სიდნეი ლოუ (Сидней Лоу, государственный строй Англии), როდესაც ამბობს, რომ ინგლისის პარლამენტის საკანონმდებლო მოღვაწეობა გამოიხატება განსაკუთრებით ამა თუ იმ კანონპროექტის კანონად ცნობის და გამოქვეყნების შესახებ ხმის მიცემაში.

იშვიათი მოვლენა არის, რომ რომელიმე საკითხის გარშემო ინგლისის პარლამენტში დიდი დავა და კამათი ასტყდეს, მხოლოდ მაშინ, როდესაც საკითხი იმდენად რთული და დიდძნიშვნელოვანია, რომ თავისი შინაარსით სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრების ღრმა და მნიშვნელოვან ინტერესებს ეხებიან, შესაძლებელია ინგლისის პარლამენტი ატორტმანდეს და ახმაურდეს".[11]

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება პარლამენტის სტრუქტურასა და შემადგენლობაზე პროგრესულია. იურისტის სურვილს წარმოადგენდა, რომ საქართველოს პარლამენტი ორპალატიანი ყოფილიყო. დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მრავალპარტიულობის პრინციპს.

საქართველოს თანამედროვე პარლამენტის შემადგენლობა ფართო მასშტაბისაა. ჩვენი საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა უნდა შემცირდეს. პატარა ქართული სახელმწიფოსთვის აუცილებელი არ არის წარმომადგენლობით სისტემაში ასობით დეპუტატის მოღვაწეობა.

საქართველოში დეპუტატთა სიმრავლემ, სამწუხაროდ, გამოიწვია საკანონმდებლო პოლიტიკის კრიმინალიზაცია. დეპუტატთა უმრავლესობა კორუფციის ჭაობშია ჩაფლულები.

---

11. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 34.

თავი მეთვრამეტე

კონსტანტინე მიქელაძე და სოციალ-დემოკრატიული პარტია

ინსტიტუციონალიზმის თეორიის მიხედვით, ქვეყანაში სახელმწიფო არ არის ერთადერთი ორგანიზაცია. არსებობს სხვადასხვაგვარი ინსტიტუტები, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვაში. დემოკრატიულ საზოგადოებაში ყალიბდება პოლიტიკურ თუ არაპოლიტიკურ დაწესებულებათა ერთიანი სტრუქტურა, რომელიც ხელს უწყობს ერის სულიერი და მატერიალური ცხოვრების სტაბილიზაციას. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკურ პარტიათა სისტემას. დემოკრატიული რეჟიმის დიდი მონაპოვარი პარტიათა შექმნისა და მოღვაწეობის თავისუფლებაა. ეს უკანასკნელიც პოლიტიკური კულტურის შემადგენელ ნაწილად ითვლება. პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, პოლიტიკური სტაბილიზაციის შექმნისა და სახელმწიფოებრივი მართვის პროცესებში.

საქართველოს 1918-1921 წლების დემოკრატიულ სახელმწიფოში მომწიფებული იყო პოლიტიკურ პარტიათა გამოცდილება და მაიი სახელმწიფოებრივ ყოფიერებაში მონაწილეობის უნარი. ერის ცხოვრებაში არ იყო ისეთი საკითხი, რომლის შესახებ მათ თავიანთი სიტყვა არ ეთქვათ. რასაკვირველია, ადგილი ჰქონდა დაპირისპირებას, აზრთა სხვადასხვაობას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ერთიანობის ლამპარი მაინც არ ჩამქრალა.

დემოკრატიულ საქართველოში აღიარებდნენ მრავალპარტიულობის პრინციპს. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციონერული, სოციალ-დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები. აღნიშნულ პარტიათა წარმომადგენლები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებაში.

1918-1921 წლების ქართული საზოგადოება დიდ იმედებს

ამყარებდა პარტიების სწორუპოვარ მოღვაწეობაზე. მაშინდელი პრესა მიუთითებდა: „დღეს პარტიამ ათასჯერ მეტად უნდა გააცხოველოს ფართო მასაში ყოველმხრივი მუშაობა, რადგან პარტიის მუშაობა ჩაუყრის მკვიდრ საფუძველს დემოკრატიულ თავისუფლებას და მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ აღორძინებას".[1]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე მიქელაძე ყურადღებას ამახვილებს პარტიათა საქმიანობის პრინციპზე. იგი მიუთითებს, რომ „პარტიულ გეგემონიაზე (ბატონობაზე ბ.ქ.) აგებული საკანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობა ყველა სახელმწიფოსთვის არ არის სასურველი და სასარგებლო. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის ამგვარ მიმართულებას დიდი ნაყოფი შეუძლია მოუტანოს იმ სახელმწიფოს, სადაც პოლიტიკური ცხოვრება მომწიფებულია: მხოლოდ ამავე დროს განუვითარებელ, პოლიტიკურად ჩამორჩენილ ან და ეხლად შობილ სახელმწიფოსთვის, მას არ შეუძლია ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ძალაუფლების განმტკიცებას, თუ გინდ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სისტემა არ არის წარმოშობილი თავისი პოლიტიკური ვითარებისაგან".[2]

იურისტი მიუთითებს, რომ პარლამენტში ყოველთვის დომინირებული მდგომარეობა უჭირავს ერთ პარტიას. ეს უკანასკნელი წამყვანის როლს ასრულებს, წარმართავს განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ პოლიტიკას. თუმცა ამ პარტიას, მისი აზრით, უნდა ჰქონდეს პოლიტიკური გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია მან დიდი და საჭირბოროტო შეცდომები ჩაიდინოს და სახელმწიფოს საჭე დაღუპვისაკენ წარმართოს. „შეიძლება გაბატონებულმა პარტიამ ისეთ ზომებს მიმართოს, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესების პირდაპირი უარყოფა იქნება" - აღნიშნავდა იგი.

კონსტანტინე მიქელაძე საქართველოში გაბატონებულ პარტიად სოციალ-დემოკრატიას მიიჩნევდა. ამ უკანასკნელმა, ვერ კიდევ, დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს 130-დან გაიცანა 109 დეპუტატი.[3]

„მაშინ სოციალ-დემოკრატია ბატონობდა, როგორც დემოკრატია და მისი სამოქმედო პროგრამაც შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ დემოკრატიული. ამ შემთხვევაში კი მას ჰქონდა საკმაოდ

1. გაზეთი „ერთობა", 1919 წელი, 29 აგვისტო.
2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 34.
3. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1991 წელი, გვ. 205.

მომზადებული ობიექტური და სუბიექტური პირობები დემოკრატიის შეგნებასა და ძლიერებაში. ამიტომ სოციალ-დემოკრატიის მიერ მთავრობაში ჩაღგომა ტაქტიკურად აუცილებელია".[4] როგორც ჩანს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიას დემოკრატიასთან აიგივებდნენ.

ვ.ერ კიღევ, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ღიღი ხნით აღრე აღიარებდნენ, რომ სოციალ-დემოკრატია არის ნამღვილად სახალხო პარტია.[5]

„ამიერკავკასია მეორე ბალკანეთიაო"[6] მიუთითებდნენ, როდესაც არსებობდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, როგორც ერთიანი და განუყოფელი ორგანიზმი. ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისთანავე ღღის წესრიგში დადგა სოციალ-დემოკრატიის დანაწევრებისა და ამიერკავკასიის ყოფილ რესპუბლიკებში სოციალ-დემოკრატიული პარტიების ჩამოყალიბების საკითხი.

სწორედ ამ თემას მიეძღვნა 1918 წლის 13 ნოემბერს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშათა მერვე ყრილობა, რომელსაც თავმჯდომარეობდა კარლო ჩხეიძე. ყრილობაზე იმსჯელეს ამიერკავკასიის ქვეყნებში სოციალ-დემოკრატიული პარტიის დაარსების შესახებ. რეგისტრირებული იყო 32 ორატორი. მიღებული იქნა წინადადება, რომ სამ მოწინააღმდეგეს და სამ მომხრეს გამოეთქვა საკუთარი აზრი. სამმა მომხრემ მხარი დაუჭირა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დაარსებას, ხოლო სამმა მოითხოვა ამიერკავკასიის ფარგლებში ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობის შენარჩუნება. ყრილობამ 75 ხმით 5-ის წინააღმდეგ მიიღო შემდეგი სახის რეზოლუცია:

„ყრილობა განაგრძობს მუშაობას, როგორც მერვე ყრილობა ამიერკავკასიის ორგანიზაციებისა. ყრილობა აღიარებს, რომ რადგან ამიერკავკასია სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკად დაიყო, ამიტომ უნდა დაარსდეს ცალკე სოციალ-დემოკრატიული პარტიები ყველა ამ რესპუბლიკაში. ამასთანავე ყრილობა სურვილს გამოსთქვამს, რომ საჭიროა ზემოხსენებული პარტიები შეერთდნენ ამა თუ იმ ფორმით, რაითა გაძლიერებულ იქნას ამიერკავკასიის დემოკრატიის გავლენა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე".[7]

4. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 11 იანვარი.
5. გაზეთი „ალმპარი", 1906 წელი, 9 მაისი.
6. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 27 დეკემბერი.
7. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 15 ნოემბერი.

1918 წლის 19 ნოემბერს საქართველოში პირველად შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელ კრებაზე არჩეულ იქნა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელიც არჩევიდან შეუდგა დამოუკიდებელ მუშაობას.[8]

იმავე კრებაზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დამფუძნებელი ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ჩხეიძე, მის მოადგილედ ა. ლომთათიძე, დ. ონიაშვილი, გ. ურუტაძე, ი. ჭაჭანიძე და ა. ციხკარიძე. საპატიო თავმჯდომარეებად ერთხმად აირჩიეს ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, ს. ჯიბლაძე და ნ. რამიშვილი.[9]

საქართველოში გამეფებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ - ამბობს კონსტანტინე მიქელაძე მომენტის შესაფერი ნაბიჯები გადადგა. ცხადია, რომ ამ პარტიის მომენტმა შესთავაზა ლოტბარის კვერთხი ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, განსაზღვრულმა პოლიტიკურმა მომენტმა აიძულა ხელთ აეღო სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჭე, საერთო პოლიტიკური კონიუნქტურა ომით და რევოლუციით შექმნილი, უკარნახებდა ძლიერ პარტიას ხელთ აეღო სახელმწიფოებრივი ძალაუფლება და ჯერ ერთი, უზრუნველყო საქართველო რუსეთის ანარქიისაგან და მეორე, დაეცვა და განემტკიცა რევოლუციით მონაპოვარი თავისუფლებანი.[10]

კონსტანტინე მიქელაძის მიერ ამ პარტიის ოთაობაზე მოსაზრების გაცნობის შემდეგ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ანალოგიური შეხედულება ჰქონდა ნიკო ნიკოლაძესაც: „რაც უფრო ხეირიანად და დაუფანტველად ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენა, მით უფრო და უფრო ძლიერდება საზოგადოების მყუდროება და ბედნიერება“.[11]

(პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა შეცნიერება კონკრეტული პრობლემის კვლევისას ხშირად იყენებს შედარებითი ანალიზის მეთოდს. ჩვენს მიერ მისი გამოყენება გვიადვილებს დასახული მიზნის განხორციელებას - ბ.ქ.)

---

8. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 21 ნოემბერი.
9. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 29 ნოემბერი.
10. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 35.
11. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ქართული მწერლობა, ტ. 14, თბ. 1997 წელი, გვ. 87

კონსტანტინე მიქელაძეს გააზრებული ჰქონდა რუსეთის აგრესიული დამოკიდებულება საქართველოსადმი. კონფლიქტის თავიდან აცილების რეალურ შესაძლებლობას სოციალ-დემოკრატიული პარტიის ძლიერებასა და გამჭვირვალობაში ხედავდა. რუსეთთან კეთილმეზობლური და პარტნიორული ურთიერთობის გაღრმავება ქართული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიაჩნდა.

კონსტანტინე მიქელაძე, როგორც დემოკრატიული სულისკვეთებით გამსჭვალული იურისტი, ადიდებს და პოზიტიურად მოიხსენიებს სოციალ-დემოკრატიული პარტიის როლსა და მნიშვნელობას ქვეყნის წინაშე. იურისტის განმარტებით, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივითა და უშუალო ზეგავლენით საქართველო დაადგა „კოალიციონერულ გზას", რომელიც თავის დროზე სასტიკად უარყვეს რუსეთის რევოლუციის ხელმძღვანელებმა. კოალიცია, მისი აზრით, არის წარმატების მიღწევის საშუალება.

პოლიტიკურ პარტიათა განცალკევება და კონფრონტაცია ხელს ვერ შეუწყობს საერთო მიზნის მიღწევას. იურისტის შეხედულებით, ცივილიზებულ საზოგადოებაში აუცილებელია დემოკრატიული ელემენტების კონსოლიდაცია, ურთიერთშეთანხმება და ერთიანი ძალით სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ჩაბმა, „რამეთუ ამ გზით ერთი ძლიერი ფრონტი შექმნან და მით უზრუნველყონ სახელმწიფოს არსებობა ყოველგვარი ანარქიისაგან".[12]

კოალიციონური პრინციპი არის საფუძველი სახელმწიფოს აღმშენებლობისა. იურისტი იმ შეხედულებისაა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება უნდა ხორციელდებოდეს პარტიებს შორის აზრთა ურთიერთგაცვლის, საკანონმდებლო საქმიანობაში ერთობლივი მონაწილეობისა და არა უბრალო ხმის მიცემით. „ამ პირობებში სახელმწიფოს ყოველ ღონისძიებებს შედეგად მოჰყვება მტკიცე და ხალხისათვის სასარგებლო ზომები".[13]

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსტანტინე მიქელაძე აღიარებდა მრავალპარტიულობის პრინციპს, რომელიც დემოკრატიის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

---

12. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 35.
13. იქვე, გვ. 36.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე დავასკვნით, რომ კონსტანტინე მიქელაძე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ოფიციალურ წევრად თუ არა, მის პლატფორმაზე მდგომ იურისტად მაინც უნდა ჩავთვალოთ.[14]

თანამედროვე საქართველოში სახელმწიფოს მარითვის საჭე უკვე რამდენიმე წელია ხელთ უპყრია მმართველ პარტიას ანუ „წამყვან" მოქალაქეთა კავშირს, რომელსაც, მეტნაკლებად, აქვს სახელმწიფოებრივი მმართველობის მრავალწლიანი გამოცდილება. მიუხედავად ამისა, ჩვენი ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე დგას. მისი მოგვარება მმართველმა ძალამ ვერ შეძლო.

საქართველოში ფუნქციონირებს პოლიტიკურ პარტიათა დიდი სისტემა, რომელთა ნაწილი კანონმდებლობით საქმიანობას ეწევა საქართველოს პარლამენტში. მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებათა კონსოლიდაცია და კოალიცია, სამწუხაროდ, დღემდე მიუღწეველია, რაც დესტრუქციულია საჯარო ინტერესების აღმაჟლობისა და აღორძინების გზაზე.

---

14. ჩვენი აზრით, იურისტი, რომელიც პოლიტიკური პარტიის წეერობას იწყებს, ის ამავე დროს ფაქტობრივად კარგავს იურისტის პროფესიას. პარტიულობა და იურისტობა შეუთავსებელი ცნებებია. იურისტმა სახელმწიფოებრივი თანამდებობები უნდა მოიპოვოს არა პარტიული ნიშნის, არამედ საკუთარი განსწავლულობისა და ღირსების მიხედვით - ბ.ქ.

ნაწილი მეექვსე

თავი მეცხრამეტე

კონსტანტინე მიქელაძე სასამართლო სელისუფლების მნიშვნელობის შესახებ

საკმაოდ რთულია სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრება, ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა, დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა. საზოგადოებრივი ურთიერთობის გართულების პროცესში სიმართლის პოვნა ერთობ ძნელია. ყოველდღიურ ცხოვრებაში თავს იჩენს უამრავი ნეგატიური მოვლენა, რაც ლახავს ინტერესთა სფეროს, კონფლიქტურ მდგომარეობაში გადაჰყავს ნორმალური, სტაბილური ურთიერთობები. ადამიანები ყოფიერების დინამიურობას უარყოფით კალაპოტში მიაქანებენ და მწვავე და გართულებული კავშირებით ხელყოფენ სხვის უფლებებს, კეთილისმყოფელ ინტერესებს. ადამიანური არსებობა კატეგორიულად მოითხოვს თანასწორობას, უფლება-თავისუფლებათა დაცვას, ე.ი. სამართლიანობას, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ფრიად საინტერესო გარემოებას. სამართლიანობა, როგორც ზნეობრივი კატეგორია, მიიღწევა თუ არა რაიმე საშუალებით, თუ იგი თავისთავად არსებობს?

ჩვენი აზრით, სამართლიანობა ვერ მიიღწევა ძალის გარეშე ანუ ძალა და სამართლიანობა განუყოფელია.[1] დღემდე ეს საკითხი დისკუსიის საგანი გახლავთ. მსჯელობენ სხვადასხვა ავტორები, მეცნიერები იმის შესახებ, არსებობს თუ არა მათ შორის განუყოფლობის ნიშნები, განაპირობებს თუ არა ძალა სამართლიანობას.

განსაკუთრებით მსურს გაკაანალიზო მეცნიერთა და მოაზროვნეთა შეხედულება ამ საკითხზე და ბოლოს გავაკეთო ინდივიდუალური დასკვნა.

დიდი ილია ჭავჭავაძე სამართლის საფუძვლად არ თვლიდა ძალმომრეობას. მისი აზრით, ძალა კი არ უნდა განსაზღვრავდეს სამართალს, არამედ თვით სამართალი უნდა იქცეს ძალად.

სამართლის რეალისტური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი

1. რა თქმა უნდა, შეკითხვამოყრილია, სამართლიანობა ყველაზე დიდი ძალაა, მაგრამ ეს არის „უძლური ძალა" (სამართლიანობა რეალობაში არის „უძლური ძალა"), მისი დამკვიდრებისათვის კი აუცილებელია გარკვეული ძალის ამოქმედება - ბ.ქ.

რუდოლფ იერინგი მიუთითებდა თავის ნაშრომში („ბრძოლა უფლებისათვის"), რომ სამართალი არის ძალის პოლიტიკა. იგი არის ძალმომრეობის შედეგი. სამართლიანობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ბრძოლით, მოქმედებით. ამ შემთხვევაში დიდი ავტორიტეტი გულისხმობს ძალას, ე.ი. იგი მოქმედებასა და ძალას ერთმანეთთან აიგივებს.

გამოჩენილი გერმანელი ფილოსოფოსის ფრიდრიხ ნიცშეს მტკიცებით, სამართალი გამომდინარეობს ძალაუფლების ნებისგან.

ბლეზ პასკალი ამბობდა, რომ მართებულია დაემორჩილო სამართლიანობას, შეუძლებელია არ დაემორჩილო ძალას. სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია: ძალა, რომლის უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი. უსამართლო ძალა ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ. მაშასადამე, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა; ამიტომ ან სამართლიანობა უნდა გახდეს ძლიერი, ანდა ძალა - სამართლიანი.[2]

სამართლიანობის დასამკვიდრებლად აუცილებელია სამართლის განხორციელება, სამართლებრივი ნორმების შესაბამისად მოქმედება. სამართლიანობა და სამართალი განსხვავდება ერთმანეთისაგან. სამართალი უკვე სანქციონირებულ ნორმათა ერთობლიობაა, ხოლო სამართლიანობა ამ ნორმათა შედეგად განხორციელებული მართლწესრიგია, კანონიერებაა. სამართლის ნორმების განხორციელება სამართლიანობის დამკვიდრების უძირითადესი კრიტერიუმია. მართალია ილია ჭავჭავაძე, როდესაც ძალას სამართალთან აიგივებს, მაგრამ ეს არის იმანენტური ანუ შინაგანი ძალმოსილება, რომელიც უნდა გამოვლინდეს გარეგანი ფაქტორით. იგი თავისთავად ვერას გახდება, თუ მის უკან გარკვეული, შეიძლება ითქვას, იძულებითი აპარატი არ დგას ადამიანის ან ცალკეული ორგანოს სახით.

ჩვენ ძალის ორ ფორმას ვიცნობთ:

ა) პასიური ძალა;

ბ) აქტიური ძალა.

პასიურ ძალას სამართლიანობა გადაჰყავს პოზიტიურ, ხოლო აქტიურ ძალას ნეგატიურ მდგომარეობაში.

---

2. ბლეზ პასკალი, აზრები, საუნჯე, 1976 წელი, გვ. 176.

მაგალითად, სასამართლო დადებითი ნიშნებით აღჭურვილი ძალაა, რომელიც იცავს სამართლიანობის პრინციპს და უარყოფს ინტერესთა უხეშ ღარღვევას. იკვეთება ორი მხარე: დაზარალებული და დამნაშავე. აუცილებლად უნდა დადგინდეს სიმართლე, აღორძინდეს სამართლიანობა. ამისათვის კი საჭიროა რაიმე პოზიტიური ძალის არსებობა. ჩვენი აზრით, ასეთი ძალა არის სასამართლო, რომელიც შუამავლის როლს ასრულებს დაზარალებულსა და სამართალდამრღვევს შორის. დაზარალებულმა თავისი სიმართლე რომ დაამტკიცოს, ამისათვის იგი მიმართავს იძულებას ანუ სამართალდამცავ ორგანოებს, რომლის საშუალებით იგი იბრძვის სამართლიანობის აღსადგენად იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც „აქტიური ძალით" ხელყო დაზარალებულის კანონიერი ინტერესები.

ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კიდევ ერთი: საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოს 1921 წელს დამოუკიდებლობა წაართვეს. ეს უკანასკნელი მას სამართლიანად ჰქონდა მოპოვებული, თუმცა შოვინისტური ძალების უხეში ჩარევის ანუ „აქტიური ძალის" „შემწეობით", დამხობილ იქნა იგი. ამ დროს საქართველოს მხარეზე იყო სიმართლე, მაგრამ იმის გამო, რომ მას ეს სიმართლე დაეცვა, არ ეყო ძალები და დამარცხდა. „პასიური ძალა" გამოჩნდა XX საუკუნის 90-იან წლებიდან, როდესაც ქართველმა ხალხმა მოითხოვა დამოუკიდებლობის, ისტორიული სამართლიანობის აღდგენა. საქართველოში ეს სამართლიანობა აღზევებულ იქნა მხოლოდ ძალის საშუალებით. გარეგანმა ფაქტორმა ხელი შეუწყო შინაგანი ფაქტორის გამარჯვებას.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ „პასიურ ძალას" ობიექტურ სინამდვილეში პოზიტიური ცვლილებები შეაქვს და სამართლიანობას ემსახურება, ხოლო „აქტიურ ძალას", პირიქით, იგი ობიექტურ სამყაროში ნეგატიურად მოქმედებს და თავისი არამართებული მოქმედებით უხეშად ხელყოფს სხვის ინტერესებს. „პასიური ძალა" ეწინააღმდეგება „აქტიურ ძალას".

არ არსებობს სამართლიანობა ძალის გარეშე, მაგრამ არ უნდა არსებობდეს ძალა სამართლიანობის პრინციპის გარეშე. ეს დეონტოლოგიური პრობლემაა, ჯერარსობის სფეროს განეკუთვნება. ყოველგვარი ბრძოლა უნდა იყოს სამართლიანი. სავსებით მართებულად აღნიშნავდა პასკალი, რომ თუ ძალის უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია.

ჩვენ თუ გარკვეული მიზნის მისაღწევად ვიბრძვით, ვმოქმედებთ და ვიცით ის, რომ ეს აქტიურობა ჩვენთვის სასარგებლოა, ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ამ მიზნის მისაღწევი საშუალებები სამართლიანადაა გამოყენებული. ამის შემდეგ ჩვენთვის მნიშვნელოვანია მიღებული შედეგი, რადგან იგი სამართლიან ძალას ეყრდნობა, ემყარება. ჩვენს სულს უნდა აღაშფოთებდეს უკანონო ქმედება, ის, რაც ჩვენ მოგვეცა არასამართლიანი ძალის საშუალებით.

ძალა და სამართლიანობა განუყოფელია. ჩვენ ასეთ ძალად მიგვაჩნია სასამართლო ხელისუფლება, რომელიც სახელმწიფოს ძლიერების მნიშვნელოვანი გარანტიაა. ის მოქალაქეთა უფლებების უზრუნველყოფას ემსახურება.

* * *

ანბანური ჭეშმარიტებაა, რომ სახელმწიფო ძლიერია მაშინ, როდესაც მას ჰყავს მტკიცე ადმინისტრაციული აპარატი, გაწვრთნილი სამხედრო ძალა და დამოუკიდებელი, მიუდგომელი სასამართლო.[3]

სასამართლო ხელისუფლების უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. ის არის ერთ-ერთი პრიორიტეტული, ქმედითი სახელისუფლებო ერთეული, რომლის ფუძემდებლური ფუნქციაა ინდივიდის უფლებების დაცვა. ჯერ კიდევ, ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი შემდეგნაირად გადმოგვცემს მოსამართლის დანიშნულებას: „ვინცა საბჭოდ სჯდებოდეს და მართალსა საჩივარსა მართლად მოიხსენიებდნენ თქვენთა გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიჭიროთ და არავის სთნოთ არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა, არას ქრთამის ქალებისათვის, არა! არამედ მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ!“ ძველ პოლიტიკურ პირობებშიც კი სასამართლო, სახელმწიფოს სხვა დაწესებულებებთან შედარებით, საზოგადოებრივი ინტერესების დამცველად იყო მიჩნეული.[4]

კონსტანტინე მიქელაძე ყურადღებას ამახვილებს სახელმ-

3. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 3 აგვისტო.
4. გაზეთი „ერთობა“, 1919 წელი, 29 იულისი.

წიფო ხელისუფლების განაწილების საკითხზე. იგი მას „ხელმწიფების ფუნქციების განსაზღვრებას“ უწოდებს[5] ანუ ხელისუფლების დიფერენცირების პრინციპს.

იურისტმა აღნიშნა ის აზრი, რომ, როდესაც სახელმწიფოს არსებობის ადრეულ ეტაპზე სახელმწიფოებრივი ფუნქციები არ იყო განაწევრებული, მთელს ძალაუფლებას ახორციელებდა ერთი პირი (ან ორგანო). იგი ხელმძღვანელობდა ქვეყნის ერთიან სახელმწიფოებრივ მართვა-გამგეობას, იყო მთელი პოლიტიკური აპარატის ბატონ-პატრონი. ასეული წლების შემდგომ დემოკრატიულმა პროცესებმა და საჯარო გარდაქმნებმა მოგვცა ერთიანი ხელისუფლების პოლარიზაცია სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. ფუნქციური თვალსაზრისით შესაბამის ორგანოებს შორის ძალაუფლების გადანაწილებამ გამოიწვია პოლიტიკური მექანიზმის არნახული ზრდა. გაჩნდა უამრავი მოხელე, რომლებიც გარკვეულ საქმიანობას ეწეოდნენ ამა თუ იმ სტრუქტურაში, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოებრივ ანატომიას, რომლის სათავეში იდგა ერთი პიროვნება. განხორციელდა სახელმწიფოს მართვის მოდერნიზაცია. ეს იყო რევოლუცია სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, რესპუბლიკური მმართველობისათვის დამახასიათებელი პრინციპების აღორძინება, პოლიტიკური პროცესების დემოკრატიზაცია.

სახელმწიფო ხელისუფლების პოლარიზაციას შედეგად მოჰყვა სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბება. სასამართლო ხელისუფლება ნეგატიურ ფაქტორებს უგულვებელყოფს. მის გარეშე არსებობა შეუძლებელია. იგი შუამავლის როლს ასრულებს ბოროტებასა და სიკეთეს შორის. სამართლიანად აღნიშნავდა დიდი ილია ჭავჭავაძე, რომ „მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც ერთი დღე არ შეუძლიან იცხოვროს ქვეყანამ და ერმა“.[6]

1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლო განიხილებოდა, როგორც „სახალხო სახლი“, „წმინდა ტაძარი“, სადაც მსჯელობს ხალხი, საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც უფრო სუსტია, დაუცველია, უფრო მეტად და-

5. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 46.

6. ილია ჭავჭავაძე, გაზეთი „იუერია“, 1894 წელი, №25.

ჩაგრულია სხვა ძლიერი ელემენტისაგან. სასამართლოს გადაწყვეტილებები, ე.ი. „სასამართლო კანონთა კრებული“, მოიაზრებოდა, როგორც „სამართლის წიგნი“.[7]

აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს კანონის ძალა ჰქონდა და სამართალს უწოდებდნენ, ხოლო ამ გადაწყვეტილებათა ერთობლიობას „სამართლის წიგნს“, რომელიც ემსახურებოდა ხალხის „უფლებრივ“ ანუ თანამედროვე გაგებით, სამართლებრივ ინტერესებს. მიაჩნდათ, რომ სასამართლოს მიერ მიღებული აქტები განამტკიცებენ კანონიერების გრძნობას, განაპირობებენ უფლება-თავისუფლებათა დაცვას.

ჩვენი აზრით, სასამართლო ორგანო „სახალხო სახლი“ იმდენადაა, რამდენადაც იქ განიხილება ისეთი სადავო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული ადამიანების კანონიერ ინტერესებთან, ე.ი. სასამართლო ხელისუფლება ემსახურება ხალხის უფლებების აღორძინებას. სასამართლო დაწესებულება „წმინდა ტაძარია“, ვინაიდან, იქ ხდება მოქალაქეთა უზენაესი უფლებების დაცვა, ხელყოფილი ინტერესების რეაბილიტაცია. მოსამართლე უნდა იყოს უმწიკვლო, ზნეობრივ პრინციპებთან მიახლოებული ადამიანი, უნდა შეეძლოს მტყუან-მართლის გარჩევა, ობიექტურობის დადგენა. IX საუკუნეში შექმნილ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი ნათლად მეტყველებს იმ არსებით თვისებებზე, რომელიც აუცილებლად უნდა ახასიათებდეს მოსამართლეს: „მოსამართლე უნდა იყოს ღვთის მოშიში, სამართლიანი, რომელიც დედის, მამის, ძმის თუ ბატონის ხათრით და პატივისცემით არ გაამრუდებს სამართალს, არ დაჩაგრავს არავის. მოსამართლე უნდა იყოს უქრთამო“.[8]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული განსაზღვრავს სასამართლოს, როგორც „წმინდა ტაძრის“ არსებობას.

კონსტანტინე მიქელაძე ეხება სახელმწიფოს სხვა ფუნქციებისაგან სასამართლო ხელისუფლების გამოყოფის საფუძვლებს.

მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, საზოგადოებაში კერძო საკუთრებითი ურთიერთობის ღრმად შეჭრამ, ადამიანთა ყოფი-

---

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 3.

8. ბექა ქანთარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, თბ. 2002 წელი, გვ. 298.

ერების პროგრესმა. განაპირობა საზოგადოებრივი ურთიერთობის მკვეთრი შეცვლა, გართულება. ველურობისა და ბარბაროსობის შემდგომ ანუ ცივილიზაციის ეტაპზე ადამიანთა ცხოვრებამ კონფლიქტური ფორმა მიიღო, ინდივიდები დაუპირისპირდა ერთმანეთს. საჭირო გახდა ისეთი მექანიზმის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფდა ამ კონფლიქტის დაბალანსებას. სწორედ ასეთი ორგანო იყო სასამართლო.

კონსტანტინე მიქელაძის მართებული მსჯელობით, როდესაც, ჯერ კიდევ, სახელმწიფო ხელისუფლება არ იყო დიფერენცირებული, „სასამართლოს განკერძოებული არსებობა არ შეადგენდა აუცილებლობას“.[9] (ამ სტრიქონით ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული მოსაზრება დასტურდება - ბ.ქ.). იურისტის აზრით, ეს გამოწვეული იყო იმით, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყო ისე რთული, რომ ადამიანის აზრი შეჩერებულიყო რამდენიმე ორგანოთა შორის სახელმწიფოს კომპეტენციის განაწილების საჭიროებაზე. საზოგადოების ცხოვრების გამწვავებამ და ადამიანთა ურთიერთობის გართულებამ გამოიწვიეს ორგანოების დაარსების და მათ შორის სახელმწიფოებრივი ფუნქციების განაწილების აუცილებლობა“.[10]

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებით, სახელმწიფოებრივი ფუნქციების განაწილების ორი უმთავრესი საფუძველი არსებობს:

ა) საზოგადოებრივი ცხოვრების გამწვავება;

ბ) ადამიანთა ურთიერთობის გართულება.

ხელისუფლების გამიჯვნამ განაპირობა ორგანოების ფორმირება და, შესაბამისად, მათ შორის ფუნქციების გადანაწილება.

საქართველოში სასამართლო ორგანიზაცია უძველესი დროიდან არსებობდა. თუმცა მის შესახებ დაწვრილებითი ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში არ მოიპოვება. ცალკეული სამეფო-სამთავროების მაგალითზე შეიძლება ზოგადი წარმოდგენა ვიქონიოთ სასამართლო ორგანოების სტრუქტურაზე. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ქართლ-კახეთის სამეფო. იქ არსებობდა სასამართლო ორგანოთა შემდეგი სისტემა:

ა) მეფე, როგორც მოსამართლე;

ბ) განსაკუთრებული შემადგენლობის სასამართლო;

გ) დარბაზი, როგორც სასამართლო ორგანო;

---

9. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 46.

10. იქვე. გვ. 46.

დ) მდივანბეგი;

ე) საეკლესიო სასამართლო.

ქართლ-კახეთის სამეფოში მეფეს გააჩნდა არამარტო სახელმწიფოს მეთაურის სტატუსი, არამედ იგი ხშირად სასამართლო პრეროგატივითაც იყო აღჭურვილი. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, მეფე სახელმწიფოში უმაღლეს მსაჯულს წარმოადგენდა. სასამართლო აქტები მეფის სახელით გამოდიოდა. სახელმწიფოში ხორციელდებოდა გრანდიოზული სასამართლო რეფორმები. მეფე ერეკლემ 1748 წელს საფუძველი ჩაუყარა ახალ სასამართლო ორგანიზაციას, შეიქმნა მდივანბეგთა სასამართლო უწყება. მეფის სასამართლოში შეიძლებოდა უსამართლო განაჩენის ან გადაწყვეტილების გასაჩივრება (აპელირება).

ქართლ-კახეთის სამეფოში „განსაკუთრებული მნიშვნელობის სასამართლო" თავისებურებით გამოირჩეოდა. მას მეფე ქმნიდა რაიმე კონკრეტული საქმის გასარჩევად. საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ღროებითი სასამართლო სტრუქტურა დაშლას ექვემდებარებოდა. მისი შემადგენლობა ცვალებადი იყო. განსაკუთრებული მნიშვნელობის სასამართლოს საქმიანობაში მეფე მონაწილეობას ნაკლებად ან საერთოდ არ ღებულობდა.

ისტორიულ წყაროებში ზოგიერთი მკვლევარი „დარბაზს" საკანონმდებლო ორგანოდ, წარმომადგენლობით დაწესებულებად მიიჩნევს. ეს მოსაზრება ჩვენთვის მიუღებელია (ამის შესახებ უკვე ვისაუბრეთ ბ.ქ.). დარბაზი იყო საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს უმაღლესი სათათბირო ორგანო - სამეფო საბჭო".[11] იგი საკონსულტაციო სტრუქტურა უფრო იყო, ვიდრე წარმომადგენლობითი ხელისუფლება. მისი შემადგენლობა დიდგვაროვანი ფეოდალებით კომპლექტდებოდა. დარბაზი მეფისათვის წარსადგენად შეიმუშავებდა კონკრეტულ რეკომენდაციებს. თანამედროვე საქართველოში ანალოგიური ორგანოებია იუსტიციისა და ეროვნული უშიშროების საბჭოები.

ამრიგად, დარბაზი არ იყო საკანონმდებლო ორგანო. ის ქართულ სახელმწიფოში სათათბირო ფუნქციებს ასრულებდა.

დარბაზი, გარდა სათათბირო უფლებამოსილებისა, სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდა. მეფე განსაკუთრებით მძიმე კატე-

---

11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ. ტ.I, 1990 წელი, გვ. 404.

გორიის საქმეების დარბაზთან ერთად არჩევდა. ქართლ-კახეთის სამეფოში დარბაზი სახელმწიფო კანონებით ხელმძღვანელობდა. მისი განაჩენის ან გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლებოდა მხოლოდ მეფის თანხმობით.

ისტორიული დოკუმენტები გვამცნობენ, რომ მოსამართლეს ან სასამართლოს თავმჯდომარეს მდივანბეგი ეწოდებოდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ქართლის მეფე როსტომმა მსაჯულთუხუცესს მდივანბეგი უწოდა. ქართლ-კახეთის სამეფოში სასამართლო დაწესებულება „სამდივნო სახლად" მოიაზრებოდა. ამ სახლში, კვირაში ერთხელ, მოსამართლის ფუნქციას ასრულებდა მეფე. თანამდებობის პირს, რომელიც სასამართლო საქმეებს არჩევდა, მოსამართლეს ანუ მსაჯულს უწოდებდნენ. „სამართლის ქმნა" ანუ „სამართლიანობა" სასამართლო ფუნქციის განხორციელებას ნიშნავდა.

ქართლ-კახეთის სამეფოში ეკლესია-მონასტრები სასამართლო ფუნქციებსაც ასრულებდნენ. ეკლესია ახორციელებდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს.

ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი მეფისა და კათალიკოსის შესახებ ამბობდა: „ერთი ხორცი ხელმწიფისა არის, მეორე სული კათალიკოსისა".

საეკლესიო სასამართლო საერთო სასამართლო ორგანიზაციის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

* * *

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებს, რომ თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს არცერთ ორგანოს, თავად საკანონმდებლო დაწესებულებას და ქვეყნის აღმასრულებელ-განმკარგულებელ ერთეულს ანუ მთავრობას „არსებითად არ შეუძლია თავის თავზე მიიღოს სასამართლო ფუნქციების ასრულება".[12] გაუგებრობას იწვევს სიტყვა „არ შეუძლია". უპრიანი იქნებოდა იურისტს იგი შეეცვალა შემდეგით: „არ აქვს უფლება და არც შეუძლია". აქ მკითხველს იმის შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს ზემოთ აღნიშნულ ორგანოებს აქვთ უფლება აღასრულონ სასამართლო ფუნქციები, მაგრამ

12. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 46.

„არ შეუძლიათ იმის გამო, რომ რაიმე ზიანი ან ვნება არ მიაყენონ ხალხის ინტერესებს“.

მართლმსაჯულებას ახორციელებს მხოლოდ სასამართლოები. სხვა ორგანოს ამის უფლება არ გააჩნია. უფლება რომ ჰქონდეს, შესაძლებლობა არ ექნება, ვინაიდან, სასამართლო ფუნქციების აღსრულება ყველას არ ძალუძს და მას სპეციალური ცოდნა სჭირდება. ასეთი ადამიანები მხოლოდ სასამართლოშია.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეექვსე თავი[13] ეხება სასამართლო ხელისუფლებას, სადაც გატარებულია პრინციპი იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულებას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. კონსტიტუციის 77-ე მუხლი აღიარებს, რომ „სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები“. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ, ძირითადი კანონის უმნიშვნელოვანესი დებულებაა. კონსტიტუციის 82-ე მუხლის თანახმად, სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ სასამართლოები.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენისთანავე ორგანიზებული და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება არ არსებობდა. აშკარად ირღვეოდა სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპი.

ეს დასტურდება იმით, რომ სასამართლოს ფუნქციებს ახორციელებდნენ გლეხთა საბჭოები და სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტები. რაიონებში მართლმსაჯულების აღსრულება სარაიონო აღმასრულებელმა კომიტეტებმა იკისრეს.

უწინარეს ყოვლისა, ამის მიზეზი იყო კანონების, ე.ი. კანონმდებლობის არარსებობა. ახლად დაფუძნებულ ქართულ სახელმწიფოში პოლიტიკური ფუნქციები და სამართლებრივი საქმიანობა მოკლებული იყო მკაცრ ნორმატიულ რეგლამენტაციას. არ იყო სასამართლო სტრუქტურა, არ ჰქონდათ განსაზღვრული სასა-

13. აღნიშნული თავი შედგენილია საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის წევრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვალერიან ნანეიშვილის მიერ - ბ.ქ.

მართლოს ფუნქციები, მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ამ სფეროში საკანონმდებლო ვაკუუმის არსებობას ადასტურებს შემდეგი: „უნდა შეექმნათ ქართული სასამართლო კანონმდებლობა, თავისუფალი უცხო კანონმდებლობათა ზეგავლენისაგან, აღგილობრივ მკვიდრთა თავისებურებათა მიხედვით და მათ უფლებრივ შეგნებასთან შეფარდებული: უნდა ავაგოთ ისეთი სასამართლო დაწესებულებანი, რომელსაც თავის მოქმედების საფუძვლად უნდა დაედვას ის უდიდესი პრინციპი, რომელნიც მოწინავე კაცობრიობის მიერ საყოველთაოდ აღიარებულია“.[14]

გლეხთა საბჭოები, სასოფლო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები თავდაპირველად შეძლებისდაგვარად ახორციელებდნენ დაკისრებულ ფუნქციებს, მაგრამ მას თან ახლდა ნეგატიური მხარეები, რომლებიც განაპირობებდა აშკარა ქაოსურ მდგომარეობას და ხშირად ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელი იყო. ეს ორგანოები აღმასრულებელი პრეროგატივით გახლდათ აღჭურვილი, რომელთაც მიკუთვნებული ჰქონდა ლოკალური მნიშვნელობის საქმეების გადაწყვეტა და დამატებით მათთვის სასამართლო ფუნქციების დაკისრება ართულებდა მათ ეფექტურ მუშაობას. ასეთი მდგომარეობა უარყოფითად მოქმედებდა ხალხის ინტერესებზე და ამის საფუძველზე მიუთითებდნენ, რომ „ხალხი მოკლებულია სასამართლოს“.[15] მაგრამ მალე მდგომარეობა შეიცვალა და საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სასამართლო ორგანიზაციას, რომლის შესახებ ცოტა მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თავის დროზე დიდ ილია ჭავჭავაძეს სოფლის ადმინისტრაციისადმი სასამართლო ხელისუფლების დაქვემდებარება საზიანოდ მიაჩნდა.[16]

სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებების და საერთოდ საზოგადოების ინტერესების. უზრუნველყოფის საქმეში. ეს დემოკრატიული დებულება გაცნობიერებული ჰქონდათ დამოუკიდებელ

---

14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 13.

15. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 15 აგვისტო.

16. ჯ. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ. 1983 წელი, გვ. 17.



ექვთიმე თაყაიშვილი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე.

საქართველოში და გამოჰყოფდნენ ისეთ პრიორიტეტულ პრინციპებს, რომელზეც სასამართლო ორგანოების საქმიანობა დაეფუძნებოდა მომავალში. ესენი იყო: სასამართლოთა სისწრაფე, ლმობიერება, სამართლიანობა, ხელმისაწვდომობა და უსასყიდლობა.[17]

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ ეტაპზე მოქალაქის უფლებები და კანონიერი ინტერესები იგნორირებული იყო. ეს განპირობებული გახლდათ, უპირველეს ყოვლისა, არაეფექტური და არაქმედითი, დრომოჭმული სასამართლო ხელისუფლების არსებობით. ამის საილუსტრაციოდ კმარა თუნდაც თვითგასამართლების ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართულ სინამდვილეში. ყოველივე ეს ადასტურებს სასამართლო ორგანოთა სისუსტეს, სამართალდამცველთა ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ადამიანის უფლებებისადმი და საერთოდ ეროვნული ხელისუფლების ქმედითუუნარობას. აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობა ვერ უმკლავდებოდა აღნიშნულ ბოროტებას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ალ. მესხიშვილი ამ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით აღშფოთებას ვერ მალავდა და მიუთითებდა: „სოფლის მკვიდრთა საქმეებს სოფლის მოსამართლენი განაგებენ, რომელნიც ამ საქმისთვის სრულად უვარგის, შეუფერებელს ელემენტს წარმოადგენენ თუ იმიტომ, რომ სათანადო ცოდნა-გამოცდილებას, მომზადებას მოკლებუნი არიან და იმიტომ, რომ ისინი მეტწილად სათანადო მორალურ სიმაღლეზე ვერ დაგანან“.[18]

1918 წლის 9 აგვისტოს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა შემდგომში ცნობილი ქართველი მეცნიერი ექვთიმე თაყაიშვილი. აღნიშნული ყრილობა მიეძღვნა თვითგასამართლების ფაქტთან დაკავშირებულ საკითხებს. გენერალური მოხსენებით გამოვიდა დეპუტატი დავით ჩიქოვანი,[19] რომელმაც დიდი გულისტკივილით

17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 13.

18. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 14.

19. სხვათა შორის, დავით ჩიქოვანი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის ჩამოყალიბებაში - ბ.ქ.

ხაზი გაუსვა ამ ბარბაროსულ ქმედებას და ხელისუფლებას მოუწოდა მიეღო რადიკალური ზომები მის აღმოსაფხვრელად. იგი მიუთითებდა: „ჩემი შეკითხვის საგანი არის უკანონო მკვლელობა, რომელსაც ამ ბოლო ხანებში ხშირად აქვს ადგილი ქალაქის სხვადასხვა უბნებში. ომმა და რევოლუციამ უაღრესად გაამეფა მკვლელობის ინსტიტუტი და დასცა ადამიანის ღირსება. საჭიროა ამ მკვლელობას მიეცეს კანონიერი ფორმა. როცა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მაშინ ადმინისტრაციული და სასამართლო ფუნქციები ერთმანეთში აირია და ყოვლად შეუძლებელი იყო იმ ხნით კანონიერ გასამართლებაზე ლაპარაკი, დღეს კი გვაქვს ასე თუ ისე ერთგვარ ფორმაში ჩამოსხმული სახელმწიფო. ასეთი მკვლელობა და უსამართლობა რომ ცუდია სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, ეს საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ იმიტომ მიხდება ამ გარემოებაზე ლაპარაკი, რომ ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ მხარეს. მე ხელთ მაქვს 9 შემთხვევა თვითგასამართლებისა, 8 ასე თუ ისე სამართლიანად დასაჯეს - ე.ი. მათი ბრალდება მაინც დამტკიცებული იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ქალაქის სხვადასხვა ადგილებიდან ნაძალადევში მოჰყავთ მილიციონერებს ტუსაღები და აქ ასამართლებენ. მე არ მინდა ვინმეს ბრალი დავსდო, მე მხოლოდ მივუთითებ მთავრობას ამ უსამართლობაზე, რომ მან შესაფერი ყურადღება მიაქციოს. სიკვდილით დასჯის კანონის მიღების შემდეგ არ უნდა ჰქონოდა ასეთ მაგალითებს ადგილი, მაგრამ არ ვიცი თუ რა მოსაზრებებით არ ახორციელებენ ამ კანონს. მე იმედს გამოვთქვამ, რომ საბჭო იქონიებს საქმიან მსჯელობას ამ საგანზე და მთავრობაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ამ გარემოებას, რომ შემდეგში არ განმეორდეს ტუსაღობის ასეთი თვითგასამართლება“.[20]

იმავე სხდომაზე რევოლუციური ფრაქციის სახელით დეპუტატმა ჩიგოგიძემ კატეგორიულად მოითხოვა ხელისუფლებისაგან, რომ გაეტარებინა პრევენციული ზომები ამ უმსგავსოების აღმოსაფხვრელად და ქვეყანაში დაეჩქარებინა სასამართლო სისტემის ჩამოყალიბების შეუქცევადი პროცესი.

იესე ბარათაშვილი მიუთითებდა, რომ „ანარქია მძვინვარებს, ძარცვა-გლეჯვას საზღვარი არ აქვს. ამასთან ბრძოლაა საჭირო,

20. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 11 აგვისტო.

მაგრამ რა საშუალებით, რა გზით? რასაკვირველია, სამართლის გზით. ყოველგვარი სახელმწიფო ეყრდნობა კანონებს, გარეშე ამისა დაუშვებელია ვინმესი გასამართლება. ჩვენში კი თვითგასამართლებამ ფართო ხასიათი მიიღო. თქვენ ხშირად წაიკითხავთ გაზეთებში, რომ ესა და ეს ტუსაღმა გაქცევა დააპირა და იქვე იქნა მოკლული. ერთი სიტყვით ჩვენ აქ გვაქვს საქმე თვითგასამართლებასთან და ამას მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს".[21]

სასამართლო ორგანიზაციის არარსებობა ხელ-ფეხს უხსნიდა დამნაშავე ელემენტებს კანონისა და სამართლიანობის გარეშე დაესაჯათ პიროვნება, მის მიმართ გამოეყენებინათ არაადამიანური ზომები.

თვითგასამართლება და, საერთოდ, სასამართლოს მიერ სასიკვდილო განაჩენის გამოტანა მალე აიკრძალა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ჰუმანურობის ერთერთი მნიშვნელოვანი გამოვლინება იყო ის, რომ მან აკრძალა სასჯელის ისეთი უმაღლესი ზომა, როგორიცაა სიკვდილით დასჯა. ამით აღიარებულ იქნა, რომ ადამიანის სიცოცხლე ხელშეუხებელია, იგი უმაღლესი ფასეულობაა, ბუნებითი უფლებაა და მისი ხელყოფა დაუშვებელია. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ 1995 წლის კონსტიტუცია პირდაპირ არ მიუთითებს (თუმცა პარლამენტმა 1997 წლის 11 ნოემბერს გააუქმა სიკვდილით დასჯა ჩვენს ქვეყანაში) სიკვდილით დასჯის გაუქმებაზე.[22]

* * *

კონსტანტინე მიქელაძე დიდ როლს ანიჭებს სასამართლო ხელისუფლებას დემოკრატიულ-ცივილიზებული საზოგადოებისა და სამართლებრივ-სოციალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. იურისტი სასამართლო სისტემის გამჭვირვალობასა და საჯაროობაში ხედავს უფლებების დაცვას. კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია - „მართლმსაჯულების განხორციელება მხოლოდ სასამართლოების მიერ"[23] - სიტყვა-სიტყვით აისახა საქართველოს 1921

21. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 11 აგვისტო.
22. ბექა ქანთარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, 2002 წელი, გვ. 232.
23. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 46.

წლის კონსტიტუციის 20 მუხლში, სადაც ნათქვამია: „არ შეიძლება დასჯილ იქნეს ვინმე სხვაფრივ, თუ არა სასამართლოს წესით; გამონაკლისია კანონით განსაზღვრული დისციპლინური წესი“.

სასამართლო ხელისუფლების კანონიერი ფუნქციონირება საწინდარია ცივილიზებული ფასეულობების აღორძინებისა. მართლმსაჯულების სისტემის ამგვარი მნიშვნელობა გააცნობიერა კონსტანტინე მიქელაძემ. იგი დემოკრატიულად მოაზროვნე იურისტი გახლდათ. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაშინდელი ქართული იურიდიული აზროვნების განვითარებასა და სასამართლო ხელისუფლების შესახებ გარკვეული შეხედულების ჩამოყალიბების საქმეში.

თავი მეოცე

კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია მოსამართლის სამართლებრივ მდგომარეობაზე

კონსტანტინე მიქელაძე ბუნებითი სკოლის წარმომადგენლების მსგავსად ქადაგებდა კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. მისი იდეალი იყო სახალხო სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბება, სამართლიანობის პრინციპის აღორძინება.

კეთილშობილი სამართალი განსაზღვრავს ღირსეულ არსებობას. სამართლის ანატომიაზე ფუძნდება სახელმწიფოებრივი მორფოლოგია. სახელმწიფო სამართლის გარეშე ვერ იარსებებს და პირიქით, სამართლის ყოფიერება სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია. სამართლებრივი სისტემის ფორმირების საქმეში ერთ-ერთი განმსაზღვრელი როლი ეკუთვნის სახელმწიფოს.

ევროპული იურისპრუდენციის ერთ-ერთი ღირსეული და ცნობილი წარმომადგენელი, გერმანელი რუდოლფ ფონ იერინგი სამართლის ერთადერთ წყაროდ სახელმწიფოს თვლიდა (ამ მოსაზრებას ჩვენ არ ვეთანხმებით, რომლის თაობაზე მსჯელობა უკვე გვქონდა - ბ.ქ.).

იერინგის საწინააღმდეგო პოზიცია ჰქონდა XX საუკუნის სოლიდარიზმის მოძღვრების იდეოლოგს ლეონ დიუგოს, რომელიც სამართალს სახელმწიფოზე მაღლა აყენებდა. იგი პრინციპულად მიუთითებდა, რომ იურიდიულ ნორმას არ ქმნის კანონმდებელი, არამედ ის ახდენს ამ ნორმის კონსტატირებას.

უკანასკნელ საკითხთან დაკავშირებით გვაქვს ჩვენეული მოსაზრება.

ყველა ნორმა რატიფიცირებულია გარკვეული პროცესუალური წესების დაცვით. ნორმებში გამოიხატება საზოგადოებრივი თუ ინდივიდუალური ურთიერთობები, რომლებიც განხორციელებას პოვებენ ადამიანთა მოქმედებებში. ნორმის რეალიზაცია ქცევის შედეგია.

ჩვენი აზრით, არსებობს ურთიერთობათა ორი, დამოუკიდებელი ფორმა:

ა) ტრადიციული ანუ ბუნებითი ურთიერთობა;

ბ) სტოქასტური ანუ შემთხვევითი ურთიერთობა.

ორივე ურთიერთობა სამართლებრივ ნორმებში ვლინდება. შევეცდები ჩამოვაყალიბო მათი სუბიექტური ცნება:

ტრადიციული ანუ ბუნებითი ურთიერთობა ხასიათდება თვითმყოფადობით. იგი ბუნებითი მოვლენაა, რომლის ხელოვნური შექმნა ადამიანებს არ შეუძლიათ. ტრადიციული ურთიერთობები დეკლარირდება სამართლებრივ ნორმებში და იმთავითვე სამართლებრივ ურთიერთობად იქცევიან. კანონშემომქმედის მიერ ამგვარი ხასიათის ნორმების ჩამოყალიბება ხორციელდება მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების, ადათ-წესებისა და ძველი ჩვეულებების საფუძველზე. ბუნებითი ურთიერთობა თანდაყოლილი ურთიერთობაა, რომელიც ადამიანური არსებობის საფუძვლადაა მიჩნეული. მაგალითად, საქალაქო სამართლის მრავალმხრივი ურთიერთობა დამყარებულია ბუნებით ანუ ტრადიციულ ურთიერთობაზე. საოჯახო ურთიერთობები სახელმწიფოს მიერ კი არ არის შექმნილი, არამედ ისინი მანამდე არსებობდნენ. კანონმდებელმა მოახდინა მათი სამართლებრივი რეგლამენტაცია.

ჩვენს მიერ შემოღებული სტოქასტური ანუ შემთხვევითი ურთიერთობა გულისხმობს ისეთ ურთიერთობებს, რომლებსაც თვითმყოფადობის ნიშნები არ გააჩნია და შესაძლებელია მათი ხელოვნური შექმნა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. მაგალითად, კანონმდებლობა, რომელიც საპროცესო ურთიერთობაა, არ წარმოადგენს თანდაყოლილ მოვლენას, ბუნებით ფენომენს. როდესაც კანონშემომქმედი აყალიბებს ნორმას, ქცევის წესს, პოლიტიკური ან სხვა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არსებულ ურთიერთობას მხოლოდ ქაღალდზე ფიქსირებს, არამედ ის ქმნის მანამდე არარსებულ ურთიერთობას. მაგალითად, კანონის რატიფიკაციასთან დაკავშირებით პარლამენტსა და პრეზიდენტს შორის არსებული პროცედურული ურთიერთობა ხელოვნურია, გამოგონილია. მისი გაუქმება, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია.

ბუნებითი ურთიერთობის ნორმირება არსებულის, ხოლო შემთხვევითი ურთიერთობის დამტკიცება მანამდე არარსებულის, მაგრამ უკვე გამოგონილი ურთიერთობის რატიფიკაციაა.

ამით განსხვავდება სტოქასტური (შემთხვევითი) ურთიერთობა ტრადიციული (ბუნებითი) ურთიერთობისაგან.

ურთიერთობათა ამ სფეროში თანასწორობის შენარჩუნებასა

და ინტერესთა სფეროს დაცვას დიდი მნიშვნელობა აქვს. ურთიერთობებში „უფლების დაცვა“ პიროვნების მყარი სამართლებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელია. ამ პრინციპის ცხოვრებაში მტკიცედ დანერგვის ერთ-ერთი გარანტი მოსამართლის დამოუკიდებლობა და პროფესიონალიზმია. კონსტანტინე მიქელაძე მოითხოვს, რომ მოსამართლენი იყვნენ განსწავლულნი, ყოველმხრივ გამორჩეულნი და ობიექტურნი.

ავტორი საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ, რაც ბევრად განაპირობებს პოლიტიკურ და იურიდიულ ცხოვრებაში მსაჯულის სრულფასოვან მდგომარეობას.

კონსტანტინე მიქელაძე იცნობს მოსამართლის გამწესების ორ, დამოუკიდებელ ფორმას: ა) არჩევასა და ბ) დანიშვნას. ასევე თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ სახეს: ა) გადაყენებას; ბ) დათხოვნას და გ) გადაყვანას.

დანიშვნა ნიშნავს ცალკეული ორგანოს ან თანამდებობის პირის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას, გამოსცეს განკარგულება ან ბრძანება ამა თუ იმ სტრუქტურის შესაბამის თანამდებობაზე პიროვნების დანიშვნასთან დაკავშირებით.

არჩევა გულისხმობს კენჭისყრის საფუძველზე პირის გამწესებას გარკვეულ თანამდებობაზე.

ჩვენი აზრით, არსებობს არჩევის ორი ფორმა:

ა) სახალხო არჩევნები;

ბ) კოლეგიალური არჩევნები.

სახალხო არჩევნები, რომლის დროს სახელმწიფოს მოქალაქეები ანუ საარჩევნო კორპუსი მონაწილეობას ღებულობს არჩევნებში. მაგალითად, პრეზიდენტის არჩევნები.

კოლეგიალური არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ერთ რომელიმე სტრუქტურაში. მაგალითად, პარლამენტში თავმჯდომარის არჩევა და ა.შ.

გადაყენება ნიშნავს პირის იძულებით დათხოვნას დაკავებული თანამდებობიდან. ეს ხორციელდება მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს ბრალი მიუძღვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში.

რაც შეეხება დათხოვნას, ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც გასულია თანამდებობაზე მუშაობის განსაზღვრული ვადა.

გადაყვანა გულისხმობს პირის ერთი ადგილიდან მეორეზე გამწესებას, რაც ხორციელდება მისი ნება-სურვილის თანახმად. არ არის აუცილებელი თანამდებობები შეესაბამებოდეს ერთმანეთს.

კონსტანტინე მიქელაძე საგანგებო ყურადღებას უთმობს მოსამართლის დანიშვნის, არჩევის, გადაყენების, დათხოვნისა და გადაყვანის საკითხებს,რომლებიც პრინციპულობით ხასიათდებიან და განსაზღვრავენ სასამართლოს ფორმირებისა და ნორმალური ფუნქციონირების წესს. ავტორის მითითებით, მოსამართლეს ყველაზე საპატიო და პრიორიტეტული ადგილი უჭირავს სახელმწიფო მოსამსახურეთა სისტემაში. ამიტომ, იურისტის აზრით, მნიშვნელოვან თემას წარმოადგენს იმ საკითხების მოწესრიგება, რომლებიც მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნასა და გადაყენებასთან არის დაკავშირებული.

კონსტანტინე მიქელაძე ბრძანებს, რომ მოსამართლე არსებული კანონების მიხედვით იცავს უფლებას და, ამდენად, მისი ფუნქციები გამოირჩევა ,,სიმძიმითა და სირთულით“.[1] აქ იგი ხაზს უსვამს კანონიერების პრინციპს, რაც ყველაზე არსებითია და ხელს უწყობს მოსამართლეთა კომპეტენტურობას, ამაღლებს სამართლებრივი ნორმებისადმი მათ პატივისცემას, აღვიძებს დაუძინებელ მტრობას ბოროტმოქმედებისადმი. მოსამართლეზეა დამოკიდებული ადამიანის ბედი, მან უნდა განსაზღვროს სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება და საერთო ჯამში ,,უფლების დაცვა“. კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრებით, მოსამართლე თავისუფალი უნდა იყოს თავის საქმიანობაში. ამ დამოუკიდებლობის მიღწევისთვის მას მიაჩნია, რომ მოსამართლემ ნება და მოქმედება უნდა დაუმორჩილოს მხოლოდ კანონს და მისი ნორმების ფარგლებში აწარმოოს სამართლებრივი მოღვაწეობა. იურისტი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფის საშიშროებას ხედავს მაშინ, როდესაც აღმასრულებელი ორგანოები მსაჯულს ხელს უშლიან საპროცესო საქმიანობის წარმართვასა და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 78-ე მუხლი აღიარებს კონსტანტინე მიქელაძის პრინციპულ დებულებას: ,,სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 84-ე მუხლი შეიცავს ანალოგიურ ნორმას, რომლის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს.

---

1. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 52.

კონსტანტინე მიქელაძე საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას სთავაზობდა წინადადებას კონსტიტუციის პროექტში დაეფიქსირებინა მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისა და გადაყენების წესი და პირობები. იგი მიუთითებდა: „თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მსაჯულთა დანიშნულება შეიძლება გამოიხატოს კანონმდებლის მოღვაწეობის გასინჯვაში უფლებაზომიერების თვალსაზრისით, უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ამ შემთხვევაში მსაჯული უნდა იქნეს ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებლად ხდის კანონმდებლის გავლენას მსაჯულთა მოღვაწეობის მიმართულებაზე. ეს კი შესაძლოა იმ პირობებში, თუ მსაჯულთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან დათხოვნის, გადაყენების და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დამოუკიდებლობას, კონსტიტუციით იქნებიან განმტკიცებულნი. ამ შემთხვევაში მსაჯულები თავისუფალი იქნებიან ჩვეულებრივ საკანონმდებლო ძალის გაკლენისაგან, თუ გინდ მისი ნებით სწარმოებდეს მათი დანიშვნა თანამდებობაზე“.[2]

იურისტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერება და „უფლებრივი“ ანუ სამართლებრივი შეგნება არ არის იმ დონემდე განვითარებული, რომ შესაძლებელი იყოს მოსამართლეთა არჩევა თვით ხალხის მიერ. მიქელაძე გამოსავალს მაინც პოულობს: მოსამართლეები უნდა დანიშნოს თვით პარლამენტმა. საკანონმდებლო ორგანოსათვის ასეთი უფლებამოსილების მინიჭებას ავტორი იმით ასაბუთებს, რომ წარმომადგენლობითმა ორგანომ, რომელიც ღებულობს საპარლამენტო აქტებს, კარგად იცის თუ რომელი კანდიდატი უკეთესად შეასრულებს მოსამართლის ფუნქციებს.

კონსტანტინე მიქელაძე არა თუ მარტო საკანონმდებლო ხელისუფლების პრეროგატივად მიიჩნევდა თანამდებობაზე მოსამართლეთა დანიშვნას, არამედ ამ უფლებამოსილებას უმაღლეს ანუ უზენაეს სასამართლოსაც ანიჭებდა, კერძოდ, მის თავმჯდომარეს. იგი აღნიშნულ დასკვნამდე იმიტომ მივიდა, რომ მხოლოდ პარლამენტს არ შეუძლია იმსჯელოს მოსამართლის თანამდებობაზე წარ-

2. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 52.

მოდგენილი კანდიდატურის პიროვნებაზე. უკანასკნელი, იურისტის აზრით, „ძლიერ დიდი ტვირთი იქნებოდა პარლამენტისათვის".[3]

ნაშრომში გამოკვეთილი არ არის, თუ რას გულისხმობდა ავტორი „მსჯელობაში". ჩვენი მოსაზრებით, მოსამართლე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: ა) პროფესიონალიზმს: ბ) სპეციალურ განათლებას; გ) ზნეობას და დ) სასამართლო სტრუქტურაში მუშაობის გამოცდილებას. ალბათ ამ კომპონენტებს მოიაზრებდა კონსტანტინე მიქელაძე, რაც პარლამენტის „მსჯელობის" საგანი უნდა ყოფილიყო.

იურისტთან მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების უფლებამოსილება გადანაწილებულია შემდეგ სუბიექტებს შორის: ა) საკანონმდებლო ორგანოს; ბ) უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარესა (მოთავესა) და გ) ხალხს შორის.

კონსტანტინე მიქელაძე მოსამართლეთა გამწესების კომპეტენციის დიფერენცირებას სწორედ იმიტომ ახდენს, რომ მხოლოდ ერთ ორგანოს არ შესწევს უნარი თვითონ შეარჩიოს პროფესიონალი და გამოცდილი კანდიდატურები.

მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის საკითხი სულ სხვაგვარადაა მოწესრიგებული საქართველოს თანამედროვე კონსტიტუციით. როგორც ვიცით, კანონით, საქართველოს პრეზიდენტის კომპეტენციაში შედის მოსამართლეთა დანიშვნა. პრეზიდენტი ამ უფლებამოსილების განხორციელების გაადვილების მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს იუსტიციის საბჭოს მიერ შემუშავებული წინადადებით. პრეზიდენტი საერთო სასამართლოთა სისტემაში მოსამართლეს მაშინ გაამწესებს, როდესაც იუსტიციის საბჭოსგან მიიღებს შესაბამის რეკომენდაციას თანამდებობაზე ამა თუ იმ კანდიდატის დანიშვნის თაობაზე. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 63-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, იუსტიციის საბჭო, როგორც პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, ახორციელებს რეგლამენტით და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს იუსტიციის საბჭო კონკურსის საფუძველზე შეარჩევს მოსამართლეებს. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია იმდენად,

3. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 58.

რამდენადაც აღნიშნული სტრუქტურა თვითონ მსჯელობს მოსამართლის კანდიდატურაზე, თვითონ განსაზღვრავს, შეესაბამება თუ არა იგი აღნიშნულ თანამდებობას, ადასტურებს მის კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს სამოსამართლო სფეროში ისე, რომ პრეზიდენტი ამ ურთიერთობებში არ მონაწილეობს, მხოლოდ, როგორც აღვნიშნეთ, უფლებამოსილია შერჩეული კანდიდატი პირდაპირ დანიშნოს თანამდებობაზე.

აქ უმნიშვნელოვანესია იმ ნდობის ფაქტორი, რომელიც არსებობს პრეზიდენტსა და საათაბირო ორგანოს შორის. იუსტიციის საბჭო არის ყველაზე პრიორიტეტული კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ქვეყანაში, უპირველეს ყოვლისა, ამსუბუქებს საქართველოს პრეზიდენტის მონოცეფალურ მმართველობას და, იმავითვე, პროფესიონალი, კომპეტენტური სამოსამართლო სისტემის განმტკიცების ერთგვარი გარანტიაცაა.

ასეთ ხელსაყრელ ორგანოზე წარმოდგენაც არ ჰქონდათ 1918-1921 წლების ქართულ პოლიტიკურ და იურიდიულ ელიტაში. მნიშვნელოვანი და პარადოქსული ისაა, რომ კონსტანტინე მიქელაძემ განსაზღვრა მოსამართლის პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის აუცილებლობა, მაგრამ ამ უკანასკნელთა გამოსავლენად საკითხის გადაწყვეტა ანუ „მსჯელობა“ მიანდო უმაღლეს სასამართლოს, პარლამენტსა და ხალხს. კარგი იქნებოდა, რომ მას, როგორც განათლებულ პიროვნებას, გაეთვალისწინებინა იუსტიციის საბჭოს ანალოგიური სახელისუფლებო სტრუქტურის შემოღების პრიორიტეტულობა და აღნიშნული კომპეტენცია გადაეცა ამ ორგანოსათვის, მისთვის მიენიჭებინა ამ საკითხზე „მსჯელობის“ განსაკუთრებული ფუნქცია, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მის ძალებს აღემატებოდა და ავტორი გამოსავალს აღნიშნულ ფუნქციათა გადანაწილებაში ხედავდა.

ჩვენი აზრით, სხვადასხვა ორგანოთა მიერ მოსამართლის კანდიდატურაზე ცალცალკე მსჯელობა იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება იგი ამ თანამდებობას და შერეული ფორმით მოსამართლეთა დანიშვნა, დადებით შედეგებს ვერ მისცემდა მაშინდელ საზოგადოებას და ხალხის მიერ არჩეული მოსამართლე ვერ იქნებოდა თვით საზოგადოების თითოეული წარმომადგენელის უფლებებისა და ინტერესების დამცველი, ვინაიდან, ისინი, რასაკვირველია,

აირჩევდნენ მას, მაგრამ არ ეცოლინებოდათ, თუ ვის გაამწესებდნენ „უფლების დამცველად“.

კონსტანტინე მიქელაძე ალნიშნავს, რომ ხალხსაც უნდა ჰქონდეს მოსამართლეთა არჩევის უფლება, მხოლოდ იმ მოსამართლეებისა, რომელთა დანიშნულებას შეადგენდა „სწრაფი დაკმაყოფილება მცხოვრებთა და სახელმწიფოს წვრილმანი ინტერესების“.[4]

როდესაც მოსამართლეთა არჩევნებზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით საინტერესოა, თუ რომელი დონის სასამართლოს მსაჯულია არჩევითობას გულისხმობს ავტორი. პირდაპირ იგი ამაზე არ მიუთითებს, მაგრამ ნაშრომიდან ჩანს, რომ ხალხს უნდა აერჩია ის მოსამართლე, რომელიც „სწრაფად დააკმაყოფილებდა მცხოვრებთა და სახელმწიფოს წვრილმან ინტერესებს“, ე.ი. მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც ქვეყნის ნებისმიერ ნაწილში ფუნქციონირებდა. მომრიგებელი მოსამართლე იმ ხალხს უნდა აერჩია, რომლებიც ამ სასამართლოს იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ.

„მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის კანონი მიუთითებს, რომ მომრიგებელი მოსამართლის დათხოვნა თანამდებობიდან მისი თხოვნის თანახმად ან დროებით სამსახურიდან განთავისუფლება ექვემდებარებოდა უმაღლეს სასამართლოს.[5]

კონსტანტინე მიქელაძე ავითარებს მოსაზრებას, რომლის თანახმად, მოსამართლის დამოუკიდებელ მდგომარეობას განსაზღვრავს და განამტკიცებს პარლამენტის მიერ თანამდებობიდან მისი გათავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე საკანონმდებლო ორგანოს მიერ არის დანიშნული ამ თანამდებობაზე. ეს ერთი. მეორე; იურისტი ამბობს: „მაშინ კი როდესაც მოსამართლე პირდაპირ ირჩევა ხალხის მიერ ან ინიშნება სასამართლოს მოთაყის (თავმჯდომარე ბ.ქ.) მიერ, მის გადაყენებას უნდა ჰქონდეს ადგილი

4. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 58. ამ უკანასკნელში იგი მომრიგებელ მოსამართლეთა ფუნქციებს გულისხმობს (მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტზე მოგვიანებით ვისაუბრებთ - ბ.ქ.

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 295, ფურცელი 46-48.

კანონი თარიღდება 1918 წლით. მიღებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ. კანონს ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე და მდივნობის თავმჯდომარე ნ. ყორღანია.

სასამართლოს დადგენილების ძალით". როგორც ჩანს, კონსტანტინე მიქელაძე განსხვავებულად უღგება ხალხის მიერ არჩეული და უმაღლესი სასამართლოს მიერ დანიშნული მსაჯულის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს. იურისტის აზრით, ორივე შემთხვევაში მხოლოდ სენატია (ტერმინი „სენატი" მას არ გამოუყენებია ბ.ქ.) უფლებამოსილი გამოსცეს დადგენილება ხალხის მიერ არჩეული ან უმაღლესი სასამართლოს მიერ დანიშნული მოსამართლის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე.

თაყის პოზიციას კონსტანტინე მიქელაძე საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზეც იცავდა. 1920 წლის 24 მაისის ყრილობაზე, სადაც იურისტი გენერალურ მომხსენებლად გამოვიდა, პრინციპულად მიუთითებდა, რომ სასამართლოს უნდა მიეცეს მოსამართლის დათხოვნის უფლება.[6]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 82 მუხლის თანახმად, განსაზღვრული ვადით დაწესდა მოსამართლეთა არჩევითობა. საფუძველი ჩაეყარა სახალხო არჩევნებს, რომელსაც კონსტანტინე მიქელაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. კონსტიტუციაში აღინიშნა იმის შესახებ, რომ დამოუკიდებელი კანონი მომავალში კონკრეტულად განსაზღვრავდა მოსამართლეთა არჩევის წესსა და პირობებს. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ამ კანონის ჩამოყალიბება ვერ მოხერხდა საქართველოს გასაბჭოების გამო.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, მოსამართლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა უნდა მოხდეს მისი თანხმობის საფუძველზე. ამ წინადადებას იგი საკონსტიტუციო კომისიას სთავაზობდა. ეს უკანასკნელი მას ძირითად კანონში უნდა ჩაეწერა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 83 მუხლი აღიარებდა: „არ შეიძლება სასამართლოს წევრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა მისი სურვილის წინააღმდეგ, გარეშე სასამართლოს დადგენილებისა".

კონსტანტინე მიქელაძე სასამართლო ორგანოებისაგან მოითხოვს, რომ თავიანთი მოქმედება დაუქვემდებარონ კანონის ნორმებს, მოთხოვნებს, რაც განაპირობებს სასამართლოს მოღვაწეობის სამართლიანობა-კანონიერებას. ეს პრინციპი ხაზგასმულია 1921 წლის

---

6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 250.

კონსტიტუციის 78-ე მუხლში: „სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“.

იურისტის თქმით, სასამართლომ თავისი ფუნქციები დროულად და პირნათლად რომ შეასრულოს, ამისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს კანონებს, სადაც სრული მასშტაბით ფიქსირდება სასამართლოს ფუნქციური მიმართულებები, დანიშნულება და სასამართლოს ორგანიზაცია. ავტორი უპირატესობას კანონებს ანიჭებს, რაც მისი ნაშრომიდანაც ჩანს: „ორგანიზაცია არ არის ისეთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს ხალხისთვის უზენაეს მნიშვნელობას და სარგებლიანობას, ამას რომ ჰქონდეს ადგილი, საჭიროა, რომ არსებული კანონები სასამართლოს აძლევდნენ საშუალებას მუდმივ იდგეს ჭეშმარიტი დანიშნულების გზაზე. აქ, პირველ ყოვლისა, დიდი მნიშვნელობა აქვს კანონების ხასიათსა და თვისებებს. თუ კი სახელმწიფოს კანონები არ გამომდინარეობენ საზოგადოების ცხოვრების ნამდვილი მოთხოვნილებებიდან, თუ კი კანონების წყაროს არ შეადგენენ ხალხის უფლებრივი შეგნება, ზნე-ჩვეულება და ეთიური შეხედულება, რა ორგანიზაციაც არ უნდა ჰქონდეს სასამართლოს, ის ხალხს არ მოუტანს დიდ სარგებლობას. ამიტომ ხალხის ინტერესებს შეადგენს ის, რომ ისეთი კანონები იქნენ გამოცემულნი, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ნამდვილ ფსიქოლოგიას. ამიტომ ჩვენ სრულადაც არ გვინდა იმის თქმა, თუ კი რომ ხალხის უმეტეს ნაწილში ბატონობს ყალბი ზნე-ჩვეულება და ეთიური შეხედულება, კანონმა უნდა გამოხატოს ეს უკანასკნელი. თითოეულ ხალხს, რა გვარ პოლიტიკურ მდგომარეობასაც იგი არ უნდა განიცდიდეს, ყავს ისეთი პირნი ანუ ჯგუფები, რომელნიც არიან მატარებელნი მოწინავე აზრებისა. კანონმდებელიც, თუ ის ჭეშმარიტი მოვალეობის და დანიშნულების გზით მიდის, იძულებული ხდება დაადასტუროს კანონებში ხალხის მოწინავე ნაწილის მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი“.

ზემოთ მოყვანილ სიტყვებში ჩანს უაღრესად დემოკრატიული და პროგრესული აზროვნება. მოცემული ციტატის საფუძველზე შესაძლებელია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი და მნიშვნელოვანი პრინციპები:

კონსტანტინე მიქელაძე სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირების საფუძვლად კანონების მოწყობასა და მოწესრიგებას



გიორგი გვაზავა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების დეპუტატი.

მიიჩნევს. კანონი ის პრიორიტეტული სამართლებრივ-ნორმატიული ბაზაა, რომელიც სასამართლოს საშუალებას აძლევს სტაბილურად აწარმოოს სამართლებრივი მოღვაწეობა. კანონის ნორმებზე აიგება სასამართლოს ფუნქციონირება.

გარდა ამისა აღსანიშნავია ის პრინციპული დებულება,რომელიც წითელ ზოლად გასდევს დაფიქსირებულ ციტატას: კანონი სასამართლოს მოქმედების ბაზისია, ხოლო თავად სასამართლო კანონის დაცვას ემსახურება, ე.ი. იგი უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას.

ყურადსაღებია ერთი ფრიად საინტერსო გარემოება. თანამედროვე საზოგადოება, პოლიტიკური და იურიდიული დოქტრინა კანონს განმარტავს როგორც ხალხის უფლებების და ინტერესების გამომხატველ სამართლებრივ აქტს. იურისტი კი ამას არ ეთანხმება, ვინაიდან, ხალხში ბატონობს ისეთი არასასურველი ტრადიციები, მიუღებელი, მოძველები ზნე-ჩვეულებანი, რომელთა ნორმირება არ შეიძლება. ამიტომ კანონებში ხალხის ინტერესების, მათში ფესვგადგმული ჩვევების აბსოლუტური წარმოჩენა გამოიწვევს მათ გაყალბებას.

კანონის განმარტება სასამართლოს პრეროგატივაა. ნორმატიული აქტების ინტერპრეტაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დიდი ილია ჭავჭავაძე ამ პრინციპს აცნობიერებდა და ბრძანებდა: „თუ ის კანონი ბნელია, რომ კაცს არ ესმის და ვერ გაიგებს, მაშინ ადამიანს არც ეცოდინება კანონი“.[7]

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი გვაზავა აღნიშნავდა, რომ „კანონის ინტერპრეტაციის უფლება უნდა ჰქონდეს სასამართლოს და არა პარლამენტს. კანონის ინტერპრეტაცია არის რთული უფლებრივი ფუნქცია. ამიტომ ის უნდა მიენდოს იმ ორგანოს, რომლის ფუნქციასაც შეადგენს ეს ინტერპრეტაცია“.[8] (ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, რადგან კანონის განმარტება მხოლოდ სასამართლოს პრეროგატივა არ გახლავთ და ამ ფუნქციის ცალკეული უფლებამოსილი ორგანოები და პიროვნებები ახორციელებენ - ბ.ქ.).

კანონის ინტეპრეტაციას დიდ ყურადღებას აქცევდნენ 1918-1921 წლების პოლიტიკურ და იურიდიულ საზოგადოებაში.

7. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.6, გვ. 73.

8. გაზეთი „საბალხო საქმე“, 1920 წელი, 21 დეკემბერი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე უგზავნის საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიას შემდეგი შინაარსის განცხადებას:

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიას

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, 1918 წელი, 5 დეკემბერი, ტბილისი.

ამა თუ იმ კანონპროექტის ან სხვა საკანონმდებლო აქტის ადვილად შეგნებისა და შეთვისებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მას თან დართული ჰქონდეს კომისიის წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ძირითადი დებულებანი საკანონმდებლო აქტებისა, დასაბუთებისა მისი საჭიროებისა, მოკლე მიმოხილვა არსებული კანონებისა და წესებისა.

საპარლამენტო კომისიების მოქმედების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კომისიები საჭიროდ არ თვლიან ამ, - საკანონმდებლო მუშაობის ელემენტარული წესის აღსრულებას და ადგენენ მარტოოდენ კანონპროექტს, რომელიც განმარტების გარეშე ამა თუ იმ გარემოებას ბადებს.

ამის გამო პრეზიდიუმი მიმართავს კომისიას უმორჩილესი თხოვნით ამიერიდან ყოველ კანონპროექტს თუ სხვა რამ საკანონმდებლო აქტს უეჭველად თან დაურთოს წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც კანონპროექტთან ერთად, - ფრაქციებს გაეგზავნოთ.

წინააღმდეგ შემთხვევაში, - პრეზიდიუმი იძულებული იქნება ასეთი კანონპროექტი კომისიას უკან დაუბრუნოს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩხეიძე.[9]

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 124.

* * *

სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის ანატომიას სამართლებრივი სასამართლოს ფუნქციონირებაც ასულდგმულებს. სასამართლო „უფლების დაცვის“ მთავარი ბერკეტია. ამ უკანასკნელის გააზრებამ კონსტანტინე მიქელაძე მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მოსამართლე და საერთოდ სასამართლო ორგანიზაცია ელიარებინა სახელმწიფოს „უფლებრივი“ (სამართლებრივი) ცხოვრების ბურჯად და მცველად.

აღნიშნულ საკითხებზე კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია დადებითადაა შესაფასებელი.

თავი ოცდამეერთე

კონსტანტინე მიქელაძის დამოკიდებულება უფლების დაცვაზე

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ყოფიერებაში ხელისუფლების გამიჯვნა იყო რევოლუცია. ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე ხელისუფლების დანაწილების მოძღვრებას „გონებისა და თავისუფლების კოდექსს“ უწოდებდა.

მეფის ან იმპერატორის ძალაუფლება თავდაპირველად წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ შეიზღუდა. სასამართლო ხელისუფლება, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, არ არსებობდა. მისი ფუნქციები გადანაწილებული იყო იმ მოხელეებს შორის, რომლებიც წარმომადგენლობით თუ აღმასრულებელ ფუნქციებს ასრულებდნენ შესაბამის ორგანოებში. საზოგადოებრივი ცხოვრების გართულების შედეგად სასამართლო ორგანიზაციამ დამოუკიდებელი ფორმა მიიღო და იგი უფლების დაცვას ემსახურებოდა.

უფლების დაცვა სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულებაა. „სახელმწიფო თვით ხალხია. სწორედ ამაში ვლინდება მისი სუბსტანცია“.[1] სახელმწიფოს სოციოლოგიური თეორიის ფუძემდებელს, ავსტრიელ ლუდვიგ გუმპლოვიჩს სახელმწიფო იდეალის დონემდე აჰყავს და საზოგადოებრივ სისტემაში მის დანიშნულებას განუზომლად ზრდის. მისი აზრით, უფლებები, თავისუფლებები, საკუთრება, ოჯახი და სხვა სოციალური ფასეულობანი ადამიანებს სახელმწიფოსაგან აქვთ ბოძებული და ამ ღირებულებებს მისი მეშვეობით იცავენ ხელყოფისაგან.

კონსტანტინე მიქელაძე უფლების დაცვის, როგორც სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთი და ფუძემდებლური ფუნქციის, მექანიზმად მიიჩნევს მართლმსაჯულების ორგანოებს. რაც შეეხება უზენაეს სასამართლოს, იურისტის აზრით, უფლების დაცვასთან ერთად უნდა ახორციელებდეს საკონსტიტუციო კონტროლს და ზედამხედველობას უნდა უწევდეს აღმასრულებელი ხელისუფლების

1. ბეჭა ქარსარია, დასახ. ნაშრ. გვ. 226.

საქმიანობას (ამ საკითხზე მომდევნო თავებში ვისაუბრებთ - ბ.ქ.).

სანამ უფლების დაცვის ავტორისეულ შეხედულებებს გაეცნობოდეთ, მანამდე მიზანშეწონილად მიმაჩნია მოკლედ ჩამოვაყალიბო ჩემეული კონცეფცია ამ თემასთან დაკავშირებით.

როდესაც უფლების დაცვაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია ორი მომენტი:

ა) უფლების დაცვა ნეგატიურ ასპექტში;

ბ) უფლების დაცვა პოზიტიურ ასპექტში.

ჩვენი აზრით, „უფლების დაცვა ნეგატიურ ასპექტში“ ნიშნავს ხელყოფილი უფლების რეაბილიტაციას, უფლების პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ირღვევა ადამიანის უფლებები, რაც მოითხოვს რეაგირებას, ხელყოფის მიზეზებისა და ხარისხის დადგენას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სამართალდამცველთა აქტიურობა.

„უფლების დაცვა პოზიტიურ ასპექტში“ გულისხმობს უფლების დაცვას მოსალოდნელი მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან, მისი პირვანდელი მდგომარეობის შენარჩუნებას. ამ გაგებით უფლების დაცვაზე უნდა ზრუნავდეს თითოეული ადამიანი და ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურები, რომ არ დაირღვეს სხვისი უფლება და უზრუნველყოფილ იქნეს მისი უზენაესობა პოზიტიურ ასპექტში.

საზოგადოებრივი ურთიერთობა მრავალმხრივია, რომლებიც მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ მდგომარეობაში ადამიანთა უფლებები იგნორირებას განიცდის. თუმცა სასამართლო ის მნიშვნელოვანი ძალაა, რომლის სწორ და სამართლებრივ ფუნქციონირებაზე დიდადაა დამოკიდებული უფლების დაცვა. ეს უკანასკნელი გააზრებული ჰქონდა კონსტანტინე მიქელაძეს და ამიტომ აკუთვნებდა იგი უპირველეს ადგილს უფლების დაცვას სასამართლოს სხვა ფუნქციათა შორის.

მოგეხსენებათ, რომ სასამართლოს ნორმალური ფუნქციონირებისა და ეფექტური მოღვაწეობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ სტრუქტურის მიერ კანონების გამოყენებას და ნებისმიერი სადავო საკითხის ნორმატიული აქტის შესაბამისად გადაწყვეტას. კონსტანტინე მიქელაძე თვლის, რომ უფლება, ინდივიდუალური და საჯარო ინტერესი, დაცულია მაშინ, როდესაც სასამართლო კონსტიტუციის და, საერთოდ, არსებული კანონმდებლო-

ბის ფარგლებში მოქმედებს. იურისტი მართებულად მსჯელობს და სასამართლო ხელისუფლების სამართლიანობის გარანტად მიაჩნია სასამართლოს მიერ კანონებით ხელმძღვანელობა.

არცერთი სადავო საკითხი სწორ, უტყუარ გადაწყვეტილებას არ დაექვემდებარება, თუ ის კანონის ფარგლებში არ არის განხილული. იურისტი მიუთითებს, რომ „სასამართლოს მოქმედების და მოღვაწეობის წყაროს შეადგენს სახელმწიფოს კანონები“.[2] სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება, ავტორის შეხედულებით, უფლების დაცვაა და სასამართლოს ნებისმიერი „დავალება“ (იგულისხმება „გადაწყვეტილება“ ბ.ქ.) უნდა აღსრულდეს სამართლებრივი ნორმების თანახმად.

კანონი გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს, რომელსაც უნდა დაემორჩილოს ყველა, განურჩევლად იმისა, მოქალაქეა იგი თუ მთავრობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი. კანონი დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის დიდი უმრავლესობის ინტერესების გამომხატველი და მისი პირუთვნელი დამცველია.

დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოში მიიჩნევდნენ, რომ „საკანონმდებლო ორგანო - დამფუძნებელი კრება და შემდეგ პარლამენტი არის და იქნება ხალხის წარმომადგენლობის ხელში. ასეთ პირობებში კანონის დარღვევა არის ხალხის სურვილის აბუჩად აგდება და ამიტომ კანონიერების დაცვა წარმოადგენს სახელმწიფოს უმთავრეს საჭიროებას, რომელსაც მუდამ უნდა ყავდეს თავისი ფხიზელი და მტკიცე დარაჯი. ასეთი დარაჯი იქნება სასამართლო, რომელიც ცხოვრებაში გაატარებს კანონებს, აღადგენს მას, თუ ვინმემ დაარღვია, დასჯის ყველას, ვინც მას გადალახავს“.[3]

ამ საკითხთან დაკავშირებით გაგვაჩნია ჩვენეული შენიშვნები. 1918-1921 წლების სუვერენულ საქართველოში აღიარებდნენ, რომ მხოლოდ სასამართლო ორგანოები უზრუნველყოფენ უფლებისა და კანონის დაცვის საქმეს. თანამედროვე ცნობიერება და აზროვნება უარყოფს სასამართლოს ამგვარ ჰიპერბოლურ მნიშვნელობას და საზოგადოებრივ სისტემაში მართლმსაჯულებასთან ერთად მოიაზრებს სამთავრობო თუ არასამთავრობო დონის ორგანიზაციებს, რომელთა პრიორიტეტული მიმართულება სახელმ-

2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 47.
3. გაზეთი „ერთობა“, 1919 წელი, 29 იანვარი.

წიფოში კანონის ნორმების დაცვა, გამოყენება და შესრულებაა.

ამრიგად, თანამედროვე დემოკრატიულ, ცივილიზებულ ქვეყნებში სამართლებრივი ნორმების დაცვას უზრუნველყოფს სხვადასხვა ორგანიზაციები, ასოციაციები. რასაკვირველია, მათ არ აქვთ უფლება სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივი გადაწყვეტილებანი გამოიტანონ, დასაჯონ პიროვნება. ეს მხოლოდ სასამართლო ორგანოთა კომპეტენციაა, თუმცა ეს არ ნიშნავს კანონიერების ზედმიწევნით განმტკიცებას, სამართლიანობის აღორძინებას. მხოლოდ სასამართლო ვერ უზრუნველყოფს კანონისა და უფლების დაცვას.

კანონის ნორმების პატივისცემა და შესრულება სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოებისა და ცალკეული მოქალაქეების სამართლებრივი და მორალური ვალდებულებაა. ამ პრინციპის გაცნობიერება და ცხოვრებაში გატარება სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია.

ადრებურჟუაზიის ერთ-ერთი ცნობილი იდეოლოგის ნიკოლო მაკიაველის მტკიცებით, თუ სახელმწიფო არ არის ძლიერი, მაშინ იქ არ შეიძლება სრულყოფილი და კარგი კანონები ბატონობდნენ. ამ მოაზროვნის აღნიშნულ შეხედულებას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან, არსებობენ ისეთი სახელმწიფოები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო დაქვეითებასა და დასუსტებას განიცდიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გააჩნიათ კარგი კანონები, სრულყოფილი ნორმატიული აქტები. მხოლოდ კანონების არშესრულება და იგნორირება სახელმწიფოს უძლურობას განაპირობებს.

ჩვენი დასკვნით, კარგი კანონების მიღება არ გულისხმობს მაინცდამაინც ძლიერი სახელმწიფოს არსებობას. ნორმატიული აქტების მოთხოვნათა ზედმიწევნით შესრულება სრულქმნილი სახელმწიფოს საწინდარია. კანონების ნორმების დაცვა, შესრულება და გამოყენება სტაბილური სახელმწიფოებრივი ანატომიის ფუნდამენტია. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვხედავთ ჩვენ უფლების დაცვას.

კონსტანტინე მიქელაძე სასამართლოს მოღვაწეობას „უფლებაშემოქმედებას“ უწოდებს. იურისტის შეხედულებით, უფლების დაცვის საფუძველზე წარმოიშობა „უფლებაშემოქმედება“, რომელიც წარმოადგენს „უფლებაწყობილების აუცილებელ ელემენტს“.[4] ავტორის აზრით, სასამართლოს საქმიანობა წარმოიშობა მაშინ,

4. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 47.

როდესაც სასამართლოში აღძრულია „იურიდიული საკითხი“ კანონიერი წესების მოთხოვნათა დაცვით,[5] ე.ი. სადავო საკითხი, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა, რომელსაც განიხილავს სასამართლო ნორმატიული აქტების გამოყენების საფუძველზე. მიქელაძის მტკიცებით სასამართლო მაშინ მოქმედობს, მაშინაა დინამიურ მდგომარეობაში, როდესაც განიხილავს კონკრეტულ საქმეებს.

სასამართლო ის დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს უფლების დაცვას მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ნეგატიურ მდგომარეობაში იმყოფება. პოზიტიურ ასპექტში უფლების უზრუნველყოფა სასამართლოს ნაკლებმნიშვნელოვანი პრეროგატივაა.

იურისტი, როგორც ვხედავთ, თანმიმდევრულია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით. იგი სასამართლოს დინამიურობის საფუძვლად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს: ა) უფლება უნდა იყოს ხელყოფილი (სამართალდარღვევა); ბ) ამის შესახებ უტყუარი ინფორმაცია უნდა გააჩნდეს სასამართლოს, რათა უფლების დარღვევასთან დაკავშირებით აღიძრას საქმე (იურისტი ამ უკანასკნელს რატომღაც მხოლოდ სასამართლოს ფუნქციებს მიაკუთვნებს ბ.ქ.); გ) პროცესუალური ურთიერთობის საფუძველზე აწარმოოს „უფლებაშემოქმედება“; დ) უფლების დასაცავად მიიღოს ჭეშმარიტი, სამართლიანი გადაწყვეტილება.

სასამართლოს მოქმედების ეს ოთხი ასპექტი გამოკვეთილად

---

5. იურისპრუდენციაში ზოგიერთი ავტორი ალიარებს, რომ თითქოს ნორმა წარმოშობის სამართალებრივ ურთიერთობას, რომ ის (ნორმა) არის იურიდიული ფაქტი. ეს მოსაზრება არ არის სწორი. ნორმა, როგორც ასეთი, არცერთ ურთიერთობას არ წარმოშობს. ნორმა თვითონაა ურთიერთობა. იგი მხოლოდ აწესრიგებს წარმოშობილ ურთიერთობას. ზოგიერთი ქართველი იურისტი (მაგალითად, ა.თანდილაშვილი, სამოქალაქო სამართალწარმოების სამართალი, ზოგადი საკითხები, 2001 წელი, გვ. 91) სამოქალაქო საქმეებზე სასამართლოში სამართალწარმოების წარმოშობის ერთ-ერთი წინამძღვრად ნორმის მითვისებას. დავას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ ეს მოსაზრება ალოგიკურია. სასამართლოში სამოქალაქო საქმეებზე პროცესუალური ურთიერთობების წარმოშობა, ჩვენი აზრით, ემყარება ორ იურიდიულ ფაქტს: ა) სამართალდარღვევას და ბ) სასამართლოში სარჩელის (განცხადების) წარდგენას. ესენი განსაზღვრავს სამოქალაქო სამართალწარმოების წარმოშობას.

სამოქალაქო სამართალწარმოების წარმოშობისათვის საკმარისი არ არის საბუთი იყოს მხოლოდ სამართალდარღვევა, აუცილებელია მისი გასაჩივრება სასამართლოში, ე.ი. სარჩელი ეწერებოდეს სამართალდარღვევას, ხოლო სამართალწარმოება სარჩელს ბ.ქ.

არ აქვს მოცემული ავტორს, მაგრამ მისი შეხედულების ანალიზის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი სასამართლოს ფუნქციონირებას მათ ერთობლიობაზე ამყარებდა.

კონსტანტინე მიქელაძე ერთ ფრიად საინტერესო გარემოებაზე მიგვანიშნებს: იგი მოსამართლეს ავალდებულებს დაიცვას უფლება. ამისათვის იურისტს საჭიროდ მიაჩნია სასამართლომ გადაწყვიტოს სადავო საკითხი, არსებული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად იმოქმედოს კანონის ფარგლებში და იქვე დასძენს: „მიუხედავად იმისა, თუ გინდ რომ კანონებში ვერ პოულობდეს პირდაპირ პასუხს".[6] რას ნიშნავს ეს? ადვილი მისახვედრია. როგორც ჩანს, ავტორს გაუთვალისწინებია ისეთი მდგომარეობა, როდესაც სასამართლოში შემოსულია საქმე გადასაწყვეტად, მაგრამ ხშირ შემთხვევაში კანონში ვერ ვპოულობთ შესაბამის ნორმას, რომელიც წარმოდგენილ საკითხს მოაწესრიგებდა, მაგრამ ურთიერთობა ანალოგიის მოშველიებით წყდება. ანალოგია ორი სახისაა: კანონის ანალოგია და სამართლის ანალოგია.

იურისპრუდენციის თანახმად, კანონის ანალოგიას მაშინ მიმართავენ, როდესაც ნორმატიულ აქტებში გაუთვალისწინებელი შემთხვევის (ურთიერთობის) სამართლებრივი მოწესრიგებისათვის გამოყენებულია ყველაზე უფრო მსგავსი შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა.[7] სამართლის ანალოგიას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც კანონმდებლობაში ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა ხდება მოქმედი სამართლის მთელი სისტემისა და კანონმდებლობის ზოგადი პრინციპების, საერთო სულისკვეთების საფუძველზე.[8]

ტერმინი კანონისა და სამართლის ანალოგია იურისტს არ გამოუყენებია. მხოლოდ მოყვანილი ციტატა („მიუხედავად იმისა, თუ გინდ რომ კანონში ვერ პოულობდეს პირდაპირ პასუხს") გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ იგი ცნობდა ანალოგიას.

თანამედროვე ეროვნული სამართლებრივი სისტემები (გარდა სისხლის სამართლისა) წარმატებით იყენებენ სამართლისა და კანონის ანალოგიას ამა თუ იმ, ხშირად გაუთვალისწინებელი

6. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 47.
7. გიგი ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, 1997 წელი, გვ. 130.
8. იქვე, გვ. 131.

ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში. ამ მხრივ არც საქართველოს ნაციონალური კანონმდებლობაა გამონაკლისი.

ამრიგად, ჩვენ დავასრულეთ კონსტანტინე მიქელაძის შეხედულების ანალიზი უფლების დაცვაზე. დავასკვნით, რომ იურისტი „უფლების დაცვას“ სასამართლოს ძირითად ფუნქციად თვლიდა. მისი აზრით, სასამართლოს „უფლებაშემოქმედებას“ წარმოშობს აღძრული იურიდიული საკითხი, ხოლო ამ უკანასკნელს საფუძვლად უდევს უფლების ხელყოფა. კონსტანტინე მიქელაძის აღნიშნული მსჯელობა დემოკრატიულია და იმსახურებს პოზიტიურ შეფასებას.

ახლა განვიხილოთ სასამართლოს მეორე ფუნქცია სასამართლო კონტროლი.

თავი ოცდამეორე

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება სასამართლო კონტროლზე

სახელმწიფოს მრავალმხრივი ფუნქცია გააჩნია. ქვეყანაში ძირითადი დანიშნულების სრულფასოვანი და ეფექტური განხორციელებისათვის იქმნება კონტროლის უმაღლესი ორგანოები, რომლებიც ზედამხედველობენ ამა თუ იმ უწყების ან თანამდებობის პირის მოქმედებების კანონიერებას, რაც დაკავშირებულია სახელმწიფოებრივ ცხოვრებასთან. თანამედროვე საქართველოში არსებობს კონტროლის ორგანოები. აღსანიშნავია საფინანსო და კანონმდებლობით სფეროში ზედამხედველობის ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა სახელმწიფო და საკონსტიტუციო კონტროლი.[1] ორივე სტრუქტურა სახელმწიფოს საერთო სისტემაში შედის და ასრულებენ სახელმწიფოებრივ დანიშნულებას. ამჯერად, ჩვენ ვისაუბრებთ საკონსტიტუციო კონტროლზე ანუ სასამართლო ზედამხედველობაზე (საფინანსო კონტროლზე ჩვენ მსჯელობა გვქონდა შესაბამის თავში - ბ.ქ.).

გერმანული ლიბერალიზმის იდეოლოგი ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი მკვეთრად ზღუდავდა სახელმწიფოს საქმიანობას და მის ერთადერთ დანიშნულებად თვლიდა მოქალაქეთა მხოლოდ საშინაო და საგარეო უსაფრთხოება-უშიშროების უზრუნველყოფას. სახელმწიფოს ფუნქციებიდან გამორიცხავდა იმ ყველაზე მნიშვნელოვან კომპონენტებს, რომლებიც ინდივიდთა კეთილდღეობას განაპირობებენ და უპირატესობას მათი უსაფრთხოების დაცვას ანიჭებდა. ჰუმბოლტი ამას იმით ასაბუთებდა, რომ ადამიანი თავი-

1. ქვეყანაში არ არსებობს ორგანო, რომელსაც გარკვეულ ფარგლებში არ ჰქონდეს კონტროლის ფუნქცია. მაგრამ ეს მისთვის არ არის პრივილეგიად და საწყისი დანიშნულება. მაგალითად, საქართველოში პარლამენტი კონტროლის ფუნქციით სარგებლობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი მთლიანად კონტროლის ორგანოა. პარლამენტის ფუძემდებლური საქმიანობა კანონმდებლობაა. მაგრამ სახელმწიფოებში იქმნება სპეციალური ორგანოები, რომელთა საწყის ფუნქციას ზედამხედველობა წარმოადგენს. მათ შორისაა სახელმწიფო (საფინანსო) და საკონსტიტუციო კონტროლის უწყებები, რომლებიც კანონის თანახმად, მხოლოდ კონტროლს ახორციელებენ.

თონ უნდა მიეჩვიოს შრომას, საქმიანობას. მან საკუთარი ძალებით უნდა მოიპოვოს პირადი კეთილდღეობა. ეს არის პიროვნების თვითრეალიზაცია, სიკეთისაკენ უკომპრომისო ლტოლვა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფოს საშინაო ფუნქციას განეკუთვნება საკონსტიტუციო კონტროლი. ეს ინსტიტუტი ახალი მოვლენა არ არის. ჯერ კიდევ, ასეული წლის წინ ცნობილი ამერიკელი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჰამილტონი დაბეჯითებით ასაბუთებდა „სასამართლო ზედამხედველობის“ შემოღების განსაკუთრებულობას. მას ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული ამ კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტის როლი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

საკონსტიტუციო კონტროლის დოქტრინა 1803 წელს წარმოიშვა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც პირველად მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის ისტორიაში საფუძველი ჩაეყარა კონსტიტუციური ზედამხედველობის ინსტიტუტს. აშშ უზენაეს სასამართლოში იხილებოდა საქმე მერბერ მედისონის წინააღმდეგ და ამ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით აიკრძალა აშშ 1787 წლის კანონის მე-13 მუხლის გამოყენება იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგებოდა აშშ კონსტიტუციას. აბსოლუტური მონარქიის ქვეყნებში არ არის კონსტიტუციური ზედამხედველობის ორგანოები. XIX საუკუნეში საკონსტიტუციო ზედამხედველობის უწყებები მთელ რიგ ქვეყნებში აღმოცენდა. მაგალითად, 1848 წელს - შვეიცარიაში, 1853 წელს - არგენტინაში და ა.შ. გამოყოფენ კონსტიტუციური კონტროლის ოთხ ფორმას:

ა) საკონსტიტუციო კონტროლს ახორციელებენ ყველა სასამართლოები, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვს უზენაეს სასამართლოს (აშშ, მექსიკა, დანია);

ბ) საკონსტიტუციო ზედამხედველობას ახორციელებს მხოლოდ უზენაესი სასამართლო (შვეიცარია);

გ) კონსტიტუციურ ზედამხედველობას აწარმოებენ მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოები (საქართველო);

დ) აღნიშნული ფუნქცია აქვს საკონსტიტუციო საბჭოს (საფრანგეთი) (ასეთი დაყოფა პირობითია - ბ.ქ.).

კონსტიტუცია ძირითადი სამართლებრივი აქტია. მის მიმართ ყველა პატივისცემით უნდა იყოს გამსჭვალული. საქართველოს

დემოკრატიულ სახელმწიფოში (1918-1921) პოლიტიკურ და სამართლებრივ პრიორიტეტად მიიჩნეოდა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება. არანაკლებ მსჯელობდნენ ყველაზე აქტუალურ და საჭირბოროტო საკითხზე, რომელიც დაკავშირებული იყო კონსტიტუციის დებულებათა ცხოვრებაში გადატრება-დამკვიდრებასთან.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, იურისტი რაჟდენ არსენიძე იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოში შეიქმნებოდა საუკეთესო და უკიდურესად დემოკრატიული კონსტიტუცია, მაგრამ ეჭვის ქვეშ აყენებდა მისი უზენაესობის შენარჩუნებას. რაჟდენ არსენიძე მოითხოვდა კონსტიტუციის პრინციპების შესრულებას და მათი რეალიზაციის აუცილებლობის გაცნობიერებას.[2]

ცნობილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ გიორგი გვაზავამ ჩამოაყალიბა სასამართლო ხელისუფლების ხუთი პრინციპი: სასამართლოს დამოუკიდებლობა; სასამართლო კონტროლი: მოსამართლის შეუცვლელობა; საქმის ორჯერ გარჩევა; მოსამართლეთა არჩევის წესი.[3] აქედან სასამართლო კონტროლი კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფას უკავშირდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე იკვეთება, თუ რაოდენ ზრუნავდნენ ჩვენი წინაპრები სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, დემოკრატიული და ცივილიზებული ფასეულობების დამკვიდრებისათვის. კონსტიტუციას ისინი აღიქვამდნენ როგორც ხალხის ინტერესების გამომხატველს, დემოკრატიული სულისკვეთების ევოლუციონისტს.

ჯონ ოსტინი მიუთითებდა: „სამართალი არის სუვერენის ბრძანება“. ასეთი სუვერენი არის ხალხი, როგორც კონსტიტუციის შემქმნელი. სწორედ ამ ძირითადი აქტის იერარქიულობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია საკონსტიტუციო კონტროლი.

კონსტანტინე მიქელაძესთან სასამართლოს ფუნქციები საკმაოდ მრავალფეროვანია. უფლების დაცვის გარდა იურისტი სასამართლოს ანიჭებს კონტროლის განხორციელების უფლებამოსილე-

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 22.

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 40.

ბას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ჩვენი მიზანია, უპირველეს ყოვლისა, დაფიქსირდეს ავტორის სუბიექტური შეხედულება ამ საკითხთან დაკავშირებით, და ბოლოს, დასკვნის სახით წარმოვადგინოთ ჩვენეული შენიშვნები განსახილველ თემაზე (როდესაც კონსტანტინე მიქელაძე საუბრობს სასამართლო კონტროლზე, მხედველობაში აქვს უმაღლესი სასამართლო - ბ.ქ.).

ტერმინი „საკონსტიტუციო“ ან „კონსტიტუციური კონტროლი“ ავტორს ნაშრომში არ გამოუყენებია. იგი უფრო ხშირად „სასამართლო ზედამხედველობაზე“ მიუთითებს.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, უმაღლესი სასამართლოს ფუნქციები არ უნდა განისაზღვრებოდეს მარტოოდენ იმ საკითხების გარჩევით, რომელიც ეხება თანასწორუფლებიან პირთა სამართლებრივი ურთიერთობის სფეროს.[4] იურისტი მხოლოდ უფლების დაცვის პრეროგატივით არ კმაყოფილდება და სასამართლოს ფუნქციებში გულისხმობს კონტროლის განხორციელების უფლებამოსილებასაც. კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებს, რომ „მასვე შეიძლება და აუცილებელიც არის დაევალოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებული კანონების გასინჯვა იმ მხრივ, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი კონსტიტუციას“.[5]

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას: იურისტი აღნიშნავს, რომ სასამართლომ კონტროლი უნდა განახორციელოს მხოლოდ პარლამენტის კანონებზე, თუ რამდენად გამოხატავენ ისინი კონსტიტუციის სულისკვეთებას. აქ იგულისხმება ის ნორმატიული ანუ საკანონმდებლო აქტები, რომლებიც წარმომადგენლობითი ორგანოს მიერაა მიღებული. ამ სფეროში იურისტი სასამართლოს ვიწრო უფლებით აღჭურავს. კონსტანტინე მიქელაძე უმაღლეს სასამართლოს მარტო კანონებზე ზედამხედველობის უფლებამოსილებას ანიჭებს. „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი (მიღებულია 1996 წლის 31 იანვარს) საგრძნობლად აფართოებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილებას. მას შეუძლია გადაწყვიტოს:

---

4. იურისტს „თანასწორუფლებიანობის“ ნაცვლად გამოყენებული აქვს სიტყვა „სწორუფლებიანი“, ხოლო „სამართლებრივის“ ნაცვლად „უფლებრივი“. ტერმინები იმიტომ შევცვალეთ, რომ მკითხველისთვის უფრო გასაგები გახდეს მათი მნიშვნელობა.

5. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 48.

ა) საქართველოს კონსტიტუციასთან საქართველოს კანონების, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის, საქართველოს პრეზიდენტის, აფხაზეთისა და აჭარის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხი;

ბ) დავა სახელმწიფო ორგანოებს შორის თაობაზე;

გ) მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებათა შექმნისა და საქმიანობის კონსტიტუციურობის საკითხი;

დ) დავა რეფერენდუმის ან არჩევნების კონსტიტუციურობის შესახებ;

ე) საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის საკითხებთან მიმართებით ნორმატიული აქტების კონსტიტუციურობის საკითხი;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა კონსტიტუციურობის საკითხი;

ზ) საქართველოს პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ცნობის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი;

თ) საქართველოს პრეზიდენტის, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, მთავრობის წევრის, გენერალური პროკურორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარისა და ეროვნული ბანკის საბჭოს წევრების მიერ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევის საკითხი.[6]

როგორც ვხედავთ, თანამედროვე სამართლებრივმა სისტემამ (ქართულმა საკანონმდებლო ინდუსტრიამ) ფართო მასშტაბი შესძინა სასამართლო კონტროლის უფლებამოსილებას. მისი პრეროგატივა კონსტიტუციასთან მხოლოდ კანონების შესაბამისობის საკითხების გარჩევით არ შემოსაზღვრა.

კონსტანტინე მიქელაძის ზემოთ აღნიშნული შეხედულების არსი, როგორც ჩანს, მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს პარლამენტი უფლებამოსილია მიიღოს კანონები საზოგადოებრივი ურთიერთობის ამა თუ იმ სფეროს მოსაწესრიგებლად, ხოლო სასამართლო კი უფლებამოსილია გადასინჯოს საკანონმდებლო ხელისუფლების სამართლებრივი აქტები, პროცესუალური მოქმედებების საფუძველზე გაარკვიოს ,,ეთანხმება" თუ არა ისინი ქვეყნის კონსტიტუციას.

მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებით არის დაკომპლექტებული, კონსტანტინე მიქელაძ-

6. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, 1999 წელი, ბათუმი, გვ. 363-364.

ეს ეჭვი შეაქვს ამ ორგანოს კომპეტენტურობასა და გულწრფელობაში და არ გამორიცხავს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია უკანონობასა და არასამართლიანობასთან. იგი ბოლომდე არ ენდობა პარლამენტის გადაწყვეტილებებს. იურისტის აზრით, საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც არ გამომდინარეობენ კონსტიტუციის შინაარსიდან და ეწინააღმდეგებიან მის ფუძემდებლურ პრინციპებს, ასეთ შემთხვევაში, თუ სასამართლო ორგანოს არ მიენიჭა კონტროლის ფუნქცია პარლამენტის პროცესუალურ საქმიანობაზე, საერთოდ მის გადაწყვეტილებაზე, შესაძლებელია მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები და კანონიერი ინტერესები დარღვეულ იქნეს თვით საკანონმდებლო ორგანოში.

მიუთითებდნენ, რომ „პარლამენტს სჭირდება ჰყავდეს ისეთი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს კონსტიტუციას; მაშინ პარლამენტი მეტი სიფრთხილით მოქმედებს და უფრო თავშეკავებულია.[7]

მართალია, მიქელაძისეული შეხედულება ამ საკითხზე მნიშვნელოვანია და პროგრესულობით ხასიათდება, მაგრამ მეტად საინტერესოა, რომელი ღონის სასამართლოს ანიჭებდა იგი აღნიშნულ პრეროგატივას.

ტერმინი „სასამართლო“ საკმაოდ ფართო ცნებაა. მისი სტრუქტურა მრავალფეროვანია. საერთო სასამართლოთა სისტემაში შედის უზენაესი, საოლქო, რაიონული, საქალაქო და ა.შ. სასამართლო ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას.

იურისტი პირდაპირ, გამოკვეთილად არ ანიჭებს რომელიმე სასამართლო სტრუქტურას საკონსტიტუციო კონტროლის უფლებამოსილებას. იგი მხოლოდ ფარითი ცნებით (სასამართლო კონტროლი) შემოიფარგლება. მაგრამ ვფიქრობთ, რომ (ამის შესახებ უკვე ითქვა - ბ.ქ.) მიქელაძე უზენაეს სასამართლოს გულისხმობდა. აღნიშნულის ილუსტრირება შესაძლებელია ორი ფაქტორით:

ა) კონსტიტუციურ კონტროლს ვერ განახორციელებს დაბალი ინსტანციის სასამართლო. მაგალითად, როგორ შეიძლება რაიონულმა, საქალაქო ან თუნდაც საოლქო სასამართლომ ზედამხედველობა აწარმოოს უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 193.

საქმიანობაზე და გააუქმოს მისი აქტები, გადაწყვეტილებები. როგორც წესი, ქვემდგომი ზემდგომს ემორჩილება. აქ სუბორდინაციის პრინციპს დიდი მნიშვნელობა აქვს.

ბ) იურისტი ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე ასაბუთებს უზენაესი სასამართლოსათვის (მაშინდელ საქართველოში უზენაეს სასამართლოს „უმაღლეს სასამართლოს“ უწოდებდნენ - ბ.ქ.) საზედამხედველო ფუნქციის მინიჭებას.

იგი მიუთითებს: „აღნიშნული უფლება სასამართლოს აქვს მიღებული ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. კონსტიტუციის მე-6 მუხლის ძალით, სასამართლოსათვის სავალდებულოა ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული კანონები, თუ კი ისინი შედგენილნი არიან კონსტიტუციის თანახმად. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ფედერალურ სასამართლოს შეუძლია კონგრესის მიერ გამოცემული კანონი განიხილოს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ეთანხმება ეს კონსტიტუციას, და თუ დაინახა, რომ კანონმდებელი გამოვიდა კონსტიტუციით ნაჩვენები ფარგლებიდან, ასეთი კანონი შეუძლია გამოაცხადოს კანონის ძალას მოკლებულად, რის გამოც იგი ცხოვრებაში არ ტარდება. მაგრამ მსაჯულთა ასეთ მოქმედებას აქვს ადგილი ჩრდილო ამერიკის ფედერაციაში მაშინ, როდესაც სასამართლოს წინაშე აღძრულია იურიდიული საკითხი დავის სახით. აქ მსაჯულნი ფართოდ სარგებლობენ აღნიშნული უფლებით. ზოგიერთი შტატის კონსტიტუციაში იმ მიზნით, რომ ესა თუ ის ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული კანონი დაცული იქნეს სასამართლოს კონტროლისაგან, შეტანილი იყვნენ ისეთი დადგენილებანი, რომელთაც არ აქვთ კონსტიტუციური დებულების ხასიათი. იქ ამას შედეგად მოჰყვება კონსტიტუციის გაღიდება და სხვადასხვა ხასიათის დებულებების არევ-დარევა“.[8]

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 3 აპრილის სხდომაზე გიორგი გვაზავა მოითხოვდა, რომ კონსტიტუციაში შეეტანათ შესწორება იმის თაობაზე, რომ სენატს (უმაღლეს სასამართლოს) ჰქონდა პარლამენტზე კონტროლის უფლებამოსილება. ამას იგი ამერიკის მაგალითზე ასაბუთებდა. იმავე სხდომაზე სერგი ჯაფარიძე კატეგორიულად აღიარებდა: „გვაზავას მოსაზრე-

8. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 47-48.

ბა უადგილოა. ამერიკის მაგალითი ჩვენში არ გამოდგება. ამერიკა ფედერაციული სახელმწიფოა და ფედერაციული კონსტიტუცია აქვს. იქ უმაღლესი სასამართლო შედგება ყველა შტატის წარმომადგენელთაგან და მართლა იცავს კონსტიტუციას. ჩვენ უნიტარული სახელმწიფო გვაქვს. სენატს ირჩევს პარლამენტი და მას არ შეუძლია უარყოს პარლამენტის მიერ გამოცემული კანონი. ჩვენში, მაშასადამე, სენატი ვერ იკისრებს კონტროლის როლს. ხოლო რევიზიის უფლება შეეხება კერძო კანონს და არა კონსტიტუციას".[9]

კონსტანტინე მიქელაძე ხაზს უსვამს ერთ მნიშვნელოვან გარემოებას. იგი მიუთითებს, რომ პარლამენტთან, მის ერთ პარტიასთან ან მრავალრიცხოვან პარტიათა კოალიციასთან ალიანსი აქვს პარლამენტარულ მთავრობას. მისი აზრით, პარლამენტარული მთავრობა დიდ გავლენას ახდენს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაზე. იგი აწარმოებს მთელს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებებს, ვინაიდან, მთავრობა არის უმაღლესი აღმასრულებელ-განმკარგულებელი ორგანო. კონსტანტინე მიქელაძე აღნიშნავს, რომ მას (მთავრობას) ყოველთვის აინტერესებს ამა თუ იმ კანონის მიღება და ამისათვის პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის უმნიშვნელოვანესი კონსტიტუციური პრეროგატივა გააჩნია. იურისტი მიუთითებს, რომ მთავრობამ შეიძლება პარლამენტში შეიტანოს კანონპროექტი კონსტიტუციის ამა თუ იმ დებულებათა საწინააღმდეგოდ, რადგან, „ეს მისი პარტიის კლასობრივი ანუ პოლიტიკური მომენტის ინტერესებს წარმოადგენს".[10]

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ავტორი კონკრეტულად არ მიუთითებს მთავრობის მხრიდან, თუ ვის უნდა მისცემოდა პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, - მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობის თითოეულ წევრს ინდივიდუალურად (პიროვნულად), თუ კოლეგიალურად.

მიქელაძისეული შეხედულებით, თუ მთავრობა უნდა აღჭურვილიყო აღნიშნული უფლებამოსილებით, მაშინ ივარაუდება, რომ მას მხედველობაში ჰქონდა მთავრობა, როგორც მთელი, საკანონმ-

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 192.

10. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 49.

დებლო ინიციატივის უფლებამოსილების მქონე ერთიანი სუბიექტი და არა მისი რომელიმე ცალკეული წევრი-ერთპიროვნულად.

კონსტანტინე მიქელაძეს მიაჩნია, რომ კანონპროექტი, რომელსაც მთავრობა წარადგენს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის საფუძველზე, უყოყმანოდ იქნება მიღებული, ვინაიდან, პარლამენტი მხარს დაუჭერს მთავრობის წინადადებას და საკითხს მის სასარგებლოდ გადაწყვეტს.

პარლამენტისა და მთავრობის ეს ურთიერთობა, იურისტის აზრით, საჭიროებს სასამართლო ზედამხედველობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყანაში გამოიცემა ისეთი კანონები, რომლებიც საერთოდ გააბათილებენ სახელმწიფოს ძირითად აქტს ანუ კონსტიტუციას.[11]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად იკვეთება ავტორის პოზიცია იმის თაობაზე, რომ მთავრობა, მიუხედავად თავისი დიდი გავლენისა, პარლამენტზე მაღლა არ უნდა იდგეს. მისი აზრით, პარლამენტის მიერ მთავრობისთვის ყოველთვის ანგარიშის გაწევა და მისი ნებისმიერი წინადადების გათვალისწინება არასწორია, მიუღებელია.

პარლამენტი და მთავრობა ის სახელისუფლებო ინსტიტუციონალური და ორგანიზებული დაწესებულებებია, რომელთა შორის აუცილებელია ჰარმონიზაციისა და ურთიერთკოორდინაციის განმტკიცება. თუ პარლამენტი, როგორც იურისტს მიაჩნდა, მთავრობის უშუალო ზეგავლენით და თანმიმდევრული მითითებით აწარმოებს საკუთარ სამართლებრივ შემოქმედებას საკანონმდებლო სფეროში, მაშინ შესაძლებელია ადგილი იქონიოს მიკერძოებამ და ამდენად „უფლების დაცვაზე“ და კანონიერებაზე საუბარი ზედმეტია.

მთავრობისა და პარლამენტის მოღვაწეობაში დაცული უნდა იყოს ურთიერთშეკავებისა და ურთიერთგაწონასწორების პრინციპი. ამით გამოირიცხება მათ შორის რაიმე ზეგავლენა, დაპირისპირება.

რაც შეეხება მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივას, იგი, როგორც კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტი, 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციამ გაითვალისწინა. თუმცა ეს საკითხი სულ სხვაგვარადაა მოწესრიგებული 1995 წლის ძირითადი კანონით. მთავრობას, როგორც მთელს, ან მის ცალკეულ წევრს არ

11. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 49.

აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ამ პრეროგატივით სარგებლობს მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტი, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური.

კონსტანტინე მიქელაძის სურვილი, რომ მთავრობას მისცემოდა საკანონმდებლო ინიციატივის უფლება, გათვალისწინებულ იქნა 1921 წლის კონსტიტუციის 72 მუხლით: „მთავრობის უფლებაა წარდგენა პარლამენტის წინაშე თავის კანონპროექტისა, აგრეთვე დასკვნისა იმ კანონპროექტის შესახებ, რომელიც პარლამენტის ან ხალხის ინიციატივით არის შემოსული“.

* * *

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის 76 მუხლის თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე არსებობდა ერთი უმაღლესი სასამართლო სენატი (მომავალში უნდა ეარსება ბ.ქ.), რომელსაც ირჩევდა პარლამენტი. მისი საზოგადო ფუნქცია იყო კანონის დაცვაზე ზედამხედველობა.[12] ანალოგიური პრინციპია გატარებული საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 90-ე მუხლში, რომლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით კონტროლს უწევს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში.

1921 წლის კონსტიტუციის 76-ე მუხლში დეკლარირებულია, რომ სასამართლო მოვალეა: „თვალყური ადევნოს კანონის დაცვას“. თუმცა ეს არ ნიშნავს კონსტიტუციურ ზედამხედველობას. კანონის დაცვა ზოგადი ცნებაა და ჩვენი მოსაზრებით, „უფლების დაცვასთან“ იდენტიფიცირდება.[13]

„სენატი სასამართლო დაწესებულებათა გვირგვინია, მისი თავის

---

12. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 1385, ფურცელი 252.

13. როგორც არკვევა, საქართველოში საკონსტიტუციო კონტროლის ინსტიტუტი არ არსებობდა. მას საფუძველი ჩაეყარა 1921 წლის კონსტიტუციის ძალით. ძირითადი კანონის თანახმად, გათვალისწინებულ იქნა „სახალხო ზედამხედველობა“ (რეფერენდუმი), რომლის უპირველესი ფუნქცია გახლდათ კონსტიტუციის უზენაესობის უზრუნველყოფა - ბ.ქ.

დადგმა".[14] აი, ასე აფასებდნენ სენატს მაშინდელ ქართულ სინამდვილეში. ეს იყო სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანცია.

საქართველოს უზენაესი სასამართლო - სენატი 1921 წლის კონსტიტუციით კი არ დაფუძნებულა, არამედ იგი მანამდეც არსებობდა. სენატის ფორმირებას საინტერესო პრეისტორია გააჩნია.

ჯერ კიდევ, 1918 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაიმართა სპეციალური თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ჩამოყალიბების საკითხს. იუსტიციის მინისტრის მოადგილის გ.ი. გუცელიანის თავმჯდომარეობით შეიქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა საქართველოს სენატის ძირითადი და სამოქმედო დებულების შემუშავება. უმოკლეს ვადაში კომისიამ შექმნა გენერალური პრინციპები, რომელსაც დაეფუძნა უზენაესი სასამართლოს სტრუქტურა. დაწვრილებითი შემუშავებისათვის აღნიშნული დებულება გადაეცა ხუთკაციან კომისიას, რომელმაც თავის მხრივ განიხილა იგი და შემდგომ გადაეცა კომისიის თავმჯდომარეს.[15] მალე მოწვეულ იქნა კომისიის პლენუმის გაფართოებული სხდომა პროექტის უკანასკნელი რედაქციის განსახილველად, რომლის შემდეგ კანონპროექტი წარედგინა საქართველოს პარლამენტს.

1919 წლის 25 იანვარს, უკვე დამფუძნებელი კრების სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა ალ. ლომთათიძე, შედგა აღნიშნული კანონპროექტის მუხლობრივი განხილვა. სხდომის წევრებს შორის განსაკუთრებით დიდი კამათი და მწვავე დებატები გამოიწვია სენატის დებულების მე-20 მუხლმა, რომელიც უკავშირდებოდა სენატორის ცენზს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით წამოაყენეს წინადადება იმის თაობაზე, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში დამფუძნებელ კრებას მისცემოდა უფლება, რომ სენატში აერჩია ისეთი პირი, რომელსაც იურიდიული „ფაკულტეტი არ დაუმთავრებია, მაგრამ შესაფერი ცოდნა და ღირსება ნებას აძლევდა სენატორის მოვალეობა ნაყოფიერად აღესრულებინა".[16]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობდა მონოლითური აზრი და თავი იჩინა კონტრ-წინადადებებმა.

---

14. გაზეთი „ერთობა", 1919 წელი, 3 ოქტომბერი.
15. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 27 ოქტომბერი.
16. გაზეთი „ერთობა", 1919 წელი, 27 იანვარი.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ დამფუძნებელმა კრებამ უნდა შექმნას ისეთი დაწესებულება, რომელიც დამფუძნებელ კრებას ფეხდაფეხ გაჰყვება და მის დადგენილებებს ცხოვრებაში გაატარებს. სენატი აუცილებლად უნდა შეეგუოს იმ პოლიტიკურ პირობებს, რომელშიც უხდება ცხოვრება სახელმწიფოს. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელთა მიერ წამოყენებული ეს წინადადება, მიღებულ იქნა.[17]

1919 წლის 29 ივლისის დამფუძნებელ კრებაზე დაამტკიცეს საქართველოს სენატის დებულების საბოლოო ტექსტი.[18]

საქართველოს დამფუძნებელი კრების სარეკომენდაციო კომისიის მიერ შედგენილი სენატორთა საკანდიდატო სია წარმოდგენილ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1919 წლის 7 ოქტომბრის სხდომაზე. ამ დღეს შედგა სენატის წევრთა პირველი არჩევა, რაც დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს.[19] სენატის თავმჯდომარეობა დაეკისრა ნაფიც ვექილ დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილს. ეს გახლავთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე.

საქართველოს სენატის შინაგანი სტრუქტურა შედგებოდა ა) სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის; ბ) სამოქალაქო დეპარტამენტის ადმინისტრაციული განყოფილების და გ) სისხლის სამართლის საკასაციო დეპარტამენტისაგან.[20]

გარდა ამისა, სენატში გათვალისწინებული იყო საკასაციო დეპარტამენტთა საზოგადო კრებისა და საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებული საკრებულოს არსებობა. თითოეული დეპარტამენტი


---

17. გაზეთი „ერთობა“, 1919 წელი, 27 ივლისი.

18. გაზეთი „ერთობა“, 1919 წელი, 31 ივლისი.

19. XX საუკუნის 10-20 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობას ასულდგმულებდა არაერთი სხვადასხვა თარიღები: ა) 1917 წლის 12 მარტი - გამოცხადდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ბ) 1917 წლის 19 ნოემბერი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში შედგა პირველი ქართული საკანონმდებლო ორგანოს (ეროვნული საბჭოს) პირველი ყრილობა; გ) 1918 წლის 26 მაისი - გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა და შეიქმნა პირველი დემოკრატიული ქართული მთავრობა; დ) 1919 წლის 7 ოქტომბერი შეიქმნა საქართველოს უზენაესი სასამართლო (სენატი); ე) 1919 წლის 12 მარტი საქართველოში შედგა დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა (საქართველოს ისტორიაში პირველი წარმომადგენლობითი ორგანოს ყრილობა); ვ) 1921 წლის 21 თებერვალი - მიღებულ იქნა საქართველოს პირველი კონსტიტუცია - ბ.ქ.

20. გაზეთი „ერთობა“, 1919 წელი, 9 ოქტომბერი.



დავით ხელთუფლიშვილი

ნაფიცი-ვექილი, საქართველოს უზენაესი სასამართლოს (სენატის) პირველი თავმჯდომარე.

შედგებოდა განსაზღვრული რაოდენობის სენატორებისაგან. სენატს ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე. მას ჰყავდა მოადგილე. უმაღლესი სასამართლოს ადმინისტრაციული ცენტრი იყო თბილისში.[21]

საქართველოს უმაღლესი სასამართლო საკასაციო წესით არჩევდა სისხლის და სამოქალაქო საქმეებს. სენატი შედგებოდა 15 წევრისაგან.

თუ მაგალითად, მომრიგებელი მოსამართლე და საოლქო სასამართლო უკანონო გადაწყვეტილებას გამოიტანდა სამოქალაქო ან სისხლის სამართლის ამა თუ იმ საქმეზე, მაშინ დაინტერესებულ პირს შეეძლო ეს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობაში ან სასამართლო პალატაში, ხოლო ამ უკანასკნელთა გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლებოდა უმაღლეს ინსტანციაში - სენატში.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში (სენატში) არსებობდა ორი პროკურორის თანამდებობა: ერთი სისხლის სამართლის დეპარტამენტისათვის და მეორე სამოქალაქოსათვის. პროკურორებს და მათ მოადგილეებს ნიშნავდა მთავრობა.

განხილვის საფუძველზე სენატი აუქმებდა განაჩენს, განმარტავდა კანონის სწორ აზრს და შემდგომ უბრუნებდა ისევ განაჩენის გამომტან სასამართლოს, რათა ხელახლა განეხილა საქმე და გადაწყვეტილება მიეღო კანონის განმარტებული აზრის თანახმად. სენატს უფლება ჰქონდა კანონის განმარტება საჯაროდ გამოეტანა, რომ ყველა დაწესებულებას ეხელმძღვანელა ასეთი განმარტებით.

დიდი კამათი გამოიწვია საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრებს შორის კონსტიტუციის პროექტში სენატის დამოუკიდებელ მუხლად გათვალისწინების საკითხმა. 1920 წლის 3 აპრილის სხდომაზე, კენჭისყრის საფუძველზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ სენატი არ უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული ცალკე მუხლად ძირითად კანონში. მომხრე იყო გიორგი გვაზავა და იესე ბარათაშვილი.[22]

მაგრამ კონსტიტუციის საბოლოო და რატიფიცირებულ ტექსტში (მუხლი 76-ე) სენატის უფლებამოსილება ხაზგასმითაა აღნიშნული.

სამწუხარო ის არის, რომ 1921 წლის 22 მარტის დეკრეტით

---

21. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 1385, ფურცელი 252.

22. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 193.

გაუქმდა დემოკრატიული მთავრობის სენატი და სხვა სასამართლო დაწესებულებანი.[23]

საქართველოს უზენაესი სასამართლო (სენატი) მხოლოდ მისთვის სპეციფიკური უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი. არსად არ არის დაფიქსირებული, რომ მას, გარდა უფლების დაცვისა და საკასაციო უფლებამოსილებისა, ჰქონდა კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია.

1919-1921 წლების საქართველოს სენატისა და თანამედროვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს უფლებამოსილება იდენტურია. კანონით, საკონსტიტუციო ზედამხედველობის ფუნქცია არც პირველს და არც მეორეს აქვს. საქართველოში კონსტიტუციურ კონტროლს ახორციელებს სპეციალური საკონსტიტუციო სასამართლო.

საქართველოს სასამართლო ორგანოთა სისტემა შედგება ორი განსხვავებული სასამართლო დაწესებულებების - საერთო იურისდიქციის სასამართლოებისგან, რომლებიც ახორციელებენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვას, და საკონსტიტუციო კონტროლის განმახორციელებელი სასამართლო ორგანოს - საკონსტიტუციო სასამართლოსაგან.[24]

საერთო სასამართლოთა სისტემაში არ შედის საკონსტიტუციო სასამართლო. იგი დამოუკიდებელი ერთეულია, რომელიც პირველად ჩამოყალიბდა საქართველოში 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად. მას ადმინისტრაციული განყოფილებები არ გააჩნია.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო უზრუნველყოფს კონსტიტუციის უზენაესობას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. იგი ერთ-ერთი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ინსტიტუტია დემოკრატიულ საქართველოში, რომელიც სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს არსებობის პრიორიტეტული გარანტიაა. დღეისათვის საკონსტიტუციო სასამართლო არ გახლავთ აბსოლუტურად კომპეტენტური, მაგრამ სარწმუნოა, რომ მალე საქართველოში შეიქმნება ისეთი კონსტიტუციური სასამართლო, რომელიც ღირსეულად განახორციელებს საკუთარ სამართლებრივ პრეროგატივას.

---

23. ბექა ქანთარია, დასახ. ნაშრ. გვ. 343.

24. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, ბათუმი, 1999 წელი, გვ. 347.

უზენაესი სასამართლო ნებისმიერ ქვეყანაში სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ინსტანციაა, მისი გვირგვინია, რომელიც ახორციელებს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას. კონსტიტუციური კონტროლის შეთავსება საგრძნობლად გაართულებს მის ფუნქციონირებას.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, „სასამართლოსათვის აღნიშნული კონტროლის უფლების მინიჭება ზედმეტი იქნებოდა მაშინ, თუ კი ხალხს აქვს კონტროლის უფლება რეფერენდუმის და ინიციატივის სახით. მაგრამ როდესაც ასეთ მდგომარეობას ადგილი არ აქვს, ერთადერთი ორგანო, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო მოღვაწეობის შესახებ კონტროლის უფლება, სასამართლო არის. აღნიშნული წესის განმტკიცების საჭიროებას განსაკუთრებით იწვევს პოლიტიკური ცხოვრება პარლამენტარული რეჟიმის პირობებში“.[25]

ჩვენი აზრით, ინიციატივა ნაკლებად უწყობს ხელს კონსტიტუციური კონტროლის განხორციელებას.[26]

საკანონმდებლო ინიციატივის უფლება 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, ჰქონდა პარლამენტის ყოველ დეპუტატს, 5000 ამომრჩეველს და რესპუბლიკის მთავრობას. ინიციატივის აღნიშნული სუბიექტები არეულადაა მოცემული ძირითად კანონში. პირველი და მეორე განსაზღვრულია 63 მუხლში, ხოლო რაც შეეხება მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებამოსილებას, მოთავსებულია 72 მუხლში. უმჯობესი იყო, რომ მათ სისტემური ფორმა მიეღო კონსტიტუციაში.

კონსტანტინე მიქელაძე საკონსტიტუციო კომისიას, რომელსაც საქართველოს პარლამენტის საფუძველზე განესაზღვრა კონსტიტუციის პროექტის შედგენა, სთავაზობდა კონტროლის ორ ალტერნატიულ ფორმას:

ა) სასამართლო კონტროლს, როდესაც უზენაეს სასამართლოს ექნებოდა საკანონმდებლო და უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის პრეროგატივა; ან

ბ) სახალხო კონტროლს, რომლის მეშვეობით თვით ხალხი

---

25. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 48.

26. ინიციატივის დროს ამა თუ იმ სუბიექტს წინადადება შეაქვს პარლამენტში კანონპროექტის მიღების ან კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე. ეს არ გულისხმობს ზედამხედველობას, კონტროლს.

განახორციელებდა ზედამხედველობას პარლამენტის კანონებზე მათი კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

სახალხო კონტროლი უნდა გამოვლენილიყო რეფერენდუმისა და ინიციატივის სახით.

საბოლოოდ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ „სასამართლო კონტროლს" გვერდი აუარა და 63-ე მუხლში განამტკიცა „სახალხო კონტროლის" ანუ რეფერენდუმის ინსტიტუტი.

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებაში პრინციპულ ადგილს იკავებდა კონსტიტუციური კონტროლის ორგანიზაციის შემოღების იდეა. მას ალტერნატიული წინადადება გააჩნდა: თუ საკონსტიტუციო კომისია უარყოფდა სასამართლო კონტროლის ინსტიტუტს, მაშინ მას გადაწყვეტილება უნდა მიეღო იმასთან დაკავშირებით, რომ ძირითად კანონში გაეთვალისწინებინა სახალხო ზედამხედველობის ანუ რეფერენდუმის ჩატარების უფლებამოსილება. ამ მხრივ მაშინდელმა საზოგადოებამ დემოკრატიულ პრინციპებს მიმართა და რეფერენდუმის შემოღებით რესპუბლიკის მოსახლეობას მიანდო კანონებზე კონტროლის შესრულება.

კონსტიტუციურ სამართლებრივი მეცნიერება და პრაქტიკა ცნობს ორი სახის რეფერენდუმს: „პარლამენტარული რეფერენდუმი" - როცა საკითხს რეფერენდუმზე გაიტანდნენ პარლამენტში მის განხილვამდე და „პარლამენტის შემდგომი რეფერენდუმი", როცა საკითხი წინასწარ არის განხილული პარლამენტის სხდომაზე.[27]

მართალია, აქ კანონებზე კი არა, საერთოდ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თემებზეა საუბარი, მაგრამ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 64-ე მუხლი „პარლამენტის შემდგომ რეფერენდუმს" გულისხმობს.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს კონსტიტუციით სახალხო კონტროლი არ არის გათვალისწინებული. რეფერენდუმი საერთოდ აიკრძალა კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, რაც არსებითი მოვლენაა. ამ საქმეში რეფერენდუმი ნაკლებმნიშვნელოვანია. დღეს საქართველოში პარლამენტს თითქმის ყოველთვის უხდება კანონების მიღება. მოქალაქეებს უფლება რომ მისცემოდა

27. ო. მელქაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, 1996 წელი, გვ. 99.

რეფერენდუმის საშუალებით კანონი მიეღო ან გაეუქმებინა, მაშინ ეს, რასაკვირველია, გამოიწვევდა რეფერენდუმის ყოველდღე ჩატარებას. ამისათვის არც მოსახლეობაა სათანადოდ მზად და არც დროა საკმარისი. სწორედ ამიტომ ჩვენს ქვეყანაში დაფუძნდა საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს კონსტიტუციასთან კანონების, პრეზიდენტის, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა ნორმატიული აქტების შესაბამისობის საკითხებზე.

ამჟამად, საკონსტიტუციო სასამართლო აკონტროლებს პარლამენტის საკანონმდებლო საქმიანობას. მისი მოქმედების საფუძველია კონსტიტუციური სარჩელი და წარდგინება.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს საქართველოს კონსტიტუციით, საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ 1996 წლის 31 ივნისის ორგანული კანონით, საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ 1996 წლის 21 მარტის საქართველოს კანონითა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეგლამენტით დადგენილ სხვა საკითხებს.

* * *

ამრიგად, დავასკვნით, რომ კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია სახელმწიფო სამართლის ამ საკითხებზე დემოკრატიული და პროგრესულია. მან კომისიას კონტროლის ორი ალტერნატიული წინადადება შესთავაზა. ეს იყო სახალხო და სასამართლო კონტროლი. იგი არც პირველს და არც მეორეს უარყოფდა. ორივეს თანაბარმნიშვნელობას ანიჭებდა. თუმცა საკონსტიტუციო კომისიამ, როგორც ვთქვით, საბოლოო გადაწყვეტილებით უპირატესობა „სახალხო კონტროლის" ინსტიტუტს მიაკუთვნა, რაც გამოიხატა 1921 წლის კონსტიტუციის 64 მუხლით. აქ ნათქვამია: „თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარუდგინოს".

თავი ოცდამესამე

კონსტანტინე მიქელაძე და სასამართლო კონტროლი უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 25 ოქტომბრის სხდომაზე კომისიის წევრი იესე ბარათაშვილი საზოგადოებას წარმოუდგენდა იმ ძირითად პრინციპებს,რომელიც ახასიათებდა სახელმწიფოებრივ ანატომიას. ესენი იყო: კანონმდებლობა, მთავრობა და სასამართლო. იგი ამ სხდომაზე სასამართლოს ფუნქციის სამ მთავარ კომპონენტს გამოყოფდა: სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს, რომლებიც სასამართლო ხელისუფლების გარჩევის ობიექტად მიაჩნდა.[1] იესე ბარათაშვილი კონტროლის უფლებამოსილებას სასამართლოს პრეროგატივაში არ მოიაზრებდა.

ჩვენ ვიცით, რომ საკანონმდებლო ორგანო ღებულობს კანონებს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება განახორციელებს მის ნორმებს. აღმასრულებელი ფუნქციების ცხოვრებაში შესრულება მეტად რთული და მრავალმხრივია. სწორედ ამიტომ მისი აპარატი, საერთოდ აღმასრულებელი სისტემა, ფართო დიაპაზონისაა. მისი სტრუქტურა, კადრების რაოდენობა საკმაოდ დიდი და მრავალრიცხოვანია. აქ უფრო მეტად მოსალოდნელია კანონდარღვევები, უფლება-თავისუფლებათა იგნორირება. აღმასრულებელი ხელისუფლება სახელმწიფო პირამიდის სათავეში დგას, რომელსაც მიჰყავს ძირითადი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მიმართულება. სწორედ ამ სფეროშია აუცილებელი კონტროლის განხორციელება. მკაცრი ზედამხედველობისა და მეთვალყურეობის პირობებში აღმასრულებელ ხელისუფლებაში გამოირიცხება კანონგარეშე მოქმედებები და თითოეული მოხელის მორალურ-პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამაღლდება.

---

1. საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 40.

კანონმდებლის ჩინებული სტრუქტურა, აღმასრულებელი ორგანოს სწორი კონტროლი, სამართლის ბრძნული მოწყობა არის ის ყოველივე, რაც ადამიანურ ბედნიერებას სჭირდება.[2]

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი გიორგი გვაზავა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე მიუთითებდა, რომ „ჩვენში აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს მთლიანი, თაოსანი, მუდამ ფხიზელი და ენერგიული".[3]

დამფუძნებელი კრების დეპუტატი ალ. მდივანი ერთ-ერთ სხდომაზე კოლეგების წინაშე აღნიშნავდა: „საერთო პოლიტიკა განისაზღვრება ხალხის ნებით. აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა იყოს განსახიერება მთელი სახელმწიფოს აზრისა და სულისა".[4]

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმებში, რომლებიც დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში, არ არის დაფიქსირებული დამფუძნებელი კრების წევრთა მოთხოვნა იმის შესახებ, რომ უზენაეს სასამართლოს (სენატს) მინიჭებოდა კონტროლის ფუნქცია უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. ანალოგიას აქვს ადგილი საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომათა ოქმებში. კომისიაში არავინ არ შემოსულა ამ საზედამხედველო პრეროგატივის შემოღების შესახებ წინადადებით (ინიციატივით). როგორც ჩანს, აღნიშნული საკითხი სადისკუსიოდ საერთოდ არ იყო წამოყენებული. იგი გვხვდება მხოლოდ კონსტანტინე მიქელაძის ნაშრომში.

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველი თავმჯდომარე რაჟდენ არსენიძე მიუთითებდა, რომ „ჩვენი პარლამენტი არის არამარტო კანონმდებელი, არამედ ის არის კონტროლის გამწევი აღმასრულებელი ხელისუფლებისა, მის მოქმედებასა და მუშაობაში".[5]

საქართველო, როგორც მოგეხსენებათ, საპრალმენტო რესპუბლიკას წარმოადგენდა, რომლისთვის დამახასიათებელია პარლამენტის კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. მთავრობის წევრები პოლიტიკურად პასუხისმგებელნი არიან საკანონმდებლო

2. ტომას კარლაილი, დრიის ნიშნები, ესეები, თბ. 1983 წელი, გვ. 141.
3. გაზეთი „საქართველო", 1920 წელი, 4-5 იანვარი.
4. გაზეთი „ახალი საქმე", 1920 წელი, 17 დეკემბერი.
4. გაზეთი „ახალი საქმე", 1920 წელი, 17 დეკემბერი.

ორგანოს წინაშე. ამიტომ იმჟამინდელ საქართველოში პარლამენტარიზმი გაგებული იყო მმართველობის ისეთ ფორმად, როდესაც მინისტრები პასუხისმგებელნი არიან პარლამენტის წინაშე თავიანთი საქმიანობისათვის.[6]

შვეიცარიაში, სადაც დამყარებული იყო საპარლამენტო მმართველობის კლასიკური მოდელი, მინისტრების პასუხისმგებლობას არ ჰქონდა ადგილი. პარლამენტი თვითონ იყო პასუხისმგებელი მათ არჩევაში და მინისტრების საქმიანობის შედეგებზე. ეს პრინციპი მეტად საინტერესოა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლს ახორციელებდა პარლამენტი.

უნდა განვასხვავოთ კონტროლი და პასუხისმგებლობა.

კონტროლი არის ისეთი მოქმედება, როდესაც უფლებამოსილი იურიდიული თუ ფიზიკური პირი ზედამხედველობს ამა თუ იმ ორგანოს ან თანამდებობის პირის საქმიანობას გარკვეულ სფეროში. კონტროლის მიზანია უფლებამოსილმა პირმა გამოავლინოს უკანონო ქმედებები, მისცეს შესაბამისი რეაგირება მართლსაწინააღმდეგო ფაქტს, მნიშვნელოვანი ზარალის ან ზიანის თავიდან აცილების მიზნით განახორციელოს პრევენციული ზომები, გაახმაუროს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები, მიაწოდოს სწორი ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს, რათა პირი მიეცეს პასუხისგებაში.

პასუხისმგებლობის მრავალი ფორმა არსებობს. იგი არ გულისხმობს ზედამხედველობას.

ჩვენ ვუბრუნდებით განსახილველ საკითხს და გავეცნობით კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებას აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლზე.

იურისტი მიუთითებს, რომ „სასამართლოს კონტროლი უნდა გავრცელდეს აგრეთვე აღმასრულებელი ძალის ანუ მისი ორგანოების მოღვაწეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის უფლებები არ იქნებიან უზრუნველყოფილნი მთავრობის ან მისი აგენტების არაკანონიერი მოქმედებისაგან“.[8]

---

6. გაზეთი „საქართველო“, 1920 წელი, 29 იანვარი.
8. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 49.

ამ თემასთან დაკავშირებით ავტორის შეხედულების ტენდენციურობა იმაში გამოიხატება, რომ სასამართლო კონტროლი უნდა ვრცელდებოდეს არამარტო პარლამენტის მოღვაწეობაზე, არამედ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრეროგატივა უნდა იყოს მთავრობის და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებების საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელება. მიქელაძის აზრით, თუ უმაღლეს სასამართლოს არ გააჩნია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლის უფლებამოსილება, მაშინ შესაძლებელია კანონიერი ინტერესები და უფლებები ხელყოფილ იქნეს მთავრობის ან მისი „აგენტების“ (მოხელეების) არაკანონიერი, არამართლზომიერი მოქმედებებისაგან.

იურისტი ცნობს საჯარო და კერძო უფლებას. მისი აზრით, ორივეზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის საქმიანობა. აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობა და მისი განკარგულებანი უნდა კონტროლდებოდეს სასამართლოს მიერ იმ თვალსაზრისით, რომ არ დაირღვეს სხვისი ხელშეუვალი უფლებები.

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებით, თუ მთავრობის აქტები და მოქმედებები არაკანონიერია და ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას, მაშინ ისინი სასამართლოს მიერ აღიარებულ უნდა იქნეს ძალადაკარგულად, მათ არავითარი იურიდიული მნიშვნელობა არ მიენიჭება და გაბათილებას დაექვემდებარება.

კონსტანტინე მიქელაძე აღმასრულებელი ხელისუფლების მართლსაწინააღმდეგო მოღვაწეობის ორ ფორმას გამოყოფს:

ა) არამართლზომიერი აქტი;

ბ) უკანონო მოქმედება.

იურისტს „არამართლზომიერი აქტი“ და „უკანონო მოქმედება“ საქმის აღძვრის საფუძვლად მიაჩნია. იგი ცნობს ინიციატივის უფლების სუბიექტებს. ესენია:

ა) კერძო პირი;

ბ) საზოგადოება;

გ) დაწესებულება.

აღმასრულებელი ორგანოს, თანამდებობის პირის მიერ გამოვლენილი უკანონო ქმედება ან მიღებული არამართლზომიერი აქტი უნდა გასაჩივრდეს. კონსტანტინე მიქელაძის აზრით, კონტროლის პროცესში სასამართლო ვალდებულია, თუ ადმინისტრაციის მო-

ქმედებაში შეამჩნევს უკანონობას, ამორალურ ქცევას, დაუყოვნებლივ მიიღოს ზომები მათ წინააღმდეგ. სასამართლომ უნდა გამოავლინოს აღმასრულებელი ორგანოების კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი და აღიაროს ისინი კონსტიტუციასთან შეუსაბამოდ.

აღმასრულებელ ხელისუფლებაზე სასამართლოს მიერ კონტროლის განხორციელების ინსტიტუტს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია არ ცნობდა. უზენაესი სასამართლო - სენატი სახელმწიფოებრივ სისტემაში დამოუკიდებელი იყო და მხოლოდ კანონს ემორჩილებოდა. იგი არ ბატონობდა ხელისუფლების დანარჩენ განშტოებებზე, უპირატესობით არ სარგებლობდა.

აქვე მახსენდება ინგლისელი მოაზროვნის ჯონ ლოკის შეხედულება. ლოკი იცნობდა სამი სახის ხელისუფლებას: ა) საკანონმდებლო; ბ) აღმასრულებელი და გ) საკავშირო ანუ ფედერალურ ხელისუფლებას. ჯონ ლოკი ამ სამეულიდან უპირატესობას საკანონმდებლო ორგანოს ანიჭებდა და მის უმაღლესობას აღიარებდა. თუმცა იგი მას არ განიხილავდა, როგორც აბსოლუტს, უზენაესს, განუსაზღვრელს, არამედ თანაბარ ადგილს აკუთვნებდა მათ შორის, ე.ი. ჯონ ლოკის აზრით, საკანონმდებლო აღმასრულებელი და ფედერალური (საკავშირო) ხელისუფლება თანაბარმნიშვნელოვანნი არიან და ყოველგვარი უპირატესობის გარეშე, საერთო ძალით მონაწილეობენ სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელებაში.

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებაში სასამართლო ხელისუფლების ფუნქციათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ორგანოების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობაზე სასამართლო კონტროლს.

აღნიშნულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტანტინე მიქელაძეს სასამართლო ხელისუფლება გამოჰყავს სხვა სახელისუფლებო ორგანოთა უფრო მაღლა მდგომ ზეინსტიტუტად, ზედაწესებულებად. ეს დასტურდება მის მიერ სასამართლოსათვის საკონტროლო ფუნქციისა და, უპირველეს ყოვლისა, აღნიშნულ ორგანოთა სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის უფლებამოსილების მინიჭებით.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 53-ე მუხლის „ი" ქვეპუნქტის თანახმად, უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონტროლი საქართველოს პარლამენტს ეკისრებოდა. მოგეხსენებათ,

რომ აღნიშნული კონსტიტუციით, საქართველო პარლამენტარულ რესპუბლიკას წარმოადგენდა და, ადეკვატურად, დაცული იყო პარლამენტის წინაშე მთავრობის პასუხისმგებლობის პრინციპი. კონსტიტუციის 72-ე მუხლის „ზ“ და „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მთავრობა „ვალდებულია აძლიოს პარლამენტს ანგარიში თავისი მოქმედებისა და წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგინოს მოხსენება საქართველოს შინაგანი და საგარეო მდგომარეობის შესახებ. წარუდგინოს აგრეთვე განსაკუთრებული მოხსენება, უკეთუ პარლამენტმა მოითხოვა, და შეასრულოს ყოველივე, რაც კანონს ან პარლამენტს მისთვის დაუვალებია“.

სხვადასხვა მეცნიერს „პოლიტიკური პასუხისმგებლობა“ თავისებურად ესმის. ვერ დავეთანხმები ბ-ნ ვახტანგ ერქომაიშვილის მოსაზრებას, რომლის თანახმად, პოლიტიკური პასუხისმგებლობის პირუთვნელი მსაჯული ისტორიაა.[9]

ეს შეხედულება არ არის სწორი, ვინაიდან, იგი განავითარებს პოლიტიკოსთა თვითნებობას. პოლიტიკოსებმა მართლსაწინააღმდეგო აქტის ჩადენის შემთხვევაში პასუხი უნდა აგონ სასამართლოს წინაშე. თუ ჩვენ თითოეული პოლიტიკოსის პასუხისმგებლობის საკითხს ისტორიის სამსჯავროს დავუკავშირებთ, მაშინ ეს გამოიწვევს უპასუხისმგებლობის სინდრომს. ისტორიას არ ძალუძს კონკრეტულ პოლიტიკოსს პასუხი აგებინოს. მან შეიძლება მხოლოდ მომავალში ამა თუ იმ მოღვაწის საქმიანობას მისცეს პოზიტიური ან ნეგატიური შეფასება.

როგორც ჩანს, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტს ზედამხედველობა უნდა გაეწია აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე, ხოლო მთავრობის წევრები პასუხისმგებელნი იყვნენ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე.

აღნიშნული საკითხი სხვაგვარადაა მოწესრიგებული საქართველოს 1995 წლის ძირითად კანონში. დღეს საქართველო საპრეზიდენტო რესპუბლიკაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1995 წლის კონსტიტუციის 48 მუხლის ძალით, პარლამენტი უფლებამოსილია კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში, კონტროლი გაუწიოს მთავრობის საქმიანობას, თუმცა მთავრობის წევრები (მინისტრები)

---

9. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ. 1994 წელი, გვ. 169.

პოლიტიკურად პასუხისმგებელნი არიან საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. აქ არსად არ ფიგურირებს სასამართლო ხელისუფლება. ის არ აკონტროლებს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს და უკანასკნელნი პასუხისმგებელნი არ არიან უზენაესი სასამართლოს წინაშე.

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებდა, რომ „საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების მოღვაწეობის განხილვით და განსჯით უფლებაზომიერების თვალსაზრისით სასამართლოს ევალება, რომ იყოს დარაჯი და მცველი იმისა, რომ მთელი სახელმწიფო სამმართველო მოძრაობდეს კანონებში განმტკიცებული უფლებრივი ნორმების ფარგლებში“.[10]

თუ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია თავის ნორმებში სასამართლო კონტროლს აღიარებდა, როგორც სასამართლო ხელისუფლების ერთ-ერთ უფლებამოსილებას, მაშინ იურისტის აზრით, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა, რომ სასამართლო ჩაეყენებინა ისეთ ოპტიმალურ მდგომარეობაში, რომლის საშუალებით იგი უზრუნველყოფდა საზედამხედველო უფლებამოსილების განხორციელებას. მაგრამ საზედამხედველო ინსტიტუტმა გამოხატულება ვერ პოვა კონსტიტუციის მუხლებში.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოებისაგან დამოუკიდებელია მაშინ, როდესაც მისთვის, სამართლებრივი ნორმების ფარგლებში, უზრუნველყოფილია თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა.

კონსტანტინე მიქელაძე ქადაგებს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას. ეს პრინციპი საქართველოს ისტორიაში პირველად 1921 წლის კონსტიტუციამ აღიარა მე-16 მუხლით. აქ დეკლარირებულია: „მოქალაქენი კანონის წინაშე თანასწორნი არიან“. უმჯობესი იქნებოდა კონსტიტუციაში ტერმინი „მოქალაქენი“ შეცვლილიყო შემდეგით: „კანონის წინაშე „ყველა“ თანასწორია“. ამ თვალსაზრისით უფრო დემოკრატიული და საყოველთაოა 1995 წლის კონსტიტუცია, რომლის მე-14 მუხლი განამტკიცებს დებულებას: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია“.

---

10. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 51.

იურისტი ამბობდა, რომ სახელმწიფოს მოქალაქე ემორჩილება ერთ კანონს, თანასწორია მის წინაშე. თანასწორობაში იგი გულისხმობს უფლების დაცვას. უფლების უზრუნველყოფის გარანტიად მას ამ უფლების დამრღვევის დასჯა მიაჩნდა. იგი მოითხოვდა, რომ ბოროტმომქმედი დასჯილიყო.

ამ პრინციპის რეალიზაცია მხოლოდ სასამართლოს ძალუძს. ამაში კონსტანტინე მიქელაძე ღრმად იყო დარწმუნებული.

კონსტანტინე მიქელაძის დამოკიდებულება მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტზე

მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი პირველად ინგლისში აღმოცენდა 1360 წელს ედუარდ მესამის დროს, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს საზოგადოებრივი წესრიგის და მშვიდობიანობის დაცვა შეადგენდა.[1] დიდი ილია ჭავჭავაძე განმარტავს მომრიგებელ მოსამართლეთა დანიშნულებას: „მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოსი, ამიტომაც ჰქვიან მომრიგებელი სასამართლო“.[2]

1864 წლის 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძე დაინიშნა თბილისის მეორე განყოფილების მომრიგებელ შუამავლად,[3] ხოლო 1868 წლის 1 თებერვალს კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით იგი დუშეთის სამომრიგებლო განყოფილების მომრიგებელ მოსამართლედ გაამწესეს, სადაც 1874 წლამდე მუშაობდა.

მომრიგებელ მოსამართლეთა საქმეების გარჩევა უმნიშვნელო დარღვევებით შემოიფარგლებოდა.

ამ საკითხზე ილია ჭავჭავაძისა და კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრება მეტად იდენტურია.

ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, რომ „მომრიგებელ მოსამართლეს მინდობილი აქვს გარჩევა იმ წვრილმანი საქმეებისა, რომლებიც ყოველდღე თითქმის წარმოდგებიან ხოლმე ხალხის ცხოვრებაში. უფრო მომეტებულმა ნაწილმა ხალხისამ კანონები არ იცის, მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილ სიმართლესა და უფრთხილდება დროს; ამისათვის ხალხისთვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე გაუთავდეს ხოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თვითონ

1. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ. 1977 წელი, გვ. 132.

2. ვ. მეტრეველი, ილია ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ. 1983 წელი, გვ. 7.

3. „საისტორიო მოამბე“, III, თბ. 1947 წელი, გვ. 275.

ხალხის სიმაროლედ არის ცნობილი. უფრო ბევრს ნაწილს ამ საქმეებისას მომრიგებელი მოსამართლე სწყვეტს საბოლოოდ და ამასთანავე საქმეს არჩევს და სწყვეტს მარტო თვითონ ერთადერთი. უმთავრესი დანიშნულება ამისთანა მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის მყოფელი შუაკაცად ექმნეს მოდავეთა და მათ შორის მორიგება ჩამოაგდოს, რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეულ იქნეს, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორიც ცოდნა ხალხის აზროვნებისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებისა, ერთის სიტყვით - ყოველი იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ, - და ამასთანავე საჭიროა კაცსა ჰქონდეს გამჭრიახი გონება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება. მომრიგებელ მოსამართლის მრავალგვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველ შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება".[4]

კონსტანტინე მიქელაძე მსჯელობს სასამართლოს სტრუქტურაზე. იურისტი ერთმანეთისაგან გამოყოფს სასამართლოს ორგანიზაციის ორ ფორმას:

ა) ეროპიროვნული სასამართლო;

ბ) კოლეგიალური სასამართლო.

იგი ეხება ამ უკანასკნელთა სპეციფიკურობას, თავისებურ დანიშნულებას. სასამართლო ორგანიზაციის ასეთ დაყოფაში მიქელაძე ხედავს ფუნქციურ განსხვავებას, იმას, თუ რა პრეროგატივა აქვს პირველს - ერთპიროვნულ სასამართლოს და მეორეს - კოლეგიალურ სასამართლოს.

ერთპიროვნული სასამართლოს არსებობას, მიუთითებს იურისტი, განაპირობებს ის გარემოება, რომ მომრიგებელი მსაჯული (მოსამართლე) ახლო კავშირურთიერთობაში უნდა იყოს მოსახლეობასთან. ამ სასამართლოს დანიშნულებას შეადგენს მოსახლეობის სამართლებრივი ინტერესების დაკმაყოფილება.

კონსტანტინე მიქელაძე აღნიშნავს, რომ ერთპიროვნულ სასამართლოს არ შეიძლება დაეკისროს იმ ფუნქციის შესრულება,

4. ილია ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 76-77.

რომელსაც ახორციელებს კოლეგიალური სასამართლო. იგი მიუთითებს: „ერთპიროვნული სასამართლოს (იგულისხმება „მომრიგებელი მოსამართლე“ ბ.ქ.) კომპეტენცია განისაზღვრება უფრო წვრილმანი საქმეების გარჩევით, ანუ „არ წარმოადგენენ დიდ და რთულ საქმეებს“.

კონსტანტინე მიქელაძე ამბობს: „ამ სასამართლოს დანიშნულებას, მაშასადამე, ის შეადგენს, რომ სასწრაფოთ იქნენ დაკმაყოფილებულნი ადგილობრივი მცხოვრებლების და სახელმწიფოს წვრილმანი ინტერესები უფლების დაცვის მხრივ, ასეთი სასამართლოს არსებობას ყოველ პირობებში აქვს მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ხალხის უფლებაშეგნება დაბალ საფეხურზე დგას“.[5]

კონსტანტინე მიქელაძე პრიორიტეტს კოლეგიალური სასამართლოს თავისებურებებს ანიჭებს და, როგორც ნაშრომიდან ჩანს, მის განსაკუთრებულ როლს აღიარებს.

იურისტის აზრით, სახელმწიფოს ინტერესებში შედის არამარტო ერთპიროვნული სასამართლოს, არამედ კოლეგიალური სასამართლოს არსებობაც. კოლეგიალურ სასამართლოში, მიუთითებს მიქელაძე, საქმეთა გარჩევა მეტად ჭიანურდება, მაგრამ მას, ამავე დროს, ისეთი ღირსებები გააჩნია, რომ ყოველ „შეუმჩნეველ და წვრილმან ნაკლოვანებებს“ მნიშვნელობა ეკარგება. კოლეგიალურ სასამართლოში საქმის განხილვის დროს შესაძლებელი ხდება სასამართლოს კოლეგიის წევრთა შეხედულებების გაზიარება, ჰარმონიზაცია. იურისტის აზრით, კოლეგიალური სასამართლო უზრუნველყოფს საქმის ყოველმხრივ გარჩევას და შედარებით სამართლიანი დადგენილების გამოტანას, ვიდრე ეს შესაძლებელია ერთპიროვნულ სასამართლოში.

კოლეგიალური სასამართლოს უპირატესობას და დიდ ღირსებას კონსტანტინე მიქელაძე ადასტურებს ცნობილი ანდაზით: „ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი კი უკეთესი“. „ეს ანდაზა სრული სისწორით გამოხატავს კოლეგიალური სასამართლოს უპირატესობას“ აღნიშნავდა იურისტი.

კოლეგიალური სასამართლოს მოღვაწეობა განისაზღვრება მეტად რთული და საპასუხისმგებლო საქმეების გარჩევით. კოლე-

5. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 50

გიალური სასამართლოს ფუნქციები, პრეროგატივა იმდენად ფართო მოცულობისაა, რომ ერთპიროვნული სასამართლოს ფუნქციებს ალემატება. კონსტანტინე მიქელაძის აზრით, „ერთპიროვნული ისე კოლეგიალური სასამართლოს კომპეტენცია ორგვარი საქმეებით განისაზღვრება. განსხვავება ამ მხრივ მყარდება იმაზე, ესა თუ ის საქმე კერძო უფლებას ეხება თუ საჯაროს“.

იურისტი კოლეგიალური სასამართლოს სტრუქტურას ყოფს ორ მთავარ განყოფილებად:

ა) სამოქალაქო სამართლის განყოფილება;

ბ) სისხლის სამართლის განყოფილება;

პირველი განიხილავს სამოქალაქო სამართალდარღვევებს, ხოლო მეორე განყოფილება კი სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ კონსტანტინე მიქელაძე ერთპიროვნული სასამართლოს შესახებ მსჯელობის დროს გულისხმობდა „მომრიგებელ სასამართლოს“, რომელიც განიხილავდა მოსახლეობის „წვრილმან საქმეებს“ და „სისწრაფით დააკმაყოფილებდა“ მათ ინტერესებს.

რუსეთში მომრიგებელი მოსამართლის ინსტიტუტი 1864 წელს ჩატარებული სასამართლო რეფორმის შედეგად იქნა დამკვიდრებული. საქართველოში კი მომრიგებელი მოსამართლეები ინიშნებოდნენ (საქართველოში მომრიგებელ მოსამართლედ ხშირად ნიშნავდნენ სხვა ერის წარმომადგენელს - ბ.ქ.).

საქართველოს ეროვნულმა საბჭომ 1918 წლის 24 სექტემბერს მიიღო კანონი „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის შესახებ“.[6] კანონი საქართველოში მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუციონალურ რეფორმებს იოვალისწინებდა. თუ უფრო ადრე მომრიგებელ მოსამართლედ სხვა ერის წარმომადგენელი ინიშნებოდა, ამ კანონით აღნიშნულ თანამდებობაზე აირჩეოდა მხოლოდ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე.

მომრიგებელ მოსამართლეთა თანამდებობა დაწესებულ იქნა

---

6. ამ კანონის მიღება არ ნიშნავს იმას, რომ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი საქართველოში პირველად 1918 წელს შემოიღეს. რასაკვირველია, ჩვენს ქვეყანაში ის დიდი ხნით ადრე ჩამოყალიბდა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

როგორც ქალაქებში, ისე მაზრებში (ოლქებში). საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდა რამდენიმე მაზრის ერთ სამომრიგებლო ოლქად გაერთიანება. თუმცა არსებობდა თბილისის დამოუკიდებელი სამომრიგებლო ოლქი. სამომრიგებლო ოლქები იყოფოდა სამომრიგებლო უბნებად, რომელთა რაოდენობა კანონმდებლობით უნდა განსაზღვრულიყო. სამომრიგებლო უბანს განაგებდა უბნის მომრიგებელი მოსამართლე. სამომრიგებლო ოლქებში გათვალისწინებული იყო საპატიო მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა.

უმაღლეს სამომრიგებლო ინსტანციას წარმოადგენდა მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა, რომელსაც ჰყავდა თავმჯდომარე. მოსამართლეთა ყრილობა შედგებოდა საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლეებისაგან. მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობა არსებობდა ყოველ სამომრიგებლო ოლქში, მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარეს სამი წლის ვადით თავიანთი შემადგენლობიდან ირჩევდნენ სამომრიგებლო ოლქის საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლეები.

ქალაქ თბილისის საუბნო და საპატიო მომრიგებელი მოსამართლე აირჩეოდა ქალაქის საბჭოს, ხოლო დანარჩენ სამომრიგებლო ოლქებში, მაზრის (ოლქის) საერობო კრების მიერ.

საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ აირჩეოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც მიღებული ჰქონდა უმაღლესი ან საშუალო განათლება, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში კანონი აწესებდა გამონაკლისს, რომლის თანახმად, მოქალაქე აირჩეოდა აღნიშნულ თანამდებობაზე საშუალო და უმაღლესი განათლების გარეშე. მოსამართლეს უნდა სცოდნოდა ქართული (სახელმწიფო) ენა. სხვა ენის ცოდნა სავალდებულო არ იყო.

საუბნო და საპატიო მომრიგებელ მოსამართლედ არ აირჩევდნენ პირს, რომელიც პასუხისგებაში იყო მიცემული ან მის მიმართ სასამართლოს მიერ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არსებობდა და ასევე იმას, ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებით სამსახურიდან იყო დათხოვნილი, ან ვერ შემძლე მოვალედ იყო გამოცხადებული და ან მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა მფლანგველობისათვის.

არჩევნების გასაჩივრება შეიძლებოდა არჩევნების შემდეგ ორი კვირის განმავლობაში. საჩივარს ჯერ ღებულობდა მაზრის საერობო კრების ან ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, რომელიც შემდეგ ამ საჩივარს თავისი დასკვნითურთ უგზავნიდა უმაღლეს სასამართლოს. მომრიგებელი მოსამართლის სრულად დათხოვნა თანამდებობიდან მისი თხოვნის თანახმად ან ორ თვეზე მეტი ვადით დროებით სამსახურიდან გათავისუფლება უმაღლეს სასამართლოს (სენატს) ექვემდებარებოდა, მაგრამ მის დაარსებამდე იუსტიციის მინისტრს.[7] მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარის დროებით სამსახურიდან (თანამდებობიდან) გათავისუფლება დამოკიდებული იყო იუისტიციის მინისტრზე.

მომრიგებელ მოსამართლეს ექვემდებარებოდა სისხლის და სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოება. გაუქმდა სოფლის სასამართლოები და მათ ხელთ არსებული საქმეები გადაეცა მომრიგებელ მოსამართლეს.[8]

მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტს კონსტანტინე მიქელაძე საკმაოდ დადებითად აფასებს. მისი პოზიტიური დამოკიდებულება სასამართლო სისტემის ამ ფორმისათვის გვაფიქრებინებს იმას, რომ მისი სურვილი იყო 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში საკონსტიტუციო კომისიას გაეთვალისწინებინა „მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი“. თუმცა ძირითადმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა „მუდმივ სასამართლოებს“, რომლებიც სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავდნენ.

---

7. საქართველოს სენატი შეიქმნა 1919 წლის 7 ოქტომბერს, ხოლო მომრიგებელ მოსამართლეთა კანონი 1918 წლის 24 სექტემბერს იქნა მიღებული.

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 295, ფურცელი 46-48.

თავი ოცდამეხუთე

კონსტანტინე მიქელაძე და ადმინისტრაციული იუსტიცია

1918-1921 წლების დემოკრატიული საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნება თანმიმდევრულად ყალიბდებოდა. ქართული ეროვნული სულისკვეთების მოღუნებული მაჯისცემა გამოცოცხლდა და თავისი მქუხარე ხმა მოწინავე ხალხების სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ცხოველმყოფელობას მიაწვდინა. არქაული მენტალიტეტისა და ცარიზმის მიერ დამკვიდრებული გაუკუღმართებული სტერეოტიპების მსხვრევის პარალელურად პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ ფაზაში შედიოდა. მთავარი იყო ძირითადი აქტის - კონსტიტუციის შექმნა და რატიფიკაცია. მის მიღებას სამწლიანი ენებათაღელვა უძღოდა წინ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს, დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის აქტიურმა მუშაობამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო. ქართულად მოაზროვნე პოლიტიკოსები თუ საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც შედიოდნენ აღნიშნულ სტრუქტურებში, განსაკუთრებით ითვალისწინებდნენ ეროვნულ ტრადიციებს, წესჩვეულებებს, ნაციონალურ ყოფიერებას, პოლიტიკურ-სამართლებრივ გამოცდილებას. ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას ისინი ეროვნულ იდეალებზე აფუძნებდნენ. ადგილი არ ჰქონდა სხვა ქვეყნების მიერ დამკვიდრებული პრინციპების გადმოღებასა და ეროვნულობის გაუთვალისწინებლობას. მათ მოქმედების მთავარ პრინციპად აღიარეს დიდი ილიას გაფრთხილება: „საქართველოს სამომავლო განვითარება არ შეიძლება „უცხო ბაძით“ და სხვა ქვეყნების გამოცდილების მექანიკური გადმოღებით წარიმართოს. „უცხო ბაძით“, თეორიებითა და იდეებით აშენებული ქვეყანა ბოლოს ხუხულასავით თავზე დაგვენგრევა“.[1]

1. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2002 წელი, 19 იულისი.

* * *

ბევრჯერ გვითქვამს, რომ სახელმწიფოებრივი სისტემა რთული მოვლენაა, რომელიც არსებობს პოლიტიკური პროცესების ნიადაგზე. „უფლების დაცვის“ უზრუნველსაყოფად სახელმწიფო საჭიროებს სხვადასხვა მექანიზმებს. ყველა დარგში ხდება კანონდარღვევები, მოვლენათა უგულვებელყოფა. განსაკუთრებით მმართველობის სფეროში, რაც წარმოშობს ადმინისტრაციული საქმეების აღძვრას და სამართალდამრღვევის მიმართ სახდელების დაწესებას. უმრავლეს ქვეყნებში ამ ურთიერთობაზე არეგულირებს ადმინისტრაციული სასამართლოები, როგორც მართლმსაჯულების სპეციფიკური ორგანოები და საერთო იურისდიქციის სასამართლოები.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის ჩამოყალიბების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მუდმივი და დროებითი სასამართლოების შემოღების აუცილებლობას. ამათგან განსხვავდება სპეციალური მართლმსაჯულების ორგანოები. 1921 წლის ძირითადი კანონის 77-ე მუხლმა განსაზღვრა მუდმივი სასამართლოების არსებობა და მათ დამოუკიდებლად მიანიჭა ადმინისტრაციული საქმეების გარჩევის უფლებამოსილება. კონსტიტუციამ გვერდი აუარა დროებით სასამართლოებს.

საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის 1919 წლის 8 იანვრის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა სასამართლო ხელისუფლებას, გიორგი ნანეიშვილი[2] მოითხოვდა „სასამართლოს“ შესახებ დებულებაში გათვალისწინებული ყოფილიყო „დროებითი სასამართლოს ინსტიტუტი“.[3]

როგორც ვხედავთ, ფუნქციონირების ხანგრძლივობის მიხედვით, არსებობს მუდმივი და დროებითი სასამართლოები.

მუდმივია მართლმსაჯულების ორგანო, რომლის არსებობის ვადა არ არის განსაზღვრული. ის განიხილავს საერთო იურისდიქციასთან დაკავშირებულ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს.

დროებითი სასამართლოები გარკვეული დროის მანძილზე მოქმედებენ. ისინი სპეციფიკურ საკითხებს განიხილავს.

სპეციფიკური იურისდიქციის სასამართლოების ფუნქციონ-



გიორგი ნანეიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორი.

ირება არ არის დაკავშირებული გარკვეულ ვადებთან. მათი პრეროგატივაა განსაზღვრულ სფეროში არსებული სამართალდარღვევების გარჩევა. მაგალითად, ადმინისტრაციული, სამხედრო და ა.შ. სასამართლოები.

საქართველოს 1921 და 1995 წლების კონსტიტუციები მართლმსაჯულების სისტემაში ამკვიდრებენ მხოლოდ საერთო ანუ მუდმივი სასამართლოების ორგანიზაციას.

კონსტანტინე მიქელაძე ცნობს ადმინისტრაციული სასამართლოს ინსტიტუტს. ამ უკანასკნელს არსებობის მრავალწლიანი ისტორია გააჩნია. იგი ქართული დემოკრატიული აზროვნების ნაყოფი არ არის. ადმინისტრაციული იუსტიცია, როგორც სასამართლო ხელისუფლების ნაწილი, დაღებით როლს თამაშობს ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. ეს დასტურდება იმ ქვეყნების გამოცდილებით, სადაც ფუნქ-

---

2. გიორგი ნანეიშვილმა საშუალო განათლება ქუთაისში მიიღო და სწავლის გასაგრძელებლად 1911 წელს პეტერბურგს გაემგზავრა. მეცნიერებმა ლეო პეტრაჟიცკიმ და ტუგანბარანოვსკიმ შესამჩნევი როლი შეასრულეს ნანეიშვილის, როგორც ახალგაზრდა სტუდენტის კლასიკური მენტალიტეტის ჩამოყალიბებაში. 1919 წელს გ. ნანეიშვილი სამშობლოში დაბრუნდა და ახლადდაარსებული უნივერსიტეტის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანა. იგი მოღვაწეობას შეუდგა იმ უნივერსიტეტში, რომელიც მაშინ სამართლის სპეციალისტთა აშკარა ნაკლებობას განიცდიდა. შემდეგში ნანეიშვილმა რამდენჯერმე უარი შეუთვალა პეტრაჟიცკის, რომელიც უკვე ემიგრაციაში იყო და ვარშავის უნივერსიტეტიდან სთხოვდა მასთან სამუშაოდ ჩასვლას. გიორგი ნანეიშვილმა კი, ეროვნული პრინციპების დაცვის გამო, დათმო ყოველგვარი პრივილეგია და მეცნიერების აღმავლობისათვის თავისი ერის უანგარო სამსახურში ჩადგა. აღსანიშნავია ისიც, რომ იგი ერთ-ერთი ავტორი გახლდათ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა. 1919 წელს გიორგი ნანეიშვილი ივანე ჯავახიშვილის მიწვევით სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში მიავლინეს. იგი ფრაიბურგში ისმენდა ფილოსოფიის კურსს ცნობილი მეცნიერის ედმუნდ ჰუსერლის ხელმძღვანელობით. ეწყობოდა სამართლის სხვადასხვა დარგს. იგი ავტორია უამრავი ნაშრომისა. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფსიქოლოგიური თეორიის ემოციონალურ-აპრიორული საფუძვლები", „ხალხის ცნება ბურჟუაზიული სამართლის ფილოსოფიაში", „სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა" და სხვა. გიორგი ნანეიშვილი 1937 წელს დააპატიმრეს, რის შემდეგაც თვალით აღარაფის უნახავს. მან თავისი ხანმოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი მოღვაწეობა, ეროვნული პედაგოგიკის, მეცნიერების განვითარების კეთილშობილურ საქმეს შეალია. - ჯ. ჯანია, ქართველი იურისტები. თბილისი.

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 2.

ციონირებს აღნიშნული სპეციალური იურისდიქციის ორგანოები.

„იუსტიცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამართლიანობას, მართლმსაჯულებასა და სასამართლო დაწესებულებათა სისტემას.[4]

ადმინისტრაციული იუსტიცია კი გულისხმობს ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლო გადაწყვეტას.

1918-1921 წლების დემოკრატიულ საქართველოში მიიჩნევდნენ, რომ უფლების დასაცავად საჭიროა არსებობდეს გარანტია და ერთ-ერთი ასეთ გარანტს წარმოადგენს ადმინისტრაციული იუსტიცია, რომელსაც მეცნიერებაში განსაზღვრავენ, როგორც ისეთ სასამართლოს, რომელიც აუქმებს ადმინისტრაციული ხელისუფლების უკანონო განკარგულებებს. ფრანგი და გერმანელი სახელმწიფოსმცოდნენი, თითქმის ყველანი იმ თეორიის მომხრენი არიან, რომ ადმინისტრაციული სასამართლოები მოწოდებულია ყოველივე ხელისუფლების უკანონო მოქმედების და განკარგულების გასაუქმებლად და უფლებრივი წონასწორობის აღსადგენად.[5]

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კონსტანტინე მიქელაძე აბსოლუტურად რადიკალურია. კონსტანტინე მიქელაძე განმარტავს, რომ „სახელმწიფოში მთავრობის ან ადმინისტრაციული ორგანოების არაკანონიერი მოქმედების შესახებ აღძრული საქმეების განსახილველად და გასარჩევად არსებობს ადმინისტრაციული იუსტიცია“.[6]

იურისტი მიუთითებს პროფესორ გ. რადბრუხის 1915 წელს გამოცემულ ნაშრომზე. პროფესორი აღნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული სასამართლო არსებობს იქ, სადაც სახელმწიფო ცხოვრებაში განმტკიცებულია ის დებულება, რომ ჩვეულებრივ სასამართლოს არ აქვს უფლება ჩაერიოს ადმინისტრაციის მოქმედებაში, როდესაც უკანასკნელი უკანონობის გზას დაადგა. რადბრუხი სამართლიანად მიუთითებდა, რომ „სამოქალაქო მსაჯულს“ არ აქვს ადმინისტრაციული იუსტიციისათვის საჭირო გამოცდილება და სათანადო ცოდნა იმისათვის, რომ საკმაოდ გაანალიზოს ადმინისტრაციული განკარგულების ფაქტობრივი საფუძვლები.

---

4. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, მ. ჭაბაშვილი, 1989 წელი, გვ. 207.

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 182, ფურცელი 32.

6. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 49-50.

ადმინისტრაციული იუსტიციის უმთავრესი დანიშნულება მმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების უკანონო ქმედებათა შესახებ საქმის გადაწყვეტის უფლებით განისაზღვრება. თანამედროვე საქართველოს სასამართლო სისტემაში გათვალისწინებული არ არის ეს სტრუქტურა.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვალერიან ლორია მიუთითებს, რომ საქართველოში ადმინისტრაციული სასამართლოების სისტემის შემოღებით ა) ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება მმართველობის ორგანოებისაგან გამოცალკევებულ, სპეციალურ ნეიტრალურ ორგანოში - ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული მოსამართლის მიერ; ბ) ადმინისტრაციული სასამართლო შეამოწმებს მმართველობის ორგანოს და მის თანამდებობის პირს, განახორციელებს კონტროლს მხოლოდ იმ ადმინისტრაციული საქმის გამო და იმ საქმესთან დაკავშირებით, რომელიც მის წარმოებაშია; გ) ადმინისტრაციულ სასამართლოში საქმის წარმოება განხორციელდება ადმინისტრაციულ-პროცესუალურ ფორმებში, რომელიც უზრუნველყოფს ოპერატიულობას, სისწრაფეს, სიმარტივეს, ობიექტურ ჭეშმარიტებას და კანონიერებას. ადმინისტრაციული სასამართლოები უნდა შეიქმნას როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე რაიონებსა და ქალაქის ადმინისტრაციული სასამართლოების სახით, რომელთაც საკასაციო ინსტანციად ეყოლებათ საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციული პალატა.[7]

ადმინისტრაციულ საქმეთა განხილვის დროს ერთ-ერთი მხარე შეიძლება იყოს მოქალაქე, ასევე მმართველობის ორგანო და თანამდებობის პირი. მეორე მხარე ადმინისტრაციული სასამართლოა. მათ შორის მყარდება საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.[8]

საქართველოში დღეს ადმინისტრაციული იუსტიციის ნაცვლად ადმინისტრაციულ საქმეებს განიხილავენ საქართველოში არსებული საერთო სასამართლოების ცალკეული მოსამართლეები, კოლეგიები, პალატები.

ჩვენს ქვეყანაში ადმინისტრაციული სასამართლოები უნდა ჩამოყალიბდეს. ამას დემოკრატიული საზოგადოების ინტერესები მოითხოვს.

---

7. ვ. ლორია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, 2000 წელი, გვ. 370.

ადმინისტრაციული სასამართლოების ფორმირება უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ საქმეთა კვალიფიციურ გადაწყვეტას ავტორიტეტული სპეციალური ორგანოების მიერ, რომლებიც არ ექვემდებარება ადმინისტრაციულ ორგანოებს და ამდენად, მათგან რაიმე ზეწოლასაც არ ექნება ადგილი. გარდა ამისა, ასეთი სასამართლოების შექმნა განტვირთავს საერთო სასამართლოებს მრავალრიცხოვან ადმინისტრაციულ საქმეთაგან, რაც ეფექტიანს გახდის საერთოდ მართლმსაჯულებას ქვეყანაში. და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, ადმინისტრაციული სასამართლოები წარმატებით უზრუნველყოფენ ადამიანთა უფლებების დაცვას ადმინისტრაციულ ორგანოთა და თანამდებობის პირთა უკანონო მოქმედებებისაგან.[9]

კონსტანტინე მიქელაძე ადმინისტრაციულ იუსტიციას უარყოფითად აფასებს. იურისტის აზრით, ადმინისტრაციული იუსტიცია უარყოფს საერთო უფლებების ბატონობას, მოქალაქეთა და მოხელეთა (თანამდებობის პირთა) კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობას. ადმინისტრაციული სასამართლო, მიქელაძის მითითებით, იწვევს ადმინისტრაციული აგენტების პრივილეგიური მდგომარეობის განმტკიცებას, იგი ხელს ვერ შეუწყობს ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას, უფლების დაცვას, ადმინისტრაციული სასამართლო მიკერძოების ტენდენციას გამოავლენს.

კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრება, რა თქმა უნდა, სუბიექტურია, თუმცა, ჩვენი აზრით, მცდარია. მან ვერ გაითვალისწინა ის

---

8. საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის გახლავთ, რომ ამ ურთიერთობაში ერთ-ერთი მხარე ყოველთვის სახელმწიფო ორგანოა. ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საპროცესო ურთიერთობები საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობებია. ამიტომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობას ზოგიერთი იურისტი არ თვლის საჯარო-სამართლებრივ ურთიერთობად. ეს მოსაზრება ჩვენ ალოგიკურად მიგვაჩნია. თუ ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის პროცესის დროს ერთ-ერთი მხარე სახელმწიფო ორგანოა, მაშინ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობის დროს სამოქალაქო დავა განიხილება ასევე სახელმწიფო ორგანოს - სასამართლოს მიერ. გამოდის, რომ სამოქალაქო საპროცესო ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობაა. რასაკვირველია, სამოქალაქო მატერიალური ურთიერთობა ყოველთვის კერძო ხასიათის ურთიერთობას მოიცავს, ვინაიდან, ამ ურთიერთობაში მხოლოდ კერძო პირები მონაწილეობენ. მაგ. ვერის დავის წარმოშობის, ე.ი. მატერიალური ნორმის დარღვევის შემდეგ სასამართლოში იწყება სამოქალაქო საპროცესო ანუ იგივე საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.

9. ჟურნ. „სამართალი", 2000 წელი, №10. 11. 12. გვ. 78.

დადებითი მხარეები, რაც ამ ორგანოსათვის არის სპეციფიკური.

იურისტის ნეგატიური დამოკიდებულება ადმინისტრაციული სასამართლოსადმი განაპირობა მის მიერ აღმასრულებელ ორგანოებზე სასამართლო კონტროლის შემოღების სურვილმა.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 83-ე მუხლის ამკრძალავი ნორმის თანახმად, საგანგებო ან სპეციალური სასამართლოების შექმნა დაუშვებელია. ძირითადი კანონის ეს მუხლი შეუსაბამოა ამავე კონსტიტუციის ზოგიერთ მუხლებთან.

მაგალითად, 88-ე მუხლში დეკლარირებული „საკონსტიტუციო სასამართლო" რა არის, თუ არა „სპეციალური სასამართლო"? იგი ხომ სპეციალური დაწესებულებაა, რომელიც ემსახურება მხოლოდ კონსტიტუციის უზენაესობას და ასევე იმავე 83-ე მუხლის მესამე ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს განსაზღვრულ პირობებში სამხედრო სასამართლოს შექმნას. სამხედრო სასამართლოებიც ხომ მართლმსაჯულების სპეციალური ორგანოებია?

მიუხედავად კონსტიტუციის ამკრძალავი ნორმისა, საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს ორგანული კანონი ადმინისტრაციული სასამართლოების შესახებ. კანონპროექტი უნდა შექმნას პროფესიონალი იურისტებისაგან შემდგარმა კომისიამ. შესაბამისად შესწორება უნდა შევიდეს საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 83-ე მუხლის მეოთხე ქვეპუნქტში, რომელიც კრძალავს სპეციალური სასამართლოების დაარსებას.

ეს კი, რასაკვირველია, ჩაითვლება ადამიანის უფლების დაცვისაკენ გადადგმულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან დემოკრატიულ ნაბიჯად. კონსტიტუციაში მუხლის შეცვლა ან დამატება, ადამიანის უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, როგორც იურისტებს მიაჩნიათ, გამართლებული და მიზანშეწონილია.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ითვალისწინებდა ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის შესაძლებლობას. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ძირითადი კანონის 77-ე მუხლი, სადაც წერია: „სამოქალაქო, სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა საწარმოებლად არსებობს მუდმივი სასამართლოები".

* * *

კონსტანტინე მიქელაძე დემოკრატიულად აზროვნებს და ბევრ საკითხში ეხმიანება თანამედროვეობას. მან ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციულ იუსტიციას, თუმცა საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის წინაშე მის დანიშნულებას უარყოფითად აფასებდა. იგი, რასაკვირველია, არ გამორიცხავდა მმართველობით სისტემაში კანონდარღვევებს, მაგრამ ამ სფეროში სამართალწარმოებისათვის დამოუკიდებელი (სპეციალური) სასამართლოების შემოღებას მკაცრად აკრიტიკებდა.

თავი ოცდამეექვსე

კონსტანტინე მიქელაძე და ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი

კონსტანტინე მიქელაძე სასამართლო ხელისუფლების მრავალმხრივ საკითხებსა და პრობლემებს განიხილავს. მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტს და უმაღლესი სასამართლოს სტრუქტურას. ვიდრე ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოსთან დაკავშირებულ იურისტისეულ კონცეფციას გავეცნობოდეთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია ორიოდე სიტყვით მოგახსენოთ სასამართლო ინსტანციის (სისტემის) შესახებ მისი შეხედულებები.

კონსტანტინე მიქელაძე ავითარებს მოსაზრებას, რომ კასაციურ სასამართლოს (იგულისხმება უმაღლესი სასამართლო - ბ.ქ.) უნდა ჰქონდეს პირველი და მეორე ინსტანცია. ამის აუცილებლობას იურისტი იმით ხსნის, რომ პირველი ინსტანციის მიერ დაშვებული ნებისმიერი შეცდომა კორექტირებულ იქნეს მეორე ინსტანციის მიერ. იგი კასაციურ სასამართლოში ორი ინსტანციის არსებობას პოზიტიურად უდგება და აღნიშნავს: „მხოლოდ ასეთი წესით განმტკიცდება სასამართლოს სიძლიერე და მისი დანიშნულების სავსებით აღსრულების შესაძლებლობა და მასთან ერთად დაცული იქნება ის, რომ თითოეული მოქალაქის უფლება და სახელმწიფოებრივი ინტერესები უზრუნველყოფილნი იქნებიან ყოველგვარი შეცდომისაგან“.[1] იურისტის აზრით, კარგი იქნებოდა ერთპიროვნულ სასამართლოსაც ჰქონოდა მეორე ინსტანცია „სასამართლოს საქმეების საღი წარმოებისათვის“. აღნიშნული ინსტანცია, როგორც მიქელაძე განმარტავს, უნდა შედგებოდეს იმ სუბიექტებისაგან, რომლებიც სასამართლოში საქმეებს განიხილავენ ერთპიროვნულად. კონსტანტინე მიქელაძის თქმით, „თანამედროვე სახელმწიფოს პრაქტიკამ დაამტკიცა ორი ინსტანციის არსებობის საჭიროება, რომელიც სინჯავს საქმეებს ყოველ მხრივ“.[2] (თან-

1. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 50.
2. იქვე, გვ. 50.

ამედროვე კანონთა სისტემის თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატები, გარდა საზედამხედველო პალატისა, არიან საკასაციო ინსტანციის სასამართლოები, რომლებიც იხილავენ საკასაციო საჩივრებს რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებებზე. საოლქო სასამართლოში სააპელაციო წესით საქმე განიხილება პალატების, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლოებში პალატებისა და საგამოძიებო კოლეგიის მიერ).

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, უმაღლესი სასამართლოს (საკასაციო სასამართლო) პირველი და მეორე ინსტანციის შემადგენლობა სახელმწიფოს ტერიტორიის სივრცეზე და მცხოვრებთა საქმიანობაზე უნდა იყოს დამოკიდებული. პირველი ინსტანციის შემადგენლობა დაკავშირებული უნდა იქნეს სახელმწიფოს ადმინისტრაციულ დაყოფასთან ანუ სახელმწიფოს ნაწილების სხვადასხვაობასთან. იურისტის შეხედულებით, ტერიტორიის სიმცირე კი უარყოფს ერთზე მეტი სააპელაციო ინსტანციის არსებობის აუცილებლობას, თუ ტერიტორიის თითოეული კომპონენტი იმდენად არ არის ცენტრიდან გათიშული, რომ აძნელებდეს ხალხის ამ ინსტანციასთან დაახლოებას.

იურისტი ერთადერთ „უმაღლეს სასამართლოს" იცნობს, რომელიც, მისი აზრით, „ემყარება კანონების ერთსახოვან განმარტებას და მთლიანად საკასაციო პრაქტიკის ინტერესებს".[3] იგი ხაზს უსვამს საკასაციო სასამართლოს არსებობის აუცილებლობას, განსაზღვრავს მის საწყის დანიშნულებას. მიქელაძის შეხედულებით, საკასაციო სასამართლოს უფლებამოსილება უნდა განისაზღვრებოდეს ჩვეულებრივი კანონების კონტროლით, თუ რამდენად შეესაბამებიან ისინი კონსტიტუციას (აქაც ჩანს, რომ კონსტანტინე მიქელაძე საკონსტიტუციო ზედამხედველობას უზენაეს სასამართლოს სენატს აკისრებდა - ბ.ქ.). იურისტის განმარტებით, საკასაციო სასამართლოს შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს პარლამენტის ერთი წევრი, რომელიც გააშუქებს ამა თუ იმ კანონის შინაარსს და სასამართლოს უჩვენებს თუ რა მიზანი ჰქონდა კანონმდებელს.

---

3. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 50.

* * *

ხალხის უფლებების უზრუნველყოფას მრავალი ორგანიზაცია ემსახურება.[4]

ანტიკურ ეპოქაში აღნიშნული ინსტიტუტი მტკიცედ იყო დამკვიდრებული. დიდი სოკრატე რამდენჯერმე იყო ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს წევრი, რომელსაც ჰელეია ეწოდებოდა.[5]

დემოკრატიულ საქართველოში ცივილიზებული ფასეულობებისა და პროგრესული აზროვნების შემოჭრამ განაპირობა ახალი, ქართული საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი ღირებულებების დამკვიდრება. სახელმწიფოებრიობამ და სამართლებრიობამ ცნობიერებამ, პოლიტიკურმა ცხოვრებამ განვითარების არნახული მასშტაბები შეიძინა. ამას ხელს უწყობდა ევროპულად განსწავლული ადამიანების მოღვაწეობა, რომლებიც განსხვავებულ, კლასიკურ აზრთწყობას აფუძნებდნენ.

ამ ცხოველმყოფელობამ წარმოშვა ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების აუცილებლობის გათვითცნობიერება.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი იესე ბარათაშვილი დაჟინებით მოითხოვდა, რომ კონსტიტუციაში ჩაეწერათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. იგი მიუთითებდა: „სასამართლო ხალხს უნდა იყოს დაახლოებული. სისხლის საქმეებში ხალხმა უნდა მიი-

---

4. დემოკრატიულ საზოგადოებაში ნებისმიერი სახელმწიფო თუ არასახელმწიფო დაწესებულება ზრუნავს უფლებების დასაცავად, მაგრამ უმრავლეს სახელმწიფოში მიმართავენ ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც უშუალოდ მხოლოდ ადამიანის უფლებების განმტკიცებას ემსახურებიან. მაგალითად, სასამართლოები, სახალხო დამცველი, ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი და ა.შ. აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია ორგანოები დავყოთ ორ ჯგუფად: ა) უშუალობითი და ბ) უშუალო ორგანოებად. „უშუალობითი ორგანო" მიღებისთანავე მოიცავს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დაწესებულებებს, სხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო დაწესებულებებს, რომლებიც სხვა ფუნქციებთან ერთად უზრუნველყოფენ ადამიანის უფლებებს. „უშუალო ორგანოები" (იგივე სპეციალური ორგანოები) მხოლოდ იმისთვისაა შექმნილი, რომ იზრუნონ მოქალაქეთა უფლებების დაცვაზე და აღკვეთონ მათ წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი უკანონო ქმედება (ბ.ქ.). მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტს, რომელიც ღიდითგან ადამიანის ინტერესების დამცველ მექანიზმად მოიაზრებოდა და ხშირად სასამართლოში „ხალხის წარმომადგენლობას" უწოდებდნენ.

5. ვ. ასმუსი, სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა, თბ. 1973 წელი, გვ. 13.

ღოს მონაწილეობა სასამართლოში ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტის სახით".[6] ანალოგიურად მსჯელობს კონსტანტინე მიქელაძე.

თანამედროვე საქართველოში განსაზღვრულია სამომავლო პერსპექტივა ნაფიც-მსაჯულთა შემოღების თაობაზე. ღღეს, როდესაც საუბარია ამ ინსტიტუტზე, პრიორიტეტულად მიგვაჩნია გავითვალისწინოთ ჩვენი წინაპრების მოსაზრება სასამართლო სისტემის ამ კომპონენტზე. მათი კონცეფცია მისაღებია.

აქვე მსურს მოვიყვანო საქართველოს მაშინდელი იუსტიციის მინისტრის ალექსანდრე მესხიშვილის სიტყვა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შესახებ (ძვირფას მკითხველს ბოდიშს ვუხდი ტექსტის მოცულობის გამო - ბ.ქ.). იგი მიუთითებდა: „ჩვენში ღღემდე სასამართლო ინსტანცია ბევრნაირად ვერ აკმაყოფილებდა ხალხს. მომრიგებელი მოსამართლენი მხოლოდ დაბა-ქალაქებში თუ იყვნენ, თორემ სოფლის მკვიდრთა საქმეებს სოფლის მოსამართლენი განაგებდნენ, რომელნიც ამ საქმისათვის სრულიად უვარგის შეუფერებელს ელემენტს წარმოადგენდნენ თუ იმიტომ რომ სათანადო ცოდნა-გამოცდილებას, მოწადებას სრულად მოკლებულნი იყვნენ და თუ იმიტომ, რომ ისინი მეტწილად სათანადო მორალურ სიმაღლემდე ვერ იღწვნენ. ოვით მომრიგებელი მოსამართლენი, კანონით დამოუკიდებელნი, ფაქტობრივად ჩვეულებრივი ტიპის ბიუროკრატები იყვნენ,რომელნიც ინიშნებოდნენ მთავრობისაგან და არა ირჩეოდნენ იმ ხალხის მიერ, რომელშიც იგი ტრიალებდა, რომლის მართლმსაჯულების ინტერესებს იგი იცავდა. ასეთი მსაჯული-ბიუროკრატი გარდა იმისა, რომ შორს იყო ხალხისაგან ტერიტორიულად, ხშირად ამ ხალხის ნდობასაც მოკლებული იყო, როგორც ისეთი პირი, რომელიც არა მისი ნება-სურვილით იყო მოწვეული მსაჯულად. და რაც უფრო საგულისხმოა, ასეთი მსაჯულნი ხელმისაწვდომი არ იყვნენ ხალხისთვის სხვა მხრივაც: მისთვის, როგორც ტომთა მეტწილად უცხოელთათვის, ქართველი ხალხის ენა, ზნე-ჩვეულება, ადათი, ჩვენი ცხოვრების პირობები და ინტერესები სრულიად უცხო იყო.

ნაფიც მსაჯულთა სამართალს ჩვეულებრივ ხალხის სამართალს, საზოგადოებრივი სვინდისის სამართალს უწოდებენ. ეს თქმა სწორი გამოხატულებაა სინამდვილისა. სამართალი, რომელსაც

---

6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 40.

არჩევენ ე.წ. ნაფიცი მსაჯულნი, უაღრესად ხალხურია. ამ სამართალში მონაწილეობენ ხალხის წარმომადგენელნი, ადგილობრივი მკვიდრნი, რომლებმაც კარგად იციან ზნე-ჩვეულებანი, ადათები, სოციალ-ეკონომიკური პირობები, პოლიტიკური და კულტურული ვითარება იმ წრის, სადაც თვით ისინი ტრიალებენ, რომელნიც საღის გონებითა და სამართლიანობის უზადო, უანგარო ინსტიქტებით ხელმძღვანელობენ და მსჯავრს დებენ ამა თუ იმ დანაშაულობას. აქ მსაჯულს ბრალდებულის მდგომარეობა, მისი ავ-კარგი, სულიერი ფსიქიკა, მისი უფლებრივი მსოფლმხედველობა კარგად ესმის და პირიქით, ბრალდებული მსაჯულისადმი თითქო ერთნაირ სულიერ ნათესაობას გრძნობს. მათ შორის უცხო, გაუგებარი არ არის რა. მათ საერთო ენა აქვთ. ხალხის შვილი მსჯავრს სდებს ხალხის შვილსვე. ეს ძირითადი დებულება მართლმსაჯულებისა, რათა ეს უკანასკნელნი სათანადო სიმაღლეზე დარჩეს, სრულიად დაცულია ნაფიც მსაჯულთა სამართლის ინსტიტუტში. ხოლო ნაფიც-მსაჯული, მეტწილად უბრალო მოქალაქეებს, მოკლებულნი სპეციალურ იურიდიულ განათლებას, არ ძალუძთ ჯეროვნად შეასრულონ მძიმე როლი მსაჯულისა, გაარკვიონ ზედმიწევნით იურიდიული მხარე მათ ქვემდებარე საქმეთა, მივიდნენ პროცესთან სათანადო მეცნიერულის ანალიზით, თუ მათ არ ეყოლათ პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებული იურისტი, რომელიც ხელმძღვანელობს მათ ასეთ დროს და მართლაც, რუსული კანონებით, იმ პროცესში, რომელშიც ნაფიცი მსაჯულნი მონაწილეობენ, მთელ სასამართლო ტექნიკას, კვალიფიკაციის სასჯელთა და სხვა ისეთ საკითხებს, რომლებიც აუცილებლად გულისხმობენ იურიდიული მეცნიერების და პრაქტიკის საფუძველთა ნაცნობობას, უძღვება არა ნაფიცი, არამედ პროფესიონალი მსაჯული, სათანადო განათლების ცენზის მქონე მუდმივი წევრი მაგისტრატურისა.

ეს ორი ელემენტი, ერთად მოქმედი, ერთად შედუღებული, მშვენიერად ავსებს ერთი მეორეს. რაც აკლია ერთს, იმას იძლევა მეორე. ამიტომაც ამას, რომ ნაფიც მსაჯულთა სამართალი დღემდე მიჩნეულია ერთ მნიშვნელოვან ფორმით სისხლის სამართლისა, რომელიც იცის კულტურულმა კაცობრიობამ.[7]

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 14.

კონსტანტინე მიქელაძე მიზანშეწონილად არ თვლიდა, რომ ნაფიც მსაჯულებს მონაწილეობა მიეღო სამოქალაქო საქმეების გარჩევაში. ამის საფუძვლად იგი ცხოვრებისა და მეცნიერების განვითარების დაბალ საფეხურს მიიჩნევდა. იურისტის ეს შეხედულება პირდაპირ აისახა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 81 მუხლში: „მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“.

იურისტი პირდაპირ მიუთითებს, რომ „სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როდესაც სასამართლო არჩევს სისხლის სამართლის საქმეებს, მაგრამ ყველას კი არა, არამედ რთულს და მძიმეს (მიაქციეთ ყურადღება იურისტის მიერ აღნიშნულ („ყველას კი არა, არამედ რთულს და მძიმეს“) და კონსტიტუციის ზემოთ მოყვანილ (მუხლი 81) ნორმას („მძიმე სისხლის სამართალს“) შორის ანალოგიას - ბ.ქ.). ამ შემთხვევაში ხალხის წარმომადგენლების მხრივ სასამართლოში მონაწილეობის მიღების საჭიროება ცხოვრებამ დაამტკიცა. მაშასადამე, სისხლის სამართლის განყოფილება აღნიშნულ საქმეთა გასარჩევად და მათ შესახებ განჩინების გამოსატანად შედგება პროფესიონალი მსაჯულების და ხალხის წარმომადგენლებისაგან: ხოლო მათი კომპეტენცია ერთმანეთისაგან განირჩევა. ხალხის წარმომადგენლებს, ე.ი. ნაფიც მსაჯულებს, საქმის არსებითად გარჩევის შემდეგ გამოაქვთ განჩინება ამა თუ იმ პირის დანაშაულობის შესახებ, პროფესიონალ მსაჯულებს კი - განჩინება სასჯელის შესახებ ამა თუ იმ პირის დამტკიცებულ დანაშაულობის გამო.

„ამ საკითხზე შეჩერება, თუ რამდენად საჭიროა ამგვარი იუსტიციის არსებობა, ზედმეტია, ვინაიდან, თითოეული სახელმწიფოს სასამართლოს პრაქტიკა, სადაც კი ეს ინსტიტუტი შემოღებული არის, გვიმტკიცებს, რომ ნაფიც-მსაჯულთა მოღვაწეობას დიდი სარგებლობა აქვს სახელმწიფოსთვის სამართლიანობის პრინციპის დაცვის სფეროში საქმის ყოველმხრივ გამორკვევით და განსჯით. აქ საჭიროდ ვთვლით, აღვნიშნოთ, რომ საქმის გარჩევაში ხალხური ელემენტების მხრივ მონაწილეობის მიღებით კანონმდებელს ეძლევა საშუალება გაეცნოს საზოგადოების, ხალხის მოთხოვნილებას, შეხედულებას, ზნე-ჩვეულებას და უფლებრივ შეგნებას

იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ კანონის შემუშავებაში იხელმძღვანელოს დამუშავებული მასალით".[8]

ეფიქრობ, რომ ყოველივე აღნიშნული კომენტარს არ საჭიროებს.

როდესაც საქართველო ცარიზმის კოლონიას წარმოადგენდა, რუსეთის მთავრობა აბრკოლებდა აღნიშნული ინსტიტუტის შემოღებას ჩვენში. ისინი სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არსებობის არაეფექტურობაზე. ნაადრევად და შეუფერებლად მიაჩნდათ შემდეგი „გარემოებების" გამო: ქართველთა „უკულტურობა", „განსხვავებული, პრიმიტიული წარმოდგენები" დანაშაულობებზე და სხვა.

ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო რუსეთში პირველად 1864 წლის 20 ნოემბრის კანონით იქნა შემოღებული.

დემოკრატიული საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 17 იანვარს მიიღო კანონი „ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღების შესახებ".

კანონის პირველ პუნქტში ნათქვამია:

„შემოღებულ იქნეს ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო თანახმად იმ საფუძველთა, რომელიც დადგენილია სასამართლო დაწესებულების ღებულებათა დროებითი მთავრობის 1917 წლის სექტემბრის 21-ის რედაქციით და სისხლის სამართლის წყაროების წესდებით, იმ ცვლილებებითა და დამატებებით, რომელიც აღნიშნულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულებაში".[9]

კანონს ხელს აწერს პარლამენტის თავმჯდომარე ე. თაყაიშვილი და მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ნაფიცი მსაჯული უნდა ყოფილიყო ორივე სქესის წარმომადგენლებისაგან, ის, ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს წარმოადგენდა, იცოდა ქართული ენა და რომელიმე სხვა ენაზე წერა-კითხვა, პირი 25 წლის ასაკიდან და რომელიც ერთი წელიწადი ცხოვრობდა იმ ქალაქსა თუ მაზრაში, სადაც ნაფიც-მსაჯულად ირჩევენ.

ნაფიც-მსაჯულად ყოფნის უფლება არ ჰქონდა შემდეგი კატეგორიის პირებს: ვინც დანაშაულის ჩადენის გამო პასუხისმგე-

8. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 51.

9. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 44.

ბლობაში იყო მიცემული და ასევე პირს, რომელიც სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელს იხდიდა პენიტენციალურ სისტემაში, ვინც სასამართლოს განაჩენით სამსახურიდან იყო დათხოვნილი, ვერშემძლე მოვალედ იყო გამოცხადებული, ასევე პირი, რომელიც ფლანგველობის გამო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილი იყო. ნაფიც მსაჯულად ყოფნის უფლება არ ჰქონდა მღვდელს, ბერ-მონაზონს, სასამართლო დაწესებულებათა წევრს, ამ დაწესებულებათა კანცელარიის მაღალს მოხელესა და სასამართლო ბოქაულს.[10]

როგორც გავარკვიეთ, დემოკრატიულ საქართველოში ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტს უფლების დამცავ მექანიზმებს შორის პრიორიტეტული ადგილი ეკავა. კონსტანტინე მიქელაძე იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, რომლებიც მოითხოვდნენ კონსტიტუციაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დადასტურებას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 81 მუხლი აღიარებს: „მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე პოლიტიკური და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“.

თანამედროვე საქართველოს პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრება მოითხოვს მიღებულ იქნეს სპეციალური კანონი ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს შესახებ.

10. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 282, ფურცელი 45.

ნაწილი მეშვიდე

თავი ოცდამეშვიდე

კონსტანტინე მიქელაძე და აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობა საერთო სახელმწიფოებრივ სისტემაში

ციურიხელი პოლიტიკოსი ზიბერი ამბობდა, რომ ჩვენ ხალხს სრულებით არ ვაღიარებთ ფეტიშად, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენა ისაა, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ბედნიერი, როდესაც მმართველობა სავსებით ემყარება ხალხს.[1]

აღმასრულებელი ხელისუფლება იგივე მმართველობაა. მმართველობა კი ფართო ცნებაა და გულისხმობს სახელმწიფოს აღმასრულებელ-განმკარგულებელ საქმიანობას. ხშირად მთავრობასა და აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთმანეთთან ურევენ. აღმასრულებელი ხელისუფლება უზოგადესია და მასში შედის მთავრობა, დეპარტამენტი, საქვეუწყებო დაწესებულება, გამგეობა, მერია, რწმუნებულის ინსტიტუტი და მმართველობის სხვა ორგანოები. აღმასრულებელი ხელისუფლება მხოლოდ მთავრობაზე არ დაიყვანება. ეს უკანასკნელი აღმასრულებელი ხელისუფლების კომპონენტია.

უმაღლეს მმართველობას ეხება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავი, რომელიც შედგენილია ცნობილი იურისტის, საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველი თავმჯდომარის, საქართველოს იუსტიციის მინისტრის რაჟდენ არსენიძის მიერ.[2]

აღნიშნული თავი ნაჩქარევად იქნა დამტკიცებული. მასზე ცვლილებებისა და შესწორებების შეტანა თითქმის ვერ მოასწრეს. იგი არ არის დაცული ხარვეზებისაგან, რომლის შესახებ გვექნება საუბარი.

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულებებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთავრობის ინსტიტუტს. ამავე დროს, იურისტი საკუთარ კონცეფციას აყალიბებს სახელმწიფო მმართველობის

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 860, ფურცელი 60.

2. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 289.

ისეთ ფორმაზე, როგორიცაა საპარლამენტო რესპუბლიკა. მან უარყო საპრეზიდენტო მმართველობა.

კონსტანტინე მიქელაძე საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 7 მაისის სხდომაზე ბრძანებდა, რომ საქართველოში უნდა შეიქმნას მყარი საპარლამენტო რესპუბლიკა. აქ იგი ერთმანეთს უკავშირებდა მთავრობისა და პარლამენტის მუშაობას. მისი აზრით, პარლამენტარული მთავრობა ძლიერია მაშინ, როდესაც ძლიერია თავად საკანონმდებლო ხელისუფლება, ვინაიდან, აღმასრულებელი ძალა ცხოვრებაში ატარებს იმას, რასაც კანონმდებელი ღებულობს აქტების სახით.[3]

როგორც ჩანს, კონსტანტინე მიქელაძესთან მთავრობის სტაბილურობასა და სიცოცხლისუნარიანობას ბევრად განსაზღვრავს მდგრადი და მოქნილი საპარლამენტო ხელისუფლების არსებობა. სახელმწიფოსა და სამართლის თეორიასა და კონსტიტუციურ (სახელმწიფო) სამართალში განასხვავებენ რესპუბლიკური მმართველობის ორ ფორმას: ა) საპარლამენტო რესპუბლიკას და ბ) საპრეზიდენტო რესპუბლიკას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ საქართველო საპარლამენტო რესპუბლიკად გამოაცხადა. სახელმწიფოს მართვის საპარლამენტო ფორმისათვის დამახასიათებელია საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ან კონსენსუსის საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) შექმნა, რომელიც პოლიტიკურად პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე. 1921 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, 1995 წლის კონსტიტუციამ სახელმწიფოს მართვის საპრეზიდენტო ფორმა შემოიღო. მართვის ასეთი ფორმისათვის დამახასიათებელია პრეზიდენტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სახელმწიფოს მეთაურის არჩევა პარლამენტისაგან დამოუკიდებლად, პარლამენტის წინაშე მისი მინიმალური პასუხისმგებლობა.[4]

1921 წლის კონსტიტუციის 52-ე მუხლი აფუძნებს საპარლამენტო რესპუბლიკას. აქ ნათქვამია: „ხელმწიფება ეკუთვნის

---

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 234.

4. საქართველოს კონსტიტუცია, საფუძვლებისა და შინაარსის მიმოხილვა, 1997 წელი, გვ.6.

მოელს ერს. პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას".

საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის წევრები ორი ალტერნატიული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: უნდა მიეღოთ ან საპარლამენტო, ან საპრეზიდენტო მმართველობა. კონსტიტუციის პროექტზე მუშაობის პროცესში მწვავე პოლიტიკურ დისკუსიებსა და დებატებს ჰქონდა ადგილი. იყო დეპუტატთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც დაჟინებით მხარს უჭერდნენ პრეზიდენტის თანამდებობის შემოღებას (ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებითი დისკუსია გვექნება შემდგომ თავებში - ბ. ქ.), ხოლო ნაწილი კი უარყოფდა ამ წინადადებას და საპარლამენტო რესპუბლიკას მიიჩნევდა მისაღებ ფორმად. კამათში მონაწილეობას ღებულობდა ფრაქციათა და პარტიათა წარმომადგენლობა. პატრიოტული იდეალებით გულანთებული მამულიშვილები სამშობლოს კეთილ მომავალზე ბჭობდნენ.

სასურველია შეეხოთ ნოე ჟორდანიას შეხედულებას პარლამენტარულ რესპუბლიკაზე. იგი ერთმანეთისაგან მიჯნავს ა) პარლამენტარულ რესპუბლიკას ბ) დემოკრატიული რესპუბლიკისაგან.

ნოე ჟორდანიას შეხედულებით, პარლამენტარული რესპუბლიკა იგივე პარლამენტარული მონარქიაა უმონარქოდ და პირიქით - პარლამენტარული მონარქია თავისი სტრუქტურის მიხედვით იგივე პარლამენტარული რესპუბლიკაა უპრეზიდენტოდ. დამახასიათებელი თვისება რესპუბლიკისა, ამბობს ჟორდანია, პრეზიდენტი კი არ არის და არც საყოველთაო საარჩევნო უფლება, არამედ პარლამენტარული რეჟიმი. ამრიგად, პარლამენტარული რესპუბლიკა გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ წყობილებას, როცა მთელი ძალაუფლება პარლამენტის ხელშია, რომელიც არ ითმენს არავითარ ცვლილებას, როგორც ადმინისტრაციის სფეროში, ისე სამმართველოს და საკანონმდებლო ორგანოებში თუ სათანადო ნებართვა და ბრძანება არ არის ცენტრიდან. ხალხმა თუ დეპუტატები ამოირჩია და პარლამენტში გაგზავნა, შემდეგ ხალხს არაფერს არ ჰკითხავენ, ის მართვა-გამგეობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს, ხოლო მისი ადგილობრივი თვითმმართველობა იმყოფება ცენტრის სასტიკი ოპეკის ქვეშ. ერთი სიტყვით, პარლამენტარული მმართველობა არ ითმენს პოლიტიკურ თვითმმართველობას.

ნოე ჟორდანიას აზრით, პარლამენტარული რესპუბლიკისაგან დემოკრატიული რესპუბლიკა პრინციპულად განსხვავდება.

დემოკრატიულ რესპუბლიკას, აღნიშნავს იგი, საფუძვლად ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობისა, აქ ძალაუფლება მარტო ცენტრში კი არ არის მოგროვილი, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიებს შორის. ხალხი ირჩევს არამარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ კანონის აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვა. ხალხი თავის წარმომადგენელთა საშუალებით მონაწილეობს კანონების გამოცემაში. ასე რომ, დამახასიათებელი თვისება დემოკრატიული რესპუბლიკისა ის არის რომ აქ ხალხი პირდაპირ მონაწილეობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში.[5]

რესპუბლიკის არსის შესახებ ნოე ჟორდანიას მოსაზრება არ შეიძლება იყოს არსებითი. აქ ადგილი აქვს უსისტემობას, ეს იმით აიხსნება, რომ იგი უარყოფს პრეზიდენტისა და არჩევნების ინსტიტუტს და აქცენტი გადააქვს მთლიანად პარლამენტარულ რეჟიმზე. რესპუბლიკური წყობილების დროს, ჯერ ერთი, ხელისუფლება დანაწილებულია სამ განშტოებად, ხოლო მეორე, რესპუბლიკისთვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია ხალხის მიერ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების არჩევითობა. რაც შეეხება პრეზიდენტს, რომელიც ნოე ჟორდანიას შეხედულებით, სპეციფიკური არ არის რესპუბლიკისათვის, წარმოადგენს რესპუბლიკური სახელმწიფოს ხელმძღვანელს, რომელსაც, რასაკვირველია, ირჩევენ გარკვეული ვადით.

როგორც ჩანს, რესპუბლიკის ქვეშ მოიაზრება, უწინარეს ყოვლისა, არჩევნების ჩატარება, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და ზოგიერთ შემთხვევაში საპრეზიდენტო მართვა-გამგეობა, ოუ, რა თქმა უნდა, სახელმწიფოში დამკვიდრებულია პრეზიდენტის ინსტიტუტი.

ნოე ჟორდანია მიუთითებდა, რომ რესპუბლიკური წყობილება მხოლოდ პარლამენტარულ რეჟიმს იცნობს. ეს არ არის ჭეშმარიტება იმდენად, რამდენადაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი თეორია ალიარებს რესპუბლიკის ორ ფორმას: ა) საპარლამენტო და ბ) საპრეზიდენტო რესპუბლიკას. უფრო მეტსაც ვიტყვით, თავად საპარლამენტო

5. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 8 სექტემბერი

რესპუბლიკა ნაკლებად გავრცელებული მმართველობის ფორმაა, ვიდრე საპრეზიდენტო რესპუბლიკა. ასევე, განასხვავებენ მმართველობის შერეულ ფორმას, რომლისათვისაც სპეციფიკურია როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო მმართველობის ნიშნები.

როგორც გამოირკვა, ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ შეხედულებებში უპირატეს მნიშვნელობას იძენს „დემოკრატიული რესპუბლიკა". პარლამენტარული და დემოკრატიული რესპუბლიკა, რასაკვირველია, განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ სულ სხვა განზომილებით და არა ისე, როგორც ეს ნოე ჟორდანიას წარმოედგინა.

დემოკრატიული რესპუბლიკა არის სახელმწიფოს „პოლიტიკური რეჟიმი", ხოლო პარლამენტარული რესპუბლიკა (და ასევე საპრეზიდენტო რესპუბლიკა) კი ამ პოლიტიკური რეჟიმის ერთერთი „მმართველობითი ფორმაა". კარგი იქნებოდა, რომ მას დემოკრატიული რესპუბლიკა საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობად დაეყო.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პირველი მუხლის თანახმად, ქვეყნის მუდმივ და უცვლელ პოლიტიკურ ფორმად დეკლარირებულია დემოკრატიული სახელმწიფოებრივი რეჟიმი, ხოლო დემოკრატიული წყობილების მმართველობით ფორმად აღიარებულ იქნა საპარლამენტო რესპუბლიკა.[6]

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის თანახმად, პოლიტიკური წყობილების ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა. მან 1921 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით უპირატესობა საპრეზიდენტო მართვა-გამგეობას მიაკუთვნა.

საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობები მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკისათვისაა დამახასიათებელი.[7] ეს ორივე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი ეფუძნება რესპუბლიკურ წყობილებას. საპრეზიდენტო და საპარლამენტო ფორმები დემოკრატიული რეჟიმის პირმშონი არიან.

---

6. საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიაში პირველად „დემოკრატიული რეჟიმი" 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციით იქნა დამკვიდრებული - ბ. ქ.

7. საკუთრივ წინამდებარე ნაშრომში ამ საკითხებზე მსჯელობა უხერხულადაც კი მიმაჩნია, რადგან არსებულზე, უკვე მიღებულ ჭეშმარიტებაზე დავა დროის დაკარგვაა. ვინაიდან, ნოე ჟორდანიას ქცევლაფერი ეს სხვაგვარად წარმოედგინა, ჩვენი დაინტერესება აღნიშნულ თემაზე სწორედ ამ უკანასკნელმა გამოიწვია.

მართალია, გაგვიგრძელდა საუბარი ნოე ჟორდანიას შეხედულებებზე, თუმცა არ შეიძლებოდა არ აღგვენიშნა მისი, როგორც თავისი დროის ერთერთი საკვანძო პოლიტიკური მოღვაწის პოზიცია პარლამენტარულ რესპუბლიკაზე და შემდგომშიც არ იქნება დაცული ჩვენი ნაშრომი ნოე ჟორდანიას მოსაზრებებისაგან. მის შესახებ აქ, რასაკვირველია, ამომწურავად ვერ ვისაუბრებთ. ეს ფართო გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენს. იგი დიდ იმედს ამყარებდა აღმასრულებელ ძალაზე, მთავრობის მიზანმიმართულ საქმიანობაზე, რომლის გარეშე შეუძლებლად მიაჩნდა სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილების დაცვა-შენარჩუნება.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს 1918 წლის 23 იელისის სხდომაზე ნოე ჟორდანია მიუთითებდა (ნაწყვეტი), რომ „უკანასკნელ დროს ჩვენს წინააღმდეგ მრავალი მტრები ისხამენ ფარ-ხმალს და საბჭოები ფიქრობენ, რომ თუ არ მოხდა ძალთა გაერთიანება, კონცენტრაცია, მაშინ ჩვენ ყველა დავმარცხდებით და აქ მოვლენ ბატონ-პატრონებად სულ სხვა ხალხი. აი სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად გადავწყვიტეთ შეგვექმნა ერთი ძლიერი დემოკრატიული ცენტრი - მთავრობა. და თუ ეს მთავრობა დამარცხდა, მაშინ დამარცხებული ვიქნებით ჩვენც. საკითხავია, შევძლებთ თუ არა ამ მდგომარეობის შენარჩუნებას, რომ ამის გაკეთება შესძლოს დემოკრატიამ, ის უნდა იყოს პოლიტიკურად აღზრდილი, მას უნდა ჰქონდეს შესაფერი უნარი და გამოცდილება. ჩვენ აღმოგვაჩნდა ასეთი უნარი და გამოცდილება შედარებით სხვებზე მეტი და იმის მეოხებითაა, რომ ჯერჯერობით შევინარჩუნეთ რევოლუციის მონაპოვრები. მხოლოდ გაერთიანებულ დემოკრატიულ მთავრობას შეუძლია შეინარჩუნოს და განამტკიცოს დემოკრატიული წყობილება“.[8] ნოე ჟორდანია თვლიდა, რომ „მთავრობა მთლიანი ერთეულია, საერთო ნებით შექმნილი მთლიანი მოქმედებისათვის“.[9]

ნაშრომის დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ 1918 წლის 26 მაისი ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენაა.

იშვა 26 მაისი, იშვა ერთი მთლიანი ქართველი ერი.[10] - წერდა

8. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი 26 ივლისი.
9. გაზეთი „ერთობა“, 1918 წელი, 8 სექტემბერი.
10. ნოე ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წელი, გვ. 90.

ნოე ჟორდანია.[11] ხოლო გიორგი გვაზავა ბრძანებდა, რომ „დამოუკიდებლობის აქტი არის დაბადება ჩვენი სახელმწიფოსი“.[12]

პავლე საყვარელიძის შეხედულებით, დამოუკიდებლობის აქტი იყო ახალი საქართველოს პირველი სახელმწიფოებრივი ნების აღიარება, დასაბამი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა.[13]

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, 1918 წლის 26 მაისი, აქამდე უცნობი დედანი, 88 ხელმოწერით. იგი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) მიერ 1918 წლის 26 მაისს, თბილისში გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტის დედანს. მას ხელს აწერენ:

1. შალვა ვ. ალექსი-მესხიშვილი; 2. ნოე რამიშვილი; 3. გიორგი ჟურული; 4. გიორგი ლასხიშვილი; 5.გრიგოლ ვეშაპელი; 6. ივანე ლორთქიფანიძე; 7. კოწია გვარჯალაძე; 8. დავით ჩიქოვანი; 9. ნოე ხომერიკი; 10. ლეონტი ჯღენტი; 11. პეტრე გელეიშვილი; 12. თედორე კიკვაძე; 13. დავით ვაჩნაძე; 14. ტიტე მარგველაშვილი; 15. მინადორა ტოროშელიძე; 16. ნოე ჟორდანია; 17. ვლ. გობეჩია; 18. პავლე საყვარელიძე; 19. ისიდორე რამიშვილი; 20. სილიბისტრო ჯიბლაძე; 21. ა. ჭიაბერაშვილი; 22. ვლასა მგელაძე; 23. გიორგი გვაზავა; 24. იოსებ მაჭავარიანი; 25. ალექსანდრე ახმეტელი; 26. კ. მესხი; 27. რაფიელ ჩიხლაძე; 28. მელიტონ რუსია; 29. დ. ონიაშვილი; 30. ლ. ჯავახიშვილი; 31. შ. მიქელაძე; 32. რ.მ. არსენიძე 33. პ. საბაშვილი; 34. ჰაიდარ აბაშიძე; 35. ილია გოგელია; 36. ი. ა. ბარათაშვილი; 37. კ. ი. ჯაფარიძე; 38. მ. კლიმიაშვილი; 39. პავლე ინგოროყვა; 40. იას. ლორთქიფანიძე; 41. ვასო წულაძე; 42. ექვთიმე თაყაიშვილი; 43. ალ. ბ. მდივანი; 44. გ. რცხილაძე; 45. ქ. რაჭველიშვილი; 46. ილიკო ბადრიძე; 47. ა. ქილანთაროვი; 48. ბ. თევზაია; 49. ივ. ლევ. ჩერქეზიშვილი; 50. გერონტი ქიქოძე; 51. ვასილ წერეთელი; 52. (ხელმოწერა გაურკვეველია); 53. რ. გაბაშვილი; 54. ა. ასათიანი; 55.სამ. ფირცხალავა; 56.

11. აღნიშნული ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ნოე ჟორდანია ამტკიცებდა, რომ ქართველი ერი წარმოიშვა XX საუკუნეში. ჟორდანია გულისხმობდა საქართველოს ერთიანობას, დამოუკიდებლობას, რომ 1918 წლის 26 მაისს იშვა „ერთი, მთლიანი“ ერი და არა, რაღაცრიც „ერი“. ქართველი ერის ჩამოყალიბება საუკუნეთა წყვდიადში იღებს სათავეს. აქ სადაო არაფერია.

12. მ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 54.

13. იქვე, 54.

ლევან ასათიანი; 57. დ. უზნაძე; 58. ვ. ბურჯანაძე; 59. მ. ზანდუკელი; 60. ნ. ელიავა; 61. აკაკი პაპავა; 62. სვიმონ მაჭავარიანი; 63. არ. ჯაჯანაშვილი; 64. იოსებ აბაკელია; 65. იოსებ სალაყაია; 66. კონსტ. დავარაშვილი; 67. კალე ქავთარაძე; 68. არსენ მამულაიშვილი; 69. კონსტანტინე მაყაშვილი; 70. ნოე ცინცაძე; 71. ალექსანდრე ლომთათიძე; 72. იოსებ გობეჩია; 73. გრიგოლ ნათაძე; 74. ფილიპე გოგიჩაიშვილი; 75. მ. მაჩაბელი; 76. კ. ნინიძე; 77. თ. კონსტ. არკ. აფხაზი; 78. გერასიმე მახარაძე; 79. გრიგოლ ქურდიანი; 80. ის. წერეთელი; 81. ილიკო ფირცხალაშვილი; 82. ივ. გობეჩია; 83. შ. ქარუმიძე; 84. გ. ერაძე; 85. ვ. ცაბაძე; 86. ნ. ჩხეიძე; 87. ე. გეგეჭკორი; 88. გ. ანჯაფარიძე.[14]

1918 წლის 26 მაისის სხდომაზე საქართველოში პირველად განხორციელდა დემოკრატიული, მაგრამ დროებითი მთავრობის შემადგენლობის ჩამოყალიბება. შეიქმნა სახელმწიფოებრივი უწყებები სამინისტროების სახით:

ა) საქართველოს პირველი მთავრობის პირველი თავმჯდომარე - ნოე რამიშვილი;

ბ) შინაგან საქმეთა სამინისტრო - მინისტრი ნოე რამიშვილი;

გ) სამხედრო (იგივე თავდაცვის) სამინისტრო მინისტრი გრიგოლ გიორგაძე;

დ) საგარეო საქმეთა სამინისტრო - მინისტრი აკაკი ჩხენკელი;

ე) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრო - მინისტრი გიორგი ჟურული;

ვ) განათლების სამინისტრო - მინისტრი გიორგი ლასხიშვილი;

ზ) მიწათმოქმედების სამინისტრო - მინისტრი ნოე ხომერიკი;

თ) იუსტიციის სამინისტრო - მინისტრი შალვა მესხიშვილი;

ი) გზათა (იგივე მიმოსვლის) სამინისტრო - მინისტრი ივანე ლორთქიფანიძე.

ქვეყნის მომავლისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მთავრობის (უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების) შემადგენლობას, მის სიმტკიცესა და მოღვაწეობას. მაშინდელი პრესა იტყობინებოდა, რომ „მტკიცე მთავრობის შექმნა ღღიურ წესრიგშია დასმული და მისი გადადება დაღუპვას გვიქადის“.[15]

14. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 2001 წელი, 26 მაისი.

15. გაზეთი „ერისიობა“, 1918 წელი, 26 იელისი.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შემუშავების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მმართველობის ფორმის შერჩევის საკითხს. წარმოდგენილი იყო ა) შვეიცარული და ბ) გერმანული მოდელი. ამ ალტერნატივიდან კონსტიტუციამ უპირატესობა შვეიცარიულ მართვა-გამგეობას მიაკუთვნა. პოლიტიკური დებატები იყო, როგორც საკონსტიტუციო კომისიაში, ასევე საქართველოს პარლამენტში.

სახელმწიფოს მართვის შვეიცარიული სისტემა ერთერთი უძველესი და ეფექტურია მთელს მსოფლიოში. ჯერ კიდევ საქართველოში 1832 წლის შეთქმულების მონაწილეთა სახელმწიფო წყობილების იდეალი შვეიცარიული მოდელი იყო. ისინი საქართველოსა და შვეიცარიას ერომანეთთან ამსგავსებდნენ და მიუთითებდნენ, რომ „მისებრ უნდა მოეწყოს ჩვენი ქვეყანაცაო".[16]

შვეიცარიაში პარლამენტსა და მთავრობას შორის არსებული ურთიერთობა სპეციფიკური გახლავთ. იგი ფედერაციული სახელმწიფოა. შესდგება ოცდახუთი პატარა „სახელმწიფოსაგან" ანუ კანტონებისაგან. იქ დემოკრატია მეფობს, როგორც კანტონალურ, ისე ფედერაციულ ცხოვრებაში.

შვეიცარიაში საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნოდა საკავშირო ანუ ფედერალურ კრებას (საუბარია XX საუკუნის 20-იანი წლების შვეიცარიის პოლიტიკურ წყობილებაზე - ბ. ქ.), რომელიც ორი პალატისაგან შესდგებოდა: ა) კანტონალური საბჭო (კანტონთა წარმომადგენლობა) და ბ) ნაციონალური საბჭო (მთელი შვეიცარიის ხალხის წარმომადგენლობა).

უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებდა ფედერალური საბჭო (მთავრობა), რომელსაც ირჩევდა ფედერალური კრება 7 წევრისაგან 3 წლის ვადით, ერთს ამ შვიდთაგან მთელი შვეიცარიის ფედერაციის პრეზიდენტად ირჩევდა ფედერალური კრება მხოლოდ ერთი წლის ვადით. ის იყო აგრეთვე თავმჯდომარე ფედერალური საბჭოსი ანუ მთავრობის და, ამავე დროს, ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს. ერთი და იმავე პირის არჩევა პრეზიდენტად და, მაშასადამე, მთავრობის თავმჯდომარედ ზედიზედ შეუძლებელი იყო.[17]

---

16. აკაკი გელოვანი, სვეტი ნაოლისა, გვ. 70.

17. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 3 თებერვალი.

თუ დავაკვირდებით, აღნიშნული შვეიცარიული მმართველობის სისტემა მეტნაკლებად ანალოგიურია საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი მმართველობისა.

როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, კონსტანტინე მიქელაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სახელმწიფოს აღმასრულებელ ხელისუფლებას.

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით უნდა გამოვყოთ აღმასრულებელი ძალის ორი ფორმა:

ა) უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება (მთავრობა, მინისტრთა კაბინეტი);

ბ) ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლება (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტები).[18]

„აღმასრულებელი ძალა მართავს სახელმწიფოს საჭეს და ამოძრავებს მთელ მის მექანიზმს".[19] აღნიშნავს იურისტი და როგორც მონარქიული, ისე რესპუბლიკური წყობილების დროს უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებლად მიაჩნია ერთი პირი ან კოლეგია. იურისტის განმარტებით, აღმასრულებელი ძალა მონარქიაში ეკუთვნის მონარქს-ერთპიროვნულ ხელმძღვანელს, ხოლო რესპუბლიკაში კი პრეზიდენტს.

მონარქი სახელმწიფოში წარმოადგენს ინდივიდუალურ მმართველს. მთელი პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება მის ხელშია.მონარქიული მმართველობა არ ცნობს (გარდა შეზღუდული მონარქიისა - ბ. ქ.) ხელისუფლების დანაწილებას. ვერ დავეთანხმებით კონსტანტინე მიქელაძეს იმ მოსაზრებაში, რომლის შესაბამისად, რესპუბლიკაში აღმასრულებელი ძალაუფლება ეკუთვნის მხოლოდ პრეზიდენტს (თუმცა საქართველოს თანამედროვე კანონმდებლობის (კანონთა სისტემის) თანახმად, უმაღლესი აღმასრულე-

18. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მეხუთე თავს, რომელიც განსაზღვრავს მთავრობის ფორმირების, ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სამართლებრივ საკითხებს, ეწოდება „აღმასრულებელი ხელისუფლება". ჩვენი აზრით, ეს არასწორია, უინაიდან, როგორც ადრე მიუთითეთ, „აღმასრულებელი ხელისუფლება" ფართო ცნებაა და იგი არ შეიძლება მხოლოდ „მთავრობას" მოიცავდეს. კარგი იქნებოდა, რომ მას ჰქონოდა შემდეგი სახელწოდება: „უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება", მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ აღნიშნული თავის პირველი მუხლი იწყება სიტყვა „უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლებით".

19. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ. გვ. 36.

ბელი ხელისუფლება ეკუთვნის საქართველოს პრეზიდენტს. ეს, რა თქმა უნდა, ფორმალობაა - ბ. ქ.), რაც, რასაკვირველია, უფრო მეტად მონარქიულ წყობილებას გვაგონებს. ანალოგიურად მსჯელობდა ნოე ჟორდანიაც. მისი აზრით, პრეზიდენტი მონარქის აჩრდილია. იგი მათ შორის განსხვავებას ვერ ხედავდა. დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღმასრულებელი ხელისუფლება არ შეიძლება კონცენტრირებული იყოს მხოლოდ პრეზიდენტის უფლებამოსილებაში, მაგრამ იურისტის მტკიცებით, ერთპიროვნული ხელმძღვანელობის გვერდით (ამ შემთხვევაში იგულისხმება პრეზიდენტი - ბ. ქ.) არსებობს უმაღლესი აღმასრულებელი ძალაუფლებით აღჭურვილი კოლეგია, რომელიც საკუთარ ასპარეზზე გამოდის მთავრობის სახით.

აღმასრულებელი ხელისუფლების კოლეგიალურობის პრინციპი გატარებულია მხოლოდ დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც ხალხს აქვს პირდაპირი, უშუალო გავლენა სახელმწიფოს უფლებაშემოქმედებაზე, პოლიტიკურ მართვა-გამგეობაზე.

კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, უმაღლესმა აღმასრულებელმა ხელისუფლებამ უნდა აწარმოოს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ეს უკანასკნელი დადასტურებულია 1921 წლის კონსტიტუციაში. აქ აღიარებულია, რომ მთავრობის საერთო უფლება და მოვალეობაა რესპუბლიკის საქმეთა უმაღლესი მართვა-გამგეობა, თანახმად კანონისა და რესპუბლიკის საგარეო ინტერესებისა. ამგვარ უფლებამოსილებას არც პარლამენტი იყო მოკლებული.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 48-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტი მხოლოდ განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო მიმართულებებს, ხოლო ამავე ძირითადი კანონის 69-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური - პრეზიდენტი წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს ძირითად საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 66-ე მუხლმა უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლება მიაკუთვნა რესპუბლიკის დემოკრატიულ მთავრობას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ კონსტანტინე მიქელაძე მთავრობას (უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას) „დამხმარე მექანიზმს"

უწოდებს, რაც ალოგიკურია. თუ, იურისტის აზრით, აღმასრულებელი ძალა მართავს სახელმწიფოს საჭეს და აწარმოებს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, მაშინ როგორ შეიძლება მას „დამხმარე მექანიზმი" ვუწოდოთ? ავტორის თქმით, მთავრობა „ეხმარება" სახელმწიფოს მეთაურს (პრეზიდენტს, მთავრობის თავმჯდომარეს - ბ. ქ.) აღმასრულებელი ფუნქციების აღსრულებაში.[20]

მთავრობა სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს აღმასრულებელ ფუნქციებს ახორციელებს და დიდი მნიშვნელობა აქვს მას საერთო სამართლებრივი, სოციალური და დემოკრატიული სახელმწიფოს ძლევამოსილებისათვის. დღესდღეობით მთავრობა, მართალია, პრეზიდენტის სათათბირო ორგანოა, მაგრამ მას მაინც არ შეიძლება „დამხმარის" სტატუსი მივანიჭოთ. ასეთი ფუნქცია აქვს იუსტიციის ან უშიშროების საბჭოებს, რომლებიც პრეზიდენტს ემსახურებიან ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი საკითხების მოგვარებაში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის შესაბამისად, „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, ხოლო ერის ხელმწიფებას კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს პარლამენტი". ეს პრინციპი რატომღაც გვაგონებს ისეთ პოლიტიკურ წყობილებას, სადაც ხელისუფლება ერთი ორგანოს ან პირის ხელშია კონცენტრირებული.

საქართველოს პარლამენტი, მართალია, ფართო უფლებამოსილებას ფლობდა 1921 წლის ძირითადი კანონის თანახმად, თუმცა აღნიშნული კონსტიტუციური დებულება (ერის ხელმწიფებას ახორციელებს პარლამენტი) ბევრი პოლიტიკოსისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და ამას ისინი იმთავითვე სამართლიანად უარყოფდნენ. ზოგიერთი მოღვაწე კი საქართველოში თვითმპყრობელად მთავრობას (უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას) მიიჩნევდა.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე (თავმჯდომარეობდა ალ. ლომთათიძე. ბ. ქ.) მომხსენებელი ლეო შენგელაია[21] აღიარებდა, რომ „აქ მომხსენებელი ბ. საყ-

20. „კოლეგიალურობის" პრინციპი უარყოფს „დამხმარის" სტატუსს. ამ სახელწოდებას შეიძლება შეეგუოს მხოლოდ „სათათბირო ორგანო" - მთავრობა, რომელსაც ის სარეკომენდაციო სახის გადაწყვეტილებებს ღებულობს.

21. საქართველოს 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციას ხელს აწერს ვინმე „ლეო შენგელაია". ბუნებრივია, იგი დიდი ქართველი მწერალი ლეო ქიაჩელი მიაჩნია. ეს არ არის სწორი, ვინაიდან, მას (ლ. ქიაჩელს) 1918-1921 წლების ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა არ მიუღია, ხოლო საქართველოს

ვარელიძე ამბობდა, რომ მთავარი თვისება ჩვენი კონსტიტუციისა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი ხალხია თვითმპყრობელი. ეს არ არის მართალი. და ეს რომ მართალი არ არის იქიდანაც აშკარაა, რომ ჩვენში არც პარლამენტია თვითმპყრობელი, ვინაიდან, ის რეფერენდუმით არის შეზღუდული. ამ კონსტიტუციით, ნამდვილად თვითმპყრობელია მთავრობა. მართალია, პრეზიდენტი უარყოფილია, მაგრამ მთელი ძალაუფლება ფაქტიურად და იურიდიულად მთავრობის ხელშია. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ექნება ჯარები გამოიყვანოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა იკისროს და განსაკუთრებული უფლებებით ისარგებლოს, ყველა ამის შემდეგ რაღა დარჩა? ცხადია, აქ დაკანონებულია მთავრობის თვითმპყრობელობა. ჩვენ კი წინააღმდეგი ვართ პრეზიდენტისა და აგრეთვე მთავრობისათვის ამგვარი უფლების მიცემისა.[22]

ჩვენის აზრით, აღნიშნული კონსტიტუციური დებულება („ერის ხელმწიფებას ახორციელებს პარლამენტი") არ არის სწორი და რატომ?

„ხელმწიფება" ფართო ცნებაა და ნიშნავს ხელმწიფედ ყოფნას, მეფობას, ბატონობას[23], მაგრამ ამ შემთხვევაში კონსტიტუციას „ხელმწიფება" გაგებული აქვს, როგორც „ხელისუფლება" ე. ი. პარლამენტი ახორციელებს ერის სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას. თუმცა აქ „ხელისუფლება" ვფიქრობთ, რომ არამარტო საკანონმდებლო, არამედ აღმასრულებელ და სასამართლო უფლებამოსილებასაც გულისხმობს. მართალია, კონსტიტუციაში დაფიქსირებულია ტერმინი „კონსტიტუციის ფარგლებში", მაგრამ წინადადება: „პარლამენტი ახორციელებს ერის ხელმწიფებას" - გაუგებრობას იწვევს. ამ კონსტიტუციით, საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლოსთან ერთად აღმასრულებელი და სასამართლო სისტემის ბატონ-პატრონად გვევლინება.

დამოუკიდებლობის დეკლარაციაზე დაფიქსირებული „ლეო (ლეონიდე) შენგელაია. იყო ქართველ ესერთა თაობაში, გაზეთ „შრომის" მთავარი რედაქტორი. რაც შეეხება ლეონ შენგელაიას (ლეო ქიაჩელს), იგი გახლდათ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი. ეს საკითხი ჩვენ შესაბამისი წყაროების საფუძველზე დავადგინეთ.

22. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 10 დეკემბერი.

23. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II. 1990 წელი, გვ. 25.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენელი გიორგი გვაზავა სამართლიანად მიუთითებდა, რომ ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, მაგრამ ამ ხელმწიფების განსახორციელებლად საჭიროა სათანადო ორგანოები: (ამით გიორგი გვაზავამ უარყო „კონსტიტუციური დებულება: „პარლამენტი ახორციელებს ერის ხელმწიფებას“ - ბ. ქ.) ა) მთავრობა, რომელიც შედგება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტისაგან და პასუხისმგებელი მინისტრებისაგან; ბ) პარლამენტი, არჩეული ხალხის მიერ, რომელიც ახორციელებს მხოლოდ საკანონმდებლო ხელისუფლებას და კონტროლს უწევს მთავრობას და გ) დამოუკიდებელი სასამართლო, რომელიც დარაჯია კონსტიტუციისა. მხოლოდ ამნაირი სახელმწიფოებრივი კონსტიტუციით შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფლება, რომელიც ერთადერთი მიზანია სახელმწიფოსი.[24]

ბევრი მოითხოვდა, რომ ტერმინი „ხელმწიფება“ შეეცვალათ სხვა სიტყვით. მაგალითად, სოციალ-ფედერალისტების აზრით, ჩაწერილი უნდა ყოფილიყო „უზენაესობა რესპუბლიკაში ეკუთვნის მთელს ერს“. ასევე, დაფიქსირდა წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა „ხელმწიფების“ „სუვერენობით“ ჩანაცვლებას.[25]

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. თანამედროვე ძირითადი კანონი სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციას, განსხვავებით 1921 წლის კონსტიტუციის 52-ე მუხლისაგან, ანიჭებს ცალკეულ უმაღლეს ორგანოებს. ეს უკანასკნელი იმით დასტურდება, რომ აღნიშნული მე-5 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით.

მართალია, 1921 წლის ძირითადი აქტით, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ფუნქციები დელეგრებულია ორგანოებს შორის, მაგრამ 52-ე მუხლის თანახმად, იურიდიულად დაკანონდა პარლამენტის სრული ბატონობა-უპირატესობა. საპარლამენტო და საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში აუცილე-

24. გაზეთი „საქართველო“, 1920 წელი, 4-5 დეკემბერი.

25. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 860, ფურცელი 16.

ბელია ხელისუფლებათა ურთიეროგაწონასწორებისა და ურთიერთშეკავების პრინციპის შენარჩუნება.

არაერთხელ გვითქვამს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების არცერთი ორგანო არ უნდა სარგებლობდეს გაცილებით იმაზე უფრო მეტი უფლებებით და გნებავთ გავლენით, რითაც აღჭურვილია სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების სხვა ორგანო.

* * *

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია წარმოვადგინოთ მცირე ეპილოგი.

დემოკრატიული საზოგადოება მოითხოვს ძლიერი საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამოყალიბებას, მათი ფუნქციების ეფექტურობას. პარლამენტი (საკანონმდებლო ხელისუფლება) უძლურია აღმასრულებელი სისტემის გარეშე. ეს პრინციპი თავის დროზე გააზრებული ჰქონდა კონსტანტინე მიქელაძეს. იგი ამბობდა, რომ ძლიერი მთავრობა სტაბილური, მოქნილი საკანონმდებლო სისტემის საფუძველია. აღმასრულებელი ხელისუფლება ფაქტობრივად აწარმოებს იმ ძირითად პოლიტიკას, რომელსაც წინასწარ საზღვრავს საპარლამენტო მუშაობა. რასაკვირველია, 1921 წლის კონსტიტუცია აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოების ფუნქციათა გამიჯვნის დროს უშვებს შეცდომებს, მაგრამ ეს არ არის სრულიად გასაკვირი, ვინაიდან, იგი ნაჩქარევად დაამტკიცეს. აქ სარვეზებთან ერთად იკვეთება არსებითი მომენტებიც.

კონსტანტინე მიქელაძემ წარმოაჩინა საკუთარი კონცეფცია აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობაზე საერთო-სახელმწიფოებრივ სისტემაში და იგი სახელმწიფოს ერთ-ერთ წარმართველ ძალად აღიარა.

თავი ოცდამერვე

კონსტანტინე მიქელაძე და მთავრობა

1918-1921 წლების დემოკრატიულ და სუვერენულ ქართულ სახელმწიფოში პოლიტიკის გარეშე სახელმწიფოს არსებობას წარმოუდგენლად თვლიდნენ. მიუთითებდნენ, რომ „სახელმწიფო უპოლიტიკოდ შეუძლებელიაო“.[1] პოლიტიკას კი საჯარო ხელისუფლება ახორციელებს. (როგორც ჩანს, სახელმწიფო საკუთარი პოლიტიკის განსახორციელებლად მიმართავს შემდეგ ღონისძიებებს: ა) განსაზღვრავს პოლიტიკის ძირითად მიმართულებას; ბ) ქმნის შესაბამის საჯარო ხელისუფლებას იმისათვის, რომ აღსრულდეს ეს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა - ბ. ქ.). ამიტომაცაა იგი სახელმწიფოს საკვანძო კომპონენტი. ამ სისტემაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს მთავრობას - უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელ ხელისუფლებას, როგორც ეს 1921 წლის კონსტიტუციის 66 მუხლშია აღიარებული. დემოკრატიულ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის სტრუქტურის შემადგენლობის და მისი ძირითადი ფუნქციების ნორმატიულ რეგლამენტაციას. საქართველოს პირველმა კონსტიტუციამ ეს საკითხები მოაწესრიგა და საფუძველი დაუდო მთავრობის სრულიად ახლებურ სისტემას. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ამ სტრუქტურას კონსტიტუციაში მეხუთე თავი ეთმობა. ვიდრე საქართველოს დამფუძნებელი კრება დაამტკიცებდა ძირითად აქტს, მანამდე მას წინ უძღოდა საკმაოდ სერიოზული პოლიტიკური დებატები საქართველოს პარლამენტის და საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე. მსჯელობდნენ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მთავრობის შინაგანი სისტემა, შემადგენლობა, დანიშნულება, მთავრობის თავმჯდომარის პერსონალური უფლება-მოვალეობები და ა. შ. საბოლოოდ, კონსტრუქციული დიალოგისა და განსჯის შედეგად მიღებულ იქნა ის დასკვნა (თუმცა ნაჩქარევად), რაც უკვე დეკლარირებულია კონსტიტუციის აღნიშნულ თავში.

---

1. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 19.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, დაამკვიდრა პარლამენტარიზმის ინსტიტუტი. მისი ამოსავალი წერტილი გახლავთ სახელმწიფოში პარლამენტის უმაღლესობა. იგულისხმება მისი უფლებრივი უპირატესობა.

უნდა ითქვას, რომ კონსტანტინე მიქელაძე მხურვალედ ჩაერთო იმ პროცესებში, რომელიც იხილავდა საპარლამენტო მთავრობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იურისტმა გამოყო უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ორი სისტემა:

ა) პარლამენტარული მთავრობა;

ბ) კონსტიტუციური მთავრობა.

მიქელაძის განმარტებით, „პირველი (პარლამენტარული მთავრობა ბ. ქ.) იმით განსხვავდება მეორისაგან, რომ მისი წევრნი წარმოადგენენ თანამოაზრეთა ჯგუფს და ამორჩეულნი არიან იმ პირის მიერ, რომელიც ცითარცა სახელმწიფოს უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებელი (იგულისხმება მთავრობის თავმჯდომარე - ბ. ქ.) ასახელებს ერთ რომელიმე, რა თქმა უნდა, გავლენიან წევრს უღიდეს პოლიტიკური პარტიისა. ეს უკანასკნელი კი ადგენს კაბინეტს მის თანამოაზრეთა პირთაგან. ამ პირობებში უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებელს ეკარგება საკუთარ მოქმედებაში ის თავისუფლება, რომელიც მას აქვს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე უპასუხისმგებლო მთავრობის არსებობის პირობებში.[2]

მაგალითად, პარლამენტარული მთავრობა მოქმედებდა ინგლისისა და ბელგიის მონარქიაში და საფრანგეთის რესპუბლიკაში.

1920 წლის 14 აგვისტოს საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე, სადაც იმსჯელეს უმაღლეს აღმასრულებელ სტრუქტურაზე, კონსტანტინე მიქელაძე თავის მოხსენებაში მიუთითებდა, რომ ქვეყნის კონსტიტუციაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ისეთი სისტემა, რომლის თანახმად, პარლამენტის თავმჯდომარეს წინადადებით უნდა მიემართა ერთი პირისათვის (იგულისხმება პრემიერ-მინისტრი ბ. ქ.), რომ მას შეეგნია მინისტრთა კაბინეტი (კაბინეტის წევრნი) ან წარეგნია ის პარლამენტისათვის დასამტკიცებლად.[3]

---

2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 283.

კონსტანტინე მიქელაძემ საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას, როგორც მოყვანილი ციტატიდან ჩანს, წარუდგინა მინისტრთა კაბინეტის ფორმირების ორი ალტერნატიული საშუალება:

ა) მთავრობის თავმჯდომარეს მოეწვია წევრები - მინისტრები, ანუ თვითონ დაენიშნა ისინი შესაბამის თანამდებობებზე ან

ბ) მთავრობის თავმჯდომარეს შეერჩია კაბინეტის წევრები და დასამტკიცებლად წარედგინა პარლამენტისათვის.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 68-ე მუხლის შესაბამისად, მთავრობის თავმჯდომარეს მინისტრების დანიშვნის მაღალი უფლებამოსილება ერგო. საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან მისი საბოლოო დამტკიცების რაიმე დამატებით ღონისძიებას ძირითადი კანონი არ ითვალისწინებდა. (ე.ი. კომისიის მიერ გათვალისწინებული იქნა კონსტანტინე მიქელაძის „ა“ პუნქტში აღნიშნული მოსაზრება - ბ. ქ.).

კონსტანტინე მიქელაძე ცნობს საპარლამენტო რესპუბლიკაში მთავრობის საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს. თუმცა საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტი მეთაურობს, მთავრობა არ წარმოადგენს ერთიან, კოლეგიალური მმართველობის ორგანოს, იგი პრეზიდენტის სათათბირო-საკონსულტაციო ორგანოა და, ამდენად, ერთობლივი კომპეტენციითა და სოლიდარული პასუხისმგებლობით არ ხასიათდება. მთავრობის წევრები პერსონალურად აგებენ პასუხს პრეზიდენტის წინაშე.[4]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, რომელიც ამკვიდრებდა საპარლამენტო რესპუბლიკას, საკანონმდებლო ორგანო არ იყო მთავრობის ფორმირების პრეროგატივით აღჭურვილი. ეს გამომდინარეობდა ამ ძირითადი კანონის 68-ე მუხლიდან, სადაც მითითებულია: „მთავრობის დანარჩენ წევრებს - მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე რესპუბლიკის იმ მოქალაქეთაგან, რომელთაც პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ“.

საქართველოს 1921 წლის ძირითადი კანონი საპარლამენტო მმართველობისათვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ ნიშნებს იყო მოკლებული.

ეს გამოიხატებოდა ერთი იმაში, რომ პარლამენტს მთავრობის წევრების - მინისტრების დანიშვნის უფლება არ გააჩნდა. აღნიშნული

4. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 2001 წელი, 8-14 ივნისი.

ფუნქცია კონსტიტუციამ მთავრობის თავმჯდომარეს მიანიჭა. კანონმა ასევე გამორიცხა მინისტრების საერთო (სოლიდარული) პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც საპარლამენტო მმართველობის ერთერთი ნიშანია. 1921 წლის კონსტიტუციის 73-ე მუხლმა ხაზი გაუსვა მინისტრების პერსონალურ (ინდივიდუალურ) პასუხისმგებლობას და უარყო სოლიდარული პასუხისმგებლობა. ეს ჩანს შემდეგ ნორმაში: „თითოეული მათგანი დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებს მისთვის მინდობილ უწყებას". კონსტიტუციით, მინისტრი უნდა გადამდგარიყო მაშინ, როდესაც პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით დაკარგავდა მის ნდობას. თუმცა ერთი მინისტრის უნდობლობა მთლიანად მთავრობის გადადგომას არ გულისხმობდა. ესეც საპარლამენტო მმართველობის ნიშანია. 1921 წლის კონსტიტუციის ულოგიკობა გახლდათ ის, რომ მინისტრებს იწვევდა მთავრობის თავმჯდომარე და, ამავე დროს, პარლამენტი უფლებამოსილი იყო „ნდობის დაკარგვის" საფუძველზე აეძულებინა მინისტრი, დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა. კანონით, მთავრობის თავმჯდომარე პოლიტიკურად პასუხისმგებელი იყო პარლამენტის წინაშე, მაგრამ მასაც, თავის მხრივ, უფლება ეძლეოდა „გამოეცვალა ცალკე მინისტრი ან გარდაექმნა მთელი კაბინეტი".

როგორც ჩანს, მთავრობის წევრის (მინისტრის) დათხოვნის უფლებამოსილებით სარგებლობდა ორი სუბიექტი: ა) მთავრობის თავმჯდომარე (პრემიერ-მინისტრი); ბ) პარლამენტი.

კონსტანტინე მიქელაძე არსად არ ადასტურებს მთავრობის წევრების პერსონალური პასუხისმგებლობის აუცილებლობას. ეს ჩანს შემდეგ სიტყვებშიც: „მთავრობის პასუხისმგებლობის პირობებში".[5] იურისტი ამ ციტატაში ხაზს უსვამს მთავრობის მთლიან (სოლიდარულ) პასუხისმგებლობას წარმომადგენლობის (საკანონმდებლო ორგანოს) წინაშე.

ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს დეპუტატ გიორგი გვაზავას სიტყვები, რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 1 დეკემბრის სხდომაზე: „პარლამენტი ირჩევს მთავრობის თავმჯდომარეს. უკანასკნელი ადგენს კაბინეტს, ხოლო პასუხისმგებლობა არის როგორც მთლიანად, ისე პიროვნულად. მინისტრები არ არიან არჩეულნი

5. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

პარლამენტის მიერ და მაინც პასუხისმგებელნი არიან. ეს ულოგიკობა აცილებულია შვეიცარიის კონსტიტუციაში. იქ პარლამენტი ირჩევს მინისტრებს".[6]

როგორც გაირკვა, კონსტიტუციის ახლინდელი პროექტი ითვალისწინებდა ერთდროულად პარლამენტის წინაშე მთავრობის სოლიდარულ და მინისტრების ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას.თუმცა ძირითადი კანონის (1921 წელი) რატიფიცირებულ მუხლებში არ გვხვდება მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის (პრემიერ-მინისტრის) უფლებამოსილებას, გარდაექმნა მოლიანად კაბინეტი.[7]

კონსტანტინე მიქელაძე საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ სხდომაზე სვამდა კითხვას: "თუ მთავრობა არ უნდა იყოს პასუხისმგებელი, მაშ ვინ უნდა ადევნოს თვალ-ყური მის მოქმედებებს?".[8] აქაც („თუ მთავრობა არ უნდა იყოს პასუხისმგებელი") იკვეთება იურისტის კეთილი დამოკიდებულება სოლიდარული პასუხისმგებლობის ინსტიტუტისადმი.

განსხვავებით 1921 წლის კონსტიტუციისაგან საქართველოს 1995 წლის ძირითადმა კანონმა დაამკვიდრა საპრეზიდენტო მმართველობა,სახელმწიფოში პრეზიდენტის უმაღლესობის პრინციპი, მისი უფლებების ფართო სპექტრის დეკლარირება მოახდინა.

საქართველოს თანამედროვე კონსტიტუციის 73-ე მუხლის შესაბამისად, პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს - მინისტრებს. ისინი პერსონალურად პასუხს აგებენ და უფლებამოსილებას იხსნიან პრეზიდენტის წინაშე. მხოლოდ პრეზიდენტს აქვს უფლება თანამდებობიდან გადააყენოს მინისტრები.

საქართველოს პარლამენტი საკვანძო როლს ასრულებს მთავრობის ჩამოყალიბებაში. კონსტიტუციური დებულება „პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს", გაუგებრობას იწვევს პრაქტიკაში. საქმე მდგომარეობს იმაში, რომ

---

6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 3 დეკემბერი.

7. მაგრამ ეს, ჩვენის აზრით, არ გულისხმობს სოლიდარულ პასუხისმგებლობას, ვინაიდან, პირის ნებისმიერი თანამდებობიდან გადაყენება არ ჭდება „პასუხისმგებლობის" ცნებაში.

8. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი I, საქმე 181, ფურცელი 234.

პრეზიდენტის საქმიანობა ამ სფეროში ფორმალურია, ხოლო ფაქტობრივად მთელი ძალაუფლება პარლამენტის ხელშია, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტი მარტო „თანხმობას“ კი არ იძლევა, არამედ მასზეა დამოკიდებული მინისტრის თანამდებობაზე გამწესება, დამოკიდებულია თავად პრეზიდენტიც.

საქართველოს პრეზიდენტს კონსტიტუციურად უფლება აქვს ორჯერ წარადგინოს მინისტრის თანამდებობაზე ერთი და იგივე კანდიდატურა, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტმა ამ პირს პირველად აცილება მისცა და არ დაამტკიცა. შემდგომ ეტაპზე პრეზიდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა შანსი ხელმეორედ წარუდგინოს პარლამენტს იგივე კანდიდატი. ამავე დროს, საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს ისევ აცილება მისცეს ორჯერ წარდგენილ მოქალაქეს და უარი განუცხადოს მას მინისტრობაზე.

ავიღოთ ბატონ ბაკურ გულუას მაგალითი: როდესაც იგი საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის თანამდებობაზე პრეზიდენტმა ორჯერ წარადგინა, პარლამენტმა ხმების უმრავლესობით მხარი არ დაუჭირა მის კანდიდატურას და ორჯერ აცილება მისცა. აქედან გამომდინარე პრეზიდენტის ძალაუფლება ამ სფეროში უძლურია. ეს არ არის უბრალო „თანხმობა“, არამედ საკანონმდებლო ხელისუფლების მაქსიმალური ძალაუფლებაა. რაც შეეხება პრეზიდენტს, ჩანს, რომ მას მხოლოდ წარდგენის პრეროგატივა გააჩნია. ამდენად ჩვენ ვერ გავიზიარებთ საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 73-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის ნორმის შინაარსს: „პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით ნიშნავს მთავრობის წევრებს - მინისტრებს“.

კონსტანტინე მიქელაძე ეხება უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მეორე სისტემას - კონსტიტუციურ მთავრობას. იურისტი თუ პარლამენტარული მმართველობის პირობებში სპეციფიკურად მიიჩნევდა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს, კონსტიტუციური რეჟიმისათვის, მისი აზრით, არ არსებობს მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობა წარმომადგენლობის წინაშე.

მიქელაძის აზრით, კონსტიტუციური რეჟიმის დროს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ანუ მთავრობა განცალკევებულია საკანონმდებლო ორგანოსაგან, ე. ი. მათ შორის არავითარი კავშირი არ არსებობს და დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ. თუმცა სულ სხვაგვარა-

და საქმე საპარლამენტო რესპუბლიკაში. აქ „პარლამენტარული მთავრობა ინარჩუნებს ორგანულ კავშირს თვით პარლამენტთან“[9] - ამბობს იურისტი. ამის პოზიტიურ მხარედ მიაჩნია ის, რომ ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს მთავრობის მოქმედებას სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის უთანხმოება-წინააღმდეგობისაგან, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს სახელმწიფოს სხვაგვარი ფორმით არსებობის პირობებში.[10]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობა და პარლამენტი ერთმანეთისაგან განცალკევებულობით არ სარგებლობენ.[11] ეს გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით. აქედან აღსანიშნავია შემდეგი: მინისტრები პასუხისმგებელნი იყვნენ პარლამენტის წინაშე; პარლამენტი საერთო კონტროლს ახორციელებდა უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე; მთავრობის თავმჯდომარე პასუხისმგებელი გახლდათ პარლამენტის წინაშე საერთო პოლიტიკისათვის; მინისტრი თანამდებობას ტოვებდა, თუ ის პარლამენტის პირდაპირი დადგენილებით კარგავდა მის (პარლამენტის) ნდობას; მთავრობის თავმჯდომარე ემორჩილებოდა პარლამენტის დადგენილებას; პარლამენტს შეეძლო მთავრობის წევრი პასუხისგებაში მიეცა; მთავრობა ყოველ წელიწადში პარლამენტს წარუდგენდა საქართველოს შინაგანი და საგარეო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას და პარლამენტს აძლევდა თავისი მოქმედების ანგარიშს; მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ეძლეოდა გამოეწვია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა, რომლის შესახებ პარლამენტისათვის უნდა მოეხსენებინა; მთავრობა ასრულებდა იმას, რასაც კანონი ან პარლამენტი დაავალებდა.

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა პარლამენტის გავლენის ქვეშ ექცეოდა, დამოკიდებული იყო წარმომადგენლობაზე. უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება საკუთარი ფუნქციური მდგომარეობით მჭიდროდ უკავშირდებოდა უმაღლეს საკანონმდებლო ხელისუფლებას, თუმცა პარლამენტი იურიდიულად თავისუფალი იყო

9. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 39.

10. იქვე, გვ. 39.

11. სახელმწიფო მმართველობის არცერთ პირობებში პარლამენტი და მთავრობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებენ. პარლამენტის საქმიანობა აღმასრულებელი ხელისუფლების გარეშე ქიმერია, ასევე აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ იმოქმედებს საკანონმდებლო ორგანოს გარეშე, ვინაიდან, იგი პარლამენტის მიერ განსაზღვრულ პოლიტიკას ახორციელებს. არ არსებობს პარლამენტი მთავრობის გარეშე და პირიქით, მთავრობა პარლამენტის გარეშე.

მთავრობისაგან, მაგრამ მთავრობა არ გახლდათ თავისუფალი პარლამენტისაგან. მათ შორის არსებობდა მჭიდრო კავშირი, ამ კავშირში უპირატესობა საკანონმდებლო ხელისუფლებას ენიჭებოდა.

ჩვენი აზრით, 1921 წლის კონსტიტუცია პარლამენტის „სხვაზე დამოკიდებულების“ ფორმასაც კი იცნობდა. გამოვყოფთ მისი შეზღუდვის ორ სისტემას:

ა) პარლამენტის სამართლებრივი აქტები, რასაკვირველია, აუცილებლად უნდა აღსრულდეს. ამისათვის საკანონმდებლო ორგანოს ჭირდება აღმასრულებელი ორგანოები, რომელთა გარეშე პარლამენტის მუშაობა ქიმერი იქნება. ამ თვალსაზრისით იგი ნაწილობრივ მაინც დამოკიდებულია მმართველობის ორგანოებზე;

ბ) 1921 წლის კონსტიტუცია ზღუდავს პარლამენტის საქმიანობას და მას დამოკიდებულს ხდის ერთ ძალაზე. ეს ძალა კი არის ხალხი, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდიოდა ფაკულტატური რეფერენდუმისა და ინიციატივის სახით.

ამდენად, ნებისმიერ დემოკრატიულ სახელმწიფოში პარლამენტის აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 69-ე მუხლი მთავრობის წევრებს უფლებას ანიჭებდა ყოფილიყვნენ იმავდროულად პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი (ტერმინი „ხმოსანი“ გულისხმობდა ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატს - ბ. ქ.).

კონსტანტინე მიქელაძე კი ამბობდა, რომ „მთავრობის წევრები, არჩეულნი პარლამენტის წევრთა შორის, წარმოადგენენ ნამდვილ გარანტიას იმისას, რომ მთავრობის პოლიტიკას ექნება ერთსახეობა.[12] იურისტი,როგორც ჩანს,მხარს უჭერდა იმ პრინციპს,რომლის თანახმად, მთავრობის წევრს უნდა ესარგებლა პარლამენტის დეპუტატის სტატუსით და რომელსაც ითვალისწინებდა 1921 წლის კონსტიტუცია.

ფიქრობენ, რომ პარლამენტარულ სახელმწიფოში უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების მატარებელი მინისტრები, აუცილებლად უნდა სარგებლობდნენ დეპუტატის წოდებით და პარლამენტის ნდობით. მთავრობის წევრები უნდა იყვნენ პარლამენტის უმრავლესობის წარმომადგენლები, ეს უდაო, მაგრამ პარლამენტარული მთავრობა შეიძლება არ იყოს შემდგარი უსათუოდ პარლა-

12. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 39.

მენტის წევრებისაგან. ისტორია იძლევა უამრავ მაგალითს, როდესაც პარლამენტარული კაბინეტი მთლიანად ან ნაწილობრივ არადეპუტატებისაგან შედგებოდა. პარლამენტარული სამინისტრო შეიძლება არ იყოს შედგენილი პარლამენტის წევრებისაგან და მაინც ახორციელებდეს პარლამენტარულ პრინციპს.[13]

კონსტანტინე მიქელაძემ მთავრობის პოლიტიკის „ერთსახეობა" და გამჭვირვალობა დაუკავშირა უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოსა და უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლების კავშირს, რომელიც გამოიხატებოდა პარლამენტში მთავრობის წევრის მოღვაწეობით, ე. ი. მინისტრის მიერ საკანონმდებლო ფუნქციების განხორციელებაში. ამ მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე პოლიტიკური დებატები მიმდინარეობდა.

ჯერ კიდევ, 1918 წლის 20 ივლისის საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე (თავმჯდომარეობდა გერონტი ქიქოძე) განსახილველად წარმოდგენილი იყო აღნიშნული პოლიტიკური თემა. წევრთა უმრავლესობა იზიარებდა იმ მოსაზრებას, რომლის თანახმად, პარლამენტის წევრი არ უნდა ყოფილიყო იმავე დროს სახელმწიფო დაწესებულების მოხელე. პარლამენტის წევრის თავისუფალი მოქმედებისათვის საჭიროა დაცული იქნეს მისი დამოუკიდებლობა მთავრობისაგან.[14]

საქართველოს კონსტიტუციის ზემოთ აღნიშნული ნორმა ულოგიკობას ადასტურებს. ამ პრინციპის განხორციელება ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან, პარლამენტს ეკისრებოდა საერთო კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. თუ პარლამენტის წევრი იმავდროულად შეითავსებდა მინისტრის თანამდებობას, მაშინ ეს, რასაკვირველია, გამოიწვევდა უსისტემობას ამ უწყებაში და კონტროლის სრულფასოვანი შესრულება შეუძლებელი გახდებოდა, აგრეთვე, ხელს შეუწყობდა ბიუროკრატიზმის დამკვიდრებას. ამიტომ დეპუტატი აღმასრულებელ სისტემაში საკუთარი საქმიანობის ზედამხედველობას ვერ განახორციელებდა, ე. ი. თავის თავს ვერ გააკონტროლებდა.

---

13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 182, ფურცელი 15.

14. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 201, ფურცელი 38.

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი გიორგი გვაზავა ბრძანებდა, რომ „ადამიანის ნებისყოფა მიმართულია სიკეთისაკენ, მაგრამ თუ კაცი ორგან იღვწის, მაშინ მისი ფსიქიკა იცვლება და კეთილისყოფას ადუნებს ამგვარად ორმაგი საქმიანობის ზეგავლენას ექნება ადგილი, რაც მეტად საზიანოა.[15]

ამ საკითხზე დეპუტატი ი. გობეჩია მიუთითებდა: „თუ კაცი ერთ ადგილას ნაყოფიერად მუშაობს, მეორე ადგილას იგი ველარ იმუშავებს შესაფერისად და ორგანვე შემცირდება მისი შრომის ნაყოფიერება".[16]

საერთოდ, ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში მიღებულია ისეთი წესი, რომ საკანონმდებლო ორგანოს წევრი არ უნდა იყოს იმავე დროს სახელმწიფო დაწესებულების მოხელე.

ყველაზე პარადოქსული ის გახლდათ, რომ 1921 წლის კონსტიტუციის ძალით, ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანს შეეძლო იმთავითვე ესარგებლა (პარლამენტის) დეპუტატის სტატუსით და იმუნიტეტით. აქედან გამომდინარე პარლამენტის წევრის, მინისტრისა და ადგილობრივი თვითმართველობის დეპუტატის იმუნიტეტთან დაკავშირებული საკითხი თავად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უნდა გადაეწყვიტა.

საქართველოს 1919 წლის 26 მარტის საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე მომხსენებელი ს. კედია მიუთითებდა, რომ თვითმართველობის ხმოსნობა და საკანონმდებლო ორგანოს წევრობა შესათავსებელია, ხოლო თვითმართველობის გამგეობის წევრობა და დამფუძნებელი კრების დეპუტატობა კი შეუთავსებელი.[17] ამ უკანასკნელ პოზიციას იზიარებდა ი. გობეჩია, რომელიც შესაძლებლად თვლიდა თვითმართველობის ხმოსნად ყოფნას, რადგან, მისი აზრით, ხმოსნობა ნაკლებ დროს და შრომას მოითხოვს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად, მთავრობის წევრს არ შეეძლო იმავე დროს დაეკავა სხვა თანამდებობა, უფლება ჰქონდა მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმართველობის ხმოსანი ყოფილიყო.

15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 7.

16. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 7.

17. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 6.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მინისტრი საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 80-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილი არ არის ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე სხვა საქმიანობიდან. თავის მხრივ, ძირითადი კანონის 53-ე მუხლის საფუძველზე, პარლამენტის წევრს უფლება არ აქვს ეკავოს რაიმე თანამდებობა სახელმწიფო სამსახურში ან ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას. კარგი იქნებოდა 1921 წლის კონსტიტუციას განესაზღვრა მთავრობის წევრის შეუთავსებლობის პრინციპი პარლამენტის და ადგილობრივი თვითმართველობის დეპუტატის თანამდებობასთან.

ჩვენი აზრით, აღმასრულებელი იმავდროულად არ შეიძლება იყოს კანონმდებელი და პირიქით, კანონმდებელი-აღმასრულებელი.

* * *

აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია გაკეთდეს მოკლე დასკვნა.

დემოკრატიულ სახელმწიფოებში, მითუმეტეს საპრეზიდენტო რესპუბლიკებში, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობა დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმართვაში, მისი მიმართულების ნორმალურ გაძღოლაში. კონსტანტინე მიქელაძემ ეს პრინციპი გაითავისა და მთავრობას „სახელმწიფოს საჭის" მპყრობელი უწოდა. მან უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების საპარლამენტო და კონსტიტუციური მთავრობების დეფინიცია ჩამოგვიყალიბა. ამავე დროს მხარს უჭერდა მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ ამ უკანასკნელმა გამოხატულება ვერ პოვა 1921 წლის კონსტიტუციაში. იურისტმა თავის დროზე დიდი მონაწილეობა მიიღო სამთავრობო დონის დებატებში და ღირსეული სიტყვა თქვა კონსტიტუციის მეხუთე თავის (რომელიც ეხება მთავრობას) ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების ჩამოყალიბებაში.

უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებაზე კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება პროგრესულობით ხასიათდება.

თავი ოცდამეცხრე

კონსტანტინე მიქელაძე და პრეზიდენტის თანამდებობის საკითხი

ცნობილი მოაზროვნე მაქს ვებერი ბრძანებდა, რომ „დემოკრატია, ეს არის პოლიტიკური წყობილება, როდესაც ხალხი ირჩევს თავის ლიდერს, რომელსაც ის ენდობა, ხოლო არჩეულ ლიდერს ხალხი ემორჩილება“.[1]

ასეთი ლიდერი საპარლამენტო რესპუბლიკაში არის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პარლამენტი, ხოლო საპრეზიდენტო მმართველობის დროს - პრეზიდენტი.

სიტყვა „პრეზიდენტი“ ლათინური (praesidens) წარმოშობისაა და ნიშნავს „თავში მჯდომს“.

პრეზიდენტის ინსტიტუტი გამოიყენება პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. პირდაპირი გაგებით პრეზიდენტი წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს მეთაურს, რომელსაც ირჩევენ გარკვეული ვადით, რაც შეეხება პრეზიდენტის გადატანით მნიშვნელობას, გულისხმობს დიდი დაწესებულების ან საზოგადოების თავმჯდომარეს.

პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს ხელმძღვანელი, მრავალფეროვანი უფლებებითა და ვალდებულებებით, სპეციფიკური სამართლებრივი მდგომარეობით სარგებლობს და იგი, თავისი სტატუსით, ბევრად აღემატება სხვა ორგანიზაციის ლიდერს. მას განსაკუთრებული საპატიო მისიის შესრულების მოვალეობა აკისრია. პრეზიდენტი წარმოადგენს მის ამომრჩეველთა ინტერესებს. იგი ერთპიროვნული მმართველია, მაგრამ შეზღუდვებს განიცდის ხელისუფლების სხვა უმაღლესი ორგანოებისაგან.

საქართველოში ერთპიროვნული მმართველობის ფორმა ისტორიის წყვდიადში წარმოიშვა. ქართველი მეფეები ინდივიდუალურად განაგებდნენ სახელმწიფოს პოლიტიკას და წარმოად-

1. Макс Вебер. Вопросы философии, №6, 1996 г. С. 15.

გენდნენ თავიანთ სამშობლოს საერთაშორისო ურთიერთობაში.

დემოკრატიულ საზოგადოებაში პრეზიდენტის ინსტიტუტის სიძლიერე და სიმყარე განაპირობებს სახელმწიფოს უშიშროებასა და უსაფრთხოებას. იგი მოქალაქეთა კეთილდღეობის გარანტია.

1918-1921 წლების დამოუკიდებელ საქართველოში პრეზიდენტის თანამდებობა იურიდიულად არ არსებობდა. 1917 წლის 19 ნოემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველ სხდომაზე საფუძველი ჩაეყარა საპარლამენტო რესპუბლიკას.

საქართველოს პირველ პრეზიდენტად აღიარებენ ნოე ჟორდანიას. ეს არ არის სწორი, რომელიც დასტურდება ყველასათვის ცნობილი გარემოებებით: ახალბედა სახელმწიფოში უზენაესი ხელისუფლება ეკუთვნოდა პარლამენტს, მთავრობის თავმჯდომარე პრეზიდენტის სტატუსით არ სარგებლობდა. ამ უკანასკნელს არ გააჩნდა პრეზიდენტისათვის დამახასიათებელი უფლებები და მოვალეობები. ეს ერთი. მეორე: თუ ჩვენ 1918-1921 წლების საქართველოს საპრეზიდენტო რესპუბლიკად ვაღიარებთ, მაშინ უდაოა, რომ არა თუ ნოე ჟორდანია, არამედ ნოე რამიშვილი[2] უნდა მივიჩნიოთ საქართველოს პირველ პრეზიდენტად, ვინაიდან, ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარის თანამდებობა პირველად მას ერგო, ხოლო ნოე ჟორდანია ამ უკანასკნელს ცოტა მოგვიანებით დაეუფლა. თუმცა ულოგიკოა პრეზიდენტის თანამდებობის არსებობაზე საუბარი, რადგან, ის 1921 წლის კონსტიტუციითაც არ ყოფილა გათვალისწინებული.

პრეზიდენტის ინსტიტუტი პირველად, საქართველოში, შემოიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ

---

2. ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი დაიბადა 1881 წელს, ჩოხატაურში, სოფელ დიდ ვანში. დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი და ქუთაისის სემინარია. სწავლობდა იურიევის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1907 წელს იგი გაემგზავრა გერმანიაში და სწავლა განაგრძო ლაიპციგის უნივერსიტეტში. 1913 წელს მუშაობა დაიწყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ორგანიზაციებში. იყო რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრი, ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე, საქართველოს შინაგან საქმეთა პირველი მინისტრი. ფლობდა გერმანულ და ფრანგულ ენებს. ნოე რამიშვილმა ემიგრაციაში ყოფნის დროს გამოაქვეყნა ნაშრომი - „დემოკრატიული სოციალიზმი". იგი 1930 წლის 7 დეკემბერს სიცოცხლეს გამოასალმა ქართველმა ემიგრანტმა, ივანე ჭანუყვაძემ. ნოე რამიშვილი დაკრძალულია საფრანგეთში, ბანიოს სასაფლაოზე - გ. შარაძე.



ნოე რამიშვილი

საქართველს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პირველი თავმჯდომარე.

ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 26 მაისს, როდესაც ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში. ზვიად გამსახურდიას ხმა მისცა მოსახლეობის 87-მა პროცენტმა, ვინაიდან, ეს საკითხები ზოგიერთებისთვის გაურკვეველია, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს ჩამოვაყალიბოთ იმ ადამიანთა სახელები, რომლებიც იყვნენ ამა თუ იმ უმაღლესი უწყების პირველი ხელმძღვანელები:

ა) საქართველოს პარლამენტის პირველი თავმჯდომარე ნოე ჟორდანია;

ბ) საქართველოს მთავრობის პირველი თავმჯდომარე ნოე რამიშვილი;

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე დავით ხელთუფლიშვილი;

დ) საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

ისტორიულად, საქართველოს მეორე პრეზიდენტია ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც საქართველოს მოსახლეობამ აირჩია 1995 წლის 5 ნოემბერს, პრეზიდენტის მორიგი არჩევნები საქართველოში ჩატარდა 2000 წლის აპრილის მეორე კვირა დღეს. ზედიზედ ორჯერ იქნა საქართველოში პრეზიდენტად არჩეული ბ-ნი ედუარდ შევარდნაძე.[3]

1991 წლის 14 აპრილს მიიღეს კანონი „საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დაწესების და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ (აქ იგულისხმება 1978 წელს მიღებული საბჭოური კონსტიტუცია ბ. ქ.), რომლის საფუძველზეც 18 აპრილს მიღებულ იქნა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“ ამ ფაქტით საქართველოს ისტორიაში პირველად იქნა გათვალისწინებული პრეზიდენტის ინსტიტუტი საქართველოს სახელისუფლებო სისტემაში.[4]

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში პრეზიდენტის თანამდებობასა და მთავრობის სტრუქტურას ეძღვნება მეოთხე თავი. აქ საუბარია მათ ურთიერთკავშირზე, ხოლო 1921 წლის კონსტიტუციამ უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას დაუთმო მეხუთე თავი, თუმცა არ გაითვალისწინა „პრეზიდენტის ინსტიტუტი“

3. ჟურნ. „აფხაზეთის მოამბე“, 2000 წელი, №4, გვ. 103.

4. ვ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, 1999 წელი, გვ. 224.

მისი უფლებამოსილება მთავრობის თავმჯდომარეს გადასცა.

შედარებითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვარკვიოთ თუ რა განმანსხვავებელი დებულებებია ჩადებული ორივე ძირითად კანონში:

ა) 1921 წლის კონსტიტუციამ უარყო საპრეზიდენტო მმართველობა. საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციამ კი უპირატესობა მიანიჭა პრეზიდენტის თანამდებობას და მისი უფლებამოსილება საეროო სახელმწიფოებრივ სისტემაში განუზომლად გაზარდა;

ბ) 1921 წლის კონსტიტუციის სპეციფიკური ნიშანი გახლავთ ისიც, რომ მან 1995 წლის ძირითადი კანონისაგან განსხვავებით უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება მთავრობას მიაკუთვნა, თანამედროვე კანონით კი იგი პრეზიდენტს ეკუთვნის;

გ) 1921 წლის კონსტიტუციით, მთავრობას ხელმძღვანელობს უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე, ხოლო 1995 წლის ძირითადი აქტის თანახმად, პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური;

დ) 1921 წლის კონსტიტუციით, მინისტრებს იწვევს მთავრობის თავმჯდომარე. თანამედროვე კანონმდებლობით კი მთავრობის წევრებს პარლამენტის თანხმობით ნიშნავს პრეზიდენტი;

ე) მთავრობის წევრები (მინისტრები) 1921 წლის უზენაესი სამართლებრივი აქტით, დამოუკიდებლად და პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით განაგებდნენ მათთვის მინდობილ უწყებას. ამჟამად მინისტრები პასუხისმგებელნი არიან და უფლებამოსილებას იხსნიან მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის წინაშე;

ვ) მინისტრების თანამდებობიდან განთავისუფლების პრეროგატივით 1921 წლის კონსტიტუციამ აღჭურვა პარლამენტი და მთავრობა. 1995 წლის კონსტიტუციის 80 მუხლის მე-3 ქვეპუნქტში პირდაპირაა ჩაწერილი, რომ „მთავრობის წევრის თანამდებობიდან გათავისუფლება შესაძლებელია პრეზიდენტის ბრძანებულებით ან პარლამენტის მიერ 64-ე მუხლით განსაზღვრული წესით“ (კონსტიტუციის დარღვევა, სახელმწიფოს ღალატი და სისხლის სამართლის სხვა დანაშაული, ე. ი. იმპიჩმენტი);

ზ) 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობას უფლება მიეცა ინიციატივის საფუძველზე პარლამენტში წარედგინა თავისი კანონ-პროექტი. „განსაკუთრებული საკანონმდებლო ინიციატივის“ უფლებამოსილებით აღმასრულებელი ხელისუფლების



ზვიად გამსახურდია

საქართველს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი.

მხრიდან ღღეს მხოლოდ პრეზიდენტი სარგებლობს;

თ) 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად, მთავრობის თავმჯდომარე კანონის აღსრულებისათვის გამოსცემდა ბრძანებასა და განკარგულებას. საქართველოს პრეზიდენტი კი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ღებულობს ბრძანებულებებსა და განკარგულებებს. ბრძანებულება ნორმატიულ აქტს უტოლდება. პრეზიდენტი გამოსცემს აგრეთვე კანონის ძალის მქონე დეკრეტს;

ი) 1921 წლის კონსტიტუციამ მთავრობის თავმჯდომარეს დააკისრა მეტად საპატიო ფუნქცია რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობა. თანამედროვე კონსტიტუციის ძალით, პრეზიდენტი საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში;

კ) 1921 წლის უზენაესი აქტით, ელჩებს სხვა სახელმწიფოში ნიშნავდა მთავრობის თავმჯდომარე. იგი ამ სფეროში დამოუკიდებლად მოქმედებდა, თუმცა ეს საკითხი სხვაგვარადაა მოწესრიგებული 1995 წლის კონსტიტუციაში. პრეზიდენტი მხოლოდ პარლამენტის თანხმობით უფლებამოსილია დანიშნოს და თანამდებობიდან გაათავისუფლოს საქართველოს ელჩები და სხვა დიპლომატიური წარმომადგენლები;

ლ) მთავარი განმასხვავებელი ნიშანი 1921 წლისა და 1995 წლის მთავრობებს შორის მაინც ის გახლავთ, რომ 1921 წლის კონსტიტუციით გათვალისწინებული მთავრობა იყო კოლეგიალური ორგანო. თუმცა დღევანდელი მთავრობა ამ პრინციპს მოკლებულია და იგი წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო (საკონსულტაციო) უწყებას. ამ უკანასკნელს არ აქვს რაიმე სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლება, ხოლო 1921 წლის უზენაესი კანონი მთავრობას ანიჭებდა დადგენილების, ხოლო მთავრობის თავმჯდომარეს ბრძანებისა და განკარგულების გამოცემის უფლებამოსილებას.

საქართველოს ეროვნულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში პრეზიდენტის თანამდებობის საკითხი, ჯერ კიდევ, 1918-1921 წლებში წარმოიშვა. საქართველოს დამფუძნებელი კრება და საკონსტიტუციო კომისია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღნიშნული თემის ირგვლივ დისკუსიას. პირველად სახელმწიფოებრივ დონეზე პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხთან დაკავშირებული

ასპექტები პოლიტიკური დებატების ობიექტი გახლდათ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის დეკემბრისა და 1921 წლის იანვარ-თებერვლის სხდომებზე. პოლიტიკოსები აცნობიერებდნენ ბოლშევიზმის შემოტევის საშიშროებას და ყოველნაირად ცდილობდნენ კონსტიტუციის პროექტზე გენერალური განხილვის დაჩქარებას. ეს გახლავთ ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები, რომელთა დავიწყება ისტორიის დავიწყების ტოლფასია.

საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომებზე მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება-უარყოფის თაობაზე. დეპუტატთა უმრავლესობას საპრეზიდენტო მმართველობა იდეალად მიაჩნდა, თუმცა ბევრიც ნეგატიურად აფასებდა პრეზიდენტის თანამდებობას და ამისათვის არგუმენტებიც კი გააჩნდათ. ამ აღამიანთა რიცხვს მიეკუთვნება იურისტი კონსტანტინე მიქელაძე, რომელმაც თავისი პოზიცია-შეხედულება ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საკითხზე დააფიქსირა საკუთარ იურიდიულ ნაშრომსა და საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე. იურისტმა უარყო საპრეზიდენტო მმართველობა. უპირატესობა პარლამენტის უზენაესობასა და მთავრობის კოლეგიალურობას მიანიჭა, რაც აბსოლუტურად აღინიშნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციაში.

კონსტანტინე მიქელაძემ საკუთარი დამოკიდებულება პრეზიდენტის ინსტიტუტზე საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის ერთერთ სხდომაზე მოკლე წინადადებით დააფიქსირა: „მთავრობა პასუხისმგებელი უნდა იყოს. ჩვენ წინააღმდეგი უნდა ვიყოთ პრეზიდენტისა“.[5]

საპრეზიდენტო მმართველობის შემოღების საწინააღმდეგო არგუმენტებს ვხვდებით იურისტის ნაშრომში. იგი ბრძანებდა: „პარლამენტარულ მმართველობას უფრო მეტი სიმტკიცე აქვს ისეთ სახელმწიფოში, სადაც პოლიტიკურ განვითარებას შედეგად დიდი პოლიტიკური პარტიების დაარსება და შექმნა მოჰყვა, როგორც ინგლისში - ასევე ისეთ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოდის დიდი რიცხვი წვრილ პოლიტიკური პარტიებისა. ასეთ პირობებში პარლამენტარული მმართველობის შექმნი-

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი I, საქმე 181, ფურცელი 234.

სათვის საჭიროა კოალიციონური მთავრობა, ასეთი მთავრობა კი, როგორც პარტიების დროებითი კავშირის შედეგი, წამოყენებული განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზანთა მიღწევასთან ერთად. კოალიციაში შესულ ერთ-ერთ პარტიას შეუძლია ოპოზიციაში ჩადგეს და მაშინ მთავრობა, როგორც უმცირესობის წარმომადგენელი, იძულებული ხდება ძალა-უფლება აიყაროს. ამგვარ ცვალებადობას არ განიცდის პარლამენტარული მთავრობა შემდგარი თანამოაზრეთაგან და დაყრდნობილი ისეთ პარტიაზე, რომლის გარშემოც თავმოყრილია საკანონმდებლო დაწესებულების უმრავლესობა.

რა შემადგენლობისაც არ უნდა იქნეს მთავრობა პარლამენტარულ წყობილებაში, იქნება ის შემდგარი პარტიული ერთი სახით თუ განსხვავებული, მაინც ცხადია, რომ ამგვარი მმართველობითი ფორმა ხელს უწყობს იმას, რომ აღმასრულებელი ძალა უაღრესად შეესაბამებოდეს პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. მხოლოდ ამ სისტემით აღმასრულებელი ძალის შექმნა უზრუნველყოფს საკანონმდებლო დაწესებულების გავლენას და მისი სახელმწიფოებრივი უზენაესი ძალა, ვინაიდან, საკანონმდებლო ორგანოს სიმაგრე და სიმტკიცე ბევრად არის დამოკიდებული აღმასრულებელი ძალის დანიშვნა-გადაყენების შესაძლებლობაზე".[6]

კონსტანტინე მიქელაძემ საკანონმდებლო ორგანოს სიძლიერე და თვითმყოფადობა პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების მოხელეთა თანამდებობაზე „დანიშვნა-გადაყენებას" დაუკავშირა. იურისტს გამოყენებული აქვს ტერმინი „დანიშვნა", რაც ჩვენის აზრით, არასწორია. პარლამენტი წარმომადგენლობითი დაწესებულებაა. იქ ყველა საკითხი ხმების უმრავლესობით წყდება. ამდენად, ამა თუ იმ პირის თანამდებობაზე გამწესებას იგი არჩევით ახორციელებს.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 24 მაისის სხდომაზე კონსტანტინე მიქელაძე გამოსთქვამდა იმ მოსაზრებას, რომ მთავრობასაც უნდა მისცემოდა მოხელის დანიშვნა-გადაყენების უფლება, ხოლო ამ უკანასკნელს კი უფლება გადაყენების შემთხვევაში მთავრობის ეს გადაწყვეტილება გაესაჩივრებინა სასამართლოში.[7]

---

6. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 6.

7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 250.

როგორც გავარკვიეთ, იურისტი მიზანშეწონილად მიიჩნევდა ორივე (პარლამენტი-მთავრობა) ხელისუფლებისათვის იმ უფლების მინიჭებას, რომლის გამოყენებითაც ისინი მაღალ თანამდებობებზე აირჩევდნენ და დანიშნავდნენ საქართველოს მოქალაქეებს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 54 მუხლის „ო“ ქვეპუნქტში დეკლარირებულია ზოგადი ნორმა, რომელიც ეხება პარლამენტის პრეროგატივას, მაღალ თანამდებობებზე მოქალაქეთა არჩევის შესაძლებლობის შესახებ. მარტო ის რად ღირს, რომ პარლამენტის ფუნქციებში შედიოდა ისეთი უმნიშვნელოვანესი და საპატიო უფლებამოსილება, როგორიცაა მთავრობის თავმჯდომარის არჩევა.

კონსტიტუციაში არ არის მითითებული ისეთი აღმჭურველი ნორმა, რომელიც მთავრობას მისცემდა უფლებას დაენიშნა ესა თუ ის მოხელე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების (მთავრობის) თავმჯდომარის კონსტიტუციურ შესაძლებლობას, მოეწვია მინისტრები და დაენიშნა ელჩები სხვა სახელმწიფოში.

მართალია, 1921 წლის კონსტიტუციას პრეზიდენტის ინსტიტუტი იურიდიულად არ დაუმკვიდრებია, მაგრამ მისი უფლებამოსილება მთლიანად მთავრობის თავმჯდომარის ხელში გადავიდა. ძირითადი კანონით, სიტყვა „პრეზიდენტი“ არ არის გამოყენებული, მაგრამ ფაქტობრივად მის პრეროგატივას მიკუთვნებულ საკითხებს უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი ახორციელებდა.

სამართლიანად მიუთითებდა (ბოდიშს ვუხდი ძვირფას მკითხველს, რომ ხელმეორედ გვიხდება ლ. შენგელაიას სიტყვების ციტირება - ბ. ქ.) ლეო შენგელაია იმას, რომ „თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ მთავრობის თავმჯდომარეს უფლება ექნება ვკარი გამოიყვანოს, რესპუბლიკის წარმომადგენლობა იკისროს და განსაკუთრებული უფლებებით ისარგებლოს, ყველა ამის შემდეგ რაღა დარჩა? ცხადია, აქ დაკანონებულია მთავრობის თვითმპყრობელობა. ჩვენ კი წინააღმდეგი ვართ პრეზიდენტისა და, აგრეთვე, მთავრობისთვის ამდენი უფლებების მიცემისა.[8]

ნოე ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარის ის უფლებები, რომლებიც კონსტიტუციის პროექტში იყო ფორმირებული, უმნიშვნელოდ

8. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 10 დეკემბერი.

მიაჩნდა და მოითხოვდა ამ უფლებათა გაზრდა-გაფართოებას. მან უარყო ჩამოყალიბებული შეხედულება მთავრობის თვითმპყრობელობის შესახებ და საქართველოს კონსტიტუციაში დეკლარირებულ მმართველობის ფორმას „წმინდა პარლამენტარიზმის სისტემა“ უწოდა.[9]

სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა თუ ფრაქციებმა თავიანთი შეხედულებები და პრინციპული მოსაზრებები წამოაყენეს. საქართველოს დამფუძნებელ კრებაში საკმაოდ სერიოზულ დისპუტს ჰქონდა ადგილი. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან, წყდებოდა ქართული სახელმწიფოს, დემოკრატიის დიდად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის პოზიტიურად მოგვარება ყველა ეროვნული ძალის ინტერესებში შედიოდა. ქვეყანაში ისეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები განვითარდა, რომ შესაძლებელი გახდა საკმაოდ ლოგიკური და წინგადადგმული კონსენსუსის მიღწევა.

საქართველოს დამფუძნებელი კრება და საქართველოს საკონსტიტუციო კომისია იცნობდა კონსტიტუციის პროექტის საზოგადო და კონკრეტულ განხილვას.

„საზოგადო“ ნიშნავს ძირითადი პროექტის შესახებ საერთო მოხსენებას, დისკუსიას, ხოლო „კონკრეტული“ კი გულისხმობს კონსტიტუციის ამა თუ იმ თავის ან კონკრეტული მუხლის შესახებ მსჯელობას, დისპუტს.

ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელიტაში შრომატევადი საქმიანობა გამოიწვია პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების თაობაზე არაერთი კონცეფციის შემუშავებამ.

დემოკრატიულ საქართველოში ხელისუფლება ეკუთვნოდა ხალხს. ასეთ პირობებში პრეზიდენტის არსებობას მიზანშეუწონლად აღიქვამდნენ, მაგალითად, სოციალ-ფედერალისტი სამსონ დადიანი ამბობდა, რომ პრეზიდენტობის შემოღება იქ, სადაც სუვერენობა ეკუთვნის ხალხს, ყოვლად შეუძლებელია.[10] მისი აზრით, პრეზიდენტი თავისი უფლებებით იგივე მეფეა,[11] მსგავს შეხედულებას ავითარებდა ნოე ჟორდანია. იგი მიუთითებდა, რომ პრეზიდენტი მონარქის აჩრდილია.

უნდა აღინიშნოს, რომ საპრეზიდენტო მმართველობა თავისი არსით მონარქიულ პრინციპებს ეყრდნობა. მონტესკიემ თავისი

9. გაზეთი „საქართველო“, 1920 წელი, 4-5 დეკემბერი.
10. გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 18 დეკემბერი.
11. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 10 დეკემბერი.

თეორია შეიმუშავა ინგლისის მაგალითზე, ხოლო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციის ავტორები პრეზიდენტის თანამდებობის შექმნის დროს ნიმუშად ინგლისის მეფეს იყენებდნენ.

„პრეზიდენტი არის იგივე მონარქი, ცოტა ფერშეცვლილი. ამ სისტემის ჩვენს დემოკრატიულ წყობილებაში გადმოტანა დაუშვებელია“ - ამბობდა საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი კონსტანტინე ჯაფარიძე საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე.[12]

საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის პირველ თავმჯდომარეს სერგი ჯაფარიძეს არ მოუთხოვია პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება, მაგრამ, მისი აზრით, უნდა ყოფილიყო ისეთი კაცი, რომელიც განახორციელებდა პრეზიდენტის მოვალეობას. ჯაფარიძე ამბობდა, რომ „დავარქვამთ ამას პრეზიდენტს თუ პრეზიდენტის მოვალეობის ამსრულებელს, ერთი და იგივეა, მაგრამ საკონსტიტუციო კომისიამ ეს არ გაიზიარა და მიიღო ის წესწყობილება, როგორიც შვეიცარიაშია, სადაც პრეზიდენტი არ არის, არ არის მეფე, არამედ არის მთელი კოლეგია მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარე არის, ამავე დროს, სახელმწიფოს წარმომადგენელი“.[13]

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 19 დეკემბრის სხდომაზე აკაკი ჩხენკელი[14] ამბობდა, რომ „დემოკრატიას არ სურს არც მონარქი და არც მისი აჩრდილი“. ამ უკანასკნელში

---

12. გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 18 დეკემბერი.

13. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 858, ფურცელი 310.

14. აკაკი ჩხენკელი დაიბადა 1874 წელს, დაბა ხონში. დამთავრებული ჰქონდა ხონის სასწავლებელი. ერიხანს სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. ლექციებს ისმენდა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ლაიპციგისა და ჟენევის უნივერსიტეტებში. იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, ამიერკავკასიის საგარეო საქმეთა მინისტრი. 1918 წლის 26 იანვარს საქართველოს ეროვნული საბჭოს სახელით აკაკი ჩხენკელმა გახსნა ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. იგი გახლდათ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, საყურადღებოა საქართველოს წარმომადგენელი. ავტორია წიგნისა - „სახელმწიფო და ერი“, რომელიც 1939 წელს გამოქვეყნდა პარიზში. აკაკი ჩხენკელი გარდაიცვალა 1959 წელს. დაკრძალულია ლეონილის ქართველთა სამოსასაფლაოზე - გურამ შარაძე.

იგი პრეზიდენტს გულისხმობდა.

საქართველოში ერთმანეთს დაუპირისპირდა შვეიცარიის უპრეზიდენტო და ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო მმართველობა. ჩვენ წინა თავში დავახასიათეთ შვეიცარიის სახელმწიფო მმართველობა და აქ მასზე არ შევჩერდებით, მივუთითებთ მხოლოდ აშშ მმართველობით წყობილებაზე.

ამერიკის შეერთებული შტატები უძლიერესი დემოკრატიული სახელმწიფოა მთელს პლანეტაზე, მისი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე, ჯერ კიდევ, XX საუკუნის 20-იან წლებში მაღალ საფეხურზე იდგა. ამერიკას ოდითგანვე ერთპიროვნული მმართველი ჰყავდა პრეზიდენტის სახით. იგი იყო ჯარებისა და ფლოტის მთავარსარდალი. პრეზიდენტი სენატის უმრავლესობის თანხმობით ნიშნავდა ელჩებს, კონსულებს, უმაღლესი სასამართლოს წევრებს და ცენტრალური მმართველობის უმაღლეს მოხელეებს, სენატის თანხმობით იგი დებდა ხელშეკრულებებს უცხო სახელმწიფოებთან და ღებულობდა მათ წარმომადგენლობას. მას უფლება ჰქონდა ათი დღის ვადაში ვეტოთი უკანვე დაებრუნა კანონი პარლამენტისათვის. პრეზიდენტის უფლებამოსილებაში შედიოდა დაენიშნა ორივე პალატის „არაჩვეულებრივი კრებები“ და, ასევე, ვალდებული იყო პარლამენტის წინაშე წარედგინა მოხსენება ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ამგვარმა სისტემამ გამოხატულება ვერ ჰპოვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში. ამას უამრავი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები ედო საფუძვლად. ასეთი ერთერთი საფუძველი გახლდათ აღმასრულებელი ხელისუფლებისა და პარლამენტს შორის კონფლიქტის გამოწვევის დიდი ალბათობა. მიიჩნევდნენ, რომ პრეზიდენტი ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მთელს პოლიტიკურ ძალაუფლებას დაეპატრონებოდა (დაეუფლებოდა) და მხოლოდ ერთპიროვნული, მონარქის მსგავსი მმართველი გახდებოდა. ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა 1851 წელს საფრანგეთში, სადაც პრეზიდენტმა დახია ქვეყნის უზენაესი კანონი კონსტიტუცია და დაითხოვა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პარლამენტი. ამიტომ იყო,რომ კ. ჯაფარიძე პრინციპულად ამბობდა,რომ დემოკრატიზმი მოითხოვს კოლეგიალურ-მართვა-გამგეობას. ეს სისტემა ჩვენი სამი წლის პრაქტიკამ გაამართლა და იგი უნდა დარჩეს.

ზოგიერთი პოლიტიკოსი პრეზიდენტის უფლებების გადაცემას მთავრობის თავმჯდომარეს უკავშირებდა. სოციალ-დემოკრატ ვიქტორ თევზაიას მიაჩნდა, რომ ქართულ სახელმწიფოს უნდა ყავდეს მუდმივი მეთვალყურე, რომელიც განსაზღვრული ვადით აირჩევა - მთავრობის თავმჯდომარე.[15]

საქართველოს დემოკრატიულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ელიტაში „პრეზიდენტის" სახელი შიშს იწვევდა და ხშირად მონარქის ინსტიტუტთან ასოცირდებოდა. სწორედ ამიტომ მისი უფლებები 1921 წლის კონსტიტუციის ძალით, მთავრობის თავმჯდომარემ მიიისაკუთრა.

როდესაც საქართველოში კონსტიტუციის პროექტი იხილებოდა, პარალელურად პოლონეთის სეიმშიც დიდი დებატები მიმდინარეობდა ქვეყნის ახალი კონსტიტუციის ირგვლივ. იქ პრეზიდენტის წინააღმდეგ არავინ არ გამოსულა, მხოლოდ მემარცხენე სოციალისტების დაჟინებული მოთხოვნით ტერმინი „პრეზიდენტი" შეიცვალა „რესპუბლიკის მეთაურით".

საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი გიორგი გვაზავა 1920 წლის 17 დეკემბრის სხდომაზე მიუთითებდა, რომ საქართველოში კრიზისის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია დაფუძნდეს პრეზიდენტის თანამდებობა და მის გვერდით ისეთი კაბინეტი, რომელიც არის აღმასრულებელი ხელისუფლება.[16] გ. გვაზავა პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღებას აფუძნებდა მეტად სერიოზულ არგუმენტზე. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ახლო არის ისეთ ძლიერ და მოქიშპე ქვეყანასთან, როგორიცაა რუსეთი და სპარსეთი და მათგან რაიმე ზეწოლის შეკავებისა და უშიშროების უზრუნველყოფის გარანტიას პრეზიდენტის არსებობაში ხედავდა.[17]

როდესაც ვსაუბრობთ პრეზიდენტის ინსტიტუტზე, მაშინ საყურადღებოა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მოიცავს წარმომადგენლობის მეშვეობით საგარეო ურთიერთობის რეგულირებას.

ნებისმიერი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო, რომელიც აწარმოებს უსაფრთხო და კეთილსინდისიერ პოლიტიკას, საჭიროებს

15. გაზეთი „ერთობა", 1920 წელი, 16-17 დეკემბერი.
16. გაზეთი „სახალხო საქმე", 1920 წელი, 21 დეკემბერი.
17. გაზეთი „საქართველო", 1920 წელი, 4-5 დეკემბერი.

წარმომადგენლობის მიღინებას უცხო სახელმწიფოებში. ეს პრინციპი კი სახელმწიფოს სუვერენიტეტის მაჩვენებელია. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით უმაღლესი წარმომადგენლობა ეკუთვნოდა მთავრობის თავმჯდომარეს, უკანასკნელი კი ნიშნავდა ელჩებს სხვა სახელმწიფოში და უცხო ქვეყნის ელჩები წარმოიგზავნებოდნენ მასთან.

სახელმწიფოს წარმომადგენლობა აგებული უნდა იყოს მოქალაქეთა საერთო ინტერესებზე. ყველა საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც იდება ქვეყნებს შორის, უნდა განისაზღვრებოდეს ეროვნული პრინციპებით.

ჩვენი აზრით, წარმომადგენლობა დიფერენცირდება სამ ჯგუფად:

ა) მოქალაქეთა წარმომადგენლობა ქვეყნის შიგნით;

ბ) მოქალაქეთა წარმომადგენლობა საგარეო ურთიერთობაში;

გ) მოქალაქეთა წარმომადგენლობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

„ქვეყნის შიგნით მოქალაქეთა წარმომადგენლობა“ ხორციელდება პარლამენტში. აქ ხალხის მიერ არჩეული დეპუტატები იცავენ და გამოხატავენ მათ ინტერესებს.

„საგარეო ურთიერთობაში მოქალაქეთა წარმომადგენლობას“ ასრულებს პრეზიდენტი, ელჩები, სხვა დიპლომატიური წარმომადგენლები.

ჩვენ გამოვყავით წარმომადგენლობის მესამე ფორმა „ადგილობრივი წარმომადგენლობა“. ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები - საკრებულოები ყოველთვის დაკომპლექტებულია მოქალაქეთა მიერ არჩეული დეპუტატებით.

წარმომადგენლობის აღნიშნულმა სამივე სისტემამ გამოხატულება ჰპოვა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

საგარეო ურთიერთობაში წარმომადგენლობას ეხება ძირითადი კანონის 70-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი. ქვეყნის შიგნით წარმომადგენლობას არეგულირებს 46-ე მუხლის პირველი ქვეპუნქტი, ხოლო ადგილებზე წარმომადგენლობის არსებობას განსაზღვრავს კონსტიტუციის 69-ე მუხლის ბოლო ფრაზა.

წარმომადგენლობის საკითხს საგანგებოდ ეხება კონსტანტინე მიქელაძე. მიზანშეწონილია გავაშუქოთ აღნიშნულ თემაზე იურისტის შეხედულება, გამოვარკვიოთ თუ რა ადგილი უჭირავს

მის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში წარმომადგენლობის როლს.

კონსტანტინე მიქელაძე ამბობს, რომ ახლად შექმნილ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც მთავრობის საკითხი ელიტარული საზოგადოების წინაშე სამსჯავროდაა გამოტანილი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს წარმომადგენლობის სისტემის ჩამოყალიბებასა და მის განვითარებას. იურისტი სახელმწიფოს ნორმალურ არსებობას სხვა სახელმწიფოებში მისი წარმომადგენლობის ფუნქციონირებას უკავშირებს. მიქელაძის აზრით, არ შეიძლება დემოკრატიულმა სახელმწიფომ იარსებოს იზოლირებულად, სხვა ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის გარეშე. სწორედ ამიტომ ვამბობთ, რომ სახელმწიფო სოციალური მოვლენაა, გარესამყაროსთან მისი დე-ფაქტო და დე-იურე ყოფიერება დიპლომატიურ ურთიერთობებს ეფუძნება. კონსტანტინე მიქელაძე ამბობს, რომ „დემოკრატიის ინტერესების თვალსაზრისით სრულიად არ არის სულ ერთი ის, თუ ვინ არის სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, რა ადგილი უკავია ერთპიროვნულ ან კოლეგიალურ წარმომადგენელს.[18]

იურისტის აზრით, წარმომადგენლობამ უნდა აწარმოოს საკუთარი სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა, რომ წარმომადგენლობის სისტემა აგებული უნდა იყოს ხალხის სახელმწიფოებრივ ინტერესებზე. ნამდვილი სამოქალაქო დიპლომატია დემოკრატიის ნაყოფია.

საქართველოს 1921 წლის 70-ე მუხლი მთავრობის თავმჯდომარეს ანიჭებს რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობას. ეს გახლავთ ყველაზე საპატიო მისია, რომელიც პრეზიდენტის ინსტიტუტს უტოლდება. ამ მუხლმა თავის დროზე მწვავე კამათი გამოიწვია საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრებს შორის. ზოგი მის შინაარსს უარყოფდა, ზოგი კი მის ტერმინებზე ამახვილებდა ყურადღებას.

მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 21 აპრილის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ პ. საყვარელიძემ წამოაყენა წინადადება, რომ სიტყვები „არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი“ შეცვლილიყო შემდეგით: „არის პირველი თანასწორთა შორის“.[19]

---

18. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

როგორც ჩანს, აღმოცენებული განსხვავებული შეხედულების მიუხედავად, კომისიამ უცვლელად დატოვა კანონის პირვანდელი რედაქცია.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 68, 70 და 73 მუხლები გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ძირითადი კანონი აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემაში ამკვიდრებდა ერთპიროვნული მმართველის ინსტიტუტს. აქ პრეზიდენტის უფლებები გადაცემული აქვს მთავრობის თავმჯდომარეს - უმაღლეს წარმომადგენელს. მიეღიცართ იმ დასკვნამდე, რომ 1921 წლის კონსტიტუციამ დაამკვიდრა პრეზიდენტის თანამდებობა მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სახელწოდება „პრეზიდენტი" ძირითად კანონში შეცვალა „მთავრობის თავმჯდომარემ". ამის შესახებ კონსტიტუციის პროექტის ავტორებიც მიუთითებდნენ.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის წევრი, ფრიად საყურადღებო პიროვნება და თანამედროვე საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი იესე ბარათაშვილი აღნიშნავდა, რომ მთავრობის თავმჯდომარეს კონსტიტუცია მეტად დიდ უფლებებს ანიჭებს. კაცი იფიქრებს კიდევაც, რომ იგი პრეზიდენტია.[20]

კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გამოსარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ეროპიროვნული და კოლეგიალური მმართველობის შესახებ მის შეხედულებებს.

ერთპიროვნულ მმართველში კონსტანტინე მიქელაძე გულისხმობს პრეზიდენტს, როგორც არჩეულ პიროვნებას, რომელსაც ეკუთვნის მთელი აღმასრულებელი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, იგი დგას სახელმწიფოს მორფოლოგიის მწვერვალზე. იურისტის აზრით, სახელმწიფოს ერთპიროვნული მართველის ანუ პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი ორი მიმართულებით უნდა წარმოებდეს:

ა) პრეზიდენტმა პასუხი უნდა აგოს იმ დანაშაულისათვის, რომლებიც კონსტიტუციაში არის აღიარებული და

ბ) აგრეთვე, იმ შემთხვევაში, თუ იგი „გადაუხვევს ან ულალატებს"[21] ხალხის ჭეშმარიტ ნებას.

---

19. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 211.

20. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 182, ფურცელი 7.

პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი სხვადასხვა დროს და ქვეყნებში თავისებურებით გამოირჩეოდა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის 17 ოქტომბრის კონსტიტუციით, პრეზიდენტი პასუხისმგებელია ღალატის, მექრთამეობის და სხვა მძიმე ბოროტმოქმედებისათვის. საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუციური კანონის მე-6 მუხლის ძალით, პასუხს აგებდა მხოლოდ სახელმწიფოს ღალატისათვის.

რასაკვირველია, საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, მთავრობის თავმჯდომარე დე-იურე არ სარგებლობდა პრეზიდენტის სტატუსით, მაგრამ კანონმა გაითვალისწინა მისი პასუხისმგებლობა კონსტიტუციის - ქვეყნის უზენაესი კანონის დარღვევისათვის.

თითქმის ანალოგიურად წყდება საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციაში პრეზიდენტის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ იგი აფართოებს დანაშაულთა წრეს. პრეზიდენტი პასუხს აგებს არამარტო კონსტიტუციის, არამედ სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის.

კონსტიტუციის დარღვევის, სახელმწიფოს ღალატის და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის[22] პარლამენტი უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს საქართველოს პრეზიდენტი, თუ, რასაკვირველია, კონსტიტუციის დარღვევისათვის არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ხოლო სახელმწიფოს ღალატისა და სისხლის სამართლის სხვა დანაშაულისათვის, უზენაესი სასამართლოს დასკვნა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია იურიდიულად არ ქმნიდა ინდივიდუალურ მმართველობას, არამედ მან საფუძველი ჩაუყარა კოლეგიალურ ორგანიზაციას, სტრუქტურას.

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებდა: „მაშინ კი, როდესაც მთავრობის მოთავე კოლეგიალურია, სახელმწიფოს ინტერესები

---

21. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 43.

22. ვინაიდან, „სახელმწიფოს ღალატი" საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით დამოუკიდებელ შემადგენლობადაა აღიარებული, ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია კონსტიტუციის ამ მუხლიდან ამოღებულ იქნას „სახელმწიფო ღალატი", რადგან, იგი თავისთავად „სისხლის სამართლის სხვა დანაშაულში" იგულისხმება.

გაცილებით ხელსაყრელ პირობებში იქნებიან ჩაყენებულნი.[23]

აქვე მახსენდება ცნობილი იურისტის, საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველი თავმჯდომარის რაჟდენ არსენიძის პრინციპული დებულება: „დემოკრატიულ იურიდიულ მეცნიერებას უდაოდ მიაჩნია ერთი რამ – კოლეგიალობა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანიზაციისა“.

კონსტანტინე მიქელაძემ საჭიროდ არ ჩათვალა სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველობითი ორგანიზაციის შექმნა. იურისტის აზრით, კოლეგიალური მთავრობა, მისი შემადგენლობა უკეთ აწარმოებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მთავრობის საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნაჩვენებ კალაპოტში. მიქელაძის შეხედულებით, თუ მთავრობა უარყოფს პარლამენტის უზენაეს ძალას, მის პოლიტიკას და, რაც მთავარია, ხალხის ინტერესებს,იგი დაუყოვნებლივ უნდა გადადგეს. ამის მაგალითად მას მოჰყავს ამიერკავკასიაში შექმნილი მდგომარეობა, როდესაც მინისტრთა საბჭოს შეხედულება ომის შესახებ უარყო საკანონმდებლო ორგანომ (სეიმმა), რამაც გამოიწვია კაბინეტის დაცემა.

„საქართველოს რესპუბლიკამ, მიუთითებს კონსტანტინე მიქელაძე, შეითვისა პარლამენტარული პრინციპი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა. მისი პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობა ნათლად ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის სრულიად არ არის საჭირო ერთპიროვნული სახელმწიფოს მოთავე, რომლის მოვალეობის ასრულება პარლამენტარული რეჟიმის პირობებში პასუხისმგებელი მთავრობისგან ხალხისთვის უფრო სასარგებლო იქნება. საქართველომ მძიმე გარდამავალ ხანაში თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს და მთავრობის საქმიანობის საშუალებით შესძლო ეწარმოებინა სწრაფი და საღი ეროვნული პოლიტიკა, რაც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ნორმალურ პირობებში მისი პასუხისმგებელი მთავრობა შესძლებს უფრო მეტ ნაყოფიერ საქმიანობას საგარეო პოლიტიკაში და მით ნათლად დაამტკიცებს, რომ არ არსებობს არავითარი საჭიროება ერთპიროვნული სახელმწიფოს მოთავეში.[24]

---

23. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

ახლა კი გავარკვიოთ, აისახა თუ არა კონსტანტინე მიქელაძის აღნიშნული შეხედულება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში.

ძირითადმა კანონმა დაამკვიდრა კოლეგიალური მმართველობა. ამას ადასტურებს პრეზიდენტის ინსტიტუტის უარყოფა, უმაღლესი მმართველობის აღმასრულებელი ხელისუფლების მთავრობისადმი მიკუთვნებადობა და მთავრობის სამართალშემოქმედება, რომელიც გამოიხატებოდა მთავრობის თავმჯდომარის მიერ ბრძანებისა და განკარგულების, ხოლო მთავრობის მიერ დადგენილების გამოცემაში. თანამედროვე კანონმდებლობით, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის პრეზიდენტს და მთავრობა არ სარგებლობს ნორმატიული აქტების გამოცემის უფლებით, იგი არ არის კოლეგიალური ორგანო, არამედ პრეზიდენტის საათათბირო-საკონსულტაციო უწყებაა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის სულისკვეთება, იდეა ეფუძნება ქართველი ერის ინტერესებს, ეროვნულ იდეოლოგიას. მასში ასახულია დემოკრატიული რეჟიმის უპირატესობა და კოლეგიალური მმართველობა.

* * *

საქართველო დემოკრატიისა და თავისუფლების ფესვებზე ამოზრდილი სახელმწიფოა. იგი არასდროს არ იყო შოვინისტური იდეალებით გაჟღენთილი, მისი სახელმწიფოებრივი მმართველობა, რომელიც ისტორიის წყვდიადში წარმოიშვა, ოდითგანვე ერთპიროვნულ ხელმძღვანელობაზე გახლდათ ორიენტირებული. ეს არ ყოფილა პირადი ან პოლიტიკური თვითმიზანი. მას ასულდგმულებდა ეროვნული ინტერესები. თუ აქამდე საქართველომ მოაღწია ძლევამოსილად, ეს, რასაკვირველია, იმ ქართველ მეფეთა დამსახურებაა, რომლებიც ქართველი ერის ინტერესების გათვალისწინებით ერთპიროვნულად განაგებდნენ საქართველოს მრავალსაუკუნოვან სახელმწიფოებრივ მმართველობას. ჩვენში პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ საჭიროა არსებობდეს პრეზიდენტის ინსტიტუტი. იგი უზრუნველყოფს საკუთარი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებს, წარმოადგენს

24. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45-47.

მათ საერთაშორისო ურთიერთობაში. საქართველოში არ უნდა მოხდეს საპრეზიდენტო მმართველობის შეცვლა, ერთპიროვნული ორგანიზაციის უარყოფა. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს დემოკრატიული სულის დაჩრდილვას და მონარქიული წყობილების დამკვიდრებას. პირიქით, რესპუბლიკაში პრეზიდენტი ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობის გარანტია. საქართველომ ერთპიროვნული ხელმძღვანელობა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი გამოცდილების წყალობით შეისისხლხორცა, გაითავისა. უნდა ითქვას, ჩვენი აზრით, ერთი უდაო ჭეშმარიტება: 1921 წლის საქართველოს სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამხობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი გახლდათ ის, რომ ქართულ სახელმწიფოს არ ჰყავდა ისეთი მტკიცე ხელმძღვანელი, რომელიც შეიმეცნებდა საქართველოში და მთელს რუსეთის იმპერიაში განვითარებულ რადიკალურ პოლიტიკურ პროცესებს და მათ მისცემდა სათანადო შეფასებას.

კარლ კაუცკი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს გაეცნო მეორე ინტერნაციონალის ცნობილი ლიდერი კარლ კაუცკი, რომელიც ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1920 წლის 29 დეკემბრის სხდომაზე კარლ კაუცკიმ განაცხადა:

„..თქვენი კონსტიტუციის პროექტი ჩემზე კარგ შთაბეჭდილებას ახდენს, თუმცა კონსტიტუციაში არის ზოგიერთი ისეთი მუხლი, რომელიც ჩემი შეხედულებით, შესწორებას მოითხოვს. ავიღოთ პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც არ შეიძლება არჩეულ იქნეს მეორე წელშიც. თავმჯდომარე თუ სარგებლობს პარლამენტის სხდობით, თუ ის მტკიცედ დგას თავის სიმაღლეზე, რათ არ უნდა იყოს მეორეჯერ და მესამეჯერ არჩეული? გამოდის რომ, მიუხედავად იმისა, ვარგა თუ არა, მეორე წელში ვერ იქნება არჩეული. თუ თქვენ კარგად იცით, რა ძნელია კარგი თავმჯდომარის მოძებნა, რა საჭიროა ასეთი დადგენილებით წინასწარ შეიკროთ ხელი?

ასეთი შეზღუდვა მიმაჩნია დემოკრატიის უფლებათა შეზღუდვად, და ვფიქრობ უკეთესი იქნებოდა, რომ ეს მუხლი სულაც არ ყოფილიყო კონსტიტუციაში. (მუხლი რატიფიცირებულ კონსტიტუციაში ამოღებულია ბ. ქ.). ასევე ითქმის მთავრობის თავმჯდომარის შესახებ, რომლის არჩევა პროექტის ძალით ზედიზედ შეიძლება ორი წლით. ჩემთვის ეს პირდაპირ გაუგებარია. თქვენ ალბათ სახეში ჰქონდათ მონარქიული საფრთხე, მარა ეს თქვენ სინამდვილეში ხომ ყოვლად წარმოუდგენელია. სრულებით არ მესმის რად უნდა გადაისროლო არქივში მთავრობის ისეთი თავმჯდომარე, რომელიც გამოიჩენს საქმის უნარსა და დიდ გამჭრიახობას, რომ თქვენში იდგეს საკითხი პრეზიდენტის შესახებ, რომლის ფუნქცია მხოლოდ წარმომადგენლობითი ხასიათისაა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მისი ვადის განსაზღვრა. მთავრობის თავმჯდომარის შესახებ კი ეს მე მიუღებლად მიმაჩნია.

ასეთსავე შეზღუდვას დემოკრატიისათვის ვხედავ მე იმ მუხლებში, რომლითაც აკრძალულია დეპუტატად არჩევა ისეთი პირ-

ისა, რომელსაც რაიმე თანამდებობა უჭირავს სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის სამსახურში. ჩვენში ეს ასე არ არის. იმ პირს, რომელიც სამსახურში ირიცხება დეპუტატობის დროს ეძლევა შვებულება. ამნაირად ის რჩება ორნაირი გამოსადეგი პარლამენტში და სახელმწიფო დაწესებულებაში. ეს განსაკუთრებით საჭირო იქნება თქვენთვის, ვინაიდან, განზრახული გაქვთ სოციალიზაციის გატარება ახალ-ახალ სახელმწიფო დარგებში".[25]

გრიგოლ ლორთქიფანიძე პრეზიდენტის თანამდებობის შესახებ

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ხელმძღვანელი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე 1921 წელს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში არ წასულა. ის დააპატიმრეს და გააგზავნეს ვლადიმირის გუბერნიის ქ. სუზდალის საპყრობილეში, სადაც 1925 წლის მარტში დაწერა „პოლიტიკური ანდერძი" მასში ბევრ-საინტერესო საკითხთან ერთად პრეზიდენტის თემასაც შეეხო.

„1921 წელს მიღებული კონსტიტუციით უარყოფილია პრეზიდენტის თანამდებობა. უნდა ითქვას, რომ ეს გადაწყვეტილება მეტად მწიგნობრული და დოგმატიური იყო. ესაოდა თითქმის ყველა დემოკრატებზე უფრო დემოკრატობა უნდა დაგვემტკიცებია და თანაც მონარქიზმის საფრთხიდან თავი დაგვეზღო. საქართველოში ქართული მონარქიის რესტავრაციის შიში ეს ხომ უსაფუძვლო და გასართობი სიზმარია, თვით საქართველო ასეთ რამეს თავის ძალებით, დამოუკიდებლად, რა თქმა უნდა, არ მოახდენს, ხოლო თუ გარეშე ძალებმა მოახვიეს რაიმე ამგვარი, უპრეზიდენტობა ამას ვერ უშველის; ერთი სიტყვით, ბონაპარტიზმი საქართველოში მეოცე საუკუნეში უსაფუძვლო შიშია და ამ ჩრდილის შიშის გამო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ილახებოდეს ერისა და სახელმწიფოს სიმართლე და სიძლიერე. ხოლო თუ სადმე კი არის საჭირო

25. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1825. ანაწერი 1, საქმე 129, ფურცელი 140-141.



გრიგოლ ლორთქიფანიძე

საქართველს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სამხედრო და განათლების მინისტრი.

საკმაო უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, ეს გახლავთ სწორედ საქართველო, რომელიც დღეს იმყოფება გამოლიანების პროცესში. სადაც გადაჭარბებული პარტიულ-პოლიტიკური და სხვა სახის პარტიკულარიზმი უფრო ფეოდალურ-ტომობრივ ნაშთის ელფერს ატარებს, ვიდრე კანტონალური დემოკრატიის იერს და სადაც სახელმწიფო მთლიანობისა და სიმტკიცის ემბლემა და ფაქტი მეტის რეალობით უნდა იხატებოდეს.

პრეზიდენტი, დაახლოებით ამერიკა-გერმანიის პრეზიდენტის უფლებებით აღჭურვილი, სრულიად აუცილებელი და მიზანშეწონილია საქართველოსთვის. სხვანაირად კითხვის გადაჭრა იქნება არაცხოვრების ნაკარნახევი, არამედ წიგნებიდან მონაბერი დოქტრინიოსობა და, უკაცრავად პასუხია, შეიძლება მეტიჩრობაც. უპრეზიდენტო სახელმწიფოში პრეზიდენტის მაგივრობას სწევს მთავრობის თავმჯდომარე, ესე იგი, მთავრობა; ხოლო მთავრობა და მისი თავმჯდომარე მუდამ პარტიულია, ხშირად მისი მდგომარეობა შერყეულია. რასაკვირველია, პრეზიდენტიც ამა თუ იმ პარტიის წევრი და კანდიდატია, მაგრამ არჩევის შემდეგ, სანამ მას ყავლი არ გასულია, ის უნდა ასახიერებდეს ერის მთლიანობას და საჭიროების დროს თანახმად კონსტიტუციისა მისი ნების აქტიური გამომხატველი და შემსრულებელიც უნდა იყვეს. ასეთი ზეპარტიული, ხალხის მთლიანობის გამომხატველი ერისთავი სჭირია საქართველოს, რომლის განვითარების დღევანდელი სტადია მოითხოვს მტკიცე და სუვერენულ დემოკრატიზმს, მაგრამ ცენტრალიზმთან შეხამებულს".[26]

26. ჟურნ. „საისტორიო ჟურნალები", 1991 წელი, №1, გვ. 68.

ნაწილი მერვე

თავი ოცდამეათე

კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება დემოკრატიულ რეჟიმზე

დიდი ფილოსოფოსი და კოლოსალური მოაზროვნე სოკრატე იმ სახელმწიფოს, სადაც გამგებლობაში ყველას ძალუძს შესვლა, დემოკრატიასთან აიგივებდა.[1] სოკრატეს პოლიტიკურ შეხედულებებში ყურადღებას იპყრობს მის მიერ სახელმწიფოს შესახებ გარკვეული აზრის ჩამოყალიბება. იგი ცნობდა ისეთ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომლის სტრუქტურა ჰუმანიზმსა და ცოდნაზე იყო აგებული.[2] ფილოსოფოსის აზროვნებაში იკვეთება დემოკრატიისა და ჰუმანიზმის ურთიერთკავშირის იდეა. ეს ორი ცნება ერთმანეთს არ გულისხმობს, მაგრამ თანაარსებობენ, ურთიერთს განაპირობებენ. დემოკრატია, როგორც პოლიტიკური რეჟიმი, ხალხის მმართველობას ნიშნავს და იმთავითვე ჰუმანისტურ სულისკვეთებას გამოხატავს. დემოკრატიული წყობილება ჰუმანიზმს ეფუძნება. ნამდვილი და არამოჩვენებითი დემოკრატია ისტორიულად ხალხის უფლებებს ემსახურებოდა და ამდენად, იგი ჩვენს მიერ აღიქმება ჭეშმარიტების უმაღლეს ინსტანციად, სადაც დომინირებს სამართლიანობა და, რაც მთავარია, დიდი ჰუმანიზმი. დემოკრატიისა და ჰუმანიზმის განუყოფლობა ის მძლავრი ბერკეტია, რომელსაც ემყარება ნამდვილი დემოკრატია.

1918-1921 წლებში პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები არ დავობდნენ იმის შესახებ, რომ საქართველო ყოფილიყო თუ არა დემოკრატიული სახელმწიფო, ვინაიდან, ხალხის მართველობას, ჯერ კიდევ, 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაციით ჩაეყარა საფუძველი, რომელიც მტკიცე იყო 1921 წლის 25 თებერვლამდე, მაგრამ დისკუსიას იწვევდა სხვა პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც დემოკრატიულ წყობილებას უკავშირდებოდა.

დემოკრატიული რეჟიმი მარტოოდენ ხალხის ძალაუფლებას

1. ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე, IV, 6 12.
2. სერგი დანელია, სოკრატეს ფილოსოფია, თბ. 1936 წელი, გვ.31.

არ ნიშნავს. იგი ურთულესი მოვლენაა, პოლიტიკური აზროვნების განვითარების ფონზე ინტერესთა სფეროს, უფლებების დაცვის, სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შექმნის საკითხი ღიღი სიმწვავით იხილებოდა. დემოკრატიულ სახელმწიფოში ხალხის ინტერესები სრულად რომ იქნეს უზრუნველყოფილი, ამისთვის აუცილებელია იმ სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი სტრუქტურების, ორგანიზაციების არსებობა და ნორმალური ფუნქციონირება, რომლებიც დემოკრატიული რეჟიმის მტკიცე შეგნებას გამოხატავენ.

კონსტანტინე მიქელაძე თავის შეხედულებებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებსა და თავისუფლებებს. იურისტი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ უფლებათა სრულმაშტაბიანი რეალიზაცია და ცხოვრებაში გატარება შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტად დემოკრატიულ სახელმწიფოში.

პირველ დემოკრატიულ საქართველოში „დემოკრატია" განიხილებოდა როგორც „ნებაყოფილობით, ერთი იდეით, აზრით და მისწრაფებით გამსჭვალული ხალხის კრებული, რომელსაც აერთიანებს ეკონომიკური და კულტურულ-პოლიტიკური ინტერესები. დემოკრატიზმი ეს მხოლოდ სახელმწიფო აპარატის ისეთნაირად მოწყობაა, რომ იგი მთელი თავის ძალდამტანებელი საშუალებებით დემოკრატიას ხალხს უწევს ანგარიშს, მის ინტერესებს ემსახურება. თუ სახელმწიფო თვითმპყრობელურია - მისი ძალდატანება მხოლოდ მეფისა და მისი კარისკაცების სასარგებლოდ ატრიალებს სახელმწიფოს მანქანას - ხალხი კი იტანჯება. დემოკრატია აწარმოებს ძალდატანებას უმრავლესობის სურვილით, უმცირესობის წინააღმდეგ. აქ ხალხი, მილიონები ბატონობენ ათასებზე და მათგან მოითხოვენ საყოველთაო გადაწყვეტილების ასრულებას, ხოლო ურჩთ და შეუსმენელთ სახელმწიფო ძალდატანებითი საშუალებებით აიძულებენ ხალხის სურვილს არ გადაუდგნენ.

ამრიგად, დემოკრატიაც ძალდატანებაა, მაგრამ ძალდატანება სამართლიანი, რადგან იგი ხალხის უმრავლესობას ეყრდნობა და მის სურვილებს შეიცავს.[3]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია მიუთითებდა, რომ დემოკრატია - ეს

3. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 9 იენისი.

ხალხის პოლიტიკური ბატონობაა. ეს პოლიტიკური თვითმართველობაა, ე. ი. ისეთი წყობილებაა, რომლის დროს ხალხმა უნდა გამოიჩინოს უნარი და ნიჭი, რომ თავისი თავი თვითონ მართოს, განაგოს, უნდა იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი.[4]

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის უმთავრესი მიზანი გახლდათ: „უაღრესად დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება".[5]

იურისტი განგვიმარტავს დემოკრატიის მნიშვნელობას და მთელი მონდომებითა და არსებით ცდილობს დაასაბუთოს სახელმწიფოში მოქალაქეთა უფლებების უზენაესობა. იგი პრინციპულად აყენებს საკითხს ამ უფლებათა დაცვის გარდუვალობის შესახებ. კონსტანტინე მიქელაძე უფლებამოსილ ფუნქციონირებად სახელისუფლებო ინსტიტუტებს ავალდებულებს შექმნან რეალური გარანტია, რომ მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცეს მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ ცხოვრებაში. მისი აზრით, პოლიტიკურ უფლებათა რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახელმწიფო დემოკრატიულ საწყისებზეა აგებული და სახელმწიფო ხელისუფლების განშტოებები არ არის მოქცეული ერთი პირის ან ორგანოს გავლენის ქვეშ. მხოლოდ დემოკრატიული წყობილება წარმოადგენს იმ ძალას და საშუალებას, რომლის წყალობით ხალხი აქტიურად ერთვება ქვეყნის მმართველობით პროცესებში, ვინაიდან, როგორც ამბობდნენ „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია ხელმწიფება ხალხს ეკუთვნოდეს".[6]

კონსტანტინე მიქელაძე შემდეგნაირად განსაზღვრავს დემოკრატიული წყობილების შინაარსს: „უეჭველია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველივე უნდა ემორჩილებოდეს ხალხის ნებასურვილს. დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ, რომ ხალხს უსმენდნენ და ანგარიშს უწევდნენ ის ორგანოები, რომლებიც არიან შედეგი ხალხის ნების გამომჟღავნებისა".[7]

უკანასკნელ სიტყვებში („არიან შედეგი ხალხის ნების გამომჟღავნებისა") იგულისხმება „არჩევნები". უშუალო დემოკრატიის

---

4. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 8 სექტემბერი.

5. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 234.

6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 3 დეკემბერი.

7. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 43.

ეს ფორმა წარმატებით იქნა გამოყენებული 1919 წლის თებერვალში, როდესაც არჩევნების გზით ჩამოყალიბდა საქართველოს დამფუძნებელი კრება.

საქართველოს საკონსტიტუციო კომისიამ გაითვალისწინა რა დემოკრატიულ სახელმწიფოში ხელისუფლების ხალხისადმი კუთვნილების პრინციპი და 1921 წლის კონსტიტუციის 52 მუხლში განამტკიცა: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს". ამით კი კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება აღნიშნულ საკითხზე კონსტიტუციური ნორმით იქნა განმტკიცებული. ანალოგიურ ნორმას გვთავაზობს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მეხუთე მუხლი: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი".

მიქელაძის განმარტებით, ხალხი არის ნამდვილი ბურჯი „საზოგადოების აწმყოს და მომავლისა".

საინტერესოა მოვიტანოთ ის ციტატები, რომლითაც იურისტი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას დემოკრატიული სისტემისადმი და აღიარებს მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების პირველადობას. იგი მიუთითებს:

„სახელმწიფოში უნდა დამყარდეს ისეთი წესწყობილება, რომელიც გამომდინარეობს ხალხის სურვილისა და ნებისაგან";[8] „ხალხის ინტერესებს შეადგენს ის, რომ ისეთი კანონები იქნენ გამოცემულნი, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ნამდვილ ფსიქოლოგიას";[9] „ხალხის პოლიტიკური უფლებების და თავისუფლებების განმტკიცება და უზრუნველყოფა იქნებიან საუკეთესო თავდები დემოკრატიის სოციალური და პოლიტიკური წინსვლისა და განვითარების";[10] „დემოკრატიული სახელმწიფო იძლევა ნამდვილ საშუალებას ხალხის უფლებაშემოქმედებისათვის, მასში არის დამოუკიდებელი და შემომქმედი ძალა";[11] „დემოკრატიის პოლიტიკური მიზანი ის არის, რომ სახელმწიფოს ჰქონდეს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს კლასიკურ დებულებას - კანონი ის არის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებს.[12]

---

8. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 59
9. იქვე, გვ. 54.
10. იქვე, გვ. 27.
11. იქვე, გვ. 27-28.
12. იქვე, გვ. 29.

კონსტანტინე მიქელაძე ერთმანეთისაგან განასხვავებს დემოკრატიის რამდენიმე ფორმას, იურისტი კლასიფიკაციას ახდენს იმის და მიხედვით, თუ თითოეულში რა სახით აქვთ მოქალაქეებს პოლიტიკური უფლებაშემოქმედება მინიჭებული. ესენია:

ა) აბსოლუტური დემოკრატია;

ბ) პირდაპირი (უშუალო) დემოკრატია;

გ) წარმომადგენლობითი დემოკრატია.

კონსტანტინე მიქელაძის განმარტებით, „აბსოლუტური დემოკრატია" წარმოადგენს ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმას, სადაც თვით ხალხი მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მოღვაწეობის ყველა დარგში. იურისტის მითითებით, აქ მხოლოდ ხალხი უნდა იყოს კანონმდებელი.

„პირდაპირ დემოკრატიაში", იურისტის აზრით, შეუძლებელია გამეფებული იყოს პრინციპი, გარდა არჩევნებისა.

რაც შეეხება „წარმომადგენლობით დემოკრატიას", აქ არჩევნებს დიდი ადგილი არ უჭირავს, არამედ როგორც მიქელაძეს მიაჩნია, ძალაში არის დანიშვნის პრინციპი ან შერეული, ე. ი. დანიშვნა და არჩევა.[13]

დემოკრატიის ამ ფორმათაგან მისაღებია „პირდაპირი დემოკრატია", როდესაც ხალხი მისთვის სასურველ კანდიდატს ირჩევს ხელისუფლების ორგანოში არჩევნების გზით, ხოლო „აბსოლუტური დემოკრატია" არცერთ სახელმწიფოში არ არსებობს. იგი არაეფექტური ფორმაა და შესაძლებელია გამოიწვიოს ქაოსური სიტუაცია. ასევე მნიშვნელოვანია „წარმომადგენლობითი დემოკრატია", რომელიც მიქელაძეს მისაღებ ფორმად მიაჩნდა.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციაში დეკლარირებულია პირდაპირი და წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტები.

პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მ. მაცაბერიძე აღნიშნავს, რომ კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებდა: დემოკრატიული წყობილების დამკვიდრების შესახებ მსჯელობისას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ ხალხის მზადყოფნის დონე დემოკრატიული წყობილების მისაღებად. ამ აზრით, საქართველოს სინამდვილის გაანალიზებისას, აღნიშნავდა კონსტან-

13. „პირდაპირი დემოკრატია" არ გულისხმობს მხოლოდ არჩევნებს, არამედ იგი განსაზღვრავს რეფერენდუმს, მოქალაქეთა საკანონმდებლო ინიციატივას, ადგილობრივი თვითმართველობის რეალიზაციას.

ტინე მიქელაძე, იმის ცხოვრებაში ისეთ რამეს აღმოვაჩენთ, რომ ის პირველად ანომალური გვეჩვენება. სახელდობრ, საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიუხედავად ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება იმ გზით მიდიოდა, რაც ახასიათებდა „ეკონომიკურად და პოლიტიკურად მომწიფებულ სახელმწიფოს". კონსტანტინე მიქელაძის აზრით, ეს შედეგი იყო: ა) ხალხის ბუნებრივი ნიჭის; ბ) პოლიტიკური რევოლუციისა, რომელიც აჩქარებს „ხალხის შეხედულების და შეგნების შეცვლას" და გ) სოციალ-დემოკრატიული პარტიის საქმიანობისა ხალხის შეგნებისა და პოლიტიკური სიფხიზლის გასაღრმავებლად.

კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებდა, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება, ბოლშევიკური რუსეთისაგან გამოყვნა, ამავე დროს იყო დემოკრატიული პრინციპების გამარჯვება მე-20 საუკუნის ბარბაროსობაზე. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ „დემოკრატიულმა საქართველომ განახორციელა პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი პრინციპი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა", რომლებიც არსებობს „პოლიტიკურად ფრიად განვითარებულ ქვეყნებში. დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრების სრულ გარანტიად მიაჩნდა „ქართველი ხალხის პოლიტიკური სიმწიფე და უნარი ადვილად იმის შეთვისებისა, რაც მის ცხოვრებას არცერთი მხრივ აქამდე არ მიჰკარებია.[14]

„ჩვენ გვსურს შევქმნათ მტკიცე და ძლიერი დემოკრატიული სახელმწიფო".[15] ამ ლოზუნგით ჩაება ქართველი ერი ახალი დამოუკიდებელი და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. სულ მალე, ახალბედა ქვეყანაში დამკვიდრდა პროგრესული პრინციპები. გაცხოველებულმა პოლიტიკურმა და კულტურულმა პროცესებმა განსაზღვრეს სახელმწიფოს ერთიანი ორგანიზმის ფორმირება. დიდი როლი ენიჭებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნას.

კონსტანტინე მიქელაძე ეხება დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელისუფლების უმაღლესი სტრუქტურული ორგანოების ორგანიზაციას. მისი აზრით, „დემოკრატიისათვის სრულიად არ არის სულ ერთი, თუ როგორ მოეწყობა ის ორგანო, რომელსაც მინდ-

14. მ. მაცაბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 41

15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი 1833, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 148.

ობილი ექნება კანონების შემუშავება და გამოცემა, რა საფუძველზეც შედგება სასამართლო ანუ მართლმსაჯულება, რა პრინციპებზე იქნება აგებული აღმასრულებელი ორგანო და რა გვარი ურთიერთობა იქნება ამ სამ სახელმწიფო ორგანოთა შორის", მაგრამ იურისტი ამ საკითხს არ უკავშირებს იმას, სახელმწიფო ფედერაციულია თუ უნიტარული. მხოლოდ „დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ" ამ სახელისუფლებო ორგანოთა „მიზანშეწონილ ორგანიზაციას და მათ შორის ურთიერთობის შექმნას" და ამ დროს დიდი მნიშვნელობა არ აქვს სახელმწიფო უნიტარულ თუ ფედერაციულ საწყისებზეა აგებული.

დემოკრატიულ სახელმწიფოში, იურისტის თქმით, „თვით ხალხი გამოდის დამოუკიდებელ კანონმდებლად ან ის ანდობს თავის წარმომადგენლებს კანონების შემუშავებას და გამოცემას".[16]

იურისტი იცნობს კანონების ჩამოყალიბების ორ გზას:

ა) შემუშავება;

ბ) გამოცემა.

„შემუშავებაში" გულისხმობს კანონის ნორმის ფორმირებას, კანონის ერთიანი პროექტის შედგენას, რომელიც მოიცავს მის ზოგად ნაწილს, სტრუქტურასა და კანონის დასკვნით თავს. შემუშავების შემდეგ ხდება მისი „გამოცემა", ე. ი. პარლამენტში დამტკიცება, ჩვენ მიუთითებდით,[17] რომ კანონშემოქმედება (მიქელაძისეული „შემუშავება") ხორციელდება კანონმდებლობისათვის (კანონის მიქელაძისეული „გამოცემისათვის"). ამ ორივე (კანონშემოქმედება - კანონმდებლობას) ფუნქციას იურისტი ხალხის წარმომადგენლობის (საკანონმდებლო ორგანოს) პრეროგატივაში მოიაზრებს. ჩვენი აზრით, „კანონშემოქმედება", უმეტეს შემთხვევაში, ხორციელდება პარლამენტს გარეთ, მაგრამ „კანონმდებლობა" ყოველთვის პარლამენტის უპირველესი და საწყისი ფუნქციაა. ამაზე მისი სახელწოდებაც მეტყველებს: „საკანონმდებლო ორგანო". ჩვენ არ გვაქვს „კანონშემომქმედი ორგანოს" ცნება, ვინაიდან, „კანონშემომქმედი" შეიძლება ერთი ადამიანიც იყოს, მაგრამ არ არსებობს „კანონმდებელი პირის" ცნება,არსებობს მხოლოდ „კანონმდებელი ორგანო".

16. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 28.

17. ბეჭდ ქვეიარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, 2002 წელი. თბილისი.

იურისტის აზრით, ხალხი ინარჩუნებს უფლებას თავის „ამორჩეულთა მოქმედებაზედ კონტროლისას და მათი გადაწყვეტილებათა შეცვლისას“ (იგულისხმება პარლამენტი - ბ. ქ.). აქ იკვეთება „კონსტიტუციური კონტროლის“ მოქმედების პრინციპი. თუმცა, ავტორის თქმით, ხალხის ეს უფლებამოსილება აუცილებელი არ არის,[18] რადგან ხშირად თვით ხალხი არ „იკუთვნებს ამ უზენაეს უფლებას“.

კონსტანტინე მიქელაძე საუბრობს დემოკრატიის მნიშვნელობაზე. ის მიიჩნევს, რომ დემოკრატიის „უფლება-შემოქმედება არ ისაზღვრება კანონმდებლობის სფეროთი, არამედ იგი თავის გაჯლენას ავრცელებს მთელს მართვა-გამგეობაზე“. იურისტი ამბობს, რომ დემოკრატიულ ნიადაგზე მომქმედი ხალხი თავის ნებას უმორჩილებს აგრეთვე ალმასრულებელ ორგანოსაც, ე. ი. ალმასრულებელ ხელისუფლებას „აყენებს მის მიერ ნაჩვენებ საზღვრებში და ანიჭებს მოქმედების და ინიციატივის თავისუფლებას მხოლოდ თავის ნების და გეგმის ფარგლებში“.

აღნიშნული სიტყვების შემდეგ ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ კონსტანტინე მიქელაძე დემოკრატიას და ხალხს ერთმანეთთან აიგივებდა, როდესაც იგი დემოკრატიაზე მსჯელობს, ეს იმას ნიშნავს, რომ მის ცნებაში „ხალხს“ მოიაზრებს. დემოკრატია ხალხის მმართველობაა და ის მათ იარაღს წარმოადგენს, რომ ამ მექანიზმით (პოლიტიკური რეჟიმით) უზრუნველყონ საკუთარი ინტერესები. ამრიგად, დემოკრატია და ხალხი მიქელაძესთან იდენტური ცნებებია.

დემოკრატიის დიდი მნიშვნელობა იურისტის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში იმითაც გამოიხატება, რომ მას (დემოკრატიას) „თავის გავლენის ქვეშ ყავს სასამართლო ორგანოც, რომლის მოქმედებასაც იგი საზღვრავს უკვე არსებული კანონების ფარგლებით“. იურისტი მიუთითებს, რომ დემოკრატია კანონის ფარგლებში მხოლოდ სასამართლოს ანიჭებს დამოუკიდებლობას, რადგან „მას (ხალხს ბ. ქ.) კარგად ესმის დამოუკიდებელი

---

18. მიქელაძე „სახალხო ზედამხედველობის ინსტიტუტის“ (რეფერენდუმის) აუცილებლობას იმ შემთხვევაში გამორიცხავდა, თუ კონსტიტუციაში პირდაპირ ჩაიწერებოდა „სასამართლო კონტროლის“ არსებობის შესახებ. იგი ორიენტირებული იყო ამერიკის ანალოგიაზე. უპირატესობას, მაგრამ, მისი აზრით, საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას ერთ-ერთი უნდა ამოერჩია.

მართლმსაჯულების დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო წესწყობილებისათვის და საზოგადოების სიმშვიდისათვის".[19]

მართალია, დემოკრატია მოქალაქეთა ძალაუფლება, მმართველობაა, მაგრამ დემოკრატიის პირობებში პოლიტიკურ ცხოვრებაში ხალხის ნაწილი ვერ ღებულობს აქტიურ მონაწილეობას. სწორედ ასე მიაჩნია იურისტს და ამის გამო იგი დიდ უკმაყოფილებასაც გამოხატავს და მიუთითებს იმ ობიექტურ მიზეზებზე, რომლებიც გარკვეულწილად ხელს უშლიან მოქალაქეებს, რათა სრულმაშტაბურად ჩაებან სახელმწიფოებრივ (პოლიტიკურ) ცხოვრებაში.

კონსტანტინე მიქელაძე აღნიშნავს, რომ „მოწინავე სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების ვითარება გვიმტკიცებს, რომ არჩევნებში მთელი ხალხი, პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილი, არ იღებს მონაწილეობას. მიზეზი ამისა სხვადასხვაა",[20] იგი გამოყოფს ორ უმთავრეს საფუძველს:

ა) პოლიტიკური და უფლებრივი (სამართლებრივი - ბ. ქ.) შეგნება ანუ მასის შეგნებულობა დაბალ დონეზე დგას, რაც ქმნის „მის გულცივობას პოლიტიკური ცხოვრების მსვლელობისადმი".[21]

ბ) მეორე მიზეზი ამისა არის ის, რომ „ხალხის დიდ ნაწილს, რომელიც საშინელი შრომის უღელში არის ჩაბმული, არ რჩება საკმაო დრო პოლიტიკურ ცხოვრებას ფხიზლად ადევნოს თვალყური და მიიღოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მხურვალე მონაწილეობა".[22]

ეს პრობლემა არამარტო მიქელაძის ზრუნვის საგანი გახლდათ, არამედ მას დიდ ყურადღებას აქცევდნენ პოლიტიკურ ელიტაში. უკანასკნელის საილუსტრაციოდ კმარა საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის პირველი თავმჯდომარის რაჟდენ არსენიძის მოსაზრება, რომლის თანახმად, „შეუძლებელია მთელს საქართველოში ერთ დღეს ჩატარდეს არჩევნები. გლეხობას ზაფხულში არ სცალიან: მაშასადამე, შემოდგომით აჯობებს არჩევნების მოხდენა".[23]

---

19. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 28.
20. იქვე, გვ. 59.
21. იქვე, გვ. 59.
22. იქვე, გვ. 59-66.
23. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 301.

კონსტანტინე მიქელაძე აღიარებს, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ და უფლებრივ (სამართლებრივ) შეგნებას რომ მიეცეს „სიმტკიცე და სიმახვილე“, საჭიროა განხორციელდეს „დიდი კულტურული შრომა“. ასევე, აუცილებლად მიაჩნდა სოციალური რეფორმები, რაც,მისი აზრით, მკვეთრად განსაზღვრავდა მშრომელი ხალხისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობას. სოციალურ რეფორმებს, იურისტის შეხედულებით, ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმდენად, რამდენადაც მისი საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ თვალყური ადევნონ სახელმწიფოებრივი საქმეების მსვლელობას და მიიღონ სახელმწიფო მოღვაწეობაში მხურვალე მონაწილეობა.

კონსტანტინე მიქელაძემ დემოკრატიის ერთერთ დიდ მონაპოვრად ადგილობრივი თვითმმართველობა აღიარა.[24] მისი მტკიცებით, „ხალხის პირდაპირი შემოქმედებისათვის საჭიროა სახელმწიფოს დანაწილება ისეთ წვრილ და ადგილობრივი საქმეების შესახებ საკითხების გადაწყვეტაში დამოუკიდებელ ეროეულებად, რომ შესაძლებელი გახდეს თითოეული ერთეულის ადვილად შეკრება და ყრილობაზე საკანონმდებლო საკითხების გადაწყვეტა“.

დემოკრატიულ წარმომადგენლობით სისტემაზე აღმოცენებული და აყვავებული ქართველი ერის პოლიტიკური ვითარება, აღნიშნავს მიქელაძე, აუცილებლად წარმოშობს ისეთ პირობებს, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება მათი ცხოვრებაში გატარება

---

24. აქვე მახსენდება ტოკვილის სიტყვები: „თვითმართველობათა გარეშე ერს შეუძლია შექმნას თავისუფალი და დამოუკიდებელი მთავრობა, სხვა სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ მის გარეშე თავისუფლების ჭეშმარიტ სულს იგი ვერ შეიმეცნებს“. საქართველოს პრეზიდენტი, ბ-ნი ე. შევარდნაძე ბრძანებს: „თვითმართველობის დაფუძნება სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის აუცილებელი ელემენტია. თვითმართველობათა შემოღებით ხელდება გარეშე ძალადობით არაერთგზის შეწყვეტილი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ისტორიული განვითარების ლოგიკა, დამკვიდრდება ევროპული ცივილიზაციისათვის საერთო ღირებულებებს ზიარებული ჭეშმარიტად თავისუფალი სახელმწიფო. დგება ჟამი, რათა მოხდეს კონსტიტუციური პრინციპების რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრება. ეს უწყვეტი პროცესია, რომლის განხორციელებაზეც პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ არა მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებმა, არამედ ქვეყნის პოლიტიკურმა ძალებმა, სამოქალაქო საზოგადოების სტრუქტურებმა, ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ. ამგვარი პირობები კი უნდა უზრუნველყოს დემოკრატიულმა პოლიტიკურმა სისტემამ, რომლის ორგანული ნაწილიც უნდა გახდეს ადგილობრივი თვითმართველობა“.

და დამკვიდრება. თუმცა ეს უკანასკნელი, იურისტის აზრით, ვერ განხორციელდება, თუ ხალხს არ მიენიჭა ადგილობრივ საქმეებში ფართო უფლებები, რაც ავითარებს და აღრმავებს მოქალაქეთა თვითმოქმედებასა და უფლებრივ (სამართლებრივ) შეგნებას.

* * *

დემოკრატია არამარტო ხალხის პოლიტიკური თვითმმართველობაა, არამედ იგი ადამიანის სულის ზეიმია; დემოკრატია ახალი აზრთაწყობის საძირკველია; ჭეშმარიტების მიგნების უმაღლესი ინსტანციაა; იგი ერთა უნივერსალური კავშირების ყალიბია; ჰუმანისტური სულისკვეთების გამოვლინებაა; დემოკრატია „მე"-სა და „ჩვენი"-ს აღქმაა; ადამიანისათვის სასარგებლო ინტერესთა გაცნობიერებაა; ნამდვილი დემოკრატია სამართლიანობისა და კეთილდღეობის უკიდეგანო ასპარეზია.

თავი ოცდამეთერთმეტე

კონსტანტინე მიქელაძე და პოლიტიკური უფლებები

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, კაცობრიობამ თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის რამდენიმე კლასობრივი ტიპი გამოიცვალა. ამ ასწლეულებისა და ათასწლეულების განმავლობაში ინდივიდი სამართლის სუბიექტად (სწორი არ არის „სამართლის სუბიექტი". უნდა იყოს „სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი" - ბ.ქ.) არ განიხილებოდა და ადეკვატურად მისი უფლებები არ იყო დაცული.ეს გახლდათ ჟამი, როდესაც ადამიანი ადამიანზე ბატონობდა. ხელისუფლებას საათავეში ედგა უმცირესობა, ხოლო ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკური პროცესებიდან განყენებული იყო. სახელმწიფო არსებობდა არა ხალხისათვის, არამედ ხალხი არსებობდა თვით სახელმწიფოსათვის. მხოლოდ მეოცე საუკუნე გამოირჩევა ჰუმანიზმითა და პიროვნების პოლიტიკური უფლებების უზრუნველყოფის სულისკვეთებით. ამ მხრივ საქართველო ნამდვილად არ წარმოადგენდა გამონაკლისს და 1921 წლის კონსტიტუციის დებულებათა მიხედვით, დეკლარირებულ იქნა მოქალაქის „პოლიტიკური უფლებაუნარიანობა".

აღნიშნული ერთერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ქართულ იურიდიულ აზროვნებაში, ვინაიდან, ქაღალდზე დაფიქსირდა პოლიტიკურ ინტერესთა ის სფერო, რომელსაც მოკლებული იყო ქართველი კაცი. საქართველოში პირველად, ძირითადი კანონის ძალით, საფუძველი ჩაეყარა ქართველი ერის პოლიტიკურ უფლებათა სიმტკიცესა და მის ნორმატიულ რეგლამენტაციას.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციამ მოქალაქეებს შესაძლებლობა მისცა ესარგებლა პოლიტიკური უფლებებით. აი რას იტყობინებოდა მაშინდელი ქართული პრესა: „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დემოკრატიული წყობილება დამყარდა და ხალხის უმრავლესობა მისი დამცველ-მფარველია. უფლებას მოკლებულმა ხალხმა უფლება ხელში ჩაიგდო, შექმნა დემოკრატიული სახელმ-

წიფოებრივი ორგანო, დემოკრატიული საზოგადოებრივი დაწესებულებანი და დროის და გარემოების მიხედვით ცდილობს დემოკრატიული რეფორმები და წყობილება განამტკიცოს. შეგნებული დემოკრატია თავგანწირულად დაიცავს თავის დამოუკიდებლობას. ხალხი დემოკრატიულ წყობილებას და მტრებს არ გაახარებს".[1]

გარდა კონსტიტუციისა, პოლიტიკურ უფლებათა უზენაესობამ, ჯერ კიდევ, ამ კონსტიტუციის მიღებამდე დიდი ხნით ადრე, თავისი გამოხატულება ჰპოვა ცალკეულ პირთა ნაშრომებში. ამის ერთერთი მნიშვნელოვანი დასტურია კონსტანტინე მიქელაძის მიერ 1918 წელს გამოცემული იურიდიული ხასიათის ნაწარმოები, სადაც გამოკვეთილია პოლიტიკურ უფლებათა უპირატესობა.

აღნიშნული ნაშრომის ლაიტმოტივი, დედააზრი, გახლავთ ის, რომ იგი აღიარებს და ბოლომდე იცავს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა მონაწილეობის მიღების წმიდათაწმინდა უფლებას. კონსტანტინე მიქელაძე მიუთითებდა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონოდა პოლიტიკური უფლებები. ქართული პრესა კი აღიარებდა: „საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა. მაშასადამე, მისი პირველი თვისებაა ყველა შიგ მცხოვრებ ერების პოლიტიკურ უფლებათა უზრუნველყოფა, რამეთუ უფლება ეკუთვნის ხალხს და არა მცირეოდენ ჯგუფებს და წრეებს".[2]

ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა ცნობს ისეთ პრიორიტეტულ ფორმებს, რომელთა მეშვეობით მოქალაქეები მონაწილეობას ღებულობენ სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში. კონსტანტინე მიქელაძის მიერ პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებული მოსაზრებები, რომელიც მან თავის ნაშრომში და საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე ჩამოაყალიბა, მეტნაკლებად აისახა 1921 წლის კონსტიტუციაში. იურისტის პოლიტიკურ-სამართლებრივ შეხედულებებში აღნიშნულ უფლებათა პირველადობას უკვალოდ არ ჩაუვლია და თავისი ადგილი ჰპოვა ძირითად კანონში.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 138-ე მუხლის შესაბამისად, მოქალაქე ღებულობდა ნებისმიერი თანამდებობის დაკავების უფლებამოსილებას. კანონის 46-ე მუხლი განამტკიცებდა არჩევნების

1. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 18 სექტემბერი.
2. გაზეთი „ერთობა", 1918 წელი, 27 სექტემბერი.

ინსტიტუტს. 63-ე და 64-ე მუხლები ეხებოდა რეფერენდუმის ჩატარების წესსა და საკანონმდებლო ინიციატივას. კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლეოდა სიტყვით, ბეჭდვით ან სხვა რამ ღონისძიებით თავისი აზრები გამოეთქვა და გაევრცელებინა წინასწარ ნებადაურთველად, 33-ე მუხლი აწესებდა ისეთ პოლიტიკურ უფლებას, როგორიცაა შეკრება საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ. 35-ე მუხლი მოქალაქეებს ანიჭებდა პროფესიული და სხვა ყოველგვარი კავშირების დაარსების უფლებას. კონსტიტუციის 37-ე მუხლი შეიცავდა პირადი და კოლექტიური პეტიციის (თხოვნის) უფლებას და აღსანიშნავია კონსტიტუციის ზოგადი, მნიშვნელოვანი დებულება: „ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს". ანალოგიურ (გარდა პეტიციისა) აღმჭურველ უფლებებს განამტკიცებს საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის მე-5, 29-ე და 26-ე მუხლები.

კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკურ-იურიდიული შეხედულებების ნათელსაყოფად ვფიქრობთ, რომ დიდ დახმარებას გაგვიწევს მის მიერ რეფერენდუმისა და ინიციატივის შესახებ ის მოსაზრებანი, რომლებიც დამოუკიდებელი განხილვის საგანი იქნება.

იურისტი საქართველოს საკონსტიტუციო კომისიას სთავაზობდა ორ ალტერნატიულ წინადადებას (ჩვენ ამის შესახებ ადრეც მოგახსენეთ - ბ. ქ.). ამ წინადადების თანახმად, კომისიას კონსტიტუციაში ძირითადი კანონის უზენაესობის უზრუნველმყოფელი მექანიზმებიდან („სახალხო კონტროლი" ან „სასამართლო კონტროლი") უპირატესობა უნდა მიენიჭებინა ერთეროთისათვის და განემტკიცა ის კონსტიტუციურ დონეზე.

კონსტანტინე მიქელაძე არც პირველს („სახალხო კონტროლი") და არც მეორეს („სასამართლო კონტროლი") გამორიცხავდა და საკონსტიტუციო კომისიას, „სასამართლო კონტროლის" უარყოფის შემთხვევაში, „სახალხო კონტროლის" მექანიზმის ამოქმედების პოზიტიურობაზე მიანიშნებდა.

აი, რას ამბობდა მიქელაძე: „ხალხს უნდა ექნეს კონტროლის უფლება პარლამენტზე იმ შემთხვევაში, თუ არ ამოქმედდება სასამართლო ზედამხედველობის ინსტიტუტი".[3]

---

3. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქიო, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 234.

კონსტანტინე მიქელაძე რეფერენდუმს, როგორც ხალხის პოლიტიკური ნების გამომხატველ უშუალო დემოკრატიის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას, დიდ როლს ანიჭებდა. ეს გამომდინარეობს თავად მისი შეხედულებიდან. იურისტი მიუთითებს: „რეფერენდუმს დემოკრატიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ხალხს ეძლევა საშუალება კონტროლი გაუკეთოს თავის წარმომადგენლებს[4]. იგი ბოლომდე არ ენდობა ხალხის წარმომადგენლობით ორგანოს (პარლამენტს), ვინაიდან, მისი აზრით, „ძნელი მოსალოდნელია ხალხის პოლიტიკური ზრახვანი წარმომადგენლებმა სავსებით შეიგნონ და კანონებში გამოხატონ.[5]

ხალხის უფლებების სისტემატიური დარღვევის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია თვით ხალხმა განახორციელოს კონტროლი საკანონმდებლო ხელისუფლებაზე. თუ ამ ფუნქციის განხორციელების დროს გამოვლინდება უფლებების უგულვებელყოფა, მაშინ მათ აქვთ უფლება, ამბობს იურისტი, „გააბათილონ მისთვის არახელსაყრელი დადგენილებანი“. ეს არის სწორედ სახალხო კონტროლი, რაც რეფერენდუმის სახით უნდა შესრულებულიყო. აქვე მახსენდება ჟან ჟაკ რუსოს ერთერთი დებულება: „დეპუტატების გადაწვეტილებანი ხალხმა უნდა დაამტკიცოს“.

1918-1921 წლების ქართულ საზოგადოებაში მიუთითებდნენ: „პარლამენტის ზევით, გარდა ხალხისა, არავინ არის. მას კონტროლიორი არ ჰყავს“.[6]

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციით, დამკვიდრდა „სახალხო კონტროლის“ ინსტიტუტი (რეფერენდუმი). ამით მკვეთრად შეიზღუდა საკანონმდებლო ორგანოს მოლვაწეობა, რასაც ადასტურებს დეპუტატ ლეო შენგელაიას მიერ საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე წარმოთქმული სიტყვიდან ციტატა: „საქართველოს პარლამენტი არ არის თვითმყრობელი, ვინაიდან, ის რეფერენდუმით არის შეზღუდული“.[7]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი

---

4. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 30.

5. იქვე, გვ. 30.

6. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 420, ფურცელი 193.

7. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 10 დეკემბერი.

კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის სხდომებზე მოელი სიმწვავით დადგა კონსტიტუციური კონტროლის ფორმის ამორჩევის საკითხი. დეპუტატებში იყო ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც მხარს უჭერდა „სახალხო კონტროლს“. დეპუტატთა მეორე ნაწილი კი მისაღებად თვლიდა „ვეტოს“ უფლებას.[8]

საკონსტიტუციო კონტროლის შესახებ ჩვენ შეგვიძლია მოვისმინოთ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწის მოსაზრებები.

„გარანტია იმისა, რომ კონსტიტუციის საწინააღმდეგო კანონები არ გამოიცეს პარლამენტის მიერ, არის რეფერენდუმის და ინიციატივის უფლება, რომელიც ხალხს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ჩვენი კონსტიტუციის მიხედვით. ეს ხალხი იქნება დარაჯი ამ კონსტიტუციის დაცვის და მას, დარაზმულს საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, საშუალება ექნება შეაჩეროს ესა თუ ის კანონი, რომელიც კონსტიტუციის საწინააღმდეგო იქნება“[9] სამსონ დადიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, სოციალ-ფედერალისტი.

„ვინც ამბობს, რომ პრეზიდენტი საჭირო არ არის, ის იტყვის, რომ „ვეტო“ საჭირო არ არის, მაგრამ ეს უფლება ვეტოსი უნდა ჰქონდეს არა ერთ რომელიმე პირს, არამედ ხალხს. რეფერენდუმი - ეს არის საუკეთესო ვეტო ხალხისა, რომელიმე კანონის წინააღმდეგ“.[10] ვიქტორ თევზაია, საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატი.

საქართველოს დამფუძნებელი კრების 1920 წლის 15 დეკემბრის სხდომაზე სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე ჯაფარიძე მიუთითებდა, რომ „პრეზიდენტის „ვეტო“ ძირითადად ეწინააღმდეგება დემოკრატიზმს. პარლამენტის მუშაობას კონტროლი უნდა გაუწიოს ხალხმა რეფერენდუმის საშუალებით და არა პრეზიდენტის „ვეტოს“ ძალით“.[11]

„ჩვენ გვინდა ვეტო დაადოს თვით ხალხმა, თუ მას არ მოსწონს ესა თუ ის კანონი, ესა თუ ის ზომა, თუ ამავე დროს ამ კანონს ან ზომას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს, თვით ხალხმა უნდა ამოიღოს ხმა, ეცადოს გაასწოროს პარლამენტის

---

8. „სასამართლო კონტროლის“ შესახებ მათ შეხედულებების არქიტექსა და მაშინდელ პერიოდულ ორგანოებში არ ვხვდებით. ეს თემა ქართულ საზოგადოებაში არ იყო წამოჭრილი. ვიმეორებთ, რომ იგი მხოლოდ, კონსტანტინე მიქელაძის ნაშრომშია განხილული.

9. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წელი, 4 დეკემბერი.

10. გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 16-17 დეკემბერი

11. გაზეთი „ერთობა“, 1920 წელი, 18 დეკემბერი.

შეცდომები, ამისთვის არსებობს რეფერენდუმის და ინიციატივის უფლება.[12] აკაკი ჩხენკელი, სოციალ-დემოკრატი.

სხდომებზე ბევრი მომხსენებელი მხარს უჭერდა „ვეტოს“ ინსტიტუტს. კონსტიტუციაში საბოლოოდ კი „რეფერენდუმი“ დაფიქსირდა, რომელსაც კონსტიტუციური კონტროლის ფუნქცია დაეკისრა.

რეფერენდუმი დემოკრატიული აზროვნების ნაყოფია. „პლურალისტური დემოკრატიის“ თეორია პოლიტიკურ უფლებათა სისტემაში რეფერენდუმთან ერთად მოიაზრებს სიტყვის, არჩევნების, სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობის, სხვადასხვა გაერთიანებების შექმნისა და ა. შ. უფლებებს.

კონსტანტინე მიქელაძე, სამწუხაროდ, არ იძლევა კონკრეტულად რეფერენდუმის არსის მისეულ დეფინიციას, თუმცა მასში „სახალხო კონტროლს“ რომ გულისხმობს, უდაოა.

იურისტი რეფერენდუმის სხვადასხვა ფორმას იცნობს. აქედან, პირველ რიგში, აღსანიშნავია:

ა) კონსტიტუციური რეფერენდუმი;

ბ) ჩვეულებრივი საკანონმდებლო რეფერენდუმი.

რეფერენდუმის ამ ნიშნით დაყოფა ხდება იმისდა მიხედვით, თუ რას ეხება იგი, კონსტიტუციას თუ ჩვეულებრივ კანონმდებლობას.

კონსტანტინე მიქელაძე განასხვავებს რეფერენდუმის კიდევ ორ სახეს. ესენია:

ა) ფაკულტატიური რეფერენდუმი;

ბ) სავალდებულო რეფერენდუმი.

„ფაკულტატიური რეფერენდუმი“, იურისტის აზრით, გულისხმობს კანონის კენჭის ყრით მიღების ან უარყოფის აუცილებლობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქეთა განსაზღვრული ნაწილი მოითხოვს მის ჩატარებას, ანალოგიურად მიუთითებს პავლე საყვარელიძე: „არასავალდებულო (ფაკულტატიური) რეფერენდუმი მაშინ არის, როდესაც პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გადაეცემა ხალხს შესაკითხავად და დასადასტურებლად, თუ განსაზღვრულ დროში ამას მოითხოვს მოქალაქეთა განსაზღვრული რაოდენობა.[13] აღნიშნულ დეფინიციაში იკვეთება ფაკულტატიური რეფერენდუმის აუცილებელი სამი ნიშანი:

12. გაზეთი „სახალხო საქმე“, 1920 წელი, 20 დეკემბერი.

13. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 3 თებერვალი.

ა) სარეფერენდუმოდ კანონის წარდგენისათვის საჭიროა მოქალაქეთა მოთხოვნა;

ბ) უნდა განისაზღვროს დრო, რომლის ფარგლებში მოქალაქეები უფლებამოსილნი იქნებიან მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება;

გ) რეფერენდუმის განხორციელების ინიციატივისათვის საჭიროა „მოქალაქეთა განსაზღვრული რაოდენობის" არსებობა.

რაც შეეხება სავალდებულო რეფერენდუმს, მიქელაძის მტკიცებით, გულისხმობს „ყოველივე კანონპროექტის საერთო კენჭის ყრით დაკანონების აუცილებლობას". ანალოგიურ დეფინიციას იძლევა პავლე საყვარელიძე: „სავალდებულოა რეფერენდუმი მაშინ, როცა პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი აუცილებლად უნდა გადაეცეს ხალხს შესაკითხავად და დასადასტურებლად".[14]

ავტორები არ აყალიბებს იმას, თუ რომელი შინაარსის კანონების წარდგენა იქნებოდა შესაძლებელი ფაკულტატიურ რეფერენდუმზე. ამის შესახებ მინიშნება არ არის, მოიაზრებენ კანონებს ზოგადად.

რეფერენდუმთან (სახალხო კონტროლი) დაკავშირებით კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრება გათვალისწინებულ იქნა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 64-ე მუხლში ჩაიწერა შემდეგი დებულება: „თუ ოცდაათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა, პარლამენტი ვალდებულია, ახლად მიღებული კანონი სარეფერენდუმოდ ხალხს წარუდგინოს".

ციტატი: „თუ ოცდა ათი ათასმა ამომრჩეველმა წერილობით მოითხოვა" გვაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ კონსტიტუცია „ფაკულტატური (არასავალდებულო) რეფერენდუმის" ინსტიტუტს ამკვიდრებდა.

საინტერესოდ მიგვაჩნია, შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვარკვიოთ რეფერენდუმის დანიშნულება 1921 წლის კონსტიტუციისა და საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის მიხედვით.

პავლე საყვარელიძე, რომელიც თავის დროზე მოქალაქეთა პოლიტიკურ უფლებებზე მუშაობდა, მიუთითებდა, რომ „რეფერენდუმი არის ხალხის შეკითხვა პარლამენტის მიერ მიღებული კანონის დასადასტურებლად და დასამტკიცებლად. ასეთ შეკითხვაში არსებითად და ფორმალურადაც პარლამენტის მიერ მიღებუ-

14. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1920 წელი, 3 თებერვალი.

ლი კანონი კიდევ არ კანონობს, ის მხოლოდ კანონ-პროექტია, რომელიც გადაეცემა ხალხს დასტურისთვის. თუ უმრავლესობამ მოიწონა პარლამენტში გატარებული ეს კანონი- პროექტი, მხოლოდ მაშინ ხდება იგი კანონად და ძალაში შედის".

როგორც აღვნიშნეთ, კონსტანტინე მიქელაძე რეფერენდუმის ლეგალურ განსაზღვრებას არ იძლევა, მაგრამ იგი რეფერენდუმის სხვადასხვა ფორმებზე მსჯელობისას მიუთითებს, რომ რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს კანონის „მიღების ან უარყოფისათვის". ამ საკითხზე მიქელაძე-საყვარელიძისეული შეხედულებები ანალოგიურია (ჩვენთვის გაურკვეველია მიქელაძე რეფერენდუმის თუ რომელ ფორმას (ფაკულტატიური-სავალდებულო) უჭერდა მხარს. ამის შესახებ კონკრეტულად არაფერი უთქვამს - ბ. ქ.).

სუბიექტური თვალთახედვიდან გამომდინარე რეფერენდუმი შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

ა) რეფერენდუმი ვიწრო გაგებით;

ბ) რეფერენდუმი ფართო გაგებით.

„რეფერენდუმი ვიწრო გაგებით" - გულისხმობს რეფერენდუმის განხორციელებას ისეთ წესს, როდესაც იგი მხოლოდ კანონის მიღებას ან უარყოფას ითვალისწინებს. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის 64-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს რეფერენდუმის ჩატარებას პარლამენტის მიერ მიღებული კანონის დასამტკიცებლად.

„რეფერენდუმი ფართო გაგებით" - გულისხმობს რეფერენდუმის ჩატარებას ისეთ წესს, როდესაც იგი ეხება ნებისმიერ „სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვან საკითხებს". ამის გამოხატულებაა საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 74-ე და „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლი.

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს კონსტანტინე მიქელაძე, როდესაც მიუთითებდა „შეკვეცილ" და „ფართო" რეფერენდუმზე. იურისტი საქართველოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომაზე ამბობდა: „საჭირო იქნება შევიდეს კონსტიტუციაში „ფართო რეფერენდუმი" თუ არა „შეკვეცილი" მაინც.[15]

---

15. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 181, ფურცელი 234.

თანამედროვე „კანონთა სისტემის“ თანახმად, რეფერენდუმის ჩატარება იკრძალება კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, ამნისტიისა და შეწყალების გამო, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირებისა და დენონსირების შესახებ, აგრეთვე, ისეთ საკითხებზე, რომლებიც ზღუდავენ ადამიანის ძირითად კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

1921 წლის და 1995 წლის კონსტიტუციებს შორის განსხვავება იმაში გახლავთ, რომ რეფერენდუმის, როგორც უკვე ვთქვით, ჩატარება შესაძლებელი იყო მხოლოდ კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად, თუმცა 1995 წლის კონსტიტუცია საერთოდ უარყოფს რეფერენდუმის ჩატარებას კანონის მისაღებად ან გასაუქმებლად.

თანამედროვე საქართველოს დემოკრატიულ სახელმწიფოში რეფერენდუმი შეიძლება გაიმართოს (საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ეროვნული იურისდიქციის აღდგენის შემდეგ) სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საკითხების მოსაგვარებლად მითითებული გამონაკლისების გარდა. საქართველოში რეფერენდუმის ჩატარების მხოლოდ ერთი პრაქტიკა არსებობს.

* * *

„ინიციატივა“ ფრანგული (initiatve) სიტყვაა და რაიმე საქმეში თაოსნობას ნიშნავს[16].

ყოველდღიურ ცხოვრებაში ნებისმიერი საქმიანობის წამოწყება ჩვენგან საჭიროებს ინიციატივას, თაოსნობას, რომლის გარეშე გარკვეული მიზნის მიღწევა გაგვიჭირდებოდა. მაგრამ ეს „ყოველდღიური ინიციატივები“ განსხვავდება „პოლიტიკური ინიციატივებისაგან“, რომლებიც პოლიტიკურ უფლებებს გულისხმობს (ხაზი ჩვენია - ბ. ქ.).

კონსტანტინე მიქელაძე იცნობს „პოლიტიკური ინიციატივის“ ორ ფორმას:

ა) სახალხო ინიციატივა, რომელიც ეხება კონსტიტუციას;

ბ) სახალხო ინიციატივა, რომელიც ეხება კანონმდებლობას.

---

16. მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ. 1989 წელი, გვ. 196.

იურისტის მითითებით, „კონსტიტუციური ინიციატივა“ ძირითადი კანონის შეცვლასა ან გადასინჯვასთან არის დაკავშირებული.[17] „საკანონმდებლო ინიციატივის“ ქვეშ მოიაზრება ჩვეულებრივი კანონების გამოცემის თაობაზე პარლამენტში წინადადების შეტანა.[18]

ეს, რაც შეეხება, თეორიულ საკითხებს. იურისტი ეხება ინიციატივის რეალიზაციის ორ დამოუკიდებელ ფორმას:

ა) თავდაპირველად, სახალხო ინიციატივის სრულყოფის დროს, ხალხს სრული შესაძლებლობა აქვს მიმართოს საკანონმდებლო ორგანოს - პარლამენტს წინადადებით: შემუშავებულ იქნას კანონ-პროექტი ან შეცვლილი კონსტიტუციის რომელიმე მუხლი (სახალხო ინიციატივა კანონმდებლობაზე და კონსტიტუციური სახალხო ინიციატივა), თუ პარლამენტმა დააკმაყოფილა მოქალაქეთა ეს მოთხოვნა და შეუდგა საქმის არსებითად განხილვას, მაშინ მან, იურისტის აზრით, უნდა გაითვალისწინოს ხალხის ნება და სურვილები, ე. ი. პროცესუალური ნორმების განხორციელების დროს საკანონმდებლო ხელისუფლებამ უნდა იხელმძღვანელოს „თანახმად ხალხის ინსტრუქციისა“.

ბ) ინიციატივის სრულყოფის მეორე ფორმაში კონსტანტინე მიქელაძე გულისხმობს კანონის მიწოდებას. „მიწოდებაში“ იგი მოიაზრებს პარლამენტის მიერ შემუშავებული კანონის სარეფერენდუმოდ ხალხისთვის წარდგენას.

კონსტანტინე მიქელაძეს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შეეცარიის მაგალითი მოჰყავს საკანონმდებლო წინადადებასთან დაკავშირებით. იურისტი ამბობს: „ან პარლამენტი იღებს ამ წინადადებას და ამუშავებს შე'აფერ კანონს ანდა უარყოფს. უარყოფის მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ პარლამენტი ერთი წლის განმავლობაში არ იძლევა პასუხს ხალხის წინადადებაზე. ამ ორ შემთხვევაში ხალხი უყრის კენჭს და თუ წინადადება იქნა მიღებული, პარლამენტი იძულებული ხდება დაემორჩილოს ხალხის ნებას და შეიმუშაოს კანონი თანახმად ხალხის ინსტრუქციისა. იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხი აწოდებს შემუშავებულ კანონპროექტს, პარლამენტი ან თანხმობას აცხადებს და მას უდგენს კენჭის

17. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 31.
18. იქვე.

საყრელად, ანდა არ ეთანხმება. უკანასკნელ შემთხვევაშიც ის იძულებული ხდება წარუდგინოს კანონპროექტი ხალხს კენჭის საყრელად, მაგრამ მასთან არ ეკარგება საშუალება ამ კანონპროექტს დაუპირისპიროს კონტრ-კანონპროექტი.[19]

* * *

საკანონმდებლო ინიციატივა დეკლარირებულ იქნა 1921 წლის კონსტიტუციის 63-ე მუხლით, სადაც ნათქვამია:

ინიციატივის უფლება ეკუთვნის:

ა) პარლამენტის ყოველ წევრს და

ბ) 5000 ამომრჩეველს.

საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის 67-ე მუხლის თანახმად, ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტთა რაოდენობა გაზრდილია. თანამედროვე ქართულ დემოკრატიულ სახელმწიფოში საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვილია პრეზიდენტი, პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია, პარლამენტის კომიტეტი, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, არანაკლებ 30000 ამომრჩეველი.

ჩვენი აზრით, სუბიექტთა წრის მიხედვით, საკანონმდებლო იგივე „პოლიტიკური ინიციატივა" შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

ა) სამოქალაქო ინიციატივა;

ბ) სახელმწიფოებრივი ინიციატივა.

„სამოქალაქო ინიციატივას" ახორციელებს აღნიშნული 30000 ამომრჩეველი, როგორც მოქალაქეები, ხოლო „სახელმწიფოებრივ ინიციატივას", როგორც სახელმწიფოს წარმომადგენლები, საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები და კონსტიტუციის ზემოთ მოცემულ დისპოზიციაში ჩამოთვლილი სხვა ორგანოები.

19. კონსტანტინე მიქელაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 32.

* * *

კონსტანტინე მიქელაძე დემოკრატიულად მოაზროვნე იურისტი გახლდათ.მან პოლიტიკური უფლებები ერთერთ ფუძემდებლურ უფლებებად აღიარა. დაეყრდნო მოწინავე პროგრესულ ცნობიერებას და თავისი მტკიცე და შეურყეველი სიტყვა თქვა დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში. მისი პოლიტიკური და სამართლებრივი კონცეფციები დაედო საფუძვლად საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ცალკეულ მუხლებს. ეს, რასაკვირველია, მრავლისმეტყველია და მიუთითებს ამ პიროვნების განსწავლულობაზე და, ამავე დროს, იმდროინდელი სახელმწიფოებრივი და იურიდიული აზროვნების განვითარების დონეზე.

თავი ოცდამეთორმეტე

კონსტანტინე მიქელაძე და ქართველი ერის „ისტორიული უფლება“

საქართველო, როგორც უძველესი ცივილიზაციისა და კულტურის, მოზღვავებული ჰუმანისტური იდეალების და თავისუფლებისათვის უკომპრომისოდ მებრძოლი ქვეყანა, მეტისმეტად რთულ გეოპოლიტიკურ სივრცეშია მოქცეული. იგი მდებარეობს აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზაჯვარედინზე. იყო და არის აზიისა და ევროპის, პლანეტის ამ უძლიერესი ცივილიზაციების დამაკავშირებელი მაგისტრალი. საქართველოს განსაკუთრებულმა გეოგრაფიულმა მდგომარეობამ როგორც ნეგატიური, ასევე პოზიტიური დაღი დაამჩნია მის პოლიტიკურ ცხოვრებას. ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოებრივი სისტემები მუხრუჭის როლს ასრულებდნენ და ათასწლეულების მანძილზე სულს უხუთავდნენ მის პოლიტიკურ ყოფიერებას (ეს პროცესი დღესაც მიზანმიმართულად გრძელდება - ბ. ქ.). არადა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის უფლება ოდითგანვე გააჩნდა, რომელსაც კონსტანტინე მიქელაძემ „ისტორიული უფლება“ უწოდა.

საქართველოს სახელმწიფომ საუკუნეთა ქარტეხილებს გაუძლო. მისი „ისტორიული უფლება“ არაერთხელ ყოფილა შეურაცხყოფისა და დაცემის ობიექტი.

ქართული სახელმწიფო წარმოიშვა ჩვენს წელთ აღრიცხვამდე. თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოებრიობა კოლხასა და დიაოხის უძველეს პოლიტიკურ სისტემათა ფესვებზეა ამოზრდილი. ეს ის დრო იყო, როდესაც პლანეტაზე სულ თითზე ჩამოსათვლელად არსებობდნენ სახელმწიფოები. აღნიშნული კი ქართული პოლიტიკური კულტურის ცივილიზაციაზე მიუთითებს. საქართველოში სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პროცესები ოდითგანვე მაღალ დონეზე იდგა. ამ დროს ჩვენი სამშობლოს მოქიშპე ხალხებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ ანატომიაზე. ქართული, შეიძლება ასე ვუწოდოთ, „სახელმწიფოებრივი

უფლებაუნარიანობა“ დაიბადა ათასწლეულების წინ, საუკუნეთა წყვდიადში. მას შემდეგ, მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ვითარდებოდა ეროვნული პოლიტიკური კონიუნქტურა და მას თავისი წვლილი შეჰქონდა, როგორც ჰუმანურ, კეთილშობილ სახელმწიფოს, საერთაშორისო პოლიტიკური პროცესების განვითარებაში.

ქართველმა ერმა „სახელმწიფოებრივი უფლებაუნარიანობა“ ანუ კონსტანტინე მიქელაძისეული „ისტორიული უფლება“ მოიპოვა სამართლიანად. მას აქვს უფლება ჰქონდეს თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო.

კონსტანტინე მიქელაძეს „ისტორიულ უფლებაში“ ესახება დამოუკიდებელი საქართველო, მისი მომავალი. იგი აღნიშნული უფლების სიმტკიცისა და სრულყოფის გარანტიებზე ამახვილებს ყურადღებას. იურისტის აზრით, სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნორმალური არსებობისათვის აუცილებელია „დიდი კულტურული შრომა“. მიქელაძე აქ გულისხმობს ერის სულიერ-კულტურული პოტენციალების აღმავლობას, ახალ სიმაღლემდე აყვანას. მას გაცნობიერებული ჰქონდა კულტურის, ამ ურთულესი მოვლენის არსი და დანიშნულება საკუთარი ქვეყნისათვის (აქვე მახსენდება პრეზიდენტ ე. შევარდნაძის სიტყვები: „გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაარჩენს საქართველოს“ - ბ. ქ.).

პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სახელმწიფოს სტაბილური ფუნქციონირებისათვის, იურისტის თქმით, საჭიროა განხორციელდეს ასევე „სოციალური რეფორმები“,[1] რომლებიც ხელს უწყობენ მშრომელი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, მათი საბიუჯეტო სისტემის შექმნასა და სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას. სოციალური რეფორმები, კონსტანტინე მიქელაძის მართებული განმარტებით, ამცირებს სიღატაკესა და აღმოფხვრის საზოგადოების ღარიბებად და მდიდრებად დაყოფას.

კონსტანტინე მიქელაძის აზრით, სახელმწიფო ვერ განვითარდება, უფლება-თავისუფლებათა სისტემა არ იქნება უზრუნველყოფილი ხელყოფისაგან, თუ კერძო ინტერესები საზოგადოებრივზე მაღლა დადგა. ყველა ადამიანი, იქნება ეს უბრალო მო-

1. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 60.

ქალაქე, თანამდებობის პირი თუ სხვა, უნდა ზრუნავდეს საეროო კეთილდღეობა-ბედნიერებისა და სრულყოფილი სახელმწიფოს შენარჩუნებისათვის. აქ იკვეთება „ეროიანობის იდეა“, რომელიც პრაქტიკულად უნდა გამოვლინდეს, საზოგადოებრივი ინტერესების უპირატესობა და საზოგადო იდეალებისადმი კეთილი დამოკიდებულება ცხოვრებაში უნდა დამკვიდრდეს. ამის შემდეგ შესაძლებელია მივაღწიოთ სასურველ შედეგს და შევქმნათ მართლაც უფლებრივი, ძლიერი და აღორძინებული სახელმწიფოებრივი ანატომია.

კონსტანტინე მიქელაძე კეთილგანწყობილად უყურებს სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესში უცხოური ინსტიტუტებისა და გამოცდილების შემოღებას. იმ შემთხვევაში, თუ ისინი, რა თქმა უნდა, „არ ეწინააღმდეგებიან ქართულ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, განასახიერებენ ხალხის „უფლებრივ შეგნებას“ და ასაზრდოებენ სახელმწიფოს თვითგამორკვევის პრინციპს. იურისტი დიდ იმედებს ამყარებდა სახელმწიფო სტრუქტურებზე. იგი მიუთითებდა: „სრული იმედია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოღებულ იქნებიან ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც ხალხის ხელმწიფების იარაღად უნდა ჩაითვალოს. ამ ინსტიტუტთა რიგში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს სასამართლო კონტროლს ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს უფლებაზე მოქმედების შესახებ იმ მხრივ, თუ რამდენად ეთანხმება ის კონსტიტუციას, თუმცა არ არის ობიექტური პირობები, რომ შესაძლო იქნეს რეფერენდუმის და სახალხო ინიციატივის შემოღება, მაგრამ დემოკრატიულ წარმომადგენლობის სისტემაზე აღმოცენებული და აყვავებული პოლიტიკური ვითარება ქარიყელი ხალხისა აუცილებლად წარმოშობს ისეთ პირობებს, რომელთა საშუალებით შესაძლო იქნება მათი ცხოვრებაში გატარება და დამკვიდრება. ამას ხელს უწყობდნენ ფართო უფლებებით აღჭურვილი ადგილობრივი თვითმართველობები, რომელთაც შეუძლიათ განაცითარონ და გააღრმავონ ხალხის თვითშემოქმედება და შეგნება“.[2]

კონსტანტინე მიქელაძე აღნიშნულის გარდა, ყურადღებას აქცევს ერთ ფრიად საინტერესო საკითხს, რომელიც უფრო საერთაშორისო პოლიტიკის სფეროს განეკუთვნება. ეს არის ახლად შექმნილი სახელმწიფოს ცნობა სხვა ქვეყნების პოლიტიკური სისტემების მიერ.

2. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 63.

იურისტის აზრით, ნებისმიერი სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელია იზოლირებულად, სხვა სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების გარეშე.

საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული ქვეყანა, ცნო ზოგიერთმა სახელმწიფომ, მაგრამ იურისტი თვლიდა, რომ ეს საკმარისი არ იყო, ვინაიდან, მისი საერთაშორისო ოჯახში მტკიცედ დამკვიდრება მოითხოვდა მოკავშირეთა მხრიდან აღიარებას.

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველო პირველად არგენტინამ ცნო 1919 წლის 15 სექტემბერს. ეს გახლდათ დიდი მიღწევა დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაში, 1920 წლის 7 მაისს რუსეთ საქართველოს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომელიც შემდგომ უხეშად დაარღვიეს ლენინელებმა.

„1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება იყო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რაც საქართველოს სტატუსს მსოფლიოს ასპარეზზე განამტკიცებდა. ხელშეკრულებამ გაზარდა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი საერთაშორისო ნდობა. მან კიდევ უფრო გაუადვილა უცხო ქვეყნებს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება".[3]

კონსტანტინე მიქელაძე 1918 წლის 26 მაისს „გამარჯვების დღეს" უწოდებს. იურისტის აზრით, ამით ქართული სახელმწიფო ჩადგა სოციალური ერთეულის მდგომარეობაში, რომელსაც აქვს სახელმწიფოს ხასიათი, ის ძირითადი ნიშნები (ტერიტორია, საკუთარი მოსახლეობა და იძულებითი ძალა), რომელზეც არის აგებული მთელი სახელმწიფოებრივი კონიუნქტურა.

იურისტი ცარიზმის იმპერიას ბარბაროსობას უწოდებს. „ეს გამარჯვება არის ბარბაროსობისაგან გათავისუფლება, თვითმპყრობელ რუსეთზე გამარჯვება. ისტორიული უსამართლობა ჩადგა საკუთარ კალაპოტში. რუსეთს აერთვა ის, რაც მან ავაზაკურად ჩაიგდო ხელში - საქართველო განთავისუფლდა რუსეთის დამონებისაგან და მით გაიმარჯვა. ეს ისეთი გამარჯვება არის, რომელიც ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ მისი, ქართველი ხალხის ისტორიული ძალისადმი „გამარჯვება" დარჩეს მას, როგორც საუკეთესო ნიშანი ეროვნული არსებობისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში დამსახურებულ გამარჯვებისა".[4]

---

3. ა. სურგულაძე, ჰ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, 1991 წელი, თბ., გვ. 224.
4. კონსტანტინე მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 61.

მაგრამ უბედურება ის გახლდათ, რომ ამ გამარჯვების სიცოცხლე სულ მალე შეწყდა. საქართველო 1921 წლის 25 თებერვალს დამარცხდა. აი ამ „ახალი გამარჯვების შემომქმედ-არქიტექტორთა“ სახელები: ფილიპე მახარაძე, სერგო ორჯონიკიძე, მიხა ცხაკაია, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიშა ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ალექსანდრე გეგეჭკორი და სხვები.

1921 წლის 19 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული ხელისუფლების შემადგენლობამ სამშობლო დატოვა.

1921 წლიდან 90-იან წლამდე სულს მოწყურებული თავისუფლება ჩახშობილი იყო. მიქელაძისეული „ისტორიული უფლების“ გამოყენება ბოლშევიკებმა ხელმოუწვდომელი გახადა ქართველებისათვის.

70 წელი რუსულმა სულისკვეთებამ იზეიმა, დაგვადგეს იმ ხალხის მძიმე უღელი, რომლებიც არც პოლიტიკური და არც სულიერი კულტურით ჩვენზე მაღლა არ იდგა. ამას თვით რუსეთის ზოგიერთი წარმომადგენელიც აღიარებდა. მაგალითად, სლავიანოვილების ხელმძღვანელი ამბობდა, რომ „საქართველო უძველესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, მან ქრისტიანობა მაშინ მიიღო, როდესაც რუსეთის სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა და რუსები არც იყვნენ ქრისტიანები“.[5]

ქართული „ისტორიული უფლება“ უწყვეტი ხელყოფის მიუხედავად მაინც ძლევამოსილად შენარჩუნდა. აღვიდგინეთ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვიხსენით თავი ბოლშევიკური ტირანიის ბორკილებისაგან. კონსტანტინე მიქელაძის მიერ 85 წლის წინ წარმოთქმული სიტყვებით რომ ვთქვათ, „რუსეთს აერთიანა ის, რაც მან ავაზაკურად ჩაიგდო ხელში. საქართველო განთავისუფლდა რუსეთის დამონებისაგან და მით გაიმარჯვა“. კომუნისტების შემზღუდავი და არაკანონიერი პოლიტიკა კი ისტორიის სამსჯაროზე პირუთვნელად გადაფასდა. ერთ დროს მამულიშვილებად აღიარებული მახარაძე, ორჯონიკიძე, ცხაკაია, ელიავა, ორახელაშვილი და სხვები მოღალატეებად გამოცხადდნენ, ხოლო მათ მიერ განდევნილი ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენელთა, ემიგრაციაში მყოფ და აქ დარჩენილ ქართველთა სახ-

5. ე. თაყაიშვილი, ლაბრუნება (ემიგრანტული წერილები, გ. შარაძის რედაქციით), თბ. 1991 წელი, I ტ. გვ. 408.

ელები საქართველოს ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა. მათ საქმეებს დავიწყება არ უწერია, რომლებიც, მჯერა, ქართველი ერის მეხსიერებაში სამუდამოდ იკიაფებენ და მომავალ შთამომავლობას გაახსენებენ იმ სახელოვან წინაპართა მამულიშვილურ სიმტკიცეს, რომლებმაც შექმნეს 1918-1921 წლების მარადუკვდავი ქართული სინამდვილე. ეროვნული ყოფიერების ეს მცირე მონაკვეთი საქართველოს ისტორიაში დარჩება, როგორც ქართველობის, ნაციონალურობის, მრავალსაუკუნოვანი ქართული ტრადიციების და წეს-ჩვეულებების აღორძინების უპრეცედენტო მაგალითი. 1918-1921 წლების საქართველოს რეალობა მომავალ შთამომავლობას კიდევ ერთხელ დააფიქრებს იმაზე, თუ ვინ ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით, მამულიშვილური, პატრიოტული გრძნობით აუნთებს გულებს, ჩაუნერგავს მათ ყოველივე ქართულის სიყვარულს, იმ ღირსეულ მოღვაწეთა პატივისცემის გრძნობას, რომლებიც ჩვენი მომავლისათვის ქართულ მიწას და ქართულ ყოფიერებას მონატრებულნი ემიგრაციაში უცხოეთის ცის ქვეშ განაგრძნობდნენ მოღვაწეობას. 1918-1921 წლები გვაძლევს მაგალითს იმისას, თუ როგორ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს ეროვნულ საუნჯეს - პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, ქართველთათვის ესოდენ ფასეულ და ღირებულ მოვლენას - ქართულ, ეროვნულ სახელმწიფოს. ჩვენი წმინდათაწმინდა ვალია დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება, მიქელაძისეული „ისტორიული უფლება“, ვინაიდან, ვიარსებოთ დედამიწაზე ეს როგორც სწორუპოვარ, ღირსეულ და ნაღდად ჭეშმარიტ ერს ეკადრება.

Beka Kantaria

Political and Juridical Outlook Of Konstantine Mikeladze The Summary

The day of May 26, 1918 is gilded in the XX century of the Georgian history. On this day, Georgian nation broke free from the power of Russian czarism and set up building of the new, independent state. Since the first day of political independence acknowledgement, there arose the necessity of settling many problems of state and vital importance. First of all, the project of democratic constitution; to form its basic foundation, the Georgian National Committee assembled "Constitution Commission" on the day of June 6, 1918 presided over by **Sergo Japaridze**. Afore mentioned commission included people, with progressive and democratic mentality. The lawyer, **Konstantine Mikeladze** was among them. Very soon on the 26th of March 1919 newly elected Constituent Assembly of Georgia established the constitution commission with minor changes in the staff. The commission elected lawyer **Rajden Arsenidze** as a chairman. **Konstantine Mikeladze** was invited as an assistant member, greatly contributing to the formation of the project of the Georgian constitution. He was also one of the coauthors of this Georgian constitution. Article fifteen of the constitution - on state officials, also belongs to him. On the 16th of May 1920, the Constitution Commission of Georgia discussed the project of this article. The general speaker was **Konstantine Mikeladze** himself. He had been working as a legal adviser since December 1910; from November 20 of 1918, to March 19, 1919 at the national council constitution committee of the Georgian democratic republic and from March 26 1919, to February of 1921 at the constitution committee of the Constituent Assembly. By the order of the chief of the Ministry of Roads, Ivane Lortkipaanidze, dated June 1, 1918,

Konstantine Mikeladze was appointed as a legal adviser of this ministry. Since the day of June 27 1918 he has been working at the leasers' account commission of the Georgian Democratic Republic Labour Ministry. Meanwhile, he worked as the assistant legal adviser of the North-West Railway Administration. He also worked as a chief of the North Caucasus Government, at the Chamber of the Petrograd Circuit Court, Petrograd Commercial Court.

In 1918 **Konstantine Mikeladze** published a juridical work: "Democratic Republic Constitution and Parliamentary Republic". This work contains his political and legal attitudes and his ideas and conceptions about the Constitution of 1921. The work consists of 65 pages and very interesting contents. The work is published by the topography of the Georgian Democratic Republic Government.

The present work composed of 8 Units and 32 articles, using rich archive materials studies **Konstantine Mikeladze's** merits in the field of working out Georgian constitution of 1921. It also contains comparing analysis of the Georgian Constitution of 1921-1995. The first constitution of Georgia contains many attitudes and conceptions of lawyer **Konstantine Mikeladze.** The archive protocols of the constitution commission assemblies describe his interesting speeches and reports, concerning certain articles of the mentioned constitution.

The present monograph is preceded with the preface. The first part refers to the constitution, its main characteristics and Konstantine Mikeladze's attitudes towards acceptable forms of Constitutions. It studies the formation of the constitution commission, main parameters of its staff and work. The authors of different articles of 1921 constitution are particularly stressed. It displays essence, assignment and place of the constitution in Konstantine Mikeladze's political – juridical worldviews.

Chapter two refers to different issues, particularly critics. Lawyer considers the goal of critics to be the explanation of work motive unavailable for an ordinary reader. He thinks, that the primary aim of

critics is searching the objective reality. This part researches Konstantine Mikeladze's attitudes towards a clerk's rights and the most significant state items, like local self government, state financial control, displaying "complete", i.e. legal state characteristics. As the most important purpose of Georgian democratic state activities Konstantine Mikeladze considers the restoration of lawful government.

Part three of the work describes the system of citizens' rights and obligations, citizenship, rights of national minorities and Konstantine Mikeladze's attitude towards this particular item. The lawyer, referring to the most problematic topics of the state and law, is judging quite logically. He acknowledges the concepts of "Free Citizen", "Citizen, Empowered with Rights." Meanwhile, he attaches greater priority to their obligations. The lawyer performs the "Right", as the "Public" and "Private" right. Under the concept of "citizen" he implies "obedience" and "loyalty" to the state. He absolutely denied the concept of double citizenship. To his mind, state political rights could be granted only the citizen himself, defending the rights of national minorities. All, afore mentioned is included in the constitution of 1921.

Part four of the Monograph defines the idea of State, lawyer, **Konstantine Mikeladze's** ideas about state functions, signs, forms and sovereignty. **Mikeladze** is famous for the state internal and external functions. These terms are surely not used by him. By the "Internal", he meant "Normal Function", whereas he implied "Special Function" in the "Foreign". He accepted three forms of state signs: forces, territory and population; while from state regimes he acknowledged: absolute monarchy, restricted monarchy and republic structure. Among the latter, he preferred "Republic System". **Konstantine Mikeladze** equalized state independence and sovereignty. He could not imagine existence of state without sovereignty, though he did not include it among the main signs of state.

Part five of the work refers to the parliament, its structure, staff and Social – Democratic Party. According to **Konstantine Mikeladze,**

the ideal Georgian parliament model was the foundation of strong, national state policy. He accepted the existence of upper and lower chambers of the Parliament, increase of deputy stuff. He attached great essence to the principles of the multi party system. The lawyer admitted the Social-Democratic Party as the leading force of the state policy and the symbol of Georgian strength.

Part six of the work is rather long. It concerns the attitudes of **Konstantine Mikeladze** about the importance of court power, judge's legal state, protection of rights, court control, arbitrator, the concept of administration, justice and the sworn jury. The lawyer confers great importance to court power, democratic – civilized society and the formation of the social legal state. **Konstantine Mikeladze** perceives the "Right Protection" in the transparency and publicity of court system. To his mind, a judge should be a professional and independent in his activities. The lawyer thinks the court control to be established over the activities of the supreme executive government and supreme legislative institutions, in case of the constitution committee does not imply the concept of reference (public control). He thought strengthening the institutes of sworn jury and justice as the most important for Georgian State, discussed in the constitution of 1921.

Part seven of the monograph researches **Konstantine Mikeladze's** conception of executive government, its staff and activities, the institute of the president. The main law introduced the colleague administration. This is proved by annealing president's position, attaching the supreme executive administration to the government and the act of state law, announced by the head of government, as the order or decree and by the government as the declaration.

Konstantine Mikeladze rejected the president system and showe dhis preference to parliament regime.

Part eight of the work refers to democratic regime. Great attention is paid to political rights. **Konstantine Mikeladze** equalized people with democracy.

Thus, the views of the lawyer are progressive. We can easily say, that he greatly contributed to the formation of Georgian constitution. **Konstantine Mikeladze's** conceptions are fully included into the paragraphs of the Georgian supreme law. His merits and precious contribution should be memorized for the coming generations.

The present monograph serves to this particular goal!

Beka Kantaria

Resumé politique et juridique de Konstantiné Mikeladzé

Résumé

Le 26 mai 1918 est entré à l'histoire de Géorgie du XX-ème siècle par les lettres d'or. Ce jour, la nation géorgienne est délivrée de l'exploitation du tsarisme de la Russie et a mis indépendamment comencer la construction de l'Etat démocratique. Depuis la déclaration de l'indépendance politique, il serait dréssé la necéssité d'arrangement des questions de vivre et importantes étatiquement auprés de la société. Entre outre, le 6 juin 1918, il falait de former le projet de la constitution démocratique, pour former ses principaux structures, le Conseil National de Géorgie a crée "La Commission Constitutionele" à la Présidence du Social-Démocrat Sergui Djaparidzé. Dans cette commission sont unis des homme savants progressivement et politiquement, dont le corps est entré le juriste Konstantiné Mikeladzé. Plus tôt, le 26 mars 1919 la réunion fondamentale de la Géorgie a crée la commission constitutionele avec les petits changements du corps. Elle a élu en chef de la commission le juriste Rajden Arsenidzé, on a invité comme le membre adjoint Konstantiné Mikeladzé, qui a apporté un grand apport dans la formation du projet de la Constitution de Géorgie du 21 février 1921. Il est un des collaborateurs de la Constitution. Lui appartient le chapitre 15 de la Constitution - des fonctionnaires d'Etat. Le 26 mai 1920, à la réunion de la commission constitutionele de Géorgie, on a examiné le projer de ce chapitre. Le rapporteur genéral était l'auteur Konstantiné Mikeladzé. Sur les changements et les corrections, la commission a pris ce projet. Konstantiné Mikeladzé était le juriste très cultivé. Du mois de décembre 1910, il travaillait au poste de jurisconsulte, du 20 novembre 1918 au 18 mars 1919 dans la commis-

sion constitutionele du Conseil National de la République démocratique de Géorgie, et du 26 mars 1919 au mois de février 1921 dans la commission constitutionele de la réunion fondamentale de Géorgie. Le 1 juin 1918, par l'ordre du président du Ministère des chemins de Géorgie Ivané Lortkipanidzé, il était nommé au poste de jurisconsulte du Ministère. Du 27 juin 1918, il travaillait dans la Commission des comptes du Ministère de travail de Géorgie, et en même temps il travaillait au poste de l'adjoint du jurisconsulte de la direction de chemin de fer de l'ouest du nord, au poste de Président des affaires du Comité de l'approvisionement du Gouverment de la Caucasie du Nord., dans la Chambre du Tribunal régional de Petrograde, au Tribunal commercial de Petrograde.

En 1918, Konstantiné Mikeladzé a édité le rapport d'une caractère juridique à Tbilissi: " République parlementaire et la constitution de l'Etat démocratique". Dans ce rappot il est examiné ses visions de droit et politique, même ses conceptions sur la Constitution de 1921. Le livre est composé par 65 pages et il est très interréssant par son contenu. Le rapport est édité par l'imprimerie du Gouverment de la République démocratique de Géorgie.

Le rapport ci- dessus, qui se compose des 8 tomes et des 32 chapitres, sur le fondement de l'utilisation de riches matériaux d'archive est examiné comme le mérite de Konstantiné Mikeladzé dans une affaire de formation du projet de la Constitution de Géorgie de 1921. Il est montré aussi l'analyse comparative de la constitution de Géorgie de 1921 et de la Constitution de 1995. Beaucoup de conceptions de Konstantiné mikeladzé sont introduis dans la première Constitution de Géorgie, dans les procès-verbaux d'archive des réunions de la commission constitutionele donnants ces rapports très interrésents et les introductions sur des articles de cette Constitution.

La monographie ci-dessus commence par l'introduction. La première partie est écrit sur la Constitution, des originalités fondamentales de la constitution, des idées de Konstantiné Mikeladzé sur des formes de l'adoption de la constitution.

Il est examiné de principales paramètres de fonctionnement et de la composition, de la formation de commission constitutionele. Ils est souligné les auteurs des chapitres de la constitution de 1921. Il est montré la place occupée de la signification et de la destination de Constitution dans la conception du monde juridique et politique de Konstantiné Mikeladzé.

La deuxième partie s'agit aux autres questions. Le jusiste prend en compte de destination du critique l'exploitation de cet oeuvre, qui est innaccessible pour les simples lecteurs. À son avis, le permier objet du critique doit êtrésle recherche de la réalité objective. Dans cette partie, il est montré des apparences de Konstantiné Mikeladzé sur les droits des fonctionnaires et aussi sur les questions importantes de l'Etat comme le self-gouvernement local et sur le contrôle de l'Etat (financier). Il est montré aussi des signes caractèristiques de l'Etat de justice ou de "droit". On peut compter la personnalité de Konstantiné Mikeladzé comme le but principal de l'activiste de Géorgie, et la constitution de l'Etat de justice.

La troisiéme partie représente le système des droits et des libertés du citoyen, la citoyenneté, des droits de minorité nationale et l'approche de Konstantiné Mikeladzé anvers ces questions. Le juriste, qui touche aux sujets principaux de droit, discute assez logiquement. Il connaît la notion "du citoyen investi des droits" et "du citoyen libre" En même temps il donne la priorité à leurs engagements. Le juriste divise le droit en "droit publique" et en "droit privé". Il suppose dans cette notion "la fidélité" et "l'obéissance" auprès de l'Etat. Il refusait catégoriquement l'institut de double citoyenneté. À son avis, l'Etat doit investir seulement à son citoyen les droits politiques et proteger les droits de minorité nationale. Tous sont représentés dans la Constitution de 1921.

Dans la troisième partie de la monographie, il est déterminé le sense de l'Etat, des avis du juriste Konstantiné Mikeladzé sur les fonctionnement de l'Etat, sur les signes et les formes d'Etat de la souveraineté de l'Etat et des fonctions étrangères. Il n'a pas utilisé ces notions, il voulait représenter dans la notion "intérieur" la notion de

"la fonction normale" et dans la notion "étranger" la notion de "la fonction extraordinaire". Il reconna seulement trois formes des signes d'Etat: le pouvoir forcé, le territoire et le peuple et des formes d'Etat : la monarchie absolue, la monarchie limitée et le régime républicaine. Entre ceux, il attachait une grande importance au "régime républicaine". Konstantiné Mikeladzé identifiait l'indépendance de l'Etat avec la souveraineté d'Etat. Il ne pouvait pas imaginer l'Etat sans souveraineté, mais il n'idéalisait pas la souveraineté dans les signes principaux d'Etat. La cinquième partie du rapport représente le Parlement, son structure et le partie sociaux-démocratique. L'idéale de Konstantiné Mikeladzé était de former en Géorgie le modèle du gouvernement parlementaire, dont fondera la politique nationale. Pour lui l'existance de Hautes Chambres et de Basses Chambres, la réduction des députés est recevable. Il attaicait une grande importance au principe de multiplication des partis. Le juriste a reconnu le Parti Sociau-Democratique comme la pricipale force de la politique d'Etat et l'a pris en compte comme le symbole de la force de Géorgie.

La sixième partie du rapport est trop large. Il représenete l'apparence de Konstantiné Mikeladzé de la signification du Pouvoir tribunal, de l'état du droit de juge, de la protection du droit, du contrôle tribunal, de l'institut des juges, de la justice administrative et de l'arbitre de paix. Le juriste attache un grand rôle au pouvoir tribunal dans une affaire de formation de l'Etat de droit et social et de la formation de la société civilisée et démocratique. Dans une affaire de Konstantiné Mikeladzé, on peut voir le public et la trensparence du système tribunal "la protection du droit". À son avis, le juge doit être professionnel et indépendant dans son activité. Le juriste compte qu'il falait effectuer le contrôle du Pouvoir suprême exécutif et de l'organe de législation suprême. Dans le cas, si la commission constitutionnele n'envisage pas l'institut du référendum /le contrôle public/ pour la Géorgie et elle reconnaissait de former l'institut des juges et de la justice administrative, qui sont représentés dans la Constitution de 1921.

Dans la septièmè partie de la monographie, nous avons examiné la conception de Konstantiné Mikeladzé du pouvoir exécutif. Il s'agit de la composition et de la destination du Gouvernement, de l'institut du Président. La loi principale a fondé le Gouvernement collectif. Cela est affirmé par le refus du poste de Président, l'entrée en possession du gouvernement suprême au gouvermenet du pouvoir exécutif et l'activité légale du gouvernement qui expriment dans une affaire de l'édition du decret par le gouvernement même et de l'édition de l'ordre et de la résolution par le Président du gouvernement.

Konstantiné Mikeladzé a refusé le gouvernement présidentiel et donnait la priorité au régime parlementaire.

Dans la huitième partie du rapport, on parle du régime démocratique. Il est examiné aussi les droits politiques. Konstantiné Mikerladzé identifiait ensemble le peuple et la démocratie.

Principalement, les rapports du juriste se caractérisent par la progressivité. On peut dire qu'il a prononé son parole dans une affaire de la formation de la Constitution géorgienne. Les conceptions de Konstabntiné Mikeladzé sont représentées dans les articles de la loi suprême de Géorgie de 1921. Son abole est innoubliable pour sa prospérité future.

La monographie ci-dessus a un grand mérite dans cette affaire!

Beka Kantaria

Die politische und juristische monographie von Konstantine Mikeladse

ZUSAMMENFASSUNG

Der 26. Mai 1918 ist in der Geschichte Georgiens des XX Jahrhunderts mit goldenen Buchstaben eingeschrieben. An diesem Tag wurde die georgische Nation von Herrschaft des russischen Zarismus frei und machte sich auf den Weg vom Aufbau eines demokratischen Staates. Gleich am ersten Tag der Anerkennung der politischen Unabhängigkeit entstand vor der Gesellschaft die Unumgänglichkeit der Regelung vieler staatlich bedeutender und lebenswichtiger Angelegenheiten. Vor allem musste das Projekt für demokratische Verfassung formiert werden, für die Bildung deren Grundlagen das Nationale Rat Georgiens am 6. Juni 1918 ein „Verfassungskomission" unter Vorsitz vom Sozialdemokraten Sergi Dschaparidse gebildet hat. In der genannten Komission haben sich vortschrittlich und demokratisch denkende Menschen vereinigt. Im Bestand der Komission war auch der Jurist Konstantine Mikeladse. Bald, am 26. März 1919, gründete die neugewählte konstituierende Versammlung die Verfassungskomission mit kleinen Änderungen im Bestand der Komission. Zum Vorsitzenden hat die Komission den Juristen Rashden Arsenidse ernannt. Als Hilfsmitglied wurde Konstantine Mikeladse eingeladen, der zur Formierung des Verfassungsprojektes Georgiens von 21. Februar 1921 einen riesigen Beitrag geleistet hat. Er ist einer der Mitverfasser dieses Projektes. Ihm gehört der fünfzehnte Kapitel der Verfassung – Staatsmänner. In der Sitzung der Verfassungskomission Georgiens von 26. Mai. 1920 wurde das Projekt des genannten Kapitels erörtert. Der Hauptreferent war der Autor Konstantine Mikeladse. Auf Grund der Berichigungen

und Bemerkungen wurde das Projekt von der Komission angenommen.

Konstantine Mikeladse war ein hochgebildeter Jurist. Er war ab Dezember 1910 als Justitiar tätig, ab 20. November 1919 bis zum 19. März 1919 – an der Verfassungskomission des Nationalen Rates der demokratischen Republik Georgien, ab 26. März 1919 bis zum Februar 1921 – in der Verfassungskomission der konstituierenden Versammlung Georgiens. Am 1. Juni 1918 wurde Konstantine Mikeladse gemäss dem Befehl des Leiters vom Verkehrsministerium Iwane Lortkipanidse zum Justitiar des genannten Ministeriums eingesetzt. Ab 27. Juni 1918 war er an der Komission für Pächter beim Arbeitsministerium der demokratischen Republik Georgien tätig. Er war zudem an der Verwaltung der Nordwestlchen Eisenbahn als Justitiar tätig, sowie als Leiter des Ausschusses für Versorgung der Regierung vom Nordkaukasien, am Kammer des Bezirksgerichts von Petrograd, am kommerziellen Gericht von Petrograd tätig.

Im Jahre 1918 wurde von Konstantine Mikeladse die Arbeit juristischen Charakters „Verfassung des demokratischen Staates und parlamentare Republik" veröffentlicht. In diesem Werk sind seine politische und rechtliche Ansichten dargestellt, sowie eigene Konzepten und Ansichten über Verfassung 1921. Das Buch besteht aus 65 Seiten und ist inhaltlich sehr interessant. Das Werk ist von der Druckerei der demokratischen Regierung Georgiens verlegt worden.

Im vorliegenden Werk, das aus 8 Teilen und 32 Kapiteln besteht, ist auf Grund der reichlichen Archivmaterialien der Verdienst von Konstantine Mikeladse zur Entwicklung des Verfassungsprojektes Georgiens 1921 dargestellt. Hier ist zudem eine Vergleichsanalyse der Verfassungen Georgiens von 1921 und 1885 gegeben. Viele Konzepten und Ansichten von Konstantine Mikeladse sind in der ersten Verfassung Georgiens dargestellt. In den Protokolen der Sitzungen der Verfassungskomission sind seine interessante Vorträge und Reden erhaltengeblieben, die mit einzelnen Punkten der erwähnten Verfassung zu tun haben.

Die vorliegende Monographie beginnt mit einem Vorwort. Der

erste Teil betrifft die Verfassung, die gründlichen Eigenartigkeiten der Verfassung, die Ansichten von Konstantine Mikeladse über die Formen der Annahme der verfassung. Es sind die Grundparameter der Formierung, des Bestands und der Arbeit einer Verfassungskomission festgelegt. Es sind die Autoren verschiedener Kapitel der Verfassung 1921 unterstriechen. Es ist gezeigt, welche Rolle in der politisch-rechtlichen Weltanschauung von Konstantine Mikeladse die Bedeutung und Bestimmung der Verfassung ausüben.

Der zweite Teil betrifft verschiedene Klasse. Es ist hier über die Kritik gesprochen worden. Der Jurist versteht die Bestimmung der Kritik in der Erklärung dijeniger Erscheinung des Werkes, die für einfache Leser unerreichbar ist. Seiner Meinung nach, muss das alleresrste Ziel der Kritik die Forschung der objektiven Wahrheit sein. In diesem Teil sind die Ansichten von Konstantine Mikeladse über Rechte der Beamten, sowie über dijenige bedeutendste Fragen, wie kommunale Verwaltung, Staatskontrolle (Finanzenkontrolle), es sind ebenso die Merkmale eines „rechtlichen" Staates gezeigt worden. Für ein Hauptziel der Tätigkeit des demokratischen Georgiens hält Konstantine Mikeladse den Aufbau eines rechtlichen Staates.

Der dritte Teil der Arbeit stellt das System der Rechte und Freiheit des Staatsbürgers, Staatsangehörigkeit, Rechte der nationalen Minderheiten und die Einstellung von Konstantine Mikeladse zu diesen Fragen dar. Der Jurist, der die Schlüselthemas des Staates und des Rechtes betrifft, beurteilt genug logisch. Er anerkennt die Begriffe „Freier Bürger", „Bürger mit Rechten" und gibt dabei den Vorrang ihrer Verpflichtungen. Der Jurist teilt „Recht" auf „offentliche" und „private" Rechte. Unter dem Begriff der „Staatsangehörigkeit" versteht er die „Gehorsamkeit" und „Treue" zum Staat. Er weigerte sich kategorisch das Insitut der doppelten Staatsangehörigkeit. Seiner Meinung nach muss der Staat die Rechte nur seinen eigenen Staatsbürgern einräumen und die Rechte der nationalen Minderheiten einhalten. Alles erwähnte ist in der Verfassung von 1921 dargestellt.

Im vierten Teil der Monographie ist das Wesen des Staates, die Ansichten vom Juristen Konstantine Mikeladse über Funktionen, Merkmale, Regierungsformen, staatliche Souverenität des Staates dargestellt. Mikeladse akzeptierte die inneren und äusseren Funktionen des Staates. Diese Begriffe hatte er, natürlich, nicht verwendet. Unter „Innere Funktion" meinte er „Normale Funktion", unter „äussere Funktion" aber – „Besondere Funktion". Er akzeptierte die drei Formen der Staatsmerkmale: Zwangkraft, Territorium und Bevölkerung, von den Staatsformen aber – absolute Monarchie, eingeschränkte Monarchie und republikanische Ordnung. Von den Erwähnten bevorzugte er „Republikanische Regierungsform". Konstantine Mikeladse stellte die Unabhängigkeit und Souverenität des Staates gleich. Für ihn war die Existenz des Staates ohne Souverenität unvorstellbar, obwohl er die Souverenität nicht für ein Hauptmerkmal des Staates hielt.

Der fünfte Teil der Monographie betrifft das Parlament, seine Struktur, seinen Bestand und die sozial-demokratische Partei. Das Ideal von Konstantine Mikeladse war die Entwicklung der Modelle dijeniger parlamentarischen Verwaltung, auf der eine gesunde nationale staatliche Politik beruhen könne. Er hielt für annehmbar die Existenz der oberen und unteren Kammern des Parlaments, die Verminderung der Zahl der Abgeordneten. Für ihn war das Prinzip vom Mehrparteiensystem von grosser Bedeutung. Der Jurist hat die sozial-demokratische Partei zur führenden Kraft der staatlichen Politik anerkannt und betrachtete sie als Symbol der Stärke Georgiens.

Der sechste Teil der Arbeit ist genug weit. Er stellt die Ansichten von Konstantine Mikeladse über die Bedeutung der gerichtlichen Macht, über rechtlichen Zustand des Richters, über Rechtsschutz, gerichtliche Kontrolle, Schiedsrichter, Verwaltungsjustiz und das Institut der Geschworenen dar. Der Jurist mass der gerichtlichen Macht bei der Formierung der demokratisch-zivilisierten Gesellschaft und des sozial-rechtlichen Staates grosse Bedeutung zu. Konstantine Mikeladse sieht

den „Rechtsschutz" in Durchsichtigkeit und Öffentlichkeit des gerichtlichen Systems. Seiner Meinung nach, muss der Richter ein Professional und unabhängig in seiner Tätigkeit sein. Der Jurist meint, dass es die gerichtliche Kontrolle auf Tätigkeit der Vollzugsmacht und das Oberste gesetzgebende Organ nötig sei, wenn die Verfassungskomission das Institut vom Referendum (Volkskontrolle) nicht berücksichtige. Für den Staat Georgiens fand er am wichtigsten die Einführung der Institute der Verwaltungsjustiz und der Geschworenen.

In der siebten Teil der Monographie sind die Kozept von Konstantine Mikeladse über Vollzugsmacht dargestellt. Es wird hier über den Bestand und Bestimmung der Regierung, sowie über Institut des Präsidents gesprochen. Der Grundgesetz hat die kollegiale Verwaltung gegründet. Das bestätigt die Weigerung der Stelle des Präsidenten, Zugehörigkeit der Vollzugsmacht der Obersten Regierung zur Regierung und rechtliches Schaffen der Regierung, das im Erlassen der Befehle und Verordnungen vom Vorsitzenden der Regierung, von der Seite der Regierung aber – im Erlassen der Resolutionen ausgedrückt war.

Konstantine Mikeladse hat die Präsidentenverwaltung geweigert und die Parlamentarordnung bevorzugt.

Im achten Teil der Arbeit ist über eine demoktatische Regime gesprochen. Grosse Aufmerksamkeit ist den politischen Rechten geschenkt worden. Konstantine Mikeladse stellte Volk und Demokratie gleich.

Also, die Ansichten des Juristen sind mit Fortschrittlichkeit charakterisiert worden. Man kann ohne weiteres sagen, dass er sein eigenes Wort bei der Formierung der demokrativen georgischen Verfassung gesagt hat. Die Konzepten von Konstantine Mikeladse sind in den Artikeln des Grundgesetzes Georgiens 1921 reichlich enthalten. Sein Verdienst muss für unsere Nachkommen unvergesslich werden.

Gerade zu diesem Zweck ist die vorliegende Monographie bestimmt.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი

ფონდი 1836, საქმე 1 - საქარხიველოს ეროვნული საბჭოს სხდომების სტენოგრაფიული ანგარიშები.

ფ. 1836, ს. 2 - საქარხიველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და დამფუძნებელი კრების ოქმები.

ფ. 1836, ს. 4 - საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომის ოქმები.

ფ. 1836, ს. 5 - საქართველოს პარლამენტის სხდომის ოქმები.

ფ. 1836, ს. 9 - საქარხიველოს ეროვნული საბჭოს სხდომის ოქმები.

ფ. 1836, ს. 25 საქარხიველოს ეროვნული საბჭოს პოლიტიკური სექციის სხდომის ოქმი.

ფ. 1836, ს. 39 - საქარხიველოს პარლამენტის სხდომის ოქმები.

ფ. 1836, ს. 42 - საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი.

ფ. 1836, ს. 59 - საქარხიველოს ეროვნული საბჭოს სხდომის ოქმი პარლამენტის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

ფ. 1836, ს. 83 - კანონ-პროექტი ეროვნულ უმცირესობათა დამტკიცების შესახებ საქართველოს ეროვნულ საბჭოში.

ფ. 1836, ს. 86 - საქარხიველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მიერ მიღებული კანონები.

ფ. 1836, ს. 90 - საქარხიველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთა სია 1918 წლის 26 მაისიდან 1918 წლის 1 ივნისამდე.

ფ. 1836, ს. 107 - საქარხიველოს ეროვნული საბჭოს წევრთა ავტობიოგრაფიები.

ფ. 1836, ს. 155 - საქარხიველოს რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს მმართველობის და თვითმართველობის კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1836, ს. 201 - საქართველოს ეროვნული საბჭოს საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმი. საკონსტიტუციო კომისიის შემადგენელთა სია.

ფ. 1836, ს. 279 - დროებითი საგანგებო სასამართლოს დებულება.

ფ. 1836, ს. 280 - დებულება სისხლის სამართლის საქმის წარმოების შესახებ.

ფ. 1836, ს. 282 - იუსტიციის მინისტრის მოხსენება და კანონ-პროექტი ნაფიცმსაჯულთა სასამართლოს შემოღების და დებულების დამტკიცების შესახებ.

ფ. 1836, ს. 285 იუსტიციის სამინისტროს კანონ-პროექტი მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის დაარსების შესახებ.

ფ. 1836, ს. 288 - იუსტიციის მინისტრის კანონ-პროექტი მომრიგებელ სასამართლოს ქვემდებარეობის გაფართოების შესახებ.

ფ. 1836, ს. 309 - ერიონული საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმები სახელმწიფო კონტროლიორის დაარსების შესახებ.

ფ. 1836, ს. 321 - ფინანსთა მინისტრის მოხსენება, კანონ-პროექტი და კანონი სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

ფ. 1836, ს. 365 - სახელმწიფო კონტროლის დებულება.

ფ. 1836. ს. 420 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები, კანონ-პროექტები, კანონები და დებულებანი.

ფ. 1836, ს. 397 - საქართველოს პარლამენტის სხდომის ოქმები. დამფუძნებელი კრების მოწვევის დღის დანიშვნა.

ფ. 1836, ს. 457 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის დოკუმენტური მასალები.

ფ. 1833, ს. 1 - მოწოდება საქართველოს დამფუძნებელი კრების დაარსების გამო.

ფ. 1833, ს. 49 საქართველოს სენატის დებულება.

ფ. 1833, ს. 52 - საქართველოს დამფუძნებელი კრების პირველი სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 63 - საქართველოს დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 69 ამონაწერები; დამფუძნებელი კრების სხდომათა ოქმებიდან სახელმწიფო კონტროლიორის არჩევის შესახებ.

ფ. 1833, ს. 132 - ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების პროექტი.

ფ. 1833, ს. 148 - დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წლის 2 აპრილს დამტკიცებულ საკანონმდებლო აქტების სია.

ფ. 1833, ს. 160 - დამფუძნებელი კრების კომისიებში არჩეულ წევრთა სიები.

ფ. 1833, ს. 170 საკონსტიტუციო კომისიის დამატებითი კანონ-პროექტი საქართველოს ქვეშევრდომობის შესახებ.

ფ. 1833, ს. 172 - საკონსტიტუციო კომისიის დეკრეტი და ამონაწერები პრეზიდიუმის სხდომის ოქმები და დამფუძნებელი კრების წევრთა შეუვალობის შესახებ.

ფ. 1833, ს. 180 - დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 181 - საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 182 - საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 188 - საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

ფ. 1833, ს. 190 - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.

ფ. 1833, ს. 191 საქართველოს კონსტიტუციის პროექტი და სხვადასხვა ფრაქციების მიერ წარმოდგენილი წინადადებები კონსტიტუციის ზოგიერთი ადგილის შეცვლის შესახებ.

ფ. 1833, ს. 192 - საკონსტიტუციო კომისიის სხდომის ოქმები.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტი და მისი გადასინჯვის მასალები.

ფ. 1833, ს. 251 - ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 257 - საქართველოს დამფუძნებელი კრების ადგილობრივი თვითმმართველობის კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 415 - დამფუძნებელი კრების გზათა კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 492 - კანონი საქართველოს სენატის დებულების შემოღების შესახებ.

ფ. 1833, ს. 458 - დამფუძნებელი კრების იურიდიული კომისიის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 681 - დამფუძნებელი კრების კანონები და დეკრეტები.

ფ. 1833, ს. 712 - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 713 - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის სხდომის ოქმები.

ფ. 1833, ს. 726 - დამფუძნებელი კრების სხდომის ოქმი ეროვნული უმცირესობის ენაზე კანონების გამოქვეყნების შესახებ.

ფ. 1833, ს. 733 - დამფუძნებელი კრების კომისიების წევრთა სია და ცნობები მათ შესახებ.

ფ. 1833, ს. 858 - დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და საკონსტიტუციო კომისიის შეერთებული სხდომის ოქმები, კონსტიტუციის განხილვის წესი.

ფ. 1833, ს. 859 - დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშები.

ფ. 1833, ს. 860 - საქართველოს კონსტიტუციის პროექტის ზოგადი დებულებანი და წინადადებები სხვადასხვა ფრაქციების მიერ კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლის შესწორების შესახებ.

ფ. 1833, ს. 1385 - სხვადასხვა ფრაქციების მიერ წარმოდგენილი წინადადებები კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ფ. 1881 ს. 164 - Константина-Димитриевича Микеладзе.

გაზეთები:

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 25 ივლისი.

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 26 ივლისი

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 28 ივლისი.

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 30 ივლისი

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 31 ივლისი.

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 1 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 2 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 3 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 4 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 6 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 10 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 11 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 15 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 18 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 21 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 22 აგვისტო

„საქართველოს რეპუბლიკა", 1918 წელი, 23 აგვისტო.

„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 24 აგვისტო
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 27 აგვისტო.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 29 აგვისტო.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 31 აგვისტო.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 1 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 5 სექტემბერი
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 11 სექტემბერი
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 13 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 17 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 19 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 24 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 26 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 27 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 28 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 29 სექტემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 2 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 4 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 8 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 10 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 11 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 12 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 13 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 16 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 18 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 19 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 20 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 23 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 27 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 31 ოქტომბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 3 ნოემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 7 ნოემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 9 ნოემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 10 ნოემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 12 ნოემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი, 24 დეკემბერი
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1918 წელი 27 დეკემბერი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 7 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 10 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 11 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 12 იანვარი.

„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 23 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 29 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 9 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 18 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 20 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 22 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 5 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 11 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 12 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 14 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 15 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1919 წელი, 16 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 3 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 7 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 10 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 13 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 15 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 16 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 18 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 21 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 24 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 28 იანვარი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 1 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 3 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 4 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 5 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 8 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 10 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 13 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 15 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 18 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 21 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 26 თებერვალი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 5 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 9 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 16 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 18 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 23 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 26 მარტი.
„საქართველოს რეპუბლიკა“, 1920 წელი, 31 მარტი.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 26 მაისი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 3 სექტემბერი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 10 სექტემბერი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი 17 სექტემბერი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 31 ოქტომბერი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 5 დეკემბერი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 11 დეკემბერი.
„საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წელი, 21 დეკემბერი.
„სახალხო საქმე“, 1918 წელი, 21 თებერვალი.
„სახალხო საქმე“, 1918 წელი, 21 ნოემბერი.
„სახალხო საქმე“, 1919 წელი, 7 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1919 წელი, 10 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1919 წელი, 14 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1919 წელი, 25 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1919 წელი, 26 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 15 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 16 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 17 იანვარი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 6 თებერვალი
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 28 თებერვალი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 2 მარტი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 3 მარტი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 5 მარტი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 11 მარტი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 18 მარტი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 4 მაისი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 25 ივნისი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 1 აგვისტო.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 15 აგვისტო.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 26 აგვისტო.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 28 აგვისტო.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 8 სექტემბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 14 ოქტომბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 15 ოქტომბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 16 ოქტომბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 21 ოქტომბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 23 ოქტომბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 26 ოქტომბერი.
„სახალხო საქმე“, 1920 წელი, 30 ოქტომბერი.
„საქართველო“, 1918 წელი, 24 იანვარი.

„საქართველო“, 1918 წელი, 9 მარტი.
„საქართველო“, 1918 წელი, 16 მარტი.
„საქართველო“, 1918 წელი, 31 მარტი.
„საქართველო“, 1918 წელი, 15 ნოემბერი.
„საქართველო“, 1918 წელი, 20 დეკემბერი.
„საქართველო“, 1918 წელი, 26 დეკემბერი.
„საქართველო“, 1920 წელი, 13 იანვარი.
„საქართველო“, 1920 წელი, 14 იანვარი.
„საქართველო“, 1920 წელი, 16 იანვარი.
„საქართველო“, 1920 წელი, 17 იანვარი.
„საქართველო“, 1920 წელი, 24 იანვარი.
„საქართველო“, 1920 წელი, 30 იანვარი.
„საქართველო“, 1920 წელი, 11 თებერვალი.
„საქართველო“, 1920 წელი, 13 თებერვალი.
„საქართველო“, 1920 წელი, 29 თებერვალი.
„საქართველო“, 1920 წელი, 5 მარტი.
„საქართველო“, 1920 წელი, 6 მარტი.
„საქართველო“, 1920 წელი, 15 მარტი.
„საქართველო“, 1920 წელი, 2 აპრილი
„საქართველო“, 1920 წელი, 14 სექტემბერი.
„საქართველო“, 1920 წელი, 22 ნოემბერი.
„საქართველო“, 1920 წელი, 5 დეკემბერი.
„ერთობა“, 1918 წელი, 26 მაისი.
„ერთობა“, 1918 წელი, 26 მაისი.
„ერთობა“, 1918 წელი, 28 მაისი.
„ერთობა“, 1918 წელი, 18 ივნისი
„ერთობა“, 1918 წელი, 10 აგვისტო
„ერთობა“, 1918 წელი, 16-17 აგვისტო
„ერთობა“, 1918 წელი, 25 აგვისტო.
„ერთობა“, 1918 წელი, 8 სექტემბერი
„ერთობა“, 1918 წელი, 14 სექტემბერი
„ერთობა“, 1918 წელი, 27 სექტემბერი
„ერთობა“, 1918 წელი, 29 სექტემბერი
„ერთობა“, 1918 წელი, 27 ოქტომბერი.
„ერთობა“, 1918 წელი, 2 ნოემბერი
„ერთობა“, 1918 წელი, 17 ნოემბერი
„ერთობა“, 1918 წელი, 4 დეკემბერი.
„ერთობა“, 1918 წელი, 10 დეკემბერი.
„ერთობა“, 1919 წელი, 1 აპრილი
„ერთობა“, 1919 წელი, 6 აპრილი

„ერთობა“, 1919 წელი, 13 აპრილი
„ერთობა“, 1919 წელი, 24 აპრილი.
„ერთობა“, 1919 წელი, 29 აპრილი
„ერთობა“, 1919 წელი, 30 აპრილი
„ერთობა“, 1919 წელი, 8 მაისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 15 მაისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 18 მაისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 21 მაისი
„ერთობა“, 1919 წელი, 23 მაისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 24 მაისი
„ერთობა“, 1919 წელი, 26 მაისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 28 მაისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 7 ივნისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 12 ივნისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 24 ივნისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 6 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 17 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 25 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 27 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 29 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 30 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელი, 31 ივლისი.
„ერთობა“, 1919 წელ, 3 აგვისტო.
„ერთობა“, 1920 წელი, 4 აპრილი.
„ერთობა“, 1920 წელი, 27 აპრილი.
„ერთობა“, 1920 წელი, 6 მაისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 7 მაისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 14 მაისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 4 ივნისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 17 ივნისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 7 ივლისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 14 ივლისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 16 ივლისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 21 ივლისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 22 ივლისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 23 ივლისი.
„ერთობა“, 1920 წელი, 8 აგვისტო.
„ერთობა“, 1920 წელი, 22 აგვისტო.
„ერთობა“, 1920 წელი, 8 სექტემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 22 ოქტომბერი.

„ერთობა“, 1920 წელი, 30 ოქტომბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 2 ნოემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 10 ნოემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 4 დეკემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 7 დეკემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 8 დეკემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 25 დეკემბერი.
„ერთობა“, 1920 წელი, 26 დეკემბერი.
„ერთობა“, 1921 წელი, 6 იანვარი.
„ერთობა“, 1921 წელი, 14 იანვარი.
„ერთობა“, 1921 წელი, 16 იანვარი.
„ერთობა“, 1921 წელი, 28 იანვარი.
„ერთობა“, 1921 წელი, 1 თებერვალი.
„ერთობა“, 1921 წელი, 2 თებერვალი.
„ერთობა“, 1921 წელი, 3 თებერვალი.
ჟურნ. „შვიდი მზათობი“, 1918 წელი, №1-2.

* * *

1. კ. მიქელაძე, დემოკრატიული საბჭოთა სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა. 1918 წ.

2. გ. შარაძე, ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება, თბ. 1998 წელი.

3. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ. ნაწილი I, 1991 წელი.

4. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ. ნაწილი II, 1993 წელი.

5. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, თბ. ნაწილი III, 1993 წელი.

6. გ. შარაძე, ფრანგული ღღიურები (ქარიული ემიგრაცია საფრანგეთში), თბ. 1990 წელი.

7. გ. გვაზავა, ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა,თბ. 1920 წელი.

8. გ. ლორთქიფანიძე, ფიქრები საქართველოზე, თბ. 1995 წელი.

9. ბ. მკალბრიძე, საქარიველოს 1921 წლის კონსტიტუციის სათაურებთან, საქართველოს ეროვნული საბჭოს (პარლამენტის) საკონსტიტუციო კომისია, თბ. 1993 წელი.

10. ბ. მაცაბერიძე, საქარიველოს 1921 წლის კონსტიტუცია, შემუშავება და მიღება. ნაწილი II, თბ. 1993 წელი.

11. ბ. მაცაბერიძე, საქარიველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ. 1996 წელი.

12. გ. უტიაშვილი, საქარიველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობა (1821-1994), თბ. 1995 წელი.

13. ო. ახუთიძე, საქარიველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წწ. თბ., 1991 წ.

14. შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ. 2001 წელი.

15. ნ. თევზაძე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია და საქართველოს საგარეო პოლიტიკა, 1918-1921 წლებში, თბ., 1999 წელი.

16. რ. კალანდაძე, დემოკრატია როგორც საქართველოს პირველი რესპუბლიკის იდეოლოგია, თბ., 2000 წელი.

17. გ. კვინიტაძე, მოგონებები; საქართველოს დამოუკიდებლობის წლები, 1917-1921 წწ., თბ., 1999 წელი.

18. ნ. კირთაძე, საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორია, თბ., 1998 წელი.

19. ლისტი, საქართველოს რესპუბლიკის უფლებრივი მდგომარეობა, ტფილისი. 1918 წელი.

20. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი 1917-1925 წწ. ბათუმი, 1990 წელი.

21. ვ. მგელაძე. 26 მაისი, ისტორიული ნარკვევები. თბ., 1990 წელი.

22. ე. მესხია, პოლიტიკური პარტიები და ორგანიზაციები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1917-1921 წწ., თბილისი, 1995 წელი.

23. გ. ჟორდანია, აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია, თბ., 1917 წელი.

24. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, დამფუძნებელი კრება, ტფილისი, 1920 წელი.

25. პ. სურგულაძე, დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა, სტამბოლი, 1918 წელი.

26. პ. სურგულაძე, ქართული პარლამენტის სათაყვანებლად, თბ., 1991 წელი.

27. ვ. ჩუბინიძე, მოგონება 1905 წლიდან 1921 წლის 15 მარტამდის, პარიზი, 1938 წელი.

28. გ. ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი 1921-1925 წლებში, თბილისი. 1996 წელი.

29. ჯ. ფუტკარაია, სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, თბ., 1997 წელი

30. ჯ. ფუტკარაია, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეა ჰეგელის პოლიტიკურ ფილოსოფიაში, თბ. 2002 წელი.

31. პოლიტიკა (პოლიტიკური აზრის კვინტესენცია), თბ., 1999 წელი.

32. გ. ნანეიშვილი, სამართლის ფილოსოფიის საკითხები, თბ., 1992 წელი.

33. ე. პატარიძე, დემოკრატიზმი, პარიზი, 1938 წელი.

34. გ. ნადარეიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1996 წელი.

35. ა. ვაჩეიშვილი, სამართლის ზოგადი თეორია, თბ., 1926 წელი.

36. გ. გოგიაშვილი, ფედერალიზმის ცნება და არსი, თბ., 1999 წელი.

37. ს. ბერიძე, 1917-19021 წლები საქართველოში, თბილისი, 1941 წელი.

38. გ. ლობჟანიძე, არჩილ ჯორჯაძის პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებანი, 1989 წელი.

39. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია (პოლიტიკური პორტრეტი), თბ., 2002 წელი.

40. ვ. გურული, მ. ჯაჩვაძე, ქარხული სოციალ-დემოკრატიის ისტორიის საკითხები, თბ., 1998 წელი.

41. გ. ურუტაძე, საზოგადოებრივი მოძრაობა საქართველოში 1821-1921 წლებში, პარიზი, 1939 წელი.

42. კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბ., 1991 წელი.

43. ი. ურუშაძე, ბოლშევიკ-მენშევიზმი და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), თბ., 1991 წელი.

44. შ. ჯაფარიძე, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის (1918-1921), თბ., 1994 წელი.

45. ზ. ჭინჭარაული, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სამართალი (საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოები 1918-1921 წწ.), თბ., 1997 წელი.

46. ა. რამიშვილი, ჩვენი შეცდომები 1918-1921 წლებში, თბ., 2000 წელი.

47. ა. ბერდიანაშვილი, საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.), თბილისი, 2001 წელი.

48. ზ. ჩერქეზიშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, თბილისი. 1992 წელი.

49. ა. დემეტრაშვილი, მსოფლიო ქვეყნების კონსტიტუციები, წიგნი I, თბ., 1992 წელი.

50. გ. ერემოვი, საქართველოს სსრ კონსტიტუციური განვითარების ეტაპები, თბ. 1960 წელი

51. გ. ერემოვი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია, ჟურნ. „სამართალი", 1992 წელი, ¹10-11.

52. გ. ერემოვი, სახელმწიფო სამართალი, თბ., 1986 წელი.

53. ვ. გურული, ნოე ჟორდანია, პოლიტიკური პორტრეტი, 1999 წელი, თბილისი.

54. ვ. გურული, ა, სილაგაძე, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, (917-1918), თბ. 2000 წელი.

55. ვ. გურული, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა და რუსეთის მეხუთე კოლონა (1917-1921), თბ. 1998 წელი.

56. ი. კვესელავა, XX საუკუნის 20-იანი წლების საქართველოს ისტორიის ფურცლები, 1990 წელი, თბილისი.

57. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, 1990 წელი.

58. რ. არსენიძე, დემოკრატიული რესპუბლიკა, 19127 წელი, თბილისი.

59. კ. ნინიძე, ა. ცისკარიძე, სამართლის მეცნიერება, 1920 წელი, თბილისი.

60. ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე, საქართველოს ისტორია, თბ. 1991 წელი.

61. დაბრუნება (ემიგრანტული ნაშრომები), გ. შარაძის რედაქ. მრავალტომეული, ტ. I, თბ., 1991 წელი.

62. ჯ. სტეფნაძე, საქართველო XII ს. და XIII ს. პირველ მეოთხედში, თბ., 1985 წ.

63. გ. ინწკირველი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბ. 1997 წელი.

64. გ. ინწკირველი, კანონი და პირიქრება, თბ. 1974 წელი.

65. პ. ცნობილაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 1999 წელი.
66. პ. ცნობილაძე, კონსტიტუციური სამართალი (ცნობარი).
67. ზ. რუხაძე, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, თბ. 1999 წელი.
68. ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 1997 წელი.
69. ჯანდა, ბერი, გოლდმენი, ამერიკული დემოკრატია, თბ. 1983 წელი.
70. ვ. მეტრეველი, ი. ჭავჭავაძე დანაშაულისა და სასჯელის შესახებ, თბ. 1983 წელი.
71. ვ. მეტრეველი. ი. ჭავჭავაძის შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე, თბ., 1997 წელი.
72. ვ. მეტრეველი, გ. დავითაშვილი, პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბ., 1999 წელი.
73. ვ. მეტრეველი, აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ., 1980 წელი.
74. ვ. მეტრეველი, ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი, თბ.
75. გ. ლეშაპელი, სიტყვები ნათქვამი პარლამენტში (ერთიანულ საბჭოში), 1919 წელი, თბილისი.
76. ვ. ხოჭოლავა, პოლიტოლოგიური პრობლემატიკა ქართულ მეცნიერებაში, თბ., 2001 წელი.
77. ნ. ჟორდანია, სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია, თბ. 1919 წელი.
78. ნ. საქარელი, სხვასასხვა ქვეყნების სახელმწიფოებრივი წესწყობილება, თბ., 1920 წელი.
79. ო. მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბ. 1996 წელი.
80. ო. მელქაძე. საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო სამართალი, თბ., 1996 წელი.
81. გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები, თბ. 1971 წელი.
82. ო. მელქაძე, სახელმწიფო კონტროლი, თეორია, პრაქტიკა, პერსპექტივა, თბ., 1996 წელი.
83. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წწ. საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1990 წელი.
84. გ. ხაჭაპურიძე, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში, 1969 წელი.
85. გ. ჟვანია, როგორ მზადდებოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაცია, თბ. 1991 წელი.
86. ვ. ლორია, მ. სალხინაშვილი, საქართველოს სახელმწიფოსა და ადმინისტრაციული სამართლის საკითხები, თბ. 1997 წელი.
87. ვ. ლორია, ადმინისტრაციული იუსტიცია „სამართალი", 1992 წ. ქ2.
88. ვ. ლორია, მმართველობა და კანონმდებლობა, 1989 წელი.
89. გ. ზუბუა, ფედერალიზმი, როგორც ნორმატიული პრინციპი და პოლიტიკური წესრიგი, თბ., 2000 წელი.

90. ა. აბესაძე, ფედერალიზმი და საქართველო, „სამართალი", 1992 წელი №10-11.

91. ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია, მ. უგრეხელიძის რედ. თბ., 1993 წელი.

92. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, 1989 წელი, თბ.

93. გ. ნანეიშვილი, დამკიდებულება ცენტრსა და ადგილობრივ ორგანოთა შორის, ჟურნ. „კავკასიის ქალაქი", 1919 წელი, №1, 2, 3.

94. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I.

95. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. IV.

96. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. V.

97. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI.

98 ი. ჭავჭავაძე, წერილები ლიტერატურაზე და ხელოვნებაზე, ტ. IV, 1987 წ.

108. ო. ჯანელიძე, 26 მაისიდან 25 თებერვლისაკენ, თბ., 1990 წელი.

109. ი. გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. III, თბ. 1990 წელი.

110. ნ. ნიკოლაძე, რჩეული ქართული მწერლობა, ტ. 14, თბ. 1997 წელი.

111. ა. ჯორჯაძე, სოციფედერალიზმი საქართველოში, წიგნი I, თბ. 1907 წელი.

112. ი. ჯაჯანიშვილი, ქარხული სამართლის ისტორია, ნაწილი II.

113. ივ. სურგულაძე, საქარხველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ. 1952 წელი.

114. ზ. ჯინჯოლავა, ხელისუფლების დანაწილების თეორია და საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქცია. „სამართალი", 1994 წელი.

115. ლ. ჭანტურია, ადამიანის ძირითადი უფლებები და საქარხველოს მომავალი კონსტიტუცია, „სამართალი". 1993 წელი №5-6.

116. ი. ფუტკარაძე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო წყობილება, „სამართალი", 1991 წელი, №5.

117. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1978-1921), თბ., 1990 წელი.

118. საქართველოს კონსტიტუციის პროექტი წარდგენილი დამფუძნებელ კრებაში სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის მიერ, გაზეთი „შრომა", 1921 წელი, 23 იანვარი.

119. კ. კეკელია, ხელისუფლების ორგანოთა სისტემა 1921 წლის კონსტიტუციის მიხედვით, „აფხაზეთის მოამბე", 2000 წელი, №4.

120. ჯ. ლომაშვილი, ე. ფშაველას საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებები, თბ. 1982 წელი.

121. ვ. ერქომაიშვილი, ფილოსოფია, თბ. 1994 წელი.

122. ლ. ბლომკვისტი, ლ. ზარდიაშვილი, ა. სვანიშვილი, რა არის ადგილობრივი თვითმარხველობა, თბ., 2001 წელი.

123. ადგილობრივი თვითმართველობა, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სასწავლო-კვლევითი ცენტრი, 2002 წელი, №1.

124. ადგილობრივი თვითმართველობა, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონალური პოლიტიკისა და მართვის სასწავლო-კვლევითი ცენტრი, 2002 წელი, №2.

125. ადგილობრივი თვითმართველობა, საქართველოს პრეზიდენტის რეგიონ-

ალური პოლიტიკისა და მართვის სასწავლო-კვლევითი ცენტრი, 2002 წელი, №3.

126. ბ. კოჭლამაზაშვილი, საკონსტიტუციო კონტროლის სახეები, „სამართალი", 1999 წელი №6-7.

127. რ. ცხვედიანი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კომპეტენცია, „სამართალი", 2001 წელი, №8.

128. ლ. ჭუმბურიძე, მიხაკო წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობისათვის, „ადამიანი და კონსტიტუცია", 1999 წელი, №4.

129. ა. გიგუაშვილი, სახელმწიფო პოლიტიკურ სისტემაში, „სამართალი", 2001 წ. ¿4.

130. ნ. სულავა, კონსტიტუცია და დემოკრატია, „სამართალი", 2001 წელი №1-2.

131. საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუცია, თბ. 2000 წელი.

132. საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ", გამომც. „ლ. დ."

133. საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ", გამომც. „დ. ლ."

134. საქართველოს 1995 წლის 25 მარტის კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ".

135. კობა კალიჩავა, გიორგი ქობალია დიდი იურისტი და მოაზროვნე, (გ. ნანეიშვილზე). გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 2002 წელი, 10-16 იანვარი.

136. ბექა ქანთარია, გზა სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ, 2002 წელი, გამომც. „სამართალი".

137. ბექა ქანთარია, საქართველოს მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებანი სისტემის 1921 წლის 21 თებერვლის ძირითადი კანონის მიხედვით, გაზეთი „კრიმინალი", 2000 წელი, 16-17 დეკემბერი.

138. ბექა ქანთარია, ადგილობრივი თვითმართველობა, როგორც დეცენტრალიზაციის გამომხატველი, გაზეთი „აფხაზეთის ხმა", 2001 წელი, 28 ივლისი.

130. ბექა ქანთარია, ქართული პარლამენტარიზმი 85 წლისაა, გაზეთი „აფხაზეთის ხმა" 2002 წელი, 1 ნოემბერი.

140. ვ. აბაშმაძე, სოკრატეს პოლიტიკური მსოფლმხედველობა, თბ. 1973 წელი.

141. ს. დანელია. სოკრატეს ფილოსოფია, თბ. 1936 წელი.

142. ბლეზ პასკალი, აზრები, საუნჯე, 1976 წელი.

143. არისტოტელე, პოლიტიკა, ნაწ. I, თბ. 1995 წელი.

144. ნ. მაკიაველი, მთავარი, თბ., 1984 წელი.

145. ბ. მონტესკიე, კანონთა გონი, თბ. 1994 წელი.

146. ჟ. ჟ. რუსო, საზოგადოებრივი ხელშეკრულება, თბ. 1997 წელი.

147. ტ. კარლაილი, დროის ნიშნები, ესეები, თბ. 1989 წელი.

148. მ. ვებერი, პოლიტიკა, როგორც მოწოდება და ხელობა, 1994 წელი.

149. პ. ვალერი, რჩეული პროზა, თბ. 1983 წელი.

150. ო. შპენგლერი, პოლიტიკის ფილოსოფია, თბ. 1995 წელი.

151. ქსენოფონტი, მოგონებები სოკრატეზე, IV, 5, 3.

152. ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბ. 1984 წელი.

153. რ. იერინგი, ბრძოლა უფლებისათვის, თბ. 1999 წელი.
154. ჰ. სპენსერი, მიწათ სარგებლობის უფლება, 1906 წელი.
155. ა. გერცენი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 2 ტომად, ტ.I, 1953 წ.
156. Платон, государство, закон, 1971 г.
157. А. Алексеев. Теория права, М. 1995 г.
158. Освальд Шпенглер. Закат европы. 1993 г.
159. Платон. Поли.. соб., творений Платона, т. X111. Петербург, 1923 г.
160. Чичерин Борис. Вопросы политики, М. 1903 г.
161. Чичерин Борис. Вопросы философии, М. 1904 г.
162. Штаммлер Рудольф. Хозяйство и право с точки зрения материялического понимания истории. Т. 1-11, 1907 г.
163. Вышинский А.В. Вопросы теории государства и права. М. 1949 г.
164. Степанов М. Н. Конституция и политика. Б. 1984 г.
165. Бенжамин К. Курс конституционной политики. 1991 г.
166. Гранот Н.Л. Конституционное право. М. 1992 г.
167. Сахаров Н.А. Институт президентства в современном мире, М. 1992 г.
168. Конституционное право. Учебник. М. 1996 г.
169. Е. И. Тетнов. Теория прави и государства, М. 1996.

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე ჰაიდარ - 318.
აბაკელია იოსები - 319.
აბაშმაძე ვახტანგი - 304, 425.
აბესაძე ა. - 423.
აბუთიძე ი. - 419.
ავალიშვილი ზ. - 70, 113, 422.
ალექსანდრე მეორე - 117.
ანდრონიკაშვილი კონსტანტინე - 65, 73.
არისტოტელე - 426.
ასათიანი ა. - 318.
ასათიანი ლევანი - 318.
არსენიძე რაფიელი - 18, 65,70, 73, 74, 75, 76, 77, 89, 113, 114, 165, 213, 365, 372, 393, 398, 403, 421.
ანჯაფარიძე გ. - 319.
აუშტრიელი რუბენ - 79.
აქუბარდია ლევანი - 8.
ალბულას სამართალი - 18.
ალმაშენებელი დავითი - 19, 26, 28, 205.
ახმეტელი ალექსანდრე - 318.

ბ

ბაგრატიონი ვახუშტი - 232.
ბალრიძე ილიკო - 79, 318.
ბარათაშვილი იესე - 73, 77, 80, 122, 237, 274, 279, 304, 318, 354.
ბენაშვილი დიმიტრი - 106.
ბენდიანაშვილი ა. - 421.
ბენჯამინ ბ. - 426.
ბენტამი იერემია - 145.
ბერიძე ს. - 420.
ბერშტეინი - 170.
ბერი - 144, 192, 197, 422.
ბექას სამართალი - 18.
ბლიომკვისტი ლ. - 424.
ბოლქვაძე ელისაბედი - 79.
ბრწინვალე გიორგი - 18.
ბურჯანაძე ვ. - 319.

გ

გაბაშვილი რ. - 318.
გამხარიელი - 70.
გამსახურდია ზვიადი - 31, 106, 204, 341, 343.
გამყრელიძე ოთარი - 24.
გეგეჭკორი ე. - 319.
გეგეჭკორი ალექსანდრე - 391.
გელეიშვილი პეტრე - 77, 89.
გელოვანი აკაკი - 117, 320.
გერცენი ალექსანდრე - 36, 426.
გვაზავა გიორგი - 65, 71, 73, 80, 89, 115, 136, 158, 168, 205, 251, 263, 267, 274, 280, 318, 325, 330, 336, 351, 418.
გვარჯალაძე კოწია - 318.
გვერდწითელი გურამი - 106.
გიორგაძე გრიგოლი - 79, 319.
გიგუაშვილი ა. - 425.
გორჩია იუანე - 73, 114, 122, 205, 319, 336.
გობეჩია ვლადიმერი - 318.
გოგებაშვილი იაკობი - 37, 175, 423.
გოგიაშვილი გ. - 420.
გომარიელი იუანე - 77, 89.
გოგიჩაშვილი ფილიპე - 129, 130, 131, 319.
გოგიჩაიშვილი გაბრიელი - 129.
გოლდშვი - 144, 192, 197, 422.
გოგელია ილია - 318.
გოეთე - 84, 147.
გორგაძე ტიმოთე - 79.
გრანოტი ნ. - 426.
გროციუსი ჰუგო - 190.
გულუა ბაკური - 332.
გუმპლოვიჩი ლუდვიგი - 254.
გურული ვახტანგი - 8, 420, 421.

დ

დადიანი სამსონი - 70, 77.
დავარიშვილი კონსტანტინე - 319.
დავითაშვილი გ. - 183, 422.
დანელია სერგი - 384, 425.
დანილევსკი ნიკოლოზი - 143.

დემეტრაშვილი ათანდილი - 421.
დემოკრიტე - 183.
დიუგო ლეონ - 240.
დუმბაძე ლადო -391.

ე

ედუარ მესამე - 287.
ელიავა ნიკო - 77, 319.
ელიავა შალვა - 391.
ელინეკი გიორგი - 195, 196.
ემუხვარი არზაყან - 79.
ერეკლე მეფე - 231.
ერაძე გ. - 319.
ერემოვი გრიგოლი - 421.
ერლიხი ეგენი - 181.
ერქომაიშვილი ვახტანგი - 284, 424.
ესმენი - 209.

ვ

ვადაჭკორია შ. - 419.
ვაჩეიშვილი ა. - 420.
ვაჩნაძე მ. - 420.
ვაჩნაძე დავითი - 318.
ვახტანგ მეექვსე - 18, 19, 28, 232.
ვებერი მაქსი - 214, 338, 426.
ვეშაპელი გრიგოლი - 79, 318, 422.
ვილსონი ვ. - 209.
ვიშინსკი ა. - 426.
ვოლტერი - 147.

ზ

ზანდუკელი მ. - 319.
ზარდიაშვილი ლ. - 424.
ზიბერი - 312.
ზურაბიშვილი ი. - 34.

თ

თამარ მეფე - 19, 26, 28.
თაყაიშვილი ეკვთიმე - 89, 236, 308, 318, 391.
თევზაია ბიქტორი - 79, 127, 318, 351, 379.
თევზაძე სარდიონი - 77.
თევზაძე ნ. - 419.
თოფურიძე დიომიდე - 77, 129.
იერინგი რუდოლფი - 225, 240, 426.
ივანიცკი რაფიელი - 77.
იმედაშვილი კობა - 106.
იმნაიშვილი ნიკიფორე - 79.
ინგოროყვა პაულე - 318.
ინწკირველი გიგი - 25, 77, 181, 259, 421.

კ

კარლაილი ტომასი - 280, 426.
კარლ კაუცკი - 359.
კალანდაძე ლაეროსი - 106.
კალანდაძე რ. - 419.
კალაძე ერმალო - 79.
კანტი იმანუელი - 126.
კარამზინი მიხეილი - 36.
კედია სპირიდონი - 65, 71, 73, 79, 160, 208, 336.
კეკელია კ. - 424.
კელზენი - 149, 180, 194.
კვესელავა იგორი - 8, 421.
კვინიტაძე გ. - 419.
კიკვაძე თეკლორე - 79, 318.
კირთაძე ნ. - 419.
კლიმიაშვილი მ. - 318.
კლოდ სენ სიმონი - 121.
კობახიძე ათანდილი - 258.
კონტი ოგიუსტი - 41, 144.
კონსტანტი ბენჟამინ - 145.
კოპალეიშვილი ილია - 79.
კორფი - 194.
კოჭლამაზიშვილი ბ. - 424.
კურაპალატი ბაგრატი - 18, 227, 229.
კუტალია ლაშა - 24.

ლ

ლასხიშვილი გ. - 73, 77, 318, 319.
ლეფრეშე ა. - 41.
ლისტი - 419.
ლობჟანიძე გ. - 420.
ლომაშვილი ჯიბო - 424.
ლომთათიძე ალექსანდრე - 77, 123, 219, 271, 319, 323.

ლოკი - 144, 283.
ლორია ფილიპე - 79.
ლორია ვალერი - 298, 423.
ლორთქიფანიძე გრიგოლი - 360, 361, 418.
ლორთქიფანიძე ივანე - 48, 51, 53, 318, 319.
ლორთქიფანიძე იას. - 318.

მ

მაზნიაშვილი გ. - 419.
მაკიაველი ნიკოლო - 257, 426.
მამარდაშვილი მერაბი - 30.
მანი თომასი - 146.
მარუაშვილი გივი - 8.
მარგველაშვილი ტიტე - 318.
მაყაშვილი ვლადიმერი - 24.
მაყაშვილი კ. - 70, 71, 121, 205.
მაცაბერიძე მალხაზი - 8, 69, 70, 71, 368, 369, 418.
მაჭავარიანი იოსები - 79, 318.
მაჭავარიანი სვიმონი - 319.
მახარაძე ფილიპე - 391.
მახვილაძე ელეონორა - 79.
მაჩაბელი მ. - 319.
მგელაძე ვლასა - 318, 419.
მდივანი ალ. - 280, 318.
მდივანი ბუდუ - 391.
მელქაძე ოთარი - 277, 422.
მედისონი მერბერი - 262.
მენგერი ანტონი - 196.
მესხია ე. - 419.
მესხიშვილი შალვა - 77, 236, 305, 318, 319.
მესხი კ. - 318.
მეტრეველი ვალერიანი - 22, 30, 31, 95, 117, 183, 234, 287, 422.
მიქელაძე დიმიტრი - 51, 52.
მიქელაძე შალვა - 318.
მოლაშვილი სულხანი - 130, 134.
მონტესკიე - 142, 147, 175, 205, 426, 254, 348.

ნ

ნადარეიშვილი გიორგი - 19, 65, 420, 422.
ნანეიშვილი გიორგი - 54, 75, 80, 113, 114, 115, 121, 213, 233, 294, 296, 420, 423.
ნათაძე ლეო - 71, 73, 77, 121.
ნათაძე გრიგოლი - 319.
ნაჭყებია გურამი - 24.
ნიკოლაძე ნიკო - 28, 219, 422, 423.
ნიკრისელი ბ. - 96, 103, 104.
ნინიძე კირილე - 79, 89, 421.
ნიცშე - 225.

ო

ოკუჯავა მიშა - 391.
ონიაშვილი დავითი - 79, 219, 318.
ორბელიანი სულხან-საბა - 109.
ორახელაშვილი მამია - 391.
ორჯონიკიძე სერგო - 391.
ოსტინი - 263.

პ

პასკალი - 225, 226, 426.
პაპაჯა აკაკი - 319.
პაპასქირი ზურაბი - 199.
პატარიძე ელისე - 420.
პეტრე დიდი - 52.
პეტრაჟიცკი - 180, 181, 182, 296.
პოლ ვალერი - 147.
პლატონი - 37, 183, 426.
სპენსერი - 426.
პუფენდროფი სამუელ - 108.
პუსტა - 145.

ჟ

ჟვანია ვახტანგი - 296.
ჟვანია გ. - 423.
ჟორდანია ნოე - 26, 33, 34, 36, 41, 42, 54, 55, 66, 70, 77, 129, 192, 198, 203, 205, 219, 247, 308, 314, 315, 316, 317, 318, 320, 339, 341, 347, 348, 365, 421, 422.
ჟორდანია გ. - 419.
ჟოზეფ დემესტსი - 66, 84.
ჟურული გიორგი - 128, 318, 319.
ჟლენტი ლეონტი - 318.

რ

რაღბრუხი გ. - 297.
რამიშვილი ისიდორე - 77, 318.
რამიშვილი ა. - 420.
რამიშვილი ნიკ - 25, 219, 318, 319, 339, 341.
რაჭველიშვილი ქ. - 318.
როსტომ მეფე - 232.
რუსია მელიტონი - 73, 77, 89, 163, 318.
რუსო - 183, 191, 378, 426.
რუხაძე ზაზა - 76, 202, 265, 275, 422.
რუხაძე ლევანი - 77.
რცხილაძე გრიგოლი - 70, 77, 318.

ს

საბაშვილი პ. - 318.
საგანელი ბიძინა - 6, 422.
სალაყაია იოსები - 79, 319.
სალაყაია ისიდორე - 123.
საქარელი ნ. - 422.
საყვარელიძე პაულე - 45, 48, 62, 65, 67, 70, 71, 73, 75, 76, 77, 80, 89, 121, 165, 173, 204, 318, 324, 353, 380, 381, 382.
სიდნეი ლოუ - 215.
სილაგაძე ა. - 421.
სოკრატე - 147, 304, 364. 425, 426.
სოლოღაშვილი ანნა - 77.
სპენსერი ჰერბერტი - 183.
სტეფნაძე ჯ. - 421.
სტეფანოვი მ. - 426.
სვანიშვილი ა. - 424.
სულავა ა. - 425.
სულაქველიძე აპალონი - 79.
სურგულაძე აკაკი - 34, 217, 390. 421.
სურგულაძე პაატა - 34, 217, 390, 421.
სურგულაძე ივანე - 6, 13, 28, 107, 424.

ტ

ტაბალუა ილია - 8.
ტატიშვილი ივანე - 77.
ტოკვილი - 120, 373.
ტორიშელიძე მინადორა - 318.
ტეტნიკი ე. - 426.
ტუგან ბარანოვსკი - 286.
ტურავა მერაბი - 24.

უ

უგრეხელიძე მინდია - 423.
უზნაძე დიმიტრი - 319.
ურუტაძე გრიგოლი - 77, 319, 420.
უტიაშვილი გოჩა - 418.

ფ

ფალიაშვილი აპალონი - 24.
ფაფიაშვილი შოთა - 24.
ფაღავა ა. - 172.
ფაღავა გ. - 73.
ფირცხალავა სამსონი - 77, 318.
ფირცხალაიშვილი ილია - 79, 319.
ფრანკლინი ბენჯამინ - 66.
ფრენკი ჯერომი - 181.
ფუტკარაია ჯ. - 419, 420.
ფუტკარაძე ი. - 424.
ფშაველა ვაჟა - 424.

ქ

ქართველია ბექა - 8, 57, 64, 109, 135, 229, 238, 254, 275, 370, 425.
ქარუმიძე შალვა - 79, 319.
ქილანთაროვი ა. - 318.
ქიქოძე გერონტი - 71, 106, 318, 335.
ქსენოფონტი - 147, 364, 426.
ქობალია გიორგი - 425.
ქურდიანი გრიგოლი - 319.

ღ

ღვინჯილია ჯანსული - 30, 106.

ყ

ყალიჩავა კობა - 425.
ყიფიანი რუბენი - 77.
ყიფშიძე გ. - 89.
ყუ-ლუ არსლანი - 202, 203.

შ

შაგულიძე თამაზი - 24.
შარაძე გურამი - 7, 8, 49, 160, 339, 349, 391, 418, 421.
შარაშიძე დავითი - 77.
შაშიაშვილი თეიმურაზი - 125.

შეკარდნაძე ელუარდი - 77, 341, 373, 388.
შენგელაია ლეო - 323, 347, 378.
შენგელია რომანი - 25.
შენგელერი ოსვალდი - 37, 146, 426.
შტამლერი რუდოლფი - 126, 426.
შუშანიკი - 19.

ჩ

ჩერქეზიშვილი ი. - 70, 318.
ჩერნილოვსკი ზ. - 421.
ჩიქოვანი დავით - 236, 318.
ჩიგოგიძე - 237.
ჩიჩერინი ბორისი - 426.
ჩიხლაძე რ. - 71, 110, 121.
ჩუბინიძე ვ. - 419.
ჩხეიძე მარიამ - 71, 110, 121.
ჩხეიძე ნიკოლოზი - 77, 129, 171, 218, 219, 247, 252, 319.
ჩხეიძე დავით - 79.
ჩხენკელი აკაკი - 54, 86, 89, 168, 169, 319, 349, 380.
ჩხიკვიშვილი ბენია - 77.

ც

ცაბაძე ეასო - 79, 319.
ცისკარიძე ა. - 219, 421.
ცინცაძე ნოე - 77, 319.
ცინცაბაძე გრიგოლი - 77.
ციციშვილი გიორგი - 8.
ცნობილაძე პაატა - 76, 184, 210, 341, 421, 422.
ცურტაველი იაკობი - 19.
ცხაკაია მიხა - 391.
ცხვედიანი რ. - 419.
ცხოვრებაძე გ. - 425.

ძ

ძველაია ბარნაბა - 79.

წ

წერეთელი აკაკი - 19, 26, 28, 422.
წერეთელი თინათინი - 24.
წერეთელი ალექსანდრე - 71, 121.
წერეთელი ი. - 219, 319.
წერეთელი ეას. - 318.
წერეთელი მიხაკო - 425.
წივწივაძე თამაზი - 106.
წულაია პაულე - 77, 318.
წულაძე ეასილი - 77, 318.

ჭ

ჭაბაშვილი მიხეილი - 49, 94, 297, 383, 423.
ჭავჭავაძე ილია - 19, 22, 26, 28, 30, 31, 46, 117, 120, 123, 174, 175, 199, 224, 225, 228, 234, 251, 287, 288, 293, 422, 423.
ჭაჭანიძე ი. - 219.
ჭანტურია ლაღო - 25, 424.
ჭანუყვაძე ივანე - 339.
ჭელიძე თეიმურაზი - 79.
ჭიაბერაშვილი ა. - 318.
ჭილაია სერგი - 106.
ჭუმბურიძე ლ. - 425.

ხ

ხაზალია ავთანდილი - 57.
ხანანაშვილი ი. - 73.
ხაჭაპურიძე გ. - 423.
ხელთუფლიშვილი დავითი - 272, 341.
ხელთუფლიშვილი ბესარიონი - 272.
ხვინგია ნ. - 77.
ხომერიკი ნოე - 77, 318, 319.
ხოჭოლავა მ. - 113, 114, 115.
ხოჭოლავა ვ. - 422.
ხუბუა გიორგი - 25, 196, 423.

ჯ

ჯავახიშვილი ივანე - 18, 24, 25, 54, 70, 89, 130, 296, 349, 424.
ჯავახიშვილი ლ. - 318.
ჯანელიძე ო. - 420, 423.
ჯანდა - 144, 192, 197, 422.
ჯაფარიძე სერგი - 60, 70, 71, 72, 73, 75, 76, 77, 89, 267, 349, 393, 398, 403.
ჯაფარიძე კონსტანტინე - 113, 115, 318, 349, 350, 379.

ჯაფარიძე შოთა - 420.
ჯავახანაშვილი ა. - 319.
ჯიბლაძე სილიბისტრო - 79, 219, 318.
ჯიბლაძე გიორგი - 106.
ჯინჯოლავა ზაური - 420, 424.
ჯონ სტიუარტ მილი - 146.
ჯორჯაძე არჩილი - 423.
ჯულელი ვალიკო - 79.

ჰ

ჰამილტონი ალექსანდრე - 262.
ჰეგელი - 144, 426.
ჰობსი ტომაზი - 108, 183, 189.
ჰუმბოლტი - 261.
ჰუსერელი ედმუნდი - 296.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ავტორისაგან	5
იურიდიული მეცნიერების ერთი დარგის დანიშნულებისათვის	9
სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, როგორც კრიტიკული მეცნიერება	18
საქართველოს სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორიის პერიოდიზაცია	27
1918-1921 წლები — საქართველოს ისტორიის სხვანათელი პერიოდი	30
კონსტანტინე მიქელაძე, როგორც სამართლისმცოდნე	47
კონსტანტინე მიქელაძე, როგორც ექსპერტ-სპეციალისტი	54
ნაწილი პირველი	
თავი პირველი - საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის ძირითადი თავისებურებანი	60
თავი მეორე - კონსტანტინე მიქელაძე და კონსტიტუცია	66
თავი მესამე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება კონსტიტუციის მიღების ფორმებზე	80
ნაწილი მეორე	
თავი მეოთხე - კონსტანტინე მიქელაძე და კრიტიკა	94
თავი მეხუთე - კონსტანტინე მიქელაძე და მოხელეთა უფლებები	108
თავი მეექვსე - კონსტანტინე მიქელაძის მოსაზრებანი ადგილობრივ თვითმართველობაზე	117
თავი მეშვიდე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება სახელმწიფო კონტროლზე	126
თავი მერვე - კონსტანტინე მიქელაძე და „უფლებრივი“ ანუ სამართლებრივი სახელმწიფო	135
ნაწილი მესამე	
თავი მეცხრე - კონსტანტინე მიქელაძე და მოქალაქის უფლება-მოვალეობათა სისტემა	142
თავი მეათე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება მოქალაქეობაზე	155
თავი მეთერთმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და ეროვნულ-უმცირესთა უფლებები	165

ნაწილი მეოთხე

თავი მეთორმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და
სახელმწიფოს ფუნქციები 180
თავი მეცამეტე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება
სახელმწიფოს ნიშნებზე 187
თავი მეთოთხმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და
სახელმწიფო მმართველობის ფორმები 190
თავი მეთხუთმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და
სახელმწიფო სუვერენიტეტი 194

ნაწილი მეხუთე

თავი მეთექვსმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და პარლამენტი 202
თავი მეჩვიდმეტე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება
პარლამენტის სტრუქტურასა და შემადგენლობაზე 208
თავი მეთვრამეტე - კონსტანტინე მიქელაძე და
სოციალ-დემოკრატიული პარტია 216

ნაწილი მეექვსე

თავი მეცხრამეტე - კონსტანტინე მიქელაძე სასამართლო
ხელისუფლების მნიშვნელობის შესახებ 224
თავი მეოცე - კონსტანტინე მიქელაძის კონცეფცია
მოსამართლის სამართლებრივ მდგომარეობაზე 240
თავი ოცდამეერთე - კონსტანტინე მიქელაძე და
„უფლების დაცვა“ 254
თავი ოცდამეორე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება
სასამართლო კონტროლზე 261
თავი ოცდამესამე - კონსტანტინე მიქელაძე და სასამართლო
კონტროლი აღმასრულებელ ხელისუფლებაზე 279
თავი ოცდამეოთხე - კონსტანტინე მიქელაძის დამოკიდებულება
მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტზე 287
თავი ოცდამეხუთე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება
ადმინისტრაციულ იუსტიციაზე 293
თავი ოცდამეექვსე - კონსტანტინე მიქელაძე და
ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი 302

ნაწილი მეშვიდე

თავი ოცდამეშვიდე - კონსტანტინე მიქელაძე და
აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობა
საეროო სახელმწიფოებრივ სისტემაში 312

თავი ოცდამერვე - კონსტანტინე მიქელაძე და მთავრობა 327
თავი ოცდამეცხრე - კონსტანტინე მიქელაძე და
პრეზიდენტის თანამდებობის საკითხი 338

ნაწილი მერვე

თავი ოცდამეათე - კონსტანტინე მიქელაძის შეხედულება
დემოკრატიულ რეჟიმზე 364
თავი ოცდამეთერთმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და
პოლიტიკური უფლებები 375
თავი ოცდამეთორმეტე - კონსტანტინე მიქელაძე და
ქართველი ერის „ისტორიული უფლება“ 387

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 393
რეზიუმე ფრანგულ ენაზე 398
რეზიუმე გერმანულ ენაზე 403
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 408
პირთა საძიებელი 422

ბეკა ქანთარია

კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი
(მონოგრაფია)

Beka Kantaria

Political and Juridical Outlook Of Konstantine Mikeladze
(Monography)

Beka Kantaria

Resumй politique et juridique de Konstantinй Mikeladzй
(Monographie)

Beka Kantaria

Die politische und juristische Ansichten von Konstantine Mikeladse
(Monographie)

გამომცემლობა „პოლიტიკა“
აიწყო და დაკაბადონდა „დია“-ში
დაიბეჭდა გამომცემლობა „ტრიადას“ სტამბაში

შეცდომების გასწორება

არის		უნდა იყოს
გვ. 2, წალეჯიხა	—	წალენჯიხა
გვ. 4, თანამემალულეთა	—	თანამემამულეთა
გვ. 73, იურუსტი	—	იურისტი
გვ. 83, საბჭოს	—	საბჭოს
გვ. 83, 1818	—	1918
გვ. 169, სამინისტრო	—	მინისტრი